სერგი ქილაია

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა

ნაწილი მესამე

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1962

შესავლის მაგივრ

წინამდებარე ნაშრომი ჩვენი წიგნის — „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის“ — მესამე ნაწილია.

მესამე წიგნში ჩვენ შევიტანეთ ის ავტორები (პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1956 წელს, მეორე ნაწილი — 1959 წელს), რომლებიც საბჭოთა ეპოქაში გაფორმდნენ და ჩამოყალიბდნენ, როგორც პოეტური სიტყვის ოსტატები. ესენი არიან: ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე და გრიგოლ აბაშიძე, ხოლო დევნა შენგელაიას, სერგო კლდიაშვილის, აკაკი ბელიაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება არსებითად საბჭოთა ეპოქაში გამოვლინდა და გაიშალა მთელი ძალით. რევოლუციამდელ პერიოდში მათ არ ჰქონიათ დამოუკიდებელი მხატვრული სამყარო, როგორც ეს, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ან ლეო ქიაჩელის სამწერლო მოღვაწეობაში გვქონდა.

მესამე წიგნში წარმოდგენილი ავტორების მეტი წილი რეალისტები არიან. ამ მხრივ პრინციპულად, სიმ. ჩიქოვანისა და აკ. ბელიაშვილის ფუტურისტული პერიოდიც კი, პოზიტიურად რეალიზმს არ ემიჯნებოდა, თუმცა ლიტერატურულად საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ისინი საბჭოთა მწერლობისაგან შორს იდგნენ. არც დ. შენგელაია და ს. კლდიაშვილი იყვნენ ტიპიური სიმბოლისტები. ასე რომ, ზემოხსენებული მწერლების შემოქმედებითი გზა უშუალოდ საბჭოთა ეპოქას, სოციალისტურ რეალიზმს დაუკავშირდა.

რაც შეეხება ანტირეალისტური სკოლების წარმომადგენლებს, კერძოდ — სიმბოლისტებს, ისინი დახასიათებული იქნებიან ჩვენი შრომის მეოთხე წიგნში. იქვე შევლენ სხვა ცნობილი საბჭოთა მწერლებიც იმავე თვალსაზრისით, რა

თვალსაზრისითაც დავალაგეთ ჩვენს სამ წიგნში მეოცე საუკუნის მწერლები.

ამ წიგნში შეგნებულად არ მოვაქციეთ ქართველი სიმბოლისტები, რადგან განზრახული გვაქვს, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ქართული სიმბოლიზმის ისტორია და ამ სკოლის წარმომადგენლები (ტიც. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ტ. გრანელი და სხვ.). ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყოველთვის ზუსტი ლიტერატურული თვალსაზრისი არ ჰქონია ამ ავტორების შეფასების დროს. ბევრ შემთხვევაში ცალმხრივი ვიყავით მათი ღვაწლის დახასიათებისას. ამ მწერლების შემოქმედებითი გზის განხილვა შესაძლებლობას მოგვცემს თვალნათლივ დავანახოთ მკითხველს, განსაკუთრებით კი — ჩვენს ახალგაზრდობას, რომ მათს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ის არის ყველაზე ძვირფასი და საინტერესო, რაც უკავშირდება რეალიზმს, საბჭოთა ეპოქას, ხოლო მათს ადრინდელ ზაუმურ-სიმბოლისტურ ძიებებს ლიტერატურის ისტორიისათვის თუ აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. თავისთავად კი ამ თაობის მიერ ლიტერატურული ფორმის საკითხის მწვავედ დაყენება და ფორმალიზმით გატაცება მომზადებული იყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების პირობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკული რეალიზმი, რომელმაც მე-19 საუკუნის მიწურულისათვის თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, უკვე ერთგვარი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებში.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში კრიტიკულ რეალიზმის რევოლუციური პათოსი და საბრძოლო ინტონაცია დაჩრდილა რეაქციისა და მსოფლიო ომის წლების სულიერმა განწყობილებამ. და ამის გამო მომდევნო წლებშიც ცალმხრივად და მკრთალად იქნა შენარჩუნებული რევოლუციური და სოციალისტური მოტივები ლიტერატურაში. ამავე დროს, ყველა სუსტი და უნიჭო პოეტი, საღი თემატიკის ზღუდეებს ამოფარებული, დათვურ სამსახურს უწევდა რევოლუციურ პოეზიას, ბევრ შემთხვევაში სახელს უტეხდა ახალ მიმდინარეობას. საჭირო იყო ენობრივი და თემატიკური ნატურალიზმის დაძლევა. თუ რა გზით მოხდა ეს, ამ კითხვას ნაწი-

ლობრივ ვუპასუხეთ, როდესაც გალ. ტაბიძის შემოქმედებას შევეხეთ. ახლა კი უფრო ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ენობრივი და თემატიკური ნატურალიზმის დაძლევა, ასევე სიმბოლისტურ-ზაუმური სამწერლო ხერხების ნოვატორული დაძლევა სწორედ გალაკტიონ ტაბიძემ შეძლო იმის მეშვეობით, რომ მან ქართული ეროვნული კლასიკური მწერლობის მიღწევები განავითარა და წინ წასწია, მეოცე საუკუნის რევოლუციურ ეპოქას შეუფარდა ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტის გარდაქმნა.

სიმბოლისტებმა კი ცალმხრივად გაიგეს ქართულ მწერლობაში შექმნილი ვითარება და ენობრივ ნატურალიზმს ფორმალიზმი დაუპირისპირეს. ეს ცალმხრივი გატაცება ფორმის სფეროში ემყარებოდა კლასიკური და, საერთოდ, ქართული ეროვნული მწერლობის ტრადიციების უარყოფას. მოსწყდნენ რა ისინი ეროვნულ ძირებს, ბრძოლა გამოუცხადეს რა კლასიკურ მწერლობას, მათ დაამკვიდრეს სიმბოლისტურ-ფორმალისტური პრინციპები ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ ეს ახალი ნიჭიერი ძალები სულ მალე მიხვდნენ, რომ მათ მიერ არჩეული გზა სწორი არ იყო. ამ მწერლებმა ერთბაშად უკუაგდეს ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულ მემკვიდრეობასთან და ლექსის ფორმალური და მხატვრული სრულყოფისათვის ძიება კლასიკური მწერლობის ტრადიციების განვითარების გზას დაუკავშირეს.

ეს შემობრუნება კი იმ ეპოქას დაემთხვა, როდესაც სოციალისტურმა რეალიზმმა — რომელმაც კლასიკური რეალიზმი განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა — გამარჯვება მოიპოვა. მათი ნაწარმოებების გარჩევა ჩვენ საშუალებას მოგვცემს დავამტკიცოთ, რომ უკანასკნელ დროს ჩვენი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის გატაცება უსახო ლირიკული თემებით, სულის ვიწრო ნაჭუჭში ფათური და წვრილმანი გრძნობების ჩიჩქნა, ახალი არ არის. ისინი ამ მხრივ იმეორებენ, ბაძავენ სწორედ იმათ, რომელთაც თავის დროზე უკუაგდეს და უარი თქვეს ამ გზაზე ლიტერატურაში და აქ ახალი, ნოვატორული, მხარდასაჭერი, მომავლის ყლორტების მქონე არაფერია.

უახლესი მწერლობის ფუძემდებლად გალ. ტაბიძეს ვთვლით სწორედ იმიტომ, რომ მან კარგად გაიგო მეოცე

საუკუნის პოეტთა შორის ფასი და მნიშვნელობა კლასიკური მწერლობისა და, ერთმა პირველთაგანმა, წინ წამოწია და განავითარა საღი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციები. ვინც კრიტიკულად დააკვირდება გალ. ტაბიძის ადრინდელ შემოქმედებას, ის დაგვეთანხმება, რომ მხოლოდ მან აითვისა 1905 წლის რევოლუციის ის მოწინავე იდეები და ინტონაციები, რომლებიც ევდოშვილის სახელს დაუკავშირდა, და შემდეგ ამ მოტივებს და ინტონაციებს ახალი ჟღერადობა მისცა. მის პოეზიაში მთელი მშვენიერებითა და სიდიადით დამკვიდრდა რევოლუციური რომანტიკა, რომელიც რეალიზმის განვითარების პრინციპზეა აღმოცენებული. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, სავსებით მართალი იყო გალ. ტაბიძე უფრო გვიან, როცა ამტკიცებდა, რომ რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთი უმთავრესი თვისება, მაგრამ ახალ დროსთან და ახალ ეპოქასთან შეფარდებულიო. დიახ, ეს სავსებით მართებული განსაზღვრა და დახასიათება იყო თვით გალ. ტაბიძის პოეტური გზისა. და ვინც გაცნობილია მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის გზას, მან კარგად იცის, თუ რა გააფთრებული ლიტერატურული ბრძოლა იყო რეალისტებსა და მის მოწინააღმდეგებს შორის და როგორ ემხრობოდა მეოცე საუკუნის ყველა მოწინავე მწერალი სწორედ რეალისტურ სკოლას.

ჯერ კიდევ ოციან წლებში მიხ. ჯავახიშვილი, — როდესაც იგი კვლავ მიუბრუნდა ქართულ მწერლობას დიდი ინტერვალის შემდეგ, — ხაზგასმით აცხადებდა: „მხატვრული სიტყვა, მისი ჩასახვის პირველი დღიდან, უმთავრესად რეალისტური იყო, ამ მცნების უღრმესი და უფართოესი მნიშვნელობით. ასეთია იგი დღესაც და ასეთივე დარჩება მომავალშიც. ყოველი დანარჩენი ან მისი ნაკადებია, ან შენაკადები.

რეალიზმი დედა ხეა მხატვრული ლიტერატურისა. იგი მიწაზე დგას და მიწიდანვე ამოდის, ორივენი ერთმანეთს კვებავენ, ზრდიან და ამაგრებენ.

მიწისაგან მოწყვეტას აუცილებლად მოსდევს ერის სულიერი ძალების მოდუნება და შემოქმედებითი დაქვეითება. ვისაც მიწის ალღო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხემალიც მოენგრა და კუნთებიც მოეშა-

ლა, ხოლო უძვლო და უსიცოცხლო სხეული უეჭველად განწირულია. რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალღო ხელოვნებისათვის და ხალხისათვისაც უებარი დულაბია, მათი სულისა და სხეულის გამაფოლადებელი".

ასე გამოდიოდა მიხ. ჯავახიშვილი ოციან წლებში რეალიზმის მედროშედ, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენს მწერლობაში ძლიერად შემოიჭრა დეკადენტობა და პარნასელობა. ჯავახიშვილმა ყოველგვარ დეკადენტიზმს შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა. დამახასიათებელია, რომ ასევე ებრძოდა ამ სენს ქართულ მწერლობაში მეორე დიდი რეალისტი შიო არაგვისპირელი. ეს უკანასკნელი დეკადენტობას ავადმყოფობას უწოდებდა და ქართული მწერლობის ამ სენისაგან განკურნვას მოითხოვდა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ არც მიხ. ჯავახიშვილი და, მით უმეტეს, შიო არაგვისპირელი არ ყოფილან კრიტიკული რეალიზმის ბრმა მიმდევრები. სწორედ შიო არაგვისპირელის სახელი უკავშირდება ქართულ მწერლობაში დიდ ნოვატორულ გზას, გზას, რომელიც ითავსებდა ყოველივე იმას, რაც მოწინავე იყო ამ პერიოდის მსოფლიო ლიტერატურაში.

ასე განვითარდა და წინ წავიდა საბჭოთა მწერლობა ძველი კლასიკური მწერლობის გზით ახალ, რევოლუციურ ვითარებაში. ამავე გარემოებას გულისხმობდა მიხ. ჯავახიშვილი, როცა წერდა: „გართულდა და გადახალისდა ტექნიკა ლექსისა და პროზის, სისტემა სახისა, ლექსიკა, რითმა და ენის სინტაქსისაც კი იერი შეიცვალა. კლასიკოსებისაგან ბევრი რამ დაგვრჩა სასესხებელი, მაგრამ ილია, ვაჟა, აკაკი ცოცხალი რომ ყოფილიყვნენ, იმათაც შეეძლოთ საბჭოთა მწერლისაგან ზოგი რამ ესწავლათ".

რასაკვირველია, ზემოხსენებული სტრიქონების ავტორი გულისხმობდა სოციალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ეყრდნობოდა და ავითარებდა კლასიკური რეალიზმის საფუძვლებს.

დიდი ტკივილების, დიდი ვნებებისა და საზოგადოებრივი გრძნობების პოეტები ყოველთვის თავის ბუნებითა და პოეტური სულით რეალისტები იყვნენ, ორივე ფეხით ამ მიწაზე იდგნენ. საზოგადოდ, ლიტერატურაში სწორედ ეს არის ძი-

რითადი და უმთავრესი. ვინც ამ ტკივილებზე წერს, ის ხალხის სულს ეხმაურება. ამ თვალსაზრისით ლიტერატურის მაგისტრალური გზა მუდამ რეალიზმი იყო. რასაკვირველია, მას ჰქონდა თავისი შენაკადები, და განა ვის შეუძლია უარყოს რომანტიზმის დიდი ლიტერატურული დამსახურება, ან თუნდაც სიმბოლიზმის მიღწევები ლიტერატურაში. მაგრამ ყველაფერი ეს მართლაც რომ შენაკადებია რეალიზმისა. არსებითად რომ გავჩხრიკოთ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ლიტერატურული მიღწევები, აღმოჩნდება, რომ ის, რაც ცხოველმყოფელია და საინტერესო, სწორედ ხალხის დიდ ტკივილებს, ერის ტკივილებსა და მის საზოგადოებრივ ვნებებს უკავშირდება, რაც ყოველივე ამის გარეშეა, მას დიდ ლიტერატურაში არასდროს არ უპოვია ადგილი.

ჩვენ ვცადეთ ამ წიგნში გვეჩვენებინა, რომ სწორედ ის დიდი ტკივილები, დიდი საზოგადოებრივი ვნებები, რაც ჩვენმა ეპოქამ მოიტანა, ჩვენმა დრომ დაბადა, გამოხატეს ჩვენმა მწერლებმა და, პირველ რიგში, იმ მწერლებმა, რომელთაც თავიანთი ბედი და შემოქმედება საბჭოთა საქართველოს გზას, ქართველი ერის გზას დაუკავშირეს. ამ გზაზე დაძლია ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ერთი მხრივ, საბჭოთა მწერლობასთან პრინციპულად შეუთავსებელი დეკადენტობის გზა და, მეორე მხრივ, ასევე უკუაგდო ის მემარცხენული, რაპპული შეცდომები, ენობრივი და თემატიკური ნატურალიზმი, რაც დიდად აბრკოლებდა ქართულ მწერლობას თავისი განვითარების მაგისტრალურ გზაზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში ამ ბოლო წლებში.

ქართული მწერლობა გამოვიდა დიდ შარაგზაზე და ახლა იგი მსოფლიო მწერლობის დიდი შეჯიბრების ფერხულშია ჩაბმული. ვინც დააკვირდება უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობას, ის ადვილად აღმოაჩენს, რომ ქართული მწერლობა მთელი შესაძლებლობით გავიდა ჩვენი ქვეყნის მიღმა თავისი მხატვრული მიღწევებითა და მონაპოვრით. ამავე დროს, თვით ქართულმა მწერლობამ ბევრი რამ ახალი შეითვისა და თავისი თემატიკური და მხატვრული შესაძლებლობა დიდი მასშტაბებითა და იდეებით გაამდიდრა. ასე, მაგა-

ლითად, ჩვენი მოწინავე ქართველი პოეტების შემოქმედებაში უცხო ქვეყნებისა და უცხო ხალხების ცხოვრების ამსახველი მოტივები განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვენ.

ჩვენს წიგნში ვცადეთ მოგვეცა ამ ახალი მოვლენებისა და ფაქტების ახსნა-განმარტება გამოჩენილი მწერლების ცალკეული მხატვრული ქმნილებების განხილვის დროს.

ქართველი კაცი სამართლიანად ამაყობს თავისი დიდებული ისტორიით, ძველი კულტურით, კლასიკური მწერლობით. მაგრამ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეს სრული უფლება აქვს, ასევე ამაყობდეს ახალი საქართველოს დიდი მიღწევებითა და დიდი მონაპოვრით. სწორედ ახალმა საქართველომ, საბჭოთა საქართველომ შეასხა დიდი ფრთები ქართულ მწერლობას, ქართველი ხალხის სულიერ კულტურას და ჩვენ ჭეშმარიტად გვახარებს ამ ახალი საქართველოს დიდი მიღწევები. ჩვენ ვცადეთ ამ თვალსაზრისით გავცნობოდით და დაგვეხასიათებინა ჩვენი მწერლობის ყველა მიღწევა, მაგრამ ქართველ კაცს ეს ხელს არ უნდა უშლიდეს, ამ მიღწევების იქით დაინახოს ნაკლი, რომელიც ჯერ კიდევ უთუოდ აქვს ქართულ საბჭოთა მწერლობას. დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით, ქართველების უმეცარი სიყვარულის გამო. ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირის უკანაო“. ქართველმა კაცმა ილიას ეს სიტყვები გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს.

ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, ერთი მხრით, ის დიდი მონაპოვარი, ის ნოვატორული მიღწევები, რომლებიც აქვს ჩვენს

მწერლობას, მაგრამ, მეორე მხრით, არ დაგვიმალავს და არ მიგვიჩქმალავს ის ნაკლი და ხარვეზები, რომლებიც ჩვენს მწერლობას ჯერ კიდევ გააჩნია. ჩვენი საბჭოთა მკითხველი სამართლიანად მოითხოვს უფრო მეტს, უფრო უკეთესს, ვიდრე დღემდე ამას ახერხებს ჩვენი საბჭოთა მწერლობა.

საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი კულტურა დიდი წარსულის მქონეა, მაგრამ, ვინც გონების თვალით გადაფურცლავს ჩვენი ხალხის მიერ ბრძოლით განვლილ ტრაგიკულ ისტორიას, ის ადვილად დაინახავს, რომ ჩვენი ქვეყანა სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა გაჩანაგებისა და კულტურული განადგურებისაგან. ჩვენი თაობის კაცს კარგად ახსოვს რევოლუციის წინა დღეებში შექმნილი ვითარება. მაშინ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების საჭე უცხო კაპიტალის ხელში იყო, პიათურის მარგანეცს ამერიკის კაპიტალი განაგებდა, ალავერდის სპილენძის საბადოებს საფრანგეთის კაპიტალისტები ფლობდნენ, ჩვენი თბილისი უცხო კაპიტალის ხელში იყო თავისი ფაბრიკებითა და ქარხნებით, თავისი ულამაზესი შენობებითა და საცხოვრებელი ბინებით; საქართველოს სოფელი ასევე უცხოელი კაპიტალისტების სათარეშო იყო. რეალური საფრთხის წინაშე იდგა დიდი ისტორიის მქონე ჩვენი ქვეყანა. ამას კარგად ხედავდა და გრძნობდა ქართველი ინტელიგენცია. სწორედ 1916 წელს გამოჩენილი ქართველი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე წერდა: „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, ქართული ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერი ენით... ყიდის ყველა, თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული...

იყიდება ერთიანად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ოსეთიდან სპარსეთამდე, იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი, იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურთ და როგორც უნდათ: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით“.

ასეთი იყო საქართველოს გუშინდელი დღე, რომელიც ასეთი გულისტკივილით გამოხატა ჩვენმა მამულიშვილმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ. ამ მდგომარეობიდან საქართველო ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა. და ის, რაც გაკეთდა ახალ საქართველოში, მჭიდროდ დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციის გზასთან. დღეს, ატომის ეპოქაში, საქართველო რომ ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად იქცა, ამაში ოქტომბრის რევოლუციის კვალია აღბეჭდილი, საბჭოთა ხელისუფლებამ განაპირობა ისიც, რომ დღეს მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში ნახავთ ქართულ ფოლადს, ქართულ ჩაის, ქართულ ღვინოს თუ მანქანებისა და ჩარხების ნიმუშებს — ქართული მარკით, ქართული იარლიყით. და დღეს რომ მსოფლიოს ყველა დიდ კულტურულ ცენტრში ტაშს უკრავენ ჩვენი ხელოვნების უკვდავ ნიმუშებს, ლონდონში, ბერლინში, პარიზში თუ სხვაგან რომ იბეჭდება და გამოდის ქართული წიგნი, — ყოველივე ამაში საბჭოთა ხელისუფლების, ჩვენი კომუნისტური პარტიის სიბრძნეა გამოხატული. საბჭოთა საქართველო — ძმობისა და მეგობრობის ურყევი კავშირით შეკრული — მრავალერიანი საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში უმაგალითოდ აღორძინდა და განვითარდა. არ არის ძალა, რომელიც ქართველ ერს ამ გზიდან გადააცდენს.

ცნობილია, რომ ბევრმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველად შექმნა დამწერლობა. ბევრი ეროვნული ენა წარსულში უუფლებო და დევნილი იყო. ასეთ მდგომარეობაში იყო, კერძოდ, ქართული ენაც. საბჭოთა ხელისუფლების დროს ერის ეს ჟანგმოდებული იარაღი გაიწმინდა, გაპრიალდა. წელში გაიმართნენ და აღორძინდნენ ჩვენს ეპოქაში უძველესი ერების უძველესი ენები. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი ოქტომბრის რევოლუციისა — სწორედ ეროვნული კულტურისა და ენების აღორძინებაა; საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარი უზრუნველჰყო ეროვნული ენების აყვავება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობაზე დიდი სიამაყით განაცხადა გამოჩენილმა რუსმა საბჭოთა-

პოეტმა ალექსანდრე ტვარდოვსკიმ: მე მიხარია, უზომოდ მიხარია, როცა ვხედავ, თუ როგორ გაიფურჩქნა და აყვავდა ჩემი რუსული ენაო. ასევე შეუძლია ყოველ საბჭოთა პოეტს გაიმეოროს ეს სიტყვები თავისი ეროვნული ენის შესახებ. თუ არა მწერალს, ვისა აქვს უფლება, პირველ რიგში, იამაყოს და იყოს გახარებული თავისი ეროვნული ენის განვითარებითა და აყვავებით. ქართულმა ენამ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიაღწია განსაკუთრებულ აღორძინება-განვითარებას. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ისე როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობა არის უპირველესი დამცველი, განმავითარებელი და ამაღორძინებელი ჩინებული ქართული ენისა. სწორედ ამიტომ ჩვენს მონოგრაფიულ გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ქართული ენის საკითხს. ენა არის მწერლობის უმთავრესი და უდიდესი ელემენტი. ამიტომაც ქართული მწერლობა ვალდებულია, კვლავ დაუღალავად იბრძოდეს ქართული ენის სიწმინდისათვის, მისი შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის. ქართულ მწერლობას ამ დიდ ეროვნულ საქმეში სავსებით მხარს უჭერს კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკა.

კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობის მიერ მიღებულ ჩვენი ეპოქის დიდ დოკუმენტში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია: პარტია ეროვნულ ურთიერთობით დარგში აყენებს ამოცანას, „შემდეგშიაც უზრუნველჰყოს სსრ კავშირის ხალხთა ერების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თითოეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება, ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმურ მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ გამდიდრების საფუძველზე“.

აქ სავსებით ნათლად არის ჩამოყალიბებული ჩვენი პარტიის ეროვნული პრინციპი ნაციონალური ენების საკითხში.

და ჩვენ სავსებით გვჯერა, რომ რუსთველის, პუშკინის, შევჩენკოსა და სხვათა ენები ისევე შევა კომუნიზმში, როგორც ჩვენი თაობა თავისი დაუღალავი შემოქმედებითი შრომით. ასეთ ვითარებაში ქართული მწერლობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი მრავალერიანი საბჭოთა მწერლობა, ვალდებულია გვერდში ედგეს ჩვენს ადამიანებს და ზრდიდეს მათ საბჭოთა სამშობლოს სიყვარულითა და მისთვის თავდადების დიადი გრძნობებით.

ადამიანების აღზრდის საქმეში მწერლობას უდიდესი როლი აქვს მინიჭებული. ჩვენი ადამიანების იდეურ და ესთეტიკურ აღზრდას, მხატვრული გემოვნების გამომუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. და ამ საქმეში მწერლობას პირველი ადგილი ეკუთვნის. კრიტიკული წერილები და მონოგრაფიები არა მარტო უნდა განმარტავდნენ, ხსნიდნენ მხატვრული ნაწარმოების აზრსა და იდეას, ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრულ ბუნებას, ესთეტიკურ ფუნქციას, არამედ თავისთავადაც უნდა წარმოადგენდნენ ესთეტიკურ ფენომენს, აღზრდის მაორგანიზებელ მხატვრულ საშუალებას. ამ მხრივ განუზომლად დიდია ლიტერატურის მცოდნეთა და კრიტიკოსთა-როლი ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი ხალხის ესთეტიკური და მხატვრული აღზრდის საქმეში.

მთელი ამ 40 წლის მანძილზე ქართული მწერლობა არ იშურებდა ძალასა და ღონეს, აესახა ის დიდი ისტორიული გზა, რომელიც ჩვენმა ხალხმა გაიარა, არ იშურებდა ენერგიას, აღეზარდა ჩვენი ადამიანები საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა სამშობლოს სიყვარულით, ეჩვენებინა მოწინავე საბჭოთა ადამიანი თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით, შრომის რომანტიკით, ფიქრებითა და განცდით. და ცოტა როდი შეიქმნა ისეთი ნაწარმოებები, სადაც მემატიანეთა სიზუსტით, დიდი სუნთქვითა და მაღალი მხატვრული სახეებით გამოსახულია ჩვენი დრო, ჩვენი ეპოქა. მომავალ თაობებს თვალნათლივ შეუძლიათ ამოიკითხონ ამ მხატვრულ დოკუმენტებში, თუ რა ინტერესები ამოძრავებდათ, რა ფიქრები და განცდები გააჩნდათ საბჭოთა ადამიანებს მთელი 40 წლის სახელოვანი ცხოვრების გზაზე. საუკეთესო რომანები, მოთხრობები, ლექ-

სები, პიესები სწორედ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ცხოვრების ძალამ შექმნა. შემდეგ ეს ნაწარმოებები ჩვენი ადამიანების აღზრდის მძლავრ ფაქტორებად იქცნენ. ასე გახდა საბჭოთა მწერლობა ახალი ადამიანის სულიერი ფორმირების აქტიური მონაწილე. ამ მხრივ უაღრესად დიდია ქართული საბჭოთა მწერლობის როლი და მნიშვნელობა.

ქართული საბჭოთა მწერლობა იმ დიდ ტრადიციასა და მონაპოვარს, რაც ქართულ კლასიკურ ლიტერატურას გააჩნია, თანმიმდევრულად ავითარებს და აგრძელებს. ჩვენ დავრწმუნდით ჩვენი წიგნის მეორე ტომში, თუ რა მრავალფეროვნად და საინტერესოდ გამოხატა უფროსი თაობის მწერლობამ ჩვენი ქვეყნის განვლილი გზა. ჩვენ ვცადეთ, ამ მესამე წიგნშიც დაგვენახვებინა მკითხველისათვის, თუ რა მრავალფეროვნებითა და თანმიმდევრობით აისახა საშუალო თაობის მწერალთა ნაწარმოებებში ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა. ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა ერთ იდეურ პოზიციაზე დგას, ერთი მხატვრული მეთოდის დამცველი და გამომხატველია. მაგრამ იგი როდია უბრალო მექანიკური ჯამი ცალკეული მწერლებისა. ამ მთლიან, ერთიან საბჭოთა მწერლობას ქმნის ის განსხვავებული სტილი და მანერა, რაც თითოეულ მწერალს დამოუკიდებლად ახასიათებს. ეს კი სპეციალურ შესწავლასა და განხილვას მოითხოვს. ჩვენ ამ გარემოებას განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ ცალკეული მწერლების მონოგრაფიული შესწავლის დროს.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, ადასტურებს, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა თანამედროვე ეპოქის შაჯისცემასა და სუნთქვას მთელი სისრულით გამოხატავს. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგიც: თუ ჩვენი მწერლობის თანამედროვე მიღწევებს შევაფასებთ იმ მაღალი მოთხოვნილებებით, რასაც საბჭოთა მკითხველი უყენებს მწერლობას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული მწერლობა ჯერ კიდევ დიდ ვალშია ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალი რევოლუციური მუშათა კლასის, საკოლმეურნეო მინდვრების თავდადებული ადამიანებისა და ჩვენი ინტელიგენციის წინაშე.

სერგო კლდიაშვილი

სერგო კლდიაშვილი გამოჩენილი საბჭოთა მწერალია. მას საინტერესო და თავისებური შემოქმედებითი გზა აქვს გავლილი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: სერგო კლდიაშვილი, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთი ყველაზე ნათელი რეალისტი მწერალი, იმ მწერალთა თაობას ეკუთვნის, რომელთა მოღვაწეობა საქართველოში ყველაზე ტიპიურ ანტირეალისტურ მიმდინარეობას დაუკავშირდა. დიდ ლიტერატურულ ტრადიციებს ზიარებული, დიდი ქართველი რეალისტის — დავით კლდიაშვილის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი — სერგო კლდიაშვილი რეალიზმის გზას გადაუდგა და სიმბოლიზმს მიემხრო. ვინც სერგო კლდიაშვილის ადრინდელ მინიატურებს გაეცნობა, სავსებით დარწმუნდება, თუ რა თანმიმდევრობით იცავდა იგი მოდერნიზმის გზას თავის შემოქმედებაში. მწერლის ეს ადრინდელი მინიატურები სიმბოლისტურ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა („ოქროს ვერძი", „მეოცნებე ნიამორები", „შვილდოსანი").

აი, ერთი მათგანის მთელი შინაარსი. (მინიატურას ეწოდება „იყავი მარტო").

„იყავით მარტო, თუ გსურთ ამაღლდეთ და გარეშოს მწიკვლმა და ტალახმა არ გააბინძუროს თქვენი სიმშვენიერე, ვისაც გსურთ ამაღლდეთ და მზეს გაუტოლდეთ, იყავით მარტო, ვისაც გსურთ სიდიადე და გრძნეულობა, ჩაღრმავდით თქვენს სულში და იყავით მარტო. სიდიადე თქვენი მოიპოვეთ მიწისაგან დაშორებით. სიდიადეს შენ შექმნი სულის სიღრმეში, მოშორებულს დღის ავადმყოფ სინათლეს, ვისაც გსურთ შვება პოვოთ — იყავით მარტო".

ნარტოობის ეს მისტიკური ფილოსოფია არ იყო ორიგინალური, და ს. კლდიაშვილი რომ ამ შეხედულებებით შემოფარგლულიყო, იგი უმნიშვნელო მწერლად დარჩებოდა.

სერგო კლდიაშვილმა სულ მალე აიღო ხელი ამ სიმბოლისტურ ფილოსოფიაზე და გულწრფელად დაადგა კლასიკური მწერლობის რეალისტურ გზას. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ადრინდელ მინიატურებში იგრძნობოდა პოეტური სიტყვის ოსტატი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფრაზას, დიალოგს, რეპლიკას. და მაინც სერგო კლდიაშვილი საბჭოთა ეპოქაში გახდა ცნობილი და პირველხარისხოვანი ოსტატი ქართული პოეტური სიტყვისა; დიდი გახმაურება იმ ნაწარმოებებს ხვდა წილად, სადაც ასახულია თანამედროვე ცხოვრება.

ახალმა საქართველომ, რევოლუციურმა ცხოვრებამ შემოაბრუნა მწერალი რეალიზმისაკენ და მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

სერგო დავითის-ძე კლდიაშვილი დაიბადა 1895 წელს სოფ. სიმონეთში, გამოჩენილი ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის ოჯახში. მისი ბავშვობის წლების ატმოსფერო იმერეთი და დავით კლდიაშვილის სალიტერატურო წრე იყო.

ს. კლდიაშვილმა დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1917 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1923—1929 წლებში ს. კლდიაშვილი მუშაობდა გაზეთ „მუშის" რედაქციის მდივნად. შემდეგ იგი მხოლოდ ლიტერატურული შრომით ცხოვრობს.

ს. კლდიაშვილის პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1911 წელს გაზ. „სინათლეში". შემდეგ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მცირე ფორმის მინიატურები და მოთხრობები „სახალხო გაზეთში", „თემში", „სამშობლოში", „ქართულ სიტყვაში", „მნათობში", „ქართულ მწერლობაში" და „კომუნისტში".

ს. კლდიაშვილი ცნობილია, როგორც დრამატურგიც. მისი პირველი პიესები დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში: „შემოდგომის აზნაურები" — 1936 წელს, „გმირთა თაობა" —

1938 წ., „გრაფის ქვრივი“ — 1939 წ., „უკანასკნელი რაინდი“ — 1940 წ., „ირმის ხევი“—1944 წ., „მყუდრო სავანე“— 1960 წ.

ს. კლდიაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრია ამ კავშირის შექმნის პირველი წლიდანვე.

ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

ს. კლდიაშვილს დღემდე გამოცემული აქვს მოთხრობებისა და პიესების ათი კრებული. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებიც, რომლებიც სისტემატურად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ს. კლდიაშვილმა თარგმნა გორკის, ვოინიჩის და სხვათა პროზაული ნაწარმოებები.

პირველი დიდი მხატვრული ტილო, რეალისტის ხელით დახატული, მოთხრობა „ფერფლი“ იყო.

მოთხრობაში აღწერილია ქართველი ხალხის ცხოვრება პირველი მსოფლიო ომის წლებში. იმერეთის ერთი სოფლის, ერთი გლეხის ოჯახის მაგალითზე, ნაჩვენებია გაჭირვება და სიდუხჭირე ხალხისა, რომელსაც მძიმე ტვირთად დაემატა ომით გამოწვეული უბედურებანი. ომმა ყველა მშრომელი, გამრჯე და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდები ფრონტზე გარეკა. ფრონტიდან ყოველდღე მოდიოდა ცნობა ახალგაზრდა კაცის დაღუპვისა, ოჯახის გაუბედურებისა, სოფელში ბრუნდებოდნენ ფეხმოჭრილი ან სახედასახიჩრებული ინვალიდები. მწერალი ამ დეტალებს საკმაოდ მუქ ფერებში აღწერს და ამ ფონზე ნათელი ხდება, რომ იმპერიალისტური ომის სასაკლაოზე არ სურს ხალხს ნებით წავიდეს, მაგრამ მთავრობისაგან დაშინებული გლეხკაცობა ვერ ახერხებს თავი დააღწიოს სამხედრო ბეგარას. ამ ვითარებაში ზოგი ძუას იყრის ფეხებში, ზოგი ზარფითა და ციებ-ცხელებით ხელოვნურად ავადდება, ზოგი კიდევ ტყეში გარბის ყაჩაღად. მოთხრობაში ეს ეპიზოდები მეტად მძაფრად არის გადმოცემული.

ახალგაზრდა მეგობრები — გია, ზაქრო და იორამი — სოფლის ექიმბაშს მონახავენ და მას დახმარებას სთხოვენ. ეს „დახმარება“ იმით დამთავრდა, რომ მუხლებში ძუაგაყრილი

ზაქრო მეოთხე დღეს გარდაიცვალა, ხოლო ამ ამბის გამხელის შიშით გია ყაჩაღად გავარდა. ამ ეპიზოდს მოსდევს ომიდან დაბრუნებული ინვალიდის, გიორგის ჯვარით დაჯილდოებული მიხაკოს თავგადასავალი, რასაც ერთგვარი ტრაგი-კომიკური ხასიათი შეაქვს ნაწარმოებში. ცხოვრების ეს ცალკეული დეტალები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ, თუ რა მძიმე და გამოუვალი მდგომარეობა შექმნა ომმა ისედაც გაძვალტყავებული გლეხკაცის ოჯახში.

მოთხრობის უმთავრესი პათოსი ამ მინართულებით გამოხატულია ერთი ოჯახის ისტორიაში. ამბავი იწყება ყოფითი სურათით: გლეხი დათა შვილიშვილს ეთამაშება. შვილიშვილი კაკო ეხლა ამ ოჯახის ერთადერთი იმედია. დათას უფროსი შვილი არსენა დიდი ხანია ომში წაუყვანიათ, უმცროსი გამზადებულია წასაყვანად. გლეხი დათა შიშით შესცქერის ხვალინდელ დღეს, შვილიშვილსა და რძალს განსაკუთრებით ეფერება. ერთადერთი იმედი, რომ კერა არ გაცივდეს და ოჯახი არ დაემხოს, ახლა დამყარებულია ამ შვილიშვილზე — კაკოზე.

დათა მშრომელი გლეხია. იგი დღედაღამ შრომობს და წელებზე ფეხს იდგამს. ოჯახს ჯერ კიდევ უმცროსი შვილი შერჩა და ეს უადგილებს ჰძიმე ტვირთს მშრომელ გლეხს. წარსული შემოდგომა მშიერი იყო. გაზაფხულამდე გამოზოგვით ეყოთ საკუთარი და ზიარი ყანიდან შემოტანილი სარჩო. უჭირდა დათას ოჯახის შენახვა. კიდევ კარგი, რომ მხარში ედგა ისეთივე დაუღალავი იორამი, როგორიც თვითონ იყო. მამა და შვილი ჯიუტი მუშები იყვნენ, მხოლოდ ურემში გაბმა არ უცდიათ; რომ დასჭირვებოდათ, არც ამას დაიზარებდნენ. სწორედ ამ ვითარებაში გაიწვიეს ოჯახიდან ეს ახალგაზრდა გლეხკაცი — იორამი. მწერალს დასამახსოვრებლად აქვს აღწერილი ამ მშვიდი და პატიოსანი გლეხის იორამის გაწვევა ომში.

გულისდამაღონებელი, სევდიანი სტრიქონებით არის გადმოცემული იორამისა და მისი მეგობრების გამგზავრება ფრონტზე. მწერალს მოთხრობაში შეაქვს იმდროინდელი „სალდათის“ სიმღერები. ცხვარივით სასაფლაოზე გარეკილი ჯარისკაცები სევდიანად მიიმღერიან:

„სალდათი ვარ საწყალი,
არც მიწა მაქვს, არც წყალი...

ეაიმე ჩემო ვენახო,
შვიდ წელიწადს,
შვიდ წელიწადს ვერ განახო...

სალდათი ვარ ნაფიცი,
სად მიედივარ, არ ვიცი.“

სერგო კლდიაშვილი ოსტატურად იყენებს ამგვარ დეტალებს და ქმნის სევდიან სურათს იმპერიალისტური ომის წლებისას. დედ-მამა შვილს — იორამს მოთქმითა და ვაებით მიაცილებს. ჩუმი და გამრჯე იორამი უხმოდ მიდის. გადის დრო და არცერთი შვილი აღარ ჩანს. დათას სევდა და უიმედობა იპყრობს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს, შრომაში ასწორებს უღიმღამო დღეებს.

ასეთი მძიმეა ცხოვრება. გლეხმა იცის, რომ არც წინათ ჰქონია მას ცხოვრების უკეთესი პირობები. „არც წარსული ყოფილა ტკბილი, მომავალი, ალბათ, უარესი იქნება. რა უსიხარულოდ თავდება სიცოცხლე“, — გულისტკივილით აღმოხდება დათიას. და მაინც გლეხი არ იშურებს არაფერს, რომ შეეჭიდოს ცხოვრებას, ადვილად არ დაემორჩილოს ბედს და იბრძოლოს სულის ამოხდომამდე. მწერალი შესანიშნავად აჩვენებს იმ რთულ ვითარებას, რომელშიაც მოექცა ეს გაუტეხელი გლეხი.

სოფელში ცხოვრობენ არა მარტო დაბეჩავებული, ღარიბ-ღატაკი გლეხები, არამედ თითო-ოროლა შეძლებულიც ურევია, რომლებიც სხვის უბედურებაზე იმკვიდრებენ დოვლათსა და სიმდიდრეს. ასეთები არიან, კერძოდ, დათიას მეზობელი დიმიტრი ლანჩა და მისი შვილი პარმენი. დიმიტრი ოდესღაც მცველად ახლდა საქართველოში ჩამოსულ რუსეთის მეფეს. იმ ხნიდან მას მილიციის პრაპორჩიკის სამხრეები უბოძეს. ერთხანს, რუსეთ-ოსმალეთის ომში იყო. ომიდან დაბრუნებულს რაღაც ჯვარი ჩამოჰყვა და ამის შემდეგ მეომრის სახელიც გაუვარდა. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ამის გამო პატივი არ მოჰკლებია, ცხოვრობდა უზრუნველად და უდრტვინველად. მისი შვილი პარმენი უფ-

რო გაქნილი აღმოჩნდა. ხან სად იყო და ხან სად, ათასგვარ საქმეს ჰკიდებდა ხელს, ერთი საზრუნავი ჰქონდა — სიმდიდრე შეეძინა. თაღლითობის გზით ამასაც მიაღწია, შეძლებული კაცი გახდა, ომის დროსაც ხელი მოითბო, ოსმალეთის ფრონტზე თავისი მეზობელი გლეხები სამუშაოდ გაიტყუა, დიდძალი ფული თვითონ ჩაიჯიბა. პარმენ ლანჩა, რომელმაც სოფელი ააწიოკა, არავის მოსწონდა. „ჭორფლიანი სახე და კურდღლის მოწითალო თვალები“ ჰქონდა, ყველას ეზარებოდა. აი, ამ ლანჩამ მიზანში მეზობელი გლეხი დათია ამოიღო. პარმენმა განიზრახა, დათიას ეზო ხელთ ჩაეგდო და თავისი კარ-მიდამოსათვის შიემატებინა. ჯერ იყო და პარმენ ლანჩამ მამამისს შემოუთვალა: ჩვენს მეზობელს დათიას გადაეცი, რომ მისი შვილი ოსმალეთის ფრონტზე დაიღუპა, მე, სანამ შემეძლო, ვეხმარებოდი, მაგრამ ბედისაგან განწირული კაცის ხსნა, აბა რითი შემეძლოო. ახლა ჩუმად შეაპარე მამამისს, რა ოხრად უნდა ეს სახლი და ეზო-კარი, ჩვენ მოგვყიდოს, ფულს საკმაოდ მივცემ. მაგრამ დიმიტრი ლანჩას იმდენი ხათრი მაინც აღმოაჩნდა მეზობლისა, რომ შვილის შემონათვალი მას ვერ გაუმხილა, ხოლო, როცა პარმენ ლანჩა ოსმალეთიდან ჯიბეგასქელებული დაბრუნდა, თავად დაიბარა მეზობელი დათა და წვრილად უამბო ყოველივე. ოჯახისა და კერიის ერთგული დათა მკაცრად დაუხვდა თავხედ მეზობელს.

ომს მოჰყვა თებერვლის რევოლუციის დღეები. დათას ეგონა ახლა მაინც გადარჩებოდა უბედურებას, მაგრამ ცხოვრება ისევ ძველი გზით წავიდა. ლანჩამ მენშევიკურ მთავრობასთან საერთო ენა მოძებნა. სოფლად ჩამოსულ მენშევიკ ორატორს გვერდში ამოუდგა პარმენ ლანჩა. „ორატორის სიტყვის პათეტიკურ მომენტებში ლანჩა ხალხს რაღაც ნიშანს აძლევდა, ვაშას უძახოდა და ტაშს უკრავდა. ალბათ ხალხის აღფრთოვანებას ცდილობდა, მაგრამ ხშირად სახტად რჩებოდა, ათიოდე ვინმე თუ აჰყვებოდა. ეს მომენტები,—უმატებს მწერალი,—რამდენადმე მოგავდა პროვინციაში სცენისმოყვარეთა მიერ დიდი პრეტენზიით დადგმულ საგმირო პიესას, რომელშიაც მასიურ სცენებს ორი კაცი ასრულებს“. ამ ავტორისეულ რეპლიკაში სავსებით ნიღაბახდილია ხალხის

დამოკიდებულება მენშევიკებისადმი. მაგრამ აქ მთავარი სხვა არის: მწერალი ხედავს, რომ ამ მთავრობასთან ყველა ვაჭარმა, თავადმა, აზნაურმა ადვილად მონახეს ენა, გლეხკაცობამ კი ვერა. და აი, გლეხი დათია და ვაჭარი ლანჩა კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ:

„რამდენიმე დღის წინათ სახლის კურთხევაზე ჩამოსული ლანჩა აყრასა და გაუბედურებას უქადიდა. ემუქრებოდა იმათი კანონით, რომელთა აღსასრულს ახლა შეჰხაროდა და, რადგან პარმენ ლანჩას გახარებულს ხედავდა, გონებამაც ისე მიიღო და გადაალაგა მომხდარი ამბავის მნიშვნელობა, როგორც ახლა გრძნობა უკარნახებდა... ის, რაც ლანჩას უხარია. შეუძლებელია დათიას სიხარულის საგანიც იყოს. დათია აქედან ზომავდა ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა. დათიას და ლანჩას სიხარული ერთმანეთს არსად არასოდეს არ შეხვდება... პარმენ ლანჩას და დათიას სიხარულს ერთი ბუდე არასოდეს ექნება. ერთმანეთის მტრები ერთად როგორ მოთავსდებიან“.

ლანჩა „მენშევიკურ სამოთხეში“ კვლავ ჯიბეებს ისქელებს, თავს არხეინად გრძნობს, ხოლო დათია გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა. ამას ისიც დაემატა, რომ შიმშილობისა და სიღატაკის წლებში სოფლად სახადი გავრცელდა, რკინასავით მაგარ გლეხს დათიას ეძგერა და სამ დღეში წააქცია. ვინღაა დათიას დამტირებელი! რძალი და შვილიშვილი გახიზნული ჰყავს, ხოლო მომაკვდავი ცოლი სევდისა და ვარამისაგან დაუძლურებულია. ამ ამბავს არაფერი ეშველებოდა, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო ლაზარე, „ყველასაგან საძულველი ლაზარე, რომელსაც სიკვდილი თან დაჰქონდა“. ამ კაცმა ურემზე დაასვენა მიცვალებული და სასაფლაოსკენ გაუყენა. მთავრდება მენშევიკების ბატონობის უღიმღამო დღეებში ომისაგან გაუბედურებული დათიას ოჯახის ტრაგედია. საინტერესო ის არის, რომ მწერალი აქ არ სვამს წერტილს.

თებერვლის რევოლუცია მოხდა. მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. ხალხს ეგონა მშვიდობა დაუბრუნდებოდა ქოხებს, მაგრამ კერენსკის დროებითმა მთავრობამ კვლავ გააგრძელა ომი. კვლავ გარეკეს ფრონტებზე გლეხკაცობა. ხალხის უკმა-

ყოფილებას საზღვარი არა აქვს. საქართველოში ბოლშევიკების პროკლამაციები ვრცელდება. ამ პროკლამაციებს ავრცელებს ომს გადარჩენილი გიგა, რომელიც ახლა ბოლშევიკების მხარეზეა. გიგას მენშევიკური მთავრობის კომისარი იბარებს და მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„ამხანაგო გიგა, იყო თუ არა შემთხვევა, რომ ფრონტზე დასაბრუნებელ ჯარისკაცებს აგულიანებდი არ წასულიყვნენ და მთავრობის ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ?

— არა.

— მე კი ამის ფაქტები მაქვს. იმასაც უარყოფ, რომ მათ ომის გაგრძელების წინააღმდეგ ელაპარაკე?

— ეგ კი იყო.

— მერე და, როგორ გგონია, ნიშნავს ეს თუ არა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებას?

— თუკი რესპუბლიკა ომის გათავებას არ ფიქრობს. მე უფლება მაქვს, ხალხის მხარეზე ვიყო და ვთქვა, რომ ომი უნდა გათავდეს“.

როცა მას კომისარი ბოლშევიკურ პროკლამაციებს წარუდგენს, გიგა აღიარებს, რომ ბოლშევიკები მართალი არიან და ის მათს მხარეზეა. ამ დეტალებით მწერალი ხატავს ომის შემდგომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ სურათს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გლეხების მზადყოფნას.

საზოგადოდ, მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი რევოლუციონურ მოტივებს, რომლებიც 1905 წლის რევოლუციასთანაა დაკავშირებული. დამახასიათებელია ესტატე ყანჩაველის სახე, რომელმაც რევოლუციური ნათლობა ამ მღელვარე დღეებში მიიღო.

ესტატე ყანჩაველი ჭიათურის მაღაროში მუშაობდა. აქ მას ორი თითი დაუზიანდა და სოფელს დაუბრუნდა. სოფელში კვლავ რევოლუციურ მუშაობას ეწევა.

„ერთხელ ესტატემ მოხუცებს მოკლედ უამბო შატრიანის „გლეხკაცის ისტორია“, რომელიც მაღაროში ყოფნის დროს ჰქონდა წაკითხული, ახალგაზრდებს კი უფრო ვრცლად გააცნო ფრანგი გლეხების თავგადასავალი, მათი ტანჯვის მიზეზი და ის ბრძოლა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ.

შორეულ და უცნობ გლეხებს, რომელთაც ქვეყანა მხოლოდ ზღაპრად თუ გაეგონა, ისე ცხადად ხედავდნენ, თითქო ისინი ძველი ნაცნობები ანუ მეზობლები ყოფილიყვნენ. ბოლოს ეს წიგნი იშოვეს კიდეც და მრავალი საღამო მის კითხვაში გაატარეს. არავის ეუცხოვა ის გარემოება. რომ ყველაფერი ის, რაც იქ ეწერა, შორეულ ქვეყანაში მოხდა. ფრანგი გლეხები ისევე ასლო იყვნენ მათთვის, როგორც ესტატე, დათია და მრავალი სხვა მეზობელი.

ესტატე გრძნობდა, რომ ყოველი მისი სიტყვა ნოყიერ ნიადაგზე ხვდებოდა. ახალგაზრდებში განსაკუთრებით ენდობოდა გიგას, ზაქროს და კიდევ რამდენიმე ბიჭს, რომელთაც დაუმეგობრდა კიდეც. ესტატე მათ უამბობდა, თუ როგორ და რატომ მუშაობდა ფარულ ორგანიზაციაში და რას ფიქრობდნენ იქ, მაღაროებში, ძველი და ბრძოლაში ნაცადი მუშები".

ამ დეტალით გვიჩვენებს მწერალი სოფლად რევოლუციური ფარული ორგანიზაციის მუშაობას. ეს საქმიანობა არსებითად 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გაგრძელება და განვითარება იყო. შემდეგ მწერალს ეს საბრძოლო განწყობილება ფრონტზე გადააქვს. თვითონ ესტატეც ფრონტზე გაიწვიეს და მწერალიც გვამცნობს ჯარის ნაწილებში შეჭრილ რევოლუციურ სულისკვეთებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ფრონტის უშუალო ეპიზოდები.

მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ზურგის ცხოვრება, რომელიც ომის წლების სურათს ხატავს გლეხი დათიას თავგადასავლის მიხედვით, ხოლო მეორეა — უშუალოდ ფრონტისა და ჰოსპიტლის ცხოვრების სურათები, რომლებიც მწერალს გადმოცემული აქვს უცნობი ჯარისკაცის დღიურების სახით. ამ დღიურებში კვლავ ვხვდებით და ვეცნობით რევოლუციონერ ესტატეს, ჯარისკაცს იორამს და მის მეგობრებს, მათს პირქუშ ცხოვრებას. აქ დაწვრილებით არის გადმოცემული ფარაჯაგადაცმული გლეხების მძიმე სულიერი განწყობილება.

„მალაქია იგონებს სოფელს, ოჯახს, სადაც მისი ფიქრი მუდამ ტრიალებს, იქ დარჩა ოთხი ბავშვი და უფროსი და,

რომელიც ბავშვებს დედის მაგივრობას უწევს. იორამი მის გვერდით მიწაზე მორთხმული ზის და თავდახრილია, არაფერს ამბობს, მაგრამ, ჩანს, მასაც აწვალებს მოგონება იმისა, რაც შორს დარჩა, ხანდახან აწევს თავს და გარშემო მოიხედავს, შემდეგ დახუჭავს თვალს და ერთხანს ასე ყუჩს, შეიძლება სასწაულისა სჯერა. აი, გამოიხედავს ახლა და უცებ დაინახავს, რომ თავის ეზოში ზის".

ასეთი მოგონებებით ცხოვრობენ ფრონტზე გარეკილი გლეხები. ომით გამოწვეული სევდა და მძიმე ცხოვრება მწერალს მუქი ფერებით აქვს დახატული.

ამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ კიდევ ერთი ეპიზოდი:

„შეუმჩნევლად დილა ჩამოდგა. ნაღვლიანი, ნისლით შებურული, სანგრების ნაპირზე მოკლული ჯარისკაცი გდია. თავი სანგრებში აქვს გადმოგდებული. მარჯვენა ხელი მოკრუნჩხული, თითებში მიწა ჩაგნესია, ვესია კონდახით ზევით აგდებს მკვდრის თავს, მაგრამ ხელი რჩება სანგრების ნაპირზე გადმოგდებული. სამთო ზარბაზნები გრიალებს, ხანდახან ისმის, როგორ ყვირიან მტრის სანგრებში. ყუმბარის გასროლა და ჩვენი სანგრების შუა ადგილზე მიწის ავარდნა ერთი და იმავე წუთში ხდება. ფხვიერი მიწა თვალებში გვეყრება, ფიქრმა ცოცხალი ვართ თუ არა, ელვასავით გაიარა".

ასეთ მძიმე ვითარებაში ხალხს მაინც აქვს მომავლის რწმენა. რევოლუციონერი ესტატე აქაც განაგრძობს მგზნებარე პროპაგანდას მჩაგვრელებისა და ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. ამას მოსდევს მეამბოხე ჯარისკაცების სურათი. „თქვენ, ძმებო, მთებში დარჩენილო, შეევაბრუნოთ თოფის ლულა იმათკენ, ვინც ჩვენ ერთმანეთის დასახოცად მოგვრეკა. მტერი ის არ არის, ვისაც ვესვრით, მტერი ის არის, ვინც სროლას გვაიძულებს". ასე აცოცხლებს მწერალი იმ საბრძოლო სულისკვეთებას, რომელიც ბოლშევიკების პროპაგანდის მეოხებით ჯარში შეიჭრა და მეომარი ხალხი ააღელვა ყველა მეფისა და მჩაგვრელის წინააღმდეგ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჯარისკაცის ეს დღიური მთავრდება დიდი ოპტიმისტური, ცხოვრების სიყვარულის სულისკვეთებით.

აი, ამ დღიურის ფინალი:

„დღიური აქ თავდება. მაგრამ აქედან სისხლს დაულბია

და დახეულია, ფურცლების ნაგლეჯებზე ფანქრით ნაწერი ძლივს იკითხება. ერთ ადგილას გარკვევით დარჩენილა: „რა გემრიელია დღეს პური. თუნდაც ამისთვის ღირს სიცოცხლე“.

ნაწარმოებში დიდი ბუნებრიობითა და უშუალობით მოთხრობილია ერთი იმერელი გლეხის ოჯახის ისტორია, რომელიც გადმოგვცემს, ერთი მხრით, პირველი მსოფლიო ომის ამბავს და მის შედეგებს სოფლად, ხოლო, მეორე მხრით, ფრონტისა და ჰოსპიტლის მძიმე ცხოვრებას.

ქართულ ლიტერატურაში ეს იყო პირველი მოთხრობა, რომელიც მძაფრად ამხელდა იმპერიალისტური ომის საშინელებას. სიცოცხლის სიყვარული, უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი ამ მოთხრობას ოპტიმისტურ ელფერს აძლევს.

* * *

სერგო კლდიაშვილმა სახელი გაითქვა ქართულ მწერლობაში უმთავრესად მცირე ფორმის ნაწარმოებებით, ნოველებით. მისი სტიქია, როგორც ოსტატისა, ყველაზე სრულყოფილად მცირე ფორმის მოთხრობებში გამოვლინდა მთელი სისრულით. არსად ისე თავისუფლად არ გრძნობს მწერალი თავს, როგორც ნოველებში. მწერლის პირველი საინტერესო ციკლი იყო 1934 წელს გამოქვეყნებული ნოველები სვანეთზე „სვანური მოთხრობების“ სახელწოდებით.

სერგო კლდიაშვილმა, ერთმა პირველთაგანმა, შეიხედა სვანეთში საბჭოთა მწერლის თვალით. ჩვენი ბელეტრისტის ბიოგრაფიაში ამ ნოველებს განსაკუთრებული ადგილი უკავია და ჩვენც მათზე დაწვრილებით შევჩერდებით.

სვანეთის მიუვალი, ცამდე აზიდული ზვიადი მთები, გარდასული ზნე-ჩვეულებანი, მითებისა და ლეგენდების სამყარო ყოველთვის იზიდავდა შემოქმედის გონებასა და თვალს. სერგო კლდიაშვილის დაინტერესება სვანეთით 30-იან წლებში, როდესაც ძველი სვანეთი ფერს იცვლიდა და ცხოვრების ახალ ყაიდაზე წარმართავდა თავის ყოფას, სავსებით ბუნებრივი იყო. ეს როდია უბრალო ეთნოგრაფიული დანახვა სა-

ქართველოს ამ ულამაზესი მხარისა. აქ დიდი ზომიერების გრძნობით, ტაქტითა და ლირიკული ინტონაციებითაა კადმოცემული მწერლის დამოკიდებულება აღორძინებული და განახლებული სვანეთისადმი.

გავიხსენოთ ნოველა „ლაშხეთის ბატონი".

დევლეთ ყიფიანი ლაშხეთის გულქვა, მკაცრი და უხეში მპყრობელი იყო, როგორც ძველი დროის ყოველი ბატონი. ბოლოს და ბოლოს სვანი მშრომელები აუჯანყდნენ მრისხანე ბატონს, და შვილდისრებით შეიარაღებული ყმები მას ლაშხეთიდან გაძევებით და სიკვდილით დაემუქრნენ. შეშინებულმა ბატონმა ერთგული რვა ყმის თანხლებით განაპირა სოფელს მიაშურა. გაქცეულ ბატონს ჰგონია უერთგულებენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. აქაც აჯანყებული ყმების რისხვა დახვდა მასპინძლად.

დევლეთი მიუვალ კოშკში ჩაიკეტა. შიმშილსა და წყურვილში გაატარა მან მთელი სამი დღე, ხოლო „მეოთხე დილას, როცა წყურვილი წამებად იქცა, დასჭრეს ჩოხები და შალი დაგრიხეს. დევლეთმა ყმებში აირჩია ყველაზე სანდო, დაავალა მას ეთქვა აჯანყებულ ლაშხეთელთათვის, რომ ყველას აპატიებს გაუგონარ ურჩობას, თუ ახლავე დაუბრუნდებიან მშვიდად თავიანთ სოფლებს, და ზევით აუშვა. ახალგაზრდა სვანი მარდად აცოცდა ბანზე, გრეხილის ერთი ბოლო ბოძს მიამაგრა და მიწისაკენ დაეშვა. შუა კოშკს გაუტოლდა გაბედული ყმა, როცა აზრიალდა ხალხი. იმავე წუთში უამრავი ისარი დააყარეს კედელს. უეცრად სვანმა ხელი უშვა გრეხილს და მოწყვეტით დავარდა მიწაზე. ისრებით დაცხრილული ის უკვე მკვდარი ეგდო". განრისხდა ბატონი, მაგრამ გამოსავალი ვერ იპოვა. ის თვითონ ხედავს ამ აჯანყებულ გლეხებს კოშკის სარკმლიდან. ბოლოს გადაწყვეტს, სიტყვით მიმართოს თავის ყოფილ ერთგულ ყმებს. ღრეობაში დამთვრალი ყმები დაინახავენ თუ არა კოშკზე გადმომდგარ ბატონს, ერთბაშად აზრიალდებიან. „თითქოს ისრების ზრიალით გამოფხიზლებული, ამართული შუბებით ხალხი სალტედ შემოერტყა კოშკს და ათასმა ხმამ ერთბაშად იღრიალა — სიკვდილი დევლეთს, სიკვდილი! დევლეთმა მოძებნა თვალით მაღალი სვანი, მომართა ხელში ხანჯალი და ესროლა. მხარში

მოხვედრილმა სატევარმა სვანი ჩაკეცა. მაშინ დეევლეთმა, რომელსაც ისრები ყოველ წუთს სიკვდილით ემუქრებოდნენ, პირჯვარი სწრაფად გადაისახა, დახედა მუქარად აბარბულ წვეტიან შუბებს და სწრაფად გადახტა. ტანი შუბებზე წამოგებული დატოვეს ციხკრამდე, სანამ ღრეობას გაათავებდნენ". ასე მშვიდი ტონებით მთავრდება მრისხანედ შემართული ხალხის ამბოხება მტანჯველი ბატონის წინააღმდეგ. აქ თითქოს ხაზგასმულია ლოგიკური დასასრული ყოველი მტარვალისა და ამბოხებული და დაჩაგრული ხალხის მიერ ნამოტანილი განაჩენის სიმართლე.

ნოველაში არ არის ვრცლად აღწერილი დეევლეთ ბატონის მრისხანება, მაგრამ ეს აშკარად იგრძნობა პერსონაჟთა ცალკეული რეპლიკებისა და ფრაზების ქვეტექსტში. უკმაყოფილო ყმათა აჯანყებას, მათს საზღვარგადასულ სტიქიურ შემართებას მრისხანე ბატონის მიმართ მწერალი ასევე ძუნწ რეპლიკებში გვანიშნებს, მაგრამ ისე ხატოვანად და დასამახსოვრებლად, რომ სურათს დიდი ემოციური ძალა ენიჭება. დიდი და მღელვარე ამბების ნახევარტონებში გადმოცემა, საზოგადოდ, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი თვისებაა.

ნოველების ამ ციკლში ვრცლად არის გადმოცემული სვანეთის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, მაგრამ აქ უმთავრესი მაინც ის პრის, რომ მწერალი პოულობს ახალ თვისებებს, ახალ განწყობილებებს და რელიეფურად ხატავს რევოლუციური სულისკვეთების ზრდას ამ კუთხის ხალხის შეგნებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ნოველა „პარტიზანები" (პირველად მას ავტორმა უწოდა „ნაპრალი"). აქ მოთხრობილია წითელი პარტიზანების შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამ ბრძოლას რევოლუციონერი ბონდო ბასკაია ხელმძღვანელობს. სვანების ცდა გადმოლახონ მთები და მენშევიკურ გვარდიას ბრძოლა გაუმართონ, უშედეგოდ მთავრდება. უთანასწორო ბრძოლაში ბონდოს რაზმი მარცხდება, თვით ბონდო კი მძიმედ დაიჭრება. ამ ვითარებაში გამოცდილი მეთაური გადაწყვეტს რაზმელები გახიზნოს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, ხოლო თვითონ, სანამ მოჰკობინ-

დებოდეს, თავი შეაფაროს მეგობარი სვანის გიერგილის ოჯახს. გიერგილი როგორც ძმას, ისე მიიღებს დაჭრილ პარტიზანს, მოუვლის და მოასვენებს, მკურნალად თავის მეუღლეს მიუჩენს, მეთვალყურედ — უმცროს ძმას ჯატუს. ამ უკანასკნელს ძალზე მოეწონება პარტიზანის, ბონდოს კარაბინი (თოფი), ხელს შეავლებს მას გულისფანცქალით, ყოველდღე აკვირდება. გამოცდილი პარტიზანი ამ ამბავმა დააეჭვა, მაგრამ მაინც ენდობა გიერგილის ოჯახს.

პარტიზანთა მეთაურს — ბონდოს თავგამოდებით ეძებენ თეთრ გვარდიელების დაგეშილი, დაქირავებული აგენტები. გიერგილი გადაწყვეტს, შორს გახიზნოს ძმადნაფიცი. მეგზურად თავის უმცროს ძმას ჯატუს გააყოლებს. და როდესაც მეგზური სვანი და დაჭრილი ბონდო, ხელიხელ გადახვეულნი, დიდ ნაპრალს მიადგებიან, სვანი იარაღის დასაკუთრების სურვილმა შეიპყრო და ხელს უშვებს დაჭრილ პარტიზანს, ეს უკანასკნელი ხრამში გადაიჩეხება. როცა უკან დაბრუნებულ ჯატუს გიერგილი შეხვდა, იგი ყველაფერს მიხვდა, უმცროსი ძმა მიიყვანა იმ ადგილას, სადაც გადაიჩეხა ძმადნაფიცი ბონდო, ხელი ჰკრა და უფსკრულში გადაისროლა.

ამ საინტერესო ნოველაში მწერალმა ახალი ცხოვრების მეთაურს დაუპირისპირა ძველი, სვანური ტრადიციის მონა კაცი და მეტად საინტერესოდ დაგვიხატა ძველისა და ახალის ფსიქოლოგიური გაყრის მწვავე ტრაგიკული სურათი. მწერლის მთელი სიმპათია ახალი ადამიანებისაკენ — პარტიზან ბონდო ბასკაიასა და სვანი გიერგილის მხარესაა.

ნოველების ამ წიგნში ავტორი დიდ ადგილს უთმობს ძველ, გარდასულ ჩვეულებათა აღწერას და ამ ტრადიციის მავნე გავლენას სვანთა ყოფაზე. ამ მხრივ საინტერესოა ნოველა „უშგული“.

უშგულის თემს ძალით იჩემებდა ბეჩოს მმართველი ფუთა დაჩქელიანი. „უშგული შიშობდა თავისუფლების დაკარგვას. დაჩქელიანს კი უშგულის მოდრეკა უნდოდა. უშგულს ბატონი არასოდეს ჰყოლია, მაგრამ ესმოდა მოძმეთა კვნესა რაჭიდან, გილიფხანების სვანეთიდან და ამიტომ უფრო ფხიზლად ეჭირა თვალი ბალის ქედისკენ, საიდანაც თეთრი ფუთა ელანდებოდა“. თავისუფლებისმოყვარე უშგულელები

ვერ შერიგებიან ბოროტ დაჩქელიანის ავ განზრახვას, ერთ-პირად გაიფიცებიან, თემში მიიპატიჟებენ მრისხანე დამ-პყრობელს თავისი შვილით. დიდი პატივით მიიღებენ რო-გორც მათ ადათს შეეფერება, ხოლო შემდეგ, როგორც ეს დათქმული ჰქონდა თემს, დაძახების ნიშანზე — მიართვით წითელი ღვინო ბატონსო, — ერთბაშად დაჭიმავენ ბაწარს და თოფის ხმასთან ერთად ტყვიანაკრავი დაჩქელიანი მიწაზე დაემხობა. შურისძიებით გაბოროტებულმა უშგულელებმა ბეჩოელნი აღარ დაინდეს, ცოცხლად დატოვეს მხოლოდ ის-ლამ ბერლანი, ფუთას შვილი, რათა მისი ფასით მძევლები გამოესყიდათ.

ასეთი მუქი ფერებითაა გამოხატული ხალხის შურისძიე-ბა მრისხანე ბატონზე. მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, რომ მწერალმა სისხლისაღების ადათი გვიჩვენოს, არამედ გახსნას სოციალური ცხოვრების ის მოტივები, რომლებიც თავისუფ-ლებისმოყვარე სვან ხალხს ამოძრავებს.

ნოველაში „ხალდე" მოთხრობილია სვანეთში მეფის რუ-სეთის ჯარის შეჭრის ეპიზოდი. სვანეთში მაიორ შაბუროვსა და ოფიცერ არკად ადოლინს იმაზე აქვთ სჯა-ბაასი, თუ რო-გორ დათრგუნონ მთის ხალხი. შაბუროვი უფრო დაკვირვე-ბული და გაიძვერა დამპყრობელია. როცა ისინი შეხვდებიან აჯანყებული სვანების მეთაურს რატიანს, მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართება:

„— საკვირველი კაცი მოიყვანა ჩვენმა მეგობარმა, ნადი-რისაგან არაფრით განირჩევა.

— შეიძლება შენ მართალი იყო, — გაუღიმა შაბუროვ-მა, — მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ მას თავის სამშობლოში აგრე არ უყურებენ. თავისუფალი სვანები რატიანს დიდ პა-ტივს სცემენ. ეს პატივისცემა მან დაიმსახურა არა მარტო ვაჟკაცობით, არამედ ჭკუითა და შეუპოვრობით, რომლითაც იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებას. დიდი ხანია ვცდილობ მასთან დაახლოებას, მაგრამ ვერ იქნა, ვერაფრით მოვახერხე. ჩემმა მეგობარმა სვანმა მრავალი ცდის შემდეგ მხოლოდ დღეს შესძლო მოეყვანა ის ჩემთან. არ მინდოდა პირველადვე რაიმე ეჭვი აღმეძრა მასში. ამიტომ ასე ფრთხილად და თითქო-უნდობლად ვთხოვე, კიდევ მსტუმრებოდა. მთიელი მუდამ

იქვიანია. მისი მოჩვევისათვის ოსტატობა და მოთმინებაა საჭირო. თუ ერთხელ დააფრთხე, სამუდამოდ გაიქცევა. ოცი წელიწადია მთებში ვცხოვრობ და, დამიჯერე, ჯერაც ვერ ვიცნობ მთის ხალხს. ოცი წლის შემდეგ, როცა ტუჩზე მაგ ქგრა გინგლის მაგიერ ჩემსავით ჭაღარა ჯაგარი გექნება, შენთვისაც აუხსნელ ამოცანად დარჩება ამ ველურ მხარეში მოსახლე ადამიანი. ჯერჯერობით კი ერთი პირობა შემისრულე. როგორც შვილს, ისე გთხოვ, — ნუ ეთამამები მათ".

ამ დიალოგიდან ნათლად ჩანს, ერთი მხრით, ფრთხილი და ფხიზელი, ბოროტი და ბინძური დამპყრობელი შაბუროვის, ხოლო, მეორე მხრით, თამამი და თავზე ხელაღებული, ახალგაზრდა რუსი ოფიცრის ადოლინის სახე. მწერალი შემდეგ დაწვრილებით აღწერს სამხედრო განაყოფის ოპერაციებს მთაში, ადოლინის შეხვედრას რატიანთან, მის მოჩვენებითს გამარჯვებას და გაწბილებას და, ბოლოს, ჯარის ნაწილების მიერ აკლებული სოფლის სურათს:

„ამ დილით აფეთქებდნენ და ანგრევდნენ კოშკებს სვანებისაგან მიტოვებულ ხალდეში. დაშლილი ქვების გრიალს სამხედრო ორკესტრის ხმა ერთოდა, როცა ერთხელ არკადიმ კარავის კალთა გადაწია, მტვერში გახვეული ნასოფლარი დაინახა".

აქვე აქვს მწერალს მინიშნებული მეფის ჯარის ნაწილების მიერ სვანთა დარბევა. აქაც მწერალი, როგორც დიდი ჰუმანისტი, ხატავს თავისუფლებისმოყვარე სვანების ბრძოლას მოძალადეების წინააღმდეგ.

სვანური მოთხრობების ციკლში შედის აგრეთვე ნოველები „გიო", „ძველ კოშკში", „მურზაყან" და „წარმართი".

„ძველ კოშკში" აღწერილია, თუ როგორ შეეკედლა ძველად ხალხისაგან დაწყევლილ კოშკს ფერმების ბრიგადირი გიო თავისი ოჯახით, და მას უკავშირდება ახალი სვანეთის ცხოვრების ეპიზოდები. „წარმართი" კი უფრო ნარკვევს წარმოადგენს, სადაც საინტერესოდაა გამოხატული ჯოჯო, ჰატარა სვანის სოზარის თავგადასავალი. ეს ყველასაგან დაბეჩავებული ჰატარა სვანი მას შემდეგ, რაც მისი საყვარელი სატრფო მარეხი სოფლის ნაპირთან ერთად მოსისხლეებმა ბოიტაცეს, სვანეთს გამოემშვიდობა და სამეგრელოსა და გუ-

რიაში გადავიდა მოჯამაგირედ. აქ იგი, დაავადმყოფებული ციებ-ცხელებით, ეკლესიას შეეკედლა და მისი ფრესკების მოხატვა ისწავლა. შემდეგ სვანეთში დაბრუნდა და რამდენიმე ეკლესია მოხატა ამ წარმართმა სვანმა.

ყველაზე უფრო საინტერესოა ნოველა „მურზაყან". შეიძლება ითქვას, ეს ერთადერთი ნოველაა სვანური მოთხრობების წიგნში, სადაც მწერალი დაწვრილებით აღწერს სისხლის აღების ტრადიციას.

ჭოხუც მურზაყან ხორგიანს იმედად შვილიშვილი ყაზბულათი შერჩა. ხორგიანების გვარს გირგვიანების სისხლი ემართა. გირგვიანებმა მურზაყანის შვილი ბექირბი იმსხვერპლეს და აი, მოხუცს არ ასვენებს სიძულვილი და შურისძიების წყურვილი მოპირდაპირე გვარისადმი.

„იზრდებოდა ყაზბულათი განიერ ჭხარბეჭიანი, ღონიერ მკლავებიანი, მაგრამ ყველაზე უფრო იზრდებოდა მასში შურისძიების სურვილი. და რაც უფრო მეტად გრძნობდა ამას მურზაყანი, მით უფრო აღვივებდა მტრის გულში სიძულვილს მოპირდაპირე გვარისადმი". მაგრამ მოულოდნელად ყაზბულათი ავად გახდა ყვავილბატონებით და კიდეც გადაჰყვა მას. ჭოხუცმა სავსებით დაკარგა ცხოვრების აზრი. სწორედ ამ დროს სისხლის აღების წყურვილით გაბოროტებული მოხუცი შეხვდა გელა გირგვიანს. გელა გვარში სანაქებო ვაჟკაცია, ყაზბულათს რომ დასცლოდა, საბედისწერო შეხვედრა, ალბათ, მასთან ექნებოდა. ასე ფიქრობდა მოხუცი, როდესაც ვიწრო ბილიკზე გელა შემოხვდა.

„ვაჟკაცი ხარ, — შესძახა მურზაყანმა, — მხოლოდ შენი სისხლი დაამშვიდებს ბექირბის. ორივემ თოფი გადმოიღო, ორივეს თოფმა დაჭექა, გელა მკვდარი დავარდა, დაკოცნა მურზაყანმა თოფი და ეკლესიისაკენ გაიჭრა. გისისხლე, — დასჭყივლა შვილის საფლავს, — გისისხლე ბექირ". მწერალი ასე გვიხატავს შურისგებით, სისხლის აღების სურვილით გაბოროტებული მოხუცის სახეს. შემდეგ ეს მოხუცი კაცი სასამართლოში გამოცხადდა და აღტაცებით განაცხადა, რომ მტრის სისხლი ავიღე და გამასამართლეთო. სასამართლოში გირგვიანების გვარი არ უდასტურებდა მოხუცს ამ „ვაჟკაცურ" ამბავს იმის შიშით, რომ მურზაყანის გვარიდან მარტო

ის იყო დარჩენილი და, თუ მას ციხეში ჩასვამდნენ, მოხუცი ვერ აიტანდა ციხეს და მოკვდებოდა, გვარს კი არავინ რჩებოდა, რომ გირგვიანებს სისხლი აეღოთ. ამიტომ უარყოფდნენ მის მიერ გელას მოკვლის ფაქტს. ზოგს კი ეცოდებოდა მოხუცი, — უმატებს მწერალი. მოხუცის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მაშინ, როცა ის სასამართლომ სცნო დამნაშავედ. „მოხუცის თვალები სიხარულით აინთო, ამაყად გახედა ხალხს, მიიბრუნა სახე ეკლესიისაკენ და გადასძახა:— ბექირბ, მშვიდად იყოს შენი სული“.

ძნელია მოინახოს ამაზე უფრო მძაფრი ფერებით დახატული სახე მოხუცი კაცისა, სისხლის აღების სურვილით შეპყრობილი და გაბოროტებული ადამიანისა.

ს. კლდიაშვილის სვანური მოთხრობების ციკლში ცალკე უნდა აღინიშნოს ნოველა „მტრები“. აქ საინტერესოდ არის დახატული ახალი, სოციალისტური სვანეთის ადამიანები, ტრადიციის არტახებისაგან განთავისუფლებული ადამიანების ძმობა და მეგობრობა.

ოთარი სვანეთის ტრადიციას გამოექცა და პატარა ხევის ქალაქს თავი შეაფარა. მანამდე მან კოლხეთის ჭაობის არხების გათხრაში, ხან კიდევ გურიის ჩაის პლანტაციების მუშაობაში გაატარა დრო. ახლა კი ამ პატარა ქალაქს ესტუმრა და განაგრძობს საქმიანობას. ოთარის უფროსმა ძმამ მოჰკლა ომან მარშიანის უფროსი ძმა. მკვლელი გაექცა შურისძიებას და სამართალს, მიუვალი მთებით ყარაჩაის მიაშურა, მაგრამ სადღაც ნაპრალში გადაიჩეხა. არც პირველი და არც მეორე არ დანანებიათ სოფლელებს. ორივენი თავზე ხელაღებული ახალგაზრდები იყვნენ. მკვლელი მკვდარი იყო, მაგრამ ამით მოკლულის ოჯახი და გვარი ვერ დამშვიდდებოდა, რადგან სისხლი აუღებელი რჩებოდა.

ოთარმა იცოდა, რომ ადათის ძალით მასზე შურს იძიებდნენ და ამიტომ მიატოვა საყვარელი სოფელი, ბარს მიაშურა. აქაც ყველგან ჩასაფრებული სიკვდილი ეჩვენებოდა. ოთარი იმ ქარხანაში მოხვდა სამუშაოდ, სადაც თურმე ომან მარშიანი მუშაობდა. მოსისხლეები ერთმანეთს შეხვდნენ. ოთარისთვის მოულოდნელად, ომან მარშიანი მოეფერა, თანასოფლელს, ოთახში საცხოვრებლად თავისთან გადმოიყვანა,

ხელი გაუწოდა, მაგრამ ტრადიციისაგან დაშინებულ ოთარს ელანდება, თითქოს ეს განგებ მოწყობილია და ომანი მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდის. სწორედ ამ დროს ოთარი ავარიაში მოჰყვება, მას საავადმყოფოში ათავსებენ. ოთარის გადარჩენისათვის საჭიროა სისხლი. ომანი არ დაფიქრებულა, დათანხმდა საკუთარი სისხლი გაეღო მეგობრისათვის. „ომანი შეამოწმეს, შემდეგ ის მორჩილად დაწვა მომაკვდავის გვერდით და ექიმს ტიტველი მკლავი გაუშვირა. არ უგრძვნია, როგორ გადადიოდა მისი სისხლი ოთარის სხეულში, აგრძნობდა მხოლოდ, რომ სიცოცხლეს უბრუნებდა კაცს, რომლის გვერდით ბავშვობიდან ერთს მთასა და ერთს ცას შეჰყურებდა, ერთსა და იმავე სიმღერებს მღეროდა, ერთი მზით გამთბარა, ერთი მიწის ქერითა და წყალით გაზრდილა...“ როდესაც ოთარი თვალს გაახელს, ხედავს, რომ თავზე მეგობარი ადგას. „—ახლა კი ნამდვილად გმართებს ჩემი სისხლი! — გაუღიმა ომანმა. — და ბევრიც გმართებს“.

აქ ნათლად ჩანს ის დიდი გარდაქმნები და ცვლილებები, რაც ახალმა დრომ მოიტანა და რის შედეგად ადამიანებს შორის ახალი ურთიერთობა დამკვიდრდა. შეიცვალა არა მარტო ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, არამედ შეიცვალა ჩვენი ადამიანების შეგნება, მათი მორალური სახეც. ეს დიდი ცვლილებები მოხდა ტრადიციულ სვანეთშიაც. ამას ხედავს მწერალი და ყოველივე ეს საინტერესოდ გამოხატა მან ნოველაში „მტრები“. აქ სათაურშიაც ხაზგასმულია ისტორიული მტრობა, რომელმაც ბევრი უბედურება მოუტანა ძველ სვანეთს, ძველი ყოფისა და ტრადიციის მორჩილ ადამიანებს. ახალმა ცხოვრებამ გააქრო ეს ისტორიული მტრობა. ახალ ყაიდაზე გარდაქმნა მთის ადამიანებიც და ისინიც დიდი სოციალისტური ცხოვრების ფერხულში ჩააბა. ოთარი და ომანი სოციალისტური მშენებლობის მოწინავე ადამიანები არიან. ეს ყოფილი მტრები ერთად შრომობენ, ერთად ცხოვრობენ, ერთად იბრძვიან ახალი სოციალისტური საქართველოსათვის.

ს. კლდიაშვილის ნოველების მთელი ციკლი თანამედროვეობის თემას ასახავს. ნოველების გმირები მწერლის თანამედროვე ადამიანები არიან, რომელთაც იგი ყოველდღიურად

ხვდება ცხოვრებაში და ურთიერთობა აქვს მათთან. მწერალი ამ მოწინავე, დადებითი ადამიანების თვალით უყურებს სამყაროს, ხარობს მათი კეთილი საქმით, მათ მიერ შექმნილი დოვლათითა და სიკეთით. ამ მხრივ ს. კლდიაშვილი თანამედროვეობის გულწრფელი მხატვარია.

ს. კლდიაშვილის ერთ-ერთ ნოველაში „სერაფიტა" მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ექიმი, რომელსაც ქალაქელი გეოლოგი ჰყავს მეგობარი. გეოლოგი ექიმს უყვება საქართველოს შორეული წარსულის შესახებ, უამბობს იმ უძველეს ძეგლებზე, რომლებიც სამარხებში აღმოჩნდა. ექიმი განსაკუთრებით გაიტაცა სერაფიტას ამბავმა. ამ ახალგაზრდა ქალის სილამაზე საუკუნეთა მანძილზე შემოენახა სამარხში ნაპოვნ წარწერას. ოცნების თვალით აღადგენს ექიმი უცხო ქალწულის სახეს, მის გარდასულ მიმქრალ სილამაზეს, მის უჭკნობ მშვენიერებას...

რომანტიკული ცნობისმოყვარეობით გატაცებულ მეგობრებს მყუდროებას დაურღვევს ექიმთან დახმარებისათვის მოსული გლეხი. გლეხი სთხოვს ექიმს, წაჰყვეს სოფელში და გადაარჩინოს მომაკვდავი ქალი. ექიმს თან მიჰყვება გეოლოგიც. გზად მიმავალნი, ისინი კვლავ საქართველოზე მსჯელობენ:

„— იცი, რა ქვეყანაა საქართველო? — მიმართავს ექიმი გეოლოგს. — არ ვიცი, როგორ ვთქვა, არ ვიცი, რას შევადარო შეუდარელი! — სიამაყე იგრძნობოდა მის სიტყვებში და მერე უეცრად ნაღვლიანად დაუმატა, — როცა წარმოვიდგენ, რომ ამ ღვთისნიერ მიწაზე მხოლოდ ორი მილიონი, თუ რაღაც მეტი ქართველი ცხოვრობს, ჯავრისაგან ვიყვირო მინდა. ათი და მეტი მილიონი, აი, რა გვინდა ჩვენ. ყველას გვასაზრდოებს, ყველას გაგვახარებს ჩვენი მიწა. ჩვენ ბაღებში და ქარხნებში ყველგან კაცის ხელი უნდა ტრიალებდეს. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ და ვზრუნავდეთ, ყოველდღე, ყოველთვის. ათი მილიონი ქართველი, წარმოგიდგენია ეს ბედნიერება?"

ასე ფიქრობს ექიმი, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე აბარია. ისინი იგონებენ საქართველოს ტრაგიკულ წარსულს, მის გმირულ ვაჟკაცურ შემართებას სამშობლოს დასაცავად. და ყველაფერ ამას დღევანდელ საქართველოს უკავშირებენ.

ისინი ამ ახალი საქართველოს, მისი ხვალინდელი დღის დაუცხრომელი პატრიოტები არიან.

„— მაგრამ, ჩემო კარგო, ცოცხალი ცხოვრება კიდევ უფრო მეტი და დიდი საქმეა. იმ იშვიათ და განუმეორებელ ნიჭს, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, ვერაფერი ვერ შეედრება. ერთი ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ვაჟკაცი და დედა ჩემთვის უფრო საიმედოა და გულთანაც ახლო, ვიდრე ათასი ლეგენდარული სერაფიტა. ის მუზეუმი გახლავთ, რა თქმა უნდა, მუზეუმი მდიდარი უნდა იქნეს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩვენი ცოცხალი ცხოვრება მიმდინარეობდეს დაუშრეტელ წყაროსავით და უფრო მდიდარი, უფრო სავსე გახდეს“.

ასე გვიხატავს ექიმი თავის დამოკიდებულებას თანამედროვე საქართველოსთან და მის ისტორიულ წარსულთან, მაგრამ ეს როდი არის ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულისადმი. არა, ამ ადამიანებმა კარგად იციან წარსულის ფასი და მნიშვნელობა, მაგრამ ასევე კარგად ესმით, რომ საქართველოს აწინდელი ცხოვრება აწმყოზე და მის მომავალზეა დაფუძნებული. თანამედროვე ადამიანი კი ვალდებულია მისი დღევანდელი კეთილდღეობისათვის იღვწოდეს, შრომობდეს და იბრძოდეს.

ამიტომაც ს. კლდიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს ჩვენი ცხოვრების მოწინავე, ყოველგვარი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ადამიანების სახეს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ს. კლდიაშვილის ნოველა „კარავი ხვამლის ძირში“.

ნოველაში აღწერილია გეოლოგთა ექსპედიცია, მოწყობილი ხვამლის მთებში ბარიტის საბადოების აღმოსაჩენად. ინჟინერი გეოლოგები, მეგობრები — ილია, ირაკლი, რაჟდენი, ექსპედიციის წევრები, რომელთაც მთებში წვიმა და ქარიშხალი მოუსწრებთ, კარავს გამართავენ და თავს შეაფარებენ. შუაღამისას მათ ქალის ხმა მოესმათ. რამდენიმე წუთის შემდეგ კარავში შემოჰყავთ წვიმისაგან დასველებული ქალიშვილი. მოუარეს, მოასვენეს, გამოეცნაურნენ. გამოირკვა, რომ ეს ქალიშვილი — მანანა ბეგიაშვილი — ასპირანტია, სამეცნიერო შრომის დასაწერად ემზადება და სოფლებში ახალ ფოლკლორულ მასალებს აგროვებს. საუბარში ირკვევა, რომ

ამ ქალს ხალხში გაბნეული მარგალიტების შეგროვებით ისევე უნდა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ხალხის შემოქმედებით შრომაში, როგორც ამ გეოლოგებს საქართველოს მიწის წიაღში დამარხულ სიმდიდრეთა აღმოჩენით. ისინი თავიანთი კეთილი საქმითა და შრომით ერთნაირად ემსახურებიან ახალი საქართველოს საქმეს. სიამაყით აცხადებს მანანა: „მე დიდი მასალა შევაგროვე და ახლა მინდა ყველას გავუზიარო ეს სიმდიდრე, თითოეული სიტყვა და ჰანგი, ფიქრი იმ ადამიანის, ვინც ახალს აშენებს, ვისაც დღეისა და მომავლის რწმენა გააჩნია, ვისაც მართალი და წმინდა გული აქვს...

ს. კლდიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით გვიხატავს სწორედ ხვალინდელი დღის რწმენით აღსავსე იმ კეთილი ადამიანების სახეს, რომლებიც არაფერს იშურებენ ახალი საქართველოს კეთილდღეობისათვის. მათი რიცხვი კი უთვალავია. აი თუნდაც: ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ირინე და იპოლიტე, რომელთაც ძველ სამცხეში კერა გაიჩინეს, დაუღალავად შრომობენ და ახლა ახალი პირმშოს, ახალი მესხეთის დაბადებით ხარობენ (ნოველა „პირმშო"), აქვე ვეცნობით ცამეტი-თოთხმეტი წლის ზურიას (ნოველა „ზურია"), რომელიც მეგზურად გაჰყვა საბჭოთა ჯარს კავკასიის მისადგომებთან სამამულო ომის დროს და თავი გამოიჩინა. ახლა იგი თავისი სოფლის კოლმეურნეობის მეთაურია და ერთ-ერთი მოწინავე მშრომელიც. ზურია არაფერს ზოგავს იმისათვის, რომ უფრო დოვლათიანი და ლამაზი იყოს ჩვენი საქართველო.

ს. კლდიაშვილი თავის ნოველებსა და მოთხრობებში ამგვარ მოწინავე ადამიანთა გამოხატვას დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს.

ს. კლდიაშვილმა, ამავე დროს, კარგად იცის, რომ ამ ქვეყანაზე მარტოოდენ ეს კეთილი გულისა და საქმის ადამიანები როდი ცხოვრობენ. ცოტა როდია ისეთი ადამიანებიც, რომლებიც კვალს ვერ ტოვებენ ამ ქვეყანაზე, ზოგ შემთხვევაში ხელს უშლიან და აფერხებენ ჩვენს წინსვლას. ს. კლდიაშვილი ამხელს, კიცხავს, დასცინის ამგვარ ადამიანებს, სულითა და ხორცით მახინჯებს, უდღეურებს, ხელმოცარულებს, ძველი ცხოვრების სულნამცეცა გმირებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი ლმობიერებას იჩენს მათ მიმართ. ამ

მხრივ ყველაზე ტიპიური და დამახასიათებელია ს. კლდიაშვილის ნოველა „ცხოვრება პატარა კაცისა“.

ნოველაში მოთხრობილია ერთი ფოტოგრაფის, ახალი ცხოვრებისაგან გახუნებული და ნიადაგგამოცლილი ადამიანის ცხოვრება. მას პატარა ქალაქში, ბაზრის მოედნის ერთ კუთხეში, ფოტოსახელოსნო ჰქონდა მოწყობილი. წარწერით „ფოტოგრაფი მელიტონ ღიბრაძე“. დროთა ვითარებაში შეიცვალა წარწერის დასაწყისი, კოოპერატივის ახალი აბრის ბოლომ დაფარა წინა ოთხი ასო და დარჩა „გრაფი მელიტონ ღიბრაძე“. ხშირად ამბობდნენ დაცინვით მელიტონზე — საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მას გრაფობა, დაცინვით ეძახდნენ გრაფ მელიტონს. მწერალი თავის მხრივ ჰუმანურობას იჩენს ამ პატარა კაცის ბედისადმი: „ჩვენ მაინც ნუ ვუწოდებთ ასე, კმაროდეს, რომ სხვა დასცინის. ჩვენ ლმობიერი ვიყოთო“. რასაკვირველია, ეს ხელს არ უშლის მწერალს მთელი სიმართლით წარმოადგინოს ამ დროგადასული ცხოვრების ისტორია.

ფოტოგრაფი მელიტონი წარსულში არცთუ ისე ცუდად ცხოვრობდა. ახალდაქორწინებული ახალგაზრდები, აზნაურები და მოხელეები მისი ფოტოსახელოსნოს ხშირი სტუმრები იყვნენ და იგიც ბედს არ ემდუროდა. მელიტონთან სურათის გადასაღებად შემოსული ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, სახელად მაკაკი, მისი ცოლი გახდა.

ცოლმა ოჯახში ბედნიერება და სითბო შემოიტანა, „მელიტონისათვის ქვეყანა უკეთესი შეიქნა. სიცოცხლე სიხარულად იქცა. დღეები დღეებს ტკბილ სიზმარივით გაჰყვა“. მაგრამ, რადგან სიზმარი ხანგრძლივი არასოდეს ყოფილა, მელიტონის სიზმარივით ბედნიერებაც ერთ დღეს უეცრად შეწყდა. მოკვდა მაკაკი და მელიტონი ისევ მარტო დარჩა. დაინგრა ბედნიერი ოჯახი, დაჩიავდა ფოტოგრაფი. ეკლესიასა და სასაფლაოს ხშირი სტუმარი გახდა. ამას კიდევ ერთი ახირებული ჩვეულება დაემატა, ოთახში მარტოდ და უსაქმოდ მყოფი, გარდაცვლილ ცოლს წერილებს წერდა. როგორც გაიგებდა ვინმეს გარდაცვალებას, წავიდოდა, მიცვალებულს იტირებდა, მერე კუბოში ჩუმად წერილს ჩადებდა და ასე უჩვეულო საფოსტო კავშირი დაამყარა გარდაცვლილ ცოლთან და გულიც

თითქოს გაუმაგრდა. მაგრამ მის გულს სხვა იარაც ღრღნიდა. დრო შეიცვალა, ძველი მუშტარი გაჩანაგდა, გადაშენდა, ხმალ-ხანჯალში ჩამჯდარი აზნაურები, სერთუკიანი მოხელეები გაქრნენ. ახალ ადამიანებში კი ფეხი ვერ გაიდგა. ნაცნობობა ვერ მონახა. გულისტკივილით ამბობს იგი: „დავდივარ ლანდივით, ყველასაგან და ყველაფრისაგან გარიყული". ამ ვითარებას ისიც დაემატა, რომ ერთ დღეს ვიღაც პორტფელიანი კაცი მოვიდა, დაათვალიერა მელიტონის ბინა, მეორე დღეს კი მელიტონს ქალაქის სამმართველოდან აცნობეს — ორი ოთახი დაეცალა. ფოტოგრაფი ახტა-დახტა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

პორტფელიანი კაცი ბინაში ჩაუსახლდა. ახმაურდა დადუმებული ოთახი ფოტოგრაფისა. ბავშვების ჟრიამულმა გაავსო იგი, მაგრამ პორტფელიანი კაცის ოჯახი უფრო გულს უკლავს ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ფოტოგრაფს. გულმოკლული ფოტოგრაფი ამის შესახებ ასე სწერს თავის საყვარელ ცოლს საიქიოში: „ახლა იმ ოთახში, სადაც შენი ფეხები ბაკუნობდა, ვიღაც ტიალი დაბოგინობს. ჩემთან ლაპარაკი არ იკადრა. გადმომხედა მხოლოდ ერთხელ და, სიმართლე გითხრა, შემაშინა. ისეთი თვალები აქვს, ქვას გაბურღავს. მე და შენ რომ ლომი ვნახეთ, ამ კაცზე თვინიერი ჩანდა. ის გალიაში ჩაინციყო, ეს — აწყვეტილია". პორტფელიანი კაცისაგან დაშინებული და გაბრიყვებული ფოტოგრაფი უფრო დაჩიავდა და დაშინდა. მაგრამ ერთბაშად საკვირველება მოხდა. პორტფელიანი კაცი ყველასათვის მოულოდნელად მოკვდა. მეორე დღეს ჩუმად შეიპარა ფოტოგრაფი და მის კუბოში მოათავსა მაკაკისთან გასაგზავნი ბარათი. ვიღაცამ ამას თვალი მოჰკრა, „ეს საფოსტო ყუთი არ გახლავთო", — დაიქშინა მან, ამოაგდო კონვერტი და გაბრაზებით გადაისროლა. ბარათი მოკლე იყო და აი რა ეწერა: „სასწრაფოდ ვწერ ჩემო მაკაკი. აღელვებული ვარ და ვჩქარობ. ამ წერილის მომტანი ბრძანდება სწორედ ის ვაჟბატონი რომლის შესახებაც ამას წინათ გწერდი. აქ ვერაფერი ვუქენი და ახლა შენ იცი, თუ მანდ გადაუხდი სამაგიეროს. დაიხმარიე ნათესავები, აწვალეთ, ნაღველა ჩაუქციეთ. იცოდეთ, არაფერი შეარჩინოთ. აბა შენ იცი, რა მარჯვედ იქნები. გკოცნი ურიცხვს. შენი მელიტონი".

როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ გულიანად გვეცინება გამოლენჩებული ფოტოგრაფის საქციელზე, მაგრამ მწერალი ისეთი ჰუმანიზმით გვიხატავს საწყალი კაცის მოქმედებას, რომ სადღაც გვეცოდება კიდევაც ეს ხელმოცარული და ფერგადასული ადამიანი.

სერგო კლდიაშვილმა კარგად იცის, რომ ეს ხელმოცარული ადამიანები არაფრის მაქნისი არიან. ცხოვრებაში მათ ფუნქცია და ადგილი დაკარგული აქვთ. ისინი არ არიან გამოსადეგი არც შრომაში, არც ბრძოლაში. და მაინც არ იმეტებს მწერალი მათ.

ამ მხრივ საინტერესოა ნოველა „ბნელ ღამეში".

მოქმედება სამამულო ომის წლებში წარმოებს. ქალაქის თავზე, ეზოს ჭიშკართან ფიცრულზე სხედან პროვიზორი მაკარი და მისი მეზობელი, ფოსტის თანამშრომელი მირიანი. ისინი მორიგეობენ. აგვისტოს ცხელი ღამეა. ფოსტის მოხელე მირიანი და პროვიზორი მაკარი სავსებით განსხვავებული ადამიანები არიან. მირიანე „ფუტლარის კაცია". ზაფხულშიაც შეფუთნულია, მშიშარაა, არც ღვინოს სვამს, არც აუდუღებელ წყალს, არც ხილს ჭამს გაურეცხავად. არც ცოლი ჰყავს და არც შვილი. მაკარი მაგარი კაცია, გამრჯე და მშრომელი, ცოლშვილიანი. ახლა მისი ორი ვაჟი სამამულო ომში იბრძვის და მაკარი ამით ამაყობს კიდეც. იგი მირიანეს ღიმილით ეუბნება: „ყოველმა კაცმა, შენ ხარ ჩემი ბატონი, სიცოცხლე უნდა ამრავლოს, ცხოვრების ხე დარგოს, იმაზე იფიქროს, რომ შენ შემდეგ შენიანმა შენს ბაღნარს უპატრონოს. არ ნანობ ახლა რომ ასე იაქეთ შეაბერდი წუთისოფელს? ვითომ რაო, შენ ჭკვიანი გამოხვედი და მე ბრიყვი? რატომ არ ითხოვე ცოლი?..

— ძნელია, ბატონო, ძნელი გადასაწყვეტი.

ოდნავ ხმას იმაღლებს მაკარის გესლით რამდენიმედ გულნაკლული მირიანე. — არ დავფიცო, ვერ გავბედე...

— ზოგს გაუღიმებს ცხოვრება და ზოგს არა.

— ცხოვრებას, ჩემო ძამიკო, ბრალს ნუ სდებ, ყველაფერში თითონ ხარ დამნაშავე, ერთი დედაკაცის მოყვანას ასე როგორ შეუშინდი... ჩემსავით შენც ორი ვაჟი უნდა გყოლოდა ფრონტზე და ქვეყანას დამცველი შეემატებოდა".

ეს დიალოგი საკმაოდ დიდხანს გრძელდება და ჩვენ ვხედავთ, რამდენად მაღლა დგას ცხოვრების ყოველივე სიკეთეს დახარბებული, გაბედული, საქმიანი, ენერგიული პროვიზორი — მშიშარა, ხელმოცარულ ფოსტის მოხელეზე. მაკარი ატყობს, რომ ამ ხელმოცარული კაცის მხილებით სიმართლე თქვა, მაგრამ გული ატკინა მეზობელს. ამიტომაც დიალოგს ასე ამთავრებს: „საწყენად არ მიიღო ჩემი სიტყვები. მეც ვიცი, ოხერი ენის პატრონი ვარ და რა ვქნა. ისე კი, ღმერთმა იცოდეს, კეთილი გულით გითხარი, მეზობლურად, მეგობრულად. გაუღიმე, ძამიკო, ცხოვრებას და მაშინ ისიც გაგიცინებს. თუ არა და, იცოდე, ძაღლივით სადმე ღობის ძირში ამოგძვრება მაგ სული“.

მწერალი სწორედ ამ ცხოვრებით გახარებული ადამიანების მხარეზეა. მათში ხედავს იგი დიდ სიკეთეს და მადლს. ისინი მიაჩნია ამ ცხოვრების მტკიცე ბურჯებად, ქვეყნის დოვლათისა და სიკეთის შემქმნელად, ხოლო ეს ბუზღუნა, მოწუწუნე, ხელმოცარული ადამიანები ჭირისდღესავით სძულს.

გავიხსენოთ მეორე ნოველა — „მთვრალი ლანდი“. აქაც განკიცხულია გულგატეხილობის ფილოსოფია: სუფრიდან აშლილი მეგობრები სახლამდე მიაცილა ანდრომ. გიგოსაც სახლამდე მიჰყვა. გაცილებისას გზაზე ღვინით სავსე დოქი გაუტყდა და ხელში შერჩა მხოლოდ დოქის ხელი. მთვრალი ანდრო მიმართავდა გიგოს: „წაიღე, — არ ეშვებოდა ანდრო, — ნუ წუნობ გატეხილს. ჩემი გულიც გატეხილია და მაინც დავათრევ. გადასაგდებად ვერც გამიმეტებია“. მწერალი შემდეგ გვაცნობს ამ გულგაბზარული კაცის ცხოვრებას. ის ხედავს, რომ ადამიანებს ამ ქვეყანაზე მიზანი აქვთ, ცხოვრობენ, შრომობენ, ოჯახი აქვთ, ცოლ-შვილი ჰყავთ. ეს კი ოთახში გამომწყვდეული მიზანს ვერ პოულობს. აი, აგერ, დიმიტრი აზროვნებს, ქვეყნის სიკეთეზე ფიქრობს, გამომგონებლობას ეწევა. ადარებს ის თავის თავს დიმიტრის და საკუთარ ლანდთან პაექრობაში ასე. მსჯელობს:

„— ქვეყნის სიკეთეზე ფიქრობს, რა გული აძლევს, ვერ გამიგია, იფიქრე, ძამია, მოგიკვდეს დამშლელი... არც მე ვარ უქმად, მაგრამ ჩემი მუშაობა სხვაა. ვიცი ეს მე, სულ სხვაა, რათაა ასე, იმიტომ, რომ დიმიტრი სხვაა, მე კიდევ სხვა. იმას

ერთი გული აქვს, მე კი ორი გული მაქვს, ორივე ფეთქს და ორივეს ვგრძნობ. ორივე მოძრაობს და ებრძვის ერთმანეთს. ხან ერთი დასძლევს და ხან მეორე, ორივეს შედეგება კი შეუძლებელია. მინდა ერთი რომელიმე მოვიგლიჯო და არ იგლიჯება ის ოხერი, დამღალა ამ ბრძოლამ, გამანახევრა კაცი"... მწერალი კარგად ხედავს გაორებული, გულგაბზარული კაცის ცხოვრების შინაგან ტრაგედიას. ვინაიდან მწერალს ასეთი ადამიანები არ უყვარს, ამიტომაც ამხელს და კიცხავს მათ.

ადამიანი ერთი დიდი გულით, გულწრფელი გულით უნდა დადიოდეს ამ მიწაზე, ცხოვრობდეს ქვეყნის სიხარულით, გაბედულად მიარღვევდეს ცხოვრების ტალღებს და სიკეთეს თესდეს. ასეთია მორალი ამ ნოველასი.

კაცს, რომელსაც თავისი სახე არა აქვს, დიდ ბედნიერებას ამ ქვეყანაზე ვერ ეღირსება, დიდი სიკეთის ზიარი ვერასოდეს გახდება. ეს აზრია გატარებული ნოველაში, რომელსაც ჰქვია „სარდიონ შოშიას ვნებანი". პატარა მოხელე სარდიონ შოშია სამსახურში მუდამ გაღიმებულია იმის შიშით, რომ სამსახური არ დაკარგოს. სახლში კი მუდამ სახეშოღუშული და ბრაზიანია. სარდიონი მორწმუნე კაცი იყო. სამსახურის დაკარგვის შიშით კი უღმერთოთა საზოგადოების წევრიც გახდა. გაიბზარა მისი გული. სამრეკლოს ხმას დაემსგავსა მისი ხმა. სიზმარი არ ასვენებს მშიშარა პატარა კაცს. სარდიონი თითქოს ხედავს, რომ ყველაფერი გაორებულა ამ ქვეყანაზე. „გარშემო ურიცხვი ხალხია, ყველა ნაცნობი და მაინც უცნობი. უფრო საკვირველი ისაა, რომ სარდიონი მეორე სარდიონს ხედავს, ორეულს უცინის და, ჩანს, შანს უგებს... ვითომ შენც კარგი ხარ, ღვთის გლახა, მეტი არაფერი... ღმერთი მწამდეს და ეშმაკსაც გუნდრუკს უკმევდეს, ესეც ჰქონდეს და სხვასაც ეძებდე". გაორებული კაცის ფილოსოფია და ფსიქოლოგია სძაგს, არ სწამს მწერალს და მას მთელი სისასტიკით ამხელს.

სერგო კლდიაშვილის ნოველებში მკაცრად არის მხილებული ის ადამიანებიც, რომლებთაც თავისი ნამდვილი სახე დაუკარგავთ, განდიდებულან და გაბღენძილი დადიან. მწერალი ამხელს ამ პატარა ჩინოვნიკებს, რომელთაც არაფერი

აქვთ საერთო ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებთან, ნამდვილ საბჭოთა მოსავსახურეებთან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნოველა „აპრილის საიდუმლო“.

მუდამ მშვიდი და ზედმეტად მორიდებული ესტატე მეგობარს ამბავს უყვება. ამბავი შეეხება ერთი მისი ნაცნობის საქციელს. ესტატე მეგობართან ერთად შესტრფის აპრილის მშვენიერ დილას, გამთბარ მიწაზე ყველა და ყველაფერი სიცოცხლის ხალისს რომ განიცდის. სიცოცხლის განახლებით გახალისებული ხალხი ხარობს, ხარობს ესტატეც. „მახარებდა თბილისის მარადი ახალგაზრდობა, ყოველი მისი ახალი ხე, სახლი, ქუჩა, მოფუსფუსე ხალხი. ყოველ ჭერქვეშ ათასნაირი ვნება, შრომა, ზრუნვა, სიხარული—და ყველაფერი ეს სიცოცხლისათვის, ამ იშვიათი და ბედნიერი ნიჭისათვის! შეუძლებელია, რომ დღეს აპრილის ამ მადლიანი მზის ქვეშ მთელ ქალაქში მოიძებნოს ვინმე ბოროტი და სიცოცხლის მძრახველი. დღეს ყველა კეთილია. დღეს ყველა ამაღლებულია!“ ასე ოცნებობდა ესტატე.

ამ დროს მას შემოხვდა მისი ძველი ნაცნობი აფაკო ინწკირველი, რომელსაც ბავშვი მოჰყავდა. მას წინათაც იცნობდა. თანამდებობის კაცი იყო... ერთხელ წამსახურში ესტუმრა რაღაცის სათხოვნელად. აფაკომ ცხვირი აუბზიკა მეგობარს, გაწბილებული გამოისტუმრა. აი ახლა ეს კაცი საოცრად გამოცვლილი ეჩვენა, მიესალმა, მიუალერსა მეგობარს. უსაყვედურა, რატომ არ მოდის მასთან და არ ნახულობს. ესტატემ მეგობრის ეს საოცარი მეტამორფოზი აპრილის დილას მიაწერა. გამოირკვა, რომ ერთი კვირაა, რაც მისი მეგობარი მოხსნილი ყოფილა სამსახურიდან და სადღაც დაბალ სამუშაოზე გადაუყვანიათ... „აი, თურმე რაში ყოფილა აპრილის საიდუმლოება“.

ასე ამხელს მწერალი თანამდებობისაგან გამედიდურებულ ადამიანებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პატიოსანი ადამიანების ბუნებასა და ხასიათთან.

მწერალი შესტრფის სიცოცხლითა და ცხოვრების სიყვარულით სავსე ადამიანებს, ხოლო მანკიერებს, ხელმოცარულებს, „ფუტლარის კაცებს“, სერგო კლდიაშვილის აზრით, არაფერი აქვთ საერთო ჩვენს მღელვარე, მშფოთვარე ცხოვ-

რებასთან („სარდიონ შოშიას ვნებანი“, „ბნელ ღამეში“, „მთვრალი ლანდი“). ამ მხრივ საინტერესოა კიდევ ერთი ნოველა — „კარაბადინი“.

ნოველის გმირს პარმენ კვირიას ეშინოდა ადამიანის, ეშინოდა მზის, ღრუბლის, ღამის. ერთადერთი, რასაც ენდობოდა, ეს იყო ნადუღარი წყალი. შერჩა მხოლოდ მისთვისაც გაურკვეველი წადილი: ეცოცხლა, მხოლოდ ეცოცხლა, ესუნთქა ჰაერი, ეყლაპა, საკუთარი გულის ძგერა ეგრძნო. ხომ ცოცხლობენ, მაგალითად, ჭია, მუდო, მახრა, მწერი. მაგრამ „ფუტლარის კაცი“ არაფერმა იხსნა. პარმენ კვირიას ცხოვრება არ უყვარდა, მაგრამ რაღაც უცნაურად ებღაუჭებოდა მას. მუდამ შიშში იყო, რომ სიცოცხლე არ მოსწრაფებოდა. მწერალი ადამიანის ასეთ უშინაარსო ცხოვრებას დასცინის, მასში არავითარ აზრს არ ხედავს და იქვე უმატებს:

„საკვირველი ამბავია, ვისაც ცხოვრება ნამდვილად უყვარს და სურს, კარგი და გონიერი გახადოს თავისთვის და სხვისთვისაც, თავი არ ეზოგება. საკუთარი სიცოცხლე ხშირად სასიკვდილოდ გამეტებული აქვს. საოცარია, მაგრამ შიში სიკვდილის წინაშე უფრო ხშირად იმ ადამიანს აქვს, ვისაც თავისი და სხვისი ცხოვრება ფუჭად მიაჩნია“.

მწერალს უყვარს ადამიანები, რომელთაც დიდი გული აქვთ და დიდი რწმენა გააჩნიათ, ადამიანები, რომლებიც შრომობენ და იღვწიან ერის, ხალხის კეთილდღეობისათვის, აშენებენ ახალ ცხოვრებას, სიხარულით დადიან ამ მიწაზე, ხოლო ჭირისდღესავით სძულს სევდით შეპყრობილი მიზანტროპი, გულგამოხრული ადამიანი. მაგრამ მწერალს გული შესტკივა მათს ბედზე და გარკვეული ჰუმანიზმით გვიხატავს ამ ადამიანების განწირულ სულისკვეთებას.

* * *

სამამულო ომის თემა ვრცლად არის გამოხატული სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნოველა „ერთი მოხუცის ამბავი“. აქ აღწერილია უკრაინელი მოხუცი ნიკიტას გმირული თავგადასავალი. მოხუცებული უკრაინელის ოჯახი გააუბედურა ფაშისტურმა

გერმანიამ. სოფელი, სადაც ნიკიტა ცხოვრობდა, გერმანელებმა დაიკავეს, ცეცხლის კვამლი ასდიოდა გადაბუგულ სოფელს. ხალხი სოფლიდან გაიხიზნა, მაგრამ ნიკიტამ ავადმყოფი მეუღლე ვერ მიატოვა, სამი დღის წინათ, როცა გერმანელი ფაშისტები სოფელს უშენდნენ, ყუმბარის ნატეხმა მის მოხუც ცოლს მკლავი მოჰგლიჯა. ორი დღე ებრძოდა ის სიკვდილს. დაღუპული ცოლი მარტო ნიკიტას უნდა დაემარხა, რადგან სოფელში აღარავინ იყო დარჩენილი. სამარე იქვე სახლთან გათხარა. მიცვალებული ზეწარში გაახვია და სასოებით ჩაასვენა მიწაში. ახლა მოხუცი კაცი ზიზღით შეჰყურებდა საზარელ მტერს, ერთადერთი გრძნობა, რომელიც მასში ცოცხლობდა, ეს იყო სამაგიეროს გადახდა, შურისძიების გრძნობა. სწორედ ამ დროს ნიკიტამ თვალი მოჰკრა გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც მოულოდნელად შეჩერდნენ ამ მოხუცი კაცის წინაშე. ვინაობა გამოჰკითხეს და შემდეგ თითქოს ეშმაკურად მოუალერსეს. ჰკითხეს, სად იყო სოფლის ახლოს აეროდრომი. ნიკიტა დაფიქრდა, ერთბაშად გონს მოვიდა და გერმანელ დამპყრობლებს შეჰპირდა, ეჩვენებინა აეროდრომი და იქ ჩაფლული ბენზინის მარაგი. ოღონდ მოხუცმა გააფრთხილა, გარშემო პარტიზანები არიან და ერთი ასეული დაგვჭირდება ამ საქმისათვისო. როდესაც ნიკიტა ჯარისკაცებს უყურებდა, ფიქრობდა, კარგი ბიჭები არიან, ცუდია მხოლოდ ის, რომ ერთმანეთს ვხოცავთ. ღმერთმა ქვეყანა დიდი გააჩინა, ყველას გვეყოფა ადგილი, მაგრამ რაკი გააბოროტეს მოხუცი და მისი თანამემამულეებიც, მათ სამაგიეროს გადახდა იციან. დე, ეს გაიგონ გერმანელებმა, — გაიფიქრა მოხუცმა კაცმა, — ისინი ტყის ბილიკით მიიყვანა იქ, სადაც ეგულებოდა მიწაში ჩაფლული ბენზინის საცავი. როცა მის გარშემო თავი მოიყარა დამპყრობელთა ასეულმა, მაშინ ასანთი გაჰკრა და ერთბაშად იქაურობა კვამლმა დაჰფარა. ასე მთავრდება ეს ტრაგიკული ამბავი: „შავი კვამლის ვეება ბურთი ერთ ხანს მაღლა მიიწევდა, მალე ისიც გაჰქრა და ისევ მოწმენდილი ცა გამოჩნდა. მწვანე ბუჩქების ადგილას მხოლოდ გადარუჯული ხრიოკი დარჩენილიყო. მიწაზე ეყარა იარაღი და შავ კუნძებად ქცეული გვამები. სიჩუმე

იდგა ტყეში, ფოთლებისაგან გაცლილ ტოტებში ბრწყინავდა მზე და შორიდან ისევ კოდალას კაკუნი ისმოდა".

უკრაინელმა მოხუცმა სამაგიერო გადაუხადა იმათ, ვინც უკრაინას და მთელ საბჭოთა კავშირს აოხრება, სიკვდილი და უბედურება მოუტანა. ასე შეეწირა გმირულად მოხუცი სამშობლოს დაცვის ინტერესებს, მამულისათვის თავდადების გრძნობას. ეს ერთ-ერთი გმირული სახეა იმ მილიონობით ვაჟკაცთა და მეომართა შორის, რომელთაც თავი დასდეს მამულისათვის, გაუმკლავდნენ ფაშისტურ არმიას და იხსნეს ჩვენი სამშობლო დამონებისა და გაჩანაგებისაგან.

მოხუცი ნიკიტას სახე ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება, როგორც მამულისათვის თავშეწირული რაინდი. მისი საგმირო საქმე სამამულო ომის წლებში ყველას ჩააგონებდა, შური ეძია, სამაგიერო მიეზღო იმისათვის, ვინც ნამუსი ახადა ჩვენს ქალებს, ვინც გადაწვა ჩვენი აღორძინებული ქალაქები და სოფლები, ვინც დახოცა უდანაშაულო ბავშვები.

ასე აქცია სერგო კლდიაშვილმა ეს კონკრეტული მოხუცი გმირი კაცის სახე განზოგადებულ, ამაღლებულ ზოგად ტიპად, რომელშიაც ნათლად იყო გამოვლინებული საბჭოთა ადამიანების გაუტეხელი ნებისყოფა, შეუდრეკელი ვაჟკაცობა და დაუმორჩილებელი სული.

* * *

სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ახალი რევოლუციური სინამდვილის დაბადებას, საბჭოთა საქართველოს ახალი ცხოვრების დაწყების ფურცლებს. იმ ნაწარმოებთა შორის, რომელთა თემა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაა, უნდა აღინიშნოს პატარა ნოველა „ზღვისპირეთის გაზაფხული".

აქ აღწერილია 1921 წელს ბათუმში შექმნილი მდგომარეობა. მენშევიკების მთავრობა საქართველოდან გაიპარა. ისინი ტოვებენ ბათუმს. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს თურქეთის ასკერებმა და ქალაქი დაიკავეს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა წითელი არმია და იხსნა ბათუმი ველურ დამპყრობელთაგან. ამ ფონზე აქვს მწერალს გამოხატული

იმდროინდელი ბათუმის საზეიმო სულისკვეთება. ხალხი წითელარმიელებს მხურვალედ მიესალმა.

„გაუმარჯოს ახალ საქართველოს, — გაიძახა ქუჩაში ვიღაცა მოქალაქემ და ქუდი ჰაერში აისროლა. ამ ხმას მრავალი აჰყვა. იმ წუთიდან იმედმაც გაიღვიძა... იმ დღიდან ზღვისპირზე ახალი საქართველო ხარობდა“.

უფრო დაწვრილებით და საინტერესოდ ეს თემა მოცემულია ს. კლდიაშვილის რომანში, რომელსაც მწერალმა „მყუდრო სავანე“ უწოდა.

ამ რომანს განსაკუთრებული ადგილი უკავია ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში. იგი წარმოადგენს 30-იან წლებში დაწერილი „პროვინციის მთვარის“ საფუძვლიან გადამუშავებას, უნდა აღინიშნოს, რომ „მყუდრო სავანეში“ ისე არსებითად გადამუშავებულია, იმდენად ამაღლებულია და გავრცელებული მხატვრული პასაჟები, მოქმედ პირთა ხასიათები, მოტივები იმასთან შედარებით, რაც „პროვინციის მთვარეში“ იყო მოცემული, რომ იგი საკმაოდ დამოუკიდებელი ნაწარმოებია.

„მყუდრო სავანეში“ აღწერილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები, თებერვლის დღეები, დამარცხებული მენშევიკების მთავრობა უცხოეთში გარბის, მენშევიკების გვარდია თბილისს ტოვებს. ასევე გარბის თბილისიდან ფეხისხმასაყოლილი, ახალის მოლოდინით გაბრუებული, ვითარებაში გაურკვეველი ზოგიერთი ადამიანი. ზოგი ნათესავებში ეძებს მყუდრო ადგილს, ზოგი შორეულ ქალაქებსა და რაიონებში პოულობს თავშესაფარს. რომანის ექსპოზიციაში ვეცნობით მამა-შვილს ირინე და გიორგი თუხარელებს, რომელთაც თბილისი დაუტოვებიათ. ქურქებში შეფუთვნილი ეს ორი ადამიანი ერთ პატარა ფურგუნზე მოკალათებული კალათებით, ჩემოდნებით, მაფრაშებით დასავლეთ საქართველოსკენ აიღებს კურსს, ლიხის მთას გადალახავს და იმერეთის ერთ პატარა დაბაში, ქალაქ პატარხევში ქარხნის მეპატრონე სიმონ ბეროშვილს შეეკედლება.

სიმონ ბეროშვილს, თავის მხრივ, სახელდახელოდ შეუკრავს ორიოდე ჩემოდანი და მენშევიკების მთავრობის ვაგონს ელოდება, რათა ისიც გაიხიზნოს უცხოეთში. ასეთ ვითარებაში ქარხნის მეპატრონე სიამოვნებით უტოვებს ოთახს თუ-

ხარელებს, ხოლო ბინას მოსავლელად აბარებს ვიღაც მებუ-ფეტე ქალს კატოს, რომელსაც დიდი ხანია შერთვას პირდე-ბოდა ღვინის ვაჭარი. ასეთია რომანის ექსპოზიცია.

ასე შეეყავართ ავტორს იმ რთულ პოლიტიკურ ვითარე-ბაში, რომელიც თებერვლის დღეებში შეიქმნა საქართველო-ში. ჩვენ ვგრძნობთ, თუ როგორ მოუსპო მყუდრო სავანე ყველა ბატონს, ყველა დიდკაცს, ყველა მუქთამჭამელს თე-ბერვლის დღეებმა. შიშისა და დაღუპვის გრძნობით შეპყრო-ბილი ეს წარმავალი ადამიანები ცახცახებენ რევოლუციის მრისხანე კანონის წინაშე. მეორე მხრივ, მწერალი გვიხატავს საკმაოდ ვრცელ სურათს, თუ როგორ ეგებება ხალხი ახალ მთავრობას, „ხალხის ხელისუფლებას, როგორც პატარხევში გაიძახიან მშრომელები“, თუ როგორ უდგება სათავეში ხე-ვისდაბას რევოლუციური მთავრობა, თუ როგორ იწყება ახა-ლი დღეები, გამთბარი რევოლუციის მიერ მოტანილი დიდი რომანტიკით. რევოლუციამ მიანიჭა ბრწყინვალება და ეშხი პატარხევს, განახლება და აღორძინება დაიწყო, ახალი ქარხ-ნების, სახლების ხარაჩოები აღიმართა. დაიწყო მღელვარე ცხოვრება აღსავსე ახალი მშენებელი ადამიანების დიდი რწმენითა და სიხარულით. მწერალი ამ რთულ ვითარებაში გადმოგვცემს, თუ როგორ დაჰკარგეს მყუდროება და მოს-ვენება მუქთახორებმა, ექსპლოატატორებმა და როგორ ჩაებ-ნენ ცხოვრების ფერხულში მშრომელი ადამიანები, ბატონი და პატრონი ამ ახალი ცხოვრებისა.

არსებითი გარდატეხა ხდება ადამიანების შეგნებაშიაც. ყველა პატიოსანი და კეთილი ადამიანი რევოლუციის მხარე-ზეა, გზააბნეული ადამიანებიც კი, ვისთვისაც რევოლუციის პირველი დღეები გაუგებარი იყო, თანდათანობით ერკვევიან ვითარებაში და რევოლუციის მხარეზე დგებიან. ახლა თუხა-რელებიც ნანობენ, რომ დატოვეს თბილისი და ფეხის ხმას აჰყვნენ. შვილთან დიალოგში გიორგის სინანულით აღმოხ-დება: „მგონია ავჩქარდით, მგონი შევცდით... ხელისუფლება გამოიცვალა, მაგრამ იქ ხომ იგივე ხალხი დარჩა? ასე არაა, ირინე?“ მწერალი ამ რეპლიკით გვანიშნებს ამ კეთილი და პატიოსანი ძველი იურისტის, მძიმე სულისკვეთებას და შემ-დეგ ჩვენ მართლაც ვხედავთ რომანში, თუ რა მძიმე ფასად

დაუჯდა თუხარელების ოჯახს თბილისიდან გაქცევა. მწერალი გიორგის სახით საკმაოდ განზოგადებულად გვიხატავს ისეთ ინტელიგენტს, რომელიც პატარხევის მაგალითზე სულ მალე დარწმუნდა ახალი ცხოვრების სიმართლეში და გულწრფელად მიემხრო მას.

„მყუდრო სავანის“ მთავარი მოქმედი გმირებია სიმონ ბეროშვილი და ირინე თუხარელი. ისინი აღზრდით, განათლებით, ფსიქოლოგიით, რწმენით სრულიად განსხვავებული ადამიანები არიან, მაგრამ ვითარების შედეგად გზადახლართული ირინე ეგოისტი, გაიძვერა და ქონების მომხვეჭელი სიმონ ბეროშვილის კლანჭებში მოექცევა. როგორც უკვე ვთქვით, სიმონ ბეროშვილი პატარხევის ღვინის ქარხნის მეპატრონე — რევოლუციას ძრწოლვით შეხვდა და გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ შემთხვევით დარჩა პატარხევში. ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლებში ეს წურბელა ვაჭარი ისევ თავისი ღვინის ქარხანას დაუბრუნდა და მდიდრდება, ჯიბეს ისქელებს, გავლენიანი კაცი ხდება. მისი ღვინის ქარხნის აბრას დიდი ასოებით ეწერა: „ახალი კონკორდია“, ამის ქვემოთ უფრო პატარა ასოები — „ღვინისა და კონიაკის ქარხანა სიმონ ბეროშვილისა“, ხოლო სულ ძირში კიდევ უფრო პატარა ასოებით „ფირმა, დაარსებული 1917 წელს“. ქარხნის მეპატრონე, გაიძვერობითა და გაქნილობით გამდიდრებული ვაჭარი ახალი ეკონომიკის პირველ წლებში თავს ისე არ ხეინად გრძნობს, რომ რიხიანად აცხადებს: „თქვენ არ მომიკვდეთ, — ეუბნებოდა სიმონი გიორგი თუხარელს, — არც სულ დასაწუნი ყოფილა ეს ახალი წყობილება, თურმე ტყვილად გვშინებია, ამ ორომტრიალში თუ ვისმეს რაიმე ემწარა, ეს არაფერს ნიშნავს, სიმართლე გითხრათ, ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ჩემი საქმე გაკეთდეს, მთავრობა კი როგორიც უნდათ ისეთი ყავდეს, პოლიტიკაში მე არ ვერევი, ეს ჩემი საქმე არ არის... მართალია, ცოტა მამლაყინწობენ, მაგრამ არა უშავს რა, პირველ ხანებში ეპატიებათ, შემდეგ თითონაც მოეწყინებათ, გული დაუმშვიდდებათ და თვითონაც დაამდებიან...“ მაგრამ ქარხნის მეპატრონე ანგარიშში მოტყუვდა. საბჭოთა ხელისუფლება. დაუზოგველად უმასპინძლდებოდა ყოველ

პარაზიტს, ყოველ მუქთახორას, ყოველ ვაჭარსა და მევახშეს. და აი, დადგა სიმონ ბეროშვილის აღსასრულიც. პატარხევში ახალი ღვინის ქარხნის მშენებლობა დაიწყეს. სიმონ ბეროშვილს მისი მთავარი აგრონომი ბეგლარ თაბაგარი წაართვეს და თბილისში კურსებზე გაგზავნეს. ბეროშვილი გრძნობს, რომ მის პარპაშს ბოლო ეღება. ის უკვე წუწუნს იწყებს: „როგორადაც კი მოეხერხება, ხელ-ფეხს მიბორკავენ. ადგილობრივ მთავრობაზე მოგახსენებთ... საშუალებას არ მაძლევენ, ჩემს ნებაზე ვიმუშაო“.

მაგრამ ბეროშვილის პარპაშმა სოფლად მაინც საკმაო ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მოახერხა მან ხელთ ეგდო 19 წლის ირინე თუხარელი. მწერალი დაწვრილებით აღწერს იმ გაიძვერულ ხერხს და უპატიოსნო გზას, რომლითაც აღწევს ბეროშვილი თუხარელის ხელში ჩაგდებას. აქ რომანს მეორე სიუჟეტური კვანძი მისდევს.

ირინე თუხარელს მენშევიკების გვარდიის ახალგაზრდა ოფიცერი გივი უყვარდა. გივი მენშევიკების მთავრობას მიაცილებს და გზად შეხვდება თბილისიდან გაპარულ ირინე თუხარელს. შემდეგ ის პატარხევში ჩამოდის და აქ ირინეს საბოლოოდ ეფიცება სიყვარულს. ირინე პირობას მისცემს გივის და თბილისში ბრუნდება. აქვე ჩამოდის სიმონ ბეროშვილი, რომელსაც გადაუწყვეტია ქარხნის მოწყობილობა შეიძინოს და ამისათვის საჭირო ფულს უცხო ვალუტების სახით, თბილისში წამოიღებს. ამ ფულს იგი უტოვებს ირინე თუხარელს. სწორედ ამ დროს ირინესთან მისი სატრფო გივი მოდის.

გივი ახალ ცხოვრებაზე გულაყრილი, უცხოეთში გაქცევაზე ფიქრობს, მენშევიკების გვარდიის ეს ყოფილი ოფიცერი თავის უკმაყოფილებას ამჟღავნებს და უცხოეთში გაპარვაზე ესაუბრება ირინეს. ამასობაში იგი სიმონ ბეროშვილისაგან მიბარებულ ვალუტას ხელთ იგდებს და გარბის. შემდეგ კი ირინეს სწერს: „მე ვიცი რა მდგომარეობაში ჩაგაგდე, მაგრამ შენ უნდა აიტანო ყველაფერი ეს, მე დიდი ხანია ვოცნებობდი, მეშოვნა უცხოეთში გასაქცევი ფული. მე არ მინდა და აღარ შემიძლია აქ დარჩენა. ვეჭვობ, რომ ოდესმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. მე მივდივარ დიდ რისკზე

და შესაძლებელია უეჭველ სიკვდილზე. მაგრამ მე ეს არ მაშინებს, სხვაგვარად აღარ შემიძლია, არ დაგიფარავ, არაფრის რწმენა აღარ მაქვს. მე დავკარგე არა მარტო რაიმე რწმენა, საკუთარი სულიც". ეს რწმენადაკარგული ადამიანი რომანში უფრო და უფრო შიშვლდება. ირკვევა, რომ ის ბოლო ხანებში კაზინოში სიარულს დაეჩვია — იქ დაუახლოვდა ვიღაც ბერძნის ქალს, მერე მას ფული და ძვირფასი ნივთები მოსტაცა. ამრიგად, გივი ბოროტების, მძარცველობის, ქურდობის გზაზე დამდგარა. ირინე ამ ნიადაგმორყეული გვარდიელი ოფიცრის მსხვერპლი ხდება. იგი იძულებულია გივის მიერ მოპარული ფულის ფასად თავისი თავი ბეროშვილს მიჰყიდოს.

თუ ადრე ირინეს ღვინის ვაჭარი ბეროშვილი ეზიზღებოდა, ფულის დაკარგვის შემდეგ უსიტყვოდ, დიდი სულიერი ტრავმის გადალახვით ბეროშვილს ცოლად გაჰყვება. რომანში ჭწერალი აღწერს ირინე თუხარელისა და სიმონ ბეროშვილის უშინაარსო ოჯახს, რომელიც ჭწვავე კონფლიქტით მთავრდება. ახალი ცხოვრებისაგან შევიწროებული ბეროშვილი ფანიარაღების შიშით შეძრწუნებული, ცოლს უსინდისოდ ცილს წამებს. ყოველივე ამის მსხვერპლი ხდება გიორგი თუხარელი, ხოლო ირინეს ეს გარემოება ღრმად ჩაახედებს ცხოვრების არსში.

ირინემ ნათლად დაინახა ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ბეროშვილისა და მისი მსგავსი ადამიანების უნამუსობა და აღვირახსნილობა. ამ არამზადა ადამიანების მსხვერპლი გახდა ირინეს მამა. თითქოს ეს მსხვერპლი იყო საჭირო, რომ ირინეს უფრო ღრმად დაენახა მომავლის გზა, და ეს გზაც დაისახა ირინესათვის. ეს უკვე ბეროშვილმაც შეამჩნია. „ბეროშვილს ბოლმა ახრჩობდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ირინე, რომელსაც ახლა ხედავდა, სულ არ ჰგავდა იმ ქალს, რომელსაც აქამდე იცნობდა. არა, ეს ვიღაც სხვა იყო, გაბედული, ზვიადი, მოუხრელი. არაფერი მსგავსი ივ ირინესთან. იდგა და ბურანში გახვეული მიშტერებოდა ამ მოულოდნელობით მონუსხული". ასე გაეყარა საბოლოოდ ირინეს გზა ღვინის ვაჭრის გზას, წარსულის გზას. ასე დაიწყო მის შეგნებაში მომავლის გზის ძიება. ირინემ მძიმე მსხვერპ-

ლი გაიღო და ამ მსხვერპლით თითქოს განიბანა კიდევაც, გადახალისდა, გონება გაეხსნა და მტკიცე რწმენით ახალი ცხოვრების გზას დაადგა. „ირინემ იცოდა, რომ სამუდამოდ ტოვებდა ამ ადგილს. იცოდა ისიც, ახლა აქედან მისი წასვლა იყო არა დაბრუნება წარსულისაკენ, არამედ პირველი წუთები ახალი ცხოვრებისა, რომელიც ხვალიდან იწყებოდა.

და ირინე შეშფოთებით კი არა, იმედით და რწმენით ეგებებოდა მას. ცხოვრება ხომ არავის ზურგს არ შეაქცევს, ვინც პატიოსნად გაუწვდის ხელებს. მაშინ ის, როგორც კეთილი მეგობარი, გაგიღებს კარებს და თავის კერასთან გაგათბობს“. ჰუმანისტმა მწერალმა იცის, რომ ირინესათვის ეს ახალი კერა საბჭოთა საქართველოა, საბჭოთა ადამიანების დიდი ოჯახი...

სამწუხაროდ, მოთხრობაში არ არის ნაჩვენები ირინე ამ ახალი ცხოვრების აქტიური მშენებლის როლში, მაგრამ ის სულიერი გაბრძოლება, ის მტკიცე გადაწყვეტილება და რწმენა, რომლითაც გაეყარა ირინე ძველს და მივიდა რევოლუციასთან, მკვეთრად გვაგრძნობინებს, რომ მისი ხვალინდელი დღე, მისი ცხოვრების გზა რევოლუციის გზასთან განუყრელი იქნება. ს. კლდიაშვილი მშვიდი ლირიკული ტონებით გვიხატავს ირინეს ხასიათში რევოლუციური შეგნების დაბადებას.

რომანის თავისებურება ისიც არის, რომ ავტორი დიდ რევოლუციურ ძვრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, გვიხატავს არა ხმაურითა და მრისხანე სიტყვებით, არამედ ფსიქოლოგიური სიმართლითა და ლირიკული ტონებით.

„მყუდრო სავანე“ ვრცლად ასახავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს. აქ ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა პროფესიისა და მიზნების ადამიანებს — ზოგს კეთილს, ზოგს ბოროტს: ერთი მხრივ, წყნარ, მშვიდ და კეთილ აფთიაქარ ბეგლარ სავანელს, ბუკინისტ არაბიძეს, მეორე მხრივ, კაპასს დიასახლისს კატოს, რომლის განწირული ტრფიალება და მიჯნურობა სიმონ ბეროშვილთან კომიკურ სიტუაციებსა და მდგომარეობაშია გამოხატული. ამ ადამიანების ხასიათში ვრცლად ჩანს იმ-

დროინდელი პროვინციის სახე. აქვეა პროვინციელი არტისტი, მოქეიფე ჟანო ჟანაძე.

რომანში ცხოვლადაა წარმოდგენილი ახალი სოციალისტური საქართველოს პირველი მშენებლები, დიდი რომანტიკით და რწმენით გაცოცხლებულნი მწერლის მიერ, ესენია: პატარხევის საბჭოს თავმჯდომარე სამადაშვილი, არქიტექტორი ელიზბარ კორინთელი და სხვები. ს. კლდიაშვილმა დაგვიხატა ის რთული პოლიტიკური ვითარება, რომელიც იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში, რაც მთავარია, მწერალმა ნათლად დაინახა, რომ ახალ საქართველოს მშენებელს, ამ მომავლის დიდი რწმენის ადამიანებს, ემხრობოდა ყველა, ვისაც სწამდა საქართველო და მისი მომავალი. ეს რწმენა იყო ის ძალა, რომელიც ქმნიდა რევოლუციური საქართველოს მღელვარე ცხოვრების დიდ ჰათოსს.

„მყუდრო სავანე" გვიზიდავს სიტყვიერი ქსოვილის რეალიზმით, ფრაზის სისადავითა და გამჭვირვალობით, მოკვეთილი დიალოგებით, დიდი სიმართლით და უშუალობით გამოხატული ხასიათებითა და ადამიანებით.

ს. კლდიაშვილმა „მყუდრო სავანე" გადააკეთა პიესად და ამავე სახელწოდებით დაიდგა იგი რუსთაველის სახელობის თეატრში. უნდა ითქვას, რომ მწერალმა ბევრი რამ შეცვალა პიესაში, ერთგვარად გააფართოვა მოქმედ პირთა ხასიათი და მეტი აქცენტირება გაუკეთა კონფლიქტს ირინე თუხარელსა და სიმონ ბეროშვილს შორის. მან ზოგი ახალი მოქმედი პირიც შემოიყვანა, მაგრამ რომანის ძირითადი კონცეფცია და მისი პოეტური სული უცვლელად დატოვა. ამისდა მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ პიესაში უფრო მოიგო ხასიათებმა, რომლებსაც რომანში ვხვდებით. ჩვენი აზრით, რომანი მაინც უფრო ნათელ და ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გაჩნდა. ჩვენმა პროზაიკოსმა რმდროინდელი საქართველოს სურათი ლირიკული ინტონაციებითა და მდიდარი პოეტური საღებავებით გადმოგვიშალა.

* * *

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ს. კლდიაშვილი თანამედროვე მხატვარია, თანამედროვე მღელვარე ცხოვრების ამსახველია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის შემოქმედებაში არ იყოს გამოხატული ჩვენი ხალხის გმირული შორეული წარსული.

ს. კლდიაშვილმა ისტორიულ თემაზე რამდენიმე მოთხრობა და ნოველა შექმნა. მათ შორის ფრიად საინტერესოა ნოველა „ერისთავი ცოტნე". ამ პატარა ნოველაში მძაფრადაა გამოხატული ხალხის ხსოვნაში ლეგენდად შემონახული ცოტნე დადიანის გმირული საქციელი. როგორც ცნობილია, ეს ლეგენდარული გმირი პირველად ჩვენს ლიტერატურაში დიდი მხატვრული ძალით გააცოცხლა აკაკი წერეთელმა პოემა „ნათელაში". ძნელი იყო ამის შემდეგ ჩვენი დროის მხატვარი კვლავ მიბრუნებოდა ზემოხსენებულ თემას, მაგრამ, უნდა ითქვას, ს. კლდიაშვილის მიერ დახატული ცოტნე დადიანის სახე ფრიად ორიგინალური და დამახასიათებელი ახალი მხატვრული სახეა.

ნოველაში აღწერილია ცნობილი ლეგენდა: „უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულმა ქართველებმა ცეცხლს მისცეს ჩვენი დედაქალაქი თბილისი და მთებში გაიხიზნენ. დედოფალმა რუსუდანმა იმერეთს შეაფარა თავი, მაგრამ მცირე ხანს იცოცხლა. უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებსა და ქალაქებში თათართა რაზმები დათარეშობდა. დამარცხებული ხალხი კვლავ ემზადებოდა მტრის წინააღმდეგ საომრად და იმედს არ კარგავდა. ამერ-იმერის ერისთავები ბოლოს კოხტასთავს შეიკრიბნენ და აჯანყებისათვის დაირაზმნენ. დანიშნულ დღეს დადიანიც გამოცხადდა თავისი ლაშქრით. მეომრები მან სამცხის საზღვარზე მიიყვანა და შეთქმულების დანარჩენ მეთაურებთან შიკრიკები დაგზავნა. გამოირკვა, რომ შეთქმულთა მეთაურები შეეპყროთ და ანიჩის მხარეს შირაკავანში გიეგზავნათ. შეწუხდა ცოტნე დადიანი, მაგრამ ერთბაშად გადაწყვიტა თვითონაც შეერთებოდა ამ მეთაურებს, ან თავისიანები დაეხსნა, ან მათთან ერთად მომკვდარიყო. შეთქმულები ერთპირად უმტკიცებდნენ თათართა მხედართმთავარს — შევიკრიბეთ იმისათვის, რომ აგვესრულებია ვალდებულება,

რომელიც თქვენ დაგვადეთ ხარკის სახითო. მხედართმთავარმა არ ირწმუნა მათი ჩვენება და დანიშნა საჯარო წამება. ამ დროს ცოტნე დადიანმა თავისი ორი მხლებლით გაარღვია ალყა და ქართველ შეთქმულებს შეუერთდა. მანაც იგივე განიმეორა, რასაც შეთქმულნი ამტკიცებდნენ. ახლა კი ირწმუნა ეს თათართა მხედართმთავარმა და ბრძანა, გაენთავისუფლებინათ ისინი". ნოველა ასე თავდება: „განთავისუფლებული ერისთავები მალე გამოემართნენ სამშობლოსაკენ, ისევე გაიღვიძა ქვეყნის დახსნის იმედმა. მაგრამ ამ სიხარულს ერთი ჩრდილი ეფინა. მათთან ერთად ვეღარ დაბრუნდა ერისთავი ცოტნე. თათართა მეთაურმა ყოველ შემთხვევისათვის მძევლად დაიტოვა იგი და შემდეგ ყაენთან ურდოში გაგზავნა".

ასე აცოცხლებს ავტორი ლეგენდარული ცოტნე დადიანის ხასიათს, ასე ამაღლებულად გვიხატავს ამ პატრიოტი პიროვნების საქციელსა და რაინდულ თავდადებას სამშობლოსათვის.

ისტორიული თემა უძევს საფუძვლად, აგრეთვე, სერგო კლდიაშვილის ნოველას „ციცინო გურიელი". აქ აღწერილია, თუ ქალაქიდან გაქცეულმა რევოლუციონერმა ნიკოლამ როგორ შეაფარა თავი გურიელის ოჯახს, სადაც მას მისი თანატოლი და მეგობარი დიმიტრი ეგულებოდა. დიმიტრიმ სიყვარულით მიიღო მეგობარი, დააბინავა სახლში, მაგრამ ეს ის დროა, როდესაც დიმიტრი გურიელს მშობლები ურჩევენ, ქართულ მილიციაში ჩაეწეროს და ებრძოლოს აჯანყებულ სოფელსა და ემსახუროს რეაქციას. ამასობაში ციცინოს შეუყვარდა ნიკოლა. სახლში დაბრუნებულმა მამამ რომ გაიგო ეს, შეურაცხყოფად მიიღო. მწერალი კარგად გვიჩვენებს, თუ რა შეურიგებელი და დაუნდობელნი იყვნენ თავისი კლასობრივი ინტერესებითა და გრძნობებით ეს ძველი ფეოდალები რევოლუციონერებისა და მოწინავე აზრის ადამიანების წინააღმდეგ. მათი მეგობრობაც კი მოჩვენებითი იყო. აკი დიმიტრი გურიელმა თავისი მეგობარი და ამხანაგი ნიკოლა არ დაინდო და ეს რევოლუციონერი ღალატით მოკლა.

ისტორიული ხასიათის ნოველებია აგრეთვე „ძველთაძველი ამბავი" და „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი", დირბის ბატონი გარსევანი (ნოველა „დირბელი მოყმის ამბავი")

თემურ-ლენგის მიერ აოხრებულ თავის სახლკარს აღადგენს და შვილს რუსუდანს უნერგავს ტრადიციულ ერთგულებას ეკლესიისადმი. გარსევანს მეგობარი ზაზა დიდად უყვარს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ მაქებარი და მოყვარულია, აკრიტიკებს მას და ეკლესიისადმი ურჩობაში სდებს ბრალს. სწორედ ზაზას სტუმრად ყოფნის დროს ირკვევა, რომ დირბის ბატონის ქალიშვილი რუსუდანი ასევე, თურმე, ჩუმად ოთახში ჩაკეტილი, ღამღამობით შინაყმა გოჩას ჩაგონებით იზეპირებს „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ სტრიქონებს. შეურაცხყოფილი დირბელი ბატონი მზად არის შური იძიოს ურჩ შინაყმაზე და ქალიშვილზე. ამ ისტორიულ დეტალში ავტორს კარგად აქვს ხაზგასმული ეკლესიის მესვეურთა ამაო ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“, ამ უკვდავი წიგნის უკვდავ ავტორთან. ხალხი გულში იხუტებდა, ინახავდა, იზეპირებდა და ასე იზრდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების გმირული სულით.

* * *

ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დრამატულ თხზულებებს. აქ უნდა დავასახელოთ პიესები „ირმის ხევი“; „პატიოსნება“ („გმირთა თაობა“), „უკანასკნელი რაინდი“, თუ ამას მივუმატებთ რამდენიმე გადაკეთებულ პიესას უფრო ნათელი გახდება რა დიდი დრო და ენერგია მოანდომა მწერალმა დრამატურგიულ ჟანრს.

„ირმის ხევი“ სამამულო ომის სურათს ასახავს. ქართულ დრამატურგიაში ეს პირველი პიესათაგანია, რომელიც ომის მრისხანე დღეებში დაიწერა და რუსთაველის თეატრში დაიდგა. მოქმედება წარმოებს საქართველოს საზღვარზე ჩრდილოეთ ოსეთში. ეს ის დროა, როდესაც გერმანიის ფაშისტურმა არმიამ ჩრდილოეთ კავკასია დაიპყრო, ქალაქი ორჯონიკიძე აიღო და კავკასიის ჭაღარა მთებს მოადგა, საქართველოს საზღვრამდე შეაღწია. პიესაში სამამულო ომის ეს მძიმე ვითარებაა გამოხატული. საკითხი ასე დგას: მტერი კავკასიის მთებთან უნდა იქნას განადგურებული და უკუგდებული. ამ ოპერაციისათვის საჭიროა, ოსეთის N სოფელი

აჯანყდეს მტრის ზურგში, ირმის ხევში, კავკასიის ბილიკებში მტერს გადაუჭრას გზა და გაანადგუროს. დავალების შესასრულებლად საბჭოთა არმიის სარდლობა გზავნის შალვა საბაშვილს, პატრიოტ ქართველ კაცს. მას თან მიჰყვება მეგზურად იმ სოფლის მკვიდრი კოკაევი. საბაშვილი შეაღწევს მტრის ზურგში, ხოლო კოკაევი გერმანელებს ჩაუვარდება ხელში. სიკვდილმისჯილი კოკაევი გერმანელ ოფიცრობას პირობას აძლევს, თუ მას სიცოცხლეს აჩუქებენ, მონახავს და გერმანელებს ჩააბარებს ზურგში შეპარულ შალვა საბაშვილს.

შალვა საბაშვილი ახერხებს, ოსი დოლგად ფარანინის დახმარებით და მისი ქალიშვილის ასმათის თანაშემწეობით, დარაზმოს ოსების სოფელი და მოაწყოს ირმის ხევის ასაფეთქებელი სამზადისი, მიუჩინოს ამ საქმეს ასმათის მეგობრები — ოსი ახალგაზრდები. იგი მხოლოდ საბჭოთა სარდლობის ნიშანს ელოდება. მოსყიდული კოკაევი შალვას თავის სახლში გადაიყვანს, მეგობრობას და საერთო საქმისათვის თავდადებას უმტკიცებს, ხოლო შემდეგ სწორედ ოპერაციის დანიშნული დროისათვის, გერმანელებს მიჰგვრის შალვასა და ასმათს. შალვა სიცოცხლის ფასად ახერხებს ასმათის მეშვეობით სიგნალი მისცეს ხევის აფეთქებისათვის. მტერი გარეშოცვაში მოემწყვდა, საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა. ყველაფერი ეს პატრიოტ ქართველ საბაშვილს მთელ სიცოცხლედ დაუჯდა.

პიესაში საინტერესოდ არის გამოხატული პატრიოტი ჯარისკაცის, შეუდრეკელი მებრძოლისა და, ამავე დროს, უაღრესად სათუთი ადამიანის შალვა საბაშვილის რაინდული საქციელი და თავდადება სამშობლოსათვის. პიესაში ჩართული სამიჯნურო ეპიზოდი ოსი ასმათისა და ქართველი შალვასი მეტ სიმძაფრესა და დრამატიზმს ანიჭებს ნაწარმოებს. უნდა ითქვას, რომ სამამულო ომზე დაწერილ პიესებს შორის ეს ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებთაგანია.

პიესა „პატიოსნება“ („გმირთა თაობა“) კი გვიხატავს სამამულო ომის წინა წლების სოციალისტური მშენებლობის სურათს. კოლხეთის ჭაობის ამოშრობის ფონზე წარმოდგენილია სოციალისტური მშენებლობისათვის თავდადებულ ადამიანთა მეტად საინტერესო და კოლორიტული სახეები.

საბჭოთა პატრიოტი მუშაკის განზოგადებული სახეებია დიმიტრი გეგელია — კოლხიდმშენის დირექტორი და პარტკომის მდივანი — თედო. მათი დაუღალავი შემოქმედებითი შრომის ფურცლები პიესაში დახატულია მღელვარედ და საინტერესოდ. მწერალი ამ მოწინავე ადამიანებს უპირისპირებს სოციალისტური მშენებლობის მტრებს, უცხოეთის დაქირავებულ აგენტებს, მავნებლებს ანდრო კახიანისა და ლევანის სახით. პიესაში მეტად მძაფრ დრამატულ სიტუაციაშია გადმოცემული ინტრიგისა და მავნებლობის ხლართი, ერთი მხრით გულღვარძლიანობა და ბოროტება სოციალისტური მშენებლობის მტრებისა და, მეორე მხრივ, თავდადება და ერთგულება, გაუტეხელი ნებისყოფა და შეუპოვარი ბრძოლა მოწინავე საბჭოთა ადამიანებისა. ის დიდი ოპტიმიზმი და რომანტიკა, ის გაუტეხელი რწმენა ახალი სოციალისტური საზოგადოებისა, რომელიც კოლხიდმშენებლობის ფონზეა გამოხატული ამ პიესის მთავარ პათოსს შეადგენს, და აძლევს მას ღრმა ემოციურ მნიშვნელობას. ეს ერთ-ერთი ფრიად გახმაურებული საბჭოთა პიესა იყო სამამულო ომის წინა წლებში, რომელიც რუსთაველის თეატრმა დადგა.

კომედია „უკანასკნელი რაინდები“ მენშევიკების უდღეურ წლებს ასახავს. მეტად საინტერესო კომიკურ სიტუაციებშია გამოხატული ფართიფურთობის, უსაქმურობის, მეშჩანური სულისკვეთების ის ატმოსფერო, რომელიც მენშევიკურ მთავრობას ბუტაფორულ ხასიათს აძლევდა. ასევე საინტერესოდ არის გამოყვანილი მენშევიკების მთავრობის პრეზიდენტის მოადგილის და შინაგან საქმეთა მინისტრის გედეონ სარიშვილის გარეგნული მოჩვენებითი სიმშვიდე და მეორე მხრივ, მენშევიკური მთავრობის უნიათობა. სახელმწიფო საქმეებს არსებითად განაგებს პრეზიდენტის მოადგილის მეუღლე, ვიღაც თამარი, ეს მეშჩანი და ზნედაცემული ქალი, რომელიც თავისი საყვარლების შენარჩუნებისათვის უფრო იბრძვის, ვიდრე მთავრობისათვის.

და აი, ამ თამარს სიძველეთა მუზეუმს შეატყობებს მენშევიკების მთავრობაში მინისტრის პორტფელის მაძიებელი ვიღაც ლევან კორინთელი. ეს ყალბი ბუტაფორია სიძველისა აქ სიმბოლურად შეფარდებულია მენშევიკური მთავრობის

შინაგან ბუნებასთან და ამ ფონზეა გამოხატული მთელი ეს კომიკური მდგომარეობა, რომელიც ამ პიესას საინტერესო ხასიათს აძლევს. ამავე პლანშია გადაწყვეტილი მენშევიკური მთავრობის კავშირი მეორე ინტერნაციონალთან, — უცხოეთის წარმომადგენლების ჩამოსვლა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერების საზეიმო შეხვედრა მენშევიკურ მთავრობასთან. პიესაში გამათრახებულია მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური მოქმედება და მისი უბადრუკობა.

ს. კლდიაშვილის დრამატული ნაწარმოებები, პირველ ყოვლისა, გვიტაცებენ სადა, გამჭვირვალე სტილით და ჩინებული ქართული ენით. ყოველი ეპიზოდი აქ ლიტერატურულად საინტერესო გამოგონებას ეფუძნება, ყოველი დიალოგი და ფრაზა ხატოვანია და პოეტური. ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ ს. კლდიაშვილის პიესებში უმთავრესი ყურადღება გადატანილია სწორედ ენობრივ მხარეზე, სიტყვიერ მასალაზე და უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა პიესაში მოქმედებას, კონფლიქტის სიმწვავეს, ხასიათების შეჯახებას. ყველაფერი ეს უთუოდ ანელებს ამ პიესების დრამატულ-თეატრალურ ღირსებას.

* * *

ს. კლდიაშვილის მხატვრული სამყარო მეტად საინტერესოა და მდიდარი პოეტიკის თვალსაზრისით. მწერლის სტილისათვის არ არის დამახასიათებელი ადამიანის ენებათა გამახვილება — დაჯახება და ამ ნიადაგზე ატეხილი განგაში. ს. კლდიაშვილი უფრო ლირიკულ ინტონაციებსა და ტონებში აყალიბებს ხასიათს.

ფერწერითი გამოსახვა ხასიათებისა, მათი ლირიკული სულისკვეთებისა და ბუნების გამომჟღავნება, ადამიანის კეთილი საწყისების ძიება უმთავრესი და დამახასიათებელი თვისებაა კლდიაშვილის წერის მანერისა. მეტ შემთხვევაში მწერალს ამბავი მშვიდობიანი გზით მიჰყავს. სიუჟეტი არ ვითარდება დამატებითი ხლართების შექმნით. აქ იგრძნობა სიუჟეტის ნოველისებური გადაწყვეტა.

ს. კლდიაშვილს უყვარს ამბავის გაშლა. მოკვეთილ და

შეკუმშულ სტილს ემორჩილება კომპოზიციაც, ამბავის განვითარებაც, ხასიათებიც და ნაწარმოების სხვა კომპონენტებიც: ამის კვალობაზე სიუჟეტის კალაპოტი მტკიცედ განსაზღვრულია (სიუჟეტებს თვით რომანშიაც არა აქვთ რთული შენაკადები). ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელია პატარა ნოველა „ჭინკა ბიჭები". ამ სამგვერდიან ნოველაში დიდი და მღელვარე ამბავი, ომით გამოწვეული საზოგადოებრივი ტკივილები შეკუმშულად და საინტერესოდ არის აღწერილი. აბესაძეების გვარის მთელი მატიანე მეტად ლაკონიურადაა გადმოცემული. ამბავის ამგვარი ნოველისტური დამუშავება ნიშანდობლივია ს. კლდიაშვილისათვის. მწერალს ხასიათები იმთავითვე შემუშავებული სახით შემოაქვს და მკითხველს მაშინვე ექმნება მათს საქციელზე ამომწურავი წარმოდგენა. ს. კლდიაშვილი არა ერთხელ გვაფრთხილებს გზადაგზა, რომ მას შეგნებულად არ მიუმართავს ამბავის ვრცლად გადმოცემისათვის: „მოთმინებით აღჭურვილი ავტორი აქ აღწერდა იმას, თუ როგორ შევიდნენ ჩვენი გმირები აფთიაქის ეზოში, როგორ დიდხანს უჯაჯგუნეს კარებს და მაინც ვერ გააღვიძეს აფთიაქის გამგე, რომლის ხვრინი ეზოშიაც ისმოდა.

„მოთმინებით სავსე ავტორი ალბათ იმასაც აღწერდა, თუ როგორ გაიღვიძა, რა ურცხვად წარდგა აფთიაქის გამგე ჩვენი გმირების წინაშე — რამდენი ხანი დასჭირდა, სანამ ნამძინარევს თავის მოსვლის მიზეზს გააგებინებდნენ, როგორ მოუკიდა მან სანთელს, როგორ ეძებდა სათვალეს, რომელიც თურმე სრულიად ზედმეტი ყოფილა, რადგან, როცა დეპეშის კითხვაზე მივიდა საქმე, ჩამოხსნა და ისევ მიაგდო სადღაც". ასეთ განცხადებას აკეთებს ავტორი ნოველაში, რომელსაც ჰქვია „ქალაქი ხევში". ეს ნოველა საინტერესო იუმორისტული ხასიათის ნაწარმოებია. აქ წვრილმანი ყოფითი ამბები მეტად მოხდენილად და ლაკონიურად არის გამოხატული მღვდლის, ტელეგრაფისტისა და ჭორიკანა აფრასიონის თავგადასავალში. საზოგადოდ, ს. კლდიაშვილისათვის, როგორც მხატვრისათვის დამახასიათებელია ნოველისებური სტილი. ჩვეულებრივ მწერალი ყურადღებას ამახვილებს

ცხოვრების ერთ ეპიზოდზე, ერთ მომენტზე, მაგრამ ისეთი შთამბეჭდავია და ტიპიური ეს დეტალი, რომ მწერლის სათქმელი მაქსიმალური სიმკვეთრითაა მასში გამოხატული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ს. კლდიაშვილის ერთი ესკიზი — „სოფლის ღამე". აქ სულ ნახევარ გვერდზეა გამოთქმული ადამიანის დიდი ტკივილი, აღძრულია სამშობლოს სიყვარულის დიდი პრობლემა ისე მღელვარედ, ისე მრავალმეტყველად, ისე დამახასიათებლად, რომ ვერც ერთი სქელტანიანი წიგნი ამაზე მეტს ვერ გააკეთებდა.

„სადღაც ქვევით ერთ სახლში ლამპა აანთეს.

ერთხანს მხოლოდ ეს სინათლე თრთის ბნელში და თვალს იზიდავს. მკრთალი შუქი მარტოა და სევდიანი მოჩვენება. შემდეგ თანდათან სხვაგანაც აინთო. ჰაერში გამდგარა დანამული ბალახის სურნელება. ციცინათელები იღვიძებენ ბუჩქებში და ცივი ფოსფორით ციმციმებენ. ღამის სიჩუმეში კალიების ძილისპირული ისმის.

სადღაც გზაზე ურემი მიჭრიალებს და მეხრე მიიმღერის. ჰანგი ნაღვლიანია და თანაც მხნე. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია გამოსცეს ასეთი ხმები. ფიქრით მივყვები ამ კეთილ ხმას და მინდა მეც ვთქვა ჩემი სიმღერა, თუ როგორ ვლოცავ სიცოცხლის მადლს, თუ მკერდში გულის სიყვარული ბუდედ როგორ ჩამიდეს. გვიან ღამით ქრებიან ლამპები და მხოლოდ ერთი რჩება ისევ იმ ადგილას, სადაც პირველად აინთო. მკრთალი ნათელი ისევ მარტოა, ისევ კრთის ბნელში და თვალს იზიდავს. რამ დასტოვა იქ შუქი? სიხარულმა, თუ გლოვამ? ღმერთო, დაზოგე ეს სახლიც, განარიდე მწუხარებას. ეს მშვიდი ღამე ჩვენს ქვეყანაში ყველას ბედნიერი გაუთენე"!

ესაა მთელი ესკიზი. აქ ყოველი ფრაზა ხატოვანია, ყოველი სიტყვა ხატია. მწერალს სიტყვისათვის უაღრესად დიდი დატვირთვა მიუცია. ჰუმანისტი მწერლის დიდი სათქმელი, დიდი ჩანაფიქრიც ამ პატარა ესკიზის მიხედვით მკითხველისათვის სავსებით ნათელი ხდება. მე არ მეგულება ქართულ მწერლობაში მეორე ნაწარმოები, რომელშიაც ასე ხატოვანად, ასე სხარტად, ასე სახიერად იყოს გამოხატული ჰუმანისტი

მწერლის პატრიოტული გრძნობები და განწყობილებანი, თავისი ქვეყნისადმი, თავისი ხალხისადმი.

ასეთი მოკვეთილი და შეკუმშული სტილი, საზოგადოდ დამახასიათებელია ს. კლდიაშვილისათვის.

ს. კლდიაშვილის პროზის რიტმი უფრო ლირიკულია, ვიდრე ეპიკური. ის უფრო სიკეთის თვალით უყურებს ცხოვრებას და ასეთივე საწყისს ეძებს ადამიანში. ჩვენ ვიცით, რომ მწერლის გმირები უმთავრესად პატარა, რიგითი ადამიანები არიან, ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი რიგითი ადამიანები. ბევრ შემთხვევაში ის ამ კეთილი ადამიანების გვერდით გვიხატავს ხელმოცარულებს, პატარა გრძნობებითა და პატარა იდეალებით აღჭურვილ ადამიანებს. მაგრამ ამ პატარა ადამიანებსაც, რომელთაც ავტორი, უმეტეს შემთხვევაში, იუმორისტულ ფორმაში გამოხატავს, მაინც მკაცრად არ იმეტებს. ჩვენი მწერლისათვის ეს არ არის დამახასიათებელი. გავიხსენოთ მისი სიტყვები მოთხრობიდან: „ცხოვრება პატარა კაცისა". „ჩვენ მაინც ნუ ვუწოდებთ ასე, კმაროდეს, რომ სხვა დასცინის, ჩვენ ლმობიერი ვიყოთ, სულ გულქვა უნდა იქნე, რომ დაჩოქილ კაცს კიდევ ქვა ესროლო".

ეს ლმობიერება, ეს სიკეთის საწყისების ძებნა ადამიანში ს. კლდიაშვილის სამწერლო მსოფლმხედველობის განუყოფელი ნიშანია. ს. კლდიაშვილი გულით ხარობს მაშინ, როდესაც ადამიანი იმარჯვებს, ადამიანი სიკეთეს თესავს, ადამიანი ბედნიერია. აი, როგორ აქვს გამოხატული მწერალს ომიდან დაბრუნებული კაცის გამოჩენით გამოწვეული სიხარული: „მრავალი წასულიყო სოფლიდან ომში, მრავალს ველარ ხედავდნენ, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც გიგო აკლდათ თვალში. ჰო-და, როცა დაბრუნდა, როცა სოფლის გზასა და ეზოებში ისევ გამოჩნდა, ეს დევისტანიანი ვაჟკაცი ისე ეჩვენათ, თითქოს შეივსო იქაურობა".

ს. კლდიაშვილის ფერები უფრო ხალისიანია, ვიდრე სევდიანი. მისი საღებავები გამჭვირვალე და ნათელი იმიტომაა, რომ „თვითონ მწერლის გული, მზის სინათლით განათებული", სიკეთეს ხედავს და ამას ეძებს ადამიანში. ფერების ეს ხა-

ლისიანი ხასიათიც აქედან წარმოდგება. მოვიგონოთ მისი „ჭინკა ბიჭები“, „ზურია“, „შემოდგომის წვიმა“.

ს. კლდიაშვილის ნაწარმოებებში სევდიანი განწყობილება თუ გვხვდება, ისინი გმირის ხასიათის მიხედვითაა შერჩეული. ასეთია მაგალითად, ნოველა „მთვრალი ლანდი“. ნოველის გმირი ანდრო ცხოვრებაზე გულაყრილი კაცია. ამ ღამეში ერთადერთი მახლობელი ლანდი იყო და ისიც გაჰქრა, ისიც მთვრალი იყო, ალბათ.

„საჭირო არავისთვის ვარ! — ხელი ჩაიქნია ანდრომ. — ყველა გამირბის სულიერი და უსულო. რა ჭირი მაქვს ასეთი? რა და ძაღლივით ხარ!—უეცრად სახეში სილა გაირტყა.— სულ რავა უნდა ყეფდეს კაცი“. აქ გმირის ამგვარ სულისკვეთებას სავსებით შეეფერება სევდიანი განწყობილება, მაგრამ, როგორც ვთქვით, ს. კლდიაშვილისათვის უფრო ტიპიურია ნათელი, რეალისტური სტილი. ნაწარმოების ოპტიმისტური ხასიათი უმთავრესად ამ სტილს ეყრდნობა. კიდევ ერთი მაგალითი: „ქუჩის სიჩუმეში მკაფიოდ ისმის ფეხის ბაკუნი. ნერვიული ნაბიჯით ვიღაც დაგვიანებული მიიჩქარის. ოთახებიდან ჯერ მორიდებული, შემდეგ თანდათანობით ამაღლებული ლაპარაკი ისმის, და ბოლოს, ვიღაცა ხმიანად იცინის, მხიარული ხმა თითქოს იმარჯვებს ბნელზე და ღამე საშიში აღარა ჩანს“.

სიცოცხლის დიდი ოპტიმიზმითაა გამთბარი ს. კლდიაშვილის ნოველები და ავტორის ღრმა რწმენით, კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლაში სიმართლე მუდამ იმარჯვებს. ამიტომ ჩვენი მწერალი სიმართლის, კეთილის მღაღადებელი და მქადაგებელია.

„მოვდიოდი და სიხარული მომყვებოდა. ალბათ გამოგიცდია, კარგი თანამგზავრი! ღირდა, რა თქმა უნდა, მრავალი გასაჭირი გადამეტანა წარსულში და თავიც გამეწირა, ოღონდ ისევ ხალისი შერჩენოდა ბევრ სხვა ოტიასაც და მომავალი არ დაკარგოდა მრავალ სხვა ზურიასაც. მივდიოდი და გულს ემღერებოდა. და განა მარტო მე, — ეს მწვანედ დაბურული მთები, ყოველი ხე და ბუჩქიც სიხარულის ხმას გამოცემდა. მღეროდა მზეც, რომელიც ოქროდ გადმოღვრილიყო

ამ მადლიან დედამიწაზე. არა, არასოდეს არ დაცხრება ჩემი ქვეყნის მზე, ჩემი ქვეყნის ხალისი" („ზურია").

აღსანიშნავია, რომ ასეთი ოპტიმიზმი და აწეული რომანტიკული განწყობილება არსად არ გადადის ყალბ პათეტიკაში. ს. კლდიაშვილისათვის არ არის დამახასიათებელი სამსართულიანი ჰიპერბოლა, ძახილის ნიშნები და ზეაღტაცებული მაღალი ინტონაციები. არა, მას ამბავი ყოველთვის ლირიკულ ტონებში მიჰყავს.

ს. კლდიაშვილის ნაწარმოებებში შედარებები, მეტაფორები ყოველთვის რეალიზმის პრინციპს ეფუძნება. როცა მწერალს უნდა ბავშვების სიხარული და ბედნიერი ცხოვრება გამოხატოს, უბრალოდ იტყვის: „ყაყაჩოსავით ყვაოდნენ".

ჩვენი მწერლის შედარება ყოველთვის ადვილად წარმოსადგენია და ხატოვანი: „ზამთრის დღე მალე მიიწურა. ფანჯრებში საღამომ შემოიხედა".

„ცაში ღამე იყო, მაგრამ მიწაზე დაცემული ურიცხვი ვარსკვლავი ანათებდა ქვემოდან და ფანტავდა ბნელს".

„კლდის მკერდზე ღამენათევი ნისლი დაიძრა". ბუნების ამგვარი გასულიერება, ნისლისათვის ადამიანის თვისების მიწერა აქ შემთხვევით როდი ხდება.

ამგვარი შედარებანიც დამახასიათებელია ს. კლდიაშვილისათვის: „რა საშინელი ეჩვენა სიჩუმე, რომელიც შინ დახვდა, ღიად დარჩენილ კარიდან მთვარის ნათელი სვეტი შემოჰყვა".

„ფერხულში ხელგადახვეული ბიჭები შარაგზებს სიმღერით მიაპობდნენ..."

ს. კლდიაშვილი სალიტერატურო ქართული ენის ბუნებრივი განვითარების ხაზს მიჰყვება, მას არ უყვარს ხელოვნურად გამოგონილი სიტყვები, განგებ• დახლართული და ბუნდოვანი ფრაზები, არც ჩუქურთმები და ზიზილპიპილოები. ს. კლდიაშვილი დიალექტს უაღრესად ძუნწად მიმართავს. მის ნაწარმოებებში ხალხურ გამოთქმებს სტილისტური ფუნქცია აქვს მინიჭებული. ჩვენი მწერლის ენობრივ ქსოვილში შოხდენილად არის გამოყენებული იმერული დიალექტიკისათვის ნიშანდობლივი ფრაზიოლოგიზმები, იდიომატური სიტყვათშეხამებანი, ლექსიკური ერთეულები.

საერთოდ, მწერალი უნდა ამდიდრებდეს სალიტერატურო ენას ხალხური მეტყველების წიაღში შემუშავებული საღი ფორმებით, დიალექტური ლექსიკონიდან მომდინარე საუკეთესო მასალით, რომელიც ღირსია ლიტერატურული გამოხატულებისა. ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება როდი ნიშნავს ლიტერატურის დანაგვიანებას. ამ მხრივ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ცხადია, ისეთი სიტყვების გამოგონება და შემოტანა მწერლობაში, რომლებიც არ ეგუებიან ქართული ენის შინაგან ბუნებას, დასაგმობი და უკუსაგდებია, — როგორც ვთქვით, ს. კლდიაშვილი ამ თვალსაზრისითაც ფრთხილი და დაკვირვებული მწერალია.

ასე გვესახება ჩვენ ს. კლდიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების ჭეშმარიტად საინტერესო ფაზა.

დემნა შენგელაია

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც დ. შენგელაიას თხზულებათა ცრებულის უბრალო გადაფურცვლიდანაც მიიღებს მკითხველი, ეს არის წერის პროფესიული, მაღალი კულტურა, რომლითაც აღბეჭდილია აქ ყოველი ნაწარმოები. წერის ნოვატორული მანერა თანაბრად არის გამომჟღავნებული თხზულებათა ტომებში თავმოყრილ რომანებსა და მოთხრობებში, ნოველებსა და წერილებში.

ჩვენ მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში არ გვეგულება მეორე მწერალი, რომელიც უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მხატვრულ სიტყვას, ქართული ენის ტრადიციებს, მისი სინარნარისა და სიფაქიზის შენახვასა და შენარჩუნებას, ვიდრე დ. შენგელაია. ამ თვალსაზრისით იგი ქართული პოეტური სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი და ნოვატორია. ენა კი, როგორც ვიცით, მწერლობის ყველაზე პირველი და ყველაზე მაღალი ფენომენია.

დ. შენგელაია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში. მისი პირველი ნოველა 1915 წელს დაიბეჭდა, მაგრამ შენგელაიას სამწერლო სახელი, როგორც მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატისა, ჩვენს ეპოქას, საბჭოთა საქართველოს დაუკავშირდა.

დ. შენგელაიას, ისევე როგორც მისი თაობის ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელს, ჩვენმა დრომ მისცა ჭეშმარიტი შთაგონება, რომლითაც მან პირველხარისხოვანი ოსტატის სახელი დაიმკვიდრა. შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა ჩვენს დროში არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრობლემა და მოვლენა, რომელსაც შენგელაია არ გამოხმაურებოდეს თავისი ბასრი კალმით. ჩვენი მღელვარე ეპოქის საინტერესო და რთული გზა დიდი მრავალფეროვნე-

ბითა და ლიტერატურული ინტერესით გამოსახა დ. შენგელაიამ, როგორც მხატვარმა. რაც მთავარია, მისი ყოველი ნაწარმოები ჭეშმარიტად მეტყველებს ლიტერატურის განვითარების იმ მაღალ დონეზე, რომელზედაც დგას ყოველი დროის ჭეშმარიტი მწერალი. თანამედროვე ადამიანის შეხედულებათა და განცდების გამოსახვა, მისი საქციელისა და მოქმედების აღწერა მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, ხიბლავს ღრმა აზრებით, განზოგადებებითა და ფართო ჰორიზონტით.

დემნა (დიმიტრი) კონსტანტინეს ძე შენგელაია დაიბადა 1896 წლის 8 მაისს სოფ. საჭილაოში (აბაშის რაიონი). მამამისი კონსტანტინე შენგელაია რკინიგზელი იყო. ის თავის ოჯახით მალე გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში. ბავშვობის წლები დ. შენგელაიამ უმთავრესად ქალაქად გაატარა, ხოლო სოფ. საჭილაოში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს, წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული მის სულიერ ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ამის ნათელი მაგალითია რომანი „სანავარდო“. ვინც ამ რომანს დააკვირდება, იგი ადვილად შენიშნავს, თუ რა ახლობელია და ნაცნობი ის ადამიანები, რომლებსაც მწერალი აღწერს თავის ნაწარმოებში.

დ. შენგელაიამ 1917 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია. 1918 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც 1922 წელს მესამე კურსის სტუდენტმა დატოვა. უფრო გვიან — 1932 წელს — იგი შევიდა თბილისის უნივერსიტეტიდან გამოყოფილ ინდუსტრიალურ ინსტიტუტში, რომლის გეოლოგიური ფაკულტეტის სრული კურსი დაასრულა 1937 წელს.

სამამულო ომის წლებში დ. შენგელაია ჯარში იქნა გაწვეული და მუშაობდა არმიულ გაზეთში, როგორც სამხედრო კორესპონდენტი-მწერალი.

დ. შენგელაიამ ლიტერატურაში თავისი ნიჭი პირველად 1915 წელს მოსინჯა, ხოლო 1918 წ. გამოქვეყნებული „თბილისის აჩრდილები“ ახალგაზრდა ავტორს უკვე უმკვიდრებდა ნიჭიერი პროზაიკოსის სახელს. და მაინც მან, როგორც ქართული პროზის ოსტატმა, თავისი ნიჭი მთელი ძალით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოავლინა. პირველ წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა

სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფებში, კერძოდ, ლეფელების ჯგუფში, შემდეგ — თანამგზავრთა წრეში და, ბოლოს, გახდა აქტიური წევრი და მონაწილე საბჭოთა მწერლობის დიდი ოჯახისა.

დ. შენგელაია მუდამ აქტიურად მონაწილეობდა მწერალთა ცხოვრებაში, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ამის დამადასტურებელია თუნდაც გამოსვლები მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე 1926 წელს, მწერალთა კავშირის მეორე ყრილობაზე 1928 წელს, და ა. შ. საბჭოთა მწერლობის ერთიანი კავშირის შექმნის შემდეგ კი იგი ითვლება საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის წევრად. ამჟამად დ. შენგელაია საკავშირო მწერალთა კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრია.

დ. შენგელაია ლიტერატურული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც დ. შენგელაიამ მხატვრული ოსტატის სახელი მოიპოვა, „სანავარდოა“.

„სანავარდო“ თავად ჭილაძეების, ამ უძველესი გვარის, ერთ-ერთი ნაშიერის, მისი უკანასკნელი მოჰიკანის, ყარამან ჭილაძის ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს, მაგრამ მასში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია ძველი, დიდებულ ქართველ გვართა თავგადასავალი და ცხოვრების მიწურული.

ავტორს თავადი ყარამანი ერთბაშად შემოჰყავს რომანში. „თავადი ყარამან: ახოვანი ვაჟკაცი, აქა-იქ ჭაღარა შეპარვია, სიარული ნელი, დინჯი, მაღალი, მხრებში ოდნავ წახრილი, შემოხედვა ამაყი, ჯიშიანი, ამღვრეული თვალები, ჩვეულებად გადაქცეული შუბლზე ხელის გადასმა (ალბათ, სისხლი უვარდება თავში)“. ავტორი ამგვარი დახასიათებით — „ამღვრეული თვალები“, „მხრებში ოდნავ წახრილი“ გვამცნობს, რომ თავისი გმირის შინაგან არსებაში ყველაფერი რიგზე როდია, ხოლო სიტყვები „ამაყი“ და „ჯიშიანი“ ამავე გმირის გარდასულ თავადაზნაურულ დიდებაზე გვანიშნებს.

„მისი გვარი გრგვინავდა წარსულში.

გვარის მემატიანე დაშვრა ჭილაძეთა გმირულ წარსულის აღწერაში.

ეს გვარი ფლობდა დიდებულ ჭყონდიდელთა კვერთხს და ზვიადად განაგებდა სანავარდოს, საჭილაოს, მარანს, ორპირს, ქორეის უბანს...

თავმომწონედ კითხულობდა კვირის ეკლესიაში წინაპართა ხუცურ წარწერებს: უფალო იოსე ქრისტე ღმერთო, შეეწიე, შეიწყალე და აცხონე სული რომანოზ ჭილაძე, თანამეცხედრე მათი, უტანდარ ჩხეტიძის ქალი, ძიხარს, კაკას, ამინ...

ამაყობდა გვარიშვილობით, თავი მოქონდა, მაგრამ როცა მარტო დარჩებოდა და ფიქრებს კრიალოსანზე ჩათვლიდა, მას იპყრობდა შიში იმ საგვარეულო სენისა, დიდებასთან ერთად რომ დაუტოვა წინაპრებმა და კვალდაკვალ უმიზნებდა მის მოდგმას“.

ავტორი აქ გვანიშნებს ჭილაძეთა გვარის სნეულების შესახებ, რომელმაც ბოლო მოუღო ამ დიდებულთა მოდგმას. ავტორი ამ სნეულებას უკავშირებს ძველი, თავადაზნაურული საქართველოს დიდების ნგრევის, მისი ფიზიკური და სულიერი გადაშენების ისტორიას და ამის მიხედვით ჩვენ თვალწინ იშლება მეტად სევდიანი და ბნელით მოცული ამბავი ამ გვარისა და, ამასთანავე, საქართველოს თავადაზნაურობისა. ავხორცი ოტია ჭილაძის შთამომავალი თავადი ყარამანი და მთელი მისი ოჯახი ავადმყოფი და სნეულია: ყარამანი, ბონდო, ციცინო, — ყველა ერთპირად ამ ოჯახში გადაშენებისა და გაევრანების გზაზეა დამდგარი. ერთს აციებს, მეორეს ბნედა სჭირს, მესამეს ქალის სნეულება კლავს. ეს შეძლებული ოჯახი ოდესღაც განთქმული იყო მოკეთეებით, თავადაზნაურული დარდიმანდობით, ყანწებით, მწევრებით, მიმინოებით, გულუხვობითა და სტუმარმასპინძლობით. მას შემდეგ, რაც გლეხთა განთავისუფლების ამბავი მოვიდა, გლეხები თავიანთ კერას დაუბრუნდნენ, დარჩა ყარამანი მახინჯი, უპატრონო, მოსამსახურე ლიზიკას ამარა. ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აეწეწა. ერთ ხანს საქმის გამოსწორება სცადა, თბილისს მიაშურა, იქ ქართულ მილიციაში ნამყოფ ყარამანს, შამილის წინააღმდეგ ომებში მონაწილე თავადს, შვილი, ბონდო, სასწავლებელში მოუწყვეს, თვითონ

კი დაბრუნდა სოფელში და თავის ავადმყოფ ციცინოსთან ერთად დარდსა და სევდას ღვინოში ახრჩობდა.

ეკონომიური ცხოვრების ამ გადაშენების ისტორიას მწერალი ოსტატურად უკავშირებს კოლხეთის ჭაობიანი უქმურებისა და ციების სევდიან სურათებსა და ეპიზოდებს:

„წვიმები... წვიმები... წვიმები...

ამდორებული რიონი ზარმაცად მიდუდუნებდა.

ღამე თუ გაისმოდა გარეული იხვების ჟღივილი. ხანდახან ამოვარდებოდა ქარი და დაიწყებდა უზარმაზარ დასველებული ფრინველის მხარმოტეხილ ფრთასავით სახლის ყავარზე ხმაურობას. დაათრევდა ფრთას და კვნესოდა მომაკვდავივით.

ქარი ზუზუნებდა.

ბუხრის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა დამზრალ თითებზე სულს იბერავდა და კნაოდა საცოდავად...

ღამის ლანდები სულს აიდგამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორგვას და ტორტმანს. მწუხარება იყო ყველგან და დუმილი...

ჭაობი და ჭონჭყო.

ლელი და ლაქაში.

პატარა დამპალ მდინარის ლოღობა ნაპირები სტეებითა და ფშანით დაბურული და კალათიანი ქალები ეკალს საკრებად შეფენილი...

ჩამონგრეული ღობეები... დამპალი წყლით სავსე თხრილები...

სანავარდო კვდებოდა ციებ-ცხელებით...

გაჭრილ საფლავებში წყალი ამოდიოდა...

არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი“. ასეთია ეს გარესამყარო, ავსულებისა, ლანდებისა და შოჩვენებების შიშისმომგვრელი სურათები და ეპიზოდები. აი, ამ ფონზე აქვს მწერალს გამოხატული ყარამანის ოჯახის გადაშენების ამბები და გადარეული ბონდოს ავადმყოფური ვნებები და საქციელი.

ჩვეულებრივ, ამგვარად წარმოდგენილი სინამდვილეში, იმ გარემოს სურათში, რომელსაც მწერალი ქმნის თავისი გმირების მოქმედებისათვის ზოგჯერ ხედავენ ანტირეალისტური სკოლების გავლენას. ეს შეხედულება შეიძლება არ

იყოს სიმართლეს მოკლებული, მაგრამ ზუსტი არაა. დ. შენგელაიას რომანში შიგადაშიგ გამოყენებული აქვს ხალხური თქმულებები და ზღაპრები, რასაც მისტიკური ხასიათი აქვს. კოლხეთის ჭაობისა და უქმურის ფონზე წარმოშობილი ზღაპრები და ანდაზები ჩვეულებრივ ისეთივე მისტიკურია, როგორიც ნაწარმოებშია წარმოდგენილი მწერლის მიერ. მოვიგონოთ ხალხური ზღაპარი „ბაყაყთა დედოფალზე", რომლის ამბავი ოსტატურადაა გამოყენებული რომანში ბონდოს გალუცინაციებისა და სულიერი სამყაროს გამოსახატავად.

დ. შენგელაიას შემოქმედებაში ავსულების, უქმურების, ჭინკებისა და მისთანათა მისტიკური ამბების გამოხატვაში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების კვალს. განა იგივე მისტიკური სამყარო, ხალხში გავრცელებული ზღაპრებისა და ანდაზების სახით, არა აქვს გამოყენებული კ. გამსახურდიას ნოველებში „ტაბუ", „ქოსა გახუ"?! ჩვენი აზრით, გამსახურდიასა და შენგელაიას ეს ერთგვარი შეხვედრა ხალხური მასალიდან მოდის; კოლხეთში გავრცელებული ანდაზები და ზღაპრებია ორივე მწერლის წყარო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყარამან ჭილაძის გვარის გადაშენებისა და დეგრადაციის სურათის აღწერა, ასევე მათი დიდებული წარსულის მოგონება, საოცრად გვაგონებს ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეულ ბუდეებში" გამოხატულ სურათს. ეს ნათესაობა თუ ურთიერთობა სრულიადაც არ გულისხმობს, რომ აქ უშუალო გავლენა და ეპიგონობა ვეძიოთ. არა, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ეს პარალელიზმი თავადაზნაურობის მდგომარეობამ, მისმა ისტორიამ შექმნა. ჩვენმა მწერლებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიაგნეს ამ სამყაროს.

თავადაზნაურობის ფიზიკური გადაშენება, მისი სულიერი დაკნინება მეტ შემთხვევაში დ. შენგელაიას ახსნილი აქვს ჭილაძეების წამხდარი სისხლით და მათი გვარეულობის ცოდვებით. აქ ერთგვარი ბიოლოგიური ახსნა აქვს მოცემული მთელ ამ გადაშენების ისტორიას. ბონდო ასე მოთქვამს: „ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით!.. ცოდვებით, რომლებიც მე არ ჩამიდენია!.. რისთვის უნდა ვზღო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომლებიც ოდესღაც ჩემს მამა-პაპებს ჩაუდენია!..

მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე ჩემი გაძაღლებულია. მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს.

გიჟი ვარ, ნამდვილი გიჟი... დაჩიავებული და გადაგვარებული...

გუჯუ, ჩემი ძმაა! ისიც ავადმყოფია, გიჟია, მამა, იმიტომ, რომ ისიც შენი ნაყოფია...

ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას. ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად, მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული მუნიანი ჭინკები". მართალია, აქ უთუოდ არის კვალი ძველი ლიტერატურული სკოლების ისტორიული პროცესის ბიოლოგიური ახსნისა, მაგრამ ეს ახსნა მაინც თავისებურად მიგვანიშნებს სწორედ იმ სოციალურ ამბებზე, რომელთა ფონზე თავადაზნაურობამ მოჭამა თავისი დრო და, ლუარსაბ თათქარიძის მსგავსად, გადაგვარდა და დაკნინდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს ავტორი, როდესაც ჭილაძეების შინამოსამსახურე ლიზიკას გარეგნობას აღწერს. როგორ გვაგონებს ეს პორტრეტი ილიას მიერ „კაცია-ადამიანში" დახატულ შინამოსამსახურის სახეს:

„ლიზიკა კუთხეში, იატაკზე, თავის დაძონძილ ლოგინს გაშლიდა და ძილს მიეცემოდა.

მისი დასიებული სახე, ძილში ღიად დარჩენილი პირი, ჩაშავებული კბილები და ბინძური თმები ციცინოს ხშირად აშინებდა.

...დასიებული სხეულით, მოგრეხილი, დაუბანელი ფეხებით ბინძურ ღამის პერანგის ამარა ცეცხლის შუქზე გულშემზარავად იდგა.

...იგი თვითონ უზარმაზარ წამოწოლილ გომბეშოს გავს და ეს გომბეშო ამბობს ენის მოქცევით ზღაპარს". ასე დააკნინა და გადააგვარა ადამიანი თავადი ჭილაძეების ოჯახმა და იმ გარემომ, რომელსაც ძველი ფეოდალური საქართველო ქმნიდა. დ. შენგელაიას ღირსება ისაა, რომ აქ წერტილი არ დასვა. მან კარგად დაინახა, რომ ყარამანების ნაშიერთა წამხდარი სისხლის მოდგმას, უქმურების, ჭინკებისა და მითების ქვეყანას და მასთან მიჯაჭვულ ძველ ცხოვრებას აღსასრული

დაუდგა. მოვა ახალი დრო და ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისვრის ყველა ამ უვარგისსა და დრომოჭმულს...

გადაშენების გზაზე დამდგარ თავადაზნაურთა სიმდიდრე სუჯუნელ ვაჭარს — ცხაკუნია მიხალეიშვილს ჩაუგდია ხელთ: „სუჯუნელი ვაჭარი ცხაკუნია მიხალეიშვილი გადმოთვლიდა ქისიდან ოქროებს და ასე ოხრდებოდა, იყიდებოდა, იფლანგებოდა მამაპაპეული სიამაყე.

... ცხაკუნიამ გამოხრა დიდება ყარამანის გვარისა, მისმა ოქრომ გაანიავა ყველაფერი". მაგრამ ეს არ არის მაინც ძალა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს კლასობრივი საზოგადოების ისტორიის გზა და ამ ძველი უქმურების სამყარო.

ბონდო გრძნობს, რომ მისი გვარის ისტორია დამთავრდა, ახლა სხვა ხალხი მოვა. იგი თითქოს გულწრფელად აღიარებს მამის წინაშე: „იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა, ამისთვის საჭირო იყო რუსხელმწიფის მოკვლა, მაგრამ შემეშინდა... მეშინოდა ღმერთის, მეშინოდა ჩემი თავის და რა ვიცი, კიდევ რისი არ მეშინოდა... ვერ გავბედე და ასე გათავდა ეს ამბავი... გადავწყვიტე, რომ სისულელეა ყველაფერი და ამ საქმისათვის საჭიროა სხვა ხალხი, ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის, მე კი დაჩიავებული ვარ... ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო, ახლა რკინის გზა მოდის და ჩვენ უნდა დავხუროთ მატიანე. ახლა სხვები მოვლენ ჩვენს ადგილას დაზიდული ძარღვებით და ახალი სისხლით, — ახალი ხალხი, ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ძველი დიდებით შევიქციოთ თავი. ჩვენ ახლა მოხუცი ბერიკები ვართ". ეს ჟინიანი, ბილწი და უთესლო ბონდო, მხდალი და შეშლილი ძმა გადარეული გუჯუ ლაბახუას ყარამანის უკანონო შვილისა, გრძნობს, რომ მათი ისტორია დამთავრებულია. მწერალი მთელი სისასტიკით გვიხატავს ამ ადამიანების დაღუპვას.

მართალია, რომანში ეს სოციალური აქცენტები, ეს კლასობრივი ჭიდილი და ბრძოლა, ეს რევოლუციური ვნებიანობა და ჟინი, ახალი ცხოვრების მიერ მოტანილი, არ არის სათანადოდ გამახვილებული, მაგრამ მოთხრობის ფინალი მიგვანიშნებს, რომ კოლხეთის ციების სამყაროს, რომელიც სიმბოლურად ძველ ცხოვრებას განასახიერებს, ბოლოს მოუღებს სხვა მოდგმის ხალხი, ძარღვმაგარი და რევოლუციური

სულისკვეთების თაობა. ფინალში გამოხატული სურათი ნამდვილი აპოთეოზია იმ ახალი ცხოვრებისა, რომელმაც ზღვაში გადაყარა მთელი ეს ბინძური წარსული თავისი უქმურებითა და ავადმყოფური ლანდებით, მოჩვენებებითა და ჭინკებით, უსაქმური თავადებითა და აზნაურებით. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს რომანის ბოლო სტრიქონები:

„ელვამ გაირბინა ხალხის თვალებში, სადღაც გაისმა ჯერ არგაგონილი წივილი: გამოჩნდა პირველი მატარებელი.

მიფრინავს იგი ტყეებში, ღრეებში.

მიჰკივის, გრიალით არღვევს სოფლის მყუდროებას.

მოფრინავს, მოაქვს ახალი ცხოვრება, მოჰყავს ახალი ხალხი.

ჭინკები სოროებში მიძვრებიან.

ქაჯები მუხებისა და წიფლის დაღრჭენილ ღრუებში იმალებიან.

უქმურთა-უქმური იგრიხება ნარიონალის ჭაობებში. თვალდაკუსული, გარინდული ბაყაყები გაოცებით გაბარდღულან წყლის ლეყებოზე.

მატარებლის გრიალი ოდნავ მიყუჩდა სადღაც სატურიას სადგურთან, ამიერიდან სამტრედიის სახელს რომ ატარებს.

ღამეა. წვიმა თვალებში აშხაპუნებს.

ისმის ძახილი სიბნელეში:

— სატურიაში, სატურიაში, სადაც ახალმა ცხოვრებამ დაიდო ბინა“.

დ. შენგელაია ამ სტრიქონებს წერდა 1923 წელს. ნაწარმოების ფინალის მიხედვით ნათელი ხდებოდა მწერლის პოზიცია და დამოკიდებულება, ერთი მხრით, ძველ სამყაროსთან, რომელსაც ყარამან ჭილაძეების ოჯახი განასახიერებდა და, მეორე მხრით, ახალ ძარღვმაგარ ხალხთან, ძლიერი ნებისყოფის მქონე რიგითს მშრომელ ხალხთან, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო ძველ სამყაროს და ახალი ცხოვრების მეთაური, პატრონი და მშენებელი გახდა. მწერლის მთელი თანაგრძნობა და სიყვარული ახალი ცხოვრების მხარეზე იყო და ამ მხრივ მოთხრობას სავსებით ნათელი პოზიცია გააჩნია.

დ. შენგელაიას „სანავარდომ“ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველებისა და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. მას წილად ხვდა მაღალი შეფასება. იყო ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიც, რომლითაც ავტორს ანტირეალისტური სკოლების პოზიციებთან აკავშირებდნენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, თავისი მხატვრული ფაქტურით ეს ნაწარმოები უფრო ახლოსაა ხალხურ ზღაპრების საწყისებთან, კოლხეთის ლეგენდებთან და წარსულთან, ვიდრე სიმბოლიზმთან. დ. შენგელაია გასაოცარი ხატოვანებით, ლექსიკური სიმდიდრით აცოცხლებდა და აღადგენდა ჩვენს მეხსიერებაში ლეგენდებსა და ზღაპრებს, რომლებსაც სიმბოლურად უკავშირებდა ძველი თავადაზნაურული საქართველოს გადაშენების ისტორიას. მწერლის შემოქმედების მთელ პათოსს ახალი ცხოვრების გზა განსაზღვრავდა.

* * *

დ. შენგელაია უფრო ხატვის ოსტატია, ვიდრე თხრობის. მისი ოსტატობა ენობრივი ქსოვილის ნახატში ვლინდება ნათლად და არა სიუჟეტის გამომგონებლობაში. ის უფრო იმპრესიონისტია, ვიდრე კლასიკური რეალიზმის სიუჟეტების ოსტატი. ავტორის მოთხრობის სიუჟეტი ფაბულის ფარგლებს არ სცილდება. მწერალი სიუჟეტის განვრცობას და რთულ ხლართებს შეგნებულად არ მისდევს. სიუჟეტის ლაკონიზმი და სიმკვრივე, იმპრესიონისტული ჩანახატები დ. შენგელაიას ნაწარმოებებში ცვლიან გაბმულ მოყოლასა და თხრობას. ჩვენი მწერლის დიდი ტილოებიც („ბათა ქექია“, „სანავარდო“, „წითელი ყაყაჩო“) წერის ამგვარ კანონს ეფუძნება. გმირთა ხასიათების ენობრივი ფაქტურით გამოსახვას და ამის ფონზე შექმნილი ნახატის ქსოვილს თითქოს არ სჭირდება სიუჟეტის ისეთი განვითარება, რომელიც ჩვეულებრივ ეპიკური ნაწარმოებისთვისაა დამახასიათებელი. დ. შენგელაიას ნაწარმოებებში სიუჟეტი რამდენადმე სტატიკურია და ხასიათების განვითარებაც გარკვეულ ჩარჩოებშია ჩაყენებული. დ. შენგელაიას პროზაში ისეთი დიდი შინაგანი ენერგია აქვს მინიჭებული ფრაზას, სიტყვას, რომ კლასიკური სიუჟეტების თვალსაზრისით თხრობის საჭიროება თითქოს აუცილებელი არ ხდება. დ. შენგელაიას დიდი ტილოებიც კი მცი-

რე ფორმის ნაწარმოების კანონებს ემყარება. მცირე ფორმის მკაცრი სიუჟეტური ლაკონიზმი და ვრცელი ენობრივი მონახაზი ქმნის ისეთ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც პოეტური სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატებისთვის არის დამახასიათებელი. დ. შენგელაიას წერის მანერა ყველაზე უფრო სრულყოფილად მცირე ფორმის ნაწარმოებებში ვლინდება. ამიტომაა, რომ მის შემოქმედებაში ასეთ მოთხრობებს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

საბჭოთა თემატიკაზე შექმნილ მცირე ფორმის ნაწარმოებთა შორის პირველი ნოველა, რომლითაც დ. შენგელაიამ ოსტატის სახელი დაიმსახურა, არის „კაც“. ძველი ყოფისა და ფსიქოლოგიის დაძლევა, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების განდევნა ჩვენი ცხოვრებიდან და ამ ნიადაგზე წარმომდგარი ტრაგედია ძველი ადამიანებისა შესანიშნავად არის გამოსახული ხსენებულ ნოველაში.

ნოველის გმირი ანდრია რაშაძე პროვინციაში დიდად მიღებული და გავლენიანი კაცი იყო; ვენშევიკების დროს გაერთიანებული თვითმმართველობის ყოფილი თავმჯდომარე — ფრთებგაშლილი ცხოვრობდა, დიდკაცურ ნებივრობასა და თავპატიჟს მიჩვეული. წინათ მასთან სათხოვნელად მისული გლეხები მთელი დღეობით უცდიდნენ და მის ნახვას იშვიათად ახერხებდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდკაცობის ტახტიდან ჩამოაბრძანა მენშევიკების თავკაცები და მათი წარმომადგენელი ამ პროვინციაში ანდრია რაშაძე. ახლა იგი, სადღაც ტექნიკუმის მასწავლებელი, ნაღვლიანი და ფრთადაყრილი, გულმოკლული და სევდიანი, დამფრთხალიც არის და დაბნეულიც. მაგრამ იმას კი გრძნობს, რომ ახალმა სინამდვილემ, რევოლუციამ იგი გარიყა ცხოვრების მორევიდან და სადღაც კუთხეში მიაგდო. ეს სოფლის მასწავლებელი „შესვენებებზე სამასწავლებლო ოთახში იჯდა დაღვრემილი და ფიქრობდა, რომ ის ზედმეტია ამ ცხოვრებაში, რომ მას არაფერი გაეგება თანამედროვეობის, არცა აქვს სურვილი გაიგოს, იმიტომ, რომ მას დასანახავად სძულს ეს თანამედროვეობა.

დაბა N -ში ახლა ახალი დაწესებულებები იყო—აღმასკომი, გლეხკომი, სარევოლუციო ტრიბუნალი, მაცივარი, აბანო...

კომისრები და პარტიულები დადიოდნენ საქმიანად, ცოტას ლაპარაკობდნენ, ბევრს აკეთებდნენ... სადგურში იდგა ჯავშნიანი მატარებელი და ჯავშანმოსილ ვაგონებიდან იცქირებოდნენ მორტირები, ტყვიამფრქვევები, წითელარმიელები. ეს ჯავშნიანი მატარებელი პუტილოვის მუშების საჩუქარი იყო".

ავტორი ამ ფრაზებით გვანიშნებს ახალი საბჭოთა საქართველოს რევოლუციურ სინამდვილეს. სწორედ ეს სინამდვილე და ეს რევოლუციის ახალი ძალები სძულთ ყოფილ კაცებს, ანდრია რაშაძეს და მის სულიერ მეგობრებს — ოთარ ბახუსოვსა და ადელაიდა თენგიზოვნას. ეს სინამდვილე ჭირისდღესავით სძულთ აგრეთვე ვაჭრებს, თავადებს, რომელთაც რევოლუციამ ისტორიის სანაგვე ყუთში გადაუძახა... „კერძო ვაჭრები მსუქანი ბაყაყებივით ისხდნენ დუქნების წინ, ამთქნარებდნენ და ოქროების მაგიერ ქარვის კრიალოსანს თვლიდნენ... ვაჭრობა არ იყო, მუშტარი კოოპერატივმა დაიტაცა: — კოოპერატივში იყიდებოდა კეცები, ბაწრები, სიმინდი, ფარგა, ტეჟეს ოდეკოლონი და ლენინის თხზულებანი.

ვაჭრები გულში აგინებდნენ კოოპერატივსა და საბჭოს, იმიტომ რომ იქ სადგურზე ჯავშნიანი მატარებელი იდგა და აქ, დაბაში, საგანგებო კომისიას ცხრა თვალი და ცხრა ყური ჰქონდა გამახვილებული".

ძველი ფსიქოლოგიის ადამიანთა დედაბრული ბუზღუნი, ჩიფჩიფი, გინება და წყევლა ვერაფერს აკლებდა ახალ ცხოვრებას. რევოლუციის მიერ გაკაფული ახალი გზა გიგანტური ნაბიჯით მიდიოდა წინ. ახლა ამ დაბის მეთაურნი ახალი ადამიანებია, კომუნისტებია. ანდრია რაშაძის ყველაზე შეუპოვარი მტერი კომუნისტი თაბაგარია, რომელიც დაბას განაგებს. დ. შენგელაიას გასაოცარი ლაკონიზმით და დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით აქვს გამოხატული ამ ყოფილი ადამიანების სრული განწირულობა. ეს ნათლად ჩანს შემდეგ დიალოგში: „ანდრო წამოდგა, ნელი, გამოზომილი ნაბიჯით ქალს მიუახლოვდა და მომუდარე ხმით, თითქოს ჩურჩულით შეეკითხა:

— ადელაიდა თენგიზოვნა!.. ადელაიდა თენგიზოვნა!

ქალმა მოიხედა და გაოცებული თვალებით დააშტერდა.

ანდრო ხედავდა ამ მოჩერებულ თვალებს: თვალებში სიბრალული იყო და სიბრალულთან ერთად ქუთუთოებზე გლიცერინის ორი წვეთი ცრემლი გამოიჟონა. ანდრომ ყურადღება არ მიაქცია ამ ცრემლებს და ისევ განაგრძო მუდარა:

— ადელაიდა თენგიზოვნა, მითხარით, ადელაიდა თენგიზოვნა, ვინა ვარ მე? მითხარით, ღვთის გულისათვის, ვინა ვარ მე, ვინა ხარ შენ, ვინ არის ის... — და უკანასკნელ სიტყვაზე თითი სივრცეში გაიშვირა და ეს თითი ასე დარჩა სივრცეში გაშვერილი.

— თქვენ ავად ხართ, ბატონო ანდრო... ასე არ შეიძლება... თქვენ სრულებით არ უფრთხილდებით თავს, — თქვა ადელაიდა თენგიზოვნამ აკანკალებული ხმით, დაანებეთ თავი გაკვეთილებს, წადით სახლში და მოისვენეთ.

— არა, ადელაიდა თენგიზოვნა, არა... მე უკვე განვისვენე, მაგრამ ძნელია, მეტად ძნელია, როცა წარსული არ გავიწყდება... გინდა ისე იყო და აი მე არ ვიცი, ვინა ვარ მე... მე არ ვიცი ჩემი დანიშნულება. ნუთუ გათავდა, ნუთუ ჩვენ არაფერს ვნიშნავთ? მაშინ იქსი ნულს უდრის და მე არ მინდა, ძნელია ეს, ადელაიდა თენგიზოვნა, ძნელია, როცა იცი, რომ შენ იქსი ხარ და ეს იქსი ნულს უდრის. ყოველ ადამიანს რაიმე დანიშნულება აქვს, თუნდაც სტატისტიკისათვის... ეს სიცოცხლის აზრია, მე დავკარგე ეს დანიშნულება. თქვენ იცით, ფსალმუნში სწერია: — მე მატლ ვარ და არა კაც, მე არ მინდა მატლ ვიყო, მე კაცი მინდა ვიყო, კაცი და არა კაც, თქვენ არ იცით, კაცი სახელობითი ბრუნვაა, მე კაც ვარ, მე უსახელო ბრუნვა კაც ვარ. მე ოდესღაც ვიყავი კაცი, ახლა მე კაც ვარ, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ნაკაცარი...“ ძნელია ამაზე უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს ადამიანმა აღსარება ნაკაცარისა. რევოლუციის მრისხანე ძალებით დანგრეული ძველი ბუდეების ეს ნაკაცარნი თავს სავსებით განწირულად გრძნობდნენ. დ. შენგელაიამ დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით გამოხატა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ისტორიული ფერისცვალობა, რევოლუციის ამ მკაცრი კანონით დასჯილი ყოფილი ადამიანების, სულნამცეცა ადამიანების ტრაგედია.

ცოლზე უიღბლოდ შეყვარებული ანდრია რაშაძე ასეთ

სურათს წააწყდება: სახლის კარი შეაღო და ხედავს: მისი ცოლი, ვენერა, საწოლზე პირაღმა წევს და კომისარი თაბაგარი თავდავიწყებით კოცნის. ცხოვრების მიერ იარაღაყრილი ყოფილი ნაკაცარი ბოდიშს მოიხდის ამ სურათის შემსწრე. კარს მოიხურავს და აივანზე გამოვა. ოთახიდან გამოსული თაბაგარი პირდაპირ მიახლის მას:

„— ამხანაგო, — თქვა თაბაგარმა და წელზე მაუზერი გაისწორა, — შენი ცოლი მე მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. რას იზამ, ძალას ხომ ვერ დაატან, — თქვა მან და წვიმაში ამოლუმპულ ანდრო რაშაძეს თავიდან ფეხებამდე თვალები დაცინვით ჩააყოლა“. მთელი ღამე ეკედრებოდა ანდრია რაშაძე ცოლს, არ მიეტოვებინა იგი, მაგრამ ახლა ეს ნაკაცარი არავის სჭირდება და, მათ შორის, საკუთარ მეუღლესაც. ასე გააშიშვლა მწერალმა ნაკაცარის ფიზიკური და სულიერი სიკვდილი და მთელი სისრულით გამოხატა რევოლუციური სინამდვილის მიერ განიარაღებული ნაკაცარების ტრაგედია, ამავე დროს, ძლიერება და უპირატესობა ახალისა, რევოლუციურისა. ამ თვალსაზრისით ეს ნოველა მეტად მძაფრი პოლიტიკური ნაწარმოებია, რომელშიაც ნათლად ჩანს მწერლის ტენდენცია, დაკავშირებული ახალ დროსთან, ახალ ცხოვრებასთან.

თემატურად დ. შენგელაიას მცირე ფორმის მოთხრობები მრავალფეროვანია. აქ ჩვენ ვნახავთ ნოველებს, მინიატურებს, მოთხრობებს, რომელთა თემაა სამოქალაქო ომი, საკოლმეურნეო მშენებლობის წლები, ჩვენი ხალხის დიდი ისტორიული წარსულის კონკრეტული მოვლენები, მრისხანე სამამულო ომის ეპიზოდები...

- შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქართველ მწერალს ისე მრავალფეროვნად და საინტერესოდ არ გამოუხატავს სამოქალაქო ომის სურათები, მეფის თვითმპყრობელობის ტახტის დამხობა, წითელი ჯარის შეუპოვარი ბრძოლა ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმის სამარცხვინო ლაშქრობა, როგორც ეს დ. შენგელაიას აქვს წარმოდგენილი მცირე ფორმის მოთხრობებში. აქ უნდა დავასახელოთ ნოველები „გურამ ბარამანდია“ და „პატარა ქალი“.

„გურამ ბარამანდია“ რთული პლანის მოთხრობაა, სადაც ვრცლად არის აღწერილი სამეგრელოს, აფხაზეთის, სამურზაყანოს ფონზე ყოფილი თავადებისა და სამთავროს უფროსების ცხოვრება, მათი განცხრომის დღეები და უდარდელი, თავაშვებული ქცევა, ძმათა სისხლისმღვრელი ომები, დაჩაგრულთა დრტვინვა და უკმაყოფილება, შემდეგ გადაგვარება და გადაშენება ამ თავადიშვილებისა... აი მათი უკანასკნელი წარმომადგენელი ოტია ბარამანდია. იგი თავისი წინაპრების მსგავსად, ნადირობაში, ქეიფში, გაბმულ ლხინში ატარებდა თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, ამას კი ფული სჭირდებოდა და ისიც „მოურავთან ერთად საქმიანი ბაწრით მამულში დადიოდა და აზომილ მიწებს ყიდიდა“. ოტია მიწებს ყიდიდა, ფულს უგზავნიდა თავის შვილებს, რომელთაგან ერთი პოლკში იყო, მეორე — ცარსკოე სელოში, მესამე ვიღაც სამხედრო ატაშეს ცოლად ჰყავდა პარიზში წაყვანილი. პარიზისა და პეტერბურგის ცხოვრება, ოფიცერთა დეზების წკარუნი, ლაკირონის ეტლები და ლანდოები, კადეტთა კორპუსის მკაცრი რეჟიმი ოტიას შვილს გურამ ბარამანდიას ხელგაშლილი ცხოვრებისაკენ უბიძგებდა. ამ ფონზე დ. შენგელაია, ნ. ლორთქიფანიძის მსგავსად, ნათლად ხატავს თავადაზნაურთა ოჯახების დეგრადაციასა და სრულ გადაშენებას. ბარამანდიების ოჯახის ისტორია იმით მთავრდება, რომ რევოლუციამ ძირს დაამხო მეფის ტახტი და მას მიაყოლა ეს ყოფილი თავადებიცა და სასახლის კაცებიც.

„ჯარისკაცები მიტინგებზე წითელი დროშებით დადიოდნენ, რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ ომის გათავებას საშველი არ დაადგა, ხალხი ღელავდა და ერთ ღამეს „ავრორას“ ზარბაზნების გუგუნმა შეარყია ქვეყნიერება“. ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა. მეფის გენერლები, მსოფლიო იმპერიალისტურ ინტერვენტებთან ერთად, იარაღს აღმართავენ ახალი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის ალში გაეხვია ქვეყანა. გურამ ბარამანდია თეთრგვარდიელებს — თავის ცოლისძმებს და სიმამრს გვერდში ამოუდგა და ცოლთან, ოქსანა ნიკოლაევნასთან ერთად გადაწყვიტა ციმბირის ტაიგებში შური ეძია რევოლუციაზე, საბჭოთა ხელისუფლებაზე. ეს ის დროა, როდესაც

ნესტორ კალანდარიშვილის წითელი ჯარი მრისხანედ შეიჭრა ციმბირის ველებში და უკანასკნელი ბუდე თეთრგვარდიელებისა დაანგრია. რეაქციონერთა ბანაკი, გაკაპასებული და განერვიულებული თეთრგვარდიელის გურამის მეთაურობით, ყოველგვარ საზიზღრობას ჩადის. გლეხებს, რომლებიც რევოლუციას ემხრობიან, ხვრეტენ, შურს იძიებენ. წითლებმა ომსკი აიღეს და, აი, ბონდარჩუკად გვარშეცვლილ გურამს უკანასკნელი იმედი გაუქრა. პარტიზანების შეტევას ვერ გაუძლო თეთრგვარდიელების უკანასკნელმა ბუნაგმა. სადგურის შენობაზე წითელი დროშა ააფრიალეს, ხოლო წითელი ჯარისაგან გადათელილი გონარეული გურამი გაქცევას დააპირებს, მაგრამ მარცხენა მხარში საშინელ დარტყმას იგრძნობს და უკანასკნელ სიტყვასთან — „დედასთან“ — ერთად, „კვნესის და სისხლთან ერთად სულსაც არწყევს“.

აქაც, ამ მოთხრობაშიაც, ნათლად ჩანს დ. შენგელაიას სიმპატიები ახალ სოციალისტურ სამყაროსადმი, მწერლის სიძულვილი ყოველივე დრომოჭმულისა და დახავსებულისადმი. და ყველაფერი ეს გამოხატულია დიდი ფსიქოლოგიური სიმართლითა და სიმძაფრით.

პირველი მსოფლიო ომის საშინელებანი, რასაც რიგითი ადამიანებისათვის უბედურება და სიკვდილი მოჰქონდა, ასევე მძაფრად გაკიცხა და დაგმო მწერალმა ნოველაში, რომელსაც ჰქვია „პატარა ქალი“. ცოლ-ქმარი თარა და არჩილი ბედნიერად ცხოვრობდნენ. ეს ბედნიერება ომმა დაარღვია და რომანტიკულად შეყვარებული ცოლ-ქმარი ერთმანეთს მოაცილა.

პატარა ქალს გულწრფელად აღმოხდება განწირული ადამიანის კვნესა: „არ მინდა ომი, არ მინდა“... მერე წავიდა ეს მარტოობის დღეები, და, როცა დაჭრილ ოთარს დახვდა, იგი გენერალს ისტერიული კივილით მივარდა:

— რა უყავით ჩემი ქმარი? ეს არის ოთარი? ეს ვიღაც სხვაა... და როცა თარა ასე ეკითხებოდა გენერალს, იქ, სადღაც მესამე ლიანდაგზე ახალგაზრდული ჟრიამულით, გარმოშკის ჭყიპინით, დაიძრა ახალი ეშელონი ფრონტისაკენ. თარა თმაგაწეწილი გადავარდა ლიანდაგებზე და მატარებელს გულამოვარდნილი დაედევნა, თვითონაც არ იცოდა რად დაედევნა“. ამ ეპიზოდში ნათლად არის გამოხატული მწერლის

პროტესტი პირველი მსოფლიო ომის იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, რომელსაც მეფის რუსეთი ახორციელებდა თავისი ტახტის განსამტკიცებლად.

დ. შენგელაიას შემოქმედებაში ნათლად არის გამოხატული მენშევიკების ბატონობის დროინდელი ცხოვრების სურათი და ამ ფონზე ანტიხალხური ხელისუფლების უბადრუკობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები ყველაზე მძაფრადაა გამოხატული ნოველაში „თებერვალი“.

მენშევიკების ჯარი დეზორგანიზებულია. სამხედრო წესრიგი დაირღვა, მენშევიკური გვარდია მცხეთიდან უკან იხევდა. სადგურზე ეყარა გაციებული ორთქლმავლები, დარბეული ვაგონები, ზარბაზნები, ფურგუნები, იყო ყიყინა, ორომტრიალი და ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვის რა უნდოდა, ვის რა სტკიოდა. სადღაც დეზერტირებმა გატეხეს ცეკავშირის ვაშლის საწყობი, სადღაც სამხედრო საყვირის ხმა გაისმა, სადგურის უკან თოვლში ვიღაც მშობიარე უპატრონოდ ეგდო და განწირული ხმით კიოდა... ასეთი სრული დაბნეულობის შიშისა და ახალის მოლოდინის ვითარებაში ხატავს მწერალი მენშევიკური მთავრობის უბადრუკობას. ამ დიდ სულიერ სიცარიელეში სადღაც იმედად გაისმა ხმა პატარა გოგონასი, რომლის მამა ახლა მენშევიკურ მთავრობას დაპატიმრებული ქუთაისისკენ მიჰყავდა. მამასა და ახლობლებს ჩამოშორებული თინა ჯარისკაცებს უამბობს: „მამას უნდა, რომ ყველა კარგად ცხოვრობდეს... ერთხელ ასე მითხრა — საერთო საქმისათვის თავი უნდა დავდო და შენ არ შეგეშინდესო. მე არ მეშინია, მაგრამ მაინც მეშინია... თქვენ კი თოფს ესვრით, ნუ ესვრით... ნუ ესვრით მამას თოფს.

მამა ლენინის ამხანაგია... ლენინი... ლენინი ღარიბების ამხანაგია, თქვენ არ გინახავთ ლენინი? მე ლენინი სურათში ვნახე, ის იცინის, თვალები წვრილი აქვს და იცინის, ბიძია ლენინი... — ისეთი გულითადობით ლაპარაკობდა თინა, რომ ირგვლივ მყოფთა ყურადღება ნელ-ნელა მიიქცია, ისინი სულგანაბული მიფორთხავდნენ მისკენ, ახლოს მიიწევდნენ,

რომ გაეგონათ, რას ამბობდა ეს ცქრიალა გოგონა და მალე ყველამ მის ირგვლივ მოიყარა თავი". ამ მცირე დეტალით, ამ გოგონას სიტყვებით მწერალი გვანიშნებს ახალი ცხოვრების დასაწყისს.

მენშევიკური საქართველოს უნიათო დღეების სურათია გამოხატული პატარა მოთხრობაში, რომელსაც ეწოდება „პორტი".

„პატარა საპორტო ნავსადგურში უცხოეთის გემები იდგნენ და მათ ირგვლივ სასაცილოდ მოჩანდნენ ლაზური პატარა სანდლები, ბაიდები და ნავები. ოწინარის ჯაჭვი ხალისიანად წკარუნობდა და, ყანჩებივით კისერაწვდილებს, მიჰქონდათ ცად ატაცებული ხარები, ნიგვზისა და ჭადრის ხეები, ჩაი, ჯაგარი, ნოხები, ბამბა... ეს იყო მაშინ, როცა ბათუმში ინგლისელები ბატონობდნენ და საქართველოს საზღვარი ნატანებთან იყო. შიმშილი, სიცივე, სახადი და ხვალინდელი დღის უიმედობა სუფევდა ყველგან. კაფეებში კი გრიალებდა ორკესტრი და მთელი ღამეები ისმოდა მთვრალი არისტოკრატი ქალების სასიკვდილო კივილი. ერთი მხრივ, დაჭრილების კვნესა, შიმშილისა და სახადისაგან დახოცილთა გვამები, მეორე მხრივ კი, ამერიკელი და ინგლისელი ოფიცრების თავაშვებული ფარფაში, — ასეთი იყო მენშევიკური საქართველოს სინამდვილე. უცხოელები განუწყვეტლად ქეიფობდნენ და თავს თოფის სროლით იქცევდნენ, საქართველო კი ნადგურდებოდა, კნინდებოდა, იღუპებოდა". ასეთია ამ პატარა ნოველაში გამოხატული სურათი და აქაც ნათლად ჩანს დ. შენგელაიას, როგორც საბჭოთა მხატვრის ტენდენცია.

დ. შენგელაიას შემოქმედებაში ნათლად გამოიხატა საკოლმეურნეო ცხოვრების ის მძაფრი პროცესები, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს სოფელში. ამ თემაზეა შექმნილი ნოველები „ქორდედალა", „შუღლი", „ყაზავათი" და „ტაია".

„ქორდედალა" ნარკვევია, დაწერილი დიდი მხატვრული განზოგადებითა და ემოციური დატვირთვით. გურიაში, სოფელ მერიაში, მწერალი თავის თანამგზავრთან — ტატე ანდღულაძესთან ერთად პირველად ხვდება ჩაის კრეფაში განთქმულ ახალგაზრდა ქალს, ხასიათით ჯიუტს, შეუპოვარს, რომელსაც გაზეთებიდან დაზეპირებული პოლიტიკური სიტყ-

ვებით უყვარს ლაპარაკი. ყველას ამ ქალის რიდი აქვს, მათ შორის ტატე ანდღულაძესაც. ბოლოს ისე მოხდა, რომ ტატეს ცოლად გაჰყვება. ქორდედალა, ტატე ანდღულაძისაგან, შერქმეული ეს ზედმეტი სახელი, მართლაც რომ შეეფერებოდა ამ ქალს.

სოფლის ცხოვრების სურათია აგრეთვე გამოხატული ნოველაში „შუღლი“.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში დ. შენგელაიამ რამდენიმე მცირე ფორმის მოთხრობა გამოაქვეყნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ „მეოთხე ძმა“, „შურისგება“, „ოჯახი“ და „სანგრებში“. ამ ნაწარმოებებში მწერალმა დაგვიხატა საბჭოთა ადამიანების თავდადებული შემართება მრისხანე ბრძოლის მიმართ.

დ. შენგელაიას შემოქმედებაში ცალკე უნდა აღინიშნოს ის მოთხრობები, რომელთა თემა ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულია. ასეთია, მაგალითად, „შემოქმედი“. აქ საინტერესოდაა გამოხატული დიდი ქართველი მხატვრის ბექა ოპიზარის შემოქმედებითი ცხოვრება და მისი სულიერი სამყაროს ინტერესები. ოპიზარს, როგორც მხატვარს დაავალეს ახალი ტაძარი მოეხატა. მან ანგელოზად წარმოიდგინა ერთი უბრალო ქალი. მართალია, ამ ქალის პორტრეტის კვალობაზე წარმოგვისახა ბექა ოპიზარმა ანგელოზები, მაგრამ მასში ჯერ კიდევ გაღვიძებული ქალის ვნება ვერ ამოიკითხა. ამ დროს ქალს ხვდება შოთა რუსთაველი, უიღბლოდ შეყვარებული, მიჯნური თამარისა, სამშობლოდან გადახვეწილი და უკან დაბრუნებული. რუსთაველისა და ქალის შეხვედრა ერთ პატარა ეპიზოდშია მოცემული, მაგრამ აქ ეს ქალი პირველად ავლენს თავის ვნებას და ილტვის რუსთაველისაკენ. როცა იგი ამის შემდეგ მხატვართან ცხადდება, — მხატვარმა ერთბაშად აღმოაჩინა მასში ქალური ვნება და, ამით შთაგონებულმა მოხატა ეკლესია.

დ. შენგელაიასთვის დამახასიათებელია ლიტერატურული, მწიგნობრული ელემენტების შეტანა მოთხრობებში, რაც ამ ნოველაშიც იგრძნობა. საერთოდ, ცნობილია, რომ დიდ მხატვრებს მუდამ თვალწინ ედგათ ადამიანური ცხოვრება, დიდი ვნებები, კერძოდ, ე. წ. წმინდანების პროტოტიპები ცხოვ-

რებაში შეხვედრილი ვნებიანი ქალები იყვნენ. დ. შენგელაიამ ასეთი კონკრეტული ანალოგიით მოგვცა ცნობილი ქართველი მხატვრის ბექა ოპიზარის შემოქმედებითი ცხოვრების, სულიერი სამყაროს ახსნა.

ცალკე უნდა აღინიშნოს დ. შენგელაიას დოკუმენტური მოთხრობა „ფიცი“.

1924 წლის 22 იანვარს გორკაში გარდაიცვალა დიდი ლენინი. ეს იყო უდიდესი დანაკლისი კომუნისტური პარტიისათვის, მსოფლიო მუშათა კლასისათვის. ლენინი ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მაგრამ დარჩა ლენინიზმი, ლენინის მიერ მოხაზული სოციალისტური მშენებლობის დიდი გეგმა. ლენინის უკვდავი წიგნები — კომუნისტური პარტიის მოქმედების პროგრამა და წინსვლის დაუშრეტელი წყარო. ლენინის დროშა, კომუნისტური პარტიის დროშა, მუშათა კლასმა, ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ მტკიცედ აღმართეს და გასწიეს ძლევამოსილად სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ლენინი უკვდავია და ასევე დარჩება იგი ჩვენი ადამიანების შეგნებაში. ასევე წარუშლელად დარჩება ლენინის თანამებრძოლთა მეხსიერებაში ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული სამგლოვიარო დღეების კვალი. ამ მძიმე დღეებში, 1924 წლის 26 იანვარს, გაიხსნა საბჭოების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. ეს ისტორიული ამბავი აღწერილია დ. შენგელაიას „ფიცში“.

„საღამოს ექვს საათსა და 25 წუთს ყრილობის პრეზიდიუმის გრძელ მაგიდასთან გამოჩნდა სსრკ აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე ამხ. მიხეილ კალინინი. ამ ხუთ დღეში გამხდარა იგი, თვალები ჩაცვენია, მოტეხილა და თითქოს მოხუცებულა კიდეც.

დგას პრეზიდიუმის მაგიდასთან. ერთხანს ხმას არ იღებს, დარბაზში სიწყნარეა, მაგრამ ზარი მაინც დარეკა, უფრო თავისთვის, რომ საკუთარ ფიქრთაგან გამორკვეულიყო, და ამ წკრიალმა ისეთივე სიცივით აავსო ეს დარბაზი, როგორც ლუსტრების ამ სინათლემ. მერე ზარს ხელი უშვა და მიმართა სსრკ ცაკის პრეზიდიუმისა და რკპ(ბ) ცეკას წევრებს, რომ პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილი დაიჭირონ.

თავმჯდომარის ამ მოწოდებაზე დგებიან ისინი, მიდიან და

წელი წყდებათ, რომ მათთან ერთად არ მიდის პრეზიდიუმთან ის, იქ რომ ასვენია სვეტებიან დარბაზში და თავზე საპატიო გუშაგები ადგანან... არასოდეს პროლეტარიატს ისე მტკიცედ არ შეუმჭიდროვებია თავისი რიგები, როგორც იმ დღეს".

ასე ხატავს მწერალი ამ მძიმე განცდის დღეს, და, ამავე დროს, მას მოსავს დიდი ოპტიმისტური რწმენით, რაც დაკავშირებულია ლენინის მიერ დაარსებული მტკიცე და ურყევი პარტიის სახელთან. სიტყვიერი მასალის უაღრესი ეკონომიითა და სიმახვილით გადმოგვცემს მწერალი საბჭოთა ხალხის ამ მღელვარე განცდებს. ამ თვალსაზრისით ეს შესანიშნავი ნოველა, როგორც დოკუმენტური პროზის ერთი საუკეთესო ნიმუში, უაღრესად შთამბეჭდავი და საინტერესო ნაწარმოებია.

როგორც ვნახეთ, მცირე ფორმის ნაწარმოებებით დ. შენგელაიამ ასახა ჩვენი ხალხის, ახალი საბჭოთა საქართველოს გზა, ასახა ყოველმხრივ და მრავალფეროვნად. ამ ნოველებში, როგორც დიდი სარკის მცირე ნატეხებში აისახა ჩვენი ხალხის ცხოვრების ცალკეული დეტალები. სარკის ამ მცირე მონაკვეთს მწერალი მოხერხებულად იყენებს და მასში, როგორც ფოკუსში, თავს უყრის დიდ საზოგადოებრივ და მღელვარე კითხვებს. დ. შენგელაიას სამწერლო სტიქია ამ მცირე ფორმის ნაწარმოებებში მთელი სისრულითაა გამოვლენილი.

* * *

ყოველ ჭეშმარიტ მწერალს აქვს ერთი ნაწარმოები, რომელიც ყველაზე ტიპიურად გამოხატავს ავტორის მხატვრულ ინტერესსა და მიდრეკილებებს, მისი წერის მანერას. ასეთია, კერძოდ, დემნა შენგელაიას შემოქმედებაში რომანი „ბათა ქექია". ეს მეტად საინტერესო მოვლენა იყო 30-იანი წლების ქართულ მწერლობაში. რომანი პირველი პირით მოგვითხრობდა ქართველი გლეხის ბათა ქექიას თავგადასავალს; ამ გმირის სულიერ სამყაროს, მის ინტერესებს, მის დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, გარესამყაროსთან გვიხატავს მწერალი ტიპიურად და განზოგადებულად. ამ გზაზე ავტორს სრულიად ბუნებრივად სჭირდებოდა გამოესახა ის საზოგადოებრივი ფონი, რომლის მოწმე და მონაწილე ეს გლეხი იყო.

ნაწარმოებში თითქმის მთელი საუკუნეა მხატვრის თვალით გაცოცხლებული და წარმოდგენილი. რომანი ბატონყმობის სცენებით იწყება და ჩვენი დროის ცხოვრების სურათებსაც სწვდება. ამ საუკუნოვანი ისტორიის ფურცლებზე უფრო გამოკვეთილია ორი დიდი საზოგადოებრივი ხანა, — ესაა ბატონყმობისა და 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიანი დღეების ბობოქარი და მღელვარე ფურცლები. უნდა ითქვას, რომ მწერალი დიდი სიმართლით, მხატვრული პირუთვნელობით წარმოგვიდგენს ბატონყმური საქართველოს სოციალურ სურათს, გლეხთა მღელვარებასა და პროტესტს ამ სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ და ამ ნიადაგზე რუსეთის მეფის იძულებითს მანიფესტს, რომელმაც გლეხკაცობას თითქოს თავისუფლება მიანიჭა. ფორმალურად განთავისუფლებული გლეხკაცობის აღფრთოვანება და სიხარული აქ მხატვარს დიდი ძალით აქვს გამოხატული. აქვე ნათლად არის წარმოდგენილი ის ჯოჯოხეთური, არაადამიანური ცხოვრების სურათი, რომელიც ბატონყმურმა ინსტიტუტმა შექმნა. ბატონყმური ცხოვრების მძიმე სურათი განზოგადებულად არის გამოსახული ყმა გლეხი ქალის ჯუფანას სიტყვებში. ქართველი ყმა გლეხქალის ბედი ტიპიურად არის გადმოცემული მის ხასიათსა და საქციელში.

„ღმერთო, ნუ გაახარებ ჩემი ბატონის ოჯახს. ჩემი გატრამალებისათვის! ღმერთო, შენ ამოაგდე მისი ძირი და წელი! ღმერთო, თუ ხარ სადმე, შე დალოცვილო! ღმერთო, თუ რამე მადლი გაქვს და ძალა, შეისმინე ჩემი ვედრება და მიწასთან გაასწორე იმ ჩემი ბატონის მოდგმა და მომავალი. ღმერთო, იმ დღეს მომასწარი, რომ ის ჩემი სისხლის მწოველი კარიდან კარზე ჭადის ნატეხის სამათხოვროდ დადიოდეს, გაკითხვის მაგიერ ბაღნები ძაღლებს უსისიანებდნენ და გულს გენიალებოდეს! წმინდა გიორგი, შენ მუხლებს შემოვევლე, შენ დაშუბე და მოაოხრე მისი ოჯახი“.— ასე მოთქვამდა და სწყევლიდა ბატონყმობის საშინელ წესსა და კანონს არა მარტო ჯუფანა, არამედ მისი მეზობლები და სახლიკაცებიც. როცა ამ მდგომარეობაში მყოფმა გლეხკაცობამ შეიტყო, რომ მეფემ გააუქმა ბატონყმობა, მათს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: „მერე ვინ ასწერს, რა ვაება, რა სიხარული და რა

ბედნიერების ცრემლები და მოთქმა, სიცილი გაჩნდა, როც ბატონებისაგან განთავისუფლებული გლეხები და ყმები ერთ მანეთს შეხვდნენ. იგონებს ბათა — „ბებია ჯუფანა წინ გა ვიძღოლეთ და ჩვენ უკან მივყევით. ჩვენი გაღატაკებულ სოფლისაკენ სტვენით, ყიჟინითა და ფილთა თოფების სრო ლით გავემართეთ, ჩვენ თვალწიპლიან ფაცხებს დავუბრუნდით ჩვენ რომ მაშინ ლხინი გავმართეთ, ცა ძირს ჩამოვიტანეთ დ ჩვენ ცათ ავედით“.

მაგრამ ნაადრევი იყო გლეხკაცობის ეს მოლხენა და სიხარული: ბატონყმობა ფორმალურად გაუქმდა, გლეხკაცის სიბეჩავე და სიდუხჭირე, უუფლებობა და ძარცვა-გლეჯვა ისევ ძალაში რჩება. და რომანის მომდევნო თავებში ჩვენ ვეცნობით ამ დუხჭირ პირობებს, ნაჩალნიკების, ბოქაულების, მამასახლისების, მოურავებისა და ხუცესებისაგან აწიოკებული და გაძარცული სოფლის ცხოვრების სურათებს, რასაც მწერალი დიდი სიმართლით გამოსახავს. სევდანარევი მოგონებებით აგვიწერს ბათა ქექია: „ვიდექ და ყურს ვუგდებდი, როგორ გმინავდა ჩემი დარბეული სოფელი, როგორ ყეფდნენ აწრიალებული ძაღლები ეზოებში, კრიახებდნენ გულგახეთქილი ქათამ-ინდაურები, ყიოდენ დაწიოკებული ბავშვები.

— ვფიქრობ, შვილო, ვფიქრობ და ვერ გამიგია, რათ არის ეს ცხოვრება იმნაირად მოწყობილი, რომ ერთი, უქნარა, ჭამს და მეორე — შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს და მაინც მშიერ-მწყურვალია“. ამ სიტყვებში ტიპიურად არის გამოხატული რევოლუციამდელი გლეხის სოციალური ხვედრი და ბედი. ბათა ქექია ამ შემთხვევაში სიმბოლურად განასახიერებს რევოლუციამდელი ქართველი გლეხის ცხოვრების სურათს და, ამავე დროს, მის დაუოკებელ პროტესტს და შეურიგებელ ბრძოლას ამ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

მეფის მანიფესტისაგან მოტყუებული გლეხკაცობა, ბატონყმობის ფორმალური გაუქმების შემდეგ კვლავ მძიმე სოციალური ტანჯვით შეწუხებული, ბორგავს, გმინავს და ემზადება უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სოფლის გლეხკაცობის ეს განწყობილებაც რომანში ტიპიურად და

საინტერესოდ არის გამოხატული. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია რომანის ფინალი, როცა იგი 1905 წლის რევოლუციის ამბებით მთავრდება.

დემნა შენგელაიას საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სოციალური ბოღმისა და პროტესტის, მე-19 საუკუნის კაცის ზურგზე გადატანილი მძიმე სოციალური ცხოვრების ლოგიკურ შედეგად მიაჩნია 1905 წლის რევოლუცია. მწერალმა ეს გლეხკაცობა ისევ იმ რიონის ნაპირას შეყარა ერთად, სადაც ამ ნახევარი საუკუნის წინ ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ და ბატონყმობისაგან „გათავისუფლება“ მიუოლოცეს სოფელს. მეფისაგან მოტყუებული და გაწბილებული გლეხები ერთმანეთს შეჰფიცებენ, რომ საქვეყნო საქმეს არ უღალატებენ, რომ ერთობის საქმისთვის თავს დადებენ. „ვფიცავთ, რომ ჩვენ, აქ შეკრებილი მშრომელი გლეხები, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ, ყოველი თავს სახალხო საქმისთვის უყოყმანოდ დავდებთ და მტერს ქედს არ მოვუხრით“. ამ საზეიმო ფიცის ვითარებაში წითელი დროშა ალისფრად აფრიალდა. ამ დროშის გარშემო ერთგულად დარაზმული გლეხკაცობა გადაწყვეტს, ძირს დაამხოს მეფის ტახტი, მოსპოს ყველა მუქთახორა და გლეხკაცის მოძალადე. მწერალს გლეხკაცობის ეს რევოლუციური რომანტიკა და ამხედრება სოფლად მეტად საინტერესოდ აქვს გამოხატული, ხოლო რეაქციის ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ გლეხკაცობას არ უნდა იარაღი დაყაროს. ბათა ასე მიმართავს რაზმელებს: „წავიდეთ... ჩვენ თვით წავიდეთ და იქ გავწყდეთ, სადაც ჩვენი მოძმენი გაწყდნენ“. სწორედ ამ დროს ამცნეს რაზმელებს სამწუხარო ამბავი:

„— ამხანაგებო, ეს-ეს არის ქალაქიდან დეპეშით გვაცნობეს, რომ მოსკოვსა და პეტერბურგში აჯანყება ჩამქრალა და ამის შემდეგ ბრძოლა უაზროა. კომიტეტმა დაადგინა, რომ რაზმები დაიშალოს. ყველა, ვისაც არავითარი საშიშროება არ მოელის შინ დაბრუნდეს და იარაღი გადამალოს“. ბრძოლის ჟინით ანთებული გლეხკაცობა მზად არის უკან არ დაიხიოს და ბოლომდე იბრძოლოს. ამ რევოლუციური აღტყინების ვითარებაში რაზმელების მეთაურის მიმართ ბათა ქექიას ნა-

ხევრად იუმორული შეკითხვა გაისმის, როგორც გულუბრყვილო გლეხის გულწრფელი აღსარება.

„— ჩემო ბაბა, ეს მითხარი, რამდენი ვერსი იქნება იმ მოსკოვამდის? — რათ გინდა, ვერ გამიგია. — თქვა გაკვირვებით მოქადაგემ და სკამიდან ძირს გადმოხტა. — ისე, ვუპასუხე მე დამცინავათ, — რავა, შეკაცო, საქმე რო გაჭირდა, სიტყვას ახლა იმადლები? აქამდი კაცი სკამზე ვერ შეგასწრებდა და ახლა რა გემართება? — ასე, სამი ათასი ვერსამდი მაინც იქნება, — და ამის გაგონებაზე ხელი გაოცებით გაიქნია:

— მერე, შე ოჯახაშენებულო, სამი ათასი ვერსის იქით რაცხა მომხდარა და მე შინ რათ მიშვებ? მე რა შუაში ვარ? სად გაგონილა, სირიაჩკინში ტურას ქათამი შეეჭამოს და იმის შიშით ორპირში დედაბერს ქათამი გაეწყვიტოს? გვაბრძოლე, მამა, გვაბრძოლე და, თუ გავიმარჯვებთ, იმათაც მივეხმარებით“.

ასეთი რევოლუციური აღტყინების სურათია გამოსახული ამ დიალოგში. რეაქციის ძალებმა კი მაინც თავისი გაიტანეს და უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული გლეხობა თავის სახლებში ბრუნდება. ისინი იარაღს, გაზეთილსა და გასუფთავებულს, მალულად ინახავენ, და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვლეხკაცობას, მშრომელებს ხელი არ აუღიათ ბრძოლაზე, ეს დამარცხება მათ არ აშინებთ, ისინი კვლავ ემზადებიან, უკეთ რომ ვთქვათ, კვლავ მზად არიან, შეუტიონ და დაამხონ მეფის ტახტი — (ეს ოპტიმიზმი დამახასიათებელია ამავე თემაზე დაწერილი რომანებისათვის: „შთაგონება“ და „ირმის ნახტომი“).

1905 წლის რევოლუციის ამგვარი ოპტიმისტური სულით გამოხატვა სიმბოლურად გვანიშნებს, რომ მომავალი, ხვალინდელი დღე მშრომელი ხალხისაა. რომანში არ არის მოცემული 1905 წლის რევოლუციის მომდევნო წლების რევოლუციების სურათები, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ეს ნათელია, როდესაც მწერალი გვამცნობს, რომ მოხუცებულ ბათას, ცხრა შვილისა და შვილთაშვილების მამას, შვილები საკოლმეურნეო მინდვრებზე გაუგზავნიაო. ეს დეტალი 1905 წლის რევოლუციის მომდევნო ამბებზე გვანიშნებს.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ვთქვით, იმაზე მიუთითებს, რომ რომანში საქართველოს რთული საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრება საინტერესოდ და მღელვარედ არის გამოხატული. და მაინც მწერალს უმთავრესი ფერები და საღებავები, დრო და ენერგია გამოყენებული აქვს რომანის მთავარი გმირის სულიერი ცხოვრებისა და სამყაროს გამოსახატავად. ნაწარმოების უმთავრესი პათოსი მაინც ბათა ქექიას პიროვნული ცხოვრება და თავგადასავალია. კერიის პირას ფეხმორთხმული ბათა ჰყვება ამბავს და ჩვენ ბოლომდის ვუსმენთ მას. პირველი პირით მოთხრობილი ამბავი, ხან გაჭიანურებული და ზედმეტი დეტალებით დატვირთული, ბოლომდის ინტერესით იკითხება. ავტორი ამ ინტერესს იწვევს აფორისტული მეტაფორების შემცველი ხუმრობითა და ხალხური ფრაზეოლოგიზმებით.

ბათა დასაწყისშივე გვამცნობს, თუ რა მიზნით მოგვითხრობს თავის თავგადასავალს. „გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემი ნაცოდვილარით მე არც არავის ჭკუის დარიგება მეხალისება და. არც მიყვარს ეს მოსაწყენი საქმე...

— ღმერთი, რჯული, ამ მოგონებას არც იმიტომ ვწერ, რომ გაგართოთ. მართლაცდა, საქმეგამოლეული ვინმე კი არა ვარ!.. მეც მინდა ავწერო, რაც მინახავს და გამიგონია, რისთვისაც მიტირია და გავძაღლებულვარ. და, მოდი, ნუ დამემდურებით, თუ ამბავი ცოტა გრძელი მომივა და ან ჭკუაში რაიმე არ დაგიჯდებათ. უნდა გითხრათ, რომ ცუდ დროს დავიბადე, ბაბა, მძიმე პირობებში ვიზრდებოდი. ჩემი დღე და წუთისოფელი ძაღლურად მიტარებია და მინდა ის დრო მაინც მოვიგონო“. მწერალი, მართლაც, დაწვრილებით გვიყვება ბათა ქექიას თავგადასავალს, რა არ გადახდა ბათა ქექიას—ობლობა, მოჯამაგირეობა, ქალაქში ხელზე მოსამსახურედ ყოფნა, ბატონის მათრახი და მამასახლისის მუქარა, შრომა, ტანჯვა და მწუხარება. ამ მხრივ ის ტიპიური გლეხკაცის ისტორიას განასახიერებს. მაგრამ ამაში უმთავრესი ის არის, რომ ბათა ქექია არც დევნამ, არც ჩაგვრამ, არც მუქარამ, არც ტანჯვამ და ვაებამ ვერ გასტეხა და ის ბოლომდე სიცოცხლის, ცხოვრების მოყვარულ ეპიკურეისტად, ცივ რეალისტად დარჩა.

მწერალმა მეტად საინტერესოდ და. ტიპიურად დაგვი-

ხატა ცხოვრებას დახარბებული სიცოცხლის მოყვარული გლეხის ფსიქოლოგია. ბათა აცხადებს: „მე სიცოცხლე მინდოდა — სულს მხდიდნენ, ხორცი მინდოდა — სულს მატენიდნენ, სულით ვინ გამძღარა? ვერც მე გავძეხი და ახლა. როცა სიცოცხლე ასე გატკბა, ხელმეორედ რომ მომართმევდნენ, გულზე ხელისდადებით გეტყვით, მეორედაც დიდის ჯადით შევეჭცეოდი. ამისთვის კუჭიც საკმაოდ მაგარი მაქვს, მადაც, შნოც, მაგრამ ეს შეუძლებელი რამ არის და შეუძლებელ საქმეზე ზრუნვა მე არასდროს არ მყვარებია“.

ბათა ქექია პრაქტიკული კაცია, მოხერხებული და ეშმაკი, მაგრამ უაღრესად პატიოსანი. მას დაუოკებელი წყურვილით უყვარს სიცოცხლე. „მე ეს ცხოვრება მიტაცებდა, ეს ქვეყანა მიყვარდა... და ახლაც ასე ვარ, შევხედავ ცას,—მიხარია, დავხედავ მიწას — ისევ ვხარობ, გავცქერ მინდორ-ველებს, მუდმივი თოვლით ჩამოფენილ კავკასიონს, ხოდაბუნებს, რიონს, ტბას, ნარიონალს, შვილებს, შვილიშვილებს, — ვინ მოსთვლის მათ, — ჩემი ოფლით, ჩემი შრომით მონაგარს, და მიხარია“. ბათა ქექია ოპტიმისტი, სიცოცხლის მოყვარული გაუტეხელი გლეხია. მას არ სწამს წუწუნი, ბუზღუნი, ქედის მოხრა. მას ეს ცხოვრება, ეს ქვეყანა უყვარს. მას იმქვეყნისა, საიქიოსი არაფერი სჯერა. იგი უაღრესად ათეისტი გლეხია, რომელიც ამ მიწას, ამ ცას შეჰხარის. რასაც ხედავს და ხელით ეხება, ის მოსწონს და იტაცებს. ეს ისეთი ათეისტი გლეხია, რომლის მაგვარს არა ერთს შეხვდებოდით საქართველოში, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. მისი ათეისტური ფილოსოფია ცხოვრების სიყვარულსა და სიხარულს ეფუძნება, მას საიქიოს არაფერი სწამს და ამიტომ სიკვდილი აღარ უნდა. „თუ ღმერთი მართლა გაწყრა და სიკვდილი თავს წამომადგა, თქვენ მაშინ უყურეთ ბათას, დასაკლავ ღორივით რომ მორთავს ღრიალს. თქვენ გგონიათ, მაშინაც ასე ჩუმად ვიქნები? არა, ბაბა, სიკვდილი ახლად ჯვარდაწერილი ცოლი კი არ არის, ლოგინში შემომიწვეს და გავუყუჩდე, ქვეყანას დავაქცევ ყვირილით, ცას და მიწას შევსძრავ ღრიალით და იმდენს ვიზამ, იმდენს ვიჯახირებ, რომ ამ შაქარივით ტკბილ სულს სიკვდილს მაინც არ დავანებებ“.

ბათა სავსებით თანმიმდევარია ამ მსჯელობაში. „კაცმა

რომ თქვას, სად უნდა წავიდე უკეთეს ადგილას? აბა ერთი გულზე ხელი დაიდეთ და ისე მითხარით, რომელი სამოთხე ჯობია ამ ჩემ მიწა-წყალს? ხედავთ, იქ ტყეა, ტყის იქით სოფლები, — სოფლების იქით ყანები, საძოვრები, ღარდა-ღრეები. აქეთ ეწერია, ეწერის იქით ისევ ტყეები, ტბა, ზღვა და მისიერი, ყოველივე ეს ჩემია, ყოველივე ეს მე ვარ. აბა ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რათ მინდა სხვა სამოთხე?" ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ამაზე უფრო დასაბუთებული მსჯელობა ათეისტი გლეხისა. ცხოვრებასა და სიცოცხლეს დახარბებულ ბათას არაფერი დაჰკლებია, წისქვილის ქვასაც გადაუვლია მის თავზე და ცხოვრების მძაფრ ქარიშხალსაც არა ერთხელ შეურყევია, მაგრამ მაინც სიცოცხლის, ცხოვრების მომღერლად დარჩენილა იგი. ბათა, ამავე დროს, ნაკითხი ადამიანია, „ვისრამიანის" მიჯნურობის ამბავზე, საგმირო, ხალხურ ეპოსზე აღზრდილი გლეხი. მისთვის არაფერია უცხო, ადამიანური და პრაქტიკული. თუმცა სიყვარულში უმტყუნა მას ბედმა. ბავშვობიდანვე დამეგობრებული სიდუ შეიყვარა, შეეთვისა მისი სული, აღეგზნო მისი სიყვარულით, მაგრამ თავზე ხელაღებულმა აბრაგმა დანელიამ, სიდუს მამამ, უმცროსი ქალიშვილის მაგივრად უფროსი ქალიშვილი სალომე შეატყუა. ამასაც შეურიგდა ბათა. ოჯახურ სითბოს მოკლებული, გულს მაინც არ იტეხს და, ოჯახის მოყვარული, მამის როლს, როგორც გაწაფული აქტიორი, ისე თამაშობს.

ბათას მეგობრებიც ჰყავს და მეგობრებიც უყვარს, მაგრამ აქაც არ დაინდო ბედმა. ბავშვობიდანვე გადაეყარა იგი თავის მეზობელს საბას, რომელიც შემდეგ ხუცესი გახდა. ბათას სულიერ ინტერესებს ხუცესის საქმე და სამყარო არაფრით ეგუება, მაგრამ მაინც მეგობრობს მასთან. ამ მეგობრობას სიცოცხლის სიყვარულთან აქვს კავშირი, ჭამა-სმისა და დროს ტარებასთან. ქილიკობასა და საუბარში ეჯიბრებიან ისინი ურთიერთს. სადღაც კიდეც ატყუებენ ერთმანეთს, მაგრამ, საბოლოოდ, არც აქ ემდურის ბედს ჩვენი ბათა ქექია. მას ნამდვილად შეეძლო ეთქვა, რომ „ცხოვრებამ მას ბევრი ძირმწარა არგუნა, ბევრი გაწბილება", მაგრამ, სიცოცხლეს მაინც არ ემდუროდა; „სიცოცხლით გაუმაძღარ სულძაღლ ბათა ქექიას", როგორც ირონიულად შენიშნავს მწერალი,

სიცოცხლის დღენი ავად თუ კარგად მოუჭამია... „თავის დროს მეც მიბრძოლია, მილხენია, როგორც შემეძლო და მესმოდა, მიცხოვრია და თავი ისე დამიცავს, როგორც ჩემ მოკლე ჭკუას გაუჭრიაო“, — ამბობს იგი. ასე ცოცხლდება ჩვენს შეგნებაში ბათა ქექია მთელი თავისი საქციელითა და მოქმედებით. ბათას არასოდეს უღალატია თავისი ხალხისთვის, თავისი ოჯახისთვის, უფრო მეტიც: ბათა თავისებური პატრიოტიცაა. მას გულს უკლავს საქართველოს ეროვნული და სოციალური ჩაგვრა:

„ეს ცხოვრებაც თანდათან გაჭირდა, ბაზარში ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა. იმ ურჯულო რუსთხელმწიფემ ესეც არ გვაკმარა და ახლა ჩვენს ენაზე ხელს გვაღებინებდა. მისი კუბაკები ჩვენს ენას ძაღლის ენას ეძახდნენ და ძაღლები თვითონ იყვნენ, ადამსა და ნამუსზე ხელს გვაღებინებდნენ, ნამუსს გვირცხვენდნენ და თუ ხმას ამოვიღებდით, თვითონ ველურნი, ველურს გვეძახდნენ“. ენისა და ხალხის, მამულისა და ოჯახის სიყვარულმა იგი სწორედ იმ რაზმელებთან მიიყვანა, რომელთაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართეს მეფესა და მის დამქაშებს.

და მაინც, ჩვენი აზრით, ბათა ქექიას რომანის მთელ კომპოზიციაში აკლია ტიპიურად გამოხატული ქართველი გლეხის ლოგიკა მოქმედებასა და საქციელში. გადაჭარბებულადაა წინ წამოწეული გაკილვისა და უარყოფის პათოსი, მის კეთილ საქმეებსა და საქციელს ოჯახში თუ ოჯახს გარეთ ხშირად ვერ ეგუებიან ამის გამომრიცხველი მოქმედებანი და სიტყვები. ასეთი, ერთმანეთის გამომრიცხველი, აზრები და მსჯელობანი, ფიქრები და განწყობილებანი ბათას თან სდევს ბოლომდის და ამიტომ ბევრ შემთხვევაში მისი პატრიოტობა და რევოლუციურობა ულოგიკოდ გვეჩვენება. ბათას აკლია ერთგვარი ზომიერება განმაზოგადებელი გლეხის ხასიათისა, მაგრამ ეს მაინც ხელს არ უშლის ავტორს, დახატოს თავისი გმირი ქართული, ეროვნული საწყისებისა და ძირების მიხედვით.

მართალია, რომანი პირველი პირით ბათას თავგადასავალს მოგვითხრობს, მაგრამ მასში ვრცლად არის შემოყვანილი სხვა მოქმედი პირებიც, რომელთაც მწერალი დასამახსოვრებ-

ლად ხატავს. ასეთია, კერძოდ, ხუცესი საბალია, რომლის ამბავს ბათა ისე საინტერესოდ გვიყვება და ისე ვრცლად ვეცნობით მას ბათასთან ურთიერთობაში, რომ მისი სულიერი ინტერესი და სამყარო სავსებით ნათელი ხდება ჩვენთვის. ეპიზოდურად, მაგრამ საინტერესოდ არის რომანში გამოხატული ყაჩაღის, ცხენების ქურდის, თავზე ხელაღებული აბრაგის ხასიათი თამშულ დანელიას სახით. ეს ცალთვალა აბრაგი კაცი თავისი ქურდი მეგობრებითა და საქმიანობით ვწერალს საკმაოდ ტიპიურად და საინტერესოდ აქვს გამოხატული. ასევე საინტერესოდაა წარმოდგენილი სიდუსა და ბათას დამოკიდებულებაც.

როცა ვეცნობით ხალხური თქმებითა და ანდაზებით, აფორიზმებითა და მეტაფორებით გაცოცხლებულ ამ ქართულ ხასიათებს, რასაკვირველია, უნიადაგო ხდება ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული აზრი, თითქოს ეს რომანი სხვა ავტორის გავლენას განიცდის. შეიძლება აქ მართლაც მოინახოს რაღაც პარალელები, მაგრამ იმდენად ქართულია ყველაფერი ეს, იმდენად ეროვნულია მთელი ეს ხასიათები და მასალა, რომ ასეთ შეხედულებას საფუძველი ეცლება. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ „ბათა ქექია“ არა მარტო დ. შენგელაიას შემოქმედებაში, არამედ მთელი ჩვენი 30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ერთი საინტერესო მოვლენათაგანი იყო და ასევე დარჩება ის ლიტერატურის ისტორიაში.

* * *

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მღელვარე დრო სამამულო ომის წლები იყო. ეს გახლდათ საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის, მისი მატერიალური და სულიერი ძალების გამოცდის დღეები. ამ გამოცდას ჩვენმა ქვეყანამ ბრწყინვალედ გაუძლო და ცივილიზაციის, კულტურის დაუძინებელი მტერი — ფაშისტური გერმანიის მრისხანე მანქანა მიწასთან გაასწორა, გააცამტვერა. ამ მღელვარე დღეებს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია საბჭოთა მწერლობის სულიერი ცხოვრების დიდი გარდაქმნა სამამულო ომის ყაი-

დაზე. და მართლაც, სამამულო ომის მრისხანე დღეებში მთელი ჩვენი მწერლობა, ჩვენს იარაღასხმულ ხალხთან ერთად, ფეხზე დადგა, მტერზე გამარჯვების საქმეს ჰედდა, ხალხს ოპტიმიზმის, გამარჯვების რწმენით განაწყობდა.

საბჭოთა მწერლობამ სამამულო ომის დღეების ფურცლები ბრწყინვალედ გამოსახა და საბჭოთა ლიტერატურა გამდიდრდა ამ ცხოვრების გამოსახვითა და ჩვენებით.

დიდი საბჭოთა მწერლობის მოწინავე რაზმი — ქართული საბჭოთა მწერლობა, — სამამულო ომის მრისხანე დღეებში ქართველი კაცის, საბჭოთა ადამიანის, სულიერ ცხოვრებას მტერზე გამარჯვების სამსახურში აყენებდა. და მან ცოტა როდი შექმნა საინტერესო ნაწარმოებები, რომლებშიაც გამოისახა ჩვენი ხალხის ეს მღელვარე დღეები. ამ ნაწარმოებთა შორის დ. შენგელაიას „წითელ ყაყაჩოს“ ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. იგი ასახავს სამამულო ომის დღეებს, მის ისტორიას...

ამბავი სწორედ ომის გამოცხადების დღის სურათით იწყება... 1941 წლის 22 ივნისის კვირა დღე... თბილისში, დარაშელიძიანთ ოჯახში ერთად შეზრდილი მეგობრები — არჩილი და ბეჟანი ლიტერატურის, მეცნიერების, სიცოცხლის, ადამიანის დანიშნულების საკითხებზე მსჯელობენ. საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის რომანტიკით შემოდიან ისინი ჩვენს ცნობიერებაში. მათს საუბარს, მათს ინტიმს ერთბაშად დაარღვევს მოულოდნელი ცნობა: რადიომ ომის გამოცხადება ამცნო ჩვენს ხალხს. ერთბაშად აფორიაქდა ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. ამ სულიერი ცხოვრების ეპიზოდი მწერალმა შესანიშნავად აღბეჭდა დარაშელიძეების ოჯახში თავმოყრილი ჩვენი ახალგაზრდების დამოკიდებულებასა და განწყობილებაში, მათს პატრიოტულ სულისკვეთებასა და მისწრაფებაში. მეგობრები მეორე დღესვე ფრონტზე მიემგზავრებიან. ბეჟანი საარმიო გაზეთის კორესპონდენტად იგზავნება, არჩილი კი საგანგებო ნაწილში — ქიმიკოსად. ისინი პირველსავე დღეებიდან, თავიანთ სამხედრო ნაწილებთან ერთად, ფრონტის პირას აღმოჩნდებიან, თავგამოდებით იბრძვიან.

ომის ცეცხლსა და ქარიშხალს გამოვლილი ეს მეგობრები მწერალმა სამი წლის შემდეგ ჰოსპიტალში შეახვედრა ერთმანეთს: ბეჟანი — მსუბუქად დაჭრილი, არჩილი კი სასიკვდილოდ განწირული. ჰოსპიტალში განკურნებული ბეჟანი კვლავ სამამულო ომში მიდის,- იგი თავის თანამებრძოლებთან — რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და სხვებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული შეუპოვრად იბრძვის ფაშისტური ურჩხულის წინააღმდეგ. და ეს საბრძოლო გზა იმით მთავრდება, რომ ისინი ფაშისტების ბუნაგში — ბერლინში პირველი შეიჭრებიან. მწერალი გზადაგზა მოგვითხრობს საბჭოთა ჯარისკაცების, არჩილის მეგობრების საბრძოლო ეპიზოდებს, მათი საომარი ცხოვრების სურათებს და ხან დიდი ლირიკული ინტიმით, ხან მრისხანე შემართებით აცოცხლებს მათს საბრძოლო ფურცლებს ჩვენს ცნობიერებაში. მწერალი ასე ქმნის ომის მეტად საინტერესო და მღელვარე სურათებსა და ეპიზოდებს.

ომი მთავრდება. ბეჟანი თბილისში ბრუნდება გამარჯვებული გმირის სახელით. მაგრამ მას მისი მეგობრის, სამშობლოს უკვდავებისათვის დაღუპული გმირის, ამხანაგისა და ახლობელის არჩილის სახე (რომელიც სიმბოლურად განასახიერებს ომში დაღუპული ჩვენი ძმებისა და დების, მამებისა და დედების სახეს), თვალთაგან არ შორდება. ის ღრმად განიცდის და წუხს და მაინც გამარჯვებული საბჭოთა ხალხის სიამაყით, იმედითა და აღტაცებით შესტრფის თავისი ქვეყნის მომავალს და მშვიდობიანი შრომის დაწყებაზე ოცნებობს. მას აქაც, მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზეც, სურს ჩვენს ხალხს გვერდში ამოუდგეს, ხალხთან ერთად იშრომოს და იბრძოლოს. ომგადახდილი ვაჟკაცი ხელთ იღებს ქართულ გაზეთს და გაზეთის პირველსავე გვერდებზე რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა-გიგანტების მშენებლობის ცნობებს წააწყდება. კითხულობს ამ სტრიქონებს და გული სიხარულით ევსება. აი, უნდა დახუროს გაზეთი და ამ დროს მეოთხე გვერდზე თვალს მოჰკრავს გამომწვევ სათაურს: ბებერი ჩერჩილი თავის უოლსტრიტელ დამქაშებთან ერთად იარაღს აჟღარუნებს.

ომისაგან დანგრეული ქალაქები და სოფლები ჯერ კიდევ

აღდგენილი არ იყო, ომში დაღუპული შვილების დედებს, ცოლებსა და დებს ჯერ კიდევ შავები არ გაეხადათ, თვალებზე ცრემლები არ შეშრობოდათ, იმპერიალისტები კი კვლავ ბობოქრობენ. კვლავ ახალი სისხლისღვრისათვის ემზადებიან. ომის ქარცეცხლში გამოვლილ საბჭოთა მეომარს, პატრიოტს ბეჟანს, თვალწინ წარმოუდგება განცდილი და ნახული ომის სურათები და იგი, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ აღგზნებული და აღშფოთებული, ზიზღით ახსენებს მათს სახელებს. ასეთია რომანის ქარგა.

რომანის ძირითად პათოსს განსაზღვრავს საბჭოთა პატრიოტიზმი. ეს ის ძალაა, რომლის ფონზე გამოხატა მწერალმა რომანის მთავარი გმირები. მან უჭკნობი დიდების შარავანდედით შემოსა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის მებრძოლი მგზნებარე პატრიოტების სახელი. მათი საარაკო მამაცობის, გმირობისა და გულითადობის ამბავი მწერალმა დიდი უშუალობითა და გულწრფელობით მოგვითხრო. ციმბირელ სავგაჩოვს, უკრაინელ პილიპენკოს, ქართველ მატახერიას და რუს გოგონა მაშენკას ერთნაირი გზნებით უყვართ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო და საბჭოთა პატრიოტიზმის ამ შეგნებით შთაგონებულნი, მზად არიან, მტრის შესამუსრად საკუთარი სიცოცხლე არ დაზოგონ. ისინი ერთი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, რომელთაც თავიანთი ღირსება და სიყვარული, ეროვნული ხასიათი შეუნარჩუნებიათ, მაგრამ ერთი დიდი საქმის ინტერესებით, სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის ინტერესებით გაერთიანებულან, ძმობისა და მეგობრობის ფიცით შეკრულან და ასე იბრძვიან რუსეთისა თუ უკრაინის ველებზე, კავკასიის მისადგომებთან თუ სევასტოპოლის ციხე-სიმაგრესთან. მათთვის საბჭოთა სამშობლო, მისი ყოველი მტკაველი მიწა ერთნაირად საყვარელი და საფიცარია. აი მოვუსმინოთ მათს ჯამათს უკრაინის დედაქალაქის კიევის გამო.

საბჭოთა მეომრები საინფორმაციო ბიუროს ახალ ცნობას ისმენენ. უკრაინელი პილიპენკო აღელვებით კითხულობს:

„— კიევი, კიევს როდის ავიღებთ, ამხანაგებო!

მატახერიამ კაპიტანს მხარზე ხელი დაადო.

— საქმე კარგად მიდის, უკეთესი რომ არ იქნება, ისე მი-

დის, — თქვა მან ალერსიანად, — თქვენც კარგად ხედავთ, რომ დიდებულად მიდის. სხვა რა გინდათ?

— კეთილი, — პილიპენკო ლეიტენანტის ამ სიტყვებზე რატომღაც ბრაზით აენთო.

— წადით ერთი თქვენ აქედან, და! თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ კიევის ბედი მეც თქვენზე ნაკლებ მაწუხებს, გაიგეთ, რომ ეს ქალაქი ყველაზე უფრო მე მეხება.

— არა, რატომ! — თქვა მატახერიამ თავშეკავებით, — მართალია, იქაური არა ვარ, მაგრამ მისთვის გული თქვენზე ნაკლებ არ მტკივა, მზად ვარ, რომ მისთვის ჩემი სისხლი დავღვარო და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც გავწირო.

პილიპენკო ისე იყო გაბრაზებული, რომ ყურს არ უგდებდა იმას, რასაც ეუბნებოდნენ.

— გესმით, თუ არა თქვენ?—წამოიძახა გაცეცხლებით. — გესმით თუ არა, მე კიევში ვარ დაბადებული, მე იქ დავვაჟკაცდი, კაცი იქ გავხდი.

და ამ სიტყვებზე ისე აღელდა, აქოშინდა, რომ სასუნთქავად ჰაერიც არ ყოფნიდა.

— იქ, კიევში... — ძლივს თქვა და გაფითრებულს ხმა ჩაუწყდა. ვერ გავიგეთ, რისი თქმა უნდოდა, თავის ლოგინისაკენ მძიმედ გაემართა, დაჭრილი ფეხი იატაკზე წაათრია და საწოლზე მოწყვეტით რომ დაეშვა, ზამბარებმა ჭრაჭუნი მოიღეს.

მატახერიამ ცალი წარბი მაღლა ასწია და მეგობარს ჩუმად გახედა, მერე გაკვირვებით ჩვენ გადმოგვხედა. ისე შემოგვხედა, თითქოს ეკითხებოდა, ეს რა არისო.

— ამხანაგო პილიპენკო, ამხანაგო პილიპენკო, — გაეხმიანა კაპიტანს მაშენკა. მერე ფრთხილად მიუახლოვდა და მის გვერდით ლოგინზე დაჯდა,—მერე რა, რომ ამხანაგი ლეიტენანტი კიეველი არ არის? თქვენ გგონიათ, რახან კიევში დაიბადეთ, ის ქალაქი მარტო თქვენია? არა, ამხანაგო კაპიტანო, ცდებით, ჩვენც გვიყვარს კიევი, ჩვენ ხომ მთელი საბჭოთა ქვეყნის შვილები ვართ. და ის თქვენი კიევი ჩვენიც არის. ჩვენც ვწუხვართ მისთვის, გული ჩვენც გვტკივა“.

ასე შესანიშნავად ხატავს მწერალი საბჭოთა მეომრების ინტერნაციონალისტურ გრძნობებსა და მიდრეკილებებს. საბ-

ჭოთა მეომრებმა, განურჩევლად ეროვნებისა, იცოდნენ, რისთვის იბრძოდნენ და მათს პატრიოტულ შეგნებაში მრავალეროვნებიანი საბჭოთა კავშირის ყოველი ქალაქი მშობლიური და ღვიძლი იყო. როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, ძალაუნებურად გვახსენდება ალ. აბაშელის ცნობილი სტრიქონები, უკრაინის ველებზე მეომარი ქართველი ჯარისკაცისადმი მიმართული:

ყოველგან, სადაც ბრძოლაა მტერთან
და ხალხი იცავს კერას და ნამუსს,
სხვა სახელოვან გმირებთან ერთად
ქართველთა მკერდიც იფარავს მამულს.

შენც იქ მიდიხარ, შენია ჯერი,
მოვალეობაც შენი დიდია.
გახსოვდეს: სადაც ცეცხლს ანთებს მტერი,
იქ საქართველოს კარი ჰკიდია.

საბჭოთა ჯარისკაცების გმირობის წყარო საბჭოთა პატრიოტიზმი იყო. ისინი არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ დაეცვათ ჩვენი პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ჩვენი დიადი სამშობლო. ბუნებრივად ჟღერს ქართველი პატრიოტის არჩილის სიტყვები, როცა იგი, სასიკვდილოდ დაჭრილი, თავის მეგობარს მიმართავს:

„— ბეჟან, — თქვა ჩურჩულით, — რომ შემეძლოს, ჩემი ქვეყნისათვის მეორედ მოვკვდებოდი“. ასეთი მაღალი პატრიოტული მორალური შეგნებითა და თვისებით გამოსახა მწერალმა საბჭოთა მეომრების გრძნობები და განწყობილებანი. მათ სამშობლო უყვართ, ადამიანი უყვართ, სიცოცხლე უყვართ და ამიტომ იბრძვიან ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, ჩვენი ბავშვების სიცოცხლის ზეიმისათვის. ამიტომ სძულთ მათ ეს ფაშისტი დამპყრობლები. ამ დიდი სიყვარულით, ამ დიდი გულით, ამ დიდი ვნებებით დამეგობრებული რუსები და უკრაინელები, ქართველები და აზერბაიჯანელები, ბელორუსები და სომხები და სხვები და სხვები იბრძოდნენ და იცავდნენ ჩვენს დიდებულ მამულს. მწერალს ნათლად აქვს წარმოდგენილი საბჭოთა ადამიანის მორალური და პო-

ლიტიკური სახე, მისი მაღალი პატრიოტული შეგნება. ამ იდეური სულითაა გაცოცხლებული აქ ყოველი მეომარი ჯარისკაცი და მათი საბრძოლო ეპიზოდები.

რომანი „წითელი ყაყაჩო" მდიდარია ამგვარი საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვანი ხასიათებითა და სახეებით. ნაწარმოების მთავარი გმირი ბეჟანია და მთავარი ყურადღებაც მწერალს ამ სახის გამოკვეთაზე აქვს გადატანილი, მაგრამ არა ნაკლებ დასამახსოვრებელია რომანში გამოყვანილი მაშენკასა და მატახერიას სახეები.

რუსი გოგონას მაშენკას სახე მწერალმა საინტერესოდ გამოკვეთა, მდიდარი, რომანტიკული საღებავებითა და ფერებით შეპოსა. ამ რუსმა გოგონამ იცის მტრის სიძულვილი, მაგრამ იცის მეგობრობაც და სიყვარულიც. მისთვის როდია უცხო ოცნება და რომანტიკა, მასში ოსტატურად გააერთიანა მწერალმა მებრძოლი პარტიზანისა და მეოცნებე ქალის რომანტიკული კდემამოსილება. მაშენკა თოთხმეტი წლის იყო, როცა პარტიზანებთან მოხვდა. მან პირველმა ღრმად განიცადა მეგობრის, თოთხმეტი წლის ვასიას სიკვდილი, და მტრისგან მოკლული მეგობრის სახე ისე ძლიერად აღიბეჭდა მის ცნობიერებაში, რომ ყოველივე ამან უდიდესი სიძულვილი და ზიზღი გაუღვივა მტრის მიმართ და მზად არის საკუთარი ფრჩხილებით დაუკაწროს მას სახე და მოსპოს. მაგრამ ამ აღგზნებულ მებრძოლ პარტიზან ქალს ისეთი მგრძნობიარე გული აქვს, რომ სათნოებით სავსე სიყვარული შეუძლია არა მარტო მეგობრებისა და მებრძოლებისა, არამედ ბუნებისა. იგი საოცარი საიდუმლო ენით, ბუნების დიდი სიყვარულით ცოცხლობს და თავის მეგობრებს ხშირად უმეღავნებს ბუნების სიყვარულს. აი, როგორი ინტიმით უყვება იგი ბეჟანს თავის ბიოგრაფიას: „ამ დილით ტყეში ვიყავი. მე, ხომ იცი, ტყის ქალი ვარ... ეს ამ რამდენიმე თვის წინათ მოხდა. მაშინ აქ ისევ გერმანელები იყვნენ და ჩვენ ტყეში ვიმალებოდით. ჩვენთან ერთად ბიჭი იყო, ამბობდა, ცხრამეტი წლისა ვარო, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ტყუოდა, კაცობა უნდოდა და ტყუოდა, — ნამდვილად თოთხმეტისა იყო, შავი იყო, თქვენსავით შავი... ვასია ბოშას ვეძახდით. მართლაც, ერთი ბოშასავით ხელაღებული ბიჭი იყო, სულ ხუმრობდა,

იცინოდა, იცინოდა ისე, რომ გული ყველას ხალისით ევსებოდა, ლექსების კითხვა უყვარდა, ყველაზე უფრო ლერმონტოვი უყვარდა, მღეროდა, ჩიტებს აჯავრებდა, მათ ხმას ისე კარგად ბაძავდა, რომ მართლა ჩიტი გეგონებოდა". ასე იგონებს იგი პარტიზან ბიჭს, რომელიც ფაშისტებმა გაგმირეს. და შემდეგ აგრძელებს: „როცა მარტო ვარ, — განაგრძო მაშენკამ, თან ოცნების თვალებით სადღაც ჩემს იქით იცქირებოდა,—ცოცხალივით წარმომიდგება და ხმამაღლა ვესაუბრები რამეს, ვუამბობ რამეს, ხანდახან ვუჯავრდები კიდევაც, მერე მომაგონდება, რომ ის ცოცხალი აღარ არის... იცით, დღეს დილით ტყეში რატომ ვიყავი? ის რომ მენახა, ასე მგონია, რომ ის იქ არის. მივალ და არ დამხვდება... თქვენ ერთი ეს მითხარით, ტყის სიჩუმე თუ მოგისმენიათ როდისმე". და ასე გრძელდება ინტიმური რომანტიკული დიალოგი ვაჟსა და ქალს შორის, ასე ცოცხლდება ჩვენს ცნობიერებაში სახე ნაზი შეყვარებულისა და რომანტიკოსი რუსი გოგონასი, რომელიც მზად არის, თვალიც არ დაახამხამოს, როცა მას შაშხანა ხელში უჭირავს მტრის გასაგმირად. დ. შენგელაიამ არა მარტო ეს ახალგაზრდა გოგონა დახატა რომანტიკული ფერებით, არამედ იმ მებრძოლი, ერთგვარად უხეში ვაჟკაცის სახეც კი, როგორიც ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი მატახერიაა. შემთხვევით როდი ამბობს ბეჟანი: „მიკვირდაო სიკვდილში, სიმწარეში, ათასგზით გამოვლილმა ამდენი კდემამოსილება და უშუალობა საიდან შეინარჩუნაო". რომანტიკული ფერები არ დააკლო მწერალმა რომანის სხვა გმირებსაც, ამ მხრივ ყველაზე უფრო მომხიბვლელია ჰოსპიტლის მომვლელი ქალის, მოხუცებული აკულინა ივანოვნას სახე. მას დედაშვილური გრძნობით უყვარს ყოველი დაჭრილი საბჭოთა მეომარი და დიდი სიყვარულით უვლის მათ. განკურნების შემდეგ ფრონტზე მიმავალ მებრძოლებს დედაშვილური დარიგებით ისტუმრებს და შემდეგ ეს გულუბრყვილო, კეთილი და პატიოსანი მოხუცი ღმერთს ევედრება: „ღმერთო ძლიერო, ყოვლად წმინდა, ძლევამოსილო ღვთის მშობელო, თქვენ გაუმარჯვეთ ამ ვაჟკაცს გასაჭირში"...

სწორედ გმირებისა და მათი შინაგანი ინტიმის ამგვარი ლირიკული და რომანტიკული ფერებით გაცოცხლება აძ-

ლევს დიდ მომხიბვლელობას ამ მეომარ ჯარისკაცებს, ამ გმირ ვაჟკაცებს. რომანის დამახასიათებელ თვისებას, მის სტილს შეადგენს მრისხანე, საომარი ეპიზოდებისა და სულიერი განწყობილებების შეცვლა ლირიკული და ინტიმური ეპიზოდებით.

რომანის დიდი ღირსება ისიცაა, რომ აქ ყოველი სიტუაცია, ყოველი ეპიზოდი გადაწყვეტილია რეალიზმის პრინციპით, ყოველი სახე და სიტყვა, ყოველი შედარება და ეპითეტი ნათელი, სადა ფერებით არის წარმოდგენილი. ამას ხაზი უნდა გავუსვათ იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, დ. შენგელაია როდი იყო დაზღვეული განგებ, ხელოვნურად დახლართული სიტუაციებისა და ლექსიკური სტრუქტურისაგან. „წითელი ყაყაჩოს“ ნაკლად ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ, თუ მისი ცენტრალური გმირის სახე, ვიზიონერის როლში, ზოგან სქემატურადაა წარმოდგენილი, ზოგ შემთხვევაში რომანის გმირების ბედი არ მთავრდება ნაწარმოებში. ისინი აქ ინტერესით შემოჰყავს მწერალს, მაგრამ შემდეგ მკითხველს რჩება მათი ბედი გადასაწყვეტად. შეიძლება ეს მხატვრული ხერხი იყოს, მაგრამ მაინც რომანის ისეთი ცენტრალური სახე, როგორიცაა მაშენკა, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში დიდი რომანტიკული ფერებით შემოდის, რომანის ბოლოს ისე გაჰყავს მწერალს ნაწარმოებიდან, რომ ის თავის ესთეტიკურ იდეურ როლსა და ფუნქციას თითქოს კარგავს. ამ მხრივ რომანს აკლია მხატვრული მთლიანობა. რომანის პირველი ნაწილი უფრო უშუალო და ბუნებრივი განვითარებით მიმდინარეობს, განსაკუთრებით დასამახსოვრებელია და ძლიერი ვასიას თავგადასავლის თხრობა მაშენკას მიერ. ეს რომანის ერთ-ერთი ბრწყინვალე მხატვრული ადგილია, სადაც სიტყვის ძალას ლაღად გაუშლია ფრთები და ბუნებრივი, შეუნელებელი დინებით მიიკვლევს გზას გრძნობათა და ოცნების მორევში. სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის რომანის მეორე ნაწილის შესახებ. მასალის ერთგვარი არათანაბარი დამუშავება თვალში გეცემათ რომანის წაკითხვის დროს. ამისდა მიუხედავად, „წითელი ყაყაჩო“ ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია დაწერილი დიდი სამამულო ომის თემაზე, რომელიც ნათლად წარმოგვისახავს სამამულო ომის მრისხანე დღეებს, ჩვენი

ხალხის პატრიოტული შემართებისა და თავდადების ისტორიას.

* * *

ბოთხრობა „განძი“, ხატოვანი ენით, მდიდარი ლექსიკური მარაგით, წერის მანერით, მაღალი პროფესიონალიზმით, უთუოდ ერთგვარი გაგრძელებაა დ. შენგელაიას ცნობილი რომანის „ბათა ქექიასი“. თუმცა თემატურად აქ სულ სხვა სამყაროსთან, სხვა სფეროსთან გვაქვს საქმე.

დ. შენგელაიას „განძის“ თემა არ არის ახალი. ყვითელი ღმერთის, ოქროს შეძენისა და გამდიდრების ინსტინქტი ძველთაძველია. იგი არა ერთხელ გამხდარა კაცთმოძულეობის, შურის, მტრობის, ძმათა სისხლისღვრის საბაბი და მიზეზი. მსოფლიო ლიტერატურაში ეს თემა თითქმის ამომწურავად არის განხილული. მას არა ერთი შესანიშნავი წიგნი მიეძღვნა. განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ მე-19 საუკუნის მწერლობა, რადგან ფულის ფეტიშიზმი სწორედ ავადმყოფურ ხასიათს მე-19 საუკუნეში, კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალიზმის ხანაში პოულობს. კლასიკური მწერლობის მიერ ასე მრავალნაირად დამუშავებულ ამ თემას მე-20 საუკუნის მწერლობაც გამოეხმაურა. საკმარისია აქ მოვიგონოთ ჰემინგუეისა და სტეინბეკის სახელები. მსოფლიო ლიტერატურის უჭკნობ ფურცლებს მათ ახალი ელვარება შემატეს, მაგრამ არსებითად აქ წარმოდგენილი ხასიათები კაპიტალისტური სამყაროს გარემოცვაში რჩება. სულ სხვაა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოციალისტური გარემო ამ ხასიათებისა და ამ ინსტინქტების მიმართ. ჩვენს ქვეყანაში არა აქვს ნიადაგი, ყოველ შემთხვევაში, არა აქვს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მხარდაჭერა ეგოისტური, კერძოშესაკუთრული, ყვითელი ღმერთის ინსტინქტებსა და ბრძნობებს. უკუგდებულია ოქროთი ვაჭრობისა და იოლად გამდიდრების ვნებათაღელვაც. ჩვენი დრო უთუოდ არის ძველი ეგოისტური ინსტინქტების მსხვრევის ეპოქა. და ამიტომ ჩვენი დროის მხატვარს არ შეუძლია ამ გარემოებას ანგარიში არ გაუწიოს.

ნიჭიერმა მწერალმა დ. შენგელაიამ მოთხრობა „განძში“ ახალი სოციალისტური გარემო დახატა და ამ ვითარებაში წარმოადგინა ოქროთი გამდიდრების ეგოისტური ინსტინქტების მდგომარეობაცა და გამოვლინებაც ჩვენი დროის ადამიანებში. ამ მხრივ სრულიად ახალია ის გარემოება, ის სიტუაცია, ის საზოგადოებრივი მორალი, რომლის ფონზე სცადა დ. შენგელაიამ გამოეხატა ეს ათასგზით დამუშავებული თემა, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი სამყაროს გარემოსა და თვისებების მიხედვით წარმოდგენილი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ იქნებოდა მართალი, გვეთქვა, თითქოს ჩვენი ადამიანების შეგნებაში, მათ ფსიქოლოგიაში მთლიანად იყოს აღმოფხვრილი ძველი ეგოისტური ინსტინქტები. ცოტა როდია ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთა შეგნებაშიაც ღრმად მიმალული ეს ინსტინქტები ბოგინობს და ხშირად იღვიძებს კიდევაც. ცალკეული ადამიანების შეგნებაში გამოღვიძებული ეს ეგოისტური ზრახვები ჩვენს საზოგადოებრივ წინააღმდეგობასთან კონფლიქტში უმოწყალოდ იმსხვრევიან. ყველაფერი ეს როდი ხდება უმტკივნეულოდ, უბრძოლველად. ცოტა როდია შემთხვევა, როდესაც ასეთი ეგოისტური გრძნობების ადამიანები სასტიკად ისჯებიან და მარცხდებიან ახალ დროსთან კონფლიქტში.

ასეთ ასპექტში წარმოიდგინა ზემოხსენებული ძველთაძველი პრობლემის გადაწყვეტა დ. შენგელაიამ და ამ მიმართულებით მწერალი თითქოს გამოეკამათა მთელი მსოფლიოს ძველ მწერლობას და თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურასაც, რომლის თემა იგივე პრობლემა ყოფილა. ამიტომ, ერთი შეხედვით, კაცს მოეჩვენება, თითქოს დ. შენგელაია ცნობილ ნაწარმოებებს დაესესხა თემას, მოტივს. ასეთი შეხედულება კიდევაც გამოითქვა ჩვენს კრიტიკაში... ჩვენის აზრით, აქ საქმე გვაქვს არა ლიტერატურულ გავლენასთან, პარალელებთან, არამედ სწორედ ლიტერატურულ შეკამათებასთან, ლიტერატურაში დამუშავებული და ზოგადი პრობლემის სხვა ასპექტში, სხვა სამყაროში გადმოტანასთან და, ამის მიხედვით, ადამიანების ხასიათების განმარტებასა და განსაზღვრასთან.

დ. შენგელაიას მოთხრობის მთავარი გმირები კოლმეურნე

ცოლ-ქმარია—საულია და ფუნდუ. ეს ახალგაზრდა ადამიანები შრომის დიდი პათოსით ცოცხლობენ და მოქმედებენ, ისინი თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას ამ გზით მოპოვებულ სახელზე ამყარებენ. შრომის ამ დიდ რომანტიკაში სულიერ სიმშვიდეს პოულობენ.

მოთხრობის დასაწყისში დიდი რომანტიკითა და სიმართლით არის გაცოცხლებული ამ კოლმეურნე ადამიანების შრომითი ცხოვრების ფურცლები. მიწის მხვნელ-მთესველ საულიასა და მეჩაიე ქალის ფუნდუს შრომითი ცხოვრების დეტალი ავტორმა განზოგადებულად და საინტერესოდ წარმოგვიდგინა.

მოთხრობის მთავარი გმირების ეს სულიერი სიმშვიდე ერთბაშად დაარღვია შემთხვევით ნაპოვნმა ოქროს განძმა.

საულია, ეს გამრჯე კოლმეურნე გლეხი, დაღამებამდე თოხნის მისთვის მიჩნეულ საკოლმეურნეო ფართობს. ამ დროს იგი წააწყდება მიწაში ჩაფლულ ძველ დერგს, რომელშიაც ბრჭყვიალა ოქროს ნივთები აღმოჩნდა. ჯერ გაკვირვებამ და განცვიფრებამ აღაგზნო საულია. მასში ყვითელი ღმერთის სიყვარული, ჩვენი ადამიანებისათვის ეს ატავისტური გრძნობა, გამოცოცხლებას იწყებს, და ავადმყოფურად იღვიძებს ეგოისტური ზრახვები. მწერალი გვანიშნებს, რომ საულიას ფსიქოლოგიაში შორეულად საამისო ნიადაგი იყო: ადრე ვიღაც მეზობელი კაცი „კინაღამ შემოაკვდა“ კერძო მესაკუთრული ინსტინქტით, მიწის მითვისებისა და შეძენის გრძნობით აღგზნებულ ამ გლეხს. როცა მან ახლა ეს ნაოხარი ქონება, ოქროს სიმდიდრე, შეადარა იმ პატარა მიწის ნაჭერს, რომლის გამო კინაღამ კაცი შემოაკვდა, მასში უფრო ძლიერად გამოიღვიძა სადღაც გონებაში ღრმად მიმალულმა კერძომესაკუთრულმა გრძნობამ.

„რის მიწა, რა მიწა, — წამოიძახა და ბრაზი ყელში ისე მოაწვა, რომ ეგონა, ეს არის ახლა დაახრჩობსო, — ის არ იყო, ერთი მტკაველი მიწის გულისთვის კაცი კინაღამ შემოაკვდა და მესისხლეებს აქ გამოექცა“? საგონებელში ჩავარდნილი საულია წითელ-წითელ ბაჯაღლოებს მუჭიდან მუჭში, ხოლო შემდეგ ხვნეშით დერგში ყრის, იმის შიშით არ დამეკარგოსო და ოცნებობს იმაზე, რომ უშრომლად, სულ არხეინად

იცხოვრებს. და მერე ამ ოცნებამ ისე შორს გაიტყუა, ისე ძლიერად შევიდა ამ კერძომესაკუთრული გრძნობების ექსტაზში, რომ ეს მშრომელი კაცი, რომელსაც სხვისი ნაოფლარი არასოდეს არ მიუთვისებია და საკუთარ ნაშრომზე დაუმყარებია თავისი ოჯახის მომავალი, — ამ იოლად მოპოვებულმა ოქრომ გააბოროტა, ხელი აიღო პატიოსან შრომაზე. მწერალი თავის მხრივ უმატებს: „ეს კიდევ არაფერი, რომ საულია ორი კვირა სამუშაოდ აღარ გასულა, უბედურება ის იყო, რომ შრომამ მისთვის არამც თუ ფასი, აზრიც დაკარგა და ახლა ცოლსაც შეუჩნდა, ამდენი ჯაფით წელს რად იწყვეტ, ისედაც დედოფალივით გაცხოვრებო". გაბოროტებული კაცი ხელს იღებს წესიერ, ნორმალურ ცხოვრებაზე, სახლში და სახლის გარეთ იღრინება, ჯერ ავადმყოფი ჰგონიათ და ეცოდება კოლმეურნეებსაც, ფუნდუსაც, ოტიასაც, და თან სჯერათ, რომ ამ ავადმყოფ კაცს გული მოუბრუნდება ან, როგორც ოტია ამბობს ფუნდუსთან საუბარში, „მიწას დიდი ძალა აქვს, შვილო, მიწა გლეხისათვის დიდი რამეა. ერთხელაც იქნება, დაუძახებს და მიწა მოარჩენს..." მაგრამ ეს მორჩენა ადვილად როდი ხდება. გარდა ამ სატიელე ოქროსი, ახლა მის გულს სხვა არაფერი იტაცებს. თუმცა მან კარგად იცის და ამას ხმამაღლა იმეორებს: „არა, ეს რა ჭკუაში მომივიდა, ამდენ დოვლათს, ქვეყნის სიმდიდრეს, ასე ალაალად მარტო იმას ვინ სულელი დაანებებდა? ძველი დროება ხომ არ იყო, რომ ეს დერეფი ამოეთხარა და შინ არხეინად მიეტანა. მაშ რა ქნას, ამდენი ქონების პატრონი სულ ჩუმად ხომ არ იქნება, ვინმეს რამე ხომ უნდა უთხრას... უნდოდა შინ რაც შეიძლება ადრე და მალე მისულიყო და ცოლისთვის გული გადაეშალა, ეთქვა, როგორ გამდიდრდა და გაიტანჯა, როგორ გაკეთდა და სულის სიმშვიდე სამუდამოდ როგორ დაკარგა. ვინ იცის, იქნებ ეტირა კიდეც, ვინ იცის, იქნებ ისიც ეთქვა, ამ მთვარიან კაშკაშა ღამეს ნადარბაზევის ნაძრახ ადგილას მშრომელი გლეხის სიამაყეს და ღირსებას როგორ გამოეთხოვა. რაღაც შიგნით ისე სტკიოდა, რომ უნდოდა მისი სიყვარულით როგორმე მაინც დამთვრალიყო და მის ტკბილ ალერსში ყველაფერი, ყველაფერი დავიწყებოდა".

დ. შენგელაია ასე საინტერესოდ ხატავს იმ დიდ შინაგან

წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს მშრომელ კოლმეურნე გლეხკაცში. აქ ერთმანეთს უპირისპირდება გრძნობა პატიოსანი და გამრჯე კაცისა ოოლად გამდიდრებული, ეგოისტი, გაბოროტებული, კერძომესაკუთრე გლეხის გრძნობას. მწერალმა შესანიშნავად დაგვიხატა ჩვენი საზოგადოებრივი და სოციალური გარემო, რომელიც საულიას იქითკენ ებიძგება, რომ უკუაგდოს და დაამსხვრიოს ეს გამოღვიძებული ეგოისტური გრძნობანი და ზრახვანი. ამიტომ ის გაურბის ცოლსაც, კოლმეურნეებსაც, მარტოსულად იქცა, ამას თვითონ გრძნობს, და აკი ამბობს კიდეც: „არა, არა, ვერც იმას ეტყვის, — ქალი მაინც ქალია, — და ახლა მიხვდა, რომ ამ თავის დარდის ანაბარა ამიერიდან სულ მუდამ მარტო იქნებოდა. მაშ, რა უნდა ექნა, ანდა ამ ქვეყნად რა დარჩენია, შრომა? საულია ახლა ისე მდიდარი იყო, რომ არავითარი აზრი მის შრომას არ ჰქონდა. სიყვარული? რის სიყვარული, რა სიყვარული, როცა საკუთრების ამ ხარბმა გრძნობამ ყველაფერი გაატიალა, გაატრამალა“.

დ. შენგელაიამ კარგად შენიშნა საზოგადოებას, ოჯახს გამოთიშული, ეგოისტური გრძნობებით განცალკევებული კაცის ტრაგედია, იმ კაცისა, რომელიც ადრე შრომით ცხოვრობდა, პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. საულიამ კარგად იცის პატიოსანი შრომის ფასი, პატიოსანი კაცის ღირსება და უპირატესობა, ნაოხარით, სხვისი ქონებით გამდიდრებული, ოოლი შრომით მოპოვებული ცხოვრების წინაშე.

ეს წინათ პატიოსანი კაცი, ახლა ყვითელი ოქროსაგან გაბოროტებული, ებრძვის თავის თავს: „არა და ასე მარტოსულს და შორს გარიყულს რა მაცოცხლებს? — წამოიძახა და თვითონვე არ მოელოდა, ხელები მაღლა ზეცისკენ ხვეწნამუდარით ხმელი ტოტებივით აიშვირა, მაგრამ მალე დაბლა დაუშვა, წაბანდალდა, კარგად იცოდა, რომ ეშმაკის ლუკმად გადაქცეულს, ღმერთი კიდეც რომ ყოფილიყო, ახლა ისიც ვერ უშველიდა. ასე გაბოროტებულს ხან სიზმარში წარმოუდგება, თუ როგორ გაყიდის ამ ოქროს ქალაქად, როგორ ააგებს დიდებულ სასახლეს და როგორ იცხოვრებს შიგ, როგორც მეფე უშრომელი და განცხრომაში მყოფი“. მაგრამ

საულიამ, ამავე დროს, იცის, რომ ადვილი როდია ამ ნაქურ-დალი თუ ნაოხარი ქონების გამოყენება ჩვენს დროში, ახლა მიწაც სახელმწიფოა და მიწის წიაღისეული სიმდიდრეც ხალხსა და სახელმწიფოს ეკუთვნის. ამ ნიადაგზე უფრო გა-ბოროტებულია ეგოიზმის ექსტაზში შესული ეს კაცი. იგი ფიქრობს, მეზობლებთან ასე პირშავად როდემდის უნდა იყოს? „ამ ჭაობებსა და ჭენჭყოლიებს განა ჯანი იმიტომ შეა-ლია, რომ ბოლოს ხელი ასე აეღო? სიცოცხლით სავსე ლა-მაზი ფუნდუ განა იმიტომ უყვარდა, რომ ყველაფერი ასე გათავებულიყო!? შენ არ ხედავ, ვინ იცის, სად და როგორ მოჭრილი ოქროები მის ცხოვრებას ახლა სად ურევდა? ძვე-ლებურად ნაჭედ-ნაწრთობი რომ არ ყოფილიყო, როგორმე კიდევ მოიხმარდა. კი, მაგრამ რაში მოიხმარდა? მიწას იყი-დიდა, ჩვენს ქვეყანაში მიწა აკი მუქთია, ოღონდ კი ხელი გაანძრიე და, რამდენიც გინდა, იმდენია. სახლს დაიდგამდა? სახლის მასალა ნალიის ქვეშ ხომ გასაშრობად და გასაქარა-ვად უწყვია. ტანი და ფეხიც არ აკლია. მაშ რა უნდოდა. საუ-ლიას ოფლმა დაასხა“.

ასეთი ღრმა ზიგზაგებითა და წინააღმდეგობების გზით მიჰყავს მწერალს მოთხრობის მთავარი გმირი და ამ წინააღ-მდეგობის ხლართში მოქცეული ეს მშრომელი კაცი ერთხანს გადაწყვეტს, რომ ისევ პატიოსან შრომას დაუბრუნდეს, მი-წას დაუბრუნდეს, ეშმაკებისა და ბოროტების გზა და კვალი უკუაგდოს და მას გულის სიღრმიდან აღმოხდება: „კმარა, მეყოფა, რაც გატყუე, ხვალ ყანაში მეც მივდივარ და აბა ვნახოთ, ვინ მაჯობებს, თქვენ არ იცით... რა ვქნა, არც მე ვიცოდი... ორი კვირაა, შინ ვაგდივარ და ახლა მივხვდი, თუ არ ვიშრომე, ოფლი არ ვღვარე, სული ძაღლივით ამომხდება, ჩემი საშველი აღარ იქნება“. ფუნდუ გახარებულია საულიას გადაწყვეტილებით და თავის მხრივ უდასტურებს: „ნეტავი აქამდეც წასულიყავი, ხალხში გახვიდოდი, გულს გადააყო-ლებდი, მიწის მუშამ მიწა უნდა თოხნოს, აბა, სხვა რა საქმე აქვს, წადი, იშრომე... ვიცხოვროთ, როგორც გვიცხოვრია“. და თვალებში ცრემლი მოერია, სიხარულის ცრემლები, თითქოს მის თვალში კვლავ აღსდგა მშრომელი და გამრჯე ქმარი, სატრფო და მეგობარი, მაგრამ საულიამ ჯერ კიდევ

არ იცის, ეს გადაწყვეტილება მტკიცეა თუ არა, მით უმეტეს, ფუნდუმ არ იცის საქმის ნამდვილი ვითარება, ჯერ კიდევ საულიას მისთვის ოქროს საიდუმლოების ამბავი არ უთქვამს. მაგრამ იმდენად ძლიერია ოქროთი გამოწვეული ცთუნება, რომ საულია ფუნდუსადმი მიცემულ პირობას არღვევს და ყანაში სამუშაოდ მაინც არ მიდის. აი, ბოლოს, გადაწყვეტს ეს საიდუმლოება ცოლს გაანდოს...

მწერალმა შესანიშნავად გამოხატა ცოლისა და ქმრის დიალოგში — ამ ნაწარმოების ფინალში — ორი განსხვავებული ხასიათი: ოქროსაგან გაბოროტებული ეგოისტური ზრახვების მატარებელი საულიასა და პატიოსანი, შრომითი ცხოვრების რომანტიკით ამაღლებული ფუნდუსი. ამ ორი ადამიანის სხვადასხვა ხასიათი ნათლად ცოცხლდება ჩვენს წარმოდგენაში. ეს დაპირისპირებული ხასიათები მოთხრობის მთელ მანძილზე არის გამოკვეთილი, უფრო სწორად, ასეთი ფინალისათვის ამზადებს ავტორი მკითხველს, რომ ბოლოს ისინი ერთმანეთს შეახვედროს და მძაფრად გამოავლინოს მათი განსხვავებული ბუნება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ფუნდუს ოცნება და სიხარული იყო ბავშვი, შრომა, ოჯახი და კოლექტივი. მას თავი მოჰქონდა თავისი მეგობრით, მოწინავე მშრომელი ქმრით — საულიათი. მათ არაფერი არ ადარდებდათ გარდა იმისა, რომ შვილი არ ჰყავდათ და აი, ეს ნატვრაც აუსრულდათ. ფუნდუს ახლა თავის გულის ძგერასთან ერთად მეორე გულის ყრუ ძგერაც ესმოდა. ახლა უნდოდა დღევანდელი დღის ეს დიდი სიხარული ქმრისთვის გაეზიარებინა. ქმარს უნდა ახაროს ეს ბედნიერება.

„გელი, მოგელი და არა ჩანხარ, — უთხრა ფიქრში ფუნდუმ თავის ამდენხანს შეყოვნებულ ქმარს, — აი ის ნატვრაც აგვისრულდა და სადა ხარ, გახარო? გახსოვს იქ აკვანს რომ ყიდდენ? — და ამ სიტყვებს ისეთი გრძნობით ბუტბუტებდა, რომ თავისი ხმა გაიგონა და გონს მოეგო“. საულიას ეს სიტყვები თითქოს არც კი გაუგონია, გრძნობა-გონებით სადღაც სხვაგან იყო. მას ვერავითარი გრძნობა სიხარულისა ვერ შენიშნა ფუნდუმ და ამიტომაც უფრო დარწმუნდა, რომ იგი ავად იყო. საბოლოოდ მისთვის გაირკვევა, რომ ამ ავადმყო-

ფობის მიზეზი ოქრო ყოფილა. საულიას ეგონა, რომ განძის მოპოვებით ფუნდუს გაახარებდა, მაგრამ ამ მოწინავე ქალს შესძულდა ეგოისტური გრძნობებით გაბოროტებული თავისი მეგობარი. ხასიათების ეს განსხვავება, რომელშიაც ჩვენი სოციალისტური გარემოს ადამიანების სულიერი სამყაროცაა გამოხატული განზოგადებულად და ამაღლებულად, შესანიშნავად დახატა მწერალმა მოთხრობის ფინალში, საულიასა და ფუნდუს დიალოგში:

„— აბა დახედე, და მერე უცებ გაიცინე, ხედავ, რა მდიდრები ვართ? და ღრადომ პირი რომ მოაღო, ფუნდუ გველნაკბენივით წამოვარდა, ჯერ ვერ გაეგო რა იყო, გონს თანდათან მოდიოდა.

— ეს რა არის? ნეტავ ვისი უნდა იყოს? უჰ, რამდენია? გაოცებული და ათრთოლებული კი არ ამბობდა, ჩურჩულებდა“...

აქ ხაზგასმულია, რომ ფუნდუ სხვა ხასიათის ქალია; თუ ოქროს პირველმა ნახვამ სიხარბე და ათრთოლება მოჰგვარა საულიას, ამის მსგავსს ჩვენ ფუნდუს გრძნობებში ვერაფერს ვხედავთ.

„— აბა რა გეგონა, — თქვა საულიამ თავის ისეთი გამოდებით თითქოს მისი ოფლით ნაშოვარი იყოს.

ფუნდუ დაიხარა და ოქროებს დააცქერდა.

უჰ, რა კაბებს შევიკერავ, სახლს ავავსებ, რა გინდა სულო და გულო, რომ ვიყიდო“...

მაგრამ ეს უფრო ხუმრობით ნათქვამი სიტყვებია, ვიდრე სერიოზულად წარმოთქმული.

„— ხოდა, იმიტომ გეუბნებოდი, დედოფალსავით გაცხოვრებო, — თქვა საულიამ სიხარულით, რომ გულის ზიარი იშოვა და ამის იქით ის მარტო არ იქნებოდა.

ფუნდუ წელში ძლივს გაიმართა, შუბლზე ხელი მოისვა. წამება, ასე მწველად რომ გამოიარა, ერთ წუთში თვალწინ გამოეხატა.

— კი, მაგრამ, ვისი ნაოხარია? კი, მაგრამ მისი ხომ არ არის? ანდა, ამდენი სიმდიდრე რად უნდოდა, ნაარმალი ვის შერგებია, რომ მას შერგებოდა და უცებ მიხვდა, გონი

თითქოს ახლა გაეხსნა, ეს სიმდიდრე და ავლადიდება მისი კი არა, საქვეყნო იყო. ფუნდუს სული შეეხუთა, შიშისაგან კანკალი დაიწყო. ეს დაწყევლილი ოქროები დერგში ისე ბილწად ბრჭყვიალებდნენ, თითქოს ირგვლივ ჰაერს წამლავდნენ.

— ნეტავი ვისი უნდა იყოს? — იკითხა თრთოლვით და ტანში თითქოს შეაცივა.

— როგორ თუ ვისი უნდა იყოს? — გადაირია საულია და ხმას მრისხანედ აუწია, — ვისი და ჩვენია, ჩვენი!

სიხარბისაგან სახე ისე მოღრეცოდა და ჭროღა თვალებიც იმნაირად გამწვანებოდა, რომ ქალი კანკალმა უფრო აიტანა, ასე უცხო და საზიზღარი ის არასოდეს არ ყოფილა. ფუნდუმ ცივი ხმით დაიკივლა:

— ჩვენი კი არა, ხალხისაა, საქვეყნოა და შენ რა ხელი გაქვს.

საულია წუთით დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხნა. ფუნდუ კი ისევ განაგრძობდა, ბრაზი თანდათან ერეოდა.

— მაშ ამას მთხოვდი, შე საცოდავო, ამან შეგშალა? ერთი მითხარი, ეს სხვისი ნაარმალი რა ოხრად გინდა.

— როგორ თუ რად მინდა, ფული რად მინდა, ოქრო რად მინდა. არა, არა, ამას მტერიც ვერ მეტყვის, ერთი შენ ამას დამიხედე, საქვეყნოა, არა, არა, ამის თქმას კაცი ვერ გამიბედავს, — და თავში ხელი სიმწრით შემოიკრა, მერე სახე დაეღმიჭა და დაიღრიალა:

— აა, მაშ გამცემ? არა, ვიცი, რომ გამცემ, მაგრამ მაგ ენას რომ ჩაგიგდებ, მაშინ რას იზამ? — და ზედ ისეთი კამარაშეკრული გინება მიაყოლა, რომ ფუნდუ გაშტერდა.

— პირუტყვი, ნამდვილი პირუტყვი, აქამდე სად ვიყავი, თვალი სად მქონდა, — ეკითხებოდა თავის თავს ფუნდუ და, თითქოს ქარმა დაუბერაო, ეს ლეღვის ხე და ბუჩქნარები სადღაც გაქანდნენ. ხელებიც უცებ დაუბუჟდა, ძარღვებში სისხლი გაეყინა". მთელი ეს მძაფრი კონფლიქტი იმით მთავრდება, რომ ისინი უმალ უცხონი აღმოჩნდებიან ერთმანეთისთვის. ოქროთი გაბოროტებულმა საულიამ გაიმეტა ფუნდუ და მას სასიკვდილოდ წიხლი ჩაკრა. ფუნდუ საშინელმა სინანულმა შეიპყრო, უფრო კი მას ის აწუხებს, რომ ეს მე-

გობარი და ახლობელი ადამიანი, საკუთარი ქმარი ვერ უცვნია, თურმე ამ ოქროებმა აუბნიეს მას გზა-კვალი.

„ე, რა ქმარი ჰყავდა, რა ბედნიერი ქალი იყო და რას იფიქრებდა, თუ ასე გულღრძო და ხარბი იყო, ფუნდუს სიყვარულს რაღაც ბრჭყვიალა ლითონში ასე დაუნანებლად გაცვლიდა, რომ გეკითხა, ქვეყნის ჭირი თავის ჭირად მიაჩნდა, ოჯახისთვისაც თავს გადასდებდა და ეს რა არის? შური, ღვარძლი, სიძულვილი... არა, არა, საულია ახლა ის საულია როდი იყო, ვიღაც სხვა იყო“. ასე გამოხატა მწერალმა ეს განსხვავებული ხასიათები და თვისებანი ამ საკოლმეურნეო შრომაში დამეგობრებული და შეყვარებული ცოლ-ქმრისა, რომელთა შორის წარმოიშვა კონფლიქტი მას შემდეგ, რაც საულია ოქროს სიხარბითა და გაბოროტებით თავის ძველ გზას გადაუდგა. ბოლოს და ბოლოს, საულია ხვდება თავის შეცდომას, და როცა ოქროთი სავსე დერგს კოლმეურნეებს მაგიდაზე დაუყრის, თითქოს განთავისუფლდება ამ ბოროტი ძალისა და გავლენისაგან. და, აი, საულია ახლა დაინახავს, რომ არა მარტო ფუნდუ ვერ მოხიბლა ამ ოქროებმა, არამედ თვითონ გამგეობის წევრებშიაც ვერავითარი გაოცება და სიხარბე ვერ ამოიკითხა ამ ოქროს აღმოჩენით, რადგან მათ სრულიად უბრალოდ მიიღეს და ჩააბარეს სახელმწიფოს ეს განძი.

საულია, განთავისუფლებული ამ ოქროს ცთუნებისაგან, ინანიებს თავის ცოდვებს მას შემდეგ, რაც კოლმეურნეები უკვე შეირიგა და პატიოსან შრომას დაუბრუნდა, ის გადაწყვეტს ფუნდუს ფეხქვეშ ჩაუვარდეს და შეეხვეწოს. „გიჟი ვიყავ, მხეცი ვიყავ და მაპატიე-თქო“. იგი წინასწარ ემზადება თუ როგორ მიმართოს თავის ცოლს — ფუნდუს: „ფუნდუ, ფუნდუ, შე კაი ქალო, შენ ის საულია არ გეგონო, წელან ისე რომ გაგამწარა, ცოდვა ვარ, ფუნდუ, განა არ ვიცი, რომ შენც ცოდვა ხარ, მაპატიე, შენც კარგად ხედავ, რომ შენს იქით გზა არა მაქვს“... მაგრამ ეს მონანიება უკვე გვიანაა. კოლმეურნე საულიას ძვირად დაუჯდა ეგოისტური გრძნობის აყოლა.

მართალია, საულია, ბოლოს და ბოლოს თავისუფლდება ამ დროებითი ცთუნებისაგან, მაგრამ, უნდა ითქვას რომ,

სხვა გზა არც აღმოაჩნდა მას. ყვითელი ოქროს ვაჭრობისა და გამდიდრების ნიადაგი ჩვენში არ არის, საულიაში გაღვიძებული ატავისტური გრძნობა საზოგადოებრივმა გარემომ ჩააქრო, ის თითქმის იძულებით იშორებს თავიდან სულიერ ტვირთს, სულიერ ტრავმას, რომელიც ოქრომ მიაყენა... მაგრამ ყველაფერი ეს მას ოჯახურ უბედურებად დაუჯდა. ამ გრძნობას შესწირა მან საკუთარი ცოლი, მომავალი შვილი... თუ ჩვენ ერთგვარ ლიტერატურულ განზოგადებას მივცემთ იმ კონფლიქტს, რომელიც საულიასა და ფუნდუს შორის წარმოიშვა და მას ზოგად საზოგადოებრივ თვალსაზრისამდე ავამაღლებთ, მაშინ სავსებით სამართლიანად მოგვეჩვენება ის მდგომარეობა, რომ კოლმეურნე საულია, რომელიც ამ გზიდან აცდენამ საზოგადოებრივ შრომას ჩამოაცილა, იმავე საზოგადოებრივმა გარემომ გაათავისუფლა მცდარი გზისაგან. ამიტომ ეს უფრო ცთუნებაა, მშრომელი და კეთილი კაცის ცთუნება, რომელსაც დიდი მსხვერპლის გაღებით სძლევს და ისევ თავისი შრომით ცხოვრებას უბრუნდება. მწერალი მკითხველს დასაწყისიდანვე ამზადებს ამ თვალსაზრისისათვის. შემთხვევითი როდია, რომ საულიამ ნაძრახ ადგილას აღმოჩენილი ოქრო, ეს ძველი განძი, გველს შეადარა, იმ გველს, რომელიც მან ამ ოქროსთან ერთად ამოაგდო ქვევრიდან, მაგრამ როდესაც გველს თავი გაუსრისა, ჩვენ ამით მწერალმა გვანიშნა, რომ ის ასევე გაუსრესს თავს საკუთარ თავში გველის ანალოგიის გრძნობების აღმძვრელ ოქროს, რომელმაც საულია ცთუნების გზაზე შეაყენა.

ამ მოთხრობაში დ. შენგელაიამ საინტერესოდ გამოგვიხატა ყვითელი ოქროთი გაბოროტებული და შემდეგ ისევ შრომითს ცხოვრებას დაბრუნებული კოლმეურნე გლეხის ფსიქოლოგია და ამით სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა მხატვარმა მსოფლიო ლიტერატურაში მანამდის ანალოგიური მოტივისა და ინტონაციის შემცველი ნაწარმოებების მიმართ.

საულიას გვერდით მწერალმა ესკიზურად, მაგრამ შთამბეჭდავად გამოხატა მშრომელი კოლმეურნე გლეხების ხასიათი, ეს იქნება ოტია, ნარიმანი თუ ბაჩუა. მაგრამ მოთხრობის ცენტრალური ხასიათები მაინც ცოლი და ქმარია —

საულია და ფუნდუ. მწერალმა მთელი მხატვრული საღებავები ამ გმირების გამოსახვას მოანდომა და, უნდა ვთქვათ, მეტად საინტერესოდ გადმოგვიშალა მათი მოქმედება და საქციელი, მათი ხასიათი და თვისებანი, მათი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან, — განსხვავებული პოზიციით, განსხვავებული თვისებით. ახალი ადამიანების, ახალი საზოგადოებრივი ვითარების ფონზე, სოციალისტური საზოგადოების წესსა და კანონის გარემოცვაში, გამოხატა მწერალმა საულიასა და ფუნდუს ურთიერთობაც, მათი ფსიქოლოგიაც და მათი ხასიათიც. ამ მხრივ ეს ფრიად საინტერესო და პრობლემატური მოთხრობაა, რომელშიაც ასე დამახასიათებლად გამოვლინდა ჩვენი დროისა და ჩვენი ეპოქის ნიშნები. მთელ ამ კონფლიქტში ნათლად გამოჩნდა მწერლის დამოკიდებულება და პოზიცია ჩვენს დროსთან, ჩვენს ეპოქასთან და ახალ ადამიანებთან.

საულიასა და ფუნდუს შორის არსებული უთანხმოება და კონფლიქტი და, ამის მიხედვით, მოთხრობის მთელი კონფლიქტიც ეფუძნება შრომით მოპოვებულ დოვლათსა და იოლად ნაშოვნი ქონების დაპირისპირებათა გრძნობებს. ფუნდუს აზრით (მწერლის აზრითაც), შრომით მოპოვებული დოვლათი, ოფლით შენაძენი პირადი ბედნიერება სახელიცაა და მკვიდრი სახელიც. ამ გზით მოპოვებულ ბედნიერებაში არის ის დიდი რომანტიკა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის შინაარსს შეადგენს. ფუნდუ და საულია — ორივე შრომის რომანტიკით ცხოვრობს. მათი ცხოვრების შინაარსს თავდადებული შრომა წარმოადგენდა, ისინი ერთბაშად გათიშა საულიას მიერ ნაპოვნმა ოქრომ.

ავტორის აზრით, ჩვენი დროის ადამიანს შრომის ჰეროიკა ამშვენებს, თუ როგორ ალამაზებს ადამიანს შრომა და როგორ ამცირებს მას ეგოისტური, იოლად გამდიდრების ინსტინქტები, ამის ილუსტრაციას ეს ორი ხასიათი — ფუნდუსა და საულიას მხატვრული სახე განსაზღვრავს და მწერლის ტენდენციაც ამაში ვლინდება. ამ თვალსაზრისით „განძი“ ფრიად საინტერესო იდეურ და მხატვრულ გადაწყვეტას შეიცავს.

ამისდა მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა გავაკეთოთ ერთი

შენიშვნა. მხატვრულ ლიტერატურაში ცნობილია ფულით გამოწვეული სიხარბე და ამით გაშმაგებულ ადამიანთა არა ერთი და ორი ავადმყოფური სახე. და მაინც „განძის“ ფინალი მეტისმეტად არაბუნებრივ, ხელოვნურად გაზვიადებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. საერთოდ ადამიანისთვის, კერძოდ, ქართველი კაცისთვის შვილზე და ოჯახზე საყვარელი და სანუკვარი არა არის რა. ის გარემოება, რომ საულია ცოლსაც და შვილსაც, ოჯახსა და ყველაფერსაც სწირავს ამ ოხრად ნაშოვნ ოქროს, ამას არა აქვს ფსიქოლოგიური გამართლება. მოთხრობის ლოგიკური განვითარება, ორი განსხვავებული ხასიათის — საულიასა და ფუნდუს დახატვა, დიახაც, მოითხოვდა ისეთს ფსიქოლოგიურ კონფლიქტს, რომელსაც იძლევა მწერალი მოთხრობაში. მაგრამ საესებით მოულოდნელია და არაბუნებრივი ფინალი, რომელსაც ავტორი გვთავაზობს. ხელოვნურად შეკოწიწებული ეს ფინალი ერთობ გაჭიანურებულია. საულიას ხასიათში მეტისმეტად ავადმყოფურად არის გამოვლინებული ამ ოქროსთან დაკავშირებული ვნებები და ფიქრები, მის საქციელს ამ მხრივ კოლმეურნე გლეხის ხასიათისათვის საჭირო ზომიერება და ბუნებრიობა აკლია.

როგორც ვნახეთ, დ. შენგელაია თემატურადაც და ჟანრობრივადაც მეტად მრავალმხრივი მწერალია: რომანები, მოთხრობები, ნოველები, საინტერესო ლიტერატურული წერილები და გამოკვლევები ქმნიან ამ მრავალფეროვნებას, ბადებენ დიდ ინტერესს მისი შემოქმედებისადმი. და, რაც მთავარია, მწერალს თავისი სათქმელი ყოველთვის გამოხატული აქვს პროფესიონალურად, მაღალმხატვრულ ფორმაში.

დ. შენგელაია რთული მხატვრული სამყაროს მქონე მწერალია. ამავე დროს, ეს სამყარო ფრიად საინტერესოა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით. მისი შემოქმედების დახასიათებისას თვალში გეცემათ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვიერი მასალის სიუხვე და მრავალფეროვნება. მე არ შეგულება მეორე მწერალი, რომელიც ასე მდიდარი იყოს სიტყვიერი მასალით. ეს მწერლის დიდი ღირსებაა. მწერლობის საშენი მასალა ენაა, მხატვრული ნაგებობის სიმტკიცეც

სიტყვაა და. ვისაც ეს ძალა აქვს, ეს საწინდარია მწერლის შემოქმედებითი გამარჯვებისა.

დ. შენგელაია უმთავრესად ინტელექტის მწერალია. მას, ამავე დროს, თავისებური ურთიერთობა აქვს ხალხურ შემოქმედებასთან. იგი უხვად იყენებს ხალხურ თქმულებებს, შელოცვებს, ზღაპრებს, . ანდაზებს, უმთავრესად კი მისტიკურ სამყაროში წარმოდგენილ ხალხურ ფრაზეოლოგიზმებს. ცნობილია, რომ ხალხურ შემოქმედებაში რეალისტური ინტონაციები და მოტივები ჭარბობს, მაგრამ არც ხალხური შემოქმედებაა თავისუფალი მისტიკური სამყაროსაგან. ხალხურ თქმულებებსა და ზღაპრებში ცოტა როდი გვხვდება .ავი სულების, ბოროტმოქმედების, სასწაულების თემებზე შექმნილი ზღაპრები და ანდაზები და, უნდა ვთქვათ, რომ დ. შენგელაია სწორედ ამ ხალხური შემოქმედების სამყაროს დაესესხა და დაესესხა ძლიერადაც. მისი წერის მანერა, ერთგვარად მოდერნიზებული და სტილიზებული, ადვილად ეგუება ამგვარ მისტიკურ სამყაროს. გავიხსენოთ მისი რომანი „სანავარდო" და ნოველები. ისიც უნდა ითქვას, რომ დ. შენგელაია თანდათანობით სცილდებოდა ამ გამისტიკურებულ პოეტურ სამყაროს და მის სტილში რეალიზმის ნაკადი იჭრებოდა. თუ „სანავარდოში" ჩვენი მწერლის მხატვრული წარმოსახვის სამყარო მისტიკურია, „ბათა ქექიაში" მისი მხატვრული ტილო სავსებით რეალისტური და ოპტიმისტურია. კიდევ უფრო რეალისტურია „წითელი ყაყაჩო". ეს იმას ამტკიცებს, რომ დ. შენგელაია თავისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდში დიდად იყო დავალებული სიმბოლისტური მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნებისაგან.

დ. შენგელაია უფრო ხატვის ოსტატია, ვიდრე თხრობისა, მოყოლისა. ამ პრინციპებზე დაფუძნებული მისი მოთხრობები და რომანები თავისებურია, სიუჟეტის, კომპოზიციის, ხასიათის აგების პრინციპით და თვალსაზრისით. ჩვენი მწერლის სიუჟეტები არ არის რთული. მას აინტერესებს არა იმდენად რთული კოლიზიები, რამდენადაც საყოფაცხოვრებო მოვლენათა წვრილმანები. იგი მწერლობის მთავარ ამოცანას „უბრალო შემთხვევებისა და წვრილმანების" ოსტატურ აღწერასა და სისტემატიზებაში ხედავს. ამიტომაა, რომ დ. შენგე-

ლაიას მიერ გამოეერწილი ხასიათები ადამიანის ცხოვრების ამ წვრილმანების აღწერას ეფუძნება.

ვინც დააკვირდება დ. შენგელაიას მოთხრობებისა და რომანების ექსპოზიციას და ფინალს, ადვილად მიხვდება, რომ მწერალს აქაც თავისებური სტილი აქვს გამომუშავებული. ნაწარმოების დასაწყისშივე მას ერთბაშად შევყავართ გმირის ხასიათის სამყაროში. ავტორი გმირის ხასიათის გამოსახვას უმალვე იწყებს. სწორედ ამიტომაა, რომ დ. შენგელაიას მიერ ჩამოსხმული სიუჟეტი ძალზე მარტივია. ამის ილუსტრაციად გამოდგება რომანი „ბათა ქექია“ და პატარა ნოველა „კაც“.

დ. შენგელაია მხატვრული შედარებების დიდი ოსტატია. მწერალს მიდრეკილება აქვს უფრო რთული მხატვრული შედარებებისაკენ, რომლებშიც უთუოდ მოდერნისტული სკოლის გავლენა იგრძნობა.

საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

„გაძარცული ძეწნები და ტირიფები გარუჯული ჩონჩხებივით იდგნენ ჭაობში, ნაღვლიანად დაფერდილნი და ტიროდნენ ამ დღის სისასტიკეს“. ამ რთულ მხატვრულ სახეში ძეწნებისა და ტირიფების შედარება გარუჯულ ჩონჩხებთან კიდევ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ზამთრის პეიზაჟის ფონზე, ხოლო „ჭაობში ნაღვლიანად დაფერდილნი ტიროდნენ ზამთრის სიასტიკესო“, ეს ართულებს სახის წარმოდგენას.

ავიღოთ მეორე შემთხვევა: „შაბიამანის ფერ ცაზე უზარმაზარ მწიფე მუწუკივით გამოჩნდებოდა მთვარე, სხივებს წითელ ბალღამივით დაღვრიდა სანავარდოს მიდამოებში“. უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს სიმბოლიზმიდან წამოსული მხატვრული შედარებაა. ასეთი შედარებები არაიშვიათად გვხვდება დ. შენგელაიას მოთხრობებსა და რომანებში.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: „საღამო იყო კვახის ფერი“... „ცა იკუმშებოდა და ღრუბლები მძიმე, წვირიანი ჩვრებივით ეკიდა სულ დაბლა“; „სიბნელე მუცლით გახოხდა დედამიწაზე“; „ნაცრისფერი ზღვა უზარმაზარ მუცელივით იდო ცისა და მიწისშუა“; „თხემლისა და კოპიტის შტოებში ნავახშმი მთვარე ციებიანის ტყირპიან მუცელივით ყვითლად აინთე-

ბოდა". აქ მოყვანილი მხატვრული შედარებანი რთულია, ძნელად წარმოსადგენი, გაუცნაურების პრინციპზე დაფუძნებული, ძველი მოდერნისტული სკოლის გავლენის კვალით აღბეჭდილი. ამგვარი შედარებების გვერდით გვხვდება რეალისტური ხასიათის საინტერესო შედარებანი. ასე, მაგალითად: „ლანდები დაებოტებიან ოთახში... ღამის ლანდები სულს აიდგამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორგვას და ტორტმანს"; „იგი აივანზე იჯდა და ღამეს დარაჯობდა"; „სახლების ყავარი დალპა წვიმაში და ისე ასხამდა, რომ ცა ფეხად ჩამოდიოდა"; „შავი ღამე ღრანტებში კუბაქივით იღრინებოდა"; „მისი ხვრინვა ხერხის ხრიალივით გაისმა"; „თოლიები მოქნეული დანებივით სრიალებდნენ და გაცელქებული დელფინები წყლიდან ამოშვერილ თუჯის ბორბლებივით მიგორავდნენ"; „მე სავსე კოკასავით ვბუყბუყებ, ის ლიტრასავით ლიკლიკებს"...

დ. შენგელაიას მოთხრობებსა და რომანებში, როგორც აღინიშნა, უხვად გვხვდება ხალხური ანდაზები და აფორიზმები, თავისებურად გადაკეთებული მწერლის მიერ. აი, მაგალითად: „გზა სიარულმა დალია და ღამე ძილმა", (ნაცვლად ცნობილი ხალხური ანდაზისა: „გზა სიარულმა დალია, სიპის ქვა წყლისა დენამა"); „შე საწყალო, კაცს ბუმბულში გაწვენენ და შენ სულელ ჭინჭრაქასავით ფუჩეჩ-ფუჩეჩო გაიძახი".

ანდა ავიღოთ რომანის ასეთი ვრცელი მონაკვეთი: „ამიღეთ და გადამისროლეთ ამ რიონში, — თევზივით ავცურდები; ამიღეთ და მისროლეთ ცაში, — ჩიტივით გავფრინდები; ამიღეთ და ჩამაგდეთ ცეცხლში, — სალამანდრად გადავიქცევი; ცოცხლად დამმარხეთ მიწაში, — თხუნელად ვიქცევი". ესაა ხალხური გამოთქმების თავისებური, ორიგინალური გააზრების ნიმუშები. ან კიდევ: „თუ საუბრის გაბმა გინდა, მონადირეს — ნადირზე უნდა ესაუბრო, მენავეს კიდევ — წყალზე, ხოლო ეშხით დამწვარს — სიყვარულზე".

„თქვენი არ ვიცი, — მათრახის ქვეშ ფაცხაში სიკვდილს, ომში თოფით ხელში ვაჟკაცური სიკვდილი მირჩევნია". აქ ჩვენ საქმე გვაქვს რუსთაველის ცნობილი აფორიზმის —

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“— თავისებურ და ორიგინალურ გარდაქმნასთან.

დ. შენგელაიას სახით ქართულ საბჭოთა მწერლობას ჰყავს მხატვრული სიტყვის ფრიად გამოჩენილი ოსტატი, რომელიც ამჟამად თავისი შემოქმედების სიმწიფის პერიოდშია და რომელსაც კვლავ შესწევს ძალა თავისი მკითხველები გაახაროს ახალი მხატვრული ქმნილებებით.

კარლო კალაძე

კარლო კალაძე ქართული საბჭოთა მწერლობის კარიბჭესთან დგას, როგორც პოეტი და მოქალაქე. იგი პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. კარლო კალაძე მწერალთა იმ სამეულში (ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე) შედიოდა, რომლის მხრებს აწვა ოციანი წლების პროლეტარული მწერლობის ფორმირების უმთავრესი სიმძიმე და რომელმაც გადაიტანა ანტირეალისტური სკოლების შემოტევა; მათ ასევე გაიზიარეს პროლეტარული მწერლობის წარმატებანი, შეცდომებიცა და ნაკლიც. ეს ისეთი ლიტერატურული ფაქტია, რომელსაც საბჭოთა მწერლობის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

კარლო კალაძე თავისი ბიოგრაფიითა და შემოქმედებით განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა მწერლობის ისტორიასთან, ოქტომბრის რევოლუციის გზასთან, მის პირველ ძირებთან. იგი დაიბადა რევოლუციონერის, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უხუცესი წევრის რაჟდენ კალაძის ოჯახში. და არა მარტო მამა — რაჟდენ კალაძე — არამედ კალაძეების მთელი ოჯახი რევოლუციურ საქართველოსთან იყო დაკავშირებული. კ. კალაძე უშუალო მონაწილე იყო იმ დიდი არალეგალური ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდნენ პირველი მარქსისტული ორგანიზაციის, მესამე დასის, წევრები: ეგნატე ნინოშვილი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ვანო სტურუა და სხვანი. აქ იწერებოდა პირველი რევოლუციური პროკლამაციები, ისახებოდა საბრძოლო დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების გეგმები, იმართებოდა დისკუსიები.

სწორედ ამ რევოლუციური რომანტიკის, ამ რევოლუცი-

ური ატმოსფეროს მოწმე და მონაწილე იყო პატარაობიდან-ვე მომავალი პოეტი კარლო კალაძე.

კარლო კალაძე დაიბადა 1907 წლის 29 მარტს ქ. ქუთაისში. ოჯახური წრე მომავალ პოეტს უქმნიდა არა მარტო მძაფრ რევოლუციურ ატმოსფეროს, არამედ ლიტერატურულ გარემოსაც. პოეტის მამის ლიტერატურული წერილები და პუბლიცისტური ხასიათის ნაწარმოებები დღემდე ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას. ამ ლიტერატურულმა ატმოსფერომ დიდი გავლენა იქონია კარლო კალაძის ბავშვობისა და ჭაბუკობის წარმოდგენებისა და განწყობილებების შემუშავებისათვის. რაკდენ კალაძის რევოლუციური ოჯახი გამუდმებულ დევნასა და რბევას განიცდიდა, ისინი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ საცხოვრებლად, ხოლო ბოლოს თბილისში დამკვიდრდნენ. აქ კარლომ საშუალო სკოლა დაამთავრა 1926 წელს. ის იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწავლა განაგრძო სიტყვიერების ფაკულტეტზე.

კარლო კალაძემ პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1920 წლის არალეგალურ გაზეთ „კომუნისტში". მისი ლექსების პირველი წიგნი 1926 წელს გამოვიდა. კ. კალაძეს 1926 წლიდან მოყოლებული დღემდე გამოცემული აქვს მრავალი წიგნი ლექსების, პოემებისა და პიესებისა. ბევრი მისი ნაწარმოები თარგმნილია როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, ისე ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

კ. კალაძე ლიტერატურაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და საპატიო ნიშნის ორდენით. მას მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

როგორც ითქვა, კ. კალაძის ბიოგრაფია, მისი შემოქმედებითი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული რევოლუციური საქართველოს ისტორიასთან, საბჭოთა საქართველოს განვითარების გზასთან.

* * *

ყოველ პოეტს აქვს ისეთი ხასიათის ლექსი, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად არის გამოხატული თავისი სული-

ერი ცხოვრების კრედო, მისწრაფებანი და ზრახვანი. ასეთ ნაწარმოებებში ისე ყოველმხრივად არის გადმოცემული პოეტის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომ ძნელია კრიტიკოსმა თავის მხრივ მას რაიმე დაუმატოს და შეავსოს. ამგვარი ლექსები ერთგვარი გასაღებია პოეტის რთულ ცხოვრებაში გასარკვევად, მისი სულიერი ზრახვების გასაგებად. ასეთი ლექსია მაგალითად, კ. კალაძის „ლენინი თბილისში", სადაც ნათლადაა გამოხატული ავტორის მხატვრული პოზიცია, მისი განუყოფელი სულიერი კავშირი თანამედროვეობასთან, საბჭოთა სამყაროს მშენებელ ადამიანებთან.

ლენინი თბილისში არ ყოფილა, მაგრამ ლენინიზმის იდეები საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მოყოლებული ოთხმოცდაათიან-ცხრაასიანი წლებიდან ცოცხლობენ და ჩვენს ხალხს მომავლის გზას უნათებენ. ამ იდეებმა მტკიცედ გაიდგეს ფესვი ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, და რაც კი მოწინავე და პროგრესულია XX საუკუნის ადამიანის ცხოვრებაში, ამ ნიადაგზეა აღმოცენებული.

ლექსში „ლენინი თბილისში" კ. კალაძე დიდი უშუალობითა და გულწრფელობით გადმოსცემს, თუ როგორ შეიყვარა და შეითვისა მან ახალი ცხოვრება, რომლის ერთ-ერთი მხატვარიც თვითონაა, და როგორ უნათებდა მისი ცხოვრების გზას ლენინიზმის შუქი. ცნობილი რევოლუციონერის ოჯახში დაბადებული პოეტი ბავშვობიდანვე შეეთვისა არალეგალურ ცხოვრებას და პირველი ღრმა შთაბეჭდილება, რამაც ჩვილ ბავშვს ძილი დაუფრთხო, ეს იყო გასაჩხრეკად სახლში შემოჭრილი „ჟანდარმის წითური სახე":

> სისხლის მსმელივით თვალს აცეცებდა
> და წიგნებს გლეჯდა გულაღრენილი, —
> ხელნაწერებში ლენინს ეძებდა,
> გრძნობდა, რომ ჩვენთან იყო ლენინი.

და შემდეგ:

> დედაენასთან ერთად ლენინი
> ჩემმა მშობელმა მეც შემაყვარა.

ამავე ლექსში პოეტი მოგვითხრობს, როგორ გახდა იგი ბავშვობიდანვე მოწმე იმ რევოლუციური ბრძოლისა, რო-

მელსაც წინ იმედად ლენინი მიუძღოდა. პოეტი, მართალია, „ცხრაას ხუთის შემდეგ შემოვიდა“ ცხოვრებაში, მაგრამ ის, რაც მან პირველად იხილა, ეს იყო ღრმად გავლებული კვალი „ჯორჯიაშვილის ბომბის ნატეხისა“. ცხრაასხუთელების რევოლუციურ ატმოსფეროში მოხვედრილი ბავშვი იმთავითვე დაუკავშირდა თავისუფლებისათვის მებრძოლთა ამ გულგაუტეხელ გვარდიას.

თბილია ჩემთვის თბილისის მკერდი,
განა სამარის ცივი მიწაა?
ნაძალადევის ცხრა ძმაში ერთი,
ძმებო, ალალი ჩემი ბიძაა.

პოეტის ღვიძლი ბიძა ნაძალადევის ბარიკადებზე ტყვიებით დაცხრილეს ჟანდარმებმა. ეს საგულისხმო ბიოგრაფიული დეტალია. ასეა გადაწნული პოეტის ოჯახის თავგადასავალი რევოლუციის ისტორიასთან. ამიტომ შეეგება იგი აღტაცებით საქართველოს ოქტომბერს. პოეტი აცხადებს, „თებერვლის ქარის ფანდური ვარო“, ე. ი. საქართველოს ოქტომბრის, საბჭოთა ხელისუფლების დღეების მომღერალი ვარო. ეს გულწრფელად ნათქვამი სიტყვებია. ვინც კ. კალაძის პოეზიას დააკვირდება, იგი ადვილად აღმოაჩენს, თუ რა გულწრფელი სიყვარულით არის პოეტი დაკავშირებული ჩვენს დროსთან, ჩვენს ცხოვრებასთან, საბჭოთა ეპოქასთან. მისი ლექსის ყველა სტრიქონი ჩვენი თანამედროვეობის სულიერი ცხოვრებით ცოცხლობს და სუნთქავს, და ეს არის კ. კალაძის, როგორც პოეტისა და მოქალაქის, უპირველესი ღირსება.

კ. კალაძის პოეზიის სასიცოცხლო ოპტიმიზმი სათავეს ჩვენს ცხოვრებაში პოულობს. ამ ხალისიანი ოპტიმიზმითაა აღსავსე მისი ლექსებიცა და მისი ცხოვრების ბიოგრაფიაც.

კ. კალაძეს ახასიათებს დიდი შინაგანი სულიერი ხალისიანობა, რითაც იგი აჯადოებს ყველას — ნაცნობს, მეგობარს და უცნობს. სადაც არ უნდა მოხვდეს იგი, როგორი განწყობილებაც არ უნდა იყოს იქ, მის გამოჩენას თან მოაქვს ღრმა ინტიმი და სიხარული. ეს განწყობილება უეცრად გადაედება ხოლმე ყველას. ეს ხალისი მოიტანა მან მწერლო-

ზაშიც. მისთვის უცხოა წუწუნი, მოთქმა, დედაბრული ბუზღუნი.

ეს სიცოცხლისეული ხალისი, ეს ნათელი ოპტიმიზმი წითელი ზოლივით გასდევს კალაძის პოეზიას. მან მართებულად გაუსვა ხაზი თავისი პოეტური ადამიანური ბუნების ამ დამახასიათებელ თვისებას:

ჯერ ისევ ჩემი საღამო არის.
მოწყენილი და ცივი საღამო,
შენს დაუდგრომელ და უქრობ ხალისს
შეუწყობი და შეუსაბამო.

კარგად არის ნათქვამი. კ. კალაძის ბუნებისათვის მართლაც სავსებით „შეუწყობია და შეუსაბამო“ მოწყენილი გარემო და ასევე უცხოა სევდიანი, ნაღვლიანი სტრიქონები.

კ. კალაძემ საინტერესო პოეტური გზა გაიარა. ჩვენს ლიტერატურაში იგი პირველად გამოჩნდა საქართველოს ისტორიის დიდი სულიერი გარდატეხის წლებში. საკმარისია ვთქვათ, რომ მისი პირველი ლექსი დათარიღებულია 1920 წლით, და ნათელი გახდეს, თუ რა სულიერი გარდატეხის ეპოქაზეა აქ ლაპარაკი. ეს ის დღეებია, როდესაც ჩვენი ხალხი, შთაგონებული ოქტომბრის რევოლუციის იდეებით, მენშევიზმის ნისლსა და ბურუსს ფანტავდა და თებერვლის დღეებისათვის ემზადებოდა. ეს სულიერი განწყობილება გამოხატა პოეტმა თავის პირველ ლექსში, რომელსაც ეწოდება „ბრძოლის ველზე“:

მზე მორცხვადა ბრწყინავს, ცა ლურჯად კრიალებს,
იქ კი, ბრძოლის ველზე, მახვილი ტრიალებს,
იღრუბლება ზეცა, წუხს მიდამო წყნარი,
სისხლი მოჩანს ველზე რუებრ მიმდინარი.

არსით არის შველა, შფოთავს ბრძოლის ველი.
მე კი მჯერა გმირის, გამარჯვებულს ველი!
მზე იბრწყინებს ისევ, დასრულდება გლოვა...
და ომგადახდილი ხალხის მხსნელი მოვა!

პოეტის ეს ოცნება სულ მალე ასრულდა. ამ სტრიქონების გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. კ. კალაძე მთელი თავისი შეგნებით დაუკავშირდა ახალ დროს და მისი მხატვარი გახდა. ამ ახალ, რევოლუციურ საქართველოს პირველივე სტრიქონებით უმღერა პოეტმა ჯერ კიდევ 1921 წელს:

მაგრამ კვლავ დადგა გაზაფხული... მუხის ფესვებზე
ჩვილმა ტოტებმა ფრთა გაშალეს და გაიხარეს.

ახლა პოეტის ხმაც იმედით სავსე იყო...

ცას სამაისო სიმღერები შეგუგუნებდეს,
გვინდა ზეიმი და დროშების ალში ჩაძირვა.
ეს მე ვარ ახლა, შენი შვილი, შენი მგოსანი,
გიმღერე ქება სიხარულით თვალებგავსილმა.

ამდროინდელ ლექსებში ბევრია ძიება. ამ ძიებაში პოულობდა პოეტი ახალი, რევოლუციური განწყობილების ხმებსა და ინტონაციებს. პირველსავე ლექსებში წამოიჭრა მის წინაშე ჩვენს სახელოვან წინაპრებთან, კლასიკოსებთან, დამოკიდებულების საკითხი და აი, პოეტი ეძებს კავშირს და საერთო ძაფს აბამს მათთან. თერგდალეულთა თაობასთან თავისებური შეპაექრებით პოეტი ილიასა და აკაკის ეროვნულ სევდასა და მწუხარებას მოიგონებს და მათვე მიმართავს, რომ ახლა სამშობლოს იარა განიკურნაო, თერგის გადალახვა სევდის მომგვრელი აღარ არისო. პოეტი სიამაყით გადასძახებს წინაპრებს:

ვხედავ, ის მტრობა მოსპო დროებამ
და აიმაღლა ხმა საქართველომ,
მაშ, იარე და შენმა ტორებმა
მიწა კი არა, ჯავრი გასთელონ.
მთაო, გადმიშვი, მაშ, როგორც ნისლი
არაგვის ჭალებს გადაკარგული,
რომ ქვეყნის გულზე მეტის ხალისით
ვხეტიალობდე თერგდალეული...

პოეტი ასე განასხვავებს თავისი თაობის თერგდალეულებს 60-იანი წლების თერგდალეულებისაგან. ამ ადრინდელ

ლექსებში პოეტი ეკამათებოდა ხან ბარათაშვილს, ხან ვაჟა ფშაველას, ხან ბესიკსა და საათნოვას.

მაშინდელ ლექსებში ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დასრულებული და დადუღებული. აქ უფრო მეტი იყო ვარჯიში, ძიება, ზოგჯერ ფორმალისტური იერის მატარებელიც კი, მაგრამ მაინც ღრმად იყო ნაგრძნობი ახალი ნიადაგი, ახალი ცხოვრების ძალა და პოეტის ოპტიმიზმიცა და პატრიოტიზმიც აქედან მომდინარეობდა. თავის პირველ ლექსებში პოეტი ზიგზაგებითა და წინააღმდეგობათა გადალახვით იკვლევდა გზას ახალი საბჭოთა პოეზიის მაღალი პოზიციებისაკენ.

1925 წელს კ. კალაძემ გამოაქვეყნა ლექსი „ძახილი აღმოსავლეთს". პოეტს საქართველოსაგან ისტორიული უკუღმართობით მოწყვეტილი ფერეიდანელი ქართველების ბედი აწუხებდა. იგი მიმართავდა იმ ქართველებს, „რომელთაც საბჭოთა ჭზე არ უნათებდა ცხოვრების გზას" და მათ უსურვებდა ყოფილიყვნენ იმ ბედნიერების თანაზიარნი, რაც წილად ერგო დედა საქართველოს:

სადა ხართ ახლა! უცხო ქვეყნებში
დაგახრჩობთ სევდა გულს ნამალევი,
ვინ შემოჰკრიბოს ვარსკვლავებივით
მშობლიურ ცისქვეშ თქვენი თვალები!

პოეტი მიმართავს სამშობლოსაგან მოწყვეტილ, ძალით წაგლეჯილ, შორს გადახვეწილ ძმებს, ნეტავ ერთხელ მაინც განახათ,

ძველ სამშობლოში დღეს რომ შენდება
ქვეყანა მზის და კომუნარების.

კ. კალაძემ აქ თავისი მრწამსი მთელი სიმძაფრით გამოხატა:

კრულ იყოს ორგულ ვაჟკაცის მკლავი,
თავისი მძაფრი დროის მგმობელი, —
ვინც ბრძოლის გამო არ შეიყვაროს
მზით ანთებული წუთისოფელი!
უფრო მწყურვალი ვსვამთ საუკუნეს,

ყამი კი სხვაა დაუშრობელი...
და ახლად ვაქებთ ჩვენ საქართველოს.
ჩვენც გულით გვიყვარს ჩვენი მშობელი.

თუ ქრონოლოგიურად მივყვებით, ამის შემდეგ საინტერესოა პრობლემური ლექსი, რომელშიაც განახლებული სოციალისტური საქართველოს ცხოვრების სურათია გამოხატული. ეს არის სიუჟეტიანი ლექსი „ამბავი აჭარელი ამხანაგების, თქმული კარლო კალაძის მიერ“.

30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ფართოდ შემოდის საქართველოს განაპირა მხარეებისა და მთიანი საქართველოს ცხოვრების თემატიკა. საუკუნეთა განმავლობაში ჩამორჩენილ მთის რაიონებში მძლავრად შეაღწია ოქტომბრის მზემ, გაანათა და განაახლა ცხოვრება, ყველა ჩააბა სოციალისტური ცხოვრების ფერხულში. ქართულმა პოეზიამ მთის ეს ფერიცვალება მთელი სიძლიერით წარმოსახა.

კ. კალაძის ქმნილებანი აჭარასა და სამხრეთ საქართველოზე ამ ლექსებს შორის ერთი პირველთაგანია: პოეტმა ნათლად გამოხატა, თუ როგორ გარდაიქმნა და აღორძინდა აჭარა, როგორ ჩადგა იგი სოციალისტური საქართველოს რიგებში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აჭარელი ბაადურის ოჯახში მომხდარი ისტორია — ეს უაღრესად ტიპიური ამბავია, მაუწყებელი ქვეყნის განახლებისა. ბაადურის ვაჟი ჰასანი წითელ ჯარშია, ხოლო ქალიშვილი — ხატიჯე, რომელსაც წარსულის ბნელი ადათები დაუგმია და ჩადრი უარუყვია, ახლა თავისუფალი შრომით იხვეჭს სახელს. ჩადრმოხსნილ ხატიჯეს — აჭარაში ცნობილ ჩაის მკრეფავ ქალს — წითელ ჯარში წასული ძმა ჰასანი ასე მიმართავს:

ჯავრი და წარსულის დაღი, დაო, ხომ აღარ გაჩნია?
ხომ გესმის — დიდებას გიმღერიან აჭარელ ქალსა!
იცოდე, შენი ძმა შენზე ფიქრობს, კვლავ წითელ ჯარშია
და შენი შრომის ერთგულ მცველად იგულე ჰასან.

1934 წელს კ. კალაძემ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადები“. ეს ლექსები შეეხება სამხრეთ საქართველოს, მის ახალ ადამიანებს, მის მდიდარ წარსულს—

ჯავახეთსა და არტანის მტკვარს, ფარავნის ტბას, შავშეთს, ხერთვისს, ჯავახეთს... ამ ციკლების გამო ავტორი წერდა: „მე წელს პირველად ვიმოგზაურე მესხეთსა და ჯავახეთში. ვნახე ვარძია, ასპინძა, რუსთავი, ხერთვისი, ხაზაბავრა და ბარალეთი.

დღეს იქ თავისუფლად ცხოვრობს ხალხი, მკვიდრად ხელახლად ესახლებიან. ადრე კი ომების სარბიელი იყო და დარჩენილა დანგრეული ციხეები, საყდრები, სადაც სამარეებზე ჯვრების მაგიერ ქვის თეთრი ვერძები გამოუქანდაკებიათ. ფარავნისა და საღამოს ტბაზე მე გავეცანი მებადურებს და ჩემი საერთო შთაბეჭდილება ამ შვიდი ლექსით გამოვთქვი“. ლექსების ეს ციკლი მეტად ორიგინალურად არის ჩაფიქრებული. პოეტი აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში სამხრეთ საქართველოს — ქართული კულტურის ამ უძველესი კერის — წარსულს, მის ისტორიულ სიძველეებს, კულტურისა და ხელოვნების ძეგლებს. ამას მოსდევს სურათი ურდოების მიერ დარბეული ამ შესანიშნავი მხარისა, „რომლის წილხვედრი ყოფილა მუდამ ომი და რბევა“. ახლა აქ ტალ-კვესით კერა ისევ აუნთიათ ქართველებს. მიწა მოუხნავთ, ვაზ-ვენახები გაუშენებიათ, სახლ-კარი გაუმართავთ და აი, მწერალი ხვდება ამ ახალ საქართველოს სამხრეთელ მკვიდრებს, მათთან საუბარში კვლავ ცოცხლდება ამ კუთხის ციხე-სიმაგრეებისა და ისტორიული ამბების მოგონება. მაგრამ ძველი საქართველოს ქვათა ღაღადს ცვლის ახალი საქართველოს გამომხატველი სურათები: თვითმფრინავი, ტრაქტორი, ავტომანქანა. ამ ახალი სასწაულების ჩამდენი ადამიანია,

ცა აფრენილი ხალისით
გზას ვარსკვლავებში იგნებს.

პოეტი ამბობს, რომ მე მოვედი აქ ამ „დიდი წარსულის მერე“, რომ როგორც უმცროსმა მოწაფემ ხერთვისის ძველი ოსტატებისა „გამოვძებნო და ვაქო“ ახალი საქართველოს ახალი ადამიანებიო.

ასე აზერხებს პოეტი ისტორიული წარსულისა და დღევანდელი საქართველოს ერთ მთლიანობაში დახატვას.

30-იანი წლების ქართულ პოეზიაში წარსულისა და აწმყოს ამგვარ ურთიერთობაში დახატვა უთუოდ ორიგინალური მოვლენა იყო.

ამ ლექსებში კარგად არის გაცოცხლებული საქართველოს ისტორიული კუთხის, შოთას აკვნის, წარსულიცა და აწმყოც.

ასპინძის მიწის ჭრილობა
გვახსოვს და გვემახსოვრება,
ამიტომ უფრო ყვაელობს
დღეს აქ ახალი ცხოვრება.
იქნება შოთას აკვანიც
ამ მტკვრის ნიავმა არწია,
იქნებ იცავდა ხერთვისი,
თმოგვის ციხე და ვარძია.

კ. კალაძის ლექსებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ „ისევ მშობლიურ სოფელში". ეს არის დიდი გულწრფელობით აღბეჭდილი მოგონება მშობლიური სოფლისა, იმ ადგილისა, სადაც იზრდებოდა და ბავშვობის წლები გაატარა პოეტმა. ამ გარემოს პოეტი ყველაზე კარგად იცნობს, მშობლიური სოფლის ადამიანებთან წლობით უცხოვრია, უშრომია, მათთვის ფიქრი გაუნდვია. აქედან მომდინარეობს ის უშუალობა, რითაც აღბეჭდილია ეს ლექსები. ბავშვობის წლების მოგონება ყველაზე უფრო ძლიერად და შთამბეჭდავად დაკავშირებულია მშობელ დედასთან. დედაზე სანუკვარი და ძვირფასი არ არის რა ამ ქვეყნად. „ისევ მშობლიურ სოფელში" იწყება ლექსით „დედა". დედის პორტრეტი შვილისადმი სიყვარულის დიდი რომანტიკით ცოცხლდება ლექსის შემდგომ სტრიქონებში:

პატარაა ჩვენი დედა,
პატარაა — კაფანდარა!
თმაში თეთრი გარევია,
დასაკოცნი თმა გამხდარა, —
ომის ჭირს კი ისე დახვდა,
ნაღვერდალიც არ გამკრთალა...
ჩვენც აქ მისთვის ვიკრიბებით,
მისთვის გვიყვარს ჩვენი კერა, —

ღვივის, როგორც დედის გული,
როგორც დედის თვალთა ცქერა! —
დღესაც მისმა ნაპერწკალმა
აგვანთო და აგვამღერა!

ლექსების ამ ციკლში პოეტმა თვალწინ დაგვიყენა დღევანდელი სოფელი თავისი დაუცხრომელი, გამრჯე ადამიანებით. აგერ 65 წლის გაუტეხელი მოხუცი... მკერდზე გმირის ვარსკვლავი უბრწყინავს. მოხუცი კვლავ ებრძვის გვალვას და ავდარს, რათა ქვეყანას სიკეთე და დოვლათი შემატოს. აქვე არიან ახალგაზრდა ომგადახდილი ვაჟკაცი და მასწავლებელი ქალი — სოფლის თვალისჩინი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი „მედოქეები". ეს არის პლასტიკურად დახატული სურათი, მდიდარი რეალისტური ფერებითა და საგნობრივი ფერწერით შესრულებული, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი თავგადასავალი და ცხოვრება მედოქე ახალგაზრდა ვაჟისა. აქ გაცოცხლებული არიან არა მარტო აყალო მიწის მძერწავი, წარმართთა მეტოქე ოსტატები, არამედ ფუჩეჩით შეფუთვნილი სურაც, ხალამიც, ჭინჭილაც, დაბალ გოგორა ურემზე გადაწოლილი დევივით გაბაწრული ჭურებიც. ამ დოვლათის პატრონ მედოქეებს სოფლის წყაროსთან შემოხვდებათ პატარძალი, ოდნავ ფერმკრთალი, რომელსაც გაბზარული დოქით წყალი მიჰქონდა. ქალის სილამაზემ დაატყვევა და დაიპყრო ეს უბირი, გულწრფელი მედოქეკაცი ფეხდაფეხ გაჰყვა ქალს. იქვე ვენახში, სადაც პატარძალი შევიდა, თოხის ხმა ისმის, თვითონ ვაჟკაცი არ ჩანს, მაგრამ მესერზე გადაკიდებული ჯარისკაცის ფარაჯა იმას ამტკიცებს, რომ ამ ლამაზი ქალის პატრონი ომგადახდილი ჭაბუკია. ამ სინამდვილის გრძნობამ მართლაც დოქივით გაუბზარა გული ამ მედოქეს. ეს სურათი იმდენად პლასტიკურია და ხელშესახები, რომ თქვენ ნამდვილად გრძნობთ ოსტატს, რომელსაც ნაცნობი და ახლობელი საგნის ასე საინტერესოდ გამოხატვა შეუძლია.

კ. კალაძისათვის დამახასიათებელია და, შეიძლება ითქვას, ტიპიურიც, თანამედროვეობის თემა. სოფლის ცხოვრებას ხატავს იგი თუ ქალაქის, სამხრეთ საქართველოს სუ-

რათს აღადგენს თუ ალაზნის ველისას, კოლხეთის პლანტაციებს უმღერის თუ მარმარილოზე მომუშავე ოსტატებს — პოეტი ყველგან თანამედროვეობის სულით ცოცხლობს, მისი ჰაერით სუნთქავს. იგი ჭეშმარიტად თანამედროვეობის მხატვარია. პოეტმა იცის, რომ ახალი ხუთწლედის ყოველი ათასი ხარაჩო, ქალაქში აღმართული, თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებული შრომა ბრძოლის ვრცელი ველია. პოეტი აცხადებს, რომ ახალი ცხოვრების მშენებელთა მომღერალი ვარო:

მე ჩემი გულით. ჩემი ქართულით
იმ ნათელ დღეებს ვუმღერო მინდა,
ცას როცა ჩვენი ცეცხლი ანათებს
და ხელჩართული შრომაა გმირთა.

კ. კალაძის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსების ციკლს მოსკოვის შესახებ. ამ ციკლს პოეტი ასე ასათაურებს: „რამდენიმე დღე მოსკოვში“. აქ მოსკოვი გამოხატულია, როგორც სოციალიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, მშვიდობის მედროშე ქალაქი. მოსკოვში ყველა ჩვენთაგანი ქართველი იქნება ის თუ ესტონელი, თურქმენი თუ ტაჯიკი, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. მოსკოვი საქართველოსთან დაკავშირებულია შორეული წარსულიდან. მარადი და ურღვევია ეს კავშირი: „გზა საქართველოს გულისკარამდის დიდი ხანია აქვს მიკვალული, მაშ დაილოცოს აწ და მარადის ეს მისწრაფება და სიყვარული“. ლექსები—„დარბაზობა კრემლის სასახლეში“, „მოსკოვი-თბილისი“, „მოსკოვის ველები“ ამ განწყობილებასა და აზრს გამოხატავენ.

კ. კალაძის პოეზიაში დიდი ადგილი აქვს მიკუთვნებული ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემას. მის წიგნებში წაიკითხავთ ლექსებს საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, სომხეთის შესახებ. პოეტი მგზნებარე სიტყვით ეხმაურება მოძმე ხალხთა მწერლებს, მეგობარ პოეტებს ნ. ტიხონოვს, მ. ბაჟანს, სამედ ვურგუნს, პლატონ ვორონკოს, გურგენ მაარის, ეღიშ ჩარენცს. აქვეა ლექსები სახელოვან წინაპრებზე — ლესია უკრაინკაზე, ნიზამზე, გურამიშვილზე, პუშკინზე თუ მაია-

კოვსკიზე. ამ ლექსებში გულწრფელად არის გამოხატული. საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძნობაც. აქ განსაკუთრებით მკაფიოდ აღბეჭდილია უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სურათი. ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში და დავით გურამიშვილისა მირგოროდში, — აი მეგობრობისა და ძმობის ნათელი სიმბოლოები:

ეგ სიყვარული უმაღლესია
და გულით ხალხის გულთან მიჭრილი,
როგორც სურამის ქედზე ლესია,
დგას მირგოროდში გურამიშვილი.

ტარას შევჩენკო კავკასიონზე მიჯაჭვულ გმირს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, გურამიშვილი უკრაინულ ხმას უწყობდა ქართულ ლექსებს. ასე ერთად ოცნებობდნენ ეს ჩვენი სახელოვანი წინაპრები ხალხის მომავალზე, თავისუფლებაზე, როცა თავისუფლება მოიპოვეს ჩვენმა ხალხებმა, შემდეგ მის დასაცავად ერთიანი ფრონტით აღდგნენ ისინი. კოვპაკთან ერთად გმირი ბაქრაძეც იბრძოდა დნეპრზე. ასე დაიცვა ჩვენი სამშობლო რუსების, უკრაინელების, ქართველებისა და სხვა საბჭოთა ხალხების ძმობამ და მეგობრობამ.

ჩვენი ადამიანები ისევე ერთად არიან შრომაშიც, ქართველ კოლმეურნეებს შეჯიბრებაში ჰყავთ გამოწვეული უკრაინელი კოლმეურნეები. შრომითს წარმატებაში ეჯიბრება რუსი უკრაინელს, უკრაინელი — ქართველს, ქართველი — აზერბაიჯანელს და ასე ძმობაში, შრომასა და მეგობრობაში მტკიცდება და ვითარდება ჩვენი ხალხების მეგობრობა. სწორედ ეს აზრი აქვს გამოხატული კ. კალაძეს ლექსების ციკლში, რომელსაც ეწოდება „სიმღერები დნეპრის პირად“.

მეგობრობისა და ძმობის შთამბეჭდავი სურათები გააცოცხლა კ. კალაძემ ლექსების ციკლში, რომელიც სამამულო ომის თემას მიეძღვნა. ბრძოლის ველზე მეომარი ქართველები, ეს იქნება გახა ბუქურაული, გეთია თუ სხვა, ძმებთან — რუსებთან და უკრაინელებთან ერთად იცავდნენ მამულს, ყოველმა ქართველმა მეომარმა კარგად იცოდა, რომ, როცა

ის მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს იცავდა — ამით თავის თბილისს იცავდა, როცა ის რუსეთის და უკრაინის ველებზე იბრძოდა — ამით დედა საქართველოს იცავდა.

კ. კალაძის პოეზიაში დიდი მომხიბვლელობით არის გაცოცხლებული საქართველოს ყოველი კუთხე. უხვი ფერებით, მდიდარი საღებავებით ხატავს იგი საქართველოს ბუნებას, საქართველოს ძლიერების წყაროს — შრომისმოყვარე ადამიანებს. ახალი საქართველოს ყოველ კუთხეში, ყველგან — კოლხეთის პლანტაციებში და იმერეთისა და კახეთის ვენახებში, ქართლის ველებზე, საქართველოს მთიანეთის იალაღებზე ქართველი კაცის შრომა და გარჯა ჩქეფს. პოეტი ახალი საქართველოს მომღერალია, მისი დიდების მხატვარი. წარმტაცი და საყვარელია ამ ქვეყნის ყველა მხარე, მისი ყოველი კუთხე, ყველა ადგილი, „სულ ერთია, კლდეა თვალწინ თუ ზურმუხტი მდელოსი, სულ ერთია, ოღონდ იყოს კალთა საქართველოსი“.

ახალი სოციალისტური საქართველოს სურათები კ. კალაძემ თავის პოემებში გამოხატა. პირველი პოემა, რომელსაც მან 30-იანი წლების საქართველოს ქრონიკა უწოდა, არის „უჩარდიონი“. ეს ნაწარმოები — ქართულ ლიტერატურაში დეკადენტურ განწყობილებათა გაბატონების შემდეგ — პირველი სიუჟეტიანი პოემაა. აქ მკაფიოდ არის გამოხატული ღრმა გარდატეხა, რომელიც იმ ხანებში ჩვენი სოფლის ცხოვრებაში მოხდა. პოემაში მკვეთრად არის დაპირისპირებული, ერთი მხრივ, ახალი საკოლმეურნეო სოფლის მშენებელთა კეთილშობილური მისწრაფება და, მეორე მხრივ, ძველი, კერძომესაკუთრული სამყარო თავისი ბნელი ინსტინქტებითა და ცხოვრების დახავსებული წესით. აქ ვეცნობით კომკავშირელთა სახეებს შვიდკაცას სიმბოლიკაში. ნაწარმოებში ნათლად იგრძნობა განახლებული ცხოვრებისათვის მებრძოლი ადამიანების დიდი ოპტიმიზმი და შინაგანი რწმენა, ხოლო უჩარდიონის ოჯახურ ტრაგედიაში გამოხატულია წარმავალი, კერძომესაკუთრული ინსტინქტების მსხვრევა და დამარცხება.

პოემის სიუჟეტი იმდროის ცხოვრების სინამდვილეს ეყრდნობა: კერძომესაკუთრე ბობოლა გლეხს უჩარდიონს „შვი-

ლივით ჰყავდა გაზრდილი“ ახალგაზრდა ყმაწვილი გულდა, რომელიც შემდეგ კომკავშირში ჩაეწერა და ახალი ცხოვრების მეთაური გახდა. გულდა დაუპირისპირდა გაუმაძღარ კერძომესაკუთრეს, მისი სახლიდან წავიდა და კომკავშირლებთან ერთად მიენდო ღარიბ გლეხთა იმ ჯგუფს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამოქალაქო ომის მოწინავე კომუნისტი ჯაბა. მასთანაა ქალაქელი რკინიგზელი მემანქანე მუშაც. სოფლის მოწინავე ადამიანებმა კოლმეურნეობის დაარსება გადაწყვიტეს. ამ განზრახვას კლასობრივი მტრები წინ აღუდგებიან, როდესაც კომკავშირელი გულდა ქალაქიდან ბრუნდებოდა გზად შემოეყარა კულაკთა ბრბო უჩარდიონის მეთაურობით. გულდა უთანასწორო ბრძოლაში ფარულად მოკლეს. მკვლელს ვეღარ მიაგნეს. უჩარდიონი იძულებულია დატოვოს თავისი სახლ-კარი. იგი შურს იძიებს საკუთარ ბაღ-ვენახზე და საქონელზე, წინ გაიგდებს მის მიერ აღზრდილ ქალს, რომელიც ცოლად გაუხდია. ორსული ქალი ეხვეწება, დატოვოს სახლში, მაგრამ უჩარდიონი ძალით მიათრევს. ფინალში ქალი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ხალხი იმარჯვებს, საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმული ახალგაზრდები მტკიცედ ირაზმებიან. მათს თავდადებულ შრომაში, ბრწყინავს გულდას სახელიც, მათ საქმეში ცოცხლობს ხსოვნა გულდასი, როგორც ამ დიდი საქმისათვის მებრძოლი ერთი პირველთაგანისა.

ვინც ამ ნაწარმოებს დააკვირდება, ადვილად შეატყობს, რომ აქ წინ წამოწეულია უჩარდიონის ტრაგედია და ამ მხრივ მის ოჯახურ თავგადასავალს მეტი ყურადღება ეთმობა, უფრო მეტი საღებავები ხმარდება, ვიდრე ახალ ადამიანებსა და ახალი ცხოვრების მეთაურებს. ფერების ასეთმა არაპროპორციულმა განაწილებამ პოემას უთუოდ ზიანი მიაყენა. ამისდა მიუხედავად, პოემაში ბევრი საინტერესო პოეტური ადგილია.

ასეთია, მაგალითად, დრამატული სურათი უჩარდიონის სახლ-კარის დატოვებისა და მშობლიურ მიდამოსთან გამოთხოვებისა.

ეი, ორი ხე ახოვანი, მაღალშობილი,
ძლევამოსილად დგას აქ მკლავებგადაჯდობილი,

ვეება ქვევრი ხეების ქვეშ ძევს მარტოოდენ,
ცხრა დანარჩენი ნიადაგში ჩამარხულია, —
ქვევრებში ღვინოც აღარაა ცოტაოდენი,
ხეების ქერქი მზრუნველობით არ ახურია...
და ძლივს მოსული ყავარჯენით ახლა აქამდე
მამა და შვილიც ღონემიხდილ ჩრდილებს აგავდნენ.
გული მოუკლა ხნიერ მამას თვალბედითობამ,
ხეებმა ახლა ხელისგული იქნებ აამონ...
უჩარდიონს კი სიჯველე ან გულდიდობა
რას არგებს, როცა მამულს უნდა გამოესალმონ.
მაინც მიმართა მაღალ ხეებს: — თქვენ მებრალებით,
როცა დაგტოვებთ უპატრონოდ, რა გეშველებათ?!
ხეებმაც თითქოს უპასუხეს აშრიალებით
და ერთი წამით თითქოს შეკრთა მათი მშვენება.
მაგრამ ტოტებში გაიარა თრთოლვამ ნელ-ნელა
და უჩარდიონს შემოესმა მოულოდნელად:
„რა გვეშველება?“ — იცინოდნენ ჩუმ-ჩუმად რტონი,
„ჩვენი ლაშქარი ელვა-მეხთან მუდამ იომებს!“
„რა გვეშველება?“ — შრიალებდნენ მეფურად დრონი
და დაპყურებდნენ ძირს დაცემულ უჩარდიონებს!..

მეორე პოემა — „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“ - კ. კალაძემ ამ ბოლო წლებში გამოაქვეყნა. იგი უკვე ორმოციანი წლების ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებას შეეხება — ის თითქოს პირველი პოემის გაგრძელებაა. ქრონოლოგიურად პოემაში აღწერილია სწორედ 30-იანი წლების შემდგომი ამბავი. აქ ნაჩვენებია სამამულო ომის სურათები, ომში საბჭოთა ახალგაზრდობის სახელოვანი თავგადასავალი და ომის შემდგომი პერიოდის თბილისის მშენებელი ახალგაზრდების ცხოვრების ეპიზოდები. ომგადახდილი ახალგაზრდებიც, რომლებმაც მამაცურად დაიცვეს სამშობლო ქვეყანა, აშენებენ ახალ თბილისს, თანაც იხსენებენ, ვინც სამშობლოსათვის თავი გასწირა.

და მუდამ, როცა ვხედავ — ქალაქი
ომგადახდილთა ხელით შენდება,
ჩვენს შორის ერთი ტოლ-ამხანაგი
უთუოდ უცებ გამახსენდება...

ეს ტოლ-ამხანაგი არჩილ გუბაძეა, რომელსაც ამ ამბის მომთხრობი, ომგადახდილი ვაჟკაცი გიორგი, ომის მრისხანე

დღეებში ფრონტზე შეხვდა. ქერჩის მძიმე ბრძოლას გადარჩენილი ახალგაზრდა ყმაწვილი, მეომარი გიორგი უცნობ ქალს გადაეყრება, მას მიენდობა და გაჰყვება. ეს ქალი გიორგის სადღაც სანგრებად ქცეულ სარდაფში შეიყვანს. აქ გიორგი ხელჩამოკიდებულ ქართველ კაცს შეხვდება. ხელში დაჭრილი კაცი თურმე გამოექცა ჰოსპიტლის თანამშრომლებს, რომელთაც სურდათ მოეკვეთათ მისთვის ტყვიით დაზიანებული მარჯვენა, მაგრამ მან ხელის მოკვეთას ისევე ბრძოლაში ჩაბმა არჩია.

გიორგი ცდილობს დაეხმაროს განწირულ ახალგაზრდას, მაგრამ ბომბარდირება იწყება და დაჭრილს ადგილზე ვეღარ პოულობს. მას ისღა დარჩენია, რომ არჩილს თხოვნა შეუსრულოს. შინდაბრუნებულს მუდამ ახსოვს მეგობრის სიტყვები:

შინ როცა მიხვალ, გულისთქმა ჩვენი,
გთხოვ, ერთმანეთში არ განასხვაო, —
მოძებნე ჩემი პატარა დედა
და ჩემზე კარგი უამბე, ძმაო.
არ დაივიწყო: მკვდარიც რომ ვიყო,
მხოლოდ ცოცხალი კაცი მიწოდე, —
მოხუცი დედა იმ შორ სოფელში
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს, იცოდე!
მიხვალ და არჩილ გუბაძის ქოხში
ტკბილად ერთ ღამეს მაინც გაათევ,
ჩემს ძველ ბარათებს მოგიტანს დედა
ჩემს მეზობლებთან იმასლაათებ!
ღარიბ ქოხს ნახავ და ნუ დამძრახავ,
თუ ხარ მოყვარე, თუ ხარ ძმობილი, —
ახალი ოდის ფიცარ-კრამიტი
ცის ქვეშ დამირჩა ყრუდ მიწყობილი.

გიორგი ასრულებს მეგობრის თხოვნას. მიდის სოფელში, არჩილის დედა გახარებული ხვდება: წერილებს შვილისაგან კვლავ ვღებულობო. მალე გაირკვევა ეს ცთუნებაც. თურმე ფრონტელი მეგობარი ინა მოხუც ქალს უგზავნის მასთან დარჩენილ არჩილის წერილებს დედისადმი, სახლში კი არჩილს ელოდება მისი პირველი სატრფო ლალი, სოფლის მას-

წავლებელი, რომელიც არ შორდება მოხუც დედას, როგორც მისი ნამდვილი რძალი.

ამ პოემით ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ჩვენი ახალი ცხოვრება ომის ქარცეცხლში გამოიჭედა. გამარჯვების მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა. ჩვენი წინსვლა ომმა შეაფერხა, მაგრამ მაინც ვერ შეწყვიტა ცხოვრება მუდამ ლამაზი. და საინტერესო, შეუფერხებელი და დაუსაბამო. სიცოცხლის ეს მარადიულობის იდეა კ. კალაძეს არაერთგან აქვს ხაზგასმით გამოკვეთილი. ამისდა მიუხედავად, უნდა ითქვას, კ. კალაძის ზემოხსენებული პოემა ვერ გვიხატავს საკმაო სისრულით ახალი ადამიანების, ახალგაზრდობის ცხოვრებას. აქ მოთხრობილი ომის ამბავი, პოემის სიუჟეტი, ცოტა არ იყოს ხელოვნურია. კავშირი ომის სურათებსა და მშვიდობიანი შრომის ეპიზოდებს შორის მკრთალად არის გამოხატული.

* * *

როცა ვეცნობით კ. კალაძის ლექსებსა და პოემებს, თვალში გვეცემა ერთგვარი პოეტური უსწორმასწორობა. და მაინც პოეტურ მიღწევასთან გვაქვს საქმე თუ ჩავარდნასთან, ბრწყინვალე პოეტურ სტრიქონებს ვკითხულობთ თუ სუსტ ტაეპებს, ვრწმუნდებით, რომ ყველა სტრიქონი პოეტისა ფორმალურ ძიებებში, სიტყვათა ჭიდილში თუ ბრძოლაშია დაბადებული. კალაძე ძლიერია იქ, სადაც ცხოვრების ახალ სურათებს, ადამიანთა განწყობილებებს, მაღალპოეტური ფორმით გამოხატავს და ახალი ვითარებისთვის შესაფერის ფორმას პოულობს. მისი ფორმალისტური ზიზილ-პიპილოები კი მკითხველის გულებს ვერაფრით ვერ აანთებენ.

იყო თანამედროვეობის მხატვარი, უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს — გიყვარდეს შენი ხალხი, ქვეყნის სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ხალხი, გიყვარდეს მის მიერ აშენებული ახალი ცხოვრება და ეს დიდი სიყვარული განაცხადო მაღალ პოეტურ სიტყვაში, შენ მიერ დახატული ახალი ადამიანის ხასიათში. ხალხისადმი, სამშობლოსადმი დიდი სიყვა-

რულის გარეშე არასოდეს არაფერი შექმნილა დიადი და ამაღელვებელი. მაგრამ არც სიყვარული და არც თანამედროვეობის თემა საქმეს არ უშველის, თუ არ შეგწევს ძალა— პროფესიონალის ენით გამოხატო ყოველივე ეს ამაღლებულ მხატვრულ სახეში. თემასა და იდეას ასეთ ძალას მხატვრული ფორმა ანიჭებს, — ამიტომაც ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ურყევი პრინციპი მუდამ მტკიცედ უნდა დავიცვათ, იქნება ეს თანამედროვე პოემა, ინტიმური ლირიკა თუ ისტორიული თემატიკა.

საბჭოთა პოეზიამ ისეთი დიდი გამოცდილება დააგროვა, ისეთი დიდი გზა გაიარა, ისე გაამდიდრა ქართული პოეტური ენა, რომ მხატვრული ოსტატობის საკითხზე შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს. როგორადაც არ უნდა ვიყოთ განწყობილი თანამედროვე პოეტური კულტურისადმი, ერთი რამ ცხადია: ქართული ლექსი არასოდეს არ ყოფილა გამოსახულების საშუალებებითა და ფორმებით, ტექნიკური მიღწევებით ისეთი მრავალფეროვანი და მდიდარი, როგორც დღეს არის. ისიც ფაქტია, რომ ლექსის სულს, ემოციურ შემოქმედებით ძალას მარტოოდენ ტექნიკური საშუალებანი, რაგინდ მაღალი და ოსტატური არ უნდა იყვნენ ისინი, — არ განაპირობებენ. აქ ფარულად მოქმედებენ სხვა შინაგანი კანონები, რომლებიც მჟღავნდება ლექსის საერთო პათოსში და არა მის ცალკეულ ტექნიკურ დეტალში. ლექსის ბედს შერჩეული გარეგნული სამკაულები არ წყვეტენ, აქ ბევრი კომპონენტია, რომლებიც ქმნიან ლექსის პოეტურ სულს. ზოგ შემთხვევაში ეს ელემენტები შეიძლება ფრაზაზე იყოს დამყარებული, ზოგ შემთხვევაში განწყობილებაზე, ზოგჯერ რიტმზე, მუსიკალობაზე, ზოგჯერ კიდევ ამაღლებულ ხმაზე, ინტონაციაზე... ამ მხრივ ყოველ პოეტს თავისი საიდუმლოება აქვს და მთავარი სწორედ ამ საიდუმლოების ამოცნობა, მისი გახსნა და განმარტებაა.

900-იან წლებში, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, როგორც ვთქვით, ქართულ მწერლობაში ძლიერად შემოჭრილმა რევოლუციურმა ინტონაციამ თავისებურ ყაიდაზე ააწყო ლექსი, და ეს უთუოდ ნოვატორული გზა იყო. ეს გაგრძელებაა 60-იანი წლების

ენობრივი დემოკრატიზმისა, რეალიზმისა ახალ ვითარებაში, მაგრამ შემდეგ ზოგი პოეტის შემოქმედებაში წინა პლანზე წამოწეულ იქნა ენობრივი ნატურალიზმი, რამაც დაჩრდილა რევოლუციური ეპოქის ნოვატორული ტენდენციები და ყოველივე ამ უნიჭო მიმბაძველობამ გამოიწვია ქართული ლექსის ერთგვარი გაღარიბება. როგორც ყოველგვარ საქმეს, ლექსის გამარტივებასაც თავისი ნორმა, თავისი საზღვარი აქვს. ამ საზღვარს იქით იწყებოდა ერთგვარი ნატურალიზმი, პრიმიტივიზმი, რომელიც აფერხებდა ქართული ლექსის განვითარებას. ეს გარემოება მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ნიჭიერმა ახალმა თაობამ კარგად გაითვალისწინა და ქართული ლექსის განახლების საქმეს კვლავ მოჰკიდა ხელი. რასაკვირველია, ეს განახლება უნდა მომხდარიყო ქართული კლასიკური ლექსის გამდიდრებისა და განვითარების გზით და არა მისი ტრადიციების უკუგდებით.

პოეტური ფორმის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში. ახლად გამარჯვებული საბჭოთა ხალხის ახალი იდეების გამოსახვას სჭირდებოდა შესაფერისი მაღალმხატვრული ფორმა და, ცხადია, ამისათვის სავსებით შეუფერებელი იყო ლექსის ის პრიმიტიული ფორმა, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება პროლეტარული მწერლობის პირველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის შემოქმედებაში. ასევე შეუძლებელი იყო ახალი იდეების გამოხატვა სიმბოლისტურ-დეკადენტური, ხელოვნურად გართულებული სალექსო ნორმებით და ღვარჭნილი ენით. და აი, საბჭოთა პოეზიამ როგორც პრიმიტივიზმის, ისე სიმბოლისტური ბუნდოვნობის წინააღმდეგ ბრძოლით გაიკაფა გზა და იგი ჩამოყალიბდა, როგორც ქართული კლასიკური ლექსის განვითარების ახალი, მაღალი საფეხური.

ახალი პოეტური ფორმის ძიებაში თავისებური პოზიცია ეჭირა კ. კალაძეს. საზოგადოდ, კ. კალაძე ივთავითვე დაძაბული ყურადღებით ეკიდებოდა ლექსის პოეტურ მხარეს. რამდენადმე იგი ფორმალისტური პოეტიკის გავლენასაც განიცდიდა, მაგრამ თავისებურად და უცნაურად. თანამედროეობის მხატვარს გარეგნული ფორმალისტური სამკაულები

ხშირად არტახებს უქმნიდა, მაგრამ ამგვარი გზის არჩევას ერთგვარი გამართლება ჰქონდა. კ. კალაძე იდეურად და თემატურად ახალი ლექსისთვის იბრძოდა და უარყოფდა პრიმიტივიზმსა და ლექსის გაუბრალოებას, ცდილობდა თანამედროვეობის მასალისათვის მოეძებნა უფრო მაღალი ნოვატორული ფორმა. ამ ძიებაში პოეტს არაიშვიათად წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის ვერ ახერხებდა დაეცვა ქართული კლასიკური ლექსის დიდი რეალიზმი და ლოგიკური კომპოზიცია, რომელიც ერთგვარად დაარღვია სიმბოლიზმმა. ამიტომ არის, რომ კალაძის ზოგიერთი ლექსი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მის პოეტურ ნახატს, ფრაზას რეალიზმი აკლდეს, მაშინ როდესაც ჩანაფიქრი საერთოდ რეალისტურია. ჩვენი აზრით, ეს არის კ. კალაძის პოეზიის საზოგადო ნაკლი, რასაც იგი ებრძვის და ბევრ შემთხვევაში წარმატებით სძლევს კიდევაც. ამრიგად, პოეტი თვითონვე ხედავს ამ ხარვეზს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჭეშმარიტი პოეტები სინამდვილის, საგნის, მოვლენის სპეციფიკური ფორმით გამოხატვას ერთმანეთისაგან განსხვავებული საშუალებებით აღწევენ. სინამდვილის მხატვრული ასახვის ამ სპეციფიკურ ხერხებში მჟღავნდება პოეტის ორიგინალობაც და წერის მანერაც. როგორიც არ უნდა იყოს ეს პოეტური ხერხი, იქნება ის დამყარებული მელოდიაზე, მუსიკალურ ამღერებაზე, ფრაზის აჟღერებასა თუ სიტყვიერი მასალის პოეტურ შერჩევაზე, ყველგან საჭიროა დიდი ოსტატობა.

კ. კალაძე უფრო ხედვის პოეტია, ვიდრე სმენის. კ. კალაძის ლექსებში ხშირად გვხვდება საინტერესო პოეტური შედარებები, ხოლო ამ შედარებებისა და ეპითეტების შერჩევაში ნათლად ჩანს პოეტის ოსტატობის ძალა. ასევე ყურადღებას იპყრობს კ. კალაძის ოსტატობა რითმებში და რითმა ხომ პოეტური აზროვნების ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელსაც აქვს არა იმდენად ტექნიკური მნიშვნელობა, რამდენადაც ესთეტიკური და აზრობრივი! აზრის სიცხადეს, განწყობილების მთლიანობას, მსჯელობის ლოგიკურ თანმიმდევრობას დიდად უწყობს ხელს ოსტატურად შერჩეული რითმების კომპლექსი, მაგრამ ეს გარემოება ხშირად ხელშემშ-

ლელ ფაქტორად იქცევა, თუ იგი მარტოოდენ ფორმალურ პრინციპს ეფუძნება. კ. კალაძის ლექსებში გვხვდება რითმების ასეთი თვითმიზნური გატაცებაც. აი მაგალითი:

მოჩანს ცა, როგორც სურათი,
მზით და ფოლადის არწივით,
კლდეებს კი ებრძვის მდინარე
ცხოვრების შინაარსივით.

„ასარითმავად აღებულ სიტყვებს: არწივით — შინაარსივით აზრობრივი არევ-დარევა შეაქვს მთელ ტაეპში, ხოლო „კლდეებს კი ებრძვის მდინარე ცხოვრების შინაარსივით“ უკეთეს შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენი შედარებაა.

ან კიდევ:

გმირის ვარსკვლავი უმშვენებს
მკერდს, როგორც შუქი ახალი,
გმირებს შუბლგაშლით გახედავს,
ხუთიეე გმირი აქ არი.

ვინც აქ მოყვანილ ლექსებს დააკვირდება, ადვილად შეატყობს, თუ როგორ ეწირება აზრის სიცხადე რითმების ძიებას. სწორედ ამითაა გამოწვეული ეს ხელოვნური შედარებებიც.

რითმა აზრის არტახებად კი არ უნდა იქცეს, არამედ იგი აზრის სიცხადეს უნდა უწყობდეს ხელს. ჩვენ იმის წინააღმდეგი როდი ვართ, რომ პოეტი ეძებდეს და პოულობდეს ორიგინალურ რითმებს, პირიქით, ლექსს უთუოდ ამშვენებს და დიდ ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენის ძალას ანიჭებს ორიგინალური და ოსტატურად შერჩეული რითმები. ამ გარემოებას ხაზი უნდა გავუსვათ, მით უმეტეს, იმიტომ, რომ ამ ბოლო ხანებში ზოგმა პოეტმა სავსებით აიღო ხელი რითმების შერჩევაზე, ხშირად ლექსის გარითმვაზედაც კი. ეს — ფორმალისტური სკოლისაგან განსხვავებით — მეორე უკიდურესობაა, რაც, რასაკვირველია, პოეტური აზროვნების გაღარიბებასა და პრიმიტიულობას მოასწავებს.

კ. კალაძის ლექსები მეტ შემთხვევაში აგებულია ჰიმართ-

ვითს თბრობაზე, „ამბავის მოყოლით გადმოცემის“ წესზე. ეს თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ამბის ამგვარ მოყოლას ლექსში ხშირად მოსდევს ერთგვარი ფრაგმენტულობა, ფრაგმენტულობა თხრობისა და განწყობილების. სურათები ყოველთვის არ გამოდის სიტუაციიდან.

საზოგადოდ, კ. კალაძის ენა მსუბუქი და ნათელია, მაგრამ ხანდახან პროზაულად შესრულებული სტრიქონი ამძიმებს და აუხეშებს ლექსს. აი, ერთი მაგალითი:

ფუნჯის ერთ მოსმით მხატვარი ცდილა.
რომ თეთრი დილა არ დაიჩრდილოს,
თოვლის ფანტელი და თოვლის ფთილა
გადაფენია ნაცრისფერ ტილოს.

მთელი ეს ტაეპი აგებულია პროზის და არა ლექსის პრინციპით. ფრაზის ამგვარად დაწყება — ფუნჯის ერთ მოსმით მხატვარი ცდილა — პროზაიკოსის სტილია და არა პოეტისა.

აი, მეორე მაგალითიც:

ჰასანსაც უთუოდ არა ჰქონდა რა დასამალი
და მოჰყვა ხალისით საოცარი თავგადასავალი.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ კ. კალაძეს განსაკუთრებით ხიბლავს ასეთი პროზაიზმები და შეიძლება ამითაც აიხსნება, რომ მის ლექსებში ხშირად ლირიკული განწყობილება ერთგვარად მეორე პლანზეა გადაწეული, ეს მაშინ, როდესაც ავტორს ეხერხება ლირიკული ხმებისა და განწყობილების გადმოცემა. ეს ჩანს ბევრი მისი ლექსიდან. ლექსში „გზა მთებში“ პოეტი ამბობს:

ფეხზე წამოდგა თითქოს მთა-ბარიც,
ავაშრიალეთ ავტომარულით,
მაშინ ჩვენ შორის იყო თამარიც,
აფრთოვნებული ამ სიხარულით.
და აი ახლა, როცა მარტო ვარ,
იმავ სურვილით გული ამევსო
და მომენატრა, მაღალფარდოვან
მოკითხვის ნაცვლად მოგეალერსო.

ამგვარი მაღალფარდოვანება არაიშვიათად გვხვდება კ. კალაძის შემოქმედებაში. ხშირად მის ლექსს აკლია ალერსი, პოეტური სითბო, რაც ესოდენ აუცილებელია ლირიკული პოეზიისათვის. ეს უთუოდ კ. კალაძის პოეზიის ნაკლია. კ. კალაძეს შეუძლია ამ ხარვეზის დაძლევა. მას შესწევს საამისო ძალა. ეს ჩანს თუნდაც ცნობილი ლექსიდან, რომელსაც ეწოდება „მზის სადიდებლად". აქ კონკრეტული მოვლენა მეტად საინტერესოდ არის განზოგადებული და ამაღლებული. ცნობილია, რომ ამომავალ მზეს ტოროლა ფრენა-გალობით ხვდება. იგი ისე თავდავიწყებით მიესალმება მზის ამოსვლას და მიისწრაფვის ცის სიღრმეში, რომ შემდეგ გული ვეღარ უძლებს და მას მინდორზე უსულოდ დაცემულს პოულობენ. პოეტი აღწერს თავისი თვალით ნახულ ამ ფაქტს და შემდეგ იძლევა ერთგვარ განზოგადებას. ადამიანი მუდამ უნდა ისწრაფვოდეს სახელოვანი სიცოცხლისაკენ, ისწრაფვოდეს მზისაკენ, სინათლისაკენ, იყოს მზისა და თავისუფლების მადიდებელი... აი, როგორ გამოხატავს ამ აზრს პოეტი ლექსის ბოლო სტრიქონებში:

მეც მხიბლავს ჩემი ცისკარი,
მეც არ ვარ კაცი უგულო,
ყანა კი არა — ზღვა არი,
გასჭერ, მანქანის გუგუნო!
გულო, აფრინდი, აფრინდი,
განთიადები გელიან,
პურის მღელვარე ყანები
სიმღერით მოსამკელია.
მზეს დახვდი ფრენა-გალობით,
უკეთეს ბედს ნუ დაეძებ —
და შემდეგ თუნდაც ჩიტივით
ცას მოწყვეტილი დაეცე.
არა, ეგ წყენად არა ღირს,
იმ ლად გულს მკვდარი არ ჰქვია,
ცაში რომელმაც სიცოცხლე
გალობით მიმოაფრქვია.

ჩვენ სწორედ სათქმელის ამგვარ პოეტურ განზოგადებას და ამაღლებას მოვითხოვთ და მოველით კ. კალაძისაგან. სათქმელი კი ჩვენი დროის ამ ნიჭიერ მხატვარს უთუოდ

აქვს და არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან კ. კალაძე მთელი თავისი შეგნებით, მთელი თავისი პოეტური განცდით დაკავშირებულია ჩვენს დროსთან, ჩვენს ეპოქასთან — პოეტური სათქმელის ამ ულეველ წყაროსთან.

* * *

ახლა რამდენიმე სიტყვა კ. კალაძის პიესების შესახებ.

კ. კალაძე წლების განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მარჯანიშვილის სახ. თეატრთან, როდესაც ამ თეატრს სათავეში ედგა ახალი ქართული თეატრის შემქმნელი და დიდი რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი.

ქართული საბჭოთა თეატრის შექმნა თავის დროზე დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. უმთავრესი სიძნელე მაინც ორიგინალური, ნაციონალური თანამედროვე ქართული პიესების უქონლობა იყო. ამას ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობდნენ მაშინდელი ქართული თეატრის ისეთი დიდი მესვეურები, როგორიც იყვნენ კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე ახმეტელი. უნდა ითქვას, რომ ქართული საბჭოთა დრამატურგიის წარმოშობა და განვითარება სწორედ ამ თვალსაჩინო მოღვაწეების თეატრალურ ატმოსფეროში განხორციელდა. კ. კალაძე კი ერთი პირველთაგანი და აქტიური მონაწილე იყო ამ თეატრალური ხელოვნების აღორძინებისა. კ. კალაძის პიესები — „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“ 1927—1929 წლებში სწორედ მარჯანიშვილმა დადგა.

კ. კალაძის პირველი პიესა, რომელმაც ავტორს დრამატურგის სახელი მოუპოვა, იყო პიესა „როგორ“. ეს პიესა წარმოადგენს ცდას 1905 წლის რევოლუციური დღეების რომანტიკული გამოხატვისას ქართულ საბჭოთა სცენაზე და, უნდა ვთქვათ, ეს ცდა დრამატურგისა და დამდგმელისა, დიდი ტრიუმფით დამთავრდა.

პიესაში „როგორ“ ჩვენ დღესაც გვიზიდავს ამაღლებული რევოლუციური პათეტიკა და რომანტიკული ხასიათები, გამოსახული მხატვრული დამაჯერებლობით.

1905 წლის რევოლუციის ასახვა მწერლობაში არ იყო ახალი; უფრო მეტიც, ქართულმა მწერლობამ საინტერესოდ

და ამაღელვებლად, გააცოცხლა ცხრაასხუთის ფურცლები და დიდი რომანტიკული დიდებით წარმოსახა ეს ისტორიული პერიოდი ქართველი ხალხის ცხოვრებისა. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, რომ ნათელი გახდეს, თუ რა გამოხმაურება პოვა რევოლუციის ამ მღელვარე წლებმა ჩვენს მწერლობაში. კ. კალაძე ლიტერატურაში გაკვალულ ამ გზას ბრმად კი არ გაჰყვა, არამედ მან თავისებური კუთხე მოუძებნა რევოლუციის მღელვარე რომანტიკულ დღეებს. პიესა „როგორ“ მაშინ დაიწერა, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა, ამ დროს 1905 წლის რევოლუციის იდეების ბოლშევიკური პროგრამა უკვე განხორციელებული იყო. 1905 წლის რევოლუციის პირველი თავდადებული რაინდები, რევოლუციის ვეტერანები საქართველოში იყვნენ. მათ თავიანთ მხრებზე აზიდეს ახალი, რევოლუციური საქართველოს ისტორია.

ეს იყო რევოლუციის ის პირველი გვარდია, ვინც 1905 წლის დღეებში რევოლუციური გამოსვლები მოაწყო, ქუჩებზე და ბარიკადებზე იბრძოდა, პროკლამაციებს ავრცელებდა, შაშხანით ხელში ამბოხებულ და აჯანყებულ ხალხს მეთაურობდა. ეს ის მებრძოლებია, რომლებიც რეაქციის სასტიკ განაჩენს — ციხეს, სახრჩობელას, გადასახლებას გადაურჩნენ. და შემდეგ კვლავ დაირაზმნენ, კვლავ აღაგზნეს ხალხი და მთელი ეს გრანდიოზული ბრძოლა ხალხისა რევოლუციის გამარჯვებით, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნით, დაგვირგვინეს. კ. კალაძეს თავის პიესაში საინტერესოდ აქვს ჯაცოცხლებული ეს რომანტიკული გზა ძველი რევოლუციონერებისა და რაც უმთავრესია, ეს რომანტიკული აღტყინება, ეს რევოლუციური პათოსი გადმოცემულია ლირიკულ ინტონაციებსა და ხასიათებში. ამ მხრივ ფრიად საინტერესო სახეა პიესაში რევოლუციონერი მუშა — ამხანაგი კობა. ეს არის ძველი რევოლუციონერის, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტიური მებრძოლისა და ორგანიზატორის, განზოგადებული და რომანტიკული სახე. იგი პეტერბურგში, ბაქოში, თბილისში აღვივებდა რევოლუციურ ცეცხლს, წერდა პირველ რევოლუციურ პროკლამაციებს, ზრდიდა ხალხს რევოლუციის სულისკვეთებით, საქართვე-

ლოში აჩაღებდა ბოლშევიკურ ბრძოლას. მას არც გადასახლება, არც დევნა დაჰკლებია, მაგრამ იგი გაუტეხელი ნებისყოფით, შეუდრეკელი რაინდული რევოლუციური სულით ებრძოდა ძველ რეჟიმს და თავგამოდებით იბრძოდა თავისუფლებისათვის. და აი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რევოლუციური ბრძოლებში გამობრძმედილი, ხალხის წინაშე ვალმოხდილი, ეს ყოფილი მაღაროს მუშა ახლა ამავე მაღაროს განაგებს. მის მეგობრებთან ერთად ახალი, თავისუფალი ცხოვრების ნაყოფით ტკბება, შეუპოვრად იბრძვის. პოეტი და დრამატურგი კ. კალაძე ამ კაცის პირით მოგვითხრობს 1905 წლის რევოლუციის დღეებს, მის მეგობრებს, მუშებს უამბობს ამ საინტერესო რომანტიკულ ამბავს. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„კ ო ბ ა—თოფ-იარაღი რომ აგისხამთ, აბა, გასროლა რომელს გიცდიათ?

მ უ შ ა — რატომ! იმდენი მტერი გვეგულება, რომ თოფის მოხმარა სავალდებულოა.

კ ო ბ ა — ჩვენ რომ ბრძოლები გაგვივლია, ის არა მგონია მოგელოდეთ.

მ უ შ ა — მაშინ მტერს პირისპირ ხედავდი, ერთი ნაბიჯით შეგეძლო გამოგეცნო. ახლა კი მრავალგვარად მოქნილია. ხშირად მეგობარი, მორჩილი, მოღონიერდება თუ არა, ხომ იცი...

კ ო ბ ა — მაინც ყოველთვის მოვაგონდება უკვე განვლილი დღე და სოფელი. იქნებ იმიტომ, რომ ახალგაზრდობა იყო ჩემი... სწორედ აი, აქ, ამ შავ მთებში, რამდენჯერ სისხლი დაღვრილა ჩემი, ჩემი ძმების, — რომ ეს მაღაროები ჩვენი ყოფილიყო... ახლა, — მანქანებს დადგომიხართ?.. მე უფრო საშიში ღამეები გამითევია, თოფით ხელში, უსახლკაროს. თქვენ არ დამიჯერებთ და, როცა მას ვიხსენებ, გულით გიტოლდებით, ერთხელ იცით, გუშაგად ვიდექ“..

ამას მოსდევს 1905 წლის რევოლუციის დღეების მოგონება, იმ დიდი რომანტიკული აღტყინების მოთხრობა, რო-

შელმაც 1905 წლის რევოლუციის დღეებში სოფელი და ქალაქი მოიცვა. პიესაში მეტად საინტერესოდ არის გამოხატული რევოლუციის ძალებისა და რეაქციის ძალების გააფთრებული ბრძოლა. ავტორი ვრცლად გვამცნობს რევოლუციის გმირებს, კობას თანამებრძოლებს. აი, ბეგლარი... იგი უბრალო მიწის მუშა იყო, მემამულეებისაგან და ცარიზმის მოხელეებისაგან გაბოროტებულმა ხელში იარაღი აიღო და 1905 წლის პარტიზანულ რაზმებს შეუერთდა. პარტიზანული რაზმების ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლი და ორგანიზატორი იყო იგი 1906 წელს ყაზახებთან მომხდარ ერთ-ერთ შეტაკებაში. ეს ისტორიული ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში, მწერალს მეტად საინტერესოდ და მოხერხებულად აქვს გამოყენებული. ბეგლარისა და მისი მეგობრების იდეალი რევოლუციის სამსახური იყო. 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს აჯანყებულთ — გაიხიზნონ, იარაღი გადამალონ და კვლავ დადგება მათი მოხმარების დრო. ბეგლარი კი, ეს აღტყინებული, ფიცხი მებრძოლი, იარაღს არ ყრის და მის მეგობარ რაზმელებსაც თან გაიყოლებს საბრძოლველად.

ბეგლარმა უარყო კაპიტულაციის გზა. იგი აცხადებს: „ამხანაგებო, ლეო გვეუბნება, იარაღი დავყაროთ, დავემორჩილოთ ყაზახების მათრახებს, ჩავიკლათ დარდი, როდესაც შევხედავთ გადამწვარ სახლებს, ჩექმის ქუსლებით გათელილ ცოლ-შვილს... როცა რჩეულ ძმებს, ხელ-ფეხშეკრულებს, სახრჩობელაზე აიყვანებენ, — არასოდეს! სად უნდა დაემალოს რევოლუციონერი მეფის ჯაჯუშების უამრავ თვალებს, ასიდან ერთი რომ გადარჩეს — ეს ხომ არ იქნება გამარჯვება? ჩვენ თუ გაგვქელეს უბრძოლველად, თითებით სამკერდულში ჩაგვაფრინდებიან და შიგ გულში უნამუსოდ ჩაგვაფურთხებენ... და ეს იქნება უკანასკნელი სიტყვა. და, შემდეგ ნურვინ იფიქრებს, რომ ახალი გამოსვლების სურვილი რა არის, ისიც დარჩეს. დავხვდეთ მტერს. ჩვენს გაბედულ ხმას სხვა სოფლებიც ხომ აყვებიან... ცხრაასხუთელებო! ეს მოწოდება იქნება, მაშინ დამარცხებული ძმებიც აღდგებიან“. ბეგლარს ახლა მიჰყვებიან მებრძოლი ძმები და სასტიკ შეტაკებას აწყობენ მეფის ჯართან. ამ უთანასწორო ბრძოლაში

ისინი მარცხდებიან. საქმე ის არის, რომ ცარიზმს ზურგს უმაგრებს შინაური კონტრრევოლუცია — ეს ალმასხან ქარუმიძე, ბოქაული — დამსჯელი რაზმელების გზის მაჩვენებელი, დაუნდობელი მოსისხლე მტერი რევოლუციონერებისა, პირადი მტერი ბეგლარისა და კობასი. პიესაში დრამატურგმა საინტერესოდ შეახვედრა ეს მოწინააღმდეგენი ერთმანეთს და მათს დიალოგსა და რეპლიკაში ნათლად გამოხატა, რომ მათი მორიგება არავითარ ძალას არ შეუძლია, რევოლუციონერების დაუნდობელი მტერი ქარუმიძე განადგურებული უნდა იყოს, მაგრამ ის რეაქციის ძალების საშუალებით ჯერ კიდევ ახერხებს ვერაგობით, მზაკვრული ხერხით ბოლო მოუღოს მოწინავე რევოლუციონერს ბეგლარს. პიესაში საინტერესოდ არის აგრეთვე მოცემული ქარუმიძის დის — ლოლასა და ბეგლარის სამიჯნურო ეპიზოდი. ლოლას მიერ ძმის მიმართ გამოჩენილმა უნებლიე მფარველობამ იმსხვერპლა მისი მიჯნური და რევოლუციის რაინდი ბეგლარი.

მთელი ეს რომანტიკული ამბავი ნაწარმოებში საინტერესოდ და ორიგინალურადაა გამოყენებული. პიესის გამარჯვებას ხელს უწყობდა კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული გამომგონებლობანი, კინოსურათების ჩანართები, რაც ვრცელ პანორამას ქმნიდა და ამაღლებულად გვიხატავდა რევოლუციის რომანტიკული დღეების სურათს.

1929 წელს კოტე მარჯანიშვილმა დადგა კ. კალაძის პიესა „ხატიჯე". პიესა ეხებოდა პირველი ელექტროსადგურის აგებას აჭარაში და ამ მშენებლობაში ახალგაზრდა აჭარლების მონაწილეობას.

ამ ფონზე მწერალი ძველ ადათ-ჩვეულებებს, ჩამორჩენილობისა და გაუნათლებლობის ტრადიციებს მძაფრად უპირისპირებდა ახალს, რევოლუციურს, რომელმაც არსებითად შეცვალა ძველი შეხედულებანი და წარმოდგენანი ყოფაზე, ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე. ძველისა და ახალის ბრძოლა აქ მკაცრი წინააღმდეგობის, მძაფრი ფერებისა და საღებავების საშუალებებით იყო გადმოცემული. ამას მოჰყვა კ. კალაძის კომედია „სახლი მტკვრის პირას" და „ერთი ღამის კომედია". პირველში სატირული ფერებით იყო დახატული ძველი, ცრუპატრიოტული წარმოდგენანი და შეხედუ-

ლებანი, რასაც მწერალი უპირისპირებდა ახალს, სოციალისტური საქართველოს სიყვარულსა და პატრიოტიზმს. „ერთი ღამის კომედია“, რომელიც ლექსადაა დაწერილი და სამამულო პერიოდს ასახავს, დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში.

კ. კალაძე შვიდი პიესის ავტორია. ამ პიესებში ნათლად არის გამოვლინებული ავტორის დრამატურგიული ნიჭი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კ. კალაძემ, როგორც პოეტმა, პოეტური ფრაზის ხატოვანება და სისხარტე, ლაკონიზმი და რიტმი თავისებურად გადაიტანა პიესებშიც. მისი დრამატული ნაწარმოებები ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ელფერს ატარებენ.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელდა აგრეთვე კ. კალაძის „სოფლის საამო საღამოები“, პიესა გვიხატავს სოფლის ცხოვრების სურათებს, კერძოდ — იმერეთის სოფლის ცხოვრებას ომის შემდეგ. მთავარი მოქმედი პირები ომგადახდილი ვაჟკაცები და მოწინავე კოლმეურნე ქალიშვილებია.

იმერეთის მთა-გორაკებითა და ბუჩქნარებით მოხატულ სოფელს ომგადახდილი ვაჟკაცები ესტუმრებიან. ამ სურათს მოსდევს იქვე სააგარაკოდ ჩამოსული ამ ვაჟკაცების ამბავის თხრობა. პიესის დრამატული კონფლიქტი უფრო მეორე სიუჟეტურ ხაზს ეფუძნება: ეს არის ამ სოფელში შემთხვევით მოხვედრილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიკრიკის ტუხა ტუხარელისა და სოფლის მოწინავე კოლმეურნე ქალის გულქანის სატრფიალო თავგადასავალი.

სოფლის მოწინავე გოგონას გულქანს თავი იმით მოაქვს, რომ მოწინავე კოლმეურნე ქალია და სახელოვანი საცოლე. მის მშობლებს დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ სენი თავიდან ადვილად ვერ მოუცილებიათ, როგორც ძველი გარდასული ტრადიცია, და გულქანის გათხოვებაზე წუწუნებენ. გულქანი კი ამაყად აცხადებს: „ჩემი მზითევი ჩემი მარჯვენაა და კოლექტივში ჩანიშნული შრომადღეები“. როცა დარდიმანდი მოქეიფე ბიჭი ჭიჭიკო ერთ დღეს სოფლის შარაგზაზე შესაკეთებლად შეჩერებულ მანქანას ნახავს,—მას იქვე მდგომი ახალგაზრდა კაცი, პორტფელით ხელში, დიდკა-

ცად მოეჩვენება. ჭიჭიკოს უნდა, რომ შემთხვევით ისარგებლოს და სუფრის გაშლის იმედით ამ ახალგაზრდას გააცნობს ბახლობლად მცხოვრებ მოხუც კოლმეურნეს — გულქანის ბაბას. საღამოს დიდი ქეიფი იმართება. ტუხარელს, დიდკაცად მიჩნეულს, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. მას გულით უნდა თქვას, რომ ის არ არის დიდი კაცი, მაგრამ ვერ მოუხერხებია ამ ხალხს თავისი ნამდვილი ვინაობა გააცნოს. ბოლოს და ბოლოს ირკვევა, რომ იგი უბრალო რიგითი კაცია, უწყების შიკრიკი. შერცხვენილი ტუხარელი მეორე დღეს ადრე გაიპარება, მაგრამ გულქანი, რომელიც უკვე გატაცებულია ამ ახალგაზრდა კაცით, მისი თავმდაბლობით, როცა გაიგებს, რომ ტუხარელი მხოლოდ უბრალო შიკრიკია, მაინც თანახმაა, ცოლად გაჰყვეს მას.

პიესის კონფლიქტი გაუგებრობაზეა აგებული: ტუხარელს დიდ კაცად მიიღებენ სოფელში, შემდეგ კი შიკრიკი აღმოჩნდება. საკმაოდ მძაფრ კომედიურ სიტუაციაში და ხასიათში გვიხატავს ავტორი ამ ამბავს. პიესაში მოხდენილადაა გამოყენებული იმერული კოლორიტი. სამწუხაროდ, ის დეტალი, რომელიც კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს, არ არის პიესაში საკმაოდ განვითარებული და გაშლილი, ხოლო შენაკადი ეპიზოდები — შუშანიკა ვაშაკიძისა და გივის სატრფიალო ამბავი და თვით პიესის უკანასკნელი მოქმედება, არღვევს საერთო კომპოზიციას და მის მთავარ კონფლიქტს. ეს ხელს უშლის პიესას უფრო მკვეთრად გამოავლინოს და ჩამოაყალიბოს კომედიური ხასიათები.

1947 წელს დაიწერა პიესა „ლალი", რომლის განხორციელება კვლავ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მოხდა. პიესის დიდ ღირსებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი ახალგაზრდობის თემაზეა დაწერილი. მათი აღზრდის პრობლემა საკმაოდ მწვავედაა დასმული. აქ ნათლად არის მხილებული გზააცდენილი ახალგაზრდების უსაქმური, მახინჯი საქციელი. პიესის მთავარი მოქმედი გმირია პროფესორის შვილი, ახალგაზრდა კაცი ელგუჯა. მას ხატვის საკმაო ნიჭი აღმოაჩნდა და ერთ დროს საარქიტექტურო ფაკულტეტის დამთავრებასაც ფიქრობდა. მას გულწრფელად უყვარს ლალი — მოწინავე ნიჭიერი ქალიშვილი, ამავე ფაკულტეტის კურსდამთავ-

რებული, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. ამ ქალიშვილის გარშემო თავმოყრილია ნიჭიერი და საქმიანი მოწინავე ახალგაზრდები. მწერალმა მათ დაუპირისპირა ელგუჯა, რომელმაც ვერ მოინადირა სატრფოს გული, ვერც მამამ დაუთმო მის აღზრდას საკმაო ყურადღება, მოხვდა ქურდებისა და უსაქმურების წრეში და ცხოვრების გზას გადასცდა. ლალისთან შეხვედრამ და მასთან ურთიერთობამ ელგუჯას თითქოს კვლავ გაუმახვილეს ნიჭიერი კაცის გრძნობები და იგი შეეცდება კავშირი გაწყვიტოს ცხოვრების ძველ გზასთან და ახალგაზრდობის შრომითს რომანტიკას დაუბრუნდეს. ელგუჯა კი ისე ძლიერადაა ჩათრეული ამ უსაქმურთა წრეში, რომ მათგან თავის დაღწევას ადვილად როდი ახერხებს. ლალი მას დახმარებისათვის ხელს გაუწვდის. მოვუსმინოთ ლალის:

„დიახ, ელგუჯა დიდად ნიჭიერი ახალგაზრდაა. მე გულით მჯერა, ისე, რომ შენს გვერდით დადგეს, ნაფელა, ჩემზე უკეთესი მეგობარი იქნება შენი, უკეთესი შემოქმედი, რა ვუყოთ, რომ გზას აცდა. აბა, მწყობრში ჩააყენე, თუ არ გაგიტოლოს ნაბიჯი!“

ამ აზრით შთაგონებული ლალი ფიქრობს დაეხმაროს ახალგაზრდა კაცს, რომლის სულიერი ცხოვრების სიღრმეში მან რაღაც ჯანსაღი ძალა და ელემენტი დაინახა. ლალისთან ურთიერთობამ დიდი გარდატეხა შეიტანა ელგუჯას შეგნებაში. მას სულითა და გულით სურს თავი დააღწიოს ბოროტმოქმედთა წრეს, მაგრამ ვერ ახერხებს. ერთ-ერთი ამხანაგი — ბაჭუა ასე ესაუბრება ელგუჯას:

„ე ლ გ უ ჯ ა — ჩემს გულში ცეცხლს ვერავინ გააჩაღებს...
ბ ა ჭ უ ა — მე დამავალეს.
ე ლ გ უ ჯ ა — ვინ დაგავალა? დედამ?
ბ ა ჭ უ ა — არა, ლალიმ.
ე ლ გ უ ჯ ა — ლალიმ?
ბ ა ჭ უ ა — დიახ, დამავალა და ერთ რამეს გეკითხება.
ე ლ გ უ ჯ ა — რას?
ბ ა ჭ უ ა — მან რომ შენი ნახვა მოისურვოს, რას იტყვი?
ე ლ გ უ ჯ ა — ვეღარაფერს. თავს მოვიკლავ.
ბ ა ჭ უ ა — რათა, ბიჭო?
ე ლ გ უ ჯ ა — რადგან ჩემი თავი შემაჯავრა.

ბ ა ჭ უ ა — რომ შეგაყვაროს?

ე ლ გ უ ჯ ა — ჩაგისთვის იგი წუთს არ დაკარგავს.

ბ ა ჭ უ ა — თავისი თავიც რომ არ დაიშუროს?

ე ლ გ უ ჯ ა — რას გეტყვი იცი, თუ ეს ტყუილია, სიცოცხლეს გაზღვევინებ. ხოლო თუ მართალი, თვით ჩემს სიცოცხლეს მას მივუზღავ".

ამ დროს ლალი შემოდის და აგრძელებს საუბარს.

ამ დიალოგში ნათლად ჩანს სულისკვეთება იმ საქმიანი ახალგაზრდობისა, რომელსაც ლალი მეთაურობს და რომელმაც ასეთი გარდატეხა შეიტანა ბანდიტების წრესთან დაკავშირებული ახალგაზრდის ცხოვრებაში. მაგრამ, უნდა ვთქვათ, პიესაში ეს დაპირისპირება ნიჭიერი, საქმიანი ახალგაზრდობისა უსაქმო ახალგაზრდების წრესთან არ არის მკვეთრად და მკაფიოდ გამოკვეთილი. იმდენად მძაფრი და მიმზიდველი ფერებით არის დახასიათებული ბანდიტების წრე, ისე შთამბეჭდავად არის მოცემული უარყოფითი ხასიათები და წინა პლანზე წამოწეული, რომ სრულიად იჩრდილება მათი საპირისპირო ადამიანების თვისებები. სწორედ ამიტომ ეს საინტერესო დრამატული ცდა თავის ფუნქციას მთელი სისრულით ვერ ასრულებს, მიზანში ზუსტად ვერ ურტყამს. უთუოდ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ საინტერესოდ მოფიქრებულ პიესას, რომელმაც მაყურებლის დიდი ყურადღება მიიპყრო, ახლა უკვე ველარ ვხედავთ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

როგორც უკვე ვთქვით, კ. კალაძემ დრამატულ ნაწარმოებებში მისთვის დამახასიათებელი პოეტური განწყობილება და ბუნება, მოსწრებული და სხარტი იუმორი, ოპტიმისტური განწყობილება და ამაღლებული რომანტიკული ხასიათი საკმაოდ ძლიერ ნაკადად შეიტანა. სრულიად უდავოა, რომ კ. კალაძემ, როგორც დრამატურგმა, საბჭოთა ქართული თეატრის განვითარებაში თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა.

კ. კალაძე ერთ-ერთი საინტერესო და ნიჭიერი ოსტატია, დიდი შესაძლებლობისა და პოტენციის პოეტი და დრამატურგი, და ჩვენ ნამდვილად მოველით მისგან ბევრ ახალ, საინტერესო და ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებს.

სიმონ ჩიქოვანი

სიმონ ჩიქოვანი გამოჩენილი საბჭოთა პოეტია, — ერთ-ერთი ფრიად გახმაურებული პოეტი ჩვენი ქვეყნის მიღმაც. სავსებით ნათელია, რომ ეს გახმაურება არ შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ სიმონ ჩიქოვანს არ ექნებოდა დიდი და ორიგინალური პოეტური სამყარო. და მართლაც, ვინც სიმონ ჩიქოვანის ლექსებს დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს ორიგინალურ პოეტურ სულს, რომლითაც ავტორი ჩვენს გაოცებას იწვევს, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით მას.

არიან პოეტები, რომელთანაც მათს თანამედროვეებს დავა აქვთ. ეს დავა—თუ ვის მხარეზეა სიმართლე — უფრო გვიან ირკვევა უკვე თანამედროვეთა მონაწილეობის გარეშე, ე. ი. ამ დავას ისტორია არკვევს.

არიან ისეთი პოეტებიც, რომელთა შეფასებისას თანამედროვეები ორ ბანაკად განიყოფებიან. ერთნი აქებენ, მეორენი კი აკრიტიკებენ და ედავებიან პოეტს. სიმონ ჩიქოვანი თავისი განვლილი პოეტური გზით უფრო განეკუთვნება პოეტების მეორე ჯგუფს.

სიმონ ჩიქოვანი თავისებური პოეტური ბილიკებით შემოვიდა ქართულ პოეზიაში. მისი პირველი პოეტური ინტონაციები ყალიბდებოდა იმ რთულ ლიტერატურულ პერიოდში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს მოჰყვა. ამ იდეური ბრძოლის დღეებში სიმონ ჩიქოვანი მთელი თავისი პოეტური სულითა და პათოსით ახლო იყო საბჭოთა სინამდვილესთან, რევოლუციასთან, მაგრამ ამ სურვილის პოეტური გამოთქმის ხერხები, პოეტური ჩანაფიქრის საშუალებანი ფუტურიზმის ფორმალური გავლენების ტყვეობაში იმყოფებოდა, უფრო მეტიც: სიმონ ჩიქოვანი საქართველოში ფუტურიზმის ლიტ-

რატურული ხერხებისა და პრინციპების პროპაგანდისტთა მეთაურად გვევლინებოდა. თავისი პირველივე პოეტური ქმნილებებით ჩაება იგი იმ იდეურ და პოეტურ ბრძოლებში, რომლებიც 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში ძაფრ ფორმას იღებდა. სუბიექტურად, პოეტური მისწრაფებებით ამ დიდსა და გადამწყვეტ ლიტერატურულ ბრძოლაში სიმონ ჩიქოვანი მხარს უჭერდა ყოველივე ახალს, რევოლუციურს, პროლეტარიატის სახელთან დაკავშირებულს, და ებრძოდა ყოველივე დრომოჭმულს, უნიადაგოს, ხალხის ინტერესებიდან დაცილებული პოეზიის გზასა და პრინციპს.

ეს გარემოება კიდევ უფრო საინტერესოდ ხდის სიმონ ჩიქოვანის პოეტურ ფიგურას მისი შემოქმედების დასაწყისის პერიოდიდან.

სიმონ ივანეს ძე ჩიქოვანი დაიბადა 1902 წლის 27 დეკემბერს სოფ. ნაისაკოვოში (აბაშის რაიონი). დედა პოეტს დაბადების წელსვე გარდაეცვალა, ასე რომ მას დედის მზრუნველობა და სათუთი მოპყრობა არ უგრძვნია. დედის მაგივრობა უფროსმა დამ გასწია. მამა—ივანე ჩიქოვანი საკმაოდ განათლებული კაცი იყო და ოჯახში დანერგილი ჰქონდა ქართული მწერლობისადმი სიყვარული და პატივისცემა. ამ გარემოებამ უეჭველად განაპირობა ბავშვის ოცნებანი და ინტერესები.

საშუალო განათლების მისაღებად სიმ. ჩიქოვანი ქუთაისში წაიყვანეს. ეს იყო რევოლუციის წინადღეები. საზოგადოებრივი ცხოვრება მღელვარე და რევოლუციურ განწყობილებას მოეცვა. ეს განწყობილება ღრმად იყო შეჭრილი მოსწავლეთა წრეშიც. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ქუთაისის მოსწავლეთა გარემო, სიმონ ჩიქოვანი ამ წრეში ყველასაგან გამოირჩეოდა. მის მიერ წაკითხული რეფერატები ქუთაისის მოსწავლეთა შეკრებებზე მის მეგობრებსა და ამხანაგებს ახლაც ახსოვთ. სიმონ ჩიქოვანმა საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო; გიმნაზია 1921 წელს დაამთავრა. იმავე წელს გადმოვიდა საცხოვრებლად ქ. თბილისში. აქ იგი მუშაობდა წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტგანყოფილებაში, წითელი არმიის გაზეთში და კლუბში, სადაც მან დაჰყო 1925 წლამდე.

1922 წელს სიმონ ჩიქოვანი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექსების წერა დაიწყო 1924 წლიდან. ამ წლებში იგი ქართველ ფუტურისტებთან ერთად ქმნის მემარცხენე ლიტერატურულ ჯგუფს „ლეფის“ სახელწოდებით, რომელმაც 1922 წელს გამოსცა პირველი ფუტურისტული მანიფესტი, ხოლო 1924 წელს დააარსეს ჟურნალი „H_2 SO_4“. ამ ჯგუფის მოღვაწეობაში მძაფრად იყო გამოხატული წვრილბურჟუაზიული ბუნტარული პოეზიის განწყობილებანი. შემდეგ ფუტურისტების ჯგუფი თანდათან დაუახლოვდა საბჭოთა მწერლობას, რაც ნათლად ჩანდა მათ მიერ დაარსებულ ჟურნალ „მემარცხენეობაში“ (1927 წ.). სიმონ ჩიქოვანი მუდამ აქტიური ორგანიზატორი იყო ჟურნალ-გაზეთებისა. 1924 წლიდან მოყოლებული იგი აქტიურად მონაწილეობდა მწერალთა კავშირის ცხოვრებაში, ლეფელების ჯგუფის დაშლის შემდეგ ის იყო პროლეტარული მწერლობის ჯგუფების გაერთიანების — ფედერაციის აქტიური წევრი, ხოლო 1934 წლიდან—საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მუდმივი წევრი. 1944 — 1951 წლებში იგი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა. ლიტერატურული დამსახურებისათვის ს. ჩიქოვანი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო პოემისათვის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ მას პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სიმონ ჩიქოვანი არჩეული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სიმონ ჩიქოვანი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრია, ამასთანავე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრიც.

1958 — 1960 წლებში იგი იყო ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი.

სიმონ ჩიქოვანი ავტორია ლექსების რამდენიმე წიგნისა. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ და სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, აგრეთვე — უცხოურ ენებზე.

ს. ჩიქოვანი რთული პოეტური აზროვნების მხატვარია,

იმდენად რთული, რომ ერთბაშად ძნელი ასახსნელიც კი არის მისი პოეტური სახეები და ჩანაფიქრები. განსაკუთრებით ეს ითქმის პოეტის ადრინდელ ლექსებზე. აქ მხედველობაში მისაღებია დიდი ლიტერატურული განათლება, რომელიც პოეტის პირველსავე ლექსებშია გამოვლინებული.

არიან პოეტები, რომლებიც უშუალო პოეტური შთაბეჭდილებითა და განცდებით გვიტაცებენ. არიან მხატვრები, რომლებიც ერთბაშად აღიქვამენ საგნებსა და მოვლენებს, მათ პოეტურ აღქმას ახდენენ გრძნობის სფეროში, შთაბეჭდილებათა ფიქსაციას — უშუალოდ გრძნობითს სამყაროში გადატანილს — ასევე უშუალოდ გვაწვდიან. არიან მეორე კატეგორიის პოეტები, რომელთათვის დამახასიათებელია გონების თვალით აღქმა და „წიგნურ პრიზმაში" გადატანა საგნებისა და მოვლენების. ყველაფერი ეს თავისებურად გამოხატულია პოეტური აპერცეფციის სფეროში. ეს ორი სხვადასხვა გზაა მწერლობაში, კერძოდ — პოეზიაში. ეს ორი სხვადასხვა ხერხი და მანერა, ამავე დროს, პოეტური აზროვნების ორი ტიპიც ამის მიხედვით ისახება. ჩვენ აქ საუბარი გვაქვს, თუ შეიძლება პირობითად ითქვას, პოეტების ორი ჯგუფის, ორი ტიპის შესახებ. რასაკვირველია, ეს ერთგვარი სქემაა და, როგორც ყოველგვარი სქემა, მეტად განსაზღვრული. არც ერთ ამგვარ სქემაში აბსოლუტურად არ თავსდება ამა თუ იმ პოეტის რთული სამყარო.

პოეტური ნაწარმოების საზომი საგნებთან და მოვლენებთან მიდგომა და ხერხი კი არ არის, არამედ ნიჭის გამოვლინება, ტალანტის გამოხატულებაა, რაც მეტ-ნაკლები სიძლიერით აქვს მომადლებული პოეტს. პოეტური აზროვნების ფორმებიც უფრო ამის მიხედვით უნდა წარმოვიდგინოთ, ვიდრე ზოგადი უსულო სქემებით. გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი გარეგნულად, სამყაროს ათვისების პოეტური ხერხებით მონათესავე პოეტებად გვეჩვენებიან, შაგრამ ვინ არ იცის, რომ სრულიად განსხვავებულია მათი პოეტური ქმნილებების ემოციური ზეგავლენის ძალა. რასაკვირველია, ამისდა მიხედვით ისინი სხვადასხვა რანგისა და სიძლიერის პოეტები არიან. აქედან გასაგებია, რომ პოეტების

ჯგუფებად დაყოფა სტილის მიხედვით, მეტად პირობითი ხერხია.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური გზა სწორედ საიდუმლოების ძიების გზაა, რომლითაც პოეტი თავის ჩანაფიქრს მკითხველს უზიარებს. ამ ძიებაში ცოტა როდი იყო მცდარი, ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელი, მაგრამ მასში ნათლად ვლინდებოდა დიდი ლიტერატურული განათლება და სირთულე მხატვრული პოეტური სამყაროსი. და თუ ჩვენ სიმონ ჩიქოვანის მიერ განვლილ პოეტურ გზას ერთგვარი ევოლუციის თვალით შევხედავთ, მაშინ ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ პოეტის შემოქმედების ორი პერიოდი.

პირველი პერიოდი სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებისა ფუტურიზმის ლიტერატურული პოზიციებით წარიმართა. აქ საჭიროა ერთი შენიშვნა გავაკეთოთ: საქართველოში ფუტურიზმი მაშინ შემოვიდა, როდესაც ამ ლიტერატურულ სკოლას თავისი გზა უკვე გავლილი ჰქონდა იტალიასა და რუსეთში და ლიტერატურულად ფუტურიზმის რაობა სავსებით გამომჟღავნებული იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ლიტერატურული სკოლის საჯაროდ აღიარება და შემოსვლა დაუკავშირდა იტალიური და რუსული ფუტურიზმის იმ გარეგან, მყვირალა მეამბოხე ხასიათს, რომელიც ჩვენს ფუტურისტებს თითქოს რევოლუციასთან აახლოებდა. განსაკუთრებით უნდა ვთქვათ ეს რუსული ფუტურიზმის შესახებ. მაგრამ, მეორე მხრით, ამ დროს უკვე საკმაოდ ნათელი იყო, რომ ფუტურიზმმა როგორც სკოლამ, ლიტერატურაში ვერავითარი კვალი ვერ დატოვა და მთელი მისი ფორმალისტური ჟონგლიორობა გაუზიარებელი დარჩა მკითხველთათვისაც და მწერლებისთვისაც. ეს უკვე საყოველთაოდ ნათელი იყო. მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში მწერლების ერთი ჯგუფი მაინც მიუბრუნდა ფუტურიზმის განვლილ გზას.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები აღინიშნა მწვავე ლიტერატურული ბრძოლებით. ეს ბრძოლები მიმდინარეობდა ამ ნიშნით: სცნობდა ესა თუ ის მწერალთა ჯგუფი რევო-

ლუციას, საბჭოთა საქართველოს, თუ მასთან კონფლიქტი, ბრძოლა ჰქონდა. ამის მიხედვით იყოფოდნენ, უმთავრესად, ამ პერიოდის ლიტერატურული სკოლები. რასაკვირველია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სდუმდნენ, ყოყმანობდნენ, არ ესმოდათ ახალი, რევოლუციური და, განზე გამდგარნი, მწვავე ლიტერატურულ ხელჩართულ ბრძოლაში თითქოს არ მონაწილეობდნენ, სწორედ ამ ვითარებაში წარმოიშვა საქართველოში ფუტურისტული სკოლა. სუბიექტურად ამ სკოლამ თავისი პოეტური კრედო თითქოს რევოლუციას დაუკავშირა. ისინი შეცდომით თვლიდნენ, რომ ახალ მწერლობაში (ლაპარაკია საბჭოთა მწერლობაზე) ოქტომბრის რევოლუციის ანალოგიით იგივე ოპერაცია უნდა ჩატარდეს, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა. რაკი ოქტომბრის რევოლუციამ უკუაგდო ძველი, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემები, ამიტომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება, საბჭოთა ხელისუფლება, სრული ანტიპოდიაა ძველი საზოგადოებრივი პოლიტიკური სისტემებისა. ამის ანალოგიით მწერლობაშიაც უკუგდებული და უარყოფილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი ის, რაც გაკეთდა ძველ საზოგადოებრივ სისტემებში, უნდა შეიქმნეს სრულიად ახალი ტიპის, ახალი ყაიდის მწერლობა, განთავისუფლებული ძველი ლიტერატურული საბურავებისაგანო, აცხადებდნენ ფუტურისტები, და ეს გარეგნული პრეტენზია ქართველმა ფუტურისტებმა ძველ ფუტურისტულ სკოლას შეუფარდეს.

როგორც ცნობილია, პირველად ლიტერატურაში ყველაზე მწვავედ კლასიკური მწერლებისაგან გამიჯვნისა და სრულიად ახალი ტიპის მწერლობის შექმნის საკითხი სწორედ იტალიის ფუტურისტებმა წამოაყენეს. მომავლის მწერლობის შექმნის ეს პრეტენზია დონკიხოტური აღმოჩნდა. ამ გაკვეთილის მიუხედავად, ქართველი ფუტურისტები ფუტურისტულ-მხატვრულ პოზიციას საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიუბრუნდნენ სწორედ იმის იმედით, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება იძლეოდა ამგვარი ანალოგიების გატარების საფუძველს მწერლობაში. მათი შეცდომა სწორედ აქედან წარმოდგებოდა.

ქართველი ფუტურისტების მთავარი შეცდომა ის იყო,

რომ ᲫᲚᲝᲤᲚᲘᲝᲜᲘ არც ერთ ლიტერატურულ მიმართულებას, რომლებიც კი მთლიანად უკუაგდებდა მანამდე შექმნილ მწერლობას, არაფერი ხეირიანი არ შეუქმნია და საზოგადოებაში მოვხრეები არ უპოვია. ეს ნამდვილად შემოწმებული ფაქტი იყო და აქეთკენ მიბრუნება, რასაკვირველია, წინასწარ განწირულად უნდა იქნეს მიჩნეული. როგორც ვთქვით, ეს მაინც მოხდა ქართულ მწერლობაში სწორედ ფუტურისტების თუ ლეფელების სახით.

ამ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ყველაზე გამოჩენილი ფალავანი სიმონ ჩიქოვანი იყო და მისი პოეტური გზაც ფუტურისტულ შეცდომებს ყველაზე ტიპიურად ამეღავნებდა.

ვინც სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ შემოქმედებას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს მასში წინააღმდეგობას ფორმასა და შინაარსს შორის. ამ წინააღმდეგობის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიმონ ჩიქოვანმა სცადა ადრინდელ ლექსებში ფუტურისტული პოეზიის გარეგნული, ფორმალისტური სამოსელი მოერგო რევოლუციური შინაარსისათვის. ასე მექანიკურად დაუკავშირა მან რევოლუციური ფრაზები ახალი ცხოვრების პათოსს. ეს გარეგნული მორგება ქმნიდა სწორედ იმ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც ჩვენი პოეტის ადრინდელი ლექსებისთვისაა დამახასიათებელი. ამ მკაცრ წინააღმდეგობათა ფორმებში სიმონ ჩიქოვანი მაინც,— მისი პირველი პერიოდის ლექსების მიხედვით, — მებრძოლი, შეტევითი განწყობილებებითა და ინტონაციებით გვევლინება. ამ პოზიციის მიხედვით იგი მთლიანად და სავსებით ემყარება ახალი რევოლუციის სამყაროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანისათვის არ არსებობდა პრობლემა რევოლუციის მიღებისა, საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა. პირიქით, პოეტი თავის პირველსავე ლექსებში რევოლუციის ულტრამომხრედ გვევლინებოდა და თავის თავს რევოლუციის ᲬᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ პოეტად თვლიდა, ამ პოზიციებიდან უტევდა ყველას, ვინც კი არ იზიარებდა რევოლუციის გზას,— უტევდა დაუნდობლად და სასტიკად.

სიმონ ჩიქოვანის ადრინდელი ლექსები ყველაზე უფრო კარგად არის დალაგებული 1930 წელს სახელგამის მიერ გა-

მოცემულ ლექსების კრებულში, რომელსაც ჰქვია „მხოლოდ ლექსები“.

ეს წიგნი ერთგვარად აჯამებდა პოეტის მიერ განვლილ პირველ ხუთ წელს. იმ წელს კი, როდესაც კრებული დაიბეჭდა, პოეტი უკვე აღარ იცავდა პრინციპულად ფუტურიზმის გზას, რომლითაც შემოვიდა იგი ჩვენს პოეზიაში. ავტორი ერთგვარად ანალიზს უკეთებდა მის მიერ განვლილ გზას და ნათელ წარმოდგენას ქმნიდა თავისი შემოქმედებითი სამყაროს შესახებ.

ხსენებულ წიგნს თანდართული აქვს შესავალი წერილი, სადაც ნათქვამია: „თემატურად კრებულის ზოგიერთი ლექსი უკვე განვლილი ხანაა ჩემთვის. მათი პროპაგანდა ავტორს საჭიროდ აღარ მიაჩნია, მაგრამ წიგნის მთლიანობისა და პოეტური განვითარების აღსანუსხავად კრებული იტევს წმინდა ლირიკული ხასიათის მასალებს და ექსპერიმენტალური ცდების ნიმუშებსაც. ეს წიგნი ბრძოლაა სიტყვისა და თემის დამორჩილების ასპარეზზე, ამიტომ ის ნოვატორული მოვლენაა ქართულ პოეტურ მეტყველებაში, თანადროულობის თვალსაზრისით წიგნს რევოლუციური თემატიკა მიუძღვის წინ, ხოლო ლექსალობით ის ოთხივე განყოფილებაში რეკონსტრუქციული ცდაა ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით“.

ამ ამონაწერში ორი გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას: პირველია ის, რომ პოეტური რევოლუციურ თემატიკას თვლის თავისი წიგნის მთავარ მიღწევად, ხოლო, მეორეც, პოეტი მხატვრულ, ფორმალურ პოზიციას ოთხივე განყოფილებისთვის, ესე იგი მთელი წიგნისთვის, მიიჩნევს რეკონსტრუქციულ ცდას ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეტის აზრით, მისი ნოვატორული წერის მანერა იმაშია, რომ კლასიკურ მწერლობასთან შედარებით ეს პოზიცია ახალი და განსხვავებულია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი ამ სიახლეს ერთგვარად უკავშირებს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს და წიგნიც სწორედ მაიაკოვსკის ლექსით იხსნება („ფუტურიზმი და რევოლუცია“). აქვეა მოყვანილი მაიაკოვსკის ლექსის ერთი ტაეპი რუსულად:

Я славлю
взвитое красной ракетою
Октябрьское,
руганное
и пропетое,
пробитое пулями знамя!

დამახასიათებელია, რომ სიმონ ჩიქოვანს ამ წიგნში პოეზიის მეტრად გამოცხადებული ჰყავს ვლადიმერ მაიაკოვსკი. ამ გზით მას უნდა უფრო ორიგინალურად დაუკავშიროს თავისი სათქმელი რევოლუციის გზას და თავისი თავი რევოლუციის პოეტად გამოაცხადოს.

„მხოლოდ ლექსები", უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს რევოლუციური პათოსით, რომლითაც გაჟღენთილია მთელი წიგნი. აქ შეტანილია ლექსების ციკლი, სადაც პოეტი დაუნდობლად ებრძვის ყველა პოეტს, რომელსაც რევოლუციის მოწინააღმდეგე პოზიცია აურჩევია. ასეთი შინაარსისაა ლექსები: „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე", „მიძღვნა ახალ პოეტებს", „ჩემი სიტყვა ჩემს შესახებ", „გაბაასება ახალ მკითხველთან". პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის პროლეტარიატის, რევოლუციური საქართველოს პოეტია, მისი მხატვარია:

მე ფუტურიზმის ბრძოლა კივილით
რევოლუციის ძარღვებში ნაშთი,
მე ჩამოსული, მწერლის კიბიდან,
პროლეტარების სიღრმეში გავჩნდი.

უფრო ქვემოთ კი პოეტი ფართოდ განმარტავს, რომ იგი ასრულებს დროის, ეპოქის ბრძანებას, „ლექსებს დავურთე ოქმის ნახევი", ვარ მუშების, მებრძოლების პოეტი, მე ახალი დროების, ახალი გმირების მხატვარი ვარო, — არა ერთხელ იმეორებს პოეტი ამ სიტყვებს, ამ ფრაზებს, ამ აზრებს და უტევს ყველა მოწინააღმდეგეს. ჩვენთვის გასაგებია ავტორის დაუოკებელი შეტევა მემარჯვენე პოეტებისადმი. რევოლუციის პოეტი აღშფოთებით კითხულობს: სანამ უნდა ისისინოს მემარჯვენეობამ, მოლექსეები გამოფიტულ ძვლებზე უკრავენ „ციურ ჰანგებს", მათ ლექსებს ჭაობის სუნი,

შმორის სუნი ასდის. ჩვენ, მებრძოლნი მედროშენი, მემარცხენეებისა ვერ ვითმენთ მსუბუქ ლექსებს, ოთახისა და სიყვარულის ამ გამოფიტულ პოეზიასო.

პოეტი ამტკიცებს, რომ იგი, ისევე როგორც მაიაკოვსკი, ფუტურიზმიდან მოვიდა პროლეტარიატთან და ბოლომდე დარჩება მისი ერთგული. მე მინდა ხალხს დავუტოვო სიტყვა მართალი, რომელშიაც გადმოცემული იქნება „ახალი დროის სუნთქვა, აზრი დროებისო". მიმართავს რა ხალხისაგან განდგომილ ძველ პოეტს, რომელიც „უცხოეთში ნასესხებ ხმას და ნიღაბს" ატარებს, ავტორი ასკვნის: „შენ, მიგდებული და ნათრევი ჯაგლაგ ცხენივით, სცადე ქაღალდზე ძველი ხმების ლექსად შეკრება", ჩვენგან შენ გამოხვალ დამარცხებულიო. ამ იდეურ ბრძოლაში პოეტი ამაყად აცხადებს: „შენ ფოტოროდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე, შენ ეტრფი ჭორს და უცხოელ მტვრიან ჭიანურს. მე მინდა ხალხს დავუტოვო სიტყვა მართალი, დავეძებ აზრს გამჭრიახსა და ადამიანურს".

ამ ადრინდელ ლექსებში მკითხველი ადვილად იგრძნობს დიდ ტკივილებს, დაინახავს დიდ პრობლემებს, რომლებსაც აყენებდა ჩვენი ეპოქა. აქ არის მებრძოლი შემართებაც, ცხოვრების მღელვარე ცენტრში ყოფნის სურვილიცა და განწყობილებაც. ერთ ადრინდელ ლექსში „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს" პოეტი აცხადებდა, რომ, მართალია, ჩემი ლექსები რთულია, მწიგნობრული, ასახსნელი შარადებივით, მაგრამ მე ახლა ცხოვრების ქუდი გამოვიცვალე და ვარ ამ საუკუნის საყვირი; მადლობა შენ, ჩემო წინაპარო, შენ მშვილდი ხარ და მე ისარი, ბრძოლას შევადგენთ გამოგონებულს და შენი სისხლი, ჩემს ძარღვში რომ დგას, შთამომავლობას მე დავუმტკიცებო. ცხადია, ამ ლექსის მთელი მხატვრული სამოსელი ბუნდოვანია, პოეტის პრეტენზია დაუსაბუთებელია, მაგრამ საქმე ისაა, რომ პოზიციურად პოეტის განცხადება, — რომ იგი ბარათაშვილის მებრძოლ ინტონაციებს ავითარებს, — მაშინ მეტად გაბედული ნათქვამი იყო. ასეთსავე მიდრეკილებას ვხედავთ ლექსების ციკლში, რომელიც პოეტმა მყინვარს მიუძღვნა. მყინვარის შესახებ პოეტი იმ აზრისაა, რომ ნამდვილი შემოქმედი მხოლოდ ის არის, ვინც

ხალხთან ახლოს დგას, ვინც ხალხის ცხოვრებით სულდგმულობს. მყინვარი, რომელიც გამდგარა ხალხისაგან, არ შეიძლება იყოს პოეტის თანაგრძნობის საგანი, და მიმართავს მას თხოვნით, დაუბრუნდეს ბარს, ხალხის ხმაურს ყური დაუგდოს, ხალხის აზრით განიმსჭვალოს. მე ამ შემთხვევაში, როგორც ილია, იმ აზრისა ვარ, რომ ცივი ხარ შენ, ხალხისაგან შორს მყოფიო, — გვეუბნება პოეტი.

1926 წელს სიმონ ჩიქოვანი ბარათაშვილსა და ჭავჭავაძეს თავის წინამორბედებად აცხადებდა:

მე საქართველო გამხმარ მხრებზე ფრთასავით მაძევს
და გულის ფიცარს დაეწერა კითხვა მრავალი,
ბარათაშვილის და ჭავჭავაძის
მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი.

როგორც ვთქვით, პოეტი ამ ხასიათის ლექსებში დიდად ეხმაურებოდა ჩვენი მღელვარე ცხოვრების კითხვებს და ასახავდა ეპოქის ტკივილებს, ოღონდ მხატვრული ხერხებით, ფორმით, ხშირ შემთხვევაში — პოზიციითაც, ფუტურიზმის ტყვეობაში რჩებოდა და კლასიკური მწერლობის ტრადიციებსა და პრინციპებს ემიჯნებოდა. თუ ერთ შემთხვევაში სიმონ ჩიქოვანი თავის თავს აცხადებდა ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის ტრადიციების გამგრძელებლად, მეორე შემთხვევაში, არაიშვიათად, კლასიკური მწერლობის ტრადიციების წინააღმდეგ გამოდიოდა. ამის ანასხლეტი ჯერ კიდევ იმ ლექსში ჩანს, რომელსაც ეწოდება „მიბაძვა მერანს“. ეს განწყობილებანი უფრო ძლიერად წარმოდგენილია იმ მოტივებში, რომლებსაც მაშინ იცავდა პოეტი.

სიმონ ჩიქოვანი თავის ადრინდელ ლექსებში ლირიკული პოეზიის წესებისა და კანონის წინააღმდეგ გამოდიოდა. ასე, მაგალითად, ერთ ლექსში, რომელსაც ჰქვია „მოწოდებისათვის“, ნათქვამია:

„ყოველ ნაზ ჩანგურს დააწყვიტეთ სიმი
და მკვდარ ღიმილსაც ჩამოეხსენით,
ძველი გრძნობების დავაძროთ ფესვი
და გადავფეროთ ცხოვრების ლექსი,
მოქალაქენო, ქუჩებში შევქმნათ,

ახალი გეგმა ავწიოთ მისხლით,
დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა
და დავადინოთ ცისფერი სისხლი.
გაიწმინდება წარსულის ფერი
და გაიმარჯვებს ახალი ლექსი.

აქ ერთგვარი დაპირისპირებაა ლირიკული და ახალი ფუტურისტული ლექსი?ა. ამ დაპირისპირებაში პოეტი ფუტურიზმის ნიჰილისტური პოზიციების დამცველად გამოდის. ხანდახან იგი უფრო უკიდურეს საზღვრამდე მიდიოდა და ძველ ლირიკოსებს მძაფრად უტევდა. ლექსში „ბულბულიანი" პოეტი ამტკიცებდა, რომ „ბულბული დაჯდა წარსულის ძვლებზე და იწყო ყეფა ინდუსტრიაზე, სტვენით, გალობით აზრებს მარცვლავდა, ხან მღეროდა, ხან კი ტიროდა. მაგრამ ბულბულის გზების გამოცვლას არავინ გრძნობდა, არვის სჭიროდა..."

როცა ამ ლექსებს ვაკვირდებით, აშკარა ხდება პოეტის ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსული პოეზიისადმი, ხოლო, როდესაც ვამბობდით, რომ ასეთივე ნიჰილისტური ანასხლეტი გვაქვს კლასიკოსების მიმართ-თქო, ვგულისხმობდით ლექსს „ქარბორიას", სადაც ერთგვარი ცინიკური ტონი იგრძნობა „მერანის" ავტორის მიმართ. აი ეს ადგილიც: „მერანი, აღვირი, მინდორი, უზანგი სულ ნაქურდალია, ფუტურო, ფოტრო, ცაშორი, ჩხრიალი ჯანდაბას, ჰე, გზაო, ნაკლებო, გზას მისდევს გაკვალულს ებიონს, უძახე მარულე, იჩქარე ტორები, ცა მოინადირე, გამომზრდელს იგონებს, მუგუზლით გამომხმარ ბებიას". ადრინდელ ლექსებში ასეთი ფუტურისტული შეკამათებანი არაიშვიათია.

სიმონ ჩიქოვანს აქვს სატრფიალო ლექსებიც. საინტერესოა 1927 წელს დაწერილი ლექსი „მგზავრის სიმღერა". აქ პოეტი შეყვარებულს ჰპირდება, რომ არ უღალატებს მას, ამ ქალის სევდა და სიყვარული მის გულში ღრმადაა დამარხული და იგი ახლა მიემგზავრება სადგურზე, რომ დროზე შეხვდეს სატრფოს: „ალბათ ვიქნები სადგურში დროზე, ჩაქვრნენ მინდვრებში ჩრდილნი მთებისა, შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე, გამხადე ღირსი ყურადღებისა". ასეთივე ხასიათის ლირიკული ლექსია „მიძღვნა უკანასკნელს". მაგრამ აქაც, ლი-

რიკულ-სატრფიალო ლექსებშიაც მოეძებნება სიმონ ჩიქოვანს ისეთი ფუტურისტული უხეში ეპითეტები, ვულგარული გამოთქმები, როგორიცაა, მაგალითად, „შენს ტანის სუნს, უსქესო სიყვარულით გრძნობა ხაშმში გეტყვის, შენს რბილ ხორცზე მშიერს და, როგორც დანარტყამი რქები ხარების, იგონებს ნაკბენს“. ან კიდევ: „მიახლოვდები და მიპყრობ გრძნობების ქსელით, როგორც ობობა, მომშორდი... თორემ, სინდისს ვფიცავარ, შემომელახები“.

საზოგადოდ, სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებში ხშირად გვხვდება ფუტურისტული პოეტიკის კვალი.

ჩვენი პოეტის ძველი თემატიკა — ლექსები სამოქალაქო ომის თემაზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე, პოეზიაზე, ოჯახზე თუ ყოფაზე — მაჩვენებელია იმისა, რომ ავტორი მოწინავე, რევოლუციურ აზრს გამოხატავს, რევოლუციის პოეტად აცხადებს თავს. მაგრამ ამ მოწინავე აზრების გამოხატვის ფორმა ისე ბუნდოვანია, ლურსმული წარწერებივით ამოსახსნელი, რომ ხშირად ჭირს შინაარსში გარკვევა. რასაკვირველია, ეს გარემოება სიმონ ჩიქოვანს დიდად უშლიდა ხელს, ყოფილიყო დროის, რევოლუციის ნამდვილი მხატვარი. სიმონ ჩიქოვანის ფუტურისტული ლექსები, რომლებსაც ავტორმა ორკესტრული ლექსები უწოდა, სავსებით გაუგებარი და დანისლული იყო მკითხველისათვის. აი, ერთი ადგილი ამგვარი ხასიათის ლექსიდან:

ღრომი, ურემი, ღამურა, ღობი,
არხი, ბოხი, ბურღი.
დუღს დაღი
მდორე დოღი
ავღირე
გურაგელი ბამბა ბუნდღი
გურაგელი მორგვი ბორგვი ვერაგული
გურაგელი ქუფრი მორბო კუპრი
გურაგელი შორი შური გვიმრა იბრო.

პირდაპირ ჯაფა უნდა დაატანოთ თავს, რომ ამ ლექსის წაკითხვის სურვილი გქონდეთ. ამ ლექსს მკითხველი მეორედ ვერ წაიკითხავს. ასეთი ცდები ფუტურისტებს პრინციპულ პოზიციამდე აჰყავდათ. ეს იყო დაჟინებული ძიება ისე-

თი ორკესტრული ლექსის შექმნისა, რომელიც ეფუძნებოდა ვითომდა ბგერათა კეთილხმოვანებას. აქ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობა შეცვლილია, ამასთანავე პრინციპშია აყვანილი უაზრო სიტყვების გამოგონება. მთელი ეს ცდა ამაო აღმოჩნდა. თვითონ სიმონ ჩიქოვანი სულ მალე დარწმუნდა ამ უაზრო ექსპერიმენტების უვარგისობაში. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სიმონ ჩიქოვანს ამ თავსატეხი ლექსების გვერდით ჰქონდა ნამდვილად პოეტური ლექსები, დაწერილი ჯერ კიდევ 1924 — 1926 წლებში. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლექსები — „ხალხური“ და „დამნაშავე ის არ არის, არა“.

აი, ერთი სტროფი:

> გელოდი, ბოლოს ეზოზე
> გადმოვდექ, წინ კი ჭალაა,
> თვალმა სანამდის გიმზიროს,
> ლოდინი ხათაბალაა.

აქ ჩანს ფორმის სისადავის გრძნობა პოეზიაში. ამ ტიპის მაგალითები იმაზე მიგვითითებენ, თუ როგორი შინაგანი წინააღმდეგობები არსებობდა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში. პირველ ყოვლისა, წინააღმდეგობანი ვლინდებოდა ფორმასა და შინაარსს შორის, მწერლის იდეურ პოზიციასა და მისი გამოხატვის საშუალებებს შორის.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება შეიძლებოდა კლასიკური ლირიკის ტრადიციების განვითარებით წარმართულიყო, მაგრამ ამ გზას პოეტი შეგნებულად უკუაგდებდა.

იდეური და ლიტერატურული პოზიციების ასეთივე წინააღმდეგობებით უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებში, ერთი მხრით, კავშირის ძიება კლასიკური მწერლობის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორიც არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე, ხოლო, მეორე მხრით, დაპირისპირება ძველი კლასიკური პოეზიის ხერხებთან და ტრადიციებთან. ეს დაპირისპირება მეტწილად აიხსნებოდა პოეტის მიერ ახალი, საბჭოთა პოეზიის პრინციპების მცდარი გაგებით.

სიმონ ჩიქოვანს რატომღაც ეგონა, მუშათა კლასის სამსახურში ჩამდგარ პოეტს ღრმად სწამდა, რომ

მუშას არ უყვარს ბულბული,
არც ბულბულს უყვარს მუშის ხმა.
ამიტომ მოკვდა ბულბული,
ამიტომ ვარდი ჩამოხმა.

რასაკვირველია, დღეს ვისთვის არ არის ნათელი ამ „დებულების“ უსაფუძვლობა, მაგრამ მაშინ, როცა ზემოხსენებული სტრიქონები იწერებოდა, ცოტას როდი ესმოდა ასე ყალბად პროლეტარული პოეზიის ესთეტიკური საფუძვლები. სწორედ ამ ყალბ მცნებას ემყარებოდა მუშათა კლასის მეხოტბე პოეტი, როცა კატეგორიული ტონით აცხადებდა:

ქუსლი დავადგი სიყვარულის ხატს,
კლასიკურ გმირებს, ეპიურ ტილოს,
მე თვით დავახრჩობ ბულბულიანის ნაკლექებ ხმას
და ჩემ ძველ ტკივილს მე თვით გავხდი დღეს სასაცილოდ.

ეს ნიჰილისტური დამოკიდებულება კლასიკური პოეზიისადმი, მოტივებისა და თემების სხვანაირ ასპექტში დაყენება თითქოს გამართლებული იყო ახალი დროის მოთხოვნილებით. „ოქტომბრის შვილი“ ახალი ფორმაციის პოეტის მოწოდებად თვლიდა მუშათა კლასის სამსახურს და ამ სამსახურს შემდეგნაირად წარმოიდგენდა:

მე ეხლა მინდა იარაღად ლექსიც გამოდგეს,
რეცხავდეს სიტყვას საუკუნეებზე მორჩენილ ლაქებს.
იბრძოდეს ლექსი ხუთწლედებში გამუდმებულად,
როგორც დამკვრელი და მოქალაქე.

პოეტის ეს მოწოდება სავსებით ნათელია და ბუნებრივი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ ამგვარი მოწოდების პოეტს უარეყო ძველი კლასიკური პოეზიის ტრადიციები. რასაკვირველია, არა. და შეცდომაც სწორედ ის იყო, რომ სიმ. ჩიქოვანი ახალი დროის პოეზიის ესთეტიკურ პოზიციას უპირისპირებდა ძველი კლასიკური მწერლობის პოზიციებს. ამ დაპირისპირებაში იყო ის წინააღმდეგობანი, მთელი სისრულით გამოვლინებული, რომელმაც პოეტი ფუტურიზმამდე მიიყვანა.

როგორც ვთქვით, სიმონ ჩიქოვანი 30-იან წლებში დარწმუნდა ფუტურისტული ესთეტიკის საფუძვლების მცდარობაში და თანდათანობით დაიხია ძველი პოზიციებიდან. პოეტმა დაიწყო თავისი ესთეტიკური მრწამსის გადასინჯვა, ერთგვარი გაკრიტიკება და წარსული შეცდომების უარყოფა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ლექსი „გმირი და წინ", რომელიც 1932 წელს გამოქვეყნდა. აქ პოეტმა ერთგვარად შეაჯამა განვლილი გზა. მისი მტკიცებით, ეს იყო მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ამ გზაზეო, — ამბობს პოეტი, იყო „ხორკლიან სიტყვით ჭიდილი", „დავეცი ბევრჯერ და აღვსდეგ ისევ", მაგრამ მუდამ ხალხის, რევოლუციის ინტერესებს ვემსახურებოდი, მე არასოდეს ვიყავი „ქალის ფეხისა და კუბოს კოცნის პოეტი", არასოდეს მიღალატია ჩემი ხალხისთვის, თუმცა შეცდომებიც მქონდა; ეს შეცდომები მოდიოდა ფუტურიზმიდან და „მე, მეამბოხეს, შემხედეს ზიზღით, მითხრეს — გადახველ საზღვარს ლექსისას, მე ფუტურიზმს გავყევ ამ დრომდი".

მე შეცდომები კუზივით ვზიდე,
შემდეგ შეცდომებს შევეტაკე, შევხვდი პირდაპირ.

პოეტი განაგრძობს: მოვდივარ შენთან, ახალო დროებავ, განიარაღებული და გასწორებული, რომ მთელი ხმით გიმღერო შენ და გემსახურო. იგი მიმართავს მოწინავე რევოლუციონერ ადამიანებს:

მომეცით ხელი, გავწიოთ ძმურად,
გულს გული იცნობს და გმირს მწერალი,
შენ ცხოვრებას ქმნი, მე შენზე სურათს,
დავკრათ, გავფრინდეთ რკინის მერანით,
და მაიაკოვსკი, დიდი სარდალი,
რევოლუციის შვილი ომამდეც,
ქუხდა, ამგვარ ხმით იყო მართალი
ჰორიზონტიდან ხელგაშლილი ჰორიზონტამდე.

პოეტის ეს განცხადება იმას ნიშნავდა, რომ იგი ტოვებდა ძველ ფუტურისტულ გზას, ფუტურისტული ფორმა აბრკოლებდა პოეტის წინსვლას. ვინც სიმონ ჩიქოვანის 30-იანი

წლების შემოქმედებას დააკვირდება, ადვილად დაინახავს პოეტის მიერ ესთეტიკური პოზიციების აშკარა გადასინჯვას... მაგრამ ეს უკვე სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების მეორე პერიოდია.

* * *

პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდი 30-იან წლებს დაემთხვა, იმ დიდი რევოლუციური გარდატეხის წლებს, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. პოეტი ადამიანის სულში მომხდარ გარდატეხას აკვირდებოდა, ეძებდა და პოულობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თავისებურებათა გამოხატვა, ქვეყნის რევოლუციური გარდატეხის თვისებათა ძებნა მთაში, მთიელი ადამიანის ხასიათში. მთა ამ შემთხვევაში აღებულია, როგორც სიმბოლო ძველი გარდასული ცხოვრებისა, რომელიც რევოლუციამ ერთბაშად ააფორიაქა, შეცვალა და ახალ გზაზე დააყენა. მოგზაურ პოეტს ამის უტყუარ ფაქტებსა და მასალას აწვდიდნენ სვანეთი, ხევსურეთი და მთიანი სამეგრელო. პოეტი აქ გაეცნო, აქ ნახა ახალი ადამიანები, თავიანთი დიდი რევოლუციური პათოსით რომ დამკვიდრდნენ მთაში, აქ შეიგრძნო ახალ ნიადაგზე მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის განაპირა კუთხის ყოფაში შეიჭრა; ეს ლექსები სამყაროს ათვისების მხატვრული პრინციპის მიხედვით მთელი აღმოჩენა იყო პოეტის შემოქმედებაში და იგიც უაღრესად გაშლილი გულით ეგებებოდა ამ ახალ სამყაროს.

ლექსების ახალ ციკლს სიმონ ჩიქოვანმა უწოდა „მთაო, გადმიშვი“, ამ საერთო სათაურის ქვეშ მოათავსა პოეტმა მთელი ციკლი ლექსებისა სვანეთის, ხევსურეთისა და სამეგრელოს შესახებ.

ციკლი იხსნება ლექსით „გადასვლა გორვაშზე“. სვანეთში, გორვაშში მოგზაურ პოეტს თან ახლავენ სვანები, მათ შორის — ექიმი, რომელსაც თან მოაქვს „პარტიის აზრი და ჯანი“. ეს სიუჟეტიანი ლექსი კონკრეტულია და, ამავე დროს, უაღრესად ზოგადი, კონკრეტულია აქ დასახელებული ექიმი სვანი, რომლის სურვილია დაუბრუნდეს თავის მშობლიურ სოფელს და დიდი მთების შვილმა ახალი სხივი შეიტანოს

პატრიარქალური მთის ყოფაში. ამასთანავე, ავტორი აღწევს განზოგადებას. ზოგადი მნიშვნელობისაა ლექსი პოეტური ხერხებითაც.

გზად მიმავალ სვან ექიმსა და პოეტს მთაში ამტყდარი ჭექა-ქუხილი და წვიმა ვერ აშინებთ. ისინი გმირულად იტანენ ბუნების სტიქიასთან შებრძოლებას და კიდევაც იმარჯვებენ. პოეტს სიმბოლურად აქვს წარმოდგენილი ბუნების სტიქიასთან შეხლა. ესაა ძველი და ახალი სამყაროს გაყრის სიმბოლო. ბრძოლაში იმარჯვებენ სვანეთის ახალი ადამიანები. ეს საინტერესოდ ჩაფიქრებული ლექსი ასე მთავრდება:

ძალა ვერ პოვა მთამაც ოხვრაში,
სდუმს და მდუმარედ კვდება გორვაში.
ექიმი იტყვის: მხარევ, მიცანი,
განვვლეთ ბნელი და სიცოცხლე მოგვაქვს,
ძველს ეჯახება ჩვენი მიზანი
და გზაც გორვაშის მიაგავს იგავს.

სვანეთს მიუძღვნა პოეტმა აგრეთვე ლირიკული ლექსები „ბარათი მთიდან“ და „სვანური იავნანა“. აქ ასევე საინტერესოდაა მოცემული სვანეთის ყოფითი სურათები, სოციალისტური განახლების ფონზე გამოხატული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ ლექსების მელოდიური, მკვეთრი რიტმი. აი, ერთი მაგალითი:

ინგურთან დათვი თათებით დადის,
ჩემო კარგო ნანილა, დაიძინე მალე,
დედე ლადეგ დილას ადექ,
მზე გაანათებს ნისლის ბადეს,
რომ მწვერვალი შეგიყვარდეს,
დედაო, ნანილ, იძინე, ნანილ,
ძილი მოგიხდება, გასაზრდელო მარე.

ასეთი მუსიკალური რიტმი სრულიად თავისებურ ჟღერას აძლევდა სიმონ ჩიქოვანის ლექსებს და ის არსებითად სცილდებოდა ადრინდელი ლექსების ე. წ. ორკესტრულ რიტმს, რომელიც ფუტურიზმს უკავშირდებოდა.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში სრულიად განსხვავებული მოტივები და ინტონაციები მკვიდრდებოდა იმ თემა-

ტურ მასალაში, რომელიც გამიზნული იყო ახალი ადამიანების ხასიათისა და თვისების გამოსახატავად. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა „უშგულის კომკავშირი". აქ ვრცლად არის მოთხრობილი ძველი სვანეთის ჩამორჩენილი ცხოვრების შესახებ, ნაჩვენებია სვანეთი მიუვალი მთებით, სისხლის აღების ტრადიციით, გადმოშლილია გარესამყაროდან მოწყვეტილი ცხოვრების სურათი. „არც გზა, არც ხიდი, არც წიგნი, ფოსტა და ტელეგრაფი", — ასეთი იყო ძველად ლილეოსა და დალის მითების სვანეთი. რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა პირველ სვან კომკაოშირლებს, რომელთაც პირველად უნდა „გაეფანტათ ბნელი ჯანღი და ნისლი". მათ კარგად იციან, რომ, თუ საძირკველი არ გამოცვალეს ძველი ადათისა, ისე კომუნიზმი ვერ შემოვა ვიწრო ბილიკებით სვანეთში. პოეტი მიმართავს კომკავშირლებს: „თქვენც მეგობრებო, რაჟდენ და ივდით, მთა გაუსწორეთ ბარის პიროებს", სხვა გზით ახალი სვანეთი ვერ აშენდებაო. სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი, სვანეთისადმი მიძღვნილი, ახალი ინტონაციებით, ახალი თემატური გადაწყვეტით არის საინტერესო მთელ ჩვენს ქართულ პოეზიაში.

სიმონ ჩიქოვანის 30-იანი წლების პოეზიაში საქართველოს განაპირა კუთხეებს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. პოეტმა ლექსების მთელი წიგნი უძღვნა ფშავ-ხევსურეთსაც. ლექსები „მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში", „შემოღამება ხახმატში", „ხევსურული ძროხა", „ხევსურულ ცხენზე" ხევსურთა ცხოვრების მეტად საინტერესო სურათებია.

პირველ ლექსში („მგზავრობა ფშავ-ხევსურეთში") მოცემულია ხევსურთა წეს-ჩვეულებების ღრმა ისტორიული ფესვების განმარტება და დანახვა იმ ახალისა, რაც ცვლიდა ძველ შეხედულებებსა და წარმოდგენებს. ლექსში „შემოღამება ხახმატში" ვრცლად არის გადმოცემული ხახმატში სტუმრად ხევსურ ალუდაურთან პოეტის საუბარი და ხევსურების დიალოგი ბარისკაცთან. ამ საუბარში თანდათან ირკვევა, რომ ერთ ხევსურს უნდა ბარს ესტუმროს და შოფერი გახდეს, მეორეს გადაუწყვეტია სწავლა-განათლება მიიღოს. ამრიგად, ხევსურები იმ აზრის არიან, რომ უნდა მოხდეს

ბარიტა და მთის „შეუღლება“. ლექსში „ხევსურული ძროხა“ მწერალი საინტერესოდ გვისურათებს ძველი ხევსურეთის ყოფას, დაფუძნებულს მესაქონლეობაზე და ჯიშიანი ხევსურული ძროხის ბარაქაზე. მწერალს ასეთს ყოფით დეტალშიც შეაქვს ახალი ცხოვრების ელემენტი, რომლითაც გამოხატავს ხევსურეთის ფერისცვალებას, რომელიც შეეხება საწველი მანქანის შემოტანას ხევსურეთში და ამ გარემოებასთან დაკავშირებულ ამბებს. ეს ყოფითი დეტალიც მწერალს საშუალებას აძლევს, ნათლად დაინახოს ახალი სოციალისტური ცხოვრების შუქის შეჭრა მთაში.

30-იან წლებში სიმონ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა წიგნი სამეგრელოს შესახებ („სამეგრელოში შთაგონებული საღამოები“).

ლექსების ეს ციკლი კარგად გამოხატავდა საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი წლების სურათს და სოფლის პირველ შეტევას კულაკობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. პოეტი საინტერესოდ ხატავს სამეგრელოს ბუნების ფონზე ჭაობის, უქმურისა და ძველი ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებული ახალი ადამიანების კოლექტიური შრომის ძალას. კარგად გვისურათებს პირველ საკოლმეურნეო გაზაფხულს სამეგრელოში — ლექსში „საგაზაფხულო თესვა“. წინათ მიწები, რომლებიც ახლა კოლმეურნეობას აქვს, ეკუთვნოდა ვიღაც ბობოლა გლეხს, რომელიც ღარიბი გლეხის ექსპლოატაციით ცხოვრობდა, შემდეგ საკოლმეურნეო სოფელმა განაიარაღა სოფლის ეს წურბელა: „კოლექტიური აშენდა ძალა და ღარიბებიც ძმობენ უთქმელად, კოლექტიურად იწყებენ თესვას და თესვის დროსაც ქმნიან კომუნიზმს“. ახალი სოფლის სოციალისტური სურათია გამოხატული აგრეთვე ლექსში „გმირის ძიება ნატაჩიოში“. ტეხურის პირას, სენაკის ახლოს, ვაკედ გადაშლილ საუკეთესო მიწებს კოლმეურნეები ფლობენ. მათი მარჯვენის ძალა გულს ახარებს, განსაკუთრებით გამოირჩევა მოწინავე კოლმეურნე გლეხი ბოჯგუა. მწერალი დაეძებს ამ მოწინავე კოლმეურნეს, მაგრამ ვერსად შეხვდა მას პირისპირ. ამ დეტალში გამოხატულია ის აზრი, თუ როგორ გაუსწრო ცხოვრებამ მწერალს. მოწინავე გმი-

რები მოუწოდებენ მწერლებს გამოხატონ მათი დიადი შრომითი გმირობის საქმე.

ლექსი „სამურზაყანოს კოლექტივებს“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ძველი და ახალი ცხოვრების კონტრასტული სურათების გამოხატვის ხერხით. პოეტს თავისებურად აქვს გამოყენებული მეგრული ძველთაძველი სიმღერა „სისოული ჩელას“ სევდიანი მოტივი, რომელიც მოთქმად გაისმოდა ძველ, სოციალურად დაჩაგრულ, ბატონყმურ სოფელში. მასთან დაპირისპირებულია განახლებული შრომის ჰეროიკა, შრომის სიმღერა, რომელიც ახლა სოფელში გაისმის ტრაქტორის გუგუნის ფონზე. ტრაქტორი და ჩელა აქ სიმბოლური მნიშვნელობით აქვს გამოყენებული პოეტს ძველისა და ახალის კონტრასტული სურათის გამოსახატავად.

საერთოდ, ლექსების ციკლი სამეგრელოზე გვიხატავს საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი წლების სურათს, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პროცესებს. ძველისა და ახლის დაპირისპირების გზით ნაჩვენებია, თუ როგორ იმარჯვებს ახალი ცხოვრება, საკოლმეურნეო სოფელი. ძველი ცხოვრების დამახასიათებელი აქსესუარითა და ახალი სოციალისტური ყოფის გამომხატველი დეტალების ორიგინალური დაპირისპირებით მწერალი ქმნის ახალი ცხოვრების საინტერესო სურათებს.

ამ ციკლს მოჰყვა ახალი ლექსები თბილისზე. საქართველოს დედაქალაქი თბილისი მუდამ იყო ქართველი პოეტების ხოტბის საგანი. 1936 წელს დაწერილ ერთ-ერთ საინტერესო ლექსში („მტკვრის სანაპირო“) სიმონ ჩიქოვანი გვიხატავს თბილისის ახალ სანაპიროს, როგორც უმშვენიერეს ადგილს, მუშების ხელითა და გარჯით შექმნილ „დამტვრეული მტკვარის“ განახლებულ სახეს. განახლებულ თბილისს უკავშირებს პოეტი თავის სიყრმეს და თავის პოეზიასაც:

მე ამ ნაპირზე სიყრმეს მოველი,
ეხარჯავ გრძნობას და თავს არ ვიზოგავ,
და თბილისელი სტახანოველი
უცქერის მტკვარს და მარადისობას.
მღერის ალვების მწყობრი კრებული,
სანაპირონი სხედან მწვანეში,

და დგას თბილისი, ამოვლებული
მტკვარში, მზეში და მატიანეში.

სანაპირონი უღვიძებენ პოეტს ძველის, ბავშვობის დღეების მოგონებას. „გაზაფხული მტკვრის პირას“, „ტივზე გალობა“, „ოხვრა მტკვრისპირა ჭაობის“, „სამი ალვის ხე სანაპიროზე“ — მოაგონებენ პოეტს „განვლილ ბავშვობას სამეგრელოში“. ძველისა და ახალის მოგონების მთელი ეს გამა არის თბილისის და, განსაკუთრებით, ახალი თბილისის ჰიმნი.

თბილისი — ეს საქართველოს საგალობელია: „ვით ცისარტყელა, იშლება მტკვარი და საქართველო გალობს გარშემო“ („ნაწვიმარი“). ახალ თბილისს, მის განიერ ქუჩებსა და მოედნებს, მშენებლობის დიდ პათოსს პოეტი გულწრფელ სიტყვებს მიუძღვნის ლექსში „თბილისის ღამე“:

მეც გამივლია ხუთივე ხიდი
მშენებლობის და ოცნების გზაზე,
ვარ ჭადარივით თბილისის მკვიდრი
და ჭადრის ფესვი მეხვეევა ტანზე.

ლექსები თბილისზე უფრო ლირიკულია, ამღერებული და ნატიფი, ვიდრე ადრინდელი ლექსები პოეტისა. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც „თბილისელი მეთევზეები“ გამოდგებოდა. აქ შესანიშნავად არის გამოხატული თბილისელი მეთევზის ლირიკული სახე. თბილისელი კაცის ყოფაშია შესული ცოცხალი თევზიც და მებადურიც, და პოეტი პოულობს ერთგვარ კავშირს მებადურსა და შემოქმედ კაცთა შორის. „პოეტის სულში მებადურს სძინავს, რომელიც, როგორც თევზი, დაეძებს წყალს, ისე ეძებს ხალხის გულში ბინას“ (მეთევზის სტუმრობა“). პოეტი ხარობს ახალი თბილისით, ახალი ბუნებით, მტკვარზე გაშენებული ხიდებით, მისი განიერი პროსპექტებით:

ხევი იყო, დაიბადა ქუჩა,
გაიკაფა, როგორ გაფართოვდა,
არ შემეძლო თვალი დამეხუჭა,
არ მეგონა ფოთლებს დამათოვდა.

მაფხიზლებდა ფუსფუსი და გარჯა,
ვშორდებოდი წუთისოფლის შუკებს,
ამ უბანშიც სიკაბუკე დამრჩა
და მიეყვები სხვების სიკაბუკეს.

პოეტი შეჯიბრებაში იწვევს ყველას განახლებული თბილისის სადიდებლად, „შენი ყელი ვარ და შენი საყვირიო“... ლირიკულ განცდაში გადასული თბილისის სიყვარული მას ასე მღელვარედ აქვს გამოხატული, „შენი მკვირცხლი და ლალის ქუჩები ცხოვრების გზაზე წამომეწია“, ხოლო ამ ახალ სილამაზეს, ამ ახალ თბილისს პოეტების სიმღერა სჭირდებაო:

ამ სახლიდან იმ სახლამდი
ციხის ქვაზე ხმას ვჩარხავდი,
ხან წყალს ვსვამდი, ხან ვნაყავდი,
ფეტვს ვფქვავდი და ცხენს ვდაღავდი,
და სანამ სწორ გზას ვნახავდი,
მე მესმოდა მტკვრის ღაღადი
იმ სახლიდან ამ სახლამდი.

საკმარისია დავხედოთ სიმონ ჩიქოვანის რჩეული ლექსების სარჩევს, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს მის პოეზიაში სამამულო ომის თემას.

პოეტმა ოსტატურად გამოხატა ჩვენი ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალთა გამოცდის ეს პერიოდი. მეომარ საბჭოთა ხალხთან იყო იგი თავისი მგზნებარე ლექსებით, მღელვარე ფიქრებითა და განცდებით. ლექსების ამ ციკლს სიმონ ჩიქოვანმა უწოდა „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“.

ციკლი იხსნება ლექსით — „მოსკოველ მეგობრებისადმი“. ძმობისა და მეგობრობის გამომხატველი ეს ნაწარმოები შესანიშნავად გვისურათებს ქართველი და რუსი პოეტების მეგობრობის ეპიზოდებს: ომის მრისხანე დღეებში პოეტს აგონდება თავისი მოსკოველი მეგობრები, რომლებიც ახლა ფაშისტური ცეცხლისაგან მამულს იცავენ, მოსკოვს დარაჯობენ. გულისთქმა პოეტისა, მისი ხალხისა, ისტორიულად გადაჯაჭვული იყო რუსეთთან.

ხმა პუშკინის და ხმა რუსთაველის,
წრფელი გრძნობა და საამო ხმები,

ყურძნის ქარვა და პურის თაველი,
გადაჯვარული წკრიალა ხმლები,
სიკვაბუკე და პირველი თოვლი,
გრძნობა, ჭირსა და ლხინში გავლილი,
ჩვენი მამული, ჩვენივე ტოლი,
ჩვენი სისხლი და ხორცი ნამდვილი.

პოეტს სწამს, რომ არ არის ძალა, რომელსაც შეუძლია ვოშალოს და აღმოფხვრას ეს ისტორიული მეგობრობა, მაგ გულწრფელად სჯერა, რომ საბჭოთა ხალხების ურყევი ერთიანობა, ჩვენი ძმობა, სამარადჟამოა და ისევ მოსკოვში შემოვძახებთ მტერზე გამარჯვების ძლევამოსილ სიმღერას.

როდესაც ფაშისტების ხროვა კავკასიის კარიბჭეს მოადგა, სიმონ ჩიქოვანმა ისტორიული წარსულის გმირებს მოუხმო და მათი აჩრდილი მფარველად დაუყენა თავის მამულს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „აჩრდილი". სამამულო ომის მღელვარე დღეებში პოეტს ილიას „აჩრდილი" მოევლინება: „ზემოთ ვიხილე ისევ აჩრდილი—ბრძენი, სპეტაკი და გამყივარი".

თქვა: საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
შენი მცხუნვარე მიწის ნაწილი.
ჩვენი მარჯვენა არსად შემკრთალა,
არსად გამტყდარა თვალი არწივის.
მინდა ყიოდე, პაპას გამგვანო,
ღამე ვტეხე და გლოცე წუხელი,
შენ, ამირანის მიწავ, აკვანო,
ვერვინ დაგადგას მონის უღელი.

ასე საინტერესოდ აქვს მოფიქრებული პოეტს გმირი მოხუცის აჩრდილის მოვლინება სამამულო ომის ამ მრისხანე დღეებში, გმირი მოხუცისა, რომელიც ჩააგონებდა, ეძახდა ჩვენს ხალხს, დაეცვა სამშობლო მტრის მონობისაგან.

ისტორიულ გმირთა გახსენებას, ქართველი დედის ვაჟკაცური სახის მოგონებას წარმოადგენს აგრეთვე ლექსი „ქართველი დედა". ცხრა ძე ჰყავდა ქართველ დედას, ცხრავე ფრონტზე გაგზავნა, ცხრავე დააფიცა — არ მოუშვათ მტერი მამულთან.

სიმონ ჩიქოვანი თავად იყო კავკასიის ფრონტზე და თავისი თვალით ნახა ფაშისტების მიერ აკლებული ქალაქები და სოფლები, უპატრონოდ მიტოვებული სახლები, დაობლებული ბავშვები. ეს სურათები გამოხატულია ლექსში, რომელსაც ეწოდება „მიტოვებული სახლ-კარი“.

ძნელია, ეს ლექსი კაცმა მღელვარების გარეშე წაიკითხოს. მასში ღრმა ემოციურობით არის ნაჩვენები ფაშისტების მიერ აკლებული ოჯახის სურათი. მწერალმა შეიხედა სახლში, იქ სიჩუმე სუფევდა. იგი მზად არის, შინ შევიდეს, კერაში ცეცხლი გააჩაღოს, მოუაროს და მოუალერსოს უპატრონო სახლს, ხოლო როცა მასპინძელი დაბრუნდება,

ვეტყვი. დაგეხვდი, მეგობარო,
აწ იცოცხლე ამ ეზოში ასი წელი,
გადმოხეთქავს გრძნობის წყარო
და, როგორც ძმას, მომეხვევა მასპინძელი.

პოეტის სათქმელი ყოველთვის დატვირთულია აზრით. აზრობრივი დატვირთულობა და სიღრმე სიმონ ჩიქოვანის წერის მანერის ნიშანდობლივი თვისებაა. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „მზესუმზირები“. ეს არის ლირიკული ლექსი, რომელშიაც ომით გამოწვეული გაპარტახებისა და უკაცურობის მღელვარე სურათია მოცემული. მოუმკელი ყანა, მომპალი ჩალის ღეროები, უპატრონოდ მიტოვებული მზესუმზირები, ყვავების გულსაკლავი ყრანტალი უფრო ამძაფრებენ ამ საზარელ სანახაობას, მაგრამ ასეთი სევდისმომგვრელი და მუქი ფერებით დახატულ სურათშიც ოპტიმისტური ხმა გვესმის:

მაინც შევატყვე, სიცოცხლის სჯერათ,
დაბრუნდებიან მალე გმირები.
და ატყორცნილნი თემშარის პირად
მზეს უმღერებენ მზესუმზირები.

ლირიკული სურათის ასეთი სევდიანი ინტონაციებითა და ფერებით გამოხატვა, რასაც შემდეგ ოპტიმისტური განწყობილება მოსდევს, დამახასიათებელია პოეტისათვის

მხოლოდ მძიმე განსაცდელის ჟამს, — მაშინაც კი, როცა იგი ყუბანის ველზე სამასი ქართველი საბჭოთა მეომრის საფლავს წააწყდება, როცა უპატრონო, გადამწვარ სახლებსა და ქალაქებს ნახავს („მეომარი და ქლიავი"), — ყოველთვის და ყველგან პოეტს ახასიათებს ოპტიმისტური განწყობილება და მოტივები.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებშიაც პათეტიკური ტონი იგრძნობა და რიტმიც ამის შესაბამისად შეფარდებულია ლექსის საერთო ინტონაციასთან. საკმარისია მოვიგონოთ „ქართული ვაშა":

მამულს ეარამი ვაშოროთ.
მთებმა ფოლადი გეიბოძეს,
ვაშა და ვაშა სამშობლოს.
ვაშა გმირების სიცოცხლეს.

პათეტიკური, ამაღლებული ტონითაა დაწერილი აგრეთვე ლექსი „მამულს ეუთხარ გამარჯვება":

მტერი მტრულად დაისაჯოს,
ერთი ვეღარც გადარჩება.
მამულის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება.

ასეთი განსხვავებული რიტმით, ინტონაციით, ფერებითა და საღებავებით გამოხატა სიმონ ჩიქოვანმა სამამულო ომის სურათები და ჩვენი ცხოვრების ამ მღელვარე ნახატში მთელი სისრულით გამომჟღავნდა პოეტის წერის მანერა და სტილი.

1946 წელს სიმონ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ქართლის საღამოები".

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორიგინალურად მოფიქრებული, ქართლის ფონზე გამოხატული, სურათი კოლმეურნე მოხუცი გლეხის ცხოვრებისა. ეს მოხუცი სიმბოლურად განასახიერებს მშრომელი კაცის სახელსა და დიდებას, დაკავშირებულს ქვეყნის სიკეთესთან და დოვლათთან. მოხუცებული კაცი, სასხლავით ხელში, ტრიალებს ბაღში, აჯვარებს ნერგებს, ნერგს გადაჭრის და სიცოცხლეს ორად გა-

ყოფს. ასეთი სტრიქონებით მთავრდება პოეტის ეს საინტერესო ჩანაფიქრი:

ჩვილი ნერგები უთმობენ სურვილს.
თითქო საბავშვო ბაღია აქაც.
მებაღე ნერგებს სათუთად უვლის
და ბალღებივით ბაღებში დაყავს.

ასე შემოჰყავს სიმონ ჩიქოვანს ამ ლექსში მშრომელი გლეხკაცის სახე. ამას მოსდევს სურათი ქართლის ლამაზი პეიზაჟებისა, ხეხილით დახუნძლული ბაღებისა, ვენახებისა თუ ყურძნით სავსე საწნახელისა და ქვევრებისა. ქართლის მდინარეს — ლიახვს — პოეტი საქართველოს მთების ცრემლს უწოდებს, ხოლო ატენის ხეობას — აყვავებულ ბაღს.

პოეტი ამბობს, რომ მას ამღერებს ამ ხეობის სილამაზე და წრფელი სიტყვით ადიდებს და აქებს მას, ვინც ქვეყანას აშენებს და აშენებდა. „ვიმღერე და ატენი ვერ მივატოვე. სილამაზეს ვერ მოვწყვიტე თვალი“. ასეთ ბუნებრივ სიმშვენიერეს ავტორი მაინც პოეტურ გარდასახვას აძლევს, ოცნებით წარმოიდგენს ამ სილამაზის უკვდავებას: „შენს კალთაზე ფეხშიშველი მესიზმრები, ცხადი ხარ თუ სიზმარივით ქრები“. კოლმეურნეთა კალო ირმებს ვალეწინე და ატენშიც მომავლის გზაც ვიპოვეო, — ასკვნის პოეტი. მაინც ყველაზე უფრო დიდი სილამაზე ბუნებისა, ყველაზე დიდი სიმდიდრე ქართლისა და ატენისა — ეს კოლმეურნე გლეხებია, რიგითი ადამიანები, მათი გარჯით და შრომით ეძლევა ამ ბუნებას ეშხი და ლაზათი. როცა პოეტი კოლმეურნე გლეხის აივანზე („კოლმეურნის აივანზე“) სავსე სუფრას მიუჯდება და ოჯახის უფროსს, მოხუც კოლმეურნეს აკვირდება, ასე ჰგონია, თითქოს უნახავს იგი, სადღაც შეხვედრია მზისაგან გარუჯული ამ გლეხის სახე:

ეგებ არის ძველი გუთნისდედა,
ატენის თუ გორისციხის მეციხოვნე.
ეგებ სადმე მიხატული ვპოვე.
ახლა დინჯად აივანზე მასპინძელობს.

ესენი არიან ბურჯი და ფუძე ქვეყნისა, მათი ხელითაა ნაშენები ძველი ციხეებიც და ახალი საქართველოც და

პოეტი გულწრფელად მიესალმება მათს კეთილ შრომას, მამულიშვილობას:

მეც დამისხით ატენური წმინდა,
ხვალ კვირაა და ბაასში გავათენოთ.
მეგობრებო, ამ ოჯახში მინდა
ვადღეგრძელოთ დღევანდელი საქართველო.
დავცალე თუ ატენური დაშრა?
აივნიდან კოლმეურნე გზას დარაჯობს.
მასპინძელო, შენს მარჯვენას ვაშა,
საქართველოს უკვდავებას გაუმარჯოს!

ასე უკავშირებს პოეტი „ქართლის სალამოებში" საქართველოს აწინდელ ცხოვრებას, მის ხვალინდელ დღესა და მომავალს, ამ მშრომელ, გამრჯე ხალხს, მოხუც ანანიას, მეღვინე პაპას, თუ პურის მთესველ და მომკელ ახალგაზრდა ტრაქტორისტს.

სიმონ ჩიქოვანი ასევე განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს ლექსების ციკლში — „კახეთის შემოდგომა" — გამრჯე კოლმეურნეთა მარჯვენას, კახეთის ხვავიანი მიწის მადლით და მისი დოვლათით რომანტიკულად გაცოცხლებულს. ლექსები „კახეთის ქება", „გომბორზე გადასვლა", „კახეთის შემოდგომა" სწორედ კოლმეურნე გლეხკაცის მარჯვენაზე დამყარებულ სურათებს გვიხატავს, ხოლო ლექსებში „გმირის სამრეკლო" და „ყვარლის მთები" უკავშირდება ორი ჭავჭავაძის, ორი პოეტის, ორი დიდი მამულიშვილის — ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ილია ჭავჭავაძის ნოგონებას:

ეუმზერ უნაზეს ალაზნის ნისლებს.
ეუმზერ, ვიგონებ ბუმბერაზ მყინვარს,
ხევში, ილიას ღეხის ხმას ვისმენ
და ყვარლის მთებიც ამიტომ მიყვარს.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი სამშობლოს თემა, პატრიოტიზმის თემა. ვინც ამ ციკლის ლექსებს დააკვირდება, იგი ადვილად აღმოაჩენს თუ რა ორიგინალური და თავისებური კუთხე მოუძებნია პოეტს ამ მარად ძველი და ამ

მარად ახალი თემისათვის. საქართველოს დიდი ისტორიული წარსული, თავისი ვაჟკაცური თავგადასავალითა და ტრაგიკული ტკივილებით არა ერთგზის გამოუხატავთ ქართველ მწერლებს ჩვენს დიდებულ კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურაში, და არ არის პოეტი თუ პროზაიკოსი, რომ თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე არ მოეხადოს. ამიტომ ადვილი როდია ამ ტრადიციულ თემატიკაში პოეტმა რაიმე ორიგინალური და ახალი თქვას. ჩვენი მკითხველი განებივრებულია პატრიოტული ლექსებით.

როცა სიმონ ჩიქოვანის ლექსს „ვინა სთქვა" ვკითხულობთ, ჩვენს ყურადღებას უმალვე იპყრობს ახალი ინტონაცია და თავისებური ჟღერა, რომელიც პირველივე სტრიქონიდან აღიქმება:

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

გვეკითხება პოეტი და მყისვე მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე. ჩვენს ცნობიერებაში კვლავ აღდგება ცამდე აწვდილი ციხე-კოშკების ქონგურები, ქართველი კაცის მარჯვენით აგებული, ფრესკებითა და ჩუქურთმებით მდიდარი მონასტრები და ციხე-დარბაზები, თავშეწირულ გმირთა სახელები და ამ სურათს ამთავრებს დარუბანდიდან მოტანილი კარები, როგორც ქართველთა მამაცობისა და დიდების სიმბოლო:

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

საქართველოს მრავლად ჰყოლია გამოჩენილი გმირები, ისტორიული პიროვნებანი, სამშობლოსათვის თავშეწირული ვაჟკაცები, სახელგანთქმული მამულიშვილები, რიგითი ადამიანები, მეფეები და სარდლები, დავით აღმაშენებელი თუ თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი თუ ერეკლე მეფე, ძმები

ხერხეულიძეები და ცოტნე დადიანი. საქართველო რიცხობრივად პატარაა, მაგრამ იგი დიდია სახელგანთქმული გმირებით, სულიერი კულტურის სიუხვით, დიდი თავშემართებით,—აი, ამ ბრწყინვალე ლექსის პათოსი და სულისკვეთება.

ეს ორი ლექსი — „ვინა სთქვა" და „არ დაერქმევა პატარა მხარე" პატრიოტული სულით ერთი ლექსია, ერთი აზრისა და განწყობილების გამომხატველი პოეტური ქმნილებაა, საქართველოს წარსულისა და მისი აწმყოს სადიდებელი.

როდესაც სიმონ ჩიქოვანის პატრიოტიზმის თემაზე დაწერილ ლექსებს ვეცნობით, შთაბეჭდილება ისეთი როდია, თითქოს პოეტი ვიწრო ნაციონალური გრძნობების ნაჭუჭში ჩაკეტილი კაცის გონებითა და თვალით ზომავდეს ჩვენს წარსულს თუ დღევანდელ დღეს. არა, ეს არის ისეთი პატრიოტი პოეტის განწყობილების გამოხატვა, რომელსაც კარგად აქვს შესისხლხორცებული ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ძალა და მნიშვნელობა. დღევანდელი საქართველო იმითაა ძლიერი, რომ ის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიადი გრძნობით შედუღებული, მარტო როდი დგას პატარა კუნძულივით, — საქართველოს მრავალი ჰყავს მეგობარი, პირველ ყოვლისა, რუს ხალხს უკავშირდება მეგობრობის ეს გრძნობები და ახალი საქართველოს ძლიერება. აღორძინებული საქართველოს რუსეთთან ღრმა ურთიერთობის გამომხატველი სტრიქონები სიმონ ჩიქოვანმა ჯერ კიდევ 1927 წელს დაწერილ ლექსში ნათლად გამოხატა:

> დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი მამულის,
> დიდო მინდვრებო, შემაყვარეთ სწრაფი ბორბლები.
> დროშა მომყვება, მოშრიალე და მეწამული
> და მეც თქვენთან ვარ ჩემი მთით და ჩემი ორბებით.

ხოლო უფრო გვიანდელ ლექსში „ლენინის ძეგლთან" გამოხატულია ლენინის გზასთან დაკავშირებული ახალი საქართველოს მეტად საინტერესო სურათი:

> დგას ლენინი, გულხმიერი,
> მთის მახლობლად დაფშვნილი წყლის ხმაურია.
> და ლენინი გზას გასცქერის,

სადაც პუშკინს ლექსის შუქით გაუვლია.
მისი ხმები. ქართლის მკვიდრი,
არაგვივით მთებს აღვიძებს გამთენია.
სამხედრო გზას მგოსნის ფიქრი
და მყინვარის დიდი ჩრდილი აფენია.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში ძველი საქართველოს ისტორიული წარსული მთელი სიდიადით არის გამოხატული. აგერ მცხეთა, საქართველოს პირველი დედაქალაქი... ისტორიულ ქარტეხილებს ბევრი რამისთვის დავიწყების ფერფლი გადაუყრია, მაგრამ აი, მოვიდნენ საბჭოთა მეცნიერები, გათხარეს არმაზის სამარხები და მზის სინათლეზე გამოიტანეს უტყუარი საბუთი საქართველოს წარსულის დიდებისა, უბრწყინვალესი ძეგლები ხელოვნებისა და ოქრომჭედლობისა. ამ ისტორიულ ფაქტს სიმონ ჩიქოვანმა მიუძღვნა ლექსების მთელი ციკლი: „ძველი მცხეთა“, „ფიქრი სერაფიტაზე“, „საგალობელი“, „სერაფიტის გამოხმობა“. ჟანგიანი, ხავსიანი, ფერფლწაყრილი წარსული, ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე, ახალი ძალით გაცოცხლდა. ჩვენს წარსულს შემოუნახავს და ქვაში ცოცხლობს უჩინარი ჩრდილი, სითბო და სიმშვენიერე სერაფიტისა. „სილამაზე სერაფიტის სადარი, არსად არი, ივერიის გარდა“. „სამარეში გარინდულხარ ასული, რომ კუბოში ჩაგვეფუთნა წარსული“, ახლა ხელი შევახეთ ამ სილამაზეს, რომ დაარღვიოს უკუნი და ახალი ძალით გამოაფინოს თავისი უკვდავი მშვენება. ეს ქვაზე აღბეჭდილი სერაფიტი, ეს ოქროს ნაჭედობა, გასაოცარი ხელოვნებით შესრულებული, საქართველოს დიდებული კულტურის დამადასტურებელია და პოეტი ამ სიდიადეს კვლავ აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში და ახალი ხმით აამღერებს მას.

საქართველოს წარსულის უკვდავების ჰიმნია ჩვენი ვარძია. დიდი ოსტატების ხელით შექმნილი ეს საკვირველი ქალაქი, მთაში აშენებული, პოეტს გასაოცარი ძალით გაუცოცხლებია ლექსში „მიძღვნა ვარძიის ოსტატებისადმი“. როცა ამ ლექსს ვკითხულობთ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიმონ ჩიქოვანი მეტად თავისებური წერის მანერის ოსტატია, უფრო კონკრეტულად — აზრობრივი ხატვის ოსტატი. აქ ყოველი ახალი სტროფი ახალ აზრობრივ ასოციაციას

აღძრავს ჩვენში. ისტორიული დეტალებით, მხატვრული აზრით გაბრწყინებული ეს შესანიშნავი ლექსი არა მარტო აღადგენს წარსულის ხელოვნების ოსტატების უკვდავ სახელს, არამედ პოეტი მათ თანამედროვე ოსტატების სახელით ებაასება. პოეტი აღფრთოვანებულია ამ ციხე-ქალაქის მონუმენტალობით და კითხულობს:

საკვირველება, საკვირველება
როგორ მოთავსდა განელილ ხანაში:
შენი ოცნება და გაელვება.
გამოხატული ქვის მასალაში!..

ვარძიის ქვამ აამღერა ჩვენი ისტორიული წარსული, მთელი ძალით გამოჩნდა მასში სიდიადე ქართველი კაცის სულისა, მაგრამ პოეტს ერთგვარად სევდას ჰგვრის ის ფაქტი, რომ ამ ციხე-ქალაქის ამშენებელის სახელი ისტორიას არ შემოუნახავს:

რად წარიშალე, შენ უკვდავება
გეძახის. გეძებს მთების უბეში!
დიდო ოსტატო, ჩვენი თაობა
გიხმობს მშრომელთა საუკუნეში.

ხალხს რუსთაველის სახელი ლექსმა შემოუნახა, ხოლო შენი ქვის მდუმარებას და „მოგონებას აღარ ინახავს ვარძიის კარი". ეგებ დიდოსტატი ამ ციხე-ქალაქისა უკუღმართმა დრომ დაღუპა:

სად წარიშალე. ეგებ მოგკვეთეს
ხელი მარჯვენა, ელვის მაგვარი.
ეგებ დაგღუპეს ხალხის მოკეთე
და დასადაგე გახდა აკვანი.

ეს შესანიშნავი ლექსი თავდება პოეტის ასეთი ჩანაფიქრით: რაკი დავკარგეთ ამ ხელთუქმნელი ძეგლის ოსტატის სახელი, ვარძია იყოს სახელი ამ ციხე-ქალაქის ამშენებელი დიდოსტატისა.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ძველი ისტორიული მესხეთის, საზოგადოდ — სამხრეთ საქართ-

ველოს, ისტორიული წარსულის გამომხატველ სურათებსა და ეპიზოდებს. „ვარძიას“ მოსდევს ლექსი „წუნდის ტბა“, თმოგვის ციხის მახლობლად ძველად გაშენებული ,ყოფილა დიდი ქალაქი წუნდა. მიწისძვრას გაუნადგურებია იგი და ახლა ამ მიდამოებში არის პატარა ტბა, რომელსაც წუნდის ტბას ეძახიან. პოეტი აქ ეძებს ჩვენი ისტორიული წარსულის ნაშთებს და ოცნებით აღადგენს სურათს, რომლის მიხედვით თითქოს რუსთაველს ამ წუნდის მიდამოებში უვლია, აქ უფიქრია, აქ უწერია „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი სტრიქონები, მესხი მელექსის მადლი ამ ტბასაც დაჰფენია.

ასევე იგონებს მწერალი „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებს ლექსში „მიძღვნა ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის ოსტატებისადმი“. აქ გაცოცხლებულია რუსთაველის ქმნილების გადამწერლები, რომლებმაც ქართველ ხალხს შემოუნახეს უკვდავი ხელოვანის უკვდავი ძეგლი.

ლექსების ამ ციკლში ცალკე უნდა აღინიშნოს ჟამთააღმწერლის სურათების გამოხატვა. საინტერესოდაა გაცოცხლებული რაჭის ერისთავის კახაბერის ქვრივის გვანცა ერისთავის რომანტიკული სახე ლექსში „წიგნი ჟამთააღმწერელისა: გვანცა“. უფრო ეპიკური პლანითაა გადაწყვეტილი ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიის ხილვა ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილის სავანეში“. კარგად აქვს პოეტს ნათქვამი:

როგორ ჩასტიე მაინც კუბოში
შენი შფოთვა და კორიანტელი...
კაცი უცხოეთს გადაკარგული
ორჯერ კუბოდან წამოვარდნილი...
ჩანგი გვიხმობს თუ გული ანკარა?
ხე შრიალებს თუ ქალი კენარი?
შენი სამშობლო მკვდრეთით ამდგარა,
შვებით ჰიხვინებს შენი მერანი.

ლექსების ამ ციკლს ამთავრებს წიწამურის ტრაგედია, დიდი ილიას სახე და ლექსი „ვაჟა-ფშაველას ბუხართან“.

ყველაზე უფრო გამოირჩევა, ჩვენი აზრით, ლექსი „შემოღამება მამადავითზე“. აქ შესანიშნავად არის გაცოცხლებული ორი უბრწყინვალესი ქართველი ქალის, ორი დის — ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების — ტრაგიკული სიყვარუ-

ლის ისტორია. მათი აჩრდილი პოეტმა მთაწმინდაზე ორ ლანდს — ბარათაშვილისა და გრიბოედოვის ლანდს — შეახვედრა და მათი ტრაგიკული ისტორიაც ამის მიხედვით მოგვითხრო:

ორმა დამ მთებზე დიდხანს იარა
და ორ საფლავზე დარგო ყვავილი.
მთაზე წინანდლის წყვილი თვალია,
საფლავები კი ჰგვანან მეგობრებს.
ერთმა განჯაში სული დალია
და სპარსის დაშნა მოხვდა მეორეს.

სიმონ ჩიქოვანისათვის დამახასიათებელია ამგვარი ტრაგიკული ინტონაციებისა და განწყობილების გაცოცხლება, შორეული აჩრდილების გამოხმობა და მათი აღდგენა ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ აქ არსად არის თავისთავადი რომანტიკა. ოხვრა და ხვნეშა წარსულის შესახებ — ეს არის თანამედროვე პოეტის ოპტიმისტური ხილვა წარსულის სინამდვილისა. ამ გმირების სულის გამოხმობა თანამედროვე ჩვენს ცხოვრებაში. რათა ისინი ახალი საქართველოს მშენებელთა რიგში ჩააყენოს და თანამედროვე კაცის თვალით შეხედოს მათს საქმესა და გარჯას. ისტორიული წარსულის ამგვარ გაცოცხლებაში საბჭოთა პოეტის პოზიცია ფთელი სისრულით არის გამომჟღავნებული. მწერლის ტენდენცია, ლირიკულ ინტონაციებში დაფარული, ჩვენთვის საკმაოებით ნათელი ხდება.

* * *

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლირიკულ პოემას — „სიმღერა დავით გურამიშვილზე". უცხოეთში გადახვეწილი და უკრაინაში, მირგოროდში, დასახლებული დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას ჩვენ არ ვიცნობთ, მაგრამ თვით დავით გურამიშვილის „დავითიანი" გვაწვდის ვრცელსა და დაწვრილებითს ცნობას პოეტის ცხოვრების შესახებ. სიმონ ჩიქოვანს სწორედ ეს პოეტური ბიოგრაფია გამოუყენებია პოემაში „სიმღერა და-

ვით გურამიშვილზე“, შეუვსია და გაუმდიდრებია საკუთარი პოეტური ფანტაზიით გურამიშვილის თავგადასავალი. ეს არის თანამედროვე პოეტის თავისებური გაბაასება დიდ ქართველ კლასიკოსთან, — გაბაასებაც და შეკამათებაც. ასეთ ურთიერთობაშია წარმოდგენილი და შექმნილი სიმონ ჩიქოვანის ეს საინტერესო პოემა.

დავით გურამიშვილის ბიოგრაფია თავად არის ტრაგიკულიც და პოეტურიც და, ამგვარად, ეს საინტერესო მასალა სიმონ ჩიქოვანმა ჩინებულად გამოიყენა პოემაში. დავით გურამიშვილის ცხოვრება განსახიერებაა მეგობრობისა და ძმობისა, თვითონ იყო ძმობის ხიდი — ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხებისა. სიმონ ჩიქოვანს სწორედ ამ გარემოებისათვის გაუსვამს ხაზი. პოემას სწორედ ეს ანიჭებს უაღრესად თანამედროვე ელერადობას.

სიმონ ჩიქოვანმა თავისი პოემა გამოაქვეყნა ომის მრისხანე დღეებში, როდესაც ქვეყნის ბედს საბჭოთა ხალხების ძმობა და მეგობრობა წყვეტდა. გურამიშვილის ტრაგიკული თავგადასავალი თვალსაჩინოდ მოგვითხრობდა საქართველოს წარსულს, ქართლის ჭირს გვიამბობდა, ხოლო პოეტის პირადი ურთიერთობა რუსებთან და უკრაინელებთან გვახსენებდა ამ ძმობისა და მეგობრობის ისტორიულ ფესვებს. სიმონ ჩიქოვანმა ჩვენი დიდი წინაპარი დავით გურამიშვილი სამამულო ომის წლებში გამოიხმო და აქტიურად ჩააყენა, როგორც ცოცხალი და მოქმედი პერსონაჟი, ძმობა-მეგობრობის სიმბოლო, თანამედროვე სული ჩაუდგა მის ცხოვრებას, მის საზოგადოებრივ და პოეტურ მოღვაწეობას. სწორედ ეს მხარეა, განსაკუთრებით რომ გვხიბლავს პოემაში, ესაა თანამედროვე პოეტის დამოკიდებულება ჩვენი ხალხის ისტორიასთან, მის დიდ მემკვიდრეობასთან.

პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ წარმოადგენს ლირიკული ლექსების თავისებურ კრებულს. აქ ყოველ ცალკეულ ლექსს თავისი სათაური აქვს, თავისი კომპოზიცია, თავისი დამოუკიდებელი სათქმელი გააჩნია. თითოეული მათგანი დავით გურამიშვილის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდს მოგვითხრობს და ამ ცალკეული ლირიკული ლექსების კავშირი ქმნის ერთ მთლიან თავგადასავალს დავით გურამიშვილის

ცხოვრებისას, აღსავსეს მღელვარებით, განცდებით, მწუხარებითა და სიხარულით.

პოემა იწყება ლექსით — „გურამიშვილის სურათზე". ეს ლექსი დავით გურამიშვილის პოეტური პორტრეტია, „დავითიანში" წარმოდგენილი პოეტური სულის აღსარებაა. ავტორს ერთბაშად შევყავართ მგოსნის პოეტურ სამყაროში. „წეროს დარად წიგნში მდგარი პოეტი", — სამშობლოსათვის მლოცველი და მისი გასაჭირის მემატიანე, რომელმაც უკრაინაში გაიყოლია საქართველოს ბედის სევდა, ქართლის ჭირი, თავისი სამშობლოს ტანჯვა და მწუხარება — ერთბაშად ცოცხლდება ჩვენს წარმოდგენაში:

> იმ მხარეში ქართლზე ფიქრი
> სანთელიეით აგინთია,
> გაგითბია ცრემლით წიგნი,
> სული მისთვის დაგითმია,
> დაგიცლია თვალი წყვილი
> და ლექსებში დაგიტკბია.

ლოცვითა და სიყვარულით სამშობლოსათვის თავშეწირული, სამშობლოზე ფიქრით გათეთრებული მოხუცებული პოეტის პორტრეტს ავტორი სულ რამდენიმე სტროფში აცოცხლებს. ამას მოსდევს საბჭოთა პოეტის შეკამათება თუ გაბაასება დიდ კლასიკოსთან და სურვილი—აღადგინოს სამშობლოსათვის მლოცველი პოეტის მგზნებარე სახე. ეს ამოცანა დაუსახავს პოეტს, რასაც პირველსავე ლექსში გვამცნობს პირდაპირ და დაუფარავად:

> ფიქრი. ფიქრი შენსკენ ილტვის,
> შენ პერანგი გაგიპია,
> ტანჯვა როგორ გამოითქმის,
> ჩემი სიტყვა ღარიბია.
> შენი ცრემლის მლაშე წვეთი
> შთაგონებით ნაყიდია,
> გაგიშლია მოთქმით წიგნი
> და ოცნებით გაგითბია.

სიმონ ჩიქოვანი ამ პოეტურ გაბაასებას გვაწვდის, როგორც პოემის პროლოგს. ხოლო ამის შემდეგ ავტორი

დაწვრილებით გვიხატავს დავით გურამიშვილის ტრაგიკული თავგადასავლის მღელვარე სურათს, რაც დაწვრილებით არის მოთხრობილი დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირში“.

სიმონ ჩიქოვანი ამ უტყუარ დოკუმენტს, პოეტის მიერ დატოვებულს, კვალდაკვალ მიჰყვება და აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში. ლირიკულ ლექსში — „ორმოში“ ავტორი გვაწვდის ლამისყანაში პურის სამკელად წასული პოეტის ლეკების მიერ დატყვევების ამბავს. ამას მოსდევს ლირიკული ლექსი „შემღერება“, რომლითაც ებაასება პოეტი პოეტს:

სად გიპოვო, ახლობელო, სად გეძიო!
ვით ბარტყებში, ჩემს ხმებში ხარ შერეული.
მსურს ქვეითად მთის აღმართზე დაგეწიო
და გადმოგცე ჩემი ხმების ხელეური.

ასეთი ლირიკული გადახვევები თუ შენაკადები, რომლებიც პოემაში ხშირად გვხვდება, უფრო გვაახლოებენ დავით გურამიშვილთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიმონ ჩიქოვანი კარგად ახერხებს, დავით გურამიშვილი ჩვენს თანამედროვეობაში გადმოასახლოს მისი მღელვარე ბიოგრაფიით და პოეტური სულისკვეთებით.

ლირიკული ლექსები „დაკარგული ლუკმა“, „დავით გურამიშვილის აუგი უფლისადმი“, „მეორე აუგი“ მოგვითხრობენ დიდი მწერლის ცხოვრების იმ ეპიზოდს, რომელიც ცნობილია ჩვენთვის. აქ უხვი პოეტური საღებავებითაა გადმოცემული დავით გურამიშვილის გაქცევა ტყვეობიდან. დამშეული პოეტის მიერ კიტრების პოვნა და შემდეგ — ლოცვის დროს, თუ როგორ გადაუცვივდა წყალში ეს კიტრები — თუ მომეცი, რაღად წამართვი, ან ასე რად გამწირეო, — მიჰართავდა დავით გურამიშვილი უფალს აუგის სახით. სიმონ ჩიქოვანის პოემაში ეს დეტალი საინტერესო ლირიკული სტრიქონებითაა გაცოცხლებული, რითაც უფრო გაშლილია გურამიშვილის პოეტური ბიოგრაფიის ცნობილი ეპიზოდი. ამას მოსდევს ასევე ცნობილი ამბავი დავით გურამიშვილის თავგადასავლიდან: ტყვეობიდან თავდაღწეული დავით გურამიშვილის პირველი შეხვედრა ადამიანებთან, რომლებიც პირჯვარს იწერდნენ, გაცნობა რუსი კაცის — ლა-

ზარესი, რომელმაც მოუარა და უპატრონა ლტოლვილ ქართველ მგოსანს:

შეკიბრალა და შეგიტკბო.
პური გიბოძა გამთბარი.
გრძნობით ცხოვრება შეგითბო,
სულს განეშორა ზამთარი.
პური გაჭამა, დათესა
შენს გულში ძმობის მარცვალი.
კერასთან გრძნობა გაკვესა,
გაათბო კერის ნაცარი.
მეგობრულ გრძნობით დაგდაღა,
თვალში ჩაგინთო მაისი.
ძველი პერანგი გაგხადა,
ჯუბა ჩაგაცვა თავისი.

ასე საინტერესოდაა დახატული დავით გურამიშვილისა და რიგითი რუსი კაცის ძმობის ამბავი. ამ დეტალში დავით გურამიშვილის ცხოვრების ეპიზოდი განზოგადებული და ამაღლებულია. ამით პოეტი წარსულის ძმობის ფურცლებს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასთან აკავშირებს. ძმობა, რომელიც თქვენ კალოზე შეჰკარით მარადის ურღვევი ძმობააო, — ეუბნება პოეტი პოეტს, — მეგობრობის სინათლე, რომელიც შენს პოეტურ სულში ჩადგა, იქცა ძმობისა და მეგობრობის ხიდად და მან ჩვენამდის მოაღწია, როგორც საფუძველმა, რომელზედაც განმტკიცდა ახალი გასხივოსნებით საბჭოთა ხალხების ძმობაო.

შენს გულში ჩარჩა ძმის კერა
და საგზლით საესე კალათი,
ხალხის ხსოვნაში იმღერა,
არ მიიწურა მარადი.

ბაღს დაემგვანა უნაზესს
თუ კალოსავით დახვავდა?
და ახლა ქართლის კერაზე
ატმის ხესავით აყვავდა.

ასე ჩაუქრობლად გიზგიზებს ეს ძმობის ცეცხლი, ნაპერწკლად ანთებული დავით გურამიშვილის თანამედროვეთა მიერ.

რუსი ლაზარესაგან დაპურებული, მოვლილი და ნაპატრონები დავით გურამიშვილი გადაწყვეტს, მოსკოვში ესტუმროს ვახტანგს. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ გურამიშვილის ტყვედ ჩავარდნამდე ქართველებმა ვახტანგ მეფე რუსეთისაკენ გაისტუმრეს. ვახტანგს სურდა ძმობისა და მეგობრობის კავშირი შეეკრა რუსეთთან, პეტრე პირველთან და მისი დახმარებით აღედგინა, განეახლებინა მტრებისაგან აოხრებული და დაპყრობილი საქართველო. საქართველოს მეფე რუსეთის მეფესთან ეძებდა კავშირს. ამ დეტალში პოეტი ამყარებს თავის საკუთარ დამოკიდებულებას და კონცეფციას („მინაწერი"). დავით გურამიშვილი შეხვდა რიგითს რუს კაცს. ამ მშრომელმა ადამიანმა, რომელსაც ისევე ედგა ჩაგვრის უღელი, როგორც ყოველ რიგით მშრომელ ქართველ კაცს, რუსული სტუმართმოყვარეობით მიიღო და მოუალერსა დატანჯულ პოეტს.

შენ რუსი შეგხვდა მშრომელი,
ტანჯვაში შენი მხილველი,
კვერის თუ გრძნობის მცხობელი
და მეგობარი პირველი.
იგი გათბობდა ავდარში.
ის გაგრილებდა სიცხეში,
ის გამღერებდა ზამთარში,
უდაბნოში და ციხეში.

ადამიანებს უყვართ ერთმანეთი და საერთო ენასაც ადვილად პოულობენ. რუსი და ქართველი ხალხები ისტორიულად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ძმობისა და მეგობრობის გულებით. სულ სხვა იყო მეფის რუსეთი, რომელსაც ვახტანგ მეფემ თავისი ბედი დაუკავშირა. ეს ძმობა ვერ გამართლდა, ჩაიშალა. ვახტანგს ბედმა უმტყუნა და აი, პოეტი კვლავ მისდევს ბიოგრაფიას: მოსკოვში ვახტანგ მეექვსე სასახლეს ეწვია ვსესვიატსკოეში, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ ვახტანგ მეექვსეს და დავით გურამიშვილსაც. პეტრე პირველი გარდაიცვალა. ვახტანგი მაინც ეძებს გამოსავალს; დედოფალი დაჰპირდა დახმარებას; დაიმედებული მეფე საქართველოსაკენ მიემგზავრება და ოცნებობს:

მალე მამულს სიმღერებით მივადგებით
და სუდარას მოიხსნიან ქართლის მთები.

მაგრამ იმედი ვახტანგ მეფისა არ აღსრულდა — იგი ასტრახანს გარდაიცვალა. მის ამალას უბრძანეს, ან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, ან დასახლებულიყვნენ რუსეთში და ჩაწერილიყვნენ ჯარში. დიდმა ნაწილმა ეს უკანასკნელი გზა აირჩია.

დავით გურამიშვილი უკრაინაში დასახლდა, მისი მეორე სამშობლო მირგოროდი გახდა. მან შეიყვარა და შეითვისა უკრაინელი მეგობრები, მათთან ერთად იშრომა, მათთან ერთად იბრძოლა. რუს და უკრაინელ მეგობრებთან ერთად იომა გერმანელების წინააღმდეგ პრუსიაში, — პრუსიის მეფეს ტახტი შეურყიეს. აქ ტყვეობაში გაატარა გურამიშვილმა ცხოვრების დღეები; შემდეგ ისევ რუსმა და უკრაინელმა მეგობრებმა იხსნეს ტყვეობიდან, დაუბრუნდა თავის მამულს უკრაინაში ღრმად მოხუცებული, მამულისათვის და სამშობლოსათვის ლოცვად და ლექსის წერად გადაქცეული. ქართულ სიტყვას მან რუსული და უკრაინული ხმებიც შეუწყო:

რუსული ხმებით საამურ სილბოს
აკავშირებდა სამშობლოს ხმებთან.
და უკრაინულ სიმღერის კილოს
შინ აწყვილებდა ქართველის ბედთან.
უნდოდა ეთქვა სიმღერა ერთი,
ლექსში სამი ხმით შეეკრა ძმობა,
შიგ ჩაეხატა ჰაღარა ღმერთი
და ხეტიალში ჩამქრალი ყრმობა.

პოეტს შესანიშნავად აქვს გამოხატული დავით გურამიშვილის ზრუნვა უკრაინელ მოძმეთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად (ქარის წისქვილისა და სარწყავი სისტემის გამოგონება...).

პოემაში დაწვრილებითაა ნაჩვენები დავით გურამიშვილის მოხუცებულობის დღეები, როცა პოეტში განსაკუთრებით მოზღვავდა სიყვარული საქართველოსადმი; ეს მძიმე პატრიოტული სულისკვეთება საინტერესოდაა გადმოცემული.

უკრაინაში მუდმივად დამკვიდრებულ დავით გურამიშვილს უყვარდა ეს მიდამო, ეს გარემო, ეს მოძმე ხალხი, მაგრამ დიდ პატრიოტს ყოველთვის თან სდევდა თავისი მამულის სიყვარული და ყურში ესმოდა, თვალით ხედავდა თავის საფიცარ საქართველოს. ეს განწყობილება ამაღელვებლად გადმოცემულია ლექსში, რომელსაც ჰქვია „გუგულები“.

გეკითხებით თეთრ გუგულებს,
თუ იხილეთ ქართლის ბარი,
გუთნისდედა თუ ღუღუნებს,
გორის ციხის გვერდით მდგარი?
თუ გადვიდა ქართლის ჰირი,
მარცელეულით მოთბა მიწა,
ბედისწერა კვლავ დაგვტირის,
თუ ცვარიან ველზე მიწვა?
„გუგუს“ გალობთ, გუგულებო,
ხომ არ პპოვეთ ლანდი დედის,
ქართლში მყოფი უგუნებოდ
მგლოვიარე ვაჟის ბედით?
„კაფე-თესე“, გამაგონეთ
სიცოცხლის ხმა ჩემი მხარის,
გამახარეთ, ამამღერეთ,
ვიმარტვილე სიმწუხარით.

ეს ციტატა კომენტარს არ საჭიროებს, ისე ზუსტად და ზედმიწევნით არის გადმოცემული მოხუცი პოეტის უნაპირო სიყვარული თავისი მამულისადმი. ეს უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ეს გულისწუხილი ქართლისათვის დაუძლურებულმა, ღრმად მოხუცებულმა გურამიშვილმა გამოხატა ლექსების წიგნში („დავითიანში“), რომელიც, როგორც ავტორი ამბობს, საქართველოს დაუტოვა საკუთარი შვილის მაგიერ. მას შვილი არ ჰყოლია, — ჩემი შვილი ეს წიგნიაო, — ამბობს პოეტი, — ეს დიდებული წიგნი ზრდიდა ქართველობას მამულის სიყვარულის გრძნობით, ქართლის ჰირისაგან განკურვნის სულისკვეთებით. ამ რწმენით წერდა დავითი თავის უკვდავ ნაწარმოებებს და ამ რწმენით გადასცა ხელნაწერი მან, უკვე ღრმად მოხუცებულმა, სასოებით მეფის ირაკლის ძეს მირიან ბატონიშვილს. ეს ეპიზოდი სიმონ ჩიქოვანის პოემაში მაღალი ოსტატობით არის გადმოცემული.

ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით პოემის შინაარსზე, მის სიუჟეტურ ქარგაზე, რომ ნათელი ყოფილიყო, თუ როგორი სისრულით არის აქ გადმოცემული დავით გურამიშვილის ბიოგრაფია და, ამავე დროს, დავრწმუნებულიყავით, თუ რა საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი დავით გურამიშვილის პოეტური სამყარო სიმონ ჩიქოვანს.

პოემა მთავრდება ლირიკული ლექსით, რომელსაც ჰქვია „მეორე მინაწერი". თუ პირველი მინაწერი პოემის პროლოგია, ეს ბოლო მინაწერი უთუოდ ეპილოგის როლს ასრულებს. ეპილოგში შესანიშნავად არის განზოგადებული რუს და უკრაინელ მეგობრებთან დავით გურამიშვილის ძმობის ფესვები და ამ ფესვების კავშირი თანამედროვეობასთან, საბჭოთა საქართველოსთან. საბჭოთა პოეტი კარგად ხედავს, თუ როგორი ურყევი და მტკიცე გახდა ძმობისა და მეგობრობის ის ხიდი, რომელიც დავით გურამიშვილმა გასდო.

> რუსეთის და უკრაინის გული
> ძმური გრძნობით საქართველოს დანათის.
> მაშ, გავტეხოთ მეგობრულად პური
> და გრძნობები შევადუღოთ მარადის.

სიმონ ჩიქოვანი კარგად გრძნობს და ხედავს, როგორ ამაღლდა, როგორ გაცოცხლდა ხელმეორედ დავით გურამიშვილი ხალხთა მეგობრობის ახალ ატმოსფეროში, როგორ იხარა ხის იმ ნერგმა, რომელიც დავით გურამიშვილმა დარგო. დავით გურამიშვილს მართლაც ბედად ერგო ყოფილიყო ამ ძმობისა და მეგობრობის პირველი პიონერი და ახლა ჩვენმა ხალხებმა ღირსეულად გადაუხადეს ჩვენს სახელოვან წინაპარს ეს დიდი დამსახურება. დღეს ქართულად, რუსულად, უკრაინულად თანაბარი ძალით ჟღერს დავით გურამიშვილის პოემა „დავითიანი" რუსი პოეტის ზაბოლოცკისა და უკრაინელი პოეტის ბაჟანის თარგმანებში. დავით გურამიშვილს ისევე ახლობელად თვლიან რუსი და უკრაინელი მეგობრები, როგორც ჩვენ ქართველები. ეს არა ერთხელ გამოიხატა იმ მღელვარე დღეებში, როცა დავით გურამიშვილს იუბილეს ვუხდიდით საქართველოში, უკრაინაში და მოსკოვში. ამ მხრივ ჩვენი დიდი მგოსანი, მართლაც, ბედნიე-

რი პოეტია. სიმონ ჩიქოვანიც ამ განწყობილებით ამთავრებს თავის ლირიკულ პოემას:

სად ჩავატეე ამ ცხოვრების ამბავს,
რა დავხატო, ან მოგითხრო რომელი!
მირგოროდში ჩვენ ჩავძახებთ საფლავს
და ვერ ვამბობთ, ამაოა სოფელი!

შენც ვერ იტყვი: ვახ, სოფელო, მრუდევ!
თუმცა გვალვით დათუთქული წვალობდი.
წამოდექი, ნახე შენი ბუდე
და განგვბანე უკვდავების წყაროთი.

- სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში, საზოგადოდ, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის თემას დიდი ადგილი უჭირავს. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლექსების ციკლი უკრაინაზე („ზუბოვკაში", „ლესია უკრაინკას"), სომხეთზე („სომხეთის მთებში", „სევანის გზაზე", „სევანის ტბა"), რათა ნათელი გახდეს, თუ რა გულწრფელად უმღერის ჩვენი პოეტი ამ დიად გრძნობას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველს შეადგენს. ასეთივე პათოსით არის გამსჭვალული ლექსების წიგნი დემოკრატიულ გერმანიასა და პოლონეთზე. ეს ლექსები ჩვენს ყურადღებას იპყრობენ იმით, რომ აქ გამოხატულია ნათელი სურათი, საბჭოთა პოეტის თვალით დანახული, მოძმე პოლონელ ხალხთა ისტორიისა და მისი თანამედროვე ცხოვრებისა. რაც მთავარია, აქ მონახულია ის ისტორიული ფესვები, რომლებითაც ჩვენი ხალხი დაკავშირებული იყო პოლონელ ხალხთან.

ასეთივე მეგობრობის გრძნობითაა გამსჭვალული ლექსები დაწერილი გერმანელ ხალხზე, დემოკრატიული გერმანიის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე და მისი უდიდესი შვილების პატივსაცემად წარმოთქმული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი „გოეთეს საფლავთან" და „საბჭოთა დედა ბერლინში". სიმონ ჩიქოვანი ქართველ პოეტთა შორის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იმოგზაურა საზღვარგარეთ და საბჭოთა ადამიანის თვალით გააცოცხლა იქ ნანახი და პოეტის მიერ გაგონილი თუ წიგნებში ამოკითხული საინტერესო ფაქტები და მოვლენები. თვით პოეტის

შემოქმედებაში ეს იყო ახალი შენაკადი, თემატიკური და პოეტური ინტონაციის თვალსაზრისით, სადაც უფრო ნათლად გამოვლინდა მისი პოეტური ხედვა და საბჭოთა მწერლის პოზიცია.

ვერ ვიტყვით, რომ სიმ. ჩიქოვანის პოეზიაში ინტიმურ ლირიკას დიდი ადგილი ჰქონდეს დათმობილი. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენი პოეტის შემოქმედებაში სატრფიალო ინტონაციებს საკმაოდ გამოკვეთილი ხასიათი აქვს. უმთავრესი აქ ისაა, რომ რეალისტი პოეტის რომანტიკული გულისცემა თავისუფალია გადაჭარბებული აღტაცებისა და სევდისაგან, მელანქოლიური და ცრემლიანი განწყობილებისაგან. პოეტს არ უყვარს „ფიანდაზად" გაგება, არც ნაძალადევი ცრემლი. არა, სიმონ ჩიქოვანს ახასიათებს ჯიქური მისვლა სიყვარულთან, სატრფოსთან, მის ლექსებში ალერსიანი ტონი ნაკლებად იგრძნობა; ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა დაგვესახელებინა ლექსი „მიძღვნა". აქ გვხვდება გაუზვიადებელი, ზიზილპიპილებისაგან თავისუფალი ინტიმი პოეტისა:

მოგშორდები და მგონია თითქო
მე შენი გული მარქაფად მახლავს...
ჩემსავით ღელავს, ჩემსავით ფიქრობს,
მხოლოდ ერთ ვარსკვლავს უღიმის მაღლა.

პოეტი დარწმუნებულია თავის თავში, თავისი ინტიმის შინაგან ძალაში და ამ რწმენას ყოველთვის ოპტიმისტური ინტონაციები და განწყობილება მოსდევს.

მართლაც, მე ფიქრმა ადრე მაცნობა,
რომ ჩემი გული ბუდეა შენი,
შენა ხარ ჩემი ახალგაზრდობა
და მომავალი სიბერის დღენი.

პოეტს არ უყვარს გადაჭარბებული ფიცი და არც განებივრება სატრფოსი („თოვლი"), მაგრამ მას პოეტური სიფაქიზე, შეყვარებული კაცის სინაზე ზომიერად აქვს შემონახული. სიმონ ჩიქოვანს არც მიძღვნითი ხასიათის ლექსები აქვს

ბევრი. თავიდათავი ისაა, რომ პოეტმა იცის სიყვარულში გატანა და ერთგულება:

შენ საქართველოს ბუდეში მყავდი,
გეტრფიალე და გუმანით გენდე.
ჩემს სიკაბუკეს შენ გინახავდი
და ვერ დაგტოვებ სიკვდილის დღემდე.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკულ პოეზიას უაღრესად რეალისტური გადაწყვეტა აქვს მინიჭებული. პოეტის სულში ღრმად ალიბეჭდება სატრფოს კვალი, რომელიც დიდხანს წარუშლელად რჩება. ამისდა მიუხედავად, როგორც ზემოთ ითქვა, სიმონ ჩიქოვანი არ არის მინაზებული და დასევდიანებული სატრფიალო ლირიკის მომხრე, მის ლირიკაში, საზოგადოდ, არ არის ვარდბულბულიანი პოეტების ხმა და ინტონაცია მხარდაჭერილი, არც მეტად ნატიფია მისი ლირიკა, ის უფრო ბრძოლისა და ამბოხების პოეტია, და ამ ჟანრშიაც კი ჩვენი მგოსნის პოეზია მკაცრ რეალიზმს ემორჩილება.

ეს ჟამი დადგა, მეცვლება ფერი,
ველი დაჭკნა და მცირე ხნით მოთოვს.
მინდა მიწაზე ცხოვრება ჩემი
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.

სწორედ რომ ქარიშხლისა და ამბოხების პოეტია სიმ. ჩიქოვანი. სიწყნარესა და სიმშვიდეს პოეტი პრინციპულად ებრძვის, ქედის მოხრა და შორით ამბორი მის პოეტურ პრინციპს არ ეთვისება. ეს განწყობილება შესანიშნავად გამოხატა მან ლექსში „შინ შემოგაქვს ყვავილები“.

ქარმა ფრთა ვერ მომამტვრია,
ყანას ვმკიდი, ძმისთვის გავდგი ხიდი,
და არასდროს მინატრია
შინ მქონოდა სიწყნარე და ბინდი.
მეც ამიტომ ვუკრავ ბუკებს,
არ დავკარგოთ შრომის შნო და გემო.
არ დაგვშორდე, სიკაბუკევ!
არ დამშვიდდე, სიცოცხლეო ჩემო!

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, აგრეთვე, „საქართველოს ბუნების მშვენებაში აღმოცენებულ შთაბეჭდილებებს“. ჩვენ გზადაგზა მისი პოეზიის ეს

მხარეც განვიხილეთ, ასე რომ საგანგებოდ ამ საკითხზე არ შევჩერდებით.

როგორც ვნახეთ, თემატურად სიმონ ჩიქოვანის პოეზია მეტად მრავალმხრივია, დიდი საზოგადოებრივი და პიროვნული ტკივილების გამომხატველი, მძაფრი და მებრძოლი ინტონაციების აღმძვრელი. ყოველთვის გვიზიდავს მისი ლექსები პრობლემის მწვავე დაყენებითა და აქტუალობით.

* * *

მეტად თავისებურია და ორიგინალური სიმონ ჩიქოვანის მხატვრული სამყარო. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წლების განმავლობაში მისი პოეზია ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დაკვირვების, აზრთა სხვადასხვაობისა და კამათის საგანი იყო. თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთ მძაფრ კამათს იწვევდა სიმონ ჩიქოვანის პოეტური სამყარო, თავისთავად ლაპარაკობს ჩვენი შემოქმედის განსაკუთრებულ ადგილსა და მნიშვნელობაზე ქართულ პოეზიაში. მან თავის ლექსებზე თვითონვე თქვა, „მძიმეაო იგი". პოეტი კარგად გრძნობს ამ თვისებას და მაინც შეგნებულად, პრინციპულად მისდევს ამ სირთულის გზას*. სიმონ ჩიქოვანი ერთგან კიდევაც ეკამათება თავის თავს; რატომ არ ვიტყვი უბრალოდ, სადად, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, რომ გაიტაცონ ჩემი ლექსები და ხალხში გავიდესო. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „ტბასთან":

როს ლერწამი მოიხრება,
გადმოწვება ტბაზე ჩერო,
ვზივარ, ვფიქრობ: რა იქნება,
მეც სხვაგვარი ლექსი ვწერო.
ვთქვა სიმღერა სულ უბრალო,
ვიყო წყნარი, გასაგები
და ეპიროს ყოველ გამვლელს
ჩემი ლექსის გასაღები.

პოეტი თავისთავთან დიალოგს ასე ამთავრებს:

და ჩემს თავზე გულნაკლული
მე ავკინძავ სიტყვის მტევანს,

---

* გ. მარგველაშვილი, „ს. ჩიქოვანის პოეზია".

მაგრამ გული, ჩემი გული,
სტრიქონში არ ჩამეტევა.

სიმონ ჩიქოვანი ამ საკითხს უბრუნდება მეორე ლექსში, რომელსაც ჰქვია „მესამე მინაწერი". პოეტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შემოქმედებას, ნამდვილსა და ჭეშმარიტს, სირთულე უყვარს და მომავალი ეკუთვნის მხოლოდ მას, ვინც დაიმკვიდრებს სიახლის გრძნობას.

შემოქმედებას სირთულე უყვარს,
გასაგებად და სიმძაფრით თქმული.

ეს თეორია უძევს საფუძვლად სიმონ ჩიქოვანის პოეტურ კონცეფციას. ამიტომ შეგნებულად მიმართავს იგი გართულებულ მხატვრულ სახეებსა და მეტაფორებს და ლექსის მთელ კომპოზიციას რთულ მხატვრულ ხერხებს უმორჩილებს. ამავე დროს სიმონ ჩიქოვანისათვის ყოველთვის ამოსავალი პრინციპია სიახლის გრძნობა, ახალი კუთხითა და ახალი მიდგომით გაშუქება საგნებისა და მოვლენებისა. ამ მომენტსაც ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი:

შემოქმედებას სიახლე უყვარს
ცისარტყელის და ქუხილის ფერი.

თეორიულად სიმონ ჩიქოვანი თავის მხატვრულ კონცეფციას აფუძნებს ამ ორ ამოსავალ პრინციპზე: სირთულე და სიახლე. სწორედ ეს არის პოეტის თვალსაზრისით მთავარი პოეზიაში. იგი თანმიმდევრულად იცავს ამ კონცეფციას, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს, ხალხურობის, იდეურობის მომხრე იყოს. მას, როგორც რეალისტ პოეტს, ნამდვილად სწამს, რომ განყენებული, ხალხისაგან გამდგარი პოეზია ფიქციაა. იგი პრინციპულად პოეზიაში განდგომილობის მტერია, იდეურობის, საზოგადოებრივი ტკივილების მოზიარე, და მეხოტბეა:

მეც, მეგობრებო, მივდივარ აგრე,
ჩემი სიმღერით ხალხში ჩაწნილი,
ყოველი ჩემი პირადი საქმე
ხალხის ცხოვრების არის ნაწილი.
მართლაც ვერ ნახოს კაცმა წვალება,

თუ ფუტკარივით შრომობდა სკაში.
რა არი სულის გარდაცვალება?
ფერისცვალება, გადასვლა ხალხში.

ხოლო შემდეგ პოეტი ისევ აცხადებს: მე მზად ვარ მთელი ჩემი პოეტური სიტყვა ხალხის, მხოლოდ ხალხის სამსახურისთვის გავიღოო:

და გრძნობის ყველა მხურვალე წვეთი
ხალხს სიხარულის ცრემლივით მივცე...

სიმონ ჩიქოვანი ფერწერითი მანერის მხატვარია. სიტყვას, სიტყვითი ხელოვნების პრინციპს იგი სადღაც თავისებურად უპირისპირებს ფერების სიმფონიას. პოეტი ფერების შერჩევას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე სიტყვიერი ხელოვნების კანონებსა და წესებს. იგი აცხადებს: „ვგონებ ფერია შვენება ლექსის“, ხოლო შემდეგ კი უმატებს: „მთვრალი ბაღებში საღებავს ეძებს“. ფერების პოეტი უპირატესობას ფერწერას აკუთვნებს, ვიდრე მუსიკას, ვიდრე ამღერებას პოეზიაში. ამიტომაც აცხადებს:

ვერ შევუთანხმე გალობა სურათს,
ვერ შევაერთე ოცნება ორი,

ან კიდევ:

ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი.
ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური,
მე მხოლოდ ხილულ ჩვენებით ვივლი
და ბაღს მიაგავს პატარა გული.

ასე ნათლად აქვს დახასიათებული სიმონ ჩიქოვანს თავისი პოეტური მხატვრული პრინციპი, და აქ მას ვერ შევედავებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი პოეზიიდან დევნიდეს, საზოგადოდ, მუსიკას, რიტმს. არა, სიმ. ჩიქოვანს აქვს ბევრი ლექსი, რომლებიც რიტმის გრძნობაზეა დამყარებული. ამ მხრივ საინტერესოა „მარადიდში“:

თეთრი და თეთრი, თეთრი მერქნები.
თეთრი ქერქი და მწვანე კვირტები.

თითქო ჩაუცვამთ თეთრი ჩექმები,
და ტბორს აშრობენ ეკალიპტები.

ან კიდევ:

ცხრა მუხა. ცხრა მთა და ცხრა კარი, —
ცხოვრების გზა-კვალი ამ რიცხვით მითვლია,
შინ მოველ, მოვყევი ზღაპარი,
ცხრა ფუტკრის ყვავილი ცხრა ქვევრზე მინთია.

კიდევ ერთი მაგალითი:

მე ვარ წყარო,
უანგარო,
მთის ფერდობზე დაკარგული.
ცაო, ცაო, წინაპარო,
შენფერად ვარ დახატული!
ლაჟვარდივით უსახლკარო,
ქვებზე მხტომი ნაკადული...
. .
ცაო, ცაო, უწყინარო,
წვიმა უნდა მომახმარო,
რომ არ დავრჩე ნაკადული,
ცისარტყელად დახატული.
ეგებ მე ვარ შენი სული,
მთის ფერდობზე ჩამოსული.
ჩემი თხოვნა შეასრულე,
არ დამტოვო გულნაკლული...
. .
აღარ ვიყო დაკარგული,
ხალხმა ახლო დამინახოს
ცელქი, ცელქი ნაკადული.

ეს გრძელი ამონაწერი ჩვენ განგებ მოვიყვანეთ იმისათვის, რომ ნათლად დაგვენახვებინა, თუ როგორ შეიცვალა სიმონ ჩიქოვანის დამოკიდებულება რიტმთან, განსხვავებით ადრინდელი, ფუტურისტული ორკესტრული ლექსის რიტმისაგან. ეს იყო დიდი წინსვლა, სრულიად ახლებური ინტონაცია და რიტმი პოეტის შემოქმედებაში.

სიმონ ჩიქოვანი მეტაფორული სახეების მოაზროვნე პოეტია. მისი მხატვრული სახეები უმთავრესად მეტაფორებს ეფუძნება. მის ლექსებში შედარებებს, ეპითეტებს ყოველ-

თვის განსაკუთრებული მხატვრული აზროვნების ხერხის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ამ პრინციპს ემორჩილება ყველაფერი, — ხშირად თვით ენობრივი ქსოვილის სიწმინდეც ამ მეტაფორული მხატვრული აზროვნების პრინციპს ეწირება.

სიმონ ჩიქოვანის ლექსებისათვის დამახასიათებელი ღრმა, ქვეტექსტების სახით გააზრებული მხატვრული სურათები და სახეები ყოველთვის როდია ადვილად აღსაქმელი. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით მეტაფორული აზროვნების მიღმა ღრმა იდეებსა და ტკივილებს.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ლექსი „დედაჩემი“.

ეს სიუჟეტიანი ლექსი მოგვითხრობს, რომ პოეტს დედა ადრე გარდაეცვალა, მისი სურათი არ დარჩა და ამიტომ მას ვერ აღუდგენია დედის სახე. მაგრამ პოეტმა იცის, რომ დედამისი ხშირად იხედებოდა ჭაში, სახლის წინ რომ არის, და ეგებ, ამბობს იგი, აქ, ამ ჭაში, ჩარჩა სადმე სახება მისი, რომ ჩავიხედო და აღვადგინოო:

დედავ, ხატება არ დარჩა არსად,
ჭაში ვიცქირო, დამჩემდა სენი.
შენ ხომ იდექი გვიმიან ჭასთან,
ეგებ შიგ ჩარჩა სახება შენი.
ან იქნებ შენი ოქროს თმა არი
კოლხურ კერაზე ამდგარი ალი!
ეგებ ვაზია შენი ქამარი,
ხეს რომ ეხვევა ცოცხალი კვამლი!

ამას მოსდევს უაღრესად პოეტური, ინტიმური რხევა სულისა, დაკავშირებული დედის მოგონებასთან:

როგორც სკაშია ზუზუნი ფუტკრის, —
შენი ხმები მყავს გულის ბუდეში.
არ დამეკარგოს — სათუთად ვუვლი,
არ გამიფრინდეს ჩემი ნუგეში!

* * *

სიმონ ჩიქოვანის ერთ-ერთ ცნობილ ლექსში ასეთი მხატვრული სახე აქვს:

ეს მეტად რთული აზრობრივი სახეა და, თუ არ დავაკვირდით, ვერც კი წარმოვიდგენთ მას. იგულისხმება კი, რომ გლეხის სიმღერა — ურმული, მგზავრობის დროს რომ წარმოითქმის, ისე თანდათანობით ახლოვდება, ან შორდება დანიშნულ ადგილს, როგორც საღამო ახლოვდება თანდათანობით და ნელ-ნელა. საღამო ხანისა და ურმულის შორეული ხმაა აქ შედარებული. ერთი შეხედვით თითქოს უჩვეულო შედარებაა, მაგრამ, ვინც რთული მხატვრული სახეობრივი აზროვნების პრინციპს გაიზიარებს, ამ შემთხვევაში უნდა დაეთანხმოს სიმონ ჩიქოვანს. ასევე რთული მხატვრული სახეა —

ზღვაზე მზე დადგა, როგორც ირემი,
ალანდა რქები ტალღების ბროლში.

ირემი, მისი მოღერებული დგომა კლდეზე შედარებულია მზის ამოსვლას თუ ჩასვლას, ხოლო ტალღების ანარეკლით დანახულია ირმის რქები. ესეც მეტად ორიგინალური, რთული მხატვრული სახეა, თუმცა მეტად ძნელად გასაგები და ასათვისებელი.

პოეტის მიერ მოფიქრებული სურათი ასეთივე რთულ მხატვრულ პრინციპს ემყარება:

ზღვაზე მზე დადგა, როგორც ირემი,
ალანდა რქები ტალღების ბროლში,
როგორც ქალები ატყორცნილები,
ალვები დგანან სამეგრელოში.
შეირხევიან მეტყველ შრიალით,
გადიზნიქავენ შტოებს შვიარებს
და ზღვაზე გავლით სხივი წყლიანი
ალვებს ვარდისფერს გაუზიარებს.
დაეყრდნობიან გლეხები თოხებს...

რასაკვირველია, ეს მეტად რთული მხატვრული სურათია.

სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ შემოქმედებაში ძლიერად იყო შემოჭრილი გაუცნაურებაზე აგებული მხატვრული შე-

დარებანი და, ამის შესაბამისად, ძნელად წარმოსადგენი მხატვრული სახეები:

> მხოლოდ ბულბული მჯდომარე კერძოდ
> უსტვენს და ელავს, როგორც ქლიავი.

მეტად ძნელი წარმოსადგენია, ბულბულის სტვენა შევადაროთ ქლიავის ელვას. ან კიდევ:

> და კავზე გლეხი წელში მოხრილი,
> ეკიდა, როგორც ჩიბუხზე კვამლი.

სიმონ ჩიქოვანისათვის ასეთი ძნელად წარმოსადგენი სახეები, შედარებები და ეპითეტები საზოგადო დამახასიათებელი თვისებაა. ჩვენ შეგვიძლია კიდევ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

> ჰგავს მოხრილ დედას ყაყაჩო.
> კაბა აცვია ყირმიზი...
> მინდა გული კალათივით გავუწოდო...

ან კიდევ მთელი სტროფი:

> როგორც კერიის მართალი კვამლი,
> უნდა აბოლდეს ატმის ყვავილი,
> მას ამშვენებდეს ყივილი მამლის,
> რიჟრაჟად ყელში ამოყვანილი.

აქ პოეტს უნდა შექმნას სურათი გაზაფხულის განთიადისა. სახლის კერიიდან აბოლებული კვამლი, ატმის ყვავილები და მამლის ყივილი ქმნიან ამ სურათს, მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ეს მეტისმეტად გართულებული და ძნელად ასათვისებელი მხატვრული სურათია. ან გავიხსენოთ ასეთი შედარება:

> რთველი გრძელდება, როგორც მოთხრობა...

ეს მაგალითები ჩვენ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ მიგვეთითებინა, თუ რა რთულ მეტაფორული აზროვნების პოეტია სიმონ ჩიქოვანი. რასაკვირველია, ამის გვერდით პოეტს აქვს ნათელი, რეალისტური, მხატვრული სახეები, მეტად ორიგი-

ნალურად და საინტერესოდ მოფიქრებული. აი, ამის ნიმუშებიც და მაგალითებიც:

სარკმელში შევნიშნე ღრუბელი,
დედის თავშალი მეგონა.

ან კიდევ:

მთებზე მფრინავი ფანტელებია,
მე კი მგონია — ჰყვავის ტყემლები.

ეს შედარება სჭირდება პოეტს იმისათვის, რომ დაგვიხატოს თოვის სურათი. იმავე ზამთრის სურათს ხატავს პოეტი ნაძვის ხესთან შედარებით:

მეც დავედევნე ფრიალა ფანტელს,
თოვლში უქუდოდ ტრფობამ მატარა.
ნაძვის ხე ჰგავდა ანთებულ სანთელს,
მოხატულს ჰგავდა შენი ფანჯარა.

ეს სავსებით ნათელი და რეალისტური სურათია.

სიმონ ჩიქოვანს ხშირად ახალ ლექსებშიც აქვს ფუტურისტული შედარებები. აი, მაგალითად:

ფიქრი ეკიდა, როგორც ყურძენი.

ან კიდევ:

მზე ზღვაზე დაწვა და მოლოგინდა.

სიმონ ჩიქოვანის ლექსებში ხშირად შეგვხვდება ისეთი შედარებები და მეტაფორები, რომელთაც უაღრესად გადატანითი აზრობრივი მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად:

მეტეხის ციხე, — მეტეხის ციხე,
კლდეზე დადგმული, როგორც წუხილი.

აქ სავსებით საინტერესოდ ახერხებს პოეტი, მეტეხი წარმოგვიდგინოს, როგორც ხალხთა მწუხარების, ხალხთა ფიქრებისა და მოწინავე აზრების საპყრობილე. ასეთივე აზრობრივი შედარებაა ეს სტრიქონებიც:

და, როგორც დროშა, გეფინა,
მკერდზე ვაჟკაცის სახელი!

ასე მიმართავს პოეტი საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას, რომელიც კავკასიის მისადგომებთან დაეცა უთანასწორო ბრძოლაში და ამ გზით სავსებით გასაგებს ხდის მკითხველისათვის სამშობლოსათვის, მამულისათვის თავშეწირული ვაჟკაცების სახელისა და დიდების სიმბოლოს.

სიმონ ჩიქოვანის მხატვრული ხერხების დახასიათებისას მოვიყვანეთ, ჩვენი აზრით, რთული, მხატვრული აზროვნების მაგალითებიც და ისეთებიც, რომლებიც სწორედ პოეზიის კანონების ერთგვარ დარღვევას წარმოადგენენ. ზოგი მათგანი სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ შემოქმედებას განეკუთვნება. თვითონ პოეტი 1935 წელს, ლექსში, რომელსაც ჰქვია „პასუხის მაგიერ", მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ თუ რაიმე ჩემს სტრიქონებში ყალბია და ცუდად ისმის, ეს ჩემი ბრალი არ არისო:

მე თვითონ არ ვარ მისი მომგონი...

აქ სიმონ ჩიქოვანი გვანიშნებს სწორედ იმ ლიტერატურულ მიმართულებაზე, ფუტურიზმზე, რომლის პრინციპის გაზიარებამ მას ამგვარი სტრიქონები დააწერინა. თვითონ კი უფრო გვიან ამ გზას კრიტიკულად უყურებდა:

თუ შემეშალა წარსულში რამე,
ეს სიჭაბუკის ბორძიკი იყო,
მე ბეწვის ხიდზე გადაველ ღამე
და ცრემლი მომწყდა ვარსკვლავის სისხო.

სიმონ ჩიქოვანი მაშინაც კი, როდესაც იგი ცდებოდა და ახლაც, როდესაც მან საბჭოთა მწერლობის რეალისტური პოზიცია გაიზიარა, მუდამ ხალხის მხარეზე იყო და არის. მწერლობას იგი ისე უყურებდა, როგორც ხალხისადმი პატიოსან სამსახურს, „პოეტური წიგნი ხალხის ზრახვების მოზიარეა და დამოუკიდებელი სიცოცხლის მქონე არსება... პოეზია ცხოვრების მშვენიერების ხილვაა", სრულიად მართალი აღიარებაა. მწერლობა, მართლაც, ხალხის ზრახვების მოზიარეა, ცხოვრების მშვენიერების ხილვაა, მაგრამ პოეზია მაინც ბეწვის ხიდია, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სადაც სიცოცხლეა, იქ წარმატება და მარცხი დღედაღამესავით

ენაცვლებიან ერთმანეთს“. მაგრამ ამ გზაზე, ამ ძნელი ზიგ-ზაგებისა და ხვეულების გზაზე, სიმონ ჩიქოვანს მუდამ თვალწინ ედგა თავისი ხალხი და თავისი სამშობლო. ამიტომ მას ჰქონდა სრული უფლება განეცხადებინა:

მე შევეჩვიე ჩემს სიყმაწვილეს,
ჩემი აპრილის თავდახრილ იებს,
მე ხალხის გული გავინაწილე,
და ის ჭაბუკურ წლებს მაპატიებს.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ პოეტის ამ გულწრფელ სიტყვებს.

აკაკი ბელიაშვილი

ეს წიგნი უკვე შედგენილი ჰქონდა, როდესაც ქართულმა საბჭოთა მწერლობამ საკვლებით მოულოდნელად მძიმე დანაკლისი განიცადა. უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა გამოჩენილი ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი. ქართულმა მწერლობამ დაკარგა დაუშრეტელი ენერგიის შემოქმედი სწორედ მაშინ, როდესაც მისი ნიჭი მთელი სიძლიერით გადაიშალა. ქართველი მკითხველიც მისგან ბევრს ახალს, დიდსა და საინტერესოს მოელოდა. მოულოდნელად წავიდა ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტი ქართველი მწერლების რიგებიდან და თან წაიღო მრავალი დაუწერელი წიგნი, უკვე მოფიქრებული და დასაწერად გამზადებული.

აკაკი იონას ძე ბელიაშვილი დაიბადა 1903 წელს ქ. ჭიათურაში, ინტელიგენტის ოჯახში. მწერლის მამა იონა ბელიაშვილი სპეციალობით სამთო ტექნიკოსი, თავის დროზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. წერდა მცირე ფორმის ნაწარმოებებს, მოთხრობებსა და ლექსებს. მწერლობის სიყვარული პატარა აკაკიმ ოჯახშივე შეითვისა და ეს პირველი სიყვარული შემდეგ განვითარდა და გაღვივდა მის საინტერესო სალიტერატურო მოღვაწეობაში.

1919 წელს აკაკი ბელიაშვილი შეიყვანეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1921 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მოეწყო ამიერკავკასიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, რომელიც 1926 წელს დაამთავრა.

აკაკი ბელიაშვილი ლიტერატურულ საქმიანობას მოწაფეობიდანვე შეუდგა. გიმნაზიის მოსწავლე აქვეყნებდა მოთხრობებს, მინიატურებს, ხოლო თბილისში გადმოსვლის შემდეგ უფრო გააღრმავა ლიტერატურული მოღვაწეობა. ა. ბელიაშვილმა თავისი ხარკვევებისა და მოთხრობების სრული კრე-

ბული 1927 წელს გამოსცა. მისი შემოქმედება თემატურად და ჟანრობრივადაც უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. წერდა ის ნოველებს, მოთხრობებს, ნარკვევებს. განსაკუთრებით ნაყოფიერად აკ. ბელიაშვილის შემოქმედება გაიშალა სამამულო ომისა და მის მომდევნო წლებში, უფრო ნათელი გახდა მისი სალიტერატურო ინტერესები, უფრო გამოიკვეთა სამწერლო სტილი, უფრო გარკვევით ჩამოყალიბდა იგი, როგორც ქართული სიტყვის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატი. სამამულო ომის წლებში აკ. ბელიაშვილი გვერდში ედგა თავის ხალხს, როგორც შემოქმედი კაცი და ნერგავდა ჩვენს მკითხველებში საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადების გრძნობებსა და გამარჯვების რწმენას.

სამამულო ომის დღეებში გამოაქვეყნა აკ. ბელიაშვილმა ბრწყინვალე ისტორიული რომანი „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავალი", რომელმაც ავტორს დიდი სახელი და პოპულარობა მოუპოვა. ამ ისტორიულ თემაზე დაწერილ რომანს მალე მოჰყვა ღირსშესანიშნავი მოთხრობები და ნოველები თანამედროვე თემაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პროზაში აკ. ბელიაშვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი პროზაიკოსი იყო.

აკ. ბელიაშვილი ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1925—1929 წლებში იგი მუშაობდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, როგორც პრაქტიკანტი სტუდენტი. 1929 — 1930 წლებში თბილისის საშთო სამმართველოს ტოპოგრაფი იყო. შემდეგ აქვე მუშაობდა თბილისის მინერალოგიის ინსტიტუტში ტოპოგრაფად. 1933 — 1935 წლებში მუშაობდა ფბილისის გეოგრაფიული საზოგადოების გამომცემლობის გამგედ.

1935 — 1937 წლებში აკ. ბელიაშვილი თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების გამგეა. 1937 — 1940 წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირში ლიტერატურული კონსულტანტის თანამდებობაზე, ხოლო 1941 — 1949 წელს ისევ დაუბრუნდა თბილისის კინოსტუდიას სასცენარო განყოფილების გამგედ. 1949 წლიდან მოყოლებული აკ. ბელიაშვილი ვხოლოდ ლიტერატურული შრომით ცხოვრობდა.

აკ. ბელიაშვილს გამოქვეყნებული აქვს ნოველების, მოთხრობებისა და რომანების ოცდახუთამდე კრებული. მის კალამს ეკუთვნის კინოსცენარი „ნამდვილი კავკასიელი“, „ორი დათვი“, „ცეცის ხეობის საიდუმლო“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. აკ. ბელიაშვილი ითვლებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად და კინოკომისიის თავმჯდომარედ. საზოგადოებრივ დავალებებს იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა. ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

აკ. ბელიაშვილის სახით ქართულმა საბჭოთა მწერლობამ დაკარგა დიდი პატრიოტი, დაუცხრომელი შემოქმედი, მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი.

* * *

აკაკი ბელიაშვილი საჰწერლო-ასპარეზზე გამოვიდა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში. მწერლის ადრინდელ მინიატურებსა და ლექსებში იყო ცდა — კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციების უკუგდების გზით — ახალი, ნოვატორული პროზის შექმნისა. ჭაბუკობის პერიოდში მწერალი გატაცებული იყო ფუტურიზმით. ცნობილია, რომ როგორც ყოველ ქვეყანაში, ისე ჩვენშიაც ფუტურისტული ექსპერიმენტები მარცხით დამთავრდა.

ყველა ნოველა და მოთხრობა, რომანი და ლიტერატურული წერილები, რომლებითაც სახელი გაითქვა აკ. ბელიაშვილმა, მიეკუთვნება ორმოციანი წლების ქართულ საბჭოთა მწერლობას. რევოლუციამდელი მწერლობის თაობის წარმომადგენელი აკ. ბელიაშვილი, როგორც ოსტატი, თავის თავს მხოლოდ 40-იან წლებში მიაგნებს. პირველი დიდი მხატვრული ტილო, რომელმაც ბელიაშვილს გამარჯვება და დიდი სახელი მოუპოვა, არის რომანი „ბესიკი“, ხოლო უფრო ადრე — ნარკვევი „მოგზაურობა სვანეთში“. ამ ნარკვევში ვეცნობით საბჭოთა სვანეთის ცხოვრებას, მის ახალ ადამიანებს, ახალ ყოფას. აქ გვხვდება არა ერთი და ორი საინტერესო პასაჟი სვანეთის ცამდე აზიდული მთების ორწოხებში სახი-

ფათო მოგზაურობისა, რომანტიკული ეპიზოდები, ძველი და ახალი ყოფის კონტრასტული სურათები. პატრიოტი მწერალი გზადაგზა აკრიტიკებს სვანეთის შესახებ დაწერილ ნარკვევებს. ისტორიულ მიმოხილვებს და თავის მხრივ გვთავაზობს მოვლენებისა და ფაქტების ახალ ინტერპრეტაციას. მოგზაურობის აღწერის გვირგვინს წარმოადგენს თეთნულდის დაპყრობა და ამ ექსპედიციაში თვითონ მწერლის მონაწილეობა. დიდი უშუალობით არის დაწერილი ნარკვევის ის თავები და ეპიზოდები, სადაც მოთხრობილია სვანეთში ახალი გზებისა და ხიდების, ახალი დაბებისა და სახლების მშენებლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ ნარკვევს მალე მოჰყვება ნოველების მთელი ციკლი, რომლითაც ავტორმა, როგორც ნიჭიერმა ნოველისტმა და მცირე მოთხრობების ოსტატმა, უმალვე მიიპყრო ყურადღება. თემატურად ეს ნოველები მრავალმხრივია. მთავარი აქ თანამედროვეობის თემაა. მწერალი მეტად მწვავე და საჭირბოროტო საკითხებს ეხება. ეს ე. წ. მხიარული ნოველები, პამფლეტები, ესკიზები, მამხილებელი ხასიათის მცირე ფორმის ქმნილებანი აქტუალურად ეხმაურებიან ჩვენს თანამედროვეობას. აკ. ბელიაშვილის სამწერლო სტილისათვის დამახასიათებელია ანეგდოტური, გავრცელებული ამბავის, თავისებური გამოყენება და გარდაქმნა. ავტორი ცდილობს ყოველთვის მძაფრი ხასიათი მისცეს ამბავს და სიუჟეტში შეიტანოს ისეთი დეტალი, რომელიც ერთბაშად ნათელს ხდის მწერლის სათქმელს. ექსპოზიციის მასალა ნოველაში მოულოდნელ განვითარებას პოულობს და ფინალი სწორედ ამ მოულოდნელობით გვიპყრობს. საზოგადოდ, ასეთი ფინალი უყვარს ნოველას და მის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებადაა აღიარებული. ხოლო ბელიაშვილი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. („ღირსეული სასჯელი", „ზვავი" და სხვ.).

აკ. ბელიაშვილის ნოველების დახასიათებისას ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ აქ სიტყვიერი მასალა ემორჩილება ამბის მოყოლას და მისი განვითარების ლოგიკას. მწერალი ბუნებრივად ჰყვება, არ ეძებს სიტყვებსა და ფრაზებს, მას არ უჭირს ამბავის გამოგონება. ამ თვალსაზრისით ქართულ

პროზაიკოსთა შორის ბელიაშვილი ყველაზე ნაყოფიერია. ამავე მხატვრულ ხერხში ერთი საშიშროებაა: სიტყვიერი მასალის თუ ეპიზოდების შერჩევისათვის ჩვენი მწერალი დიდ ენერგიას არ ხარჯავს და თავისუფალი, ძალდაუტანებელი თხრობის ეს ხერხი, რომელსაც მწერალი მიმართავს, ართმევს მას საშუალებას, იყოს მკაცრი მომთხოვნი ენობრივი ფაქტურისა და ნაწარმოების შინაარსობრივი სტრუქტურის მიმართ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ აკ. ბელიაშვილის ნოველებში უხვად შეიპარება ხოლმე ზედმეტი ადგილები, ეპიზოდები და ფრაზები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, საერთოდ, დიდ ნაყოფიერებას ხშირად თან სდევს მწერლობაში ზოგი დეტალის, პასაჟისა თუ ეპიზოდის მხატვრული დამუშავების სრულყოფის ნაკლოვანება. ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც აკ. ბელიაშვილის ნოველებზე ვმსჯელობთ.

აკაკი ბელიაშვილის ნოველების ერთი ჯგუფი იუმორისტული ხასიათისაა. მისი ინტონაციები მსუბუქია და გამჭვირვალე, — აქ გაკილვაც არის და დაცინვაც, მხილებაცა და პროტესტიც. ასეთი მსუბუქი ინტონაციები და იუმორისტული ხასიათი, საზოგადოდ, აკ. ბელიაშვილის სამწერლო სტილის დამახასიათებელი ნიშანია. ამ გარეგნულად თითქოს უდარდელი ტონებისა და მსუბუქი ინტონაციების მიღმა ნათლად მოჩანს მწერლის, როგორც საბჭოთა მოქალაქის, პოზიცია.

დებულების საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი.

„ღირსეული სასჯელი“ ნიშანდობლივი და მეტად საინტერესო ნოველაა ბელიაშვილის შემოქმედებაში. ამბავს ჰყვება ვიღაც კირილე. გმირი თვითონ უამბობს მწერალს იმ კომიკური მდგომარეობისა და სიტუაციების შესახებ, რომელშიც ჩავარდა იგი. ამბავის გარეგანი სამოსელი ფრიად ტრაგიკულია. კირილეს მეზობელს უჩა მარგულაძეს, ამ ლამაზსა და ახოვან ვაჟკაცს, ლამაზი ცოლი ჰყავდა. ისინი ერთი წლის შეუღლებულნი იყვნენ, როდესაც ომი დაიწყო. უჩა ფრონტზე წაიყვანეს. დარჩა სახლში ქალი, რომელსაც არავინ ჰყავს, გარდა ერთი გადაყრუებული დედაბერისა. კირილეს მოეწონა უჩას ცოლი. ამ უკანასკნელს, მართალია,

ომში წასული ვაჟკაცის შიში აქვს. მაგრამ მაინც სიყვარულმა თავისი ქნა და ეს ქალი ცოლად შეირთო. არ გასულა ერთი კვირაც და კირილეს სადგურზე შეხვდა ფრონტიდან დაბრუნებული უჩა მარგულაძე. შეამჩნია თუ არა კირილემ ხუთი თუ ექვსი ახალგაზრდა ვაჟკაცებით გარშემორტყმული ოქროს სამხრეებიანი უჩა, ამჯობინა ჩუმად გასცლოდა იქაურობას. უჩამ თვალი მოჰკრა ცოლის მომტაცებელს და მოიხმო მასთან, კირილეს საქციელის შესახებ უამბო თავის მეგობრებს და მათ კითხვით მიმართა: „რა ეკუთვნის ასეთ კაცს? სიკვდილი არ ეკუთვნის ჩემი ხელით? ეკუთვნის ხომ? — დაავლო უცბად ხელი, გადაეხვია და გადაკოცნა. ჰა, ნუ გეშინია, მოკიდე ამას ხელი, — უთხრა უჩამ, ცარიელი ჩაის ჭიქა მიაწოდა, შიგ ბოთლი ჩააყუდა, თითქო მთელ ბოთლს ამ ჭიქაში უპირებდა ჩაცლას, — შენ იმისთანა პატივი მეცი, რომ მაგას როგორ დავივიწყებ; ფრონტზე განგებ ვუშვერდი შუბლს ტყვიას, როცა წარმოვიდგენდი, რომ მაგ ქალი ისევ უნდა დამხვედროდა სახლში“. თურმე, როდესაც უჩა ფრონტზე გაიწვიეს, ცოლთან გაყრილი ყოფილა, ეს მეზობლებმაც იცოდნენ. მაგრამ კირილეს არ გაუმხილეს იმის შიშით, ვაითუ ცოლად არ შეირთოსო. მეზობლებს ამ აშარ ქალისაგან თავი ჰქონიათ მობეზრებული და მის მოცილებაზე ოცნებობდნენ.

მოულოდნელ ფინალში გამოიკვეთება ნოველის ხასიათი, მისი იუმორისტული შინაარსი...

ერთი მხრივ, შიში ფრონტზე წაული ვაჟკაცის წინაშე, რომელსაც ცოლი წაართვეს და, მეორე მხრივ, კომიკური სიტუაცია, ამ გმირების შეხვედრით გამოწვეული, ნოველას უფრო საინტერესოს ხდის. ეს ნათლად მეღავნდება გმირების სულიერ განწყობილებაში, ამბავის განვითარებაში, ფერებისა და საღებავების ურთიერთ შენაცვლებაში.

ნოველის დასაწყისის დრამატულ ფერებს, განწყობილებასა და საღებავებს ბუნებრივად ენაცვლება ნოველის ფინალის კომიზმი, მხიარული ფერები და საღებავები.

იუმორისტული ხასიათისაა, აგრეთვე, ნოველა „ქუთათურთა ფანდები“.

აქ რევოლუციამდელი ცხოვრების ერთი საინტერესო

ეპიზოდია მოთხრობილი. ქუთაისში სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრთა არჩევნებია. ორი ქლესა აზნაური — კალისტრატე და დიომიდე — თავის თავს კანდიდატებად ასახელებენ. მოხდა ისე, რომ არჩევნების დროს ხმები გაიყო: ორივემ სამოც-სამოცი ხმა მიიღო. ეს ოცდაერთი წევრიდან ერთი არ ესწრებოდა. შინ დაბრუნებული კალისტრატე გულისტკივილით უამბობს ცოლს ამ მომხდარ ამბავს და ეძებს იმ ერთ ამოვრჩეველს, ვიღაც ორხელიძეს, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა არჩევნებში. საუბარში გამოირკვევა, რომ ეს ორხელიძე კალისტრატეს ცოლის ნათესავია. ის მეორე დღეს უნდა ჩამოვიდეს ქუთაისში. კალისტრატე ამ საპატიო სტუმარს მეუღლითურთ დახვდა სადგურზე, შინ წაიყვანა, აქეიფა და თავის ხვაშიადი გაუმხილა. სხვადასხვა მიზეზების გამო არჩევნებს ერთი კვირით დააგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში კალისტრატე შინიდან არ უშვებდა სტუმარს, იმის შიშით, რომ მას სადმე დიომიდე არ შეჰყროდა და არ გადაებირებინა. მაინც ასე მოხდა: კალისტრატეს სახლიდან გამოპარულ ორხელიძეს დიომიდე საგულდაგულოდ რესტორანში შეიპატიჟებს, დაათრობს, ფულს შეჰპირდება და მიიმხრობს. მაგრამ მოხერხებულ კალისტრატეს რა გამოეპარებოდა! საპატიო სტუმარს ფეხსაცმელი ჰქონდა დასაკერებელი, კალისტრატემ გაუჭიანურა მისი შეკეთება, ამის გამო ორხელიძემ არჩევნებს ვერ მიუსწრო, განმეორებითმა არჩევნებმა გაჰარჯვება კალისტრატეს არგუნა.

ამ იუმორისტული ხასიათის ნოველაში ნათლადაა გადმოცემული ძველი დროის იოლი ცხოვრების მაძიებელთა კენჭისყრა, კინკლაობა და დავიდარაბის ისტორია, რომელსაც ადგილი ჰქონდა რევოლუციამდელ საქართველოში. ამავე დროს ნაწარმოები საინტერესოდ და განზოგადებულად გვიხატავს იმ ოინბაზურ ხერხებს და ფანდებს, რასაც იშველიებდნენ ეკონომიურად და სულიერად გაღატაკებული თავადაზნაურული წოდების წარმომადგენლები თავისი თავის გადასარჩენად, არსებობის გასახანგრძლივებლად.

აკ. ბელიაშვილის ნოველებში დიდი ადგილი ეთმობა ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა სახეებს, რევოლუციური საქართველოს პირველ დღეებს, საქართველოში საბჭოთა ხე-

ლისუფლების დამყარების ამბებს. ამ მხრივ საინტერესოა პატარა ნოველა „სპარტაკელი". აქ მოთხრობილია ახალგაზრდა სპარტაკელის, ლეჩხუმელი ბოლშევიკის — არჩილის თავგადასავალი. მენშევიკებმა სასტიკი რეჟიმი დაამყარეს, ციხეები გაავსეს მოწინავე მებრძოლი ბოლშევიკებით, რომელთაც ვერაგულად უმასპინძლდებოდნენ, ხვრეტდნენ, საპყრობილეში ალპობდნენ. მათი ჩვეულებრივი ვერაგული ფანდი ასეთი იყო: საღამოობით ტუსაღი ციხიდან გამოჰყავდათ, ვითომ სხვაგან გადაყვანის მიზნით, გზაზე ჩურჩულით ეტყოდნენ, გაიქეცი, ბიძია, თუ გინდა, თავს უშველეო, როდესაც ტუსაღი სიხარულით გადაადგამდა რამდენიმე ნაბიჯს გასაქცევად, რაჟდენი მიაყოლებდა ზურგში ტყვიებს და მეორე დღეს არხეინად კითხულობდა ადგილობრივ გაზეთში ქრონიკას გაქცევის დროს ტუსაღის მოკვლის შესახებ. აი, რაჟდენ ქკიტირელს გვარდიელებისაგან მიეცა დავალება ამავე ფანდით მოესპო ბოლშევიკი არჩილი, მაგრამ დაკვირვებული და კონსპირაციულ მუშაობაში გამოწრთობილი ახალგაზრდა არ წამოეგება მტრების ანკესზე და ისე მოახერხებს, რომ თავს დააღწევს მენშევიკების მზაკვრულ სასჯელს. საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლი სპარტაკელი არჩილის სახე საინტერესოდაა გამოხატული ამ ნოველაში.

მენშევიკური საქართველოს უბადრუკობის დღეები, ინგლისელი ჯარისკაცების პარპაში თბილისში საინტერესოდაა გადმოცემული აკ. ბელიაშვილის ნოველაში, რომელსაც ჰქვია „ბაგრატა". ინგლისელების ჯარში ინდუსებიც არიან. მათ შორისაა ვიღაც ზემბოც, რომელიც ბაგრატამ გაიცნო. გათავხედებულმა ინგლისელმა ლეიტენანტმა პაიკმა ქართველი ხანჯლიანი ჯარისკაცი, რომელიც მატარებლის ვაგონის ქვეშ ძვრებოდა, ხიშტით განგმირა. „ის იყო გაძვრა კიდეც ორ ვაგონს შუა, რომ ამ დროს ტალანზე მდგარმა ინგლისელმა ლეიტენანტმა პაიკმა ინდუს ჯარისკაცს ჯუნგოს ხელიდან ხიშტიანი თოფი გამოგლიჯა და თავწახრილ ვაყას ხიშტი კისერში ჩასცა". ამ ამბით აღშფოთებული გვარდიელები ინგლისელი ჯარების გენერალს მოსთხოვენ, რომ დამნაშავე გადასცენ დასასჯელად,

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გარშემორტყმულ ინგლისელთა ეშელონს გაანადგურებენ. ინგლისელი გენერალი მენშევიკების გვარდიას, ინგლისელი ოფიცრის ნაცვლად, ორ ინდუს ჯარისკაცს ჩააბარებს. გვარდიელებიც კმაყოფილი არიან. ხოლო ინგლისელ გენერალს არაფრად ენაღვლება ინდუსები ისევე, როგორც ქართველები.

„ესენი რა შუაში არიან, — უცბად შეედავა ბაგრატა და ჯარისკაცების ორმოცდაათ სისხლიან თვალებს თამამად შეხედა. — ნესტორა მოკლა ოფიცერმა, ამათ კი არ მოუკლავთ. — პოლკოვნიკმა გაკვირვებით გადახედა ბაგრატას. — შენ რომ საუკეთესო მსროლელი არ იყო, ასეთი თავხედობისათვის, იცი, რას გიზამდი?“

დამოწმებული დიალოგიდან ყველაფერი ნათელია. მშრომელ, რიგითს ადამიანებს როგორც ინგლისელი დამპყრობლები. ისე მენშევიკი გვარდიელები აბუჩად იგდებენ, ფეხქვეშ თელავენ. ამ ნოველაში მხილებულია მენშევიკური მთავრობის უბადრუკობაც და მისი ჯალათური როლიც. ნოველაში — „ბეჭედი“ ა. ბელიაშვილმა იუმორისტულად გამოხატა მენშევიკური მთავრობის გაქცევის დღეები. გაქცეულ მთავრობას თან მიაქვს საქართველოს სიმდიდრე. ბეჭედი დარჩებათ, ვერ ასწრებენ მონახვას, რადგან შიში აქვთ ბოლშევიკებისა და თავქუდმოგლეჯილი გარბიან. ხალხი სიცილითა და ხარხარით აცილებს კუდამოძუებულ მენშევიკების გვარდიას.

დიდ ინტერესს იწვევს ნოველები, სადაც გამოხატულია ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს დღეები. ამ ნოველებში კონტრასტული მდიდარი ფერებითაა ნაჩვენები, თუ როგორ შეიცვალა საქართველოს ცხოვრება, ჩვენი ადამიანების მდგომარეობა, მათი ხასიათი და განწყობილებანი. ასეთია, მაგალითად, ნოველა „ციალა“. აქ ავტორი მოგვითხრობს, ფარსადანის, ამ ბეჯითი და გამრჯე გლეხის, ახალი ცხოვრების შესახებ.

ფარსადანი ცხრა ქალიშვილის მამაა, არ იქნა და ვაჟიშვილი არ შეეძინა. ეხლა იგი მეათე შვილს ელოდება და, თუ ეს მეათეც ვაჟიშვილი არ იქნა, მას სოფელში არ დაედგო-

მება. მოხდა სამწუხარო ამბავი: ბებიამ კვლავ მეათე ქალიშვილის დაბადება აცნობა. გულისტკივილით აღმოხდება გულმოკლულ გლეხს: „რა ღვთის რისხვაა ამ ჩემ თავს, ქე მაინც ვიცოდე? პიანინოს გავატან მზითვად, კი, ბატონო, პიანინოს, მანამდე არ ადგა მათი გვერდები“.

პიანინო ფარსადანს ზურაბ აბაშიძის სასახლეში ენახა. გავიდა დრო, ცხოვრება შეიცვალა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ფარსადანის ათივე ქალიშვილი თავის ადგილს იპოვის ცხოვრებაში, ხოლო ამ მეათე ქალიშვილმა, ციალამ, უმაღლესი განათლება მიიღო, ცხოვრებაში დაწინაურდა და პიანინოც შემოიტანა ფარსადანის სახლში. ასეთი ყოფითი დეტალის მიხედვით ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორ შეცვალა რევოლუციამ გლეხკაცობის ყოფა და ბედი.

აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში ფართოდ აისახა ჩვენი ხალხის თანამედროვე ყოფა, საბჭოთა ადამიანების ხასიათი და განწყობილება. მწერალი ყოველთვის ცდილობდა ნოველების თემა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მძაფრი, აქტუალური საკითხები ყოფილიყო. ასეთია, კერძოდ, მოთხრობების ციკლი, რომელიც მიეძღვნება სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას, უფრო სწორად, სოფლად ახალგაზრდობის დამკვიდრებას, სოფლის დოვლათისა და სიკეთის შექმნაში მათი მონაწილეობის საკითხს. ახლა, როდესაც ნათლად დგება ჩვენს წინაშე საკითხი სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნისა, მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, სოფლის ქალაქის ტიპად გარდაქმნისა .და მისი მიახლოებისა ქალაქის ეკონომიურ და კულტურულ დონესთან. ამ კითხვებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თემას მიუძღვნა აკ. ბელიაშვილმა ნოველები: „მოვალეობა“, „აღდგენილი ხილი“, „ვადიდოთ ალალი მარჯვენა“. ახალგაზრდა მიტოს (ნოველა „მოვალეობა“) თავდავიწყებით უყვარს მეგობარი გოგონა ტასო. ორივენი ქალაქელი ახალგაზრდები არიან. მიტომ საინჟინრო განათლება მიიღო, ტასოს სამკურნალო ფაკულტეტი დაუმთავრებია. მიტო შორეულ მთებში გააწესეს სამუშაოდ, ტასო, რომელიც მეშჩანური ქალის თვალით უყურებს ამ ცხოვრებას, არ მიჰყვება შორეულ მთებში მიტოს და უარით ისტუმრებს

საქმროს. ტასო ასე ფიქრობს: „რა სისულელეა, გავთხოვდე და მაშინვე სადღაც მივარდნილ სოფელში, უდაბურ მთაში წავიდე საცხოვრებლად?“ მართალია, მან საექიმო დაამთავრა, მაგრამ არა სამსახურისთვის. მიტოს კი კარგად ესმის მოვალეობა ახალგაზრდა კაცისა, და მიემგზავრება მთებში სამუშაოდ. გაჯიუტებულ ქალაქელ მეშჩან ტასოს ბოლოს და ბოლოს ჯანმრთელობის სამინისტროში აიძულებენ სოფლად გაემგზავროს. სწორედ ამ დროს მასთან მოაქვთ მიტოსაგან გამოგზავნილი ბარათი, საიდანაც ახალგაზრდა ქალი გაიგებს, რომ უბედური შემთხვევის გამო მიტო გარდაიცვალაო, მაშინ ტასო მიდის იმ შორეულ მთებში. გზად მიმავალს მომცინარი სახით ხვდებიან მიტოს მეგობრები და ტასოც ფიქრობს: „ხომ არ მატყუებენ... აჰ, ნეტავი მართლა მატყუებდნენ, მოგონილი იყოს, მიტოს მოგონილი. ვფიცავარ, სუყველაფერს ვფიცავარ, სიკვდილამდის აღარ დავბრუნდები ქალაქში, ოღონდ ეს ამბავი მოგონილი იქნებოდეს!“. ავტორი წერტილს სწორედ აქ სვამს. მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს ამბავთა შემდეგი განვითარება: ავტორის ტენდენცია იმას ეფუძნება, რომ სოფლად ყველა პირობაა, რომ ახალგაზრდა კაცმა იშრომოს, კარგად იცხოვროს და ვინც ამას გაურბის, მას არ ესმის ამ ცხოვრების რომანტიკა, მოვალეობა თავისი ხალხისა და თავისი სამშობლოს წინაშე.

მწერალი ამავე საკითხს დაუბრუნდა მეორე ნოველაში, რომელსაც ჰქვია „აღდგენილი ხიდი“. აქ ავტორმა თავისებური, ორიგინალური ხერხით წარმოგვიდგინა თავისი ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება. ავტორს ახალგაზრდა ქალიშვილი, ნელი სპირიდონის ასული ვაშაკიძე ბარათს სწერს, ამ ბარათს ასეთი შენიშვნა აქვს მიწერილი: „თქვენი დავალება შესრულებულია, ხოლო მაპატიეთ, რომ ბარათი გამოვაქვეყნე. ისე კარგად არის აღწერილი თქვენი თავგადასავალი, რომ ცოტაოდენი შალაშინი გავკარი და შესაძლებლად მივიჩნიე დამებეჭდა, როგორც მოთხრობა. იმედი მაქვს, არ გამიწყრებით“. რასაკვირველია, ეს ავტორის ხერხია და მეტად საინტერესოც. ბარათის შინაარსი კი ჩვენი ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვან საზოგადო საკითხს შეეხება. აქ

ახალგაზრდა ქალიშვილი, ქალაქელი ნელი ვაშაკიძე ავტორის პირით გვამცნობს, თუ როგორი გულისტკივილით დატოვა მან ქალაქი ტასოს მსგავსად (ნოველა „მოვალეობა“). „დავიწყე მუშაობა, მაგრამ ჩემ გულს არაფერი ახარებს. არც ის, რომ გარშემო თვალწარმტაცი და მომხიბლავი ბუნებაა, ასწლოვანი ხეები, შესანიშნავი ჩანჩქერები, ხავსმოკიდებული ღობეებით შემკულ-შელამაზებული, სოფელში ელექტრონი, საღამოობით კინო ან წარმოდგენა, ჟურნალ-გაზეთები, ბიბლიოთეკა — ყველაფერი, რაც თანამედროვე განათლებულ ადამიანს სჭირდება... მაგრამ მე მაინც გულჩათუთქული დავდიოდი“. გადის დრო, ნელი შეეჩვია სოფელს. აქ შეხვდა იგი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე გიორგის, რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია, თავის სოფელს დაბრუნებია, როგორც რიგითი კოლმეურნე და დაუცხრომლად შრომობს. გიორგის დედა ავად გაუხდა და, აი, მიიწვიეს ექიმი ნელი. აქ ნელი დაწვრილებით გაეცნო ამ ვაჟკაცის შრომითს ბიოგრაფიას. ასე მსჯელობს გიორგი: „შრომა ყველა ერთია, ფიზიკური იქნება ის თუ გონებრივი... რასაკვირველია, არიან ისეთები, რომლებიც, რაკი წიგნი ვისწავლეთ, ამგვარ შრომას თაკილობენ; ცხადია, ყველა როდია ასე, მაგრამ ასში ერთი რომ ერიოს, ერთი ანდაზის არ იყოს, ყველას გასვრის, ყველას სახელს გაუტეხს, მირჩევნია ალალი ლუკმა ვჭამო და ფიზიკური შრომით მექნება ის მოპოვებული, თუ გონებრივი შრომით, ამას რა მნიშვნელობა აქვს! ქვევრები ღვინით მაქვს სავსე, კოდები — ხორბლით, სარდაფში ბლომად მაქვს ლორი და აპუხტი, ძროხაც მყავს, ღორებიც, ქათმებიც. სტუმარი ჩემთვის ყველაზე სასიხარულო და საამური ადამიანია, ჟურნალ-გაზეთები მომდის. ამ დღეებში მსუბუქ მანქანასაც შევიძენ. მთებში ჯეირნებზე ვნადირობ, ბარში — ხოხბებზე. ამავე დროს ინგლისურად ვკითხულობ ტეკერეისა და გოლსუორსის რომანებს, და განა ცუდი ბიჭი ვარ იმის გამო, რომ მიწის მუშა ვარ, ის გლეხკაცი ვარ, რომელმაც საქართველო ათეული საუკუნის მანძილზე შეინახა!“ ამ მსჯელობაში ახალგაზრდა კაცის სულის დიდი რომანტიკა და სილამაზეა. გიორგი ახალი ცხოვრების კვირტია, რომლის გაშლა ჩვენი ცხოვრების ლოგიკას ეფუძნება. ეს აზრი ავ-

ტორს კარგად აქვს გადმოცემული და ამის მიხედვით დახატულია სიყვარულის ჩატეხილი ხიდი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ აღწერა „ოთარაანთ ქვრივში“. ახალმა ცხოვრებამ სულ სხვაგვარად გადაწყვიტა ლამაზი ქალაქელის ნელისა და სოფლელი ვაჟკაცის გიორგის ურთიერთობა. ნელიმ გიორგის მაგალითზე ნათლად დაინახა და შეიგრძნო, რომ ჩვეულებრივი ყოველდღიურობის მეშჩანური განწყობილებებისა და ცხოვრების მიღმა არის უფრო ლამაზი და დიადი ცხოვრება, და მან გულით შეიყვარა ეს სოფლელი გლეხი გიორგი. ისტორიულად ჩატეხილი ხიდი აღდგა.

მართალია, ამ მოთხრობას აკლია სიღრმე ზემოხსენებული დიდი პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ ის კონკრეტული მაგალითი, რომელიც აქაა მოყვანილი, სავსებით ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა სოფლის ცხოვრება და როგორი დიდი რომანტიკისა და მაღალი სულიერი ინტერესების სამყარო გახდა იგი.

საკითხთა ამ წრეს აგვირგვინებს მესამე ნოველა „ვადიდოთ ალალი მარჯვენა“. აქ უკვე გიორგი ჯალაბაური მოგვითხრობს ნელი ვაშაკიძის წერილის გაგრძელებას, თუ როგორ შრომობს და იღვწის გიორგი სოფლად, თუ რა შეუძლია ნამდვილ შრომასა და საქმის გონიერ გაძღოლას, ორი კოლმეურნეობის მაგალითზე გვიჩვენებს ხალხური თქმულების სიბრძნეს — ქვეყანა წამხედურობით ყეთდება და წამხედურობითვე ირღვევა! გიორგის სოფელში ერთი კოლმეურნეობა წინ მიიწევს, მეორე კი უკან რჩება. რატომ? — კითხულობს იგი. ავტორი უპასუხებს: „ორივე სოფელს ხომ ერთნაირი მიწები გვაქვს, ერთნაირი ბუნება, ერთნაირი ხალხი გვყავს. მაშ, რა მოხდა? რა მიზეზია, რომ ერთი კოლმეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზით მიდის, უხვი მოსავალი მოყავს, ხოლო მეორე, ჩამორჩენილი, ერთსა და იმავე ადგილზე იტკეპნება? რატომ და, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ თუ ერთ სოფელში კოლმეურნეობას საქმიანი ხელმძღვანელი ჰყავს, ახალგაზრდები გულმოდგინედ შრომობენ, გამჭრიახი ჭკუა აქვთ და ერთიმეორეს კარგ ბიჭობაში ეჯიბრებიან, მეორე სოფელში საწინააღმდეგო ხდება“. ნოველაში

მართლაც ნაჩვენებია, თუ რა გარდამქმნელი ძალა აქვს კოლექტიურ შრომას, კეთილად და გონივრულად წარმართულს.

როგორც ვთქვით, ნოველებში აკ. ბელიაშვილი აღძრავს თანამედროვეობის მეტად მტკივნეულ და აქტუალურ საკითხებს. მწერალი ჩვენი დროის მხატვარია, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარე ცენტრშია, მუდამ და აქტიურად ეხმაურება ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის რომანტიკას.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ა. ბელიაშვილმა ნოველების მთელი ციკლი გამოაქვეყნა. ესენია „ქორწილი სოფელში", „სიყვარულის სამკუთხედი", „უმცროსი", „ორი თამარი" და სხვ.

„ქორწილი სოფელში" გვიხატავს ომიდან დაბრუნებულ ვაჟკაცის — სოლიკოს სულიერ განწყობილებასა და ინტერესებს. სოლიკო მამაცურად იბრძოდა სამამულო ომის ფრონტზე, იცავდა ჩვენი მამულის, ჩვენი ხალხის ღირსებას. უთანასწორო ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა, ომიდან შინ ცალხელა დაბრუნდა. ნაომარ ჯარისკაცს ყველაზე უფრო ის აწუხებს, რომ ასე უდროოდ გამოეთიშა თავის თანამებრძოლებს და, ამავე დროს, სატრფომ, ნათელამ, შეიძლება ამ ცალხელა კაცზე უარი თქვას. მაგრამ ნათელა სულ სხვანაირად მსჯელობს. მას ძლიერ უყვარს თავისი მეგობარი. ნათელა მოსვლისთანავე შესთავაზებს სოლიკოს ეხლავე სოფლის საბჭოში წავიდეთ და ხელი მოვაწეროთო. ასეთი გადაწყვეტილება ერთბაშად იმ გარემოებამაც მიაღებინა ნათელას, რომ, როცა ის სატრფოს სანახავად მოვიდა, აღელვებული სოლიკოს დედა მეორე ოთახში გავარდა და ცხარე ცრემლს აფრქვევდა იმის გამო, რომ ახლა ჩემს ბიჭს ნათელა ცოლად არ წაჰყვებაო. სოლიკოს კი ეგონა, ნათელას ვეცოდები და ამიტომ თანამოგრძნობსო. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— ვიცი, რაც გინდა მითხრა. მე თუ ეს ხელი სამშობლოს შევწირე, ვითომ შენც გინდა გმირობა ჩაიდინო და სამაგიერო მსხვერპლი გაიღო.

— ჩემო კარგო, სამშობლო უხილავი არსება ხომ არ გგონია. შენი სამშობლო მარტო მიწა-წყალი კი არაა. მშობლები, მეზობლები, ნათესავები, სატრფო... — ამ სიტყვის

თქმა თითქოს გაუჭირდა ნათელას, მაგრამ მაინც თქვა, — უამათოდ სამშობლო გექნებოდა?!“

ნათელას ამ სიტყვებში მკვეთრად ჩანს, რომ ყველა ისინი, ვინც შეუპოვრად იბრძოდნენ და იცავდნენ სამშობლოს, ამავე დროს იცავდნენ ჩვენი დედებისა და ცოლების ნამუსს, იცავდნენ ბავშვებს, მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს. ამიტომ იყო ჩვენი ახალგაზრდობის შეგნებაში განსაკუთრებით გამახვილებული მეგობრობის, ძმობის, ურთიერთგაგების გრძნობები და განწყობილებანი, სწორედ, სამამულო ომის დღეებში.

ნოველაში „სიყვარულის სამკუთხედი“ ავტორი საინტერესოდ გვიხატავს ფრონტზე წასული ანდროსა და ციცინოს სიყვარულის ამბავს. ანდროსა და ბეჟანა, ორ მეგობარს, ერთი ქალი ციცინო შეუყვარდათ. ანდრო ფრონტზე გაიწვიეს, ბეჟანი კი სამხედრო ნაწილში დაიწუნეს და ზურგში დარჩა. ციცინომ ფრონტზე წასულ ანდროს შეჰფიცა სამუდამო მეგობრობა. გადის დრო, ანდროს წერილი არ ჩანს. ბოლოს და ბოლოს ბეჟანის დაჟინებულ სიყვარულს ციცინო სიყვარულითვე უპასუხებს. სწორედ ამ დროს, როცა ხელი უნდა მოაწერონ, ანდროს ბარათი მიიღეს, — ანდრო ცოცხალი ყოფილა. ბარათი ბეჟიკოს ჩაუვარდა ხელში. მან, როგორც მეგობარმა, არ გადამალა ეს ბარათი, საცოლეს მოუტანა, თვითონ კი იქაურობას გაეცალა და ქალაქში წავიდა. ასე ამაღლებულად გამოხატა მწერალმა მეგობრობის გრძნობა.

მეგობრობისა და სიყვარულის თავისებური ამბავია მოთხრობილი ნოველაში, რომელსაც ჰქვია „ორი თამარი“. სანამ ფრონტზე გაიწვევდნენ, მიტოს სოფლელი შავთვალა თამარი უყვარდა. ფრონტზე მყოფ მიტოს ხშირად მოსდიოდა სიყვარულის გრძნობებით აღსავსე ბარათი შავთვალა თამარისაგან. „ეს გრძნობა უადვილებდა მიტოს ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც ფრონტზე ხვდებოდა, თხრილში იწვა თუ დაზვერვაზე მიდიოდა, მას არასოდეს ავიწყდებოდა შავთვალა თამარის წამწამებზე დაკიდული ალმასისებური ცრემლები“. და აი, ფრონტზე დაიჭრა მიტო, იგი ბოდავს და ახსენებს თამარის სახელს. თვალს გაახელს და დაინახავს, თავზე

ადგას ქერათმიანი ქალი, რომელსაც თურმე თამარი ჰქვია. მან ომის ქარცეცხლი გამოიარა ქერათმიანი თამარის სიყვარულით, და როცა დაჭრილი კაცი სახლში გამოისტუმრეს, თან წამოჰყვა ეს სიყვარული. სახლში დაბრუნებულს ამბავი დახვდა: შავთვალა თამარი ფრონტზე წასულა. „მიტომ კედლიდან თამარის სურათი მოხსნა, ფრთხილად აკოცა და მოულოდნელად იგრძნო, რომ თვალებზე ორი ცრემლი დაეკიდა“. სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა. ასე ალამაზებს, აკეთილშობილებს ამ მეომარ ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებს სიყვარული... მწერალი ამაღლებულად გვიხატავს მათს სატრფიალო თავგადასავალს.

საზოგადოდ, აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო მოტივებს. „პირველი პაემანი“, „სუსტი ქმნილება“, „ძალა სიყვარულისა“, სწორედ, ამ თემაზე დაწერილი ნოველებია. უნდა ითქვას, რომ მწერალს დიდ საზოგადოებრივ ძალად მიაჩნია ადამიანის ეს ინტიმური გრძნობა.

აკ. ბელიაშვილმა ამ მოტივს განსაკუთრებით ძლიერად გაუსვა ხაზი ნოველაში — „ძალა სიყვარულისა“. „სიყვარულს დიდი რამ შესძლებია, ნამეტნად დიდი“, — ამბობს ავტორი. სოფლელი „ნესტანი“ — ტასო, ეს ახალგაზრდა ქალიშვილი, გაიოზს უყვარს, მაგრამ ამავე სოფელში მას ხუთიოდე მეტოქე ჰყავს. სწორედ ამ დროს ახალგაზრდებს სამგორის სამუშაოებზე გზავნიან. „ნესტანი“ გაიოზს ურჩევს. გაემგზავროს, — რომ არ წახვიდე, ხმას აღარ გაგცემ, — მიმართავს იგი თავის შეყვარებულს. გაიოზი მიდის, მაგრამ გული სოფელში რჩება, რადგან მეტოქე ვაჟკაცები სოფლად დარჩნენ. გაიოზმა თავი ისახელა შრომაში. კორესპონდენტები და რეპორტიორები მისი ხშირი სტუმრებია, სურათს უღებენ, გაზეთში მის შესახებ წერილებს ათავსებენ. სოფლად დარჩენილი „ნესტანი“ კითხულობს ამ წერილებს და უფრო და უფრო უღვივდება მისდამი სიყვარული. ტასომაც ისახელა სოფელში თავი, ბოლოს შრომაში სახელგანთქმული გაიოზი და მერგოლური ტასო — ეს მოწინავე ადამიანები — სარაიონო შეკრებაზე ხვდებიან და ერთმანეთს გადაეხვევიან, როგორც შეყვარებულები. ასე გვიხატავს მწერალი სიყვარუ-

ლის ძალას, რომელმაც სასახელო საქმეები ჩაადენინა ახალგაზრდა მიჯნურთ.

აკ. ბელიაშვილი მთელ რიგ ნოველებში ამხელს და კიცხავს მექრთამეებს, ცხოვრების ამ პარაზიტებს, იოლი ცხოვრების გზის მოყვარულებს. ასეთია, მაგალითად, ნოველა „სვირინდება“.

ნოველას წინ უძღვის ეპიგრაფად სულხან-საბა ორბელიანის შემდეგი სტრიქონები: „სვირინდება მრავალი გამოვიძიე: ლათინურს ლექსიკონში ლაქად გამოითარგმნა, ხოლო ელინურს ლექსიკონში გარყვნად“. აქ გამოყვანილია ვიღაც უცოდინარი ექიმი, რომელიც სოფლად მოხვდება და მექრთამეობასა და გარყვნილებას მისდევს, ჩირქს სცხებს თავის პროფესორს. მან გლეხის ავადმყოფი ბავშვი პროფესორს წარუდგინა, თავის დისწულად გამოაცხადა და სთხოვა უმკურნალოს მას. ნამდვილად კი ამ ბავშვის მშობლებს მოსთხოვა ოცი ათასი მანეთი, ვითომც პროფესორის გასამრჯელოა. ეს მექრთამე შემდეგ სოფლიდან გარბის. მწერალი ნათლად გვიხატავს, რომ ჩვენი ცხოვრება დაუნდობლად ებრძვის ამ იოლი გზის მაძიებლებს. ასეთივე ხასიათისაა ნოველა „იუსტინეს ხაფანგი“. მექრთამე იუსტინე, ძველ დროს ყალთაბანდობას მიჩვეული, ჯარში წასაყვან ახალგაზრდა ბიჭებს. მუხლებში ძუას უყრიდა და უხვად იჯიბავდა ფულებს. იგი მხილებული იქნა ჩვენი საბჭოთა ჯარის შესაკრებ პუნქტში. „გზა აბნეულში“ კი მოთხრობილია, თუ როგორ გადაჰყვა ალიმენტებს ახალგაზრდა ტიტიკო. სადაც კი მოეწყო სამუშაოდ ეს ვაჟბატონი. ყველგან თავს აცხადებდა უცოლო კაცად, მაგრამ ყველგან მიაგნებდნენ და ალიმენტს ახდევინებდნენ. ბოლოს სწორედ იქ მოკალათდა, სადაც დირექტორად მისი მეუღლე იყო. აქაც დაეძებენ ტიტიკოს სასამართლოს მუშაკები. როცა იგი ელენეს (ყოფილი ცოლის) წინაშე წარდგა, სინდისის ქენჯნამ შეიპყრო, „სხვისი ცხოვრების გზის ამბნევი თვითონ იდგა გზააბნეული და არ იცოდა სად წასულიყო“.

ნოველების ერთი ჯგუფი, როგორც ვთქვით, ხასიათდება მსუბუქი იუმორით და მარტივი ფერებით.

აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში გვხვდება ტრაგიკული ხასიათის ნოველებიც, რომელთა შესაბამისად ფერებიცა და

საღებავებიც ამავე ინტონაციებს ემორჩილება. ასეთია, კერძოდ, აკ. ბელიაშვილის „ზვავი“. ამ ნოველის თემა სვანეთის ძველთაძველი ტრადიცია — სისხლის აღებაა. ნადირობის დროს სვანმა ყასბულათმა ხელში დაჭრა ცოლის ძმა კადირბი. კადირბი თვითონ არ იყო ბომბრე ეს საქმე გაეზვიადებინა, მაგრამ მისი მოგვარეები — არღვლიანები საქმეში ჩაერევნენ და მოითხოვეს სისხლის აღების წესით ჩოფლიანებს სასტიკად გასწორებოდნენ. ბოლოს იმით ბორიგდებიან, რომ ყასბულათი კადირბის საქონლით და სახლის აგებით გადაუხდის სისხლის საფასურს. შურით შეპყრობილი არღვლიანები დასცინიან კადირბის, რომ მან სისხლი ქონებაზე გაყიდაო. გონებაამღვრეული კადირბი ყასბულათის ბიძას — დავით ჩოფლიანს, რომელიც სახლს უშენებდა მას, — ტყვიით განგმირავს, თვითონ კლდე-ღრეში გადაიკარგება. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ტანისამოსშემოფლეთილი, მორალურად დაცემული ბრუნდება თავის სოფელში. მის გარშემო შემოიკრიბებიან თანასოფლელები. იგი ტიტველი ფეხით თოფის სასხლეტს გამოსწვევს თავის მოკვლის მიზნით. ნოველა თავდება იმით, რომ ყასბულათი და სიკვდილს გადარჩენილი კადირბი დამეგობრდებიან. ავტორი ასე გვანიშნებს ამ ახალი ცხოვრების საწყისს: „აღმასკომის შენობაზე ფრიალებდა წითელი დროშა. ორივე იწყებდა ახალ ცხოვრებას“.

ასეთივე დრამატული ინტონაციებითაა დაწერილი აკ. ბელიაშვილის ერთი საუკეთესო ნოველა „მწუხრი ტრფობისა“. აქ აღწერილია ეკატერინე ჭავჭავაძის ცხოვრების მიწურული, როდესაც ეკატერინე სამთავროს უფროსობიდან გადაყენებული, განიარაღებული, გატეხილი ფიზიკურად და სულიერად, პეტერბურგში გაიწვიეს. მას თან მიაქვს თავისი საყვარელი ნივთები. ამ ნივთებს შორის მისთვის ყველაზე ძვირფასია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული ლექსების პატარა რვეული. ეკატერინემ გადაფურცლა რვეული და გულიდან აღმოხდა: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი...“ დაიძრა ყველაფერი, წავიდა სადღაც შორს, უკან ჩამორჩა და მიიმალა ჯერ სალხინოს სასახლე, მერე სამეგრელოს სამთავრო, მერე კავკასიონის ღრუბლიანი მთები და წინ გადაეჭიმა დიდი, გაუთავებელი ტრამალები“. იგი დიდხანს

კითხულობდა ლექსებს. „როდესაც დედოფალს ლოყებზე ცხელი ცრემლები დაუცურდა, სინათლის ალი ისევ გაიზარდა, ოთახს სინათლე მოეფინა და... პატარა ხელნაწერ წიგნად შთენილ პოეტს მხოლოდ ახლა დაეფრქვია, ციურთა ცვართა ნაცვლად, სატრფოს ცრემლები“.

აკ. ბელიაშვილის ამ საინტერესოდ შესრულებული ნოველების გვერდით გვხვდება სუსტი ნოველებიც, სადაც ადამიანთა ხასიათები მეტისმეტად მარტივად არის გახსნილი, მხატვრული ფერებით ღარიბი და სუსტია. ამგვარი ნოველების რიცხვს ეკუთვნის „წერილი და გვირგვინი“, „გასტროლიორი პროვინციაში“, „ქალმასობა პოეტთა“ და სხვ.

მიუხედავად ამ ცალკეული სუსტი ნოველებისა, სრულიად უდავოა, რომ აკ. ბელიაშვილის სახით ქართულ საბჭოთა პროზას ჰყავდა შესანიშნავი მხატვარი-ნოველისტი, რომელიც ნაყოფიერად ემსახურებოდა ამ ჟანრის განვითარებას.

* * *

1948 წელს სამ წიგნად გამოქვეყნდა აკაკი ბელიაშვილის რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. იგი საქართველოს ისტორიის ყველაზე მწვავე და ყველაზე საინტერესო (ქართლის ბედის გადამწყვეტ) პერიოდს შეეხება. ჩვენს თვალწინ იშლება საქართველოს ძლიერი სამეფო დინასტიის უკანასკნელი ფურცელი. აქვეა მოცემული ერეკლეს ძიებები საქართველოს გადარჩენისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ბელიაშვილის ისტორიული რომანი უაღრესად აქტუალურად ეხმაურება თანამედროვეობის პრობლემას.

აკ. ბელიაშვილის რომანის უპირველესი ღირსება ისაა, რომ იგი სწორად აშუქებს მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიულ ვითარებას, მის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

მართალია, რომანის მთავარი გმირი ბესარიონ გაბაშვილია, მაგრამ ცხოვრება და მოღვაწეობა ამ დიდი მგოსნისა ერეკლესა და მისი მეფობის ისტორიულ ფონზე იშლება. ერეკლე მეფე, რომელიც თავისი ვაჟკაცური და გმირული თავგადასავლით თავად არის განსახიერება თავისუფლების-

მოყვარე ქართველი ხალხის ძლიერი სულისა, საინტერესოდ არის წარმოდგენილი რომანში.

ერეკლე მეფის გმირული და ეაქკაცური თავგადასავალი ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართველი რომანტიკოსების საყვარელი თემა იყო. რომანტიკოსების შეგნებით, საქართველოს დამოუკიდებლობა ერეკლე მეფით დამთავრდა. „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“ — ქართველი რომანტიკოსების ნაწარმოებებში უმეტესად ამ ასპექტით იყო წარმოდგენილი ერეკლე მეფე. სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა რეალისტურმა მწერლობამ. ქართველი რეალისტი მწერლები, და ამ შემთხვევაში აკ. ბელიაშვილიც, ამ გზას მიჰყვება: ერეკლე მეფე ავტორის მიხედვით სწორად ჭვრეტს საქართველოს მომავალ ისტორიულ პერსპექტივას. რითაც დიდმა სარდალმა და სახელოვანმა მეფემ ჩვენი ქვეყანა იხსნა თურქ და ირანელ დამპყრობელთა საბოლოო მონობისაგან. როგორიც არ უნდა იყოს მასალათა ინტერპრეტაცია, მაინც ფაქტია, რომ ერეკლე მეფის ხანა საქართველოს ისტორიის ერთი ყველაზე ტრაგიკული ხანაა. ერეკლე მეფის ნიჭმა და მისმა სამხედრო უნარმა ააცდინა საქართველო ისტორიულ კატასტროფას. აი, როგორ აღწერს ალექსანდრე ორბელიანი ერეკლე მეფეს: „ერეკლეს დროის მსგავსი დასაღუპი დრო არასოდეს არ მოსვლია ჩვენს ქვეყანას... თუ ერეკლე არ გაჩენილიყო ქვეყანაზე, დაგარწმუნებთ, საქართველო დაითქმეოდა მტრებისაგან... შემიძლია თამამად ვთქვა, მეფე ირაკლის დროის ქართველობას ეკადრება მამულის მოწამეობის გვირგვინი. მეფე ირაკლიმ 62 წელიწადი მოუსვენრად მოუარა ქვეყანას და მარადის ხმალს სცემდა მტერს. იმის მამულის ომები დიდი და მცირენი რამდენიმე ათასია. საცა არც ერთ ომში არ დაჭრილა და არც ტყვიას გაუკაწრავს, მაშინ, როდესაც, რომ შუაგულს ომებში იბრძოდა ხოლმე ყოველთვის მტრის ტყვიაში გახვეული. ამისთანა დაუჯერებელი მაგალითები არც გაგონილა და არც იქნება მგონი არასდროს“. მაგრამ იგივე ალექსანდრე ორბელიანი იძულებულია შენიშნოს, რომ გარეშე მტერთა ძლიერებამ და შინაგანმა შუღლმა და მტრობამ დააუძლურა მაშინდელი საქართველო. სინანულით შენიშნავს ალ. ორბე-

ლიანი: „ამისათვის იტყვიან, ციხე შიგნიდან გატყ-
ვება, ისე მაშინ იყო საქართველოს საქმე. მეფე ირაკლის
მტრობის გულისათვის იმისი მტრები საქართველოს ღუპავ-
ენენ განუკითხავად. უფალი იესო ქრისტე ერთმა იუდამ გა-
ყიდა და მეფე ირაკლი ბევრმა იუდებმა“.

აკ. ბელიაშვილს ეს ტრაგიკული თავგადასავალი, მე-18
საუკუნის საქართველოსი და მისი სახელოვანი მეფისა, ოს-
ტატურად გამოუყენებია რომანში. ასევე ნიჭიერად არის
გამოყენებული ბელიაშვილის მიერ არანაკლებ ტრაგიკული
ვჩირის ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრება. ბესიკის ცხოვრება
თავად არის შესანიშნავი რომანი. ბესიკი — პოეტი, მიჯნური
და პოლიტიკური მოღვაწე, სახელმწიფო და საეკლესიო
ინტრიგების ქსელში გაბმული, აშუღი, დარდიმანდი, ორთა-
ჭალის ბაღების „ბულბული“, კარისკაცი და დიპლომატი,
სახელმწიფო მოღვაწე, — აი ის მრავალფეროვანი, მადლიანი
მასალა, რომელიც აკაკი ბელიაშვილს ხელთ ჰქონდა და, უნ-
და ითქვას, მწერალს ეს მასალა შესანიშნავად გამოუყენე-
ბია. რომანში ბესიკის ავტობიოგრაფიული ცნობები უხვადაა
ჩართული, მაგრამ აკ. ბელიაშვილი ბრმად როდი მიჰყვება ამ
ცნობებს. იგი, როგორც შემოქმედი, ლიტერატურული გამო-
გონების გზით ამდიდრებს წყაროებს, ახალ ჟღერასა და ახალ
შინაარსს აძლევს მათ.

გაზაფხულით გამოცოცხლებული თბილისი კრწანისის,
სეიდაბანის, გარეთუბნის თეთრად და ვარდისფრად გადაშ-
ლილი ბაღები, სასახლის შადრევნებით და ბანზე გადმოფე-
ნილი ხალიჩებით, საზეიმოდ მორთული ქუჩებით ემზადება
დიდი მეფისა და სახელოვანი მხედართმთავრის პატარა კახის
შესახვედრად. ყრმობის მეგობრები — ბესიკი და პეტერ-
ბურგიდან ახლად დაბრუნებული სუვოროვის საბრძოლო გა-
მოცდილებით შეიარაღებული დავით ორბელიანი დილიდან-
ვე თბილისის ზღუდეთა და ციხე-სიმაგრეთა დათვალიერებას
შეუდგებიან. ქართველ პატრიოტებს დედაქალაქის ციხე-სი-
მაგრეთა დათვალიერება ფიქრთ აღუძრავს და ისინიც მსჯე-
ლობენ საქართველოს აწმყოზე, მის მომავალზე. ფიქრები-
დან გამორკვეული ბესიკი ასე მიმართავს დავითს:

„ჩვენს ქვეყანაზე ვფიქრობდი, დავით, ნანგრევებიღა

ვართ. თამარის შემდეგ დავკნინდით. განა ამაზე მეტი უფრო დაკნინება ოდესმე გვხდომია წილად? აბა, დახედე ჩვენს ქალაქს: მხოლოდ ტაძრები დარჩენილან წარსულის დიდებისაგან. რამდენი ქალაქია ქვეყნად თბილისზე გვიან დაფუძნებული, მაგრამ რაოდენის სიმდიდრითა და სიკეთით აღსავსე. ჯერ მარტო სულხან-საბა აღწერს თავის თვალით ნახულს რაოდენ ქალაქს. პატრი დომინიკი მეუბნებოდა, თბილისი ულამაზესი ქალაქი არის, მაგრამ ღარიბიაო. ან რაით უნდა ავშენდეთ? ამდენჯერ აოხრების შემდეგ რომ ეს სახე შევინარჩუნეთ, ისიც საკვირველია. ახლა ვფიქრობდი, რა იქნებოდა, ჩვენი ქალაქი დიღმის ველებამდე რომ იყოს გაშენებული, გაღმით კიდევ ღრმა ღელემდე, ისარივით სწორი შუკებით გადასერილი, სწორედ ისეთი, როგორც, შენის სიტყვით, პეტერბურღი არის. მარჯვნივ და მარცხნივ დიდი, ორ ან სამ სართულიანი სასახლეები, ხეივნები, ბაღები, ქვით მოფენილი ფოლორცები, ცხენგაბმული ეტლები, კარეტები, დიდ-დიდი თეატრები, შუკებზე ფეხშეწყობით მოსიარულე გაწვრთნილი ლაშქარი, ისეთი, რომ უცხოელთა დესპანებს შიშის ზარსა გვრიდეს. განა იქნება ოდესმე ასეთი თბილისი? იქნებ ასის ან ორასის წლის ან კიდევ ათასი წლის შემდეგ იყოს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, აი ისეთი მოურავის მაგვარ მეურვეთა ხელში ჩვენი ქალაქი სულ აღიგავოს".

ბესიკი მას შემდეგ, რაც ერეკლე მეფემ ზაქარია გაბაშვილი თბილისიდან განდევნა, მეფის კარზე დარჩა. ჯერ დავითი გამოუჩნდა მას მფარველად, შემდეგ ერეკლეს დედინაცვალი ანა ხანუმ და ბოლოს ლეონ ბატონიშვილი იყო მისი პატრონი, მაგრამ ბესიკს ბედმა არ გაუღიმა, თუმცა მას არა ერთხელ ჰქონდა საშუალება დაწინაურებულიყო ერეკლეს კარზე. მეფემ მას ჯერ იყო და ნახევარი მდივნობის თანამდებობა უბოძა, შემდეგ ასპინძის ომში გამარჯვებულმა მეფემ — მდივნობის თანამდებობა. იგი ერთხანს ირანშიაც გაგზავნა მეფემ შაჰის კარზე დესპანად, სადაც მან, ორი თვის ნაცვლად, თითქმის ორი წელი დაჰყო. აქ ის ერეკლეს ტახტის მოქიშპეს, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა და მასთან მეგობრული ურთიერთობა გაიბა, რამაც მეფის ყურამდის მიაღწია. ირანიდან დაბრუნებული ბესიკი თანამდებობიდან

გადააყენა მეფემ. და აი, აქ იმას მფარველად ლეონი მოევლინა. უშუამდგომლა და კვლავ დაუბრუნა სამეფო კარს. შემდეგ ლეონმა იგი პეტერბურგში გაიყოლია. მაგრამ არც პეტერბურგის დესპანობას მოჰყოლია სასურველი შედეგი. მეფეს ჰქონდა მიზეზი ბესიკით უკმაყოფილო ყოფილიყო. ამას ემატება მისი სამიჯნურო თავგადასავალი. ბესიკი გაუმიჯნურდება ერეკლე მეფის დას ანას. ამავე დროს ასეთივე სატრფიალო ისტორია აქვს მას ანას შვილიშვილთან — ანიკოსთან და დარეჯანის მსტოვართან—მაიასთან. ამ მიჯნურობის ქსელში გაბმული ბესიკის თავგადასავალი სასახლის კარის მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ამას დაემატება ანტონ კათალიკოსის გულისწყრომა, ბესარიონის სატრფიალო ლექსებით გამოწვეული, და ყველაფერი ეს მეფე ერეკლეს აიძულებს განკარგულება გასცეს, დააპატიმრონ ახალგაზრდა ჭაბუკი. შემდეგ ბესიკი ლეონის საშუალებით ტყვეობას თავს აღწევს და გულისტკივილით ტოვებს საყვარელ თბილისს. ასეთია რომანის ძირითადი სიუჟეტური ქარგა. რომანში უხვადაა მოცემული საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი ეპიზოდები. კოლორიტულადაა დახატული ერეკლე მეფე, რომელიც დღედაღამ იღვწის იმისათვის, რომ განამტკიცოს და მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქციოს ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფო. აი, როგორ მოთხოვნილებას უყენებს იგი თავის თავს და სამეფო კარის ყოველ წევრს:

„— ამქვეყნიური ცხოვრების მრავალ სიამოვნებაზე ხელის აღებას თვით ქრისტე ღმერთი გვასწავლის, ხოლო ყველაზე მეტად ეს სამეფო სახლის წევრებს მოეთხოვებათ. არ დაგავიწყდეს, რომ ისეთ მაღლობზე ვდგევართ, სადაც ყველა გვხედავს, ხოლო ჩვენ თვითონ კი ვერავის ვამჩნევთ. ამიტომ ჩვენი ყოველი მოძრაობა, ყოფაქცევა თვალსაჩინოა და ყველასთვის შესამჩნევი. ჩვენი ცუდი მოქმედება ერთი ასად გამოჩნდება. ამისთვის ბევრ ისეთ რამეზე უნდა ავიღოთ ხელი, რაც უბრალო ერისკაცს სრულიად არ ეზრახვის, ჩვენთვის არც ჭამა შეიძლება ძღომამდე, არც სმა თრობამდე, ჩვენ ქვეყნის სამსხვერპლოდ განწირული ხალხი ვართ. ჯობია ვი-

ლოცოთ. ლოცვა გაგვამხნევებს და მრავალ გაჭირვებას ადვილად აგვატანინებს“.

მეფე ერეკლე დღედაღამ დარაჯად უდგა მთელს ქვეყანას, ხმალამოღებული და ფხიზელი. „წელიწადი უნდა ვიფიქრო, რომ ერთი ღამე მოვისვენო“, — ამბობს ერეკლე, მაგრამ პატარა კახი ხედავს, რომ საქმეს ესეც არ შველის. „მართალია, „თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითაო“, მაგრამ ჩემი სიფხიზლეც რომ არ შველის? მალაჩინის მამას, მალაჩას, ხუთჯერ მარცხი ვაგემე და სანამ არ შემომაკვდა — კარგი ვაჟკაცი იყო უბედური — არ დაცხრა. მალაჩინიც სამჯერ დავამარცხე, შერიგებაც ბევრჯერ ვცადე. ფიცი დაუდევს, კოხტა ბელადს მიწოდებენ და ეს ხმალი არ მერტყას, თუ ერეკლეს ჩემი ხელით თავი არ მოვკვეთო. არა, არც სულთანის, არც ქერიმხანის მოყვრობა ჩვენ არ გვარგებს. განა არ ვიცი. რისთვის ცდილობენ იმათთან ჩემს შერიგებას? მაგრამ გზა უნდა შევცვალო, აღავ.“—ასე მიმართავს ერეკლე მეფე სამეფო კარის განთქმულ ვაჭარს იბრეიმს და მას რუსეთიდან საქონლის მოზიდვას ურჩევს. თვითონაც გადაწყვეტს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს და საქართველოს ამით მოსვენება მოუპოვოს.

ერეკლე მეფეს მოსვენებას არ აძლევს იმის ფიქრიც კი, რომ მისი ქვეყნის საუკეთესო ნაწილი სამცხე-საათაბაგო და ტაო-კლარჯეთი საქართველოს ეს უძველესი კულტურის კერა სხვას რომ ეკუთვნის. მას თავის მასწავლებლის, მწიგნობარი იასეს, სიტყვები ახლაც ყურში უწევს: „ჩვენი ქვეყნის აკვანია ეს კუთხე, შვილო, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი, ამ აკვანში ახლა სხვისი ყმა აწვენია“. მეფე ერეკლე თავისი ქვეყნის ღირსების და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი, საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების აზრით შთაგონებული, ვიღაც გერმანელი გადამთიელის, სამშობლოს გამყიდველის ტოტლებენის ათასგვარ შეურაცხყოფას იტანს. ერეკლემ იცოდა, რომ როგორც კი ტოტლებენი საქართველოს დატოვებდა, იმ წუთშივე საქართველოს ყოველ მხრიდან მგლების ხროვასავით შემოესეოდნენ ჩასაფრებული მტრები, თურქი და ირანელი დამპყრობლები. „ამის გამო შიშობდა ერეკლე და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ

რუსის ჯარი საქართველოდან არ გაეშვა. ტოტლებენისგან ყოველგვარ შეურაცხყოფას იტანდა, თავს იმდაბლებდა, იცოდა, მტრები ჯერ კიდევ იმიტომ ვერ ბედავდნენ თავდასხმას, რომ რუსის ჯარის შიში ჰქონდათ და დროს უცდიდნენ".

ერეკლე მეფეს მტკიცედ გადაუწყვეტია, საქართველოს დიდი რუსეთის მფარველი კალთა გადააფაროს. იგი მტკიცედ ამბობს: „რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომლის საფარველ ქვეშ იქნებ სული მაინც მოვითქვათ და ჩვენი დაქცეული ქვეყანა ხელახლად ავაშენოთ".

ერეკლე მეფე ამიტომ არ გაება ტოტლებენისა და მეფის რუსეთის მოხელეთა ინტრიგების ქსელში. გერმანელი ყოყლოჩინა გენერალი ტოტლებენი, ეგოისტური ზრახვებითა და ანგარებით, მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა რწმუნებით, ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს ღალატობს ერეკლე მეფეს. ერეკლე მაინც რუსეთისაკენ გეზს არ იცვლის. იგი ხედავს რუსი ხალხის, რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მისწრაფებას — მეგობრული კავშირი დაამყარონ სახელოვან მეფესთან, ერეკლესთან. როდესაც რუსი ოფიცრები ერეკლეს გმირულ თავგადასავალს მოისმენენ, გულწრფელად ამბობენ: „ასეთ სარდალთან სიკვდილიც სასიამოვნოა". რუსმა ოფიცრებმა იციან, თუ ვინ არიან ტოტლებენი და მეფის გამყიდველი მოხელეები. ისინი უკმაყოფილონი ტოტლებენის ქცევით, ამბობენ: „მაგის თათბირებს ყველა ნუ ენდობით, ღალატს ჩვეულია უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი. ეგ არც ჩვენ გვნაღვლობს რუსებს და ქართველების დარდი ხომ სულ არა აქვს". ტოტლებენს სძულს საქართველო და მისი მეფეც. „მას არ მოსწონდა არც ეს კლდოვანი საქართველო, არც ეს პატარა ქალაქი დუშეთი", — ამბობს მწერალი. ის მოქსოვს ბოროტების საშინელ ხლართს, რომელშიაც სურს გააბას მეფე ერეკლე. რუსი ხალხისა და რუსი ოფიცრების საშუალებით, ქართველთა გმირული თავდადებით მეფე ერეკლე თავს აღწევს ტოტლებენის მიერ დაგებულ მახეს. ტოტლებენის პროვოკაციულმა გამოწვევამ არ გაჭრა. იგი ფრთხილად ეპყრობა რუსეთთან ურთიერთობის საკითხს და მაშინაც კი, როცა დარწმუნდება, რომ ტოტლებენი მეფის აშკარად მოღალატეა, მაინც არ მოისურვებს დააპატიმროს ეს თავხედი გე-

ნერალი. „არა, ეს შეუძლებელია. ორი საუკუნეა ქართველთა მეფეები რუსეთის მეგობრობისა და მფარველობისათვის იბრძვიან და განა ღირდა ამ გადამთიელი უჯიშო გენერლის ფხუკიანი ხასიათის გამო საქმის გაფუჭება?“

აკ. ბელიაშვილის რომანის უპირველესი ღირსება იმაშია, რომ მწერალი მკაფიოდ გამოხატავს რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის ისტორიულ საფუძვლებს და მეფე ერეკლეს წარმოგვიდგენს ისტორიული პერსპექტივის განჭვრეტის დიდი ალღოს მქონე მეფისა და სარდლის როლში. ერეკლე მეორე, როგორც პროგრესულად მოაზროვნე კაცი, საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზას რუსეთთან კავშირში ხედავს. ამ იდეით შთაგონებული გმირის როლში ხატავს აკ. ბელიაშვილი ერეკლე მეფეს და ამით იგი ახერხებს უაღრესად თანადროული ჟღერა მისცეს ამ დიდი სარდლის პროგრესულ ისტორიულ ნაბიჯს.

ბესიკის ცხოვრების ბევრი ეპიზოდი აკ. ბელიაშვილს გაცოცხლებული აქვს უზადო ოსტატისა და პატრიოტი მწერლის დიდი შთაგონების ძალით. ავიღოთ, თუნდაც, ასეთი მომენტი: ირანში დესპანად გაგზავნილ ბესიკს ისპაჰანის ქუჩაში ჩადრიანი ქალი შეხვდება. ქალი შეჩერდება და უცბად ჩურჩულით ჰკითხავს: ქართველი ხარ? შემდეგ ჩადრს გადაიწევს და ბესიკის წინ აღიმართება 17 — 18 წლის ლამაზი, შავთვალწარბა ქართველი ქალი, რომელსაც, გრძნობამორეულს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის. ქალი უცბად გაქრება. ბესიკზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ასეთმა სურათმა. ახლა მას არ იტაცებს შირაზის ზღაპრული სანახაობა. „ბესიკს საითაც არ უნდა გაეხედა, ყველგან თვალწინ ესახებოდა უცნობი ქართველი ქალის თვალცრემლიანი სახე. ახლა მას ყოველ სახლში ეგულებოდა საქართველოდან გატაცებული და მხევლებად გაყიდული ქართველი ქალები. ბესიკი მზად იყო, მთელი ეს სამოთხის მსგავსი ქალაქი ნაცარტუტად ექცია. ისპაჰანში ნახულმა ქართველი ქალის თვალცრემლიანმა სახემ ბესიკი ქედმოუხრელის პატრიოტის ძალით აღვურვა და ის ირანის მბრძანებელს ქერიმხანს პირში მიახლის. როდესაც უკანასკნელი ირაკლის დანაშაულად უთვლის რუსეთთან კავშირს და თურქეთთან მტრობას. თურქეთი რომ

ᲭᲢᲠᲐᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲓᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲑᲔᲡᲘᲙᲘ.

— ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲡ, ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲚᲝ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲥᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲤᲚᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲔᲠᲐᲡ — ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲡᲐᲐᲗᲐᲑᲐᲒᲝᲡ...

— ᲗᲣᲠᲥᲜᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲜᲝᲔᲑᲡᲐᲪ ᲤᲚᲝᲑᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲘᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲮᲣᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐᲗ...

— ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲐᲑᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ. ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲓᲦᲔᲓᲐᲦᲐᲛ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲚᲐᲕᲐᲓ ᲘᲦᲕᲬᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲩᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲘᲛᲘᲡ ᲑᲣᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲡᲞᲔᲗ, ᲢᲧᲣᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲔᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ. ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲤᲐᲨᲐᲛ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲐᲑᲐ ᲚᲔᲙᲔᲑᲗᲐᲜ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲑᲣᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲚᲔᲙᲗᲐ ᲗᲐᲠᲔᲨᲔᲑᲛᲐ ᲐᲒᲕᲘᲙᲚᲔᲡ. ᲐᲡᲘ, ᲝᲠᲐᲡᲘ ᲚᲔᲙᲘ ᲓᲐᲡ-ᲓᲐᲡᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ, ᲥᲣᲠᲓᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲔᲚᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ. ᲐᲒᲕᲘᲬᲘᲝᲙᲔᲑᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲡ, ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲢᲧᲔᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲨᲘ. ᲓᲐ ᲘᲥ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲰᲧᲘᲓᲘᲡ, ᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲧᲘᲓ ᲤᲣᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲣᲚ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲡ. ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲨᲕᲘᲐ, ᲒᲚᲔᲮᲘ ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲣᲗᲝᲗᲤᲝᲗ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲡᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲙᲗᲐ ᲗᲐᲠᲔᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐᲛ ᲥᲐᲜᲪᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲬᲧᲘᲢᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲘᲑᲠᲫᲐᲜᲔᲗ, ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲮᲠᲝᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲐᲦᲔᲛᲐᲠᲗᲜᲐ?“

ᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐᲐ ᲗᲣᲠᲥᲘ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲟᲦᲔᲠᲡ ᲔᲡ. ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ. ᲑᲔᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲛᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲚᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲓ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲢᲠᲔᲑᲡ.

ᲗᲣᲠᲥ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲔᲚ ᲓᲐᲛᲠᲯᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲦᲠᲛᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲧᲕᲘᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲘᲡ, ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲚᲔᲝᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲠᲐ-

მედ რიგითი ქართველი მეომრების თავგადასავალში. ასეთია, კერძოდ, ბესიკის მეგობრის, გამრჯე და მეომარი ვაქკაცის, ლუღაბის სახე. საშშობლოსათვის თავგანწირული მებრძოლი და პატრიოტი მწერალმა მოხუცი ხევსურის სახით დაგვიხატა. რომანში არ არის დაკიწყებული ხალხის სოციალური ცხოვრება. თუმცა ამ მხრივ მაინც ცოტაა მასალა რომანში.

რომანის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ აკ. ბელიაშვილი კლასიკური პროზის ტრადიციებზე დაყრდნობით მტკიცედ იცავს ხალხურობის პრინციპს. ნათელი რეალისტური სიუჟეტი, თხრობის ბუნებრივი მიმდინარეობა, სადა, მსუბუქი, ძალდაუტანებელი ცოცხალი ენა ნაწარმოებს საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ რომანის ზოგიერთი ნაკლიც.

პირველი და მთავარი ნაკლი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" არ ტოვებს დამთავრებული რომანის შთაბეჭდილებას არც სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალსაზრისით და არც ნაწარმოების მთავარი იდეის მიხედვითაც. რომანის დედაარსი, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ერეკლე მეფე — ეს სახელოვანი ვაქკაცი და დიდი პატრიოტი — დარწმუნდა, რომ გარეშე და შინაური მტრებისაგან დაუძლურებული საქართველოს ხსნა მხოლოდ დიდ რუსეთს შეუძლია და ამიტომ გადაწყვიტა ქართველი ხალხის ბედი საბოლოოდ დაუკავშიროს დიდ რუს ხალხს. სავსებით სამართლიანად შენიშნავს მწერალი:

„ეს უკურნებელი სენი, რომელიც საქართველოს სამეფო სხეულს შეჰყროდა და უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ ასვენებდა, სენი თავადთა საკუთარ მამულებისათვის ბრძოლისა, სასახლის კარზე გავლენის მოპოვებისა, ღალატისა, გამყიდველობისა და მუხანათობისა მხოლოდ დროებით მოშუშებული აღმოჩნდა და მალე უფრო დიდი სიძლიერით იჩინა თავი.

გადაგვარებული თავადაზნაურობის ნაწილი ისეთი კრკალი აღმოჩნდა საქართველოსათვის, რომელსაც სრულიად გამოეხრა ამ ქვეყნის გული და მხოლოდ გარეგნული სახე შეენარჩუნებინა მისთვის. საკმარისი იყო რაიმე ისტორიული,

თუნდაც სულ მცირე ქარტეხილი ამოვარდნილიყო, რომ მთლად გაენადგურებინა საუკუნეების მანძილზე მხნედ მებრძოლი ეს პატარა ქვეყანა, სრულიად მოესპო და აღეგავა პირისაგან მიწისა მისი აქა-იქ შერჩენილი მოსახლეობა და წარეხოცა ისტორიიდან მისი არსებობა.

ეს კარგად იცოდა ერეკლემ და, მიუხედავად მდგომარეობის გამოკეთებისა, მაინც არ დაუტოვებია ფიქრი რუსეთის მფარველობის მოპოვებაზე და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდებოდა".

ყველაფერი ეს სავსებით სწორია, მაგრამ, სამწუხაროდ, რომანში შექმნილი ვითარება ამ აზრს ვკვეთრად როდი გამოხატავს. უფრო მეტიც: რომანის ბოლო ნაწილში ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ყველაფერი დამთავრებულია. საქართველოდან წავიდა რუსეთის ჯარი, ლეონის ყოფნამ ეკატერინეს კარზე სასურველი შედეგი არ მოგვცა. ერეკლე თითქოს შეუთანხმდა ირანს და თურქეთს და საქართველო მოსვენებას მიეცა. ახლა ერეკლეს მხოლოდ ჭორებისა და ინტრიგების ქსელი აწუხებდა. საქართველოს მინდვრებზე გაისმა მშრომელი გლეხის სიმღერა. აღარავის ეშინოდა, „საქართველოს საგარეო საქმეს საოცრად გამოკეთება დაეტყო". რასაკვირველია, ეს არ არის სწორი. აკ. ბელიაშვილმა, რომელსაც მიზნად დაუსახავს, გამოხატოს ერეკლე მეფის საგარეო პოლიტიკა, ცდილობს მოქმედებაში აჩვენოს მისი ისტორიული მნიშვნელობა. ამიტომ იგი ტყუილად ცდილობს, ასცდეს ერეკლე მეფის ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ ეპოპეას, კრწანისის ომს. ამ მღელვარე ისტორიული ამბის დაკავშირება ბესიკთან ავტორისათვის საძნელოა, რადგან, როგორც ვიცით, ბესარიონ გაბაშვილი ერეკლე მეფის კარზე 1778 წლიდან არ ჩანს, კრწანისის ომი კი 1795 წელს მოხდა. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება არ უნდა გამხდარიყო მწერლისათვის ხელშემშლელი მიზეზი. რომანის ძირითადი იდეა დამთავრებას მოითხოვდა.

აკაკი ბელიაშვილი სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც არ გაჰყვა ბესიკის შესახებ შექმნილ ლეგენდარულ და ფანტასტიკურ გადმოცემებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბესიკის სატრფიალო ლექსის ადრესატის საკითხი. როგორც

ცნობილია, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ბესარიონ გაბაშვილის ლირიკის საგანი იყო ერეკლე მეფის და ანა, ზოგიერთის ფიქრით კი, ანას—შვილიშვილი. ბევრი კიდევ იმ აზრს იცავდა, რომ ბესიკის სამიჯნურო ლექსები ვამუკა ორბელიანის ვეუღლით — მაია ერისთავით არის შთაგონებული. აკ. ბელიაშვილი მხოლოდ ტრადიციულ აზრს მიჰყვება და ბესიკის ტრაგიკული სიყვარულის ადრესატად ერეკლეს და ანას მიიჩნევს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ავტორს, პოეტის მიჯნურად გამოაცხადოს ანას შვილიშვილი, ანიკო. ამ შემთხვევაში აკ. ბელიაშვილს, როგორც რომანისტს, ცხადია, უფლება აქვს, გააკეთოს არჩევანი. მაგრამ აქ ჩვენ საკითხის სხვა მხარე გვაინტერესებს. ბესიკის მიჯნურის, ანას ხასიათი რომანში მკვეთრად არ არის გამოკვეთილი, უფრო მეტიც: ავტორი სრულიად საწინააღმდეგო დახასიათებებს და განწყობილებებს აერთებს ამ ქალის ხასიათში. ერთ შემთხვევაში ანა დახატულია, როგორც გულკეთილი, სათნო, პატიოსანი, — მოსამსახურეებიც კი მისთვის თავს სდებენ. მეორე შემთხვევაში იგი წარმოდგენილია, როგორც ქმრის მოღალატე, — შვილიშვილს ბარბაროსულად იმეტებს, ვიღაც გიჟს ჩაუგდებს ხელში. ეს ვნებააშლილი დედაბერი, ეროტიკული გრძნობებით დაავადებული, ყველგან შხამსა და ბოროტებას თესავს, საჭირო იყო, მწერალს აქ მეტი თანმიმდევრობა გამოეჩინა. ეს საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ხასიათი, ჩვენი აზრით, რომანში აუხსნელი და დაუსაბუთებელი რჩება. ასევე მკვეთრად არ არის ჩამოყალიბებული თვით რომანის მთავარი გმირის ბესიკის ხასიათიც. ბესარიონ გაბაშვილი რომანში შემოდის, როგორც დიდი პატრიოტი, ერეკლეს ერთგული და თავდადებული რაინდი. მაგრამ მწერალი ბოლომდე არ ინარჩუნებს ამ ხაზს. ბესიკი ნანობს იმის გამო, რომ ირანში არ მიემხრო ალ. ბატონიშვილს, ანდა მოსკოკში არ დარჩა მამასთან. იგი რამდენადმე გაბზარული პიროვნებაა, მაგრამ ეს გარემოება რომანში არ არის სათანადოდ ახსნილი, გამოდის, რომ ბესიკს აქვს საფუძველი იყოს ერეკლეს უკმაყოფილო და მას უმადური კაცი უწოდოს. ჩვენი აზრით, აქ საჭირო იყო, მწერალს გამოეჩინა მეტი

ობიექტურობა. ასევე ზომიერების გრძნობა ღალატობს მწერალს, როდესაც ხატავს, ერთი მხრივ, ირაკლისა და ბესიკის, მეორე მხრივ, ბესიკის მეგობრების — ლეონისა და დავითის ურთიერთობას. აქაც მოჩანს ერთგვარი დაპირისპირების ტენდენცია.

როგორიც არ უნდა იყოს ჩვენ მიერ მითითებული ნაკლი, იგი ოდნავადაც მაინც ვერ ჩრდილავს რომანის დიდ ღირსებებს.

ომისშემდგომ წლებში დაწერილ ისტორიულ რომანებს შორის აკ. ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა საბჭოთა მკითხველის მოწონება და სიყვარული.

აკაკი ბელიაშვილის კალამს აგრეთვე ეკუთვნის ისტორიული რომანი „ოქროს ჩარდახი". სამწუხაროდ, იგი დაუმთავრებელი დარჩა მწერალს. საზოგადოდ კი, უნდა ითქვას, რომ ბელიაშვილის დამოკიდებულება ისტორიულ წარსულთან, უწინარეს ყოვლისა, რეალისტი მწერლის დამოკიდებულებაა, ხოლო მისი თვალსაზრისი უაღრესად თანამედროვეა. ისტორიული რომანის უმთავრესი მოთხოვნილებაა, თანამედროვეობის თვალით შევიხედოთ წარსულის მუზეუმში და ავამეტყველოთ ისტორიის მუნჯი ადამიანები მათივე ეპოქის ენით, საქციელით, მორალითა და ცხოვრებასთან დამოკიდებულებით. ყოველივე ეს უნდა იყოს დანახული დღევანდელი ადამიანის თვალით, განჭვრეტილი თანამედროვეობის ისტორიის ასპექტში.

ისტორია უნდა განვიცადოთ არა ყუთებში ჩაკეტილი სამუზეუმო ექსპონატების სახით, არამედ ისტორია უნდა იყოს ამეტყველებული თანამედროვეობის სულისკვეთებით, საბჭოთა მწერლის რეალიზმი ამაში უნდა გამოჩნდეს. როგორც ვიცით, ისტორიული წარსულისადმი დამოკიდებულებაში არსებობს წერის რომანტიკული მანერაც. რომანტიკოსების პოზიციის მიხედვით სავსებით გასაგებია, როდესაც გრ. ორბელიანი ერეკლე მეფის შესახებ აცხადებდა: „დიდება ყველრიისა მასთან მარხია სამარესო". ეს თვალსაზრისი არ გამოადგება ჩვენი ეპოქის მწერალს, რეალისტ მხატვარს, რომე-

ლიც ისტორიულ მოვლენებს ახალი საქართველოს თვალსაზრისით აფასებს და ატომის ეპოქის ენით ესაუბრება წარსულის ლანდებს. ეს გარემოება კარგად ესმის აკ. ბელიაშვილს. იგი თავისი სულიერი წყობით და წერის მანერით სავსებით თანამედროვე მწერალია. ამიტომაა, რომ მის შემოქმედებაშიაც მთავარი ადგილი ამ აქტუალურ თემას უკავია.

* * *

ცნობილია, რომ საბჭოთა მწერლების მეთოდს სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს. ეს მეთოდი მწერლისაგან მოითხოვს, რომ სინამდვილე გვიჩვენოს არა როგორც რეგისტრატორმა, არამედ მახვილი თვალის მხატვარმა, რომელიც ცხოვრების მოვლენების აზრს და მის ტენდენციას სწორად ხედავს და გადმოგვცემს. სინამდვილის მხატვრულ ასახვასა და განმარტებაში მთელი სისრულით უნდა გამოვლინდეს საბჭოთა მწერლის ორიენტაცია და ტენდენცია. ყველაზე უფრო სრულყოფილად მწერლის მრწამსი ადამიანების ხასიათების გამოხატვაში მჟღავნდება. ხასიათების ტიპიური გამოხატვა კი გულისხმობს გარემოს, სინამდვილის ტიპიურ ვითარებაში ჩვენებას. აქედან ნათელია დასკვნა, რომ სოციალისტური რეალიზმი მწერლისაგან მოითხოვს მოვლენის, ფაქტების, სინამდვილის კონკრეტულ ასახვას მის სწორსა და რევოლუციურ განზოგადებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალისტურმა სამყარომ გამოიწვია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული გარდაქმნა, ჩვენი ცხოვრების ყოველი სფეროს ძირფესვიანი შეცვლა, არამედ მოხდა თვით ადამიანების შეგნების გარდაქმნაც. საბჭოთა ადამიანის მსოფლშეგრძნება, მისი სულიერი სამყარო, მისი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან, კონკრეტულ საგანთან თუ მოვლენასთან სულ სხვაა, ვიდრე მთელი სოციალისტური საზოგადოებამდე არსებული ადამიანების დამოკიდებულება. სწორედ ამ განსხვავების, ამ ახალის დანახვა არის უპირველესი პირობა სოციალისტური რეალიზმის მწერლისა. თუ თქვენ გსურთ დახატოთ საბჭოთა ადამიანის ტიპი, მისი თვისებანი,

მისი ხასიათი, თქვენ მოვალე ხართ, ეს ახალი თვისება საბ-ჭოთა ადამიანებისა სწორად გაითვალისწინოთ. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, როდესაც ვისმენთ რომელიმე კრებაზე, ან ვკით-ხულობთ პრესის ფურცლებზე, რომ ამა და ამ მუშამ ოცი წლის ნორმა შეასრულა, რომ ახლა ესა თუ ის მოწინავე საბ-ჭოთა ადამიანი 1976 წლის ნორმის შესრულებაზე მუშაობს. ეს უბრალო რიგითი ადამიანები ათი-თხუთმეტი წლით უსწრებენ ცხოვრების ჩვეულებრივ ტემპს, და თუ მწერალი არ გაერკვა, რა ქმნის ამ პათოსს, ისე აუხსნელი დარჩება ეს ნოვატორული თვისება ახალი ადამიანისა. ყოველივე ეს გა-მოწვეულია იმ გრძნობით, რომ საბჭოთა ადამიანი არის ქვეყნის ბატონ-პატრონი, შემქმნელი და მფლობელი იმ მატე-რიალური და სულიერი სიმდიდრისა, რომელსაც სოციალიზ-მის ქვეყნისთვის ქმნის. ეს დიდი სოციალური და პატრიო-ტული გრძნობა არის ჩვენი ადამიანების საარაკო შრომითი მამაცობისა და შთაგონების დაუშრეტელი წყარო. ეს არის ტიპიური ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ადამიანები-სათვის. ამის გვერდით არის ცუდი მხარეებიც, მახინჯი ადა-მიანებიც, მაგრამ, ვისაც სურს გამოხატოს ჩვენი სინამდვი-ლის ტიპიური სურათი, ვისაც სწორად ესმის სოციალისტუ-რი რეალიზმის მოთხოვნა, ის პირველ რიგში სწორედ ამ ტი-პიურს, ამ ახალს, ამ საზოგადოს ჩასჭიდებს ხელს. აქ ლაპა-რაკია საბჭოთა ადამიანის ძირითად, ტიპიურ თვისებაზე. ისე კი, ვინ არ იცის, რომ ადამიანი, მათს რიცხვში—საბჭოთა ადა-მიანი, რთული მექანიზმია და ერთიანი ზოგადი სქემა მი-სი სულიერი სამყაროს დასახატავად არ გამოდგება. აქე-დან ნათელია, რომ საბჭოთა მწერლის მხატვრული პრინციპი უნდა ეფუძნებოდეს სოციალისტური რეალიზმის მთავარ მოთხოვნას. იქ, სადაც ირღვევა მეთოდისა და პრინციპის ეს ერთობლიობა, ჩნდება ბზარი მსოფლმხედველობრივი.

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს თავისი თემა, ჰყავს თავისი მთავარი გმირი თუ გმირები. თემის გაშლას და გან-ვითარებას, ხასიათის ხატვას და გამოძერწვას მწერალი სიუ-ჟეტის, დიალოგის, ნაწარმოების მთელი მხატვრული ხერხე-ბის საშუალებით ახდენს. თემის შერჩევას, მის აქტუალობას დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო გადამწყვეტი — მის ჩამოყა-

ლიბებას, ნაწარმოების ფორმას. აკ. ბელიაშვილის რომანის — „უღელტეხილის“ თემა სამამულო ომია. ომი იყო ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური ძალების უდიდესი გამოცდა. ეს გამოცდა ჩვენმა მრავალეროვანმა საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალედ ჩააბარა, დაიცვა რა თავისი დამოუკიდებლობა, დაამარცხა ვერაგი დამპყრობელი მტერი. საბჭოთა ადამიანების პატრიოტული გრძნობანი, ეს მთავარი პათოსი ჩვენი ადამიანებისა, სამამულო ომმა მთელი სისრულით გამოავლინა. ამავე დროს ომმა ჩვენი ადამიანების ამ მთავარ, ძირითად, დადებით თვისებასთან ერთად გამოავლინა და სააშკარაოზე გამოიყვანა მახინჯი მოვლენები, რაც ჩვენს ცხოვრებას თან სდევს. ეს უხეირო ხალხი, ეს მატყუარები და ორპირები, მოვაჭრეები და ბანდიტები ომის წლებში ამოტივტივდნენ, მაგრამ ჩვენი ცხოვრების მთავარი პათოსი, სწორედ ეს საარაკო მამაცობა და თავდადება ფრონტისა და ზურგის მუშაკებისა, გამოავლინა ომმა და ეს იყო ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდის დროს გამოვლინებული თვისება, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი ხალხის გამარჯვება. ვინც სამამულო ომის თემაზე წერს, მან ყველაზე დიდი ყურადღება ამ გარემოებას უნდა მიაქციოს, ხოლო ვინც ამას გადაუხვევს, ის ამახინჯებს სინამდვილეს და მრუდე სარკეში ხატავს ჩვენს ბობოქარ ცხოვრებას, აყალბებს ნამდვილ ვითარებას. სამამულო ომის თემაზე დაწერილი საუკეთესო ნაწარმოებები — „ახალგაზრდა გვარდია“, „ფრონტი“, „მთის კაცი“, „მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე“ და სხვ. მრავალი, სწორედ, ჩვენი ადამიანების ამ ძირითად თვისებას გამოხატავენ.

ჩვენი ცხოვრების ეს ძირითადი ტენდენცია, ჩვენი ხალხისა და ადამიანების ეს მთავარი თვისება დანახულია აკ. ბელიაშვილის რომანში „უღელტეხილი“. აკ. ბელიაშვილი სწორად შენიშნავს: „ომის განსაკუთრებული თავისებურება ჩვენი ქვეყნისათვის იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი სიმძიმე ამ ომისა თავის ზურგზე უნდა გადაეტანა მოსახლეობის საუკეთესო ნაწილს. ომში, მოწინავე ცეცხლის ხაზზე იბრძოდა ჩვენი ქვეყნის შვილთა საუკეთესო ნაწილი, საბჭოთა ერების ყველაზე შესანიშნავი ადამიანები. ზურგშიც — ქარხნებში,

საკოლმეურნეო მინდვრებზე, სახელმწიფო დაწესებულებებში თუ საწავლებლებში — თავაუღებლივ შრომობდნენ და უმტკივნეულოდ იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებას ნამდვილი, მშრომელი, პატიოსანი მუშაკები... შრომით დაქანცული მუშაკნი არ იმჩნევდნენ ამ სიდუხჭირეს. ფრონტზე მებრძოლნი ვაჟკაცურად იტანდნენ ზარბაზნების ჭექა-ქუხილს, ტყვიების წვიმას, ხოლო ზურგის მუშაკნი — სურსათის ნაკლებობას და გაჭირვებას... თუ ფრონტზე მებრძოლი და ზურგის მუშაკთა მოქალაქეობრივი შეგნება მაღალ დონეზე იდგა, ეს ადამიანები ბრძოლის ხაზზე, დაზგებთან, მანქანებთან, ლაბორატორიებში, სამეცნიერო კაბინეტებში, გულმოდგინედ და პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თავის ყოფაქცევით, უმსგავსო საქმეებით ხელს უშლიდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობას. ეს იყო მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოსათვის სასარგებლო საქმიანობაში, ან სულ არ მუშაობდა, ან ისეთი თანამდებობა ეჭირა, რომ ადვილად შეეძლო ხელის მოთბობა".

ამ ამონაწერში სწორად არის განმარტებული სამამულო ომის ვითარება. ამის მიხედვით რომანში ნაჩვენებია ჩვენი მოწინავე ადამიანთა თავდადება და ბრძოლა ფრონტზე და ზურგში. მართალია, რომანში ეს მოვლენები და ფაქტები არა მარტო რაოდენობრივად. არამედ თვისობრივადაც არ არის წინ წამოწეული და გაბატონებული, მაგრამ არ იქნებოდა მართებული, რომ ისინი შეუმჩნეველი დაგვრჩენოდა. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი დავით ბექაია. დავით ბექაიასა და მის გარშემო თავმოყრილი ადამიანების მეშვეობით ხატავს მწერალი ფრონტისა და ზურგის მოწინავე ადამიანთა სახეებს.

დავით ბექაია კარგი სპეციალისტია, კარგი ინჟინერი, საქმიანი და ავტორიტეტიანი დირექტორიც. „ინჟინერი მაგისთანა უნდა, — ამბობდნენ ხშირად მუშები,—თუ ბიჭი ხარ, ამოუდექით გვერდში! მე შენ გეტყვი, მოატყუებ, ეს ქანი მაგარია, იქ ვერ იმუშავებ. აქ ნორმა დიდია, იქ ფასს ცოტას ვღებულობ. დადგება თვითონ. შენ თავს დაგიყენებს, მოდი და

უცქირე, როგორ იმუშაოს. რის მაგარი ქანი, რომელი ნორმა, გაგაწითლებს კაცს, საქვეყნოდ მოგეჩრის თავს, მერე და საქმე არ იცის და შეეშლება?! ასე მსჯელობენ მუშები დავითის შესახებ და უნდა ითქვას, რომ მას თავის მინდობილ უბანზე ამ მიყრუებულ მთის მაღაროში, მიუვალ ადგილსა და ხალხისაგან დაშორებულ ხევში, როდი მიჰყავს საქმე ურიგოდ. შემდეგ დავითს ვეცნობით როგორც ალპინისტს, ხოლო კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებულ ომში — ჩვენი ჯარების მეგზურად, ინსპექტორად. იგი აქაც თავს ისახელებს, აქაც მოწინავე ხაზზეა. რომანში ომის უშუალო ეპიზოდები, ფრონტის სურათები, ცოცხლად და დასამახსოვრებლად არის გადმოცემული. განსაკუთრებით კარგადაა დახატული ალპინისტების იმ რაზმის საბრძოლო ეპიზოდები, რომელსაც დავითი მიუძღვის, როგორც ინსპექტორი. კავკასიის მიუვალ მთებში რაზმის შვიდდღიანი უთანასწორო ბრძოლა ბუნების სტიქიასთან გადმოცემულია, როგორც ჩვენი ადამიანების გაუტეხელი შემართება და გამარჯვება სტიქიონზე, როგორც სიმბოლო მთელი სამამულო ომისა: „ქედზე კი ზუზუნებდა ქარიშხალი, გაცოფებით ეხეთქებოდა ყინულით შეკრულ სიპებს, პირიდან ბულსა და თოვლის კორიანტელს აფრქვევდა, ბრაზიანი ღრენით ახათქუნებდა მწვერვალთა შორის თავის გიგანტურ ფრთებს და კვლავ ეჭიდებოდა ტილოს კარვებს, რათა ადგილიდან მოეგლიჯა ისინი და ღრუბლებისაკენ ხმელი ფოთლებივით გაეფანტა... და ისევ ესმოდა გაუთავებელი ზუზუნი, ღრიალი, ხითხითი, თითქოს მთელი სამყარო ახლა თმაგაწეწილ გიჟებს თუ ალქაჯებს დაეპყრო და ხან ერთ მხარეს გაკიოდნენ, ხან მეორეს, ერთმანეთს დასდევდნენ და კარვის თავებზე შლიგინით გადარბოდნენ, თოვლის კორიანტელს აყენებდნენ, მთებში ჩაფრენილი ცოფიანებივით იკბინებოდნენ, წივილ-კივილით იკლებდნენ მიდამოს“. ასე ქმნის მწერალი ბუნების სტიქიონის წინააღმდეგ ჩვენი ადამიანების შემართებისა და ბრძოლის მძაფრ სურათს და სიმბოლურად თითქოს მასში წარმოდგენილია ჩვენი ომი გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ და ამ სტიქიონზე დავითის მებრძოლი რაზმის გამარჯვება. ასევე სიმბოლურად გვიხატავს ავტორი ჩვენი ხალხის გამარჯვებას ვერაგ და ძლიერ მტერზე.

ეპიზოდურად, მაგრამ დასამახსოვრებლად არის წარმოდგენილი დავითისა და მისი მეგობრების — შაქროს, კოტეს, ლევანის, არჩილის, ომში დაღუპული მეგობრის გუჯუს პატრიოტული თავდადება და შემართება მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე ეპიზოდურია, მაგრამ შთამაგონებელი ავთანდილ მჭედლიძე, ქარხნის დირექტორი, რომელიც დღედაღამე ქარხანაშია, შეუპოვრად იბრძვის და შრომობს. სამი ვაჟის მამაა იგი, სამივე ფრონტზე გაუგზავნია, ერთ-ერთი მათგანის დაღუპვის ამბავი მოსვლია, მაგრამ ცოლს, ვაჟის დედას, არ უმხელს, ასევე არ ტოვებს უყურადღებოდ მწერალი მოწინავე სტუდენტების ჯგუფს, ჯგუფხელ გოგოლა კუპატაძეს და მის მეგობრებს, ავთანდილ მჭედლიძის ქალიშვილის, ნანულის გარშემო თავმოყრილთ. ამ ვრცელ რომანში მოცემულია სამამულო ომის რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი, გამოყვანილია ფრონტისა და ზურგის მოწინავე ადამიანები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დადებითი გმირები უფრო ეპიზოდია, ვიდრე დამთავრებული სახეები, რომელთაც არა აქვთ მკითხველზე ემოციური ზეგავლენის მოხდენის ის ძალა, რაც მინიჭებული აქვს უარყოფითს ხასიათებს. რომანში ხორცშესხმულ სახეებად შედიან ზარის მოთამაშეები, აღვირახსნილი სპეკულანტები, უზნეო ყოფაქცევის ქალები, ობივატელები, მეშჩანური წრის წარმომადგენლები. ავტორი ერთგან სწორად შენიშნავს: „ჩვენ სხვა ვართ, ჩემო დათიკო. ჩვენისთანები ფრონტზეა, ქარხნებშია, საკოლმეურნეო მინდვრებზეა, შენ რა, ესენი ხომ არ გგონია მთელი ჩვენი საზოგადოება. ესაა ჭაჭა, ღვინო სხვაგანაა. ღვინო არ ჩანს, რადგან მათ ჭურში ინახავენ. ჭაჭა ყველგანაა მობნეული“. ასე მსჯელობენ ფრონტელი ამხანაგები. ავტორს აქ ივის თქმა უნდა, რომ ჭაჭა სწორედ ის უარყოფითი გმირებია, რომლებიც მან თავის რომანში გამოიყვანა და ამასთან შედარებით დავითი და მისი ამხანაგები ღვინოა. მაგრამ ეს მსჯელობა მაინც ზოგადი დეკლარაციაა.

რომანში ორი ასპექტია — ერთი ომის, მეორე ზურგის. გმირები ამის მიხედვით არიან განლაგებული. ისინი რომანის ორი მთავარი გმირის გარშემო ჯგუფდებიან. ერთი მხრით, დადებითი ადამიანებია, რომელთაც დავითი და მის ირგვლივ

არსებული წრე შეადგენს. მეორე მხრითაა, რეზო და მის გარშემო თავმოყრილი ზარის მოთამაშეები, ბანდიტები, უზნეო ყოფაქცევისა და მეშჩანური წრის ადამიანები. აქცენტი სწორედ ამ უარყოფითს ხასიათებზეა გაკეთებული. ავტორმა ომის გმირებს, შრომის გმირებს დაუპირდაპირა ეს უქნარა, უსაქმო, ბოროტი ადამიანები, მაგრამ მათს კონფლიქტში უფრო ძლიერი მხატვრული საღებავები, მეტი ენერგია და დრო ამ უარყოფით გმირებს მოანდომა. ესაა რომანის ძირითადი და მთავარი ნაკლი.

ვნახოთ, ვინ არიან ეს უარყოფითი გმირები, მანკიერ ადამიანთა ეს წრე.

რომანის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის—ალექსანდრეს საყვარელი რეპლიკაა: „რა ხდება ეს?“ ეს წამოძახილი თანამედროვე ცხოვრებისადმი უკმაყოფილებას გამოხატავს და ერთგვარ საყვედურს გულისხმობს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ: ალექსანდრეს ცოლი, ოლიკო, ობივატელი, თავკერძა ქალია. მათი შვილი ლილი, უხეიროდ აღზრდილი, ბავშვობიდანვე განებივრებული და გაამაყებული, უნებისყოფობით მამას ჰგავს, ზნეობით, ყოფაქცევით — დედას. ლილი თავის შეყვარებულის, რეზოს, ჯიბრით ერთი თვით ცოლად გაპყვა დავითს, შემდეგ გასცილდა და კვლავ რეზოს საყვარელი გახდა. ბოლოს ირკვევა, რომ მას რეზოც არ უყვარდა გულით.

ლილი უნივერსიტეტში სიარულს თავს არიდებს. მთელ დღეებს რეზოსთან და მის ლოთ ამხანაგებთან ატარებს. რეზოსაგან აბუჩად აგდებული, ნამუსახდილი ლილი რეზოს თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ თავს ავლენს, როგორც გადაგვარებული ადამიანი. მას რეზოს თვითმკვლელობის ამბავი აცნობეს. „სიყვარულის ამ მოულოდნელმა დასასრულმა, გლოვის ნაცვლად თითქოს სიხარულიც კი განაცდევინა... ლილის არსებაში ახლა ცნობისმოყვარეობამ უფრო გაიღვიძა და ცოტა რომ დამშვიდდა, წარმოიდგინა საზეიმოდ მორთული სამგლოვიარო დარბაზი, ყვავილებში ჩაფლული ახალგაზრდა რეზო და იქვე შავებში მორთული თავისი თავი, აუარებელი ცნობისმოყვარე ქალებისა და მამაკაცების მისკენ მიმართული მზერა, ჩურჩული და მისი მომხიბვლელი სილა-

მაზით გამოწვეული აღტაცება. ელვის სისწრაფით წარმოიდგინა ეს თავბრუდამხვევი სურათი და ისეთმა სანეტარო გრძნობებმა შეიპყრო, რომ სრულიად გაუქრა ცრემლების გამომწვევი და გულის ამაჩუყებელი გრძნობა და მას ახლა მხოლოდ ის აწუხებდა, რომ გაეთამაშებინა გლოვისაგან თავზარდაცემული სატრფოს როლი". ავტორი დიდი მონდომებით ხატავს ყალბი პოზიორის როლში წარმოდგენილ მგლოვიარე მეჯნურს. სწორად შენიშნავენ ლილის ამხანაგები: „მაგისთვის არაფერი წმინდა არ არსებობსო". ასეთია ზარის მოთამაშე რეზოს სატრფო ლილი.

თვითონ რეზო თავისი მორალითა და სულიერი სამყაროთი არ ჩამორჩება ლილის. პროფესორ გავაშელის შვილი, მეშჩანი და თავნება დედის მიერ განებივრებული რეზო, ქუჩაში ხეტიალსა და სატრფოების გამოცვლაში ატარებს დროს. ერთ ხანს რეზო ორდერით თუ პროტექციით გამოტანილი კოსტუმების ყიდვა-გაყიდვით ირთობდა თავს, შემდეგ კი ზარის თამაშს მიჰყო ხელი და გურგენთან ერთად, სადღაც ჯურღმულში დაჩოქილი, ფულების გროვაზე ათენებს ღამეებს. მისი მეგობარია ჟორა, რომელმაც 16 წლის ასაკიდან 27 წლამდე ოთხი ცოლი გამოიცვალა; არავინ იცოდა მისი წარსული, სად დაიბადა, სად გაიზარდა, ხუთი წლისას მშობლები დაეხოცა და ცხრა წლის ასაკამდე ფეხშიშველა დატლაპუნობდა რუსთაველის პროსპექტზე, დასდევდა ყოველ კარგად ჩაცმულ მამაკაცს ხელგაშვერილი და ეხვეწებოდა: „დიადია, ტი კრასივი დიადია, დაი კოპეიკუ". შემდეგ ჟორა ჩოფურა ნიკოს დაბმარებით გრიბის კეთებას ისწავლის. თეატრში პარიკმახერად მოეწყობა და ასე „ფაქიზი ცხოვრებისა და ნატიფი მანერების შესწავლის სრულ კურსს გაივლის" ვიღაც ინტელიგენტ ქალთან, რომელსაც მეოთხე ცოლად ირთავს. ამგვარად გაიზარდა ქუჩის პატარა ბიჭუნასაგან ის თავმოწონე დალაქი, რომლის ოთახი რეზოსა და მისი ამხანაგების აღვირახსნილი, უზნეო საქციელთა სამყოფელო გამხდარა.

ამ წრეს „ამშვენებს" მესამე ვაჟი გრიშა ჯაგნიძე, ყაჩაღად გავარდნილი პოლიტიკური ბანდიტის შვილი. სოფლიდან გამოქცეული პატარა ბავშვი, თბილისის ქუჩებში, ცის ქვეშ, ათევს

ღამეს, მერე კონდუქტორად მოეწყობა, მგზავრებთან უტიფარი ვაჭრობისთვის იქიდან კინწისკვრით გამოაგდებენ. ხოლო ამის შემდეგ კონსერვატორიაში ისინჯავს ხმას, ბოლოს სამედიცინო ინსტიტუტში მოხვდება. ახლა იგი ან რეზოსთან ზარს თამაშობს, ან გრიშასთან ქალებს დასდევს.

უხეირო ადამიანთა ამ წრეს ამთავრებს ზარის მოთამაშეთა უსტაბაში, ბანდიტი და კაცისმკვლელი, მორალურად ზნედაცემული ვიღაც გურგენი. ასეთია მოკლედ იმ ადამიანთა ბიოგრაფია, რომელთა ცხოვრებას ავტორი დაწვრილებით აღწერს თავის ნაწარმოებში. ვინც ამ გმირებს, მათს ისტორიას დააკვირდება, ადვილად მიხვდება, რომ ამგვარი ადამიანები ცხოვრებაში მართლაც არსებობენ, მაგრამ ჩვენ საზოგადოებრივ გარემოში მათ მყარი ნიადაგი როდი გააჩნიათ. თავისთავად დახატული ეს სურათები, ეს ადამიანები როდია შეცდომა. შეცდომა იმაშია, რომ ამ ბანდიტთა წრეს, კაცის მკვლელებსა და ზარის მოთამაშეებს საზოგადოებრივი აზრი არსად წინ არ აღუდგება. სტუდენტი, კომკავშირელი რეზო სრულიად გამოთიშულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო გავლენისაგან. რეზოს მოქმედება შეიძლება თქვენ გადაიტანოთ მე-19 საუკუნეში და ამით არაფერი არ შეიცვლება. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი ზემოქმედებითი ძალა ადამიანის გარდაქმნაზე რეზოს არ შეხებია. რეზო არ არის ჩაყენებული საბჭოთა გარემოში, იგი მარცხდება არა როგორც ჩვენი სინამდვილისაგან, ჩვენი საზოგადოებისაგან გაკიცხული და მხილებული. არამედ თვითმკვლელობით ერთგვარად რომანტიზირებული მიჯნური.

საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ახდენს არადამახასიათებელი და შემთხვევითი მოვლენების ტიპიზაციას.

მოვიგონოთ რომანის ექსპოზიცია.

1942 წელი, ომის მძიმე დღეებია, ჭაღარა კავკასიონის კარიბჭეს მტერი მოადგა და, აი, ამ დროს კავკასიის მთებში ერთ ბაღაროში მომუშავე მუშები — ჩალვადრები — მოსულ მეგზურებს, რომელთაც ახალი გაზეთები მოაქვთ, ეკითხებიან: „ბაგრატ, რა ისმის ომის? — ჰკითხეს წვერგაუპარსავ ჭაღარა ჩალვადარს, რომელიც დაღლილ-დაქანცული, სამ-

ფეხა სკამზე დამჯდარიყო და კოჟრიან ხელებით გაზეთის ნაჭრებში წეკოს ახვევდა.

— გლახათაა საქმე, — უპასუხა მათ ბაგრატმა და კვესი გაკრა.

— კიდევ მოდიან წინ? — მოღრუბლული სახით იკითხა მღვრეველმა ვანომ.

— მოდიან, — ყრუდ წაიბუზღუნა ბაგრატმა და წეკო ააბოლა".

ასეთ ვითარებაში ავტორს უცბად დიალოგი გადააქვს ანეგდოტურ ლაზღანდარობაზე. ჩალვადრებს მაღაზიაში, კაცების ფეხსაცმელების ნაცვლად, ქალის ფეხსაცმელები ამოუტანიათ.

„— რა არის ეს? — გაიმეორა ილიკომ და მუშებს კოლოფებში ჩაახედა. — ქალის ფეხსაცმელები გამოუგზავნიათ!

— თუ ძმა ხარ, მართლა? — აღტაცებით წამოიძახა კბილებმოცვეთილმა და განიერყბებიანმა კოტემ, — დამანახე ერთი, ორი წელიწადია, ქალი თვალით არ მინახავს და მაგას მაინც შევხედავ.

— დაგშვენდება, აბესალომ, — უთხრა დავითმა და ფეხსაცმელზე ანიშნა.

— მაგაზე რა მოგახსენოთ, ჩემო დავით, მაგრამ ამის ჩამცმელი თავის დროზე კი დამშვენდებოდა, მართალი რომ თქვას კაცმა, — შემდეგ ფეხსაცმელი მელიასავით შეათვალიერა, თითქოს პირით უნდოდა აეტაცნა და გადაეყლაპა. ახლა იტყვიან, ვითომ მეც ვცხოვრობ ქვეყანაზე?

— რატომ ამბობ მაგას? — ჰკითხა გაოცებით დავითმა და ფეხსაცმელი ვაქსიმეს გაუწოდა.

— რაზე? — სინანულით ამოიოხრა აბესალომმა.

— რაზე და ერთხელ თბილისში ვიყავი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და რაც მე იქ ლამაზად გამოწყობილი ქალები ვნახე, ანგელოზივით გოგოები. კინაღამ დავბრუციანდი, — ცალი თვალი იქით გამირბოდა და ცალი აქეთ. ისე გამაგებინა, ვინ იხუტებს ამდენ ლამაზ ქალებს გულში. მე ერთი დაჯდანული ქალი შევირთე და მთელი სიცოცხლე იმას შევჩერებოდი. იქ კი... ერთი ჩვენებური ბიჭია, მუსიკას უკრავს, რომ შეხედო, ამერიკიდან ჩამოსული მილიონერი გეგონება, ხუთი

ცოლი გამოიცვალა, მაგრამ როგორები. ერთიმეორეს ჯობს. ასე ყოფილა ეს ცხოვრება და რას იზამ. ახლა აგერ ეს საშინელი ომი დაგვატყდა თავზე. მტერი მოდის და ლეწავს ყველაფერს, სადაცაა აგერ მგონი კარზე მოგვაყენოს სიკვდილი და უბედურება. ჰოდა, ისე როგორ უნდა მოვკვდე, რომ სიხარულსა და ბედნიერებას არ მოვესწრო".

ასე ფსჯელობენ მუშები ომის საშინელ დღეებში. სავსებით გაუგებარია ასეთი ფსიქოლოგია ამ ხალხისა, სავსებით აუხსნელია მათი უდარდელობა. და ეს არ არის შემთხვევითი შტრიხი. რომანი არსებითად ამ ტენდენციით მიიმართება.

რომანს აქვს კომპოზიციური ნაკლიც. იგი კომპოზიციურად არ არის შეკრული, სიუჟეტში ბევრი რამ ზედმეტია, გაჭიანურებული, რაც ანელებს რომანის ტემპს, ხელს უშლის სიუჟეტის განვითარებას. ასეთი ეპიზოდებია, ჩვენი აზრით, დავითის რაზმის მოგზაურობის ამბავი, ზარის თამაშის სცენების განმეორება. რომანში უფრო დამთავრებულია ეპიზოდური ხასიათები, კოლორიტულია ამ მხრივ აფორიზმებით და სენტენციებით მოსაუბრე თომა, მშიშარა და, ამავე დროს, პატივმოყვარე აბესალომი. ლილი მთავარ მოქმედ პირთაგან შედარებით მკვეთრად არის გამოხატული და მხატვრულად დამთავრებული. რომანში ზოგი გმირი კი სათანადო მხატვრულ განვითარებას და დამთავრებას ვერ პოულობს. ამ მხრივ აღსანიშნავია ნადიას ხასიათი. ნადიას თავდავიწყებით შეუყვარდა დავითი. აი, რას ამბობს იგი:

„— არა, პაშა, შენ იცი, მე გათხოვილიც ვიყავი. ქმარი მყავდა, ვეგონა მიყვარდა, მაგრამ თურმე... თურმე არ ვიცი, როგორ გითხრა... ვცხოვრობდი ქმართან, ვეხვეოდი, ვკოცნიდი... მაგრამ არასოდეს არ განმიცდია ის, რაც... რაც... ახლა განვიცადე. მხოლოდ ერთჯერ თუ ორჯერ დაველაპარაკე და დავინახე, თუ არა, აი, სულ გადმომიბრუნდა გული... მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ესაა ის... აი ის, რომელთანაც შეიძლება განვიცადო ნამდვილი სიყვარული. გესმის, პაშა, მე ახლა მივხვდი, რომ შეიძლება ისე იცოცხლო, თუნდაც ხუთი ან ათი ქმარიც რომ გამოიცვალო. ნამდვილი სიყვარული ბედნიერ შემთხვევაზე ყოფილა დამოკიდებული. შეხვდი — კარგი, არ შეხვდი და ისე გაივლის შენი ცხოვრების გზა,

რომ წარმოდგენაც კი არ გექნება ამ გრძნობაზე. დაგეძინა. ჰაშა?"

ამ სიტყვებს ნადია ამბობს დავითთან შეხვედრით აღტაცებული. მას გულწრფელად უყვარს დავითი. არც დავითია მის მიმართ გულგრილად, მაგრამ რომანში შემდეგ ეს ხაზი არ ვითარდება, უფრო სწორად, არ მთავრდება. ნადია რაღაც აკვიატებული ცრუმორწმუნე აზრით ტოვებს დავითს და მაღაროდან იპარება.

აკ. ბელიაშვილს ჩვენი მკითხველები იცნობენ, როგორც სიუჟეტის ოსტატს. თხრობის სილაღე და ბუნებრივი დინება, საზოგადოდ, დამახასიათებელია ბელიაშვილისათვის. ამ რომანში მწერლის ეს დამახასიათებელი თვისება არ არის მძაფრად გამოვლინებული.

* * *

აკ. ბელიაშვილმა ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა რომანი „ვეფხია ხალიბაური". ეს არის საინტერესო ცდა, დაგვიხატოს მწერალმა მეტალურგიული საქართველო და მისი ადამიანები, ნათლად გამოავლინოს ახალი საქართველოს სახე.

ცნობილია, რომ უძველესი ქართველები დახელოვნებული ყოფილან ფოლადის წრთობაში, ხმლის ჭედვაში და ამ მხრივ მთელ მსოფლიოში ჰქონდათ სახელი განთქმული.

საუკუნეთა მანძილზე უთანასწორო ბრძოლაში დაღლილსა და დაქანცულ ქართველ ერს თავისი ეროვნული ტრადიციებისა და უძველესი კულტურის აღორძინების ფართო პერსპექტივა ჩვენმა დრომ, საბჭოთა საქართველომ, დაუსახა. სწორედ ჩვენს დროში აღდგა ბევრი დანგრეული ქალაქი და სოფელი, კვლავ აშენდა და განახლდა დანგრეული ისტორიული ადგილები და ცენტრები. ამის მშვენიერ მაგალითს რუსთავ-ქალაქი და აქ გაშენებული დიდი მეტალურგიული გიგანტი წარმოადგენს. დღევანდელ ატომის სამყაროში საქართველო ერთ-ერთი ცივილიზებული რესპუბლიკაა. საკმარისია გადახედოთ საქართველოს ეკონომიურ რუკას, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს მისი ეკონომიური ძლიერება. ფოლადის მდნობელი და მანქანების მწარმოებელი საქართ-

ველო ის როდია, რასაც იგი რამდენიმე საუკუნის წინათ, თუნდაც მის ყველაზე უფრო აყვავების პერიოდში, წარმოადგენდა. ახალი საქართველოს ეკონომიური ძლიერების პირველი ბოძი, მისი შემქმნელი და მეთაური მუშათა კლასია. ინდუსტრიული საქართველოს რევოლუციური ტრადიციების გამგრძელებელი მუშათა კლასი, ახალი სოციალისტური ინსტინქტებითა და სულისკვეთებით არა ერთხელ ყოფილა ჩვენი საბჭოთა მწერლების მხატვრული განზოგადების საგანი.

ამ ახალი საქართველოსადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის აკ. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაურს“ ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.

„ვეფხია ხალიბაური“ რთული პლანის რომანია. იგი მოგვითხრობს ახალი მეტალურგიული საქართველოს ცენტრის — რუსთავ-ქალაქის ამბავს. მაგრამ ეს მაინც ფონია. ავტორს უმთავრეს ამოცანად დაუსახავს გამოსახოს ახალი ტექნიკური ინტელიგენცია, ახალი მუშათა კლასი თავისი ადამიანური ვნებებით, ფიქრებითა და განცდებით, ფსიქოლოგიით, ყოფითა და სულიერი ინტერესებით.

საინჟინრო ინსტიტუტის კურსდამთავრებული არჩილ სანებლიძე დიპლომის მიღების მეორე დღესვე სამამულო ომში გაიწვიეს. საბჭოთა სამშობლოს პატრიოტმა, ახალგაზრდა მეომარმა ინჟინერმა ფრონტზე თავი ისახელა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დაიჭრა და თბილისში ბრუნდება. შინ მამა — ნიკო და დედა — მართა ფრონტიდან დაჭრილი მეომრის დაბრუნებას სახელდახელოდ გამართული ვახშმით აღნიშნავენ. აქ ნიკოს მეგობრებს შორის ვხვდებით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახლად დანიშნულ დირექტორსა და მის მთავარ ინჟინერს. ჯერ კიდევ ომია. ჩვენი ქვეყანა ფაშიზმის ურდოების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს და ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება ძველ ისტორიულ რუსთავ-ქალაქში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას იწყებს. რომანის ექსპოზიციაში შემოდიან რუსთავ-ქალაქის პირველი მშენებლები, პირველი ქართველი მეტალურგები. ფარაჯაგაუხდელი, დაჭრილი მეომარი არჩილი ამ დიდ სახელმწიფო საქმეში ჩაებეს. ის იგზავნება საქართვე-

ლოს რაიონებში ახალგაზრდების შესაკრებად. მომავალ მეტალურგთა კადრების შესარჩევად.

რომანის სიუჟეტი იწყება არჩილ სანებლიძის ამ სპეციალური დანიშნულების მოგზაურობით.

არჩილ სანებლიძე პირველად ხევსურეთს ესტუმრა და ამას მოსდევს რომანის გმირის — ხევსურ ვეფხიას ხასიათის გახსნა, მისი შემოყვანა რომანში.

ყოველი ხევსური ხმლით, ხანჯლითა და ხევსურული ტალავრით ამაყობს. ამავე ფიქრებით შემოდის ნაწარმოებში ახალგაზრდა ვაჟკაცი ვეფხია ხალიბაური. მას ოცნებად გადაქცევია, სადმე ფოლადის ნაჭერი იპოვოს, რომ მისგან ხმალი გამოაჭედინოს ხმლების მჭედელს ხევსურ აპარეკას, მაგრამ ვეფხიას ცდამ ფრთები ვერ შეისხა. და აი, ფოლადისთვის, ხმლისთვის მეოცნებე ეს ვაჟკაცი პირველი შეხვდება საქართველოს მეტალურგიული ქარხნისათვის ახალგაზრდა კადრების მძებნელს არჩილ სანებლიძეს. რომანში ვეფხიას თავგადასავალი და მისი ხასიათი ცენტრალურ ადგილს იჭერს.

ხევსური ვეფხია ობოლი ბიჭია, ადგილობრივი სკოლა დაუმთავრებია და ახლა იმაზე ოცნებობს, რომ პაპისეული სახლი განაახლოს, პაპისეულ ქარქაშში, გადატეხილი ხმლის ნაცვლად, ახალი ხმალი ჩააგოს, ცოლ-შვილი გაიჩინოს და ხევსურის წესით იშრომოს და იცხოვროს. სწორედ ამ დროს შეხვდება მას არჩილი. ხევსური ვეფხია სურვილს განაცხადებს, თბილისში წამოჰყვეს არჩილს და მეტალურგი გახდეს. როგორც მას აუხსნეს, ეს ქარხანა თურმე ფოლადს გამოადნობს და, მისი მიზანია აი, აქ მონახოს ფოლადის საოცნებო ნაჭერი. რომლისგანაც აპარეკას ხმალს გამოაჭედინებს. ამაში დარწმუნებული ვეფხია დაჟინებით გადაწყვეტს, თბილისს ესტუმროს. მან თავის სახლი, საქონელი, სურსათი, — რაც კი რამ გააჩნდა, — კარის მეზობელს საზიაროდ ჩააბარა. შემდეგ ახალი ქალამნები ამოისხა, მამიდას მოტანილი ახალი ტალავარი ჩაიცვა, თავისი გატეხილი ხმალი, ქარქაშში ჩადებული. თან წამოიღო, გულისტკივილით გამოეთხოვა თავის საყვარელ მთებსა და კლდეებს, ბარისახოში ჩამოვიდა და იქიდან თბილისს გამოსწია. მწერალი ოსტატურად გვანიშნებს

ამ გადატეხილი ხმლის საშუალებით, — რასაც ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, — ფოლადის მწარმოებელი საქართველოს უძველეს კულტურას, რომლის გადმონაშთები ხევსურეთს შემოუნახავს. მწერალი რომანის ქვეტექსტში გვამცნობს, რომ ეს ძველი ხანა უკვე ისტორიას ჩაბარდა, ატომის ეპოქაში, მეცნიერების უმაგალითო აყვავების ხანაში, არ შეიძლება ცხოვრება ძველი იდეალებით. ახალი საქართველო ცივილიზაციის იმ ფართო შარაგზაზე გამოსულა, რომელიც მას საშუალებასა და უფლებას აძლევს, მეტალურგიული ქარხანა ააგოს.

ვეფხია სინანულით ტოვებს მშობლიურ ხევსურეთს, მითების ამ ზღაპრულ სამყაროს. მას თავის სულში თან შემოუნახავს რომანტიკა ცამდე აწვდილი მთებისა, ტყეებისა და ნისლებისა, მაგრამ მკითხველი გრძნობს, და მწერალიც გვიდასტურებს, რომ ძველი იდეალები უკუსაგდებია. ამ აზრით ათქმევინებს მწერალი არჩილს: „—მე კი აქ მოვედი და იცით, რატომ? — მიმართავს არჩილი ხევსურ თორღვაის, — ბოლოს და ბოლოს უნდა გამოხვიდეთ ხევსურები ჩვენი ცხოვრების დიდ გზაზე. წავიდა ის დრო, როდესაც ყველას თავს აწონებდით თქვენი ძველი ნახევრად ველური ზნე-ჩვეულებით და ადათებით. ახლა მაგით ვერც ვერავის გააკვირვებთ და აღარც არავის უნდა მაგისთანების ნახვა. არ შეიძლება თქვენ გვერდით სულ ოცი თუ ოცდაათი კილომეტრის მოშორებით ახალი ცხოვრება დუღდეს და თქვენ კი სახლებში რადიო და ელექტრონი გაგყავდეთ, მაგრამ თითონ შორეული საუკუნეებიდან აქეთ ნაბიჯი არ გადმოდგათ.

— მაგას რად ამბობ? — შეედავა წარბშეკვრით თორღვა, — ჩვენში ახლა ყველა სწავლობს საშუალო სკოლებში, რამდენიმე — უმაღლესში.

— ბევრია, მაგრამ ეს არ კმარა“.

ვეფხია ახალი ცხოვრების გზას მიჰყვება, თუმცა ადვილად როდი ტოვებს თავის საყვარელ სოფელს.

შემდეგ ხევსურულ ტალავარში გამოწყობილ და გადატეხილი ხმლით აღჭურვილ ვეფხიას თბილისში ვხედავთ, აქვეა ნაჩვენები მისი პირველი შეყოყმანება და უკანვე გამობრუნების განზრახვა, მაგრამ საბოლოოდ იგი სძლევს მერყეობას.

და სხვა ქართველებთან ერთად რუსეთში მიემგზავრება. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წარგზავნილი ეს ახალგაზრდები შორეულ აღმოსავლეთში სწავლობენ ფოლადის დნობას. აქ მრავალი საინტერესო დეტალია. ამ ახალგაზრდების შრომისა და ცხოვრების გამომსახველი.

შემდეგ ისინი ბრუნდებიან საქართველოში, როგორც სპეციალისტები და თავიანთ მასწავლებელ რუს მეგობართან ერთად იწყებენ ქართული ფოლადის გამოდნობას.

ასეთია რომანის სიუჟეტური ქარგა. აქ ვეცნობით პირველ ქართველ მეტალურგებს, მათს ინტერესებსა და ხასიათებს.

რომანში ერთმანეთს ენაცვლება ორი გმირი, ორი ხასიათი — ხევსური ვეფხია და მეომარი ჯარისკაცი ინჟინერი არჩილ სანებლიძე. ამ ორი ხასიათის გახსნის გზით ისკვნება საინტერესო სიუჟეტური ხლართი.

არჩილ სანებლიძე ახალი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის მეტად საინტერესო სახეა. შეიძლება ითქვას, რომ აკ. ბელიაშვილს არც ერთ ნაწარმოებში არ დაუხატავს ისე სრულყოფილად დადებითი გმირის, ახალი ადამიანის სულიერი სამყარო. ეს ყველაზე უფრო თანმიმდევრული და რომანტიზებული სახეა ბელიაშვილის შემოქმედებაში. რომანისტს ფართოდ შემოყავს ეს სახე ნაწარმოებში და მეტად საინტერესოდ გვაცნობს მის სულიერ ცხოვრებას. ეს დაჭრილი მეომარი ყველაფერზე მაღლა ახალი საქართველოს ინტერესს, საზოგადოებრივ ინტერესს აყენებს. ის საქართველოს ხვალინდელი დღის რომანტიკით ცოცხლობს და მზად არის თავისი დაჭრილი სხეული ზვარაკად შესწიროს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, თუ ეს საჭირო იქნება. „როგორც იქნა, ხორციელდება ჩემი ოცნება და საქართველოს საკუთარი მეტალურგიული ქარხანა ექნება, — გაიძახოდა იგი და ამისთვის, ამ ინტერესისთვის ის არაფერს ზოგავდა“. მწერალი, თავის მხრივ, განმარტავს: „ამას ამბობდა ის ადამიანი, რომელიც ფრონტზე მთლად დახეული, დაფლეთილი იყო ტყვიებით და ყუმბარის ნამსხვრევებით, ადამიანი, რომელმაც რამდენჯერმე გადააბიჯა სიკვდილს, ადამიანი, რომელსაც ასე უსინდისოდ უღალატა სატრფომ. აი ეს ადამიანი მოვიდა და სად-

ლაც, უბირო ორმოში ჩავარდნილ თალიკოს ხელი გამოუწოდა და ფეხზე დააყენა. ეს ადამიანი მოვიდა და ერთ წუთსაც არ ჩაფიქრებულა არც ცხოვრების აბაოებაზე, არც უახლოესი ადამიანის ვერაგობაზე, მოვიდა და ჭიანჭველას გულმოდგინეობით, ღონით და ფუსფუსით შეუდგა შენებას. თალიკოს რომ ეთხოვებოდა, სადგურში, გაფაციცებით აბარებდა თავის ჯერ კიდევ არარსებული ქარხნის დირექტორთან სიკოგოგებაშვილთან, ასე უთხარი, მისკერზე და მავთულის საჭრელ საამქროში რომ დამეყენებინა შეგირდები, ხალხი აღარ მეყოო... თავის ქვეყნის სიყვარულია, ალბათ, რომ ეიწყებს არჩილს ყველაფერ ამქვეყნიურს და ასე აკეთილშობილებს მის სულს, მის ადამიანობას, მის ვაჟკაცობას, მის მოქალაქეობას. ამიტომაა, ალბათ, ის ასე წმინდანივით სპეტაკი, გულმართალი, მაღალი, უხვი, მდაბალი. — ასე ფიქრობდა თალიკო". მართლაც უაღრესად კეთილშობილურია არჩილის საქციელი მთელ რომანში. ჯერ იყო და მან, როგორც მეომარმა, პატრიოტმა ქართველმა, ომში ისახელა თავი, მერე იყო და, სამშობლოში დაბრუნებული, მძიმე ჭრილობის ბიუხედავად, უმალვე მუშაობას შეუდგა და მთელი თავისი ფიქრი და ოცნება, სიცოცხლეც კი, საქართველოში მეტალურგიული ქარხნის აშენებას დაუმორჩილა. იგი იტანდა შიმშილს, მძიმე ტკივილებს, ჭრილობისაგან მიყენებულს, ებრძოდა ყველა ეგოისტს, მლიქვნელს, ორპირს, ასე იბრძოდა და შრომობდა თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. რომანში შთამბეჭდავად არის გადმოცემული არჩილის შეუპოვარი ბრძოლა, მიმართული რუსთავის ქარხანაში მოკალათებული ორპირების, ყალთაბანდებისა და გამფლანგველების წინააღმდეგ. როცა მის ხასიათს ვეცნობით, ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლდება შეუპოვარი საბჭოთა ადამიანის ამაღლებული და რომანტიკული სახე. მოვიგონოთ არჩილი თავის ახალგაზრდა მეგობრებთან შორეულ ციმბირში: „მართალია, ახალგაზრდები თითქოს შეეჩვევნენ ალაგსაც, ჰავასაც, ადგილსაც, სამუშაოსაც, მაგრამ თუ ყოველგვარ გაჭირვებას უძლებდნენ, ამაში დამსახურება უმეტესად არჩილს მიუძღოდა. მისი დიდი ხათრი ჰქონდათ ბიჭებს და ერთმანეთს აფრთხილებდნენ — ეს არ ჩაიდინო, არჩილი გაიგებს, არ გააფუჭო, არჩილს ეწყინე-

ბა, ეს არ გაიმეორო, არჩილი დაგვინახავს... შეუყვარდათ თავდავიწყებით ახალგაზრდებს ეს თავისი ხელმძღვანელი და რა არ უნდა დასჭირვებოდა რომელიმე მათგანს, რომ არჩილს მისთვის თავი არ გამოედო და არ დახმარებოდა. მართალია, არც ერთს არ აპატიებდა, თუ რამე ცუდს შეამჩნევდა, მაგრამ თუ საჭირო იყო, პირველი გამოესარჩლებოდა შეგირდს. ამიტომ შეუყვარდათ თავდავიწყებით ახალგაზრდებს ეს თავისი ხელმძღვანელი და, ამ შორეულ მხარეს ჩამოსულებს, იგი საიმედო შუქად ჰყავდათ მიჩნეული". როდესაც ავადმყოფი არჩილი მოსკოვში, მძიმე ოპერაციის შემდეგ, თავისი საყვარელ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას დაუბრუნდა, გულით გაიხარა, ახალი სახლებითა და ქუჩებით მოხიბლულმა. „მიაბიჯებდა მხიარული არჩილი, სიმღერის გუნებაზედაც კი დადგა. შემოდგომის გრილი მზე წყალში გარეცხილივით ქათქათებდა. ლურჯი კრიალა ცა, იაღლუჯის გადარუჯული სერები, მტკვრის ნაპირებზე ამოზრდილი ტყის მწვანე ბანჯგვი, ყველაფერი ეს ისე სუფთად მოჩანდა ზოლივით გამსჭვირვალე ჰაერში, თითქოს სულ ახლახან დაემთავრებინოთ ამ მოხიბლავი სურათის ხატვა და საღებავები ჯერ კიდევ სველი ყოფილიყო. არჩილმა თვალნათლივ დაინახა მთელი ამ მომავალი ქალაქისა და ქარხნის სიგრძე-სიგანე, მისი საზღვრები და განიერი ქუჩები, მოედნები, ბაღები და, აღფრთოვანებამ გულში საამოდ შეუღიტინა. მოულოდნელად ლექსის დაწერის სურვილი დაებადა და გუნებაში გაეცინა. „რატომ პოეტი არა ვარ, — გაიფიქრა მან, — აი, ასეთ რამეს ავწერდი, როგორ იბადება უდაბურ ველზე ახალი ინდუსტრიული ქალაქი საქართველოში". აღტაცებული ამ ახალი ქალაქის მშენებლობით, მისი ახალი ადამიანებით, პატიოსანი, ჭკვიანი მშრომელებით, მთელი გატაცებით ჩაებმება ამ გაცხოველებულ შრომაში და ეს რომანტიკოსი ინჟინერი ამიერიდან ამ ახალი ქალაქის მშენებლობის პათოსით ცოცხლობს.

არჩილი გვერდში უდგას და მეგობრობს ყველა მოწინავე ადამიანს. ამავე დროს დაუოკებლად ებრძვის ყველა ორგულსა და ორპირს... „ვატყობ, რომ ფრონტზე ნაკლები ამბები აქაც არ ჰომელის. ერთი კარგი საბრძოლო განგაში ავტეხო, ქვეყნის მთელი პატიოსანი მოსახლეობა ფეხზე დავაყენო,

დაერიონ გაიძვერებს და, როგორც ჩვენი სირცხვილი და თავის მოჭრა, ძირფესვიანად ამოვძირკვოთ და მოვსპოთ". და მართლაც, ჩვენ ნათლად ვხედავთ მის ვაჟკაცურ შემართებას ჩვენი ცხოვრების მუწუკების ამოსაძირკვავად. მოვიგონოთ არჩილის მღელვარე და შეუპოვარი სიტყვა რაიკომის სხდომაზე, მისი მხილება ბლიქვნელი მომარაგების განყოფილების გამგისა, ქურდი და გამფლანგველი ინჟინრისა.

მწერალი გვამცნობს არჩილის ინტიმურ ცხოვრებასაც. მან დიდი კეთილშობილება გამოიჩინა შეყვარებული თალიკოს მიმართ. ეს ახალგაზრდა გოგონა არჩილს ომში წასვლამდე უყვარდა. ქალიც ასევე გატაცებული იყო ამ პატიოსანი და უანგარო კაცით, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ომში წასულიყო არჩილი, რომ თალიკოს მეორე დღესვე ეღალატა სიყვარულისათვის. ის ვიღაც ცოლიან კაცს გაჰყვა. ამ უკანასკნელმა კი მიატოვა ორი შვილი და უმწეო ქალი. გაიგო თუ არა ეს ფრონტიდან დაბრუნებულმა არჩილმა, მაშინვე სოფელში გაემგზავრა, ორშვილიანი ქალი სახლში წამოიყვანა, მშობლების ოჯახში დააბინავა. მშობლებს ჰგონიათ, რომ ეს ბავშვები არჩილისაა, პატრონობენ და თავზე ევლებიან. შემდეგ ირკვევა, რომ ისინი სხვისი შვილებია. მიუხედავად ამისა, მაინც უვლიან მოხუცები ბავშვებს იმის იმედით, რომ არჩილი შეირთავს ამ ქალს. არჩილს, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა ყოფილ სატრფოს, არ უპატიებია ღალატი მისთვის. თალიკო მაინც არ უცდის არჩილის საბოლოო გადაწყვეტილებას და სხვას მიჰყვება. რომანის მომდევნო თავებში ვეცნობით არჩილის სატრფიალო ისტორიას ვიღაც შემთხვევით გაცნობილ ლამაზ ქალთან და, როცა იგი ამ ქალის სულიერ სიმახინჯესაც ჩასწვდება, გადაიფიქრებს და ცოლად ირთავს თავის მეზობელ მეცნიერ მუშაკს ნუნუს. ამ რთულ ინტიმურ ზიგზაგებსა და ხვეულებში ნათლად გამოკვეთა მწერალმა პატიოსანი კაცის ხასიათი და მოქმედება. არჩილი მოწინავე საბჭოთა ადამიანია თავისი საქციელით, სულიერი ინტერესებით, ცხოვრებითა და შრომით.

როგორც აღინიშნა, რომანში არჩილის სახეს თავისებურად ენაცვლება ხევსური ვეფხიას ხასიათი. მთების სამყაროს

ერთგული, ხმალზე მეოცნებე ვეფხია, რუსეთში მეტალურგიულ ქარხანაში, რუსი ბულატოვის მეთაურობით, გამოიწრთობა, ფოლადივით მტკიცე ხასიათის ხევსური უფრო მყარი და მთლიანი გახდება. ვეფხია რუსეთში თავს გამოიჩენს. როგორც ფოლადის მდნობელი და საქართველოში ბრუნდება. სწავლამ და გამოცდილებამ გააფართოვა ვეფხიას სულიერი ჰორიზონტი, მისი მსოფლშეგრძნება, მისი დამოკიდებულება სამყაროსთან, საგნებთან სხვანაირი გახდა. და როდესაც იგი საქართველოში დაბრუნდა, თავის საყვარელ ხევსურეთს ესტუმრა. ევროპულად ჩაცმული ახალგაზრდა ხევსური, მისი ჭრელი ჰალსტუკი, ლაპარაკის კილოს შეცვლა, მისი მონაყოლი ამბავის მოსმენა — ყოველივე ეს გაოცებასა და აღტაცებას იწვევს ხევსურებში. „ვეფხია კი მშვიდად ათვალიერებს გარემოს და უკვირს, როგორ დაპატარავებულა ყველაფერი, ეს მისი სოფელი, სახლები, მინდვრები, მანძილი ბარისახომდე, საქონელიც თითქოს სულ გამქრალა და დალეულა. ნუთუ ასეთი პატარები იყვნენ ძროხები, მაშინ რომ დიდებად ეჩვენებოდა და ახლა ცეროდენა ჰგონია".

ვეფხიას თავისი ღარიბი ქოხი დანგრეული დახვდა, სატრფო მზექალა — გათხოვილი. მან აღადგინა თავისი სახლკარი, მეზობლებისა და მეგობრების მოწონება დაიმსახურა და შემდეგ დაუბრუნდა თავის საყვარელ მეტალურგიულ ქარხანას.

„მცხეთაში ღამის სამ საათზე ჩამოხტნენ. ბიჭები ეუბნებოდნენ, თბილისში უფრო ადვილად იშოვნი [illegible] მიმავალ მანქანასო, მაგრამ გული არ დადგა. განთიადს სვეტიცხოველის ჯვარის და სამთავროს ჭვრეტით შეეგება. ბებრის ციხესთან წამოწეულ მანქანაზე შეხტა და გზადაგზა ისე გასცქეროდა არაგვის ხეობას, ტყეებით დაფარულ მთა-გორებს, კლდეებზე დაკიდულ ჩანჩქერთა ალმასის ყელსაბამებს, კორომთა ქოჩრებში ამართულ ციხეკოშკთა ნანგრევებს, თითქოს ეს ყველაფერი ერთი მოხვევით გულში უნდა ჩაეხუტებია".

ასე უყვარს ხევსურს თავისი მთა-ბარი, თავისი კუთხე. ის, მართალია, ოცნებობდა: თუ მზექალა გაუთხოვარი დახვდებოდა რუსთავში წაიყვანდა, ძველებურ კაბა-ჯუბას და ქალამნებს გახდიდა და ტანთ ახალმოდის ტანსაცმელს ჩააც-

ვევდა, დაკრიალებულ ოთახში შეიყვანდა. მაგრამ როდესაც სატრფო გათხოვილი დახვდა, განზრახვა შეცვალა, ვეფხიამ ჭხოლოდ ახლა შეიგრძნო და დაინახა თავისი კუთხის ეს წარმტაცი სილამაზე. აქამდე ისე გაიზარდა ამ მიწაზე, ერთხელაც არ განუცდია ბუნების მშვენება და სიდიადე. ჭაბ შემდეგ, რაც ის დიდი ქარხნების ბოლით, მარტენის ღუმელებიდან გამოვარდნილ ალში გაირუჯა, უფრო ლამაზი აღმოჩნდა თავის სამშობლო კუთხე. მაგრამ იქ ხუთი წლით ყოფნამ, ქალაქურმა ცხოვრებამ, კინო-თეატრებმა, სპორტულმა შეჯიბრებამ, ფოლადის საქმის ცოდნის შესწავლამ ხასიათი შეუცვალა, გაგება და შეგრძნობა საგნებისა გაუფართოვა, მაგრამ ამ კუთხისადმი სიყვარული გულში მაინც ძლიერად შემოინახა. ის ახლა ასე ფიქრობს: კარგია მისი სოფელი, მაგრამ რატომ არ შეიძლება ამ სახლების ახლებურად მოწყობა, გასუფთავება, ფანჯრების ჩასმა, ღუმელებისა და ბუხრების აგება, წყალსადენის გამოყვანა, აბაზანებისა და შხაპების მოწყობა. და მან სწორედ ამ ყაიდაზე მოაწყო თავისი ახალდაშენებული სახლი და კარი.

ვინც ამ რომანის კონცეფციას დააკვირდება და შეადარებს ა. ბელიაშვილის ხევსურ ვეფხიას მიხ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ გმირს ჯურხას, ის განსხვავებასაც ადვილად იპოვნის. ჯავახიშვილის ჯურხა ხევსურეთის რომანტიკოსი, მისი ტრადიციების უცვლელად შემნახველი და დაცველია. ჯურხამ მთელი მსოფლიო შემოიარა, მრავალი ქალაქი და სოფელი ნახა, მაგრამ ხასიათი და განწყობილება მაინც არ გამოეცვალა. ის უცვლელი და ერთგული დარჩა თავისი ძველი ხევსურეთისა და აქ კორექტივების შეტანის წინააღმდეგია. სულ სხვაა ვეფხია. იგი ახალმა ცხოვრებამ, სოციალისტურმა ქალაქმა გარდაქმნა, ხელმეორედ დაბადა, შეიყვარა ახალი ვითარება. მეტალურგის თვალით და შეგრძნობით შეხედა სამყაროს, მის სულში დარჩა სიყვარული ხევსურეთისა, რომელიც ახალ ყაიდაზე უნდა გარდაიქმნას.

ვეფხია მომხრეა. ახალი ყოფა დამკვიდრდეს მთაში, ხოლო მის გარშემო საყვარელი მთები და ნისლები ისევე ძვირფასია მისთვის, და სანუკვარი, როგორც მანამდე იყო. ამრიგად, ვეფხია ახალი ხევსურეთის, მისი ახალი ყოფის დამცვე-

ლია. მის შეგნებაში ახლა მთა ბარს კი არ უპირისპირდება, არამედ ახლა მთა ახალ კულტურას, ბარის კულტურას უნდა შეეზიაროს და ცივილიზაციის გზით ერთად უნდა იარონ. ამიტომაა, რომ ბელიაშვილმა ხევსურ ვეფხიას აღადგენინა თავისი სახლ-კარი, გააჩენინა თავისი კერა ხევსურეთში, იქ დაუდო მას თავისი წილი ახალი ყოფითა და ახალი შეგნებით, და ეს არ უშლის ხელს ხევსურ ვეფხიას, ისევ მოაშუროს რუსთავს, თავისი მეგობარი მეტალურგი ქალი შეირთოს და აქ გაიჩინოს მუდმივი ბინა.

ორი მთავარი გმირი — არჩილ სანებლიძე და ვეფხია ხალიბაური — მწერალმა ახალი თვალით, ახალი ცხოვრების კუთხით, მოწინავე ადამიანის საქციელითა და თვისებით გამოხატა და ყველაზე მეტი საღებავები ამ გმირებს მოანდომა. არ იქნებოდა სამართლიანი, ნაწარმოებში არ შეგვენიშნა სხვა ადამიანები. ჩვენს ყურადღებას იპყრობს არჩილის მეგობარი გოგი. იგი ისევე მოწინავე ადამიანია, ისევე თავდადებული ახალი საქართველოსათვის, როგორც არჩილი. მწერალი ამ გმირს ასე ახასიათებს: „იგი ეკუთვნოდა ახალი თაობის სპეციალისტთა იმ ჯგუფს, რომელიც თავისუფალია ისეთი ქვენაგრძნობებისაგან, როგორიცაა მარტოდ მარტო პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა და ამისთვის ყველა ღირსების დაკარგვა. გოგის არ ეშინოდა არც სამსახურის დაკარგვის, არც კარიერის კიბეებიდან ჩამოვარდნის, არ ჰქონია განზრახული იმ არალეგალური გზით სიმდიდრისა და ქონების მოპოვება, რასაც არც თუ ისე იშვიათად მიმართავდა მიმიკრიის თვისებების ადამიანები. გოგი იყო არჩილივით ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც ოცნებობდა, რომ მის ქვეყანაში აგებულიყოს ყველაზე დიდი ჰიდროსადგურები რომ აღედგინათ ბაგრატი, უფერდის, წრომის, ოშკის და სხვა შესანიშნავი ტაძრები, რომელნიც საბოლოოდ დანგრევის პირად იდგნენ, რომ მორწყულიყო შუაქართლის და მესხეთ-ჯავახეთის ველები, რომ... განა შეიძლება ჩამოთვლა თავის ქვეყნისათვის ყველა იმ კეთილი სურვილისა, რომლის განხორციელებაზე ოცნებობდნენ არჩილისა და გოგისთანა ინჟინრები!“

უნდა ითქვას, რომ გოგის დახასიათებას მაინც აკლია ის

სრულყოფილობა მისი საქციელისა და ხასიათის გამოსახვაში. რომელიც საჭიროა ასეთი დადებითი გმირისათვის. ის რამდენადმე დეკლარაციებში დახასიათებული გმირია, რომელსაც აკლია საღებავები და ფერები, რაც, მაგალითად, არჩილს აქვს რომანში. მაგრამ აქ საინტერესოა ტენდენცია, რომლითაც ავტორი გვიხატავს ამ მოწინავე ადამიანს. ეს მოწინავე ადამიანები იმედით შეჰყურებენ ცხოვრებას, სწამთ მომავალი, თავს სდებენ მისთვის, იტანენ ყოველგვარ გაჭირვებას, ებრძვიან მახინჯ მხარეებს ჩვენს ცხოვრებაში, ებრძვიან ისეთ ცუღლუტ ადამიანებს, როგორიცაა სეფე. ასეთი მოწინავე ადამიანები არიან აგრეთვე იასონ შარაშიძე და სხვანი და სხვანი.

მწერალმა სავსებით ბუნებრივად საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო რომანში იმ უღირსი ადამიანების მხილებას, რომლებიც აფერხებენ ჩვენი ცხოვრების წინსვლას.

რომანში ესკიზურად, მაგრამ საინტერესოდ არის გამოხატული კეთილი ადამიანების, არჩილის მშობლების, ნიკოსა და მართას ხასიათი. ნიკო იმ ქართველ ინტელიგენტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც რევოლუციის პირველ წლებში ახალი საქართველოს გზა ვერ გაიგეს და ერთ ხანს დუმდნენ. განზე იდგნენ, ხოლო შემდეგ კი, როცა ახალი ცხოვრების ნაყოფი დაინახეს (როგორ გალამაზდა საქართველოს ქალაქები და სოფლები, როგორ აშენდა ელექტროსადგურები, ფაბრიკები და ქარხნები), გულწრფელად აღიარებენ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს და არ ზოგავენ ენერგიას, რათა გახდნენ ახალი საქართველოს აქტიური მშენებლები. რომანში ასეთი ინტელიგენტის განზოგადებული სახეა ნიკო.

„ვეფხია ხალიბაურში“ აქცენტირებულია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ეპიზოდები და სურათები. ბელიაშვილი ახერხებს, დიდი ბუნებრიობა და უშუალობა შეუნარჩუნოს ამბავს. სტალინგრადის მეტალურგიული ქარხანა დანგრეულია, საბჭოთა არმიამ აქ დაამარცხა ჰიტლერის „უძლეველი“ არმია. მწერალი რომანში სამამულო ომის ეპიზოდებს ბუნებრივად და ზომიერად ურთავს. ქართველი ახალგაზრდები რუსი სპეციალისტების — ბულატოვისა და კასიმბაერის ხელმძღვანელობით სწავლობენ ფოლადის გამოდნობის საქ-

ნეს. დაუღალავ შრომაში ჰყარდება რუსი სპეციალისტებისა და ქართველი ახალგაზრდების საქმიანი და გულწრფელი ურთიერთობა. ვრცლად არის დახატული ახალგაზრდების შეხვედრები რუსი მეგობრების ოჯახში. ის დიდი ინტიმიც, რომელიც ამ ადამიანებს შორის ჰყარდება. აქვე ვეცნობით სატრფიალო-სამეჯნურო ეპიზოდებსაც. თავისებური სამკუთხედია ამ ფონზე, ერთი მხრით, გრუშა, ვეფხია, ლამარა და, ძეორე მხრით, შურა არჩილი, თალიკო. მწერალი ახერხებს ვრცლად გადმოსცეს ძმობისა და მეგობრობის ეპიზოდები ადამიანთა შრომისა და ცხოვრების რთულ ვითარებაში.

როგორც ვთქვით, რომანი „ვეფხია ხალიბაური" საინტერესო ნაწარმოებთაგანია არა მარტო აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში, არამედ, საერთოდ, უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ნაწარმოები სავსებით უნაკლო იყოს.

რომანის უმთავრეს ნაკლად ჩვენ მიგვაჩნია ზოგიერთი ეპიზოდისა და პასაჟის მხატვრული დაუმუშავებლობა.

ქართველი ახალგაზრდის ვანიკოს სიკვდილი და მთელი მისი თავგადასავალი რომანში მეტისმეტად მარტივი და სუსტად წარმოდგენილი ეპიზოდია: ასევე უადგილოდაა შემოყვანილი რომანში ირინე. მას არც სიუჟეტური და არც ესთეტიკური ფუნქცია არ ეგააჩნია. როგორც აღვნიშნეთ, რომანში ქართველი ახალგაზრდების ურთიერთობა რუს მეტალურგებთან მკაფიოდ არის დახასიათებული, მაგრამ მაინც ვიტყოდით, რომ საჭირო იყო მეტი სიმკვეთრე და მხატვრული დამთავრებულობა. ამ ახალგაზრდების ფიზიკური და სულიერი ჩამოყალიბება სწორედ აქ ხდება. მათს ბიოგრაფიაში ეს არის ყველაზე უფრო საინტერესო და ყველაზე უფრო გადამწყვეტი წლები. მათი ცხოვრების სულიერი ფორმირება და შრომის რომანტიკა რომანში შედარებით მკრთალადაა გამოხატული.

როგორც ჩვენი ჰიმოხილვიდან ჩანს, აკ. ბელიაშვილი მრავალმხრივი შემოქმედი იყო, — მრავალმხრივი თემატურად და ჟანრობრივად. ამავე დროს იგი იყო ფრიად ნაყოფიერი მწერალი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ყოველ მწერალს აქვს თავისი ლიტერატურული ყრმობის ხანა. თავისი ნიჭიერებისა და შესაძლებლობის მოსინჯვის პერიოდი კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც ჰქონდა. ვინც დააკვირდება მის ადრინდელ ლექსებსა და მოთხრობებს, დაინახავს, რა დაუოკებელი ძიებისა და შფოთის წლები იყო ის დრო მწერლის შემოქმედებაში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამწერლო მოღვაწეობა თითქმის ერთდროულად დაიწყო ლექსებითა და მოთხრობებით. უმთავრესად კი — ლექსებით. თუ ამ ლექსებს დღევანდელი პოეტური კულტურის თვალსაზრისით შევაფასებთ, რასაკვირველია, მათში აღმოჩნდება ახალგაზრდული ლიტერატურული ვარჯიშის კვალი, მაგრამ თუ ქართული მწერლობის ამ პერიოდის საერთო დონის მიხედვით მივუდგებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი შეიცავენ იმდროინდელი ქართული პოეზიის ყველა ღირსებასა და ნაკლს და აქტიურად მონაწილეობენ დიდ ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-იანი წლების ჩვენს მწერლობაში.

ლექსების პირველი კრებული კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1926 წელს, რჩეული ლექსებისა კი — 1932 წელს. როცა ახლა ამ კრებულებს ვფურცლავთ, თვალში გვეცემა ახალგაზრდული, მებრძოლი პათოსი, რითაც გამსჭვალულია საბჭოთა. პოეტის ეს ადრინდელი ლექსები. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც ჩვენი მწერლის პირველი ნაბიჯები და ერთგვარი ლიტერატურული მოსამზადებელი ხანა დიდ მწერლობაში შესასვლელად. აქ გამომჟღავნებულია ახალი, საბჭოთა ქვეყნის სიყვარულით გამთბარი რევოლუციური პათოსი და პოეტური აღქმა განახლებული ცხოვრებისა. პროტესტი

ყოველივე დახავსებულისა და დრომოჭმულისადმი. ეს ადრინდელი ლექსები სრულ წარმოდგენას იძლევიან იმ მძაფრი ლიტერატურული ძიებისას რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრებ ... ამ პირვანდელ პერიოდში. ლიტერატურის ისტორიაში ამ ლექსებს თავისი გარკვეული ადგილი უნდა მიეჩინოს. ამიტომ ბუნებრივია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ მათ შესახებ.

ლექსების მთელ ციკლში ახალგაზრდა პოეტი სიამაყით აცხადებს, რომ იგი რევოლუციის პოეტია, რევოლუციის ტრიბუნი, და ეჯიბრება ყველას, ვინც კი ახალი, საბჭოთა ცხოვრების საფუძველს ქმნის. მიმართავს რა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშენებელ ადამიანებს, კ. ლორთქიფანიძე სიამაყით აცხადებს: „ყველაზე მეტად მიწიერი მიწიერთ შორის, ადამიანთა მოყვარული ყველაზე მეტად — თქვენი სისხლია ჩემს ძარღვებში და ჩემის შრომით მეც თქვენთან ერთად კომუნისტურ მომავალს ვხედავ". ახალ. რევოლუციური ცხოვრებისათვის მებრძოლ პოეტს თავი იმით მოაქვს, რომ ის საქმით და სიტყვით ახალი ცხოვრების ერთი რიგითი მებრძოლთაგანია. პოეტი გულწრფელად აღიარებს: „მჭედელს ჩაქუჩი არ დაუკრავს ისე ძლიერად, როგორც მე სიტყვა ამბოხების, ბრძოლის და რისხვის; ვერ აწვალებდა ყვავ-ყორანი ისე ამირანს, როგორც მე ლექსი, გამოზრდილი ჩემივე სისხლით". ეს სტრიქონები იწერებოდა მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების ვითარებაში. კ. ლორთქიფანიძე მთელ თავის ნიჭსა და ძალას რევოლუციური მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახურში აყენებდა და ახლა ჩვენთვის გასაგებია, თუ ამ კლასობრივ ურთიერთობაში პოეტი რატომ აცხადებდა კატეგორიულად: „იცოდეთ: ყველას შესახებ ვწერ, მაგრამ არასდროს ყველასთვის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია".

ჩვენთვის ასევე ადვილად ასახსნელია ის ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ისტორიისადმი, კლასიკური მემკვიდრეობისადმი, რასაც იგი ამ წლებში ამჟღავნებდა. პროლეტარული მწერლობის მთელ იმ თაობას, რომელმაც მძაფრი პროტესტი გამოუცხადა წარსული ცხოვრების ყოველივე დრომოჭმულსა და უვარგისს და თავი გამოაცხადა

რევოლუციური ბრძოლების ამსახველად, ახასიათებდა ეს უკიდურესი მემარცხენული სულისკვეთება და შეცდომები კლასიკურ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულებაში. ცხადია, მცდარი იყო პოეტი, როდესაც ასე მიმართავდა წინაპრებს: „დროთა ტრიალმა ჩვენ ერთმანეთს გამოგვათხოვა. ჩვენ წინაპრები ერთმანეთი გადავიცანით". ჩვენ არ ვცდილობთ დავმალოთ პოეტის ეს შეცდომა. ამავე ლექსში („წინაპრებს") ჩვენ ვგრძნობთ კოსმოპოლიტურ განწყობილებას, რომელიც, სამწუხაროდ, 20-ან წლებში რევოლუციური ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს ახასიათებდა. ამ თვალსაზრისის გამომხატველია პოეტის შემდეგი სტრიქონები: „არ მეშინია უცხოეთში ბედის მოღუნვის, სევდას ვერ მომგვრის მე სამშობლოს მიწის სიშორე, სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის. მე ჩემ სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი".

იმდროინდელ მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლებში ამგვარ შეცდომებს არაიშვიათად ვხვდებით და ეს უთუოდ ამ თაობის პროლეტარული მწერლობის ნაკლი იყო. მაგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მათ შეუპოვარ ბრძოლას ყოველგვარი მემარჯვენეების, ობივატელების, მეშჩანებისა და ორპირების წინააღმდეგ დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა. სწორედ ამ გარემოებას გულისხმობდა პოეტი ერთ თავის ლექსში, რომელსაც „რაიკომის საწერი მანქანა" ჰქვია. რევოლუციის ცეცხლში შობილი ჩვენი თაობა, ვერ პოულობს სიტყვას და სტრიქონს იმ ცხარე ბრძოლების, რევოლუციური ბარიკადების დღეების აღსაწერად, გმირთა რომანტიკული საქმეების სადიდებლად. მაგრამ ჩვენი თაობა ვერ დაივიწყებს ვერც იმას, რომ ახლა, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, „ვხედავ მოძვრება ბუნაგიდან ობივატელი, ტყვიაზე უფრო დაუნდობი და საშიშარი; დღეს იმის დროშას აწერია ბრძოლა ფარული და ეგუება ყველა გზას და ყველა კალაპოტს, ის დაიფიცებს კომუნიზმის მზეს სიყვარულით და შენს სიფხიზლეს მლიქვნელობის წყალში დაალპობს". ამ ვითარებაში, პოეტის აზრით, მუდამ მზად უნდა იყოს ტყვია-წამალი. ერთი დაკვრით შეიძლება ავიღოთ ციხე-სიმაგრე, ხელისუფლება, მაგრამ გრძნობებთან, იდეებთან ბრძოლა უფრო ხანგრძლივია, — და, აი, იდეურ ბრძო-

ლაში ჩაბმული პოეტი დაუნდობლად ამხელდა ყველა იმას, ვინც რევოლუციის მხარეზე არ იყო, ებრძოდა მას აშკარად თუ ფარულად. ამ წლებში დაწერილი ლექსების უმთავრეს პათოსს შეადგენდა ეს კლასობრივი პრინციპი ლიტერატურაში („ნ. ჩხიკვაძეს", „წერილი სატრფოს", „რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს").

აი, ერთი ადგილი ლექსიდან „ნოე ჩხიკვაძეს":

გაუთავებელ ავდარს ჰგავდა შენი ცხოვრება,
მაგრამ გრიგალმა ვერ დასწყვიტა შენი ფესვები.
ო, ჩემს თაობას კიდევ დიდხანს ემახსოვრება
მოუსვენარი, დაუღლელი შენი ლექსები.
გესმის, თბილისი დღეს „მჭედლების" ხმაზე გუგუნებს.
ველარ მოესწარ, ამ ქვეყნიდან ისე წახველი...
მთელ საუკუნეს მოსწამლავდა, მთელ საუკუნეს,
რაც სამშობლოში შენ შეგასვეს მწარე ნაღველი.

პოეტის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობოდა სოციალისტური ცხოვრების თემებსა და მოტივებს. პოეტი ქებით იხსენიებდა რევოლუციურ ახალგაზრდობას, კომკავშირულ თაობას, რომელიც ახალ სოციალისტურ ცხოვრებას ამკვიდრებდა ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ჩვენს სოციალისტურ მინდვრებზე. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „მუშა გამომგონებელი". პოეტი მგზნებარედ აცხადებდა:

ფორდის ქვეყანავ, ბევრი ქვეყანა
ჩამორჩა შენი ტექნიკის დონეს.
მაგრამ ორმოცი საუკუნის წინ
პირამიდების მშენებელ მონებს
იმდენი ცრემლი არ დაუღვრიათ,
არ უწყეველიათ თავის გაჩენა...
ასე უღმერთოდ ფარაონებთან
არ უშრომია კაცის მარჯვენას,
როგორც შრომობენ შენი ზანგები...
შენ იმათ კვნესას უსმენ გულცივად,
დიადო შრომავ. შენს ისტორიას
სისხლი გამოდის ყოველ ფურცლიდან.
„შეგინებულო. შეზიზღებულო
და გაესებულო კაცთა ნაღველით,

ყველგან,
ყოველთვის,
დედამიწაზე
ტანჯვა ყოფილა შენი სახელი.
და იცით რატომ ვარ ბედნიერი,
ასე ამაყად თავი რად მომაქვს?
მე რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ,
სადაც წამება არ ჰქვია შრომას...

პოეტის იმდროინდელ ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს ინტერნაციონალურ მოტივებს. დამახასიათებელია ლექსი „ერევნიდან ეჩმიაძინამდე".

ეს თემატიკური მრავალფეროვნება, ეს მებრძოლი ინტონაციები და რიტმი, ეს დაუოკებელი სურვილი ახალი, სოციალისტური, რევოლუციური საქართველოს განმტკიცებისა და დამკვიდრებისა ამ ლექსებს ცხოველმყოფელობას ანიჭებენ.

რასაკვირველია, პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით კ. ლორთქიფანიძის ლექსებს ბევრი ნაკლი შეიძლება მოვუნახოთ. ჯერ კიდევ დაუდუღებელი ახალგაზრდა ლიტერატორის ამ სტრიქონებს სითბო და სინატიფე აკლია, მაგრამ იმდენად ძლიერია მათში ახალის დამკვიდრების პათოსი და რევოლუციური, მებრძოლი ინტონაციები, რომ ეს ნაკლი ერთგვარად იჩრდილება.

ახლა რამდენიმე სიტყვა კ. ლორთქიფანიძის ადრინდელი პროზაული ნაწარმოებების შესახებ.

ეს ნაწარმოებებია: „ახალი გლეხები", „ფოტოგრაფი", „ხავსი", „გაზეთი" და საბავშვო მოთხრობები: „პიონერი თანდო", „ცხოვრებას დაუბრუნდა", „გატეხილი თოფი", „პატარა რიქშა", „ახალი ცხოვრებისაკენ", „აკის ნიშანი". აქაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს იგივე მებრძოლი რევოლუციური განწყობილებები და ინტონაციები, რომელთა მიხედვითაც კ. ლორთქიფანიძე გვევლინებოდა ახალი სოციალისტური საქართველოს მხატვრად. ყველა ამ ნაწარმოებში იგი მგზნებარე მებრძოლია ახალი იდეებისა და ფორმების დამკვიდრებისათვის ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს ყოფასა და ოჯახში; ამავე დროს მწერალი დაუნ-

დობელი მამხილებელია საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარი მტრებისა, ყოველივე დრომოჭმულის და დახავსებულისა.

„ახალი გლეხები“ ნარკვევია, დაწერილი მგზნებარებითა და პათოსით. აქ ავტორი გვაცნობს მოგზაურობას ქიზიყში, შეხვედრას პირველ კომუნარებთან, რომლებსაც სათავეში უდგას კომუნის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, დაუღალავი მებრძოლი კომუნარი კობა ჩოხელი. დაწვრილებითაა მოთხრობილი სოციალისტური სოფლის პირველი მერცხლების იმ ჩვიდმეტ კომუნართა შესახებ, რომელთაც ქიზიყში პირველად საკოლმეურნეო არტელი — „კომუნა“ დააარსეს. პირველი ოქმიდან დაწყებული გვიყვება მწერალი იმ სიძნელეების, წინააღმდეგობებისა და კლასობრივი ბრძოლების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სოფლად 30-იანი წლების დასაწყისში. მწერლის პოზიცია ამ ახალი სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანების მიმართ აქ მთელი სიმძაფრითაა გამოხატული.

ასევე სოციალისტური პათოსით არის გაჟღენთილი მოთხრობა „ფოტოგრაფი“. ესაა თავისებური ძიება ნაწარმოების კომპოზიციისა. მწერალი მოგვითხრობს მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსულ ქალიშვილთან, ანგელინასთან, ფოტოგრაფ პიმენის უიღბლო გამიჯნურების ამბავს. მთელი ეს ამბავი გადმოცემულია ნაწარმოების სიუჟეტის გეგმის შედგენის თუ ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის თავისებური მოყოლის გზით. რაც შეეხება ნარკვევს — „გაზეთი“, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ეპიზოდს საქართველოს ლენინური კომკავშირის ისტორიიდან. დამახასიათებელია, რომ ამ ნარკვევის მთავარი მოქმედი პირი სპარტაკელების არალეგალური ჯგუფის მეთაური თოთიაურია; შემდეგ მან „პირველ დედაში“ შეგვახვედრა ამ გმირთან. იგი მებრძოლი კომკავშირლების, სპარტაკელების სიმბოლური სახეა.

იგივე რევოლუციური პათოსი, დახავსებულისა და მოძველებულის მხილება ყოველივე ახლისათვის ბრძოლაა დამახასიათებელი კ. ლორთქიფანიძის ადრინდელი საბავშვო მოთხრობებისთვისაც. პიონერი თანდო, უპატრონო ქუჩის ბიჭი შალვა თუ პავლიკი—ყველა ესენი თავიანთი გულუბრ-

ყვილო მოქმედებითა და საქციელით რევოლუციის პატარა ჯარისკაცები, თავდადებული პატრიოტები არიან. ნორჩი თაობის ამგვარად გამოხატვას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში პირველი დრამატურგიული ცდა იყო ლექსად დაწერილი პიესა „მესამე გზა“...

პიესის ძირითად მოტივს შეადგენს იმ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ასახვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-იან წლებში ახალი, სოციალისტური საქართველოს დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. პიესის მთავარი მოქმედი პირია რევოლუციონერი ბოლშევიკი კობა. ამ გმირის მეშვეობით მწერალი გვიხატავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს, პირველ წინააღმდეგობებს, რაც გაუწიეს საბჭოთა ხელისუფლებას.

საზღვარგარეთულმა ემიგრაციამ — ადგილობრივი ნაძირალების მხარდაჭერით — განიზრახა ააფეთქოს ერთ-ერთი ახალი დიდი საარხო მშენებლობა. შავრაზმელი ემიგრანტი ნოდარი კავშირს დაამყარებს თავის ცოლყოფილთან — ლიდიასთან, რომელიც ახლა კობას მეუღლეა. ლიდია მერყეობს კობასა და ნოდარს შორის. ერთი მხრივ, მას სინდისი ქენჯნის — უღალატოს კობას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მას და დაღუპვისაგან გადაარჩინა. მეორე მხრივ, ყოფილ თავადიშვილს ფუფუნებით ცხოვრება იტაცებს და კავშირს ამყარებს ემიგრანტ ქმართან. ეს უკანასკნელი მას საზღვარგარეთ წაყვანას ჰპირდება. მერყეობის გზაზე დამდგარი ქალი გადაწყვეტს, მესამე გზა აირჩიოს: იყოს ორივეს ერთგული. იგი მშენებლობის ნახაზებს და გეგმას უგზავნის ემიგრანტ ნოდარს, რომელსაც ბრმა იარაღად სურს გამოიყენოს თავისი ცოლყოფილი. ამავე დროს, წერილით ეხმიანება ბოლშევიკ კობას და ჩეკას. ბოლოს გამომჟღავნდება ბოროტმოქმედთა ზრახვანი. მშენებლობას გადაარჩენენ ავარიის საფრთხისაგან. მესამე გზის მაძიებელი, ორ სკამზე მჯდომი ლიდია, მარცხდება. ასეთია პიესის დედაარსი. ავტორის აზრით, გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, ძველი, დამარცხებული კლასების წარმომადგენლებსა და ახალი სოცია-

ლიტერატური საქართველოს მშენებელ მუშათა და გლეხკაცობას შორის გამართულ ბრძოლაში მესამე გზა არ არსებობს! იმარჯვებს ის და მომავალი მისია, ვინც ემხრობა ახალს, მხარს უჭერს რევოლუციურ საქართველოს და მისი ერთგული — პატრიოტი ადამიანია.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენთვის ნათელია, რომ კ. ლორთქიფანიძის ეს ადრინდელი მოთხრობები, როგორც მკაფრი იდეური პოზიციის მქონე ნაწარმოებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებისა და ჩვენი ხალხის სოციალისტური სამშობლოს სულისკვეთებით აღზრდის საქმეში*. ამასთანავე ისიც აღინიშნა, რომ მხატვრულობის თვალსაზრისით სუსტი ადგილები, რომლებიც ამ ნაწარმოებებში გვხვდება, და მემარცხენული ზასიათის შეცდომები არსებითად იყო ლიტერატურული ძიებების შედეგი და ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედის დიდ მწერლობაში შესვლისათვის ნიადაგის მოსინჯვა.

* * *

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1904 წელს სოფ. დიდიჯიხაიში (სამტრედიის რაიონი), მოსამსახურის ოჯახში. ბავშვობა აქვე გაატარა. შემდეგ იგი შეუყავთ ქუთაისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი დაასრულა 1924 წელს. ტექნიკუმის მოსწავლე უკვე აქვეყნებდა ლექსებს კომკავშირის ცეკას ორგანოში — გაზეთ „სპარტაკში". სულ მალე ის თბილისში გადმოვიდა და მთელი თავისი ცხოვრება ლიტერატურულ საქმიანობას დაუკავშირა.

1925 წელს ალმანახ „დარიალში" გამოქვეყნდა კ. ლორთქიფანიძის პირველი მოთხრობა, ხოლო 1926 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი პირველი რომანი „ხავსი". ამას მოჰყვა მოთხრობები „ფოტოგრაფი" და „პირველი დედა". 1933 წლიდან ჟურნალ „მნათობში" დაიწყო მწერლის ყველაზე დიდი და ვრცელი მოთხრობის — „კოლხეთის ცისკრის" თავების ბეჭდვა.

1938 წელს კ. ლორთქიფანიძე შემოქმედებითი მივ-

---

* ლ. კალანდაძე — „კ. ლორთქიფანიძის პროზა".

ლინებით გაიგზავნა ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში. სადაც მან დიდხანს დაჰყო. გაეცნო ბელორუსიის ხალხის წარსულს და აწმყოს და ამის შედეგად დაწერა მოთხრობების ციკლი, რომელსაც ვიცნობთ „ბელორუსული მოთხრობების“ სახელწოდებით.

სამამულო ომის გამოცხადების პირველი დღიდანვე კ. ლორთქიფანიძე გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიაში. სამამულო ომის დღეები მან გაატარა, როგორც ფრონტელმა კორესპონდენტმა და ჯარისკაცმა, და უშუალო თვალით დანახული და განცდილი ამბები გამოხატა შესანიშნავ მოთხრობებში: „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „მწვანე ღილი“, „მაისის დილა“ და სხვ.

კ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო პროლეტარული მწერლობის ასოციაციისა, შემდეგ კი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმისა. კ. ლორთქიფანიძე წლების განმავლობაში იყო ქართული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების კოლეგიის წევრი. ამჟამად იგი „ლიტერატურნაია გრუზიას“ უდგას სათავეში, როგორც რედაქტორი და დიდ მოღვაწეობას ეწევა ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

კ. ლორთქიფანიძე ცნობილია, როგორც პოეტი, პროზაიკოსი და, აგრეთვე, დრამატული ნაწარმოებებისა და კინოსცენარების ავტორი. მან თვითონვე გადააკეთა პიესად თავისი ცნობილი რომანი „კოლხეთის ცისკარი“, რომელიც წარმატებით დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. კინოში დაიდგა მისი „ჩრდილი გზაზე“, ჩეხოსლოვაკიის კინოსტუდიისა და „ქართული ფილმის“ გაერთიანებულმა რეჟისურამ კ. ლორთქიფანიძის თანაავტორობით დადგა ფილმი — „შეწყვეტილი სიმღერა“.

კ. ლორთქიფანიძე ცნობილია, როგორც მთარგმნელი. მან ქართულ ენაზე თარგმნა ადამ მიცკევიჩის, ფრანკოს, ტარას შევჩენკოს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მაქსიმ რილსკის, მიკოლა ბაჟანის, ალექსანდრე სურკოვის, ავეტიკ ისაკიანის და სხვათა ნაწარმოებები.

კ. ლორთქიფანიძე სალიტერატურო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით.

I

* * *

კ. ლორთქიფანიძის პროზა მეტად საინტერესოა თავისი თემატიკური სამყაროთი. მისი ნაწარმოებების თემა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოფისა და სულიერი ინტერესების ყველაზე მწვავე, ყველაზე მძაფრ კითხვებს შეეხება. მწერალი ცხოვრების მღელვარე ცენტრში დგას და, თვითონ ამ მღელვარებით შეპყრობილი, ხედავს და ხატავს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს. ის კარგად გრძნობს, როგორც მხატვარი, თუ ჩვენი ცხოვრების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რა უფრო იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

სწორედ პრობლემატურობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „პირველი დედა". აქ დასმულია სოციალისტურ საზოგადოებაში ოჯახის, ცოლქმრობის, ახალგაზრდების ურთიერთობის საკითხები.

კ. ლორთქიფანიძე ამ თემას შეეხო 30-იან წლებში. იგი პირველი ქართველი პროზაიკოსია, რომელმაც მეტად მწვავედ დააყენა ეს საკითხი. მოთხრობა საინტერესოა არა მხოლოდ პრობლემატური აქტუალობით, არამედ წმინდა ლიტერატურული ღირსებებითაც. ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელშიაც კ. ლორთქიფანიძის წერის მანერა, როგორც პროზაიკოსისა, მთელი სისრულით გამოვლინდა და ჩამოყალიბდა.

მოთხრობის ცენტრში მწერალმა ახალგაზრდა გოგონას — გაიანე მაისურაძეს თავგადასავალი დააყენა და საკმაოდ ვრცლად მოგვითხრო მისი ცხოვრების დამახასიათებელი დეტალები. 14 წლისა იყო გაიანე მაისურაძე, მამა რომ გარდაეცვალა. მეკურტნე ლევანს წვრილი ცოლ-შვილი დარჩა. მათში ყველაზე უფროსი გაიანე იყო. მარტოხელა ქალს, სალოშეს, გაუჭირდა სამი შვილის რჩენა... მართალია, მან არაფერი დაზოგა, არც ნამზითვი და არც საკუთარი შრომით მონაგარი, მაგრამ მრეცხავ ქალს ოჯახის რჩენა გაუძნელდა.

გაიანემ გადაწყვიტა შეეშველოს დედას, სკოლას თავი დაანებება და ვიღაც სპეკულანტს — იასონ ბეშკენაძეს ხელზე მოსამსახურედ დაუდგა. ათასი გაჭირვება და შეურაცხყოფა გადაიტანა აქ გაიანემ. სწორედ ამ გაჭირვების დროს შეხვდა მას კომკავშირის უჯრედის მდივანი ალექსი თოთიაური, ხელი გაუწოდა, ქარხანაში მუშაობა დააწყებინა. ეს იყო მისი ნამდვილი ცხოვრება: „გაიანეს ახლა ყველაფერი ახალი ეჩვენებოდა, ახალი იყო ეს ქუჩა, სადაც იგი დაიბადა და ბევრი მწარე დღე გამოიარა, ახალი იყო ეს ლამაზი ცა, რომელსაც წინათ არც კი უცქეროდა. ტკბილი იყო ეს შავი პურიც, რადგან იგი სხვისი ნასუფრალი არ იყო“.

ეს მოხდა 1922 წელს. გაიანე მაშინ 19 წლისა იყო. ერთი თვის შემდეგ იგი კომკავშირში მიიღეს და, აი, გაშალა ფრთები გაიანემ... მწერალი შემდეგ დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ახალგაზრდა გოგონას, მოწინავე კომკავშირელის თავგადასავალს. აქტივისტი გოგონა ყველას მოსწონს და პატივსა სცემს. იგი ცოლად გაჰყვა თავისივე სკოლის ამხანაგს გიდონ წამალაშვილს. ოჯახმა თავისი მოითხოვა. გიდონმა უფრო შეავიწროვა გაიანე — სამზარეულოსა და საწოლს მიაჯაჭვა. გაიანე ვერ შეეგუა ფრთების ამგვარ შეკვეცას. ერთ დღეს მან პროტესტი განუცხადა ქმარს და დედამთილს. გარდა საწოლისა და სამზარეულოსი, მეც მინდა ჩემი ადგილი მქონდეს ცხოვრებაშიო და სახლიდან გაიქცა. თავის მხრივ გიდონი და დედამთილი უმტკიცებენ გაიანეს — რაც ეს ქვეყანა გაჩნდა, კაცი გარეთ ტრიალებს და ქალი ოჯახს უვლის, ასე ყოფილა და ასე იქნებაო.

კ. ლორთქიფანიძემ ერთმანეთს დაუპირისპირა ორი უკიდურესი აზრი და შეხედულება: ერთი მხრივ, თვალსაზრისი გიდონ წამალაშვილისა, რომელიც მოითხოვს ოჯახური ტრადიციების ბრმად მორჩილებას და, მეორე მხრივ, თვალსაზრისი გაიანესი, რომელიც აუჯანყდა „მოახლის მდგომარეობას“ და მოითხოვა ოჯახური მოვალეობისაგან სრული თავისუფლება. ორივე ამ უკიდურესობას თავისი უარყოფითი შედეგები მოაქვს. გაიანე, ეს აქტივისტი ქალი, ოჯახსაც, თბილისსაც ტოვებს და ქუთაისში გადადის სამუშაოდ. აქ კვლავ გამოიჩენს ის თავს, როგორც უაღრესად მოწინავე სა-

ზოგადო მუშაკი, გამომგონებელი ქალი. მას აქ ახალი საქმ-
რო გამოუჩნდა. როდესაც ის საქმროსაგან—ჯაიანისაგან მიძ-
ღვნილ ბეჭედს დახედავს, სიცილით უპასუხებს: „ბორკილი
გინდა დამადო, ეს ბეჭედი შენს ნაცნობ მეშჩან ქალებს მიუ-
ტანე". გაიანეს უკვე მეშჩანობად მიაჩნდა ოჯახი, ბავშვი...

ბოლოს ის მაინც ინჟინერ ქორიძის მეორე ცოლი გახდე-
ბა. სწორედ ამ დროს გაიანე კომკავშირის რაიონულ კომი-
ტეტში დაწინაურეს და სომხეთში გაგზავნეს ახალგაზრდო-
ბის დელეგაციასთან ერთად. ქმარი ამის წინააღმდეგია; კვლავ
ტოვებს იგი ოჯახს.

კ. ლორთქიფანიძე საზოგადოებრივისა და პირადის,
ოჯახურისა და კომკავშირული ცხოვრების კონფლიქტის
გზით გვიხატავს ამ ახალგაზრდა ქალის სახეს. მწერალს მიაჩ-
ნია, რომ ასეთი დაპირისპირება უსაფუძვლოა, უნიადაგოა.
მართალია, ოჯახურ ტრადიციებში ბევრი რამ არის დრო-
მოჭმული და უვარგისი, და უნდა შეიცვალოს ის, მაგრამ ეს
იმას არ ნიშნავს, რომ ოჯახური ურთიერთობა, ცოლქმრული
დამოკიდებულება რაღაც გარკვეულ წესს და კანონს არ მოი-
თხოვდეს. მწერალი სავსებით სამართლიანად შენიშნავს:
„გაიანე გრძნობდა, გიდონისა და ქორიძის სახით ძველი და-
ხავსებული ადათები ეღობებოდნენ მას და სიცოცხლეს
უწამლავდნენ... ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლა იყო საჭი-
რო ამ ძველი ადათების წინააღმდეგ, მაგრამ გაიანეს თავისი
პირადი ცხოვრების საკითხები უმნიშვნელო წვრილმანად
მიაჩნდა იმ საზოგადოებრივი მუშაობის გვერდით, რასაც იგი
კომკავშირში ეწეოდა. ამიტომ ახალგაზრდა ქალი უფრო
იოლ გზას გაჰყვა: როგორც კი მოეჩვენებოდა, რომ ფრთების
შეჭრას მიპირებენო, მოედანს უბრძოლველად სტოვებდა".
სავსებით ნათელია, რომ მწერალი გაიანესთანა კომკავშირელ
გოგონებს (მიუხედავად მათი დიდი ღირსებისა — ისინი მო-
წინავე საზოგადო მუშაკები არიან) არ თანაუგრძნობს, გაია-
ნეს გზას რომ გავყვეთ, მაშინ ხელი უნდა ავიღოთ ოჯახზე,
ჩვენი საზოგადოების, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ერის ამ
პირველადს უჯრედზე, რაც დამღუპველი იქნებოდა. ამრიგად,
გაიანეს გზა როდია მისაღები. მაგრამ ამ გარემოებას აქვს
მეორე მხარე. წამალაშვილებისა და ქორიძეების დამოკიდე-

ბულებას ცოლის (გაიანეს) მიმართ ასევე შმორის, ჭაობის სუნი ასდის და ასევე მოითხოვს კორექტივებს. მწერალი სამართლიანად ბრალს სდებს გაიანეს, რომ მან უბრძოლველად დატოვა ეს კორექტივების გზა და უფრო იოლი გზა აირჩია: ოჯახის მიტოვება, აბორტი...

ნაწარმოების ფინალში მწერალმა გაიანეს შეახვედრა ალექსი თოთიაური, რომელმაც მიიღო იგი უჯრედში და რომელსაც მწერალმა ერთგვარი ვიზიონერის როლი მიანიჭა მოთხრობაში. თოთიაური ამხელს გაიანეს, იგი სამართლიანად შენიშნავს: „კომკავშირელი ქალი დედაც უნდა იყოს და საზოგადოებრივი მუშაკიც... გიდონთან ბრძოლა იყო საჭირო და არა გაქცევა. გიდონს შენ პირველი უნდა დახმარებოდი, რომ მას ძველი ადათებიდან თავი დაეღწია. მე მეგონა, ჩვენი უჯრედის ქალებიდან შენ პირველი შეჰქმნიდი ახალ ოჯახს, შენ იქნებოდი ჩვენი პირველი დედა, შენ კი რა ჩაიდინე, ადექი და სახლიდან გაიქეცი, თავს უშველე. კომკავშირლები ასე არ იქცევიან. გული მტკივა, ამას რომ გეუბნები, მაგრამ შენ არა ხარ კარგი კომკავშირელი, ახალგაზრდობის მასწავლებლად შენ ვერ გამოდგები“.

თოთიაურის ამ აზრს მწერალიც იზიარებს და მკითხველიც, თუმცა ასევე თანაუგრძნობენ მკითხველი და მწერალი გაიანეს, ამ მოწინავე საზოგადოებრივ ქალს, რომლის დღიურები კარგად გვისურათებს, თუ რა მძიმე ოჯახურ პირობებში მოექცა იგი. გაიანესთვის ხუნდებად იქცა წამალაშვილის ოჯახი, ფრთები შეუკვეცა უხიაგი ქმრის დესპოტურმა დამოკიდებულებამ მის საზოგადოებრივ აღტყინებას და სიხარულს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ საჭიროა ამ ბორკილების, ამ დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლა. თვითონ მწერალი ასე წყვეტს საკითხს: გაიანემ თითქოს შეიგნო თოთიაურის შეგონებანი: „მაშ დღემდის შემცდარი გზით მივლია“ — ასკვნის გაიანე და უბრუნდება ოჯახს. რასაკვირველია ეს უფრო ხელოვნური გადაწყვეტაა საკითხისა, მაგრამ მართალი გადაწყვეტა — და ამიტომ ავტორს უთუოდ უნდა დავეთანხმოთ.

თავის დროზე ეს მოთხრობა ჩვენს ლიტერატურაში ცხარე კამათისა და სჯა-ბაასის საგანი იყო. როგორც ჩანს, ბოლო გამოცემაში, ავტორს ზოგი რამ ამ კამათის მიხედვით შეუს-

წორებია და ნაწარმოები იდეურად და მხატვრულად უფრო სრულყოფილი გაუხდია.

კ. ლორთქიფანიძე, როგორც მხატვარი, მეტისმეტად კონდენსირებულად წერს. მას ხელოვნური გაჭიანურება ამბავისა არ უყვარს, ამიტომ სიტყვას, ფრაზას კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში ყოველთვის დიდი დატვირთვა ეძლევა. წერის ეს მანერა მთელი სისავსითაა გამომჟღავნებული ამ მოთხრობაშიც. ძუნწად გვიამბობს ავტორი თვითეული გმირის თავგადასავალს. აი, თუნდაც გიდონ წამალაშვილი, რომელიც, მართალია, თავისებურად მსჯელობს რევოლუციაზე, პროლეტარიატზე, ოჯახზე, მაგრამ გულით კეთილია და ახალი ცხოვრების ერთგული. ერთი შეხედვით თითქოს მართალია იგი ცოლთან კამათში:

„— თუ ღმერთი გწამს, გამაგებინე, რა ხარ შენ ჩემი?

— ამხანაგი.

— შეტი არაფერი?

— ცოლი!

— მერე?

— რა მერე! — მწარედ ჩაიცინა გაიანემ. მან იცოდა, რატომ ეკითხებოდა გიდონი.

— რა გაცინებს. აბა, რად მინდა ცოლი, თუ პერანგი არ გამირეცხა და შარვალი არ დამიუთოვა. ქალი რომ გათხოვდება, ოჯახში უნდა დაჯდეს და არა მსუბუქ კავალერიაში ირბინოს!“.

როგორც ითქვა, აქ თითქოს მართალია გიდონი, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ნამდვილად კი იგი მეტად განსაზღვრული, ცალმხრივი პიროვნებაა. თუმცა მწერალი ამ ცალმხრივობის გაშლას არ იძლევა. ასევე არ არის მოთხრობაში დამთავრებული დადებითი გმირის, მოწინავე კომკავშირელი — ალექსი თოთიაურის ხასიათი. იგი მხოლოდ გაიანესთან დამოკიდებულებაში წარმოადგინა მწერალმა. ამგვარი განსაზღვრა ხასიათებისა და ასე მოთხრობაში გმირების შემოყვანა მთავარი პრობლემის დასახატავად დამახასიათებელია კ. ლორთქიფანიძისათვის. ესაა წერის გარკვეული მანერა. სიუჟეტური მასალის ერთგვარი კონდენსირება ამის მიხედვით ხდება.

• • •

როგორც ვთქვით, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჩვენი თანამედროვე ცხოვრების, ჩვენი ეპოქის მხატვარია. მისი დამოკიდებულება ჩვენს დროსთან ღრმად გაჟღენთილია ახალი ცხოვრების პათოსით, მისი ინტერესებისა და საფუძვლების დაცვის გრძნობებით. ამ მხრივ იგი ტენდენციური მწერალია, იმგვარი ტენდენციისა, რომელსაც ენგელსი რეალიზმის ღირსებად თვლიდა.

კ. ლორთქიფანიძის ყოველი რომანი, ყოველი მოთხრობა, ყოველი მისი ფრაზა, ყოველი დადებითი გმირის ხასიათი და საქციელი ჩვენი ცხოვრების სიყვარულის პათოსით არის გაპირობებული. იგი აღტაცებით ხატავს, რაც კარგია და დიდებული ჩვენს ცხოვრებაში და თავად ამ სიხარულით ცხოვრობს, როგორც მხატვარი. როცა ის მამხილებელის როლშია, დიდი გულისტკივილით წერს იმ სიძნელეებსა და ნაკლზე, რაც ჩვენს ცხოვრებას ახლავს.

ჩვენი მწერლის პათოსს განსაზღვრავს დადებითი, პოზიტიური დამოკიდებულება თანამედროვეობასთან. დადებით გმირებს, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს, იგი დიდებით, სიყვარულით მოსავს. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ თანამედროვე ქართველ მწერალს იმდენი დრო, იმდენი ენერგია და სიყვარული არ დაუხარჯავს, არც იმდენი ფერები და საღებავები არ მოუხმარია დადებითი გმირების გამოსაძერწად, რამდენიც კ. ლორთქიფანიძეს. ეს არის მისი დამსახურება და მისი წერის მანერის განმსაზღვრელიც. კ. ლორთქიფანიძე ყოველ ამბავში, ყოველ ეპიზოდში, ყოველ სიტუაციაში ეძებს და პოულობს იმ დადებითს, იმ კეთილს, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ცხოვრება წინ და რომელიც მას ახლებურად წარმართავს. იგი დაუნდობელი მებრძოლია, როცა საქმე მტრებს შეეხება. ეს ტენდენცია აშკარად ჩანს მწერლის რომანებსა და მოთხრობებში. ჩვენ ეს შევნიშნეთ, მაგალითად, „პირველ დედაში“ და „ბელორუსულ მოთხრობებში“.

„ბელორუსული მოთხრობების“ ციკლი ოთხ მოთხრობას თუ ნოველას აერთიანებს: „ფუნდუკში“, „ცხენი“, „ისევ ცხენი“ და „უკვდავება“. მოქმედება ბელორუსიის ერთ-ერთ ყვე-

ლაზე უფრო ცნობილ მხარეში, ტბებითა და ტყეებით უხვ პოლესიეში წარმოებს.

1935 წელს კ. ლორთქიფანიძე, ქართველ მწერლებთან ერთად, ბელორუსიაში გაემგზავრა. აქ მან რამდენიმე კვირა დაჰყო: გაეცნო სტუმართმოყვარე სოციალისტურ ბელორუსიას, მის წარსულსა და მის თანამედროვე ცხოვრებას. აქ ნანახი და გაგონილი მწერალმა ოსტატურად გამოხატა მოთხრობების ზემოხსენებულ კრებულში.

მოთხრობების ციკლს აერთიანებს მოხუცი ბაბუა რუხლოს თავგადასავალი. სამივე ნოველაში გამოჩნდება იგი, როგორც მთავარი მოქმედი პირი. მისი ცხოვრებისა და სულიერი ინტერესების გამოხატვას უკავშირდება მოთხრობების ამ ციკლში წარმოდგენილი ამბავი, რომელიც პირველი იმპერიალისტური ომის წლებს შეეხება. ბელორუსი ხალხის ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბელორუსიაში — ამ მოთხრობის უმთავრესი პათოსია.

ტბის პირად, სოფლის განაპირას ძველ ფუნდუკში შეგვეხვედრა მწერალმა პირველად ბაბუა რუხლოსთან. ის თანამემამულეებს ზღაპარს უყვება. ზღაპარი მეფისა და ღარიბ კაცთა თავგადასავალს შეეხება.

„ახლა ნაბოლარა წარუდგა უფალს. ცალთვალა ფეხმოქცეული ჯუჯა კაცი. ტანზე ჯვალოს ტომარა ჩამოეცვა, თავზეც ხის ქერქისაგან გამოქნილი ქუდი დაეხურა. შენ რაღას ინატრებო? — ჰკითხა უფალმა. — მე ბევრს არაფერსა გთხოვ გულთამხილავო! რასაც ჩემი ცალი თვალი აიწონის, იმდენი მიწა მიბოძეთო. — მოახსენა ცალთვალამ. უფალს გაეცინა თურმე! რამდენს კი აიწონის ეგ შენი თვალი, 'შენ ჩემო ძმაო, ნატვრის შნოც არა გქონიაო!

უბრძანა მოციქულს, ბედის სასწორი მომიტანეთო. სანამ სასწორს მიუტანდნენ, კიდევ შეახსენა ცალთვალას, სხვა რამ ინატრე, თორემ ცარიელ-ტარიელი დამრჩები, შენს თვალს ერთი მუჭა მიწაც გადასწონისო!.. ამოთხარა ნაბოლარას მეორე თვალიც და სასწორზე დასდო... რამდენი არ მოიტანეს მიწა, საიდან არ მოიტანეს, იმ თვალს მაინც ვერაფერი ვერ მოუხერხეს! ვერა და ვერ გადაწონეს...“ ასე მთავ-

რდება ეს ამბავი. „ეჰ, რა მიწა გააძღებს გლეხკაცის თვალს, რა იცოდა უფალმა, რომ იმ პატარა თვალში იმდენი ცრემლი იყო, იმდენი დარდი და უძილო ღამე, — მთელი პოლესიეს მიწა რომ მოეტანათ. იმას მაინც ვერ გადაწონიდნენ". მიწა, მიწისთვის ბრძოლა გლეხის არსებობის შინაარსს შეადგენდა. მიწისთვის იტანჯებოდა გლეხი საუკუნეების განმავლობაში. ეს მოტივი საინტერესოდ არის გადმოცემული ამ ძუნწად მოთხრობილ ეპიზოდში, ჯონდენსირებულ ზღაპარში.

ამას მოსდევს ამბავი, ასევე ძუნწად მოთხრობილი, თუ ომმა როგორ წაართვა ბაბუა რუხლოს ორი ვაჟკაცი, ერთი მათგანი უკვე დაიღუპა ომში, მეორე ვაჟი მიხასი ახლა ფრონტზეა, ხოლო სახლში რძალი და მცირეწლოვანი შვილიშვილი დარჩნენ. ამიერიდან მთელი ოჯახი ერთი ძროხის შემყურე გახდა. ამ დეტალით ხატავს მწერალი პირველი მსოფლიო ომის, ხალხის აწიოკებისა და აკლების, სიღატაკისა და შიმშილის სურათს.

მეორე ნოველაში ჩვენ ვეცნობით რუხლოს ვაჟს მიხასის, მის საბრძოლო ეპიზოდებს, მის თანამებრძოლებს. ერთი მისი მეგობარი, ზორბა ტანის ჯარისკაცი, გუთნისდედად დაბადებული, მხვნელი და მთესველი, რომელსაც შარვლის მარჯვენა ტოტი ცარიელი ჰქონდა საწვიმარი ფილიკით — ეს ფეხმოკრილი კაცი — მაინც იმედით შეპყურებს ხვალინდელ დღეს.

„— გუთანს ალბათ ვეღარ მოვეკიდები. მაგრამ ფარცხვას ხომ შევძლებ! — ვერ შევძლებ? ძალიან მიყვარს ფარცხვა, ძალიან. — მღელვარედ გაიმეორა მან".

ცალფეხა ჯარისკაცის აღელვების მიზეზი არა მარტო მიხასის, არამედ ჩვენც კარგად გვესმის. ამ სიტყვებში გამოხატულია ომში გარეკილი გლეხკაცობის უკმაყოფილების, სევდისა და პროტესტის განწყობილება. ამის შემდეგ ბუნებრივად მოჩანს ლაზარეთში მყოფი დაჭრილი ჯარისკაცის მიხასის სულიერი განწყობილება. იგი გამოიპარება ლაზარეთიდან და თავის ოჯახს, თავის კერას მოაშურებს. მწერალი მესანიშნავად აგვიწერს, თუ მიხასიმ მოპარული ბეხრიკა ცხენით, რომელსაც ლაზარეთში „სანიტარს" უძახდნენ, რა წვა-

ლებით დააღწია თავი ომის ჯოჯოხეთს და შინ დაბრუნდა. სახლში ყველანი კარგად დახვდნენ — მამა რუხლო, ცოლი ულადია და შვილი. ეს ჯავლაგა ცხენიც გამოაკეთეს, ხვნა-თესვის სამზადისს შეუდგნენ, მაგრამ ვინ აცლის გლეხს ნშვიდობიან ცხოვრებას?

მწერალი აღწერს როგორ გამოაცოცხლა რუხლო ცხენის შოვნამ. ბაბუა რუხლომ სადღაც ბრძოლის ველზე მოკლულ ცხენებს ნალები დააძრო. ეს ნალები და ლურსმნები წამოიღო, სახლისაკენ გამოსწია, მაგრამ სწორედ ამ დროს გაიდამაკებს, რუხლოს ცხენი გუთნიდან გამოეხსნათ. ეს სურათი ასეთი ეპიზოდით მთავრდება: სასოწარკვეთილი მოხუცი „ცხენს გამოუდგა, ბელტს წამოედო და ხნულში დაეცა. ნალებიანი თოფრაკი ხელიდან გაუვარდა. — მამა! — მუდარით დაუძახა მიხასეა. — ერთ წუთს დამიცადე კეთილო კაცო! სიტყვა მათქმევინე ერთ წუთს! — გასძახა მოხუცმა ეზოდან გადასულ გაიდამაკს". მაგრამ იგი ისევ დაეცა, ყურადღება არავის მიუქცევია, მწერალი ასე ამზადებს ხვალინდელ პარტიზანებს მოძალადეების წინააღმდეგ საბრძოლველად. გამწარებული ბაბუა რუხლო ფსიქოლოგიურად მომზადებულია ამ შემართებისათვის. ამიტომ მისი სიტყვებიც ბუნებრივია.

„— დავაგვიანეთ?! — სთქვა მოხუცმა და ღრმად ამოიოხრა: — მე ეს ქვეყანა უფრო ჭკვიანი მეგონა! ცხენი წამართვეს, გუთანს მომწყვიტეს. ის კი დაავიწყდათ, რომ არ შეიძლება გლეხკაცის დატოვება ცარიელი ხელის ამარა! ცარიელი ხელი სხვა რამეს ეძებს — გესმის, შვილო? სხვა რამეს! ყოველთვის კი არ დავაგვიანებთ!"

ამ ციკლის მეოთხე ნოველაა „უკვდავება". აქ ვხედავთ იარაღი რომ აღუმართავთ, სახნისის მაგივრად, მიხასის და რუხლოსაც: „უკვდავება" ფსიქოლოგიურად საინტერესო, მართალი ნოველაა: მთავრობისაგან, მოხელეებისაგან — გერმანელ დამპყრობთაგან დატანჯულ გლეხკაცობას იარაღი აუღია ხელში სამშობლოს, ოჯახის, ნამუსის დასაცავად.

პისკუნის პარტიზანები იარაღს აგროვებენ. მტრის წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადებიან. მიხასი უკვე პისკუნის რახმშია. ახლა ამ ჯგუფს უერთდება მოხუცი რუხლოც. პარ-

ტიზანებმა რუხლოს ნდობა გამოუცხადეს, გერმანელი დეზერტირი ჯარისკაცებისაგან იარაღის შესყიდვა მიანდვეს. მოხუცებული კაცი ერთბაშად გამოცოცხლდა. „მოხუცის დაუქმებულ ცხოვრებას აზრი მიეცა და ფასი დაედო. განა ოდესმე იფიქრებდა, რომ ეს გადაყრუებული, სიკვდილისაგან მივიწყებული ბებრუხანა საქვეყნო საქმეში ხელს გარევდა! უხაროდა პისკუნის ნდობა. უხაროდა, რომ საჭირო კაცი გახდა“. მოხუცებული კაცი სამაგიეროს გადახდის, მტრისადმი შურისძიების გრძნობით აღენთო. რუხლო ყიდულობდა თოფებს და მალავდა სარდაფში, თან შურისგებით ამბობდა — „ეს ჩემი ცხენის წართმევისათვის, ეს იმიტომ, რომ მიხასს შინ არ სძინავს, ეს ჩემი სიბერის გამწარებისათვის... ეს ტერენტი ჟუკის სახელზე იყოს, ეს გრაბკოსი, ეს მიკოდასი“ (ესენი რუხლოს მეგობრებია, მისი სახლიკაცები). ასე მზადდება ამ მოხუცებული კაცის შეგნებაში მტრისადმი სამაგიეროს გადახდის, შურისძიების გრძნობა და მწერალი სამართლიანად განმარტავს: „ეს იყო ახალი გრძნობა, ეს გრძნობა ყოველგვარ შიშზე და ხიფათზე ძლიერი აღმოჩნდა“. ამ გრძნობით შთაგონებული ბაბუა რუხლო, სახლში გადამალული თოფების წასაღებად მოსული პისკუნის გადასარჩენად, მოწამლულ ხორცს, რომელიც მოძალადეებმა გასასინჯად ძაღლს უნდა გადაუგდონ, თვითონ შეჭამს. იგი კვდება გაიდამაკებთან, თავის მტრებთან ერთად. მთელი ეს ფსიქოლოგიური ნახატი ასე თავდება: ტყისკენ მიდიოდა პისკუნი და თან მიჰქონდა უსულო მოხუცის გვამი. „მოხუცის სახეს რამდენიმე წვეთი დაეცა, ცრემლი კი არა, ოფლი იყო. ცრემლი დიდი ხანია გაუშრა პისკუნს“. ჩვენს შეგნებაში ცოცხლდება ტანჯვასა და წვალებაში, შიმშილსა და სიღატაკეში, მონობასა და ჩაგვრაში გამოვლილი კაცის უკვდავებაში გადასული სახე.

რუხლოს საგმირო საქმე, მისი ვაჟკაცური თავდადება და გმირული სიკვდილი ძლიერ გვაგონებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ვასილ ჟიგას („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“). ეს ორი სულიერი ძმა, ეს ორი სახე, ეს ორი გმირი, თავისი ხალხის უკვდავებისათვის თავდადებული, თავისი მტკიცე ხასიათით, გოლიათური ნებისყოფით, გაუტეხელი

სულით ერთმანეთს გვაგონებენ. სამოქალაქო ომის გმირს ბაბუა რუხლოს და დიდი სამამულო ომის გმირს ვასილ ჟიგას ერთმანეთთან აახლოებს და ანათესავებს დიდი თავდადება და სიყვარული თავისი მამულისადმი. ამ გზაზე ამაღლდნენ ისინი, ამ გზაზე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს... და ასე გამოხატა მწერალმა ეს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა გარემოების ორი უკვდავი გმირი.

* * *

მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური" დიდ სამამულო ომს შეეხება. იგი თავისებური განმეორებაა, სხვა მდგომარეობასა და სხვა ვითარებაში, იმ მხატვრულ სამყაროსი, რომელიც გადაშლილია მოთხრობა „უკვდავებაში". ვასილ ჟიგას პირდაპირი წინაპარი, მისი მამა თუ პაპა ბაბუა რუხლოა. ეს უპრეტენზიო მოხუცი კაცი, რომელმაც თავის თავზე გადაიტანა რევოლუციამდელი გლეხის მთელი სიდუხჭირე და ვაება. ბაბუა რუხლოს მტერი იყო გერმანელი დამპყრობლებიც და ადგილობრივი ბელორუსი პანებიც. ორივე ეზიზღებოდა მას და ორივეს ებრძოდა. კოლმეურნე ვასილ ჟიგას კი შინაური მტერი არა ჰყავს. მისი მეზობლები მასავით პატიოსანი მხვნელ-მთესველნი, კოლმეურნეები, კეთილი ადამიანები არიან. მას მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს — ეს გერმანელი დამპყრობნი და მძარცველებია და მისი ბრძოლაც, მისი მოუსვენარი შურისგებაც ამ გარეშე მტრის წინააღმდეგაა მიმართული.

„როგორ მოკვდა მოხუცი მებადური" საინტერესოა თავისი ღრმა პატრიოტული და მხატვრული გადაწყვეტით. მოთხრობის გმირი, ვასილ ჟიგა, უკრაინელი მებადური, სოფელ კურჩანკას მეთევზეთა არტელის უხუცესი წევრი, მოთხრობაში გამოხატულია თავისი შეუპოვარი სულითა და რაინდული საქციელით. მწერალს დასამახსოვრებლად აქვს მოცემული ამ მოხუცებული კაცის სახე. მოთხრობის დასაწყისშივე ვეცნობით მას: „წყალში ფეხი შევდგი თუ არა, შორიახლო წვერებგაბურძგნული მოხუცი დავინახე. ხორცდაყრილ ტანზე ძონძივით ეკიდა დამჭკნარი კანი". ამ სიტყვების ქვეტექსტი ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ მწერალი თითქოს მკითხველს არ ენდობა და განმარტებას იძლევა.

„ვასილ ჟიგა ნებიერად ცხოვრობდა გერმანელთა შემოსევამდე, ორი მოსწრებული ვაჟი ჰყავდა, ომამდე ორივე ხარკოვში ცხოვრობდა. შვილები მოხუც დედ-მამას ხელის გულზე ატარებდნენ. ომი რომ დაიწყო, უფროსი ვაჟი შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს რომელიღაც მშენებლობის უფროსად. უმცროსი—ჯარში იყო. მალე წელიწადი შესრულდება, მათი არაფერი ვიცი. სწუხდა მოხუცი". მაგრამ ეს არ აკმარეს... გერმანელებმა აღარც ბადე შეარჩინეს და აღარც ნავი. ბოლოს მოხუც მებადურს მარჩენალი ძროხა წაართვეს. მოხუცებულმა ცოლმა გადაწყვიტა, რომ არ დათმოს ძროხა; გერმანელებმა მოკლეს ეს უდანაშაულო ქალი. ასე გაამწარეს და გააბოროტეს მოხუცებული კაცი ფაშისტმა დამპყრობლებმა იმ „შავი წელიწადის დღეებში". მას მტრის სიძულვილი ყელამდე ამოსული აქვს და ეძებს შემთხვევას შური იძიოს გერმანელებზე. ამ დროს მასთან მოვა ახალგაზრდა მზვერავი, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს გერმანელების საცეცხლე პუნქტის ადგილსამყოფელი. იგი გაიგებს მოხუცისაგან, რომ ჩალის ზვინებშია დამალული მათი ზარბაზნები. სწორედ ამ დროს ატყდება განგაში. მთელი სოფელი გამორეკეს, ერთად შეყარეს, მათ შორის აღმოჩნდა ვასილ ჯიგაც და ეს მზვერავიც. გერმანელმა ოფიცერმა პირველი ვასილ ჟიგას გამოუძახა და შეეკითხა: „სად არიან პარტიზანები?! — არ ვიცი! — წყნარად მიუგო მოხუცმა. — ოფიცერმა რიყის ქვასავით მძიმე ხელისგული შემოჰკრა მოხუცს. ვასილი წაიქცა, მაგრამ მაშინვე წამოდგა". ოფიცერმა ხელმეორედ შემოჰკრა მოხუც ჟიგას. ახლა მოწყვეტით დაემხო მიწაზე, მაგრამ მაინც წამოდგა. გერმანელმა მესამედ შემოჰკრა, — ეხლა კი მოხუცი სიმწრისაგან მიწას ფხოჭნიდა და ცდილობდა ფეხზე დამდგარიყო. — ამ დეტალით ჩვენს ცნობიერებაში შემოდის ამაყი, პატრიოტი და გაუტეხელი გლეხი, გასაოცარი სულიერი სიმშვიდისა და ნებისყოფის კაცი. მწერალი თავის მხრივ უმატებს: „არ უნდოდა კოლმეურნე ვასილი ჟიგას მიწაზე ყოფილიყო გართხმული გერმანელის წინაშე". როდესაც გერმანელი ოფიცერი ვერას გახდა, ამ წესით გაეგო პარტიზანების სამყოფელი, ბრძანება გასცა, რიგში ჩაეყენებინათ

ᲗᲗᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲔᲮᲕᲠᲘᲢᲐᲗ. ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲖᲕᲔᲠᲐᲕᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲙᲘ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲧᲘᲒᲐ. ᲕᲐᲡᲘᲚ ᲧᲘᲒᲐᲛ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲖᲕᲔᲠᲐᲕ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲒᲐᲭᲙᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲐ. ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲖᲕᲔᲠᲐᲕᲘ: „ᲡᲐᲜᲐᲛ ᲒᲝᲜᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲘ, ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲗᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲡ. ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲧᲘᲒᲐᲡ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲝᲝᲤᲘ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ“.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲧᲘᲒᲐᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲖᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲒᲐᲘᲦᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲣᲙᲐᲤᲐ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ. ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲘᲒᲘ: „ᲐᲡᲔ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲛᲔᲑᲐᲓᲣᲠᲘ, ᲗᲣ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲓᲐᲔᲠᲥᲕᲔᲕᲐ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ.

ᲔᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲰᲘᲛᲜᲘ, ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ. ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲘᲗ. Კ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ. ᲛᲐᲜ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲐᲠᲐᲯᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲮᲣᲚᲛᲐ, ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ. ᲔᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲓᲘᲓ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ „ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲦᲘᲚᲘ“.

„ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲦᲘᲚᲘ“ ᲡᲐᲛᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲐ: „ᲚᲐᲓᲝ ᲕᲐᲨᲐᲚᲝᲛᲘᲫᲔ“, „ᲙᲐᲖᲐᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ“, „ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲖᲔ“.

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲚᲐᲓᲝ ᲕᲐᲨᲐᲚᲝᲛᲘᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲘ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲢᲘᲛᲘᲗ. ᲐᲥ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲓᲐ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘ ᲭᲐᲚᲐᲠᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ.

„მწვანე ღილის“ ექსპოზიცია მეტად საინტერესოა. აქ მწერალი ახერხებს ერთბაშად დააინტერესოს მკითხველი საიდუმლოებათა გაგებით. ამ ინტერესს ბადებს კაზაკი ქალის მუდამ ერთი და იგივე კითხვა ჯარისკაცების მიმართ.

„ქართველი თუ ხართ ვინმე, შვილო? შემდეგ ხის ჯვარზე გაკრულ სურათს დახედავდა იგი და იტყოდა:

„აქ მარხია ჩემი სიცოცხლე... ჩემი სვეტლანა! ქაჯთან ნაწოლი დედაკაცის ნაშიერმა მომიკლა იგი... შენ ბრძოლაში მიდიხარ, შვილო, ერთ ტყვიას ჩემი შვილის სახელი დაარქვი“.

შემდეგ ვიგებთ, თუ ვინ იყო ეს სვეტლანა და რად ეხვეწებოდა ასე დაჟინებით დედამისი სწორედ ქართველებს, შური ეძიათ მისი შვილის მაგიერ.

კაზაკი ქალიშვილი სვეტლანა და დედამისი მძიმედ დაჭრილ, გონებადაკარგულ ჯარისკაცს ლადო ვაშალომიძეს გადაეყრებიან, სახლში წამოიყვანებენ, მოუვლიან, უპატრონებენ და მოარჩენენ. მოთხრობაში დიდი სიძლიერითაა გამოხატული კეთილი, ნაზი გულისა და შეუდრეკელი პატრიოტი ქალის სვეტლანას ხასიათი.

სვეტლანას მამა სტეფანე ვერშინინი ჩრდილო-ოსეთში ცნობილი სარაჯი იყო. მისი გაკეთებული უნაგირი განთქმული იყო არა მარტო ოსეთში, არამედ მთელ საქართველოშიც. როდესაც მოზდოკს გერმანელი ფაშისტები მოადგნენ, სარაჯი სახალხო ლაშქარში ჩაეწერა და ომის გზას გაუდგა. შემდეგ სვეტლანას უფროსი ძმაც ჯარში წაიყვანეს. სვეტლანა — გმირობაზე მეოცნებე ქალიშვილი — სამედიცინო დების კურსებზე გაგზავნეს, მაგრამ მან ვერ დატოვა მარტოხელა დედა და ისევ სახლს დაუბრუნდა. გმირობაზე მეოცნებე ქალმა მთელი გულითა და სულით მოუარა ამ დაჭრილ მეომარს და ამაში თითქოს თავისი ოცნების განხორციელება იპოვა. მწერალს შესანიშნავად აქვს გამოხატული დაჭრილი ჯარისკაცისა და მეოცნებე კაზაკი ქალის სატრფიალო თავგადასავალი. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ცოლქმრობის პირობა მისცეს. სწორედ ამ ქალმა დაუკერა მას ის მწვანე ღილი, რომელიც ჯარში დაბრუნებულ ვაშალომიძეს სხვებისაგან გამოარჩევდა. როგორც სიყვარულის სიმბოლო, ისე გამოატანა სვეტლანამ ეს მწვანე ღილი მეომარ ვაჟკაცს. მას

უნდოდა თან გაჰყოლოდა ქართველ ვაჟკაცს ფრონტზე, მაგრამ მათი გეგმა ჩაიშალა. ამ დროს მოხდა ასეთი ამბავი: მოხუცებულ ტრაქტორისტს, გირსკის, უმოწყალოდ სცემდა ბერმანელი ოფიცერი იმის გამო, რომ ტრაქტორი ვერ აამუშავა. სვეტლანამ, რომელსაც ტრაქტორისტობის კურსი გავლილი ჰქონდა, აამუშავა ეს ტრაქტორი. შემდეგ კი მიხვდა, რომ ეს იყო შეთქმულება გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. და, აი, გადაწყვიტა თავისი შეცდომა გამოესწორებინა და დარჩა სოფელში: „ლადოს წამოსვლის მესამე თუ მეოთხე ღამეს სვეტლანამ ცეცხლი წაუკიდა ცეის კალოებს. შვიდასი ურემი ძნა ისე დაიწვა — ფერფლისა და ნაცრის მეტი არაფერი დარჩენია მტერს. დაიწვა აგრეთვე ტრაქტორი და სალეწი მანქანა“. გერმანელმა ფაშისტებმა შეიპყრეს გმირი კაზაკი ქალი, მთელი ღამე აწამეს და გათენებისას ჩამოახრჩვეს.

ასე საინტერესოდ ხატავს მწერალი პატრიოტი კაზაკი ქალის საგმირო საქმეებს და მის სატრფიალო თავგადასავალს ვაშალომიძის სახელთან დაკავშირებულს. ასევე დიდი სიყვარულითაა ამ მოთხრობაში გამოხატული რუსი მეომარი ვაჟკაცის, ლადო ვაშალომიძის მეგობრისა და თანამებრძოლის, სერჟანტ ალიოშა გოლიკოვის სახე. მაგრამ მთავარი გმირი, რომელიც მწერალმა საუკეთესო ფერებით დაგვიხატა, ლადო ვაშალომიძეა. მოთხრობის დასაწყისშივე ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვაშალომიძე არწივისებური ცხვირით, მაღლა აზიდული მარცხენა წარბითა და შავი ბრიალა თვალებით. ივი გამოირჩევა ვაჟკაცური თავდადებით და ძლიერი, შეუდრეკელი რწმენით...

— „ბანქოს მოთამაშის აზარტი და სახუნდარში ჩასაფრებული მონადირის მოთმინება, — საოცარი იყო, როგორ ებერხებდა იგი ამ ორი შეურიგებელი თვისების — ცეცხლისა და ყინულის შერიგებას“. ავტორი ოსტატურად გადმოგვცემს ჩინებული მზვერავისა და შესანიშნავი ვაჟკაცის საბრძოლო თავგადასავალს.

ყველაზე ამაღელვებლად ეს საბრძოლო ფურცელი გაცოცხლებულია ნაწარმოების მესამე ნაწილში — „უსახელო მაღლობზე“. ვაშალომიძემ გენერალ ლესელიძისაგან მიიღო დავალება. ერთი უსახელო მაღლობი, რომელიც გერმანე-

ლებს უჭირავთ, უნდა დაეპყრო ჩვენი ჯარის ნაწილებს. და, აი, უშიშარი ვაჟკაცი თავის თანამებრძოლებთან ერთად გასწევს ამ მაღლობისაკენ. უთანასწორო ბრძოლაში დაეცა ყველა მისი მეგობარი. დაჭრილი ვაშალომიძე შემოსეულ გერმანელებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძვის. ბოლოს თვითონაც შეეწირება ამ გმირულ საქმეს.

ასე ცოცხლდება ჩვენს წარმოდგენაში მაღალი სულისა და გასაოცარი ნებისყოფის შესანიშნავი ვაჟკაცი. ვეცნობით ამ გმირის საბრძოლო თავგადასავალს და ჩვენს ცნობიერებაში ამოტივტივდება ნაზი და კეთილი, მრისხანე და შეურიგებელი, მტრის მოძულე და მეგობრების მოსიყვარულე უანგარო ვაჟკაცის სახე. ვაშალომიძე სიმბოლური სახეა საბჭოთა მეომრისა, შეუდრეკელი პატრიოტისა, ქართველი კაცისა, რომელმაც არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ სახელი და დიდება მოეტანა თავისი ქვეყნისათვის, თავისი მამულისათვის. მან სამშობლოსათვის ზრუნვას შეალია თავისი ლამაზი სიცოცხლე.

სამამულო ომის თემას მიუძღვნა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ აგრეთვე მოთხრობები: „მაისის დილა", „თერგის ყორღანებში" და „ერთხელ ღამით".

„მაისის დილაში" მოთხრობილია ორი მეომარი ძმის საბრძოლო ეპიზოდები. ჯარისკაცი ლევან ბაზლიძე სევასტოპოლისათვის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. სევასტოპოლი კასპელ კოლმეურნეს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. ამ გმირ ქალაქს იგი რვა თვის განმავლობაში იცავდა. აქ გადაიტანა მან გერმანელთა სამი გააფთრებული იერიში, მათ შორის ყველზე საშინელი — 1942 წლის 7 ივნისის იერიში. ორას ორმოცდაათი დღე გაატარა მან სევასტოპოლში და, ბუნებრივია, ახლა ამ მეომარ ჯარისკაცს უნდოდა პირველი შეჭრილიყო სევასტოპოლის ქუჩებში, მაგრამ ჭრილობამ იგი სარეცელს მიაკრა. დაჭრილი ლევანი დაინახავს მეორე ჯარისკაცს, რომელსაც მხოლოდ მარცხენა თვალი მოუჩანს, სახე ბინტში აქვს შეხვეული, თანაც ლაპარაკი არ შეუძლია. „ლევანი შეიშმუშნა. იგი შეაწუხა „ცალთვალა" ტანკისტის მზერამ. ლევანი ახლო მიიხმობს დაჭრილ ჯარისკაცს, რომელიც აკანკალებული თითებით კარგა ხანს ქექდა ქაღალდებს,

თან ღელავდა. ბოლოს იპოვნა, რასაც ეძებდა... ორად გაკეცილი ნაცრისფერი კონვერტი გაუწოდა ლევანს. ლევანმა გამოართვა, მისამართს დახედა... დედის წერილი იყო...

— გოგია... ძმაო "

ირკვევა, რომ ლევანის ეს ძმა (ტანკისტი) იმ საბრძოლო ოპერაციაში დაიჭრა, სადაც ლევანი დაჭრეს. თუ არა ეს ტანკისტი, ლევანი და მისი ნაწილი არ გადარჩებოდნენ. ძმა ძმას ხელს გაუწოდებს, „და იმ ხელისჩამორთმევაში იყო ძუნწი ალერსი, დედობრივი ალერსი ქართლის მიწის სითბო, იყო ყველაფერი, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ ამ ბრწყინვალე მაისის დილას". ძნელია კაცმა აღელვების გარეშე წაიკითხოს ეს სტრიქონები, ამ მეომარი ვაჟკაცების საბრძოლო ინტიმით გაცოცხლებული.

„თერგის ყორღანებში" მოთხრობილია მეომარი ჯარისკაცის ჩარგეიშვილის ვაჟკაცური თავდადება საომარი ოპერაციის შესრულების დროს. ჩვენმა ჯარმა თერგის მარცხენა ნაპირი გადალახა. საჭირო იყო დანაღმული მიწის განთავისუფლება, რათა ოპერაცია დაწყებულიყო. დავალებას ასრულებს ჩარგეიშვილი და კიდევაც ვაჟკაცურად შეეწირება ამ ოპერაციას.

როგორც ვხედავთ, სამამულო ომის ეპიზოდები კ. ლორთქიფანიძეს დიდი სიმართლითა და მღელვარებით აქვს გადმოცემული. ყველა ეს მეომარი ჯარისკაცი—ვაშალომიძე, ჩარგეიშვილი, გოლიკოვი, ჯაიანი და სხვები და სხვები სამშობლოსათვის თავშეწირული ვაჟკაცებია. მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მოქცეული საბჭოთა ადამიანები — გერმანელი ფაშისტებისაგან გაწამებულნი — ვასილ ჟიგა, თუ კაზაკი ქალიშვილი სვეტლანა ასევე თავგანწირვით იბრძვიან და ამ უთანასწორო ბრძოლაში კიდევაც კვდებიან. მაგრამ ყველა მათგანს—ომში დაღუპულ თუ გადარჩენილ მებრძოლ გმირებს — ახასიათებს თავისი სამშობლოს სიყვარული; ხვალინდელი დღის რწმენა. ეს რწმენა აძლევს მათ გასაოცარ ძალასა და ენერგიას, ამ რწმენითვე ცოცხლობენ და მოქმედებენ ისინი, იმარჯვებენ და იღუპებიან. დაეჭვება და სევდა უცხოა მათი სულიერი განწყობილებისათვის. ისინი ნათელი რწმენით, ღრმა ოპტიმიზმით გამსჭვალული ადამიანები არიან.

ამიტომაა, რომ ჩვენ გვჯერა ამ გმირებისა, მათი მოქმედებისა, საქციელისა, სიტყვებისა, ფიქრებისა თუ ოცნებისა. აქ არაფერია ყალბი და გამოგონილი. ისინი ცხოვრებიდან, სინამდვილიდან აღებული, გულმართალი და საქმით მართალი ადამიანები არიან, მწერლის მიერ დიდი ძალით წარმოსახულნი და გაცოცხლებულნი, სწორედ ეს არის ამ მოთხრობების უდიდესი ღირსება.

ცალკე უნდა აღინიშნოს კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „მოგზაური". აქ მწერალმა მეტად საინტერესოდ გვიჩვენა ის გრძნობები, რომლებიც სიკვდილზე უფრო ძლიერია, მსოფლიო ლიტერატურაში არა ერთხელ წარმოუსახავთ ადამიანის ყველაზე უფრო ძლიერი და მშვენიერი გრძნობა, — გრძნობა სიცოცხლის ზეიმისა, სიცოცხლის უკვდავებისა. დიდი ოპტიმიზმი, ადამიანის საქმის უკვდავების რწმენა, მკვეთრადაა გამოხატული მწერლობაში. ამ თვალსაზრისით ერთი საუკეთესოთაგანია მაქსიმ გორკის „ქალიშვილი და სიკვდილი". სიყვარულის დიადი და უძლიერესი გრძნობა თვით სიკვდილს ამარცხებს. ეს იდეა გამოხატა კ. ლორთქიფანიძემ მოთხრობა „მოგზაურში„.

მოთხრობას საფუძვლად დაედო ისტორიული ეპიზოდი— ორი გლეხის ჩამოხრჩობა გორში 1892 წელს; ამ ამბავს შეესწრო მშობლიური რუსეთიდან შემთხვევით იქ ჩასული ახალგაზრდა მოგზაური მ. გორკი. ჩვენს ყურადღებას იპყრობს აქ გამოხატულ მოქმედ პირთა პორტრეტები მარტო შეიძლება ითქვას ,რომ ამ მოთხრობის მიხედვით (და არა მარტო ამ მოთხრობის მიხედვით!) კ. ლორთქიფანიძე ერთი საუკეთესო პორტრეტისტია ჩვენს საბჭოთა მწერლობაში. ის კალმის ერთი მოსმით ხატავს და აღადგენს ნაცნობ პორტრეტებს, გასაოცრად შერჩეული სიტყვიერი მასალის გამოყენებით წარმოგვისახავს ისტორიულად ცნობილსა და ლიტერატურულად გამოგონილ ხასიათებს. თითქმის ასევე წარმოდგენილი ამ მოთხრობის ყველა პორტრეტი. ამათგან ყველაზე უფრო საინტერესოა ამ ნაწარმოების მთავარი გმირი — მ. გორკი. სოციალისტური მწერლობის ფუძემდებელმა თავისი ახალგაზრდობა მოგზაურობაში გაატარა. ეს იყო მისი

სკოლა და უნივერსიტეტი. ცხოვრების ეს დიდი სკოლა მწერალმა შემდეგ თავის მღელვარე ნაწარმოებებში გამოიყენა, გაგვაცნო და გაახორციელა მთელი თავისი თვალით ნანახი ქვეყანა — ქალაქები და სოფლები, ადამიანები და ბუნება. მ. გორკის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები — „ქალიშვილი და სიკვდილი", რომელიც 1917 წელს გამოქვეყნდა (დაიწერა 1892 წელს, სწორედ იმ დღეებში, როდესაც ხუბულური და ჯიოშვილი ჩამოახრჩვეს გორში). კ. ლორთქიფანიძეს გორკის სახე თავისებურად აქვს დაკავშირებული ამ ნაწარმოების ძირითად იდეასთან.

მოთხრობაში ერთბაშად ცოცხლდება ახალგაზრდა მოგზაურის სახე:

„— უბილეთო რუსი, მხარბეჭიანი ჭაბუკი იყო, ჭოკივით გრძელი და გამხდარი. მხრებზე უხვად ეყარა მუქი წაბლისფერი თმა. ჯვალოს ხალათ-შარვალი ეცვა, ფეხზე — რუსული ონუჩები. ხელში კომბალი ეჭირა, ზურგზე მოზრდილი პარკი ეკიდა. ნახმარ მუშამბისაგან გამოკერილი. სანამ საქართველოში ჩამოაღწევდა, რამდენიმე სატვირთო ვაგონი და ნახშირის ბაქანი უნდა გამოეცვალა ამ ურჩხად აწოწილ მოგზაურს, რომ ასე შემოხეოდა ტანისამოსი. რომელი ქვეყნისა და შარაგზის მტვერი არ დასდებოდა მის ფეხსაცმელს. სულერთიანად გატრუსული და გაშავებული, ნამეხარ მუხასა ჰგავდა. ქვასანაყივით მაგარი ნიკაპი და მაღლა ამოწეული ლოყის თავები სიმკაცრეს ჰფენდა მოგზაურის ქარდაკრულ სახეს, მაგრამ მისი ცისფერი ალალი თვალები ამ სიმკაცრეს წამსვე ანელებდნენ. კეთილად შესცქეროდა ქვეყანას ეს მოხეტიალე რუსი, თითქოს ამბობდა: — მიპატიებია, რაც ტანჯვა მარგუნეო".

ასე მკვეთრადაა გადმოცემული დიდი შინაგანი ძალითა და იდეური ხედვით გაცოცხლებული პორტრეტი დიდი რუსი მწერლისა, სიტყვები — „ჭოკივით გრძელი და გამხდარი, კომბალით ხელში, ზურგზე მოზრდილი პარკით, ალალი ცისფერ თვალებით, ქარდაკრული სახითა და კეთილი გულით." — უმალვე აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში ყველასათვის ნაცნობ მაქსიმ გორკის პორტრეტს, ხოლო მისი შედარება

ნამეხარ მუხასთან ერთბაშად წარმოგვიდგენს ცხოვრების რთულ გზაგამოვლილ მოგზაურის, ახალგაზრდა მაქსიმ გორკის საბრძოლო ხასიათსა და თვისებას. ახლა ავიღოთ, თუნდაც, სანდრო ხუბულურის სახე. ასევე კალმის ერთი მოსმით ხატავს მწერალი მის პორტრეტს. „სანდრო ხუბულური იყო მაღალი, ბეჭებში ლაღად გაშლილი დევკაცი, კოხტად მოთელილი თეთრი ბატკნის ტყავი ეცვა. განიერი, ყარამანდული შარვალი მაღალყელიან წინდებში ჩაეტანა. ყინჩად მოაბიჯებდა. ერთი ადლით მაღლა დადიოდა მიწაზე". ამ ვაჟკაცმა თავადი მაჩაბელი დაჯაბნა როკის ციხესთან გამართულ დოღში. სამაგიეროდ მას ამპარტავანმა თავადმა მეორე დღესვე საცოლე მოსტაცა და ნამუსი ახადა. ამაყმა გლეხმა ძმადნაფიც ტატე ჯიოშვილთან ერთად სიცოცხლე მოუსწრაფა თავგასულ თავადს. ეს ძმადნაფიცები — შეუპოვარი, მებრძოლი გლეხები — ვერ გატეხეს მჩაგვრელებმა. მაგრამ მაინც მწერალი ხედავს, რომ მათ თანაბრად როდი გაუძლეს განსაცდელს: ჩამოხრჩობამისჯილ ხუბულურს ხუმრობაში უნდა გადაიტანოს მთელი ეს უბედურება.

ტატე ჯიოშვილი სხვაგვარადაა წარმოდგენილი ავტორის მიერ: „ტატე ჯიოშვილიც ორმაგად ნაქსოვი ვაჟკაცი ჩანდა, მაგრამ ციხეს და უძილო ღამეებს მაგრა გაელახა იგი, თვალები ჩასცვივნოდა, გამხდარიყო. მისი მხარბეჭი ფარაჯას ვერ ავსებდა. მიხვრა-მოხვრა ძონძივით მოდუნებოდა. ქალამნებიდან თივის ღეროები მოუჩანდა. თავჩაქინდრული მიდიოდა... ხალხი რომ დაინახა, წელში გასწორდა, მაგრამ ნებაწართმეული სხეული ბოლომდე ვერ დაიმორჩილა და ისევ მოეშვა". მოთხრობა სწორედ ამ განსხვავებული სახეებითა და ხასიათებით, ნიჭიერად დაწერილი პორტრეტებით გვაჯადოებს და გვიპყრობს. ამ პორტრეტების შეერთება ქმნის ერთ მთლიან კომპოზიციას, რომლის ფონზე გამოხატა მწერალმა მოთხრობის ძირითადი იდეა განზოგადებულად და ამაღლებულად. ეს იდეა დაუკავშირა მან მაქსიმ გორკის სახელს, მის ცნობილ ნაწარმოებს — „ქალიშვილი და სიყვარული". ორი სიკვდილმისჯილი რევოლუციონერი გლეხის ამბავის ფონზე გამოხატა მწერალმა უკვდავება იმ გრძნობებისა, რომლებიც სიკვდილზე ძლიერია და სიცოცხლის მარა-

დისობას უკავშირდება. სახრჩობელაზე ჩამოკიდებული ხუ-ბულურისა და ჯიოშვილის სახეები, უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული გმირების ვაჟკაცური საქმე და საქციელი მოუ-წოდებდნენ ხალხს, ისტორიის სანაგვე ყუთში გადაესროლა ეს თავადები, პოლიციელები და ჩინოვნიკები, რომელთაც სახრ-ჩობელა აღუმართავთ სამართლიანი აზრის წინააღმდეგ. ხალ-ხის ბობოქარი სული და მისი მებრძოლი, დაუოკებელი ნება და მისწრაფება თავისუფლების საქმისაკენ, სიცოცხლის ცხოვრების ზეიმისაკენ მოგვიწოდებდა. ეს აზრი მთელი სიძ-ლიერით გამოსჭვივის კ. ლორთქიფანიძის მოთხრობაში. და მის ძირითად პათოსსაც ეს აზრი განსაზღვრავს. ასე აქვს დაკავშირებული მწერალს სიცოცხლის ძლიერების იდეა, უკვდავების იდეა, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებ-ლის მაქსიმ გორკის სახელთან და ამ უკანასკნელის უკვდავ ნაწარმოებთან — „სიყვარული და ქალიშვილი“.

* * *

ლიტერატურის ისტორია იცნობს ისეთ მხატვრულ ნა-წარმოებებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი გარდატეხის წლების ვითარებას გამოსახავენ. მათში, რო-გორც სარკეში, აირეკლება მშფოთვარე წლები ხალხის ცხოვ-რებისა, ხოლო შემდეგ, როგორც მხატვრული დოკუმენტები, შთამომავლობას უნახავენ იმ მღელვარე სურათებს, რომ-ლებიც ამ ეპოქის თაობებს თავიანთი მხრებით გადაუტანიათ. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. გასაოცარი სიცხა-დითა და სიმართლით არის ასახული მასში მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დიდი გარდატეხის ეპოქა.

„კოლხეთის ცისკარი“ დიდად გახმაურებული რომანია. მან არა მარტო ავტორს, არამედ ქართულ საბჭოთა პროზას გაუთქვა სახელი ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, საკმარი-სია ითქვას, რომ „კოლხეთის ცისკარი“, უკვე დაბეჭდილი და რამდენჯერმე გამოცემული წიგნი, ფელეტონებად დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში და დიდად განებივრებულმა ფრანგმა მკითხველმა, ბალზაკისა და ვიქტორ ჰიუგოს, სტენდალისა და

მერიმეს სამშობლომ მას მაღალი შეფასება მისცა. ყოველ ჭეშმარიტ, დიდ მხატვრულ ნაწარმოებს სახელად ესეც ეყოფოდა. მაგრამ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ყველგან, სადაც კი ითარგმნა იგი („კოლხეთის ცისკარი" მსოფლიოს ბევრ ენაზეა ნათარგმნი), ასეთივე მაღალი შეფასება და მოწონება ხვდა წილად.

რით აიხსნება ამ რომანის ასეთი პოპულარობა? ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ რომანის თემა შეეხება ჩვენი ქვეყნის მეტად მღელვარე და საჭირბოროტო პრობლემას. ეს არის ძველი, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალი, სოციალისტური მეურნეობის ყაიდაზე. მეორე მხრივ, რომანში წარმოსახული მოვლენები და ადამიანები, მათი ხასიათები გამოხატულია პროფესიონალი მწერლის მაღალი ოსტატობით.

ამბავი მძაფრი ექსპრესიით იწყება. იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ჭიდაობა გაუმართავთ. გაბღენძილი, თავაშვებული სოფლის ყოჩი ხაჟომია ყველას სჯობნის. ბოლოს ყველასაგან აბუჩად აგდებული მოჯამაგირე მექი გამოვა მოედანზე. არავინ მოელოდა მის გამოსვლას, ზოგს სიცილი წასკდა, ამაყი ხაჟომია კი აინუნშიაც არ აგდებს ჩანჩურა მექის ამ გამოწვევას, მაგრამ მექიმ ისე მძლავრად ჩაავლო ხელი და შეანძრია გათამამებული ჭიდაელი, რომ მოედანზე ერთბაშად დაძაბული ვითარება შეიქმნა. თითქოს მექიმ დაჯაბნა ყოყლოჩინა ხაჟომია, მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: ისე ძლიერად უკბინა ქვეშმოგდებულმა ხაჟომიამ მექის, რომ ტკივილისაგან ხელი უშვა მეტოქეს. ამით ისარგებლა ხაჟომიამ და ძირს დასცა მექი. ამ ამბავს ესწრება ბარნაბა საგანელიძის ლამაზი ქალი თალიკო, რომლის სიყვარული ჩავარდნია გულში ცხოვრებისაგან გათელილსა და ყველასაგან აბუჩად აგდებულ მექის. ამიტომაც მან გასაოცრად დაირცხვინა და გულიც ეტკინა. დამარცხებული მექი გზაზე გადაუდგება გამარჯვებულ ხაჟომიას და ეხვეწება, კიდევ დაეჭიდოს მას. მექის მუდარამ არ გასჭრა.

ეს მძაფრი ეპიზოდი მწერალს იმისთვის სჭირდება, რომ შემდეგ სხვა მდგომარეობაში და სხვა ვითარებაში, გადამწყვეტ ბრძოლაში კვლავ შეგვახვედროს ამ ორ ადამიანთან (მოჯამაგი-

რე მექისთან და უქნარა, სოფლის პარაზიტი ხაჟომიასთან) და მას ღრმა სოციალური სიმბოლური ხასიათი მისცეს.

რომანის ექსპოზიციას მოსდევს სოფლის ცხოვრების სურათის აღწერა. ეს არის სურათი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებისა, ნეპის პერიოდის დასასრულისა, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ამ სოფლის მევახშე და ვაჭრები, კულაკები და სხვა პარტიზანული კლასები ცოცხლობენ და მოქმედებენ. საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ მხარს უჭერს ღარიბ გლეხკაცობას, მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ მოჯამაგირეობის ინსტიტუტს ვხედავთ. აი, მოჯამაგირე მექი ვაშაკიძე, ეს უპატრონო, პირტიტველი ჭაბუკი უმოწყალოდ იჩაგრება სოფლის მიკიტნის ერემო პირტახიას და კულაკი ბარნაბა საგანელიძის მიერ. მწერალი მეტად მუქი და მძაფრი საღებავებით წარმოადგენს ამ ჩაგვრის ისტორიას. გადის დრო, საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით უმწეო გლეხობა ეძებს სიღარიბიდან თავდაღწევის გზას. სოფლად გაჩნდება პირველი არტელები, საკოლმეურნეო ჯგუფები. რომანი მოგვითხრობს ამ პირველი კოლმეურნეობის დაარსებას სოფლად, იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელიც გზაზე ეღობება გლეხობას, კულაკებისა და სხვა პარაზიტების სახით, სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნაში. ეს ერთგვარი შიში და მერყეობა, რომელსაც ადგილი აქვს საშუალო გლეხობაში, ქმნის რთულ, დაძაბულ ვითარებას სოფლად, რისიც გადალახვაა საჭირო. და აი, საკოლმეურნეო საქმის პირველი ენთუზიასტი ტარასი ხაზარაძე, პარტიის დახმარებით, ხელს კიდებს ამ რთულსა და დიდ საქმეს.

რომანში ასახულია სოფლის ცხოვრების ეს დაუვიწყარი ქარიშხლიანი დღეები. ამ დღეებში ორად გაიყო სოფელი — ერთ მხარეზეა კულაკი ბარნაბა საგანელიძე, სოფლის მიკიტანი ერემო პირტახია, მათი მოკავშირე პარაზიტი ხაჟომია, რომელსაც ზურგს უმაგრებენ კლასობრივი მტრების აგენტები ვიღაც გელოვანის სახით. ისინი გრძნობენ, რომ ახალი სოციალისტური სოფელი სწორედ მათ ემუქრება დასაღუპავად და ამიტომაც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ მას.

სოციალისტურ არტელს სათავეში ჩაუდგება ტარასი ხაზა-

რაძე, გაიყოლიებს ღარიბ გლეხკაცობას და შეუტევს ამ მოწინააღმდეგეების ბანაკს. ამ ბანაკთა ბრძოლაში, ამ ერთი მუჭა პარაზიტული კლასებისა და ახალი სოციალისტური სოფლის მძაფრ კლასობრივ ჭიდილში გამოსახა კ. ლორთქიფანიძემ 30-იანი წლების საქართველოს სოფლის ცხოვრების სურათი. ჩვენ ვხედავთ, თუ ყველა მშრომელი და პატიოსანი ადამიანი როგორ უჭერს მხარს სოციალისტურ სოფელს. რომანის მთელ მანძილზე ჩვენ ვგრძნობთ, რომ ძალთა ამ ჭიდილში უპირატესობა ახალ ცხოვრებას ეკუთვნის. მაგრამ ყოველივე ეს როდი ხდება უბრძოლველად და უმტკივნეულოდ. რომანში ვრცლადაა მოცემული კლასობრივი ნაძირალების აშკარა და შენიღბული ბრძოლა საკოლმეურნეო სოფლის წინააღმდეგ. მწერალმა მთელი პირუთვნელობით წარმოადგინა კლასობრივი ბრძოლის ეს მძაფრი ვითარება სოფლად.

ტარასი ხაზარაძეს გადაუწყვეტია მოიწვიოს სოფლის კრება, ვრცლად განუმარტოს ხალხს სოფლის სადღეისო საკითხი, საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანები. ეს კრება საკმაოდ მოუმზადებელი იყო. ამით სარგებლობენ კლასობრივი მტრები და შეეცდებიან კრება ახალი პროვოკაციებისთვის გამოიყენონ. სწორედ აქ ამხილეს პროვოკატორები და ეს მოხდება მოჯამაგირე მექის მეშვეობით. მექიმ ყური მოჰკრა პირტახიას სამიკიტნოში თავმოყრილ შეთქმულთა საუბარს და როცა ეს თავშეყრა პროვოკატორებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, მაშინ იგი ავიდა ტრიბუნაზე და ფაქტებით ამხილა შეთქმულთა ზრახვანი. კ. ლორთქიფანიძეს კრება სიმბოლურად, მძაფრი კლასობრივი ბრძოლის გამომსახველ ეპიზოდად აქვს გამოყენებული. პროვოკატორების მხილებამ თვალი აუხილა ყველა მერყევს სოფლად.

პროვოკატორებმა იგემეს პირველი მარცხი, მაგრამ ისინი იარაღს არ ყრიან... რომანში ამბავი თანდათანობით მძაფრდება, თანდათანობით შევყავართ მწერალს ცხოვრების იმ მორევში, რომელიც დასაღუპავად ემუქრებოდა ყველა პარაზიტულ კლასს. და ჩვენ ვხედავთ, ამ აბობოქრებულ ცხოვრების ჭაობში როგორ იღუპებიან ეს საგანელიძეები, პირტახიები და მათი აგენტები დვალიშვილი და გელოვანი.

მოჯამაგირე მექი, მას შემდეგ, რაც მან კრებაზე ამხილა

პროვოკატორები და უდიდესი სამსახური გაუწია ახალი ცხოვრების მშენებლებს. ტარასი ხაზარაძემ კოლმეურნეობაში მიიღო, ბაჭუა ვაშაკიძემ კი — კომკავშირში. ამის შემდეგ მოწინავე კოლმეურნე ახალგაზრდა მექი ტრაქტორისტების კურსებზე იგზავნება. მას სოფელში პირველი ტრაქტორი მოჰყავს. კლასობრივმა მტრებმა იციან, რომ ეს საბოლოოდ გადაწყვეტს საკოლმეურნეო სოფლის გამარჯვების საკითხს. ბარნაბა საგანელიძე ციხიდან გამოშვებულ პროვოკატორ ხაჟომიას მოისყიდის. ეს ნასუფრალის მაძიებელი ხაჟომია ბარნაბას ორლულიანი სანადირო თოფით დაჭრის მექის, მაგრამ მექიც გადარჩება და ტრაქტორიც. მექი თანდათანობით წინაურდება, სოფლის თვალისჩინი ხდება. მისი უპირატესობა ყველაზე უფრო ბარნაბა საგანელიძის ასულს — თალიკოს აღიზიანებს. თავის მხრივ, მექი უიმედო შეყვარებულია და ბრძად მიჰყვება ამ გრძნობას. გული ეძახის თალიკოსაკენ, რომელიც არაფრად აგდებს ამ ყოფილ მოჯამაგირეს. ბარნაბამ იცის მიჯნურობის ეს საიდუმლოება. იგი შეეცდება, ეს მომენტი მზაკვრულად გამოიყენოს.

რომანის ბოლო ფურცლებიდან ვიგებთ, რომ გელოვანმა, — ამ კლასობრივმა ნაძირალამ, რომელმაც თავი შეყო სოფლის მეურნეობის სამინისტროში, — ყველა საიდუმლოება იცის. ივი შემოუთვლის ბარნაბა საგანელიძეს, რომ ახლავე აიყაროს სოფლიდან და რაც ქონება აქვს, გადაარჩინოს, თორემ დაღუპვა ელის. ამ ვითარებაში ბარნაბა და ციხიდან დაბრუნებული ხაჟომია ვერაგულ ხერხს მოიგონებენ: უიღბლოდ შეყვარებულ მექის ვაშაკიძის სახლში იბარებენ; აცრემლებული დედა უამბობს მექის, თუ რა განსაცდელშია მისი ქალიშვილი, თალიკო, — თითქოს მას ბრმანაწლავის შეტევები დაეწყო და განწირულია სასიკვდილოდ, თუ დროზე არ წაიყვანეს და ოპერაცია არ გაუკეთეს. მექი, რომელიც მუდამ ოცნებობდა რაიმე საგმირო საქმე ჩაედინა თალიკოს წინაშე და მოეგო მისი გული, იკისრებს — ურმით წაიყვანოს ავადმყოფი სატრფო. გზაში ყველაფერს ფარდა აეხდება. მოტყუებული მექი მოხვდება კლასობრივი მტრების მიერ დაგებულ მახეში, მაგრამ ის გონს მოდის, საიდუმლოების ხლართში გაერ-

კვევა, საბოლოოდ დაეჭიდება ხაჟომიას და კლავს მას. რომანი თავდება გამარჯვებული მექის დაბრუნებით.

ასეთია რომანის ქარგა. ძლიერი და მძაფრია მებრძოლი პათოსი, რომლითაც გამსჭვალულია ნაწარმოების ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა.

ამ ფონზე გამოხატა მწერალმა კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა, რომელიც განსაზღვრავს სოციალისტური სოფლის გზას.

კ. ლორთქიფანიძის რომანში შთამბეჭდავად ცოცხლდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების სოფლის ცხოვრება.

სოფლის მოწინავე კომუნისტმა ტარასი ხაზარაძემ, რომელმაც საქართველოს ბოლშევიკების მეოთხე ყრილობაზე მოისმინა საქართველოში ერთ-ერთი პირველი კომუნის თავმჯდომარის კობა ჩოხელის სიტყვა, მიზნად დაისახა თავის სოფელში, იმერეთში, შეექმნა პირველი საკოლმეურნეო არტელი. იგი კიდევაც ახორციელებს ამ განზრახვას. ვფურცლავთ რომანის იმ გვერდებს, სადაც მოცემულია პირველი არტელის წესდების პროექტი, შედგენილი უბრალოდ და მარტივად თვით ამ არტელის ინიციატორების მიერ, და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება სოციალისტური სოფლის ცხოვრების პირველი კონტურები და უღარიბესი გლეხის დაუოკებელი სურვილი — შეერთებული ძალით თავი დააღწიოს სიღარიბესა და სიდუხჭირეს. ამ საქმეს სათავეში უდგას ტარასი ხაზარაძე. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარტიის პოლიტიკის გამტარებელი სოფლად ტარასი ხაზარაძეა და ამის მიხედვით რომანის მთავარი გმირიც თითქოს ის უნდა იყოს. მაგრამ ღრმად თუ დავაკვირდებით აქ გამოხატულ ხასიათებს, აღვილად მივხვდებით, რომ მწერალმა რომანის ძირითადი პათოსი მექი ვაშაკიძის ხასიათში გამოხატა.

რომანის მთავარი მიზანია გვიჩვენოს ახალი ადამიანების მორალური და იდეური ჩამოყალიბების პროცესი, იმ დიდი გარდატეხის ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 30-ანი წლების სოფლის ცხოვრებაში. ეს პრობლემა რომანის უმთავრესი თემაა, ხოლო მისი გამოსახვა მექის ხასიათშია მოცემული. რომანის მთელ სიუჟეტურ განვითარებაში ჭკვიანი ყურადღება მექის გარშემოა და ამიტომაც, ბუნებრივია, რომ

ყველაზე მეტი საღებავები მწერალმა ამ გმირის გამოსახვას მოახმარა და მისი თავგადასავალიც სიუჟეტის ფოკუსში მოაქცია. რასაკვირველია, მექის სულიერი ცხოვრება, მისი გონებრივი წარმოდგენები და ფიქრები როდია რთული. არა, მექის ბიოგრაფია მარტივი და სადაა, მისი სულიერი ცხოვრებაც და ინტერესებიც ჩვეულებრივი გლეხკაცის ინტერესებს არ სცილდება. უფრო მეტიც, რომანის დასაწყისში იგი გვეევლინება, როგორც ყველაზე უფრო დაბეჩავებული, ყველაზე უფრო აბუჩად აგდებული და ცხოვრებისაგან გათელილი. „ქვემო იმერეთში ცნობილი მედუქნის ერემო პირტახიას მოჯამაგირე მექი ვაშაკიძე მეტისმეტად ბეჩავი, მოკრძალებული და უნირო ბიჭი იყო“. სოფლის კულაკმა ბარნაბა საგანელიძემ ამ ბეჩავ კაცს სახელად „ხრიკუნია“ შეარქვა და ამის შემდეგ მექიმ სამუდამოდ დაკარგა თავისი ნათლობის სახელი. მექის ამიერიდან დამამცირებელი სახელით იცნობდნენ.

„ხრიკუნია“!

„იცით, რას ნიშნავდა სოფელ ზემოციხეში ეს ზედმეტი სახელი? ეს იყო ყველაზე დაწყეველილი მისამართი, საითაც მხოლოდ დამამცირებელი სიტყვა და ხუმრობა მიდიოდა. ეს იყო საფრთხობელა, რითაც გაკაპასებული დედაკაცები მტირალა ბავშვებს აჩუმებდნენ, „აგერ, ხრიკუნია მოდის და ამუნიასთან წაგიყვანსო“. სოფელში რომ ვინმესთვის კეთქვა ხრიკუნიასავით იცინი, ლაპარაკობ, ან დადიხარ, ცოცხალს ვერ გამოასწრებდი.

ეს მეტი სახელი მექისათვის ცოცხალი საფლავი იყო, რომელსაც დიდი და პატარა ფეხითა სთელავდა. ახლა იმასაც ველარ ამჩნევდნენ, რომ მექი დაჭაბუკდა, დამშვენდა და ხანდახან ისე გაოცებით გადახედავდნენ ერემოს მოჯამაგირეს, თითქოს მას თავისი თექვსმეტი წელი ერთბაშად სადღაც უპოვნიაო. არავის ახსოვდა, რამდენ ცრემლსა და ოხვრაში იყო გამოვლილი ეს წლები.

უთქმელმა დარდმა გული გამოუხრა შავდღეზე გაჩენილს, ხანდახან დილიდან საღამომდე ხმას არ ამოიღებდა, რომ თავისი თავი არავისთვის გაეხსენებია... მექისათვის ყველაფერი ბნელში იყო დაკარგული... დამფრთხალი ბიჭი ლაპარაკს გადაეჩვია“.

ასე შემოდის მოჯამაგირე მექი რომანში. ბედმა მას ამ-ქვეყნად სხვის კარზე, ხელზე მოსამსახურედ ყოფნა არგუნა და მისი ცხოვრების დღეები ამ დამთხვეული ადამიანის როლში დამთავრდებოდა, თუ არა ახალი დრო, თუ არა ჩვენი სოციალისტური სოფელი. და, აი, მწერალი დაწვრილებით მოგვითხრობს კულაკ ბარნაბა საგანელიძისა და ვაჭარ ერემო პირტახიას ყოფილი მოჯამაგირე, ძველი ცხოვრებით დაბეჩა-ვებული და დაკნინებული მექი, საკოლმეურნეო ცხოვრების პროცესში თუ როგორ გარდაიქმნება და ყოველივე ამის შემ-წეობით ამაღლდება მისი გრძნობები და ინსტინქტები, მისი მორალური და სულიერი ცხოვრება.

ცხოვრებაზე გულგატეხილი ეს ხელმოცარული კაცი წელში გასწორდა, როცა ის არტელის წევრი გახდა. სოცია-ლისტური მშენებლობის ფერხულში ჩაბმული, ამაღლებული და შეცვლილი, პოლიტიკურად გაწვრთნილი, სოფლის მოწი-ნავე ადამიანთა რიგებში ჩამდგარი, თავისი ვაჟკაცობითა და თავდადებით, თავისი შრომითი რომანტიკითა და საქციე-ლით — ყველას ყურადღებას იპყრობს და იმსახურებს. ჩვენ ვხედავთ ამ ახალი ადამიანის დაბადებას, უკეთ რომ ვთქვათ, მექის მეორედ დაბადებას. თუ დავაკვირდებით რომანის სიუ-ჟეტურ განვითარებას, მის კომპოზიციას, ნათელი გახდება, რომ რომანი დაწერილია ახალი ადამიანის განზოგადებული ხასიათის გამოსახატავად.

რომანის პირველ ნაწილში ჩვენ ვეცნობით მექის დაბეჩა-ვებულ ცხოვრებას. მწერალი კარგად გვიჩვენებს მოჯამაგი-რის ფიქრებსა და გრძნობებს, დაკავშირებულს სოფლის ლუმპენ-პროლეტარის დახუნდარას სახელთან. იგი და-ხუნდარას ჩაგონებით ოცნებობს, კერა გაიჩინოს, უღელი მოზვერი იყიდოს და ოჯახს თავი მოაბას. მწერალი შენიშ-ნავს, ტბა დადგებოდა, რაც მან ოფლი დაღვარა ამ ორი წლის განმავლობაში და ერთი მოზვერიც ვერ იყიდაო, მისთვის ყველგან დაკეტილია კარი. რომანის მეორე ნაწილში მან ეს დაკეტილი კარი შეაღო, მტერი და მოყვარე გაარჩია, ახალი ცხოვრების ჰაერით ისუნთქა, პირველი აღმართი გადალახა, კლასობრივი მტრების პირისპირ ბრძოლაში საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა. მექი სოციალისტური

სოფლის ტრაქტორისტი გახდა. იგი არტელის ხელმძღვანელ ტარასი ხაზარაძესთან ერთად კლასობრივმა მტრებმა ნიშანში ამოიღო. მაგრამ მექიმ სძლია წინააღმდეგობა. ძველმა დრომ დაბადა იგი „ხრიკუნიად“, მოჯამაგირედ, მონად, ახალმა დრომ. სოციალისტურმა სოფელმა კი ხელმეორედ დაბადა, სოფლის მოწინავე ადამიანად აქცია, სახელი და დიდება მოუპოვა. თავისი შრომით, თავდადებით, მორალური სისპეტაკით მექიმ პატივისცემა დაიმსახურა. ახალი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს იგი, ებრძვის ყველა ორგულსა და მტერს. შრომობს და იღვწის ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის. ნაწარმოების ფინალში იგი გვევლინება თავის სუბიექტურ გრძნობებზე ამაღლებული, საშშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი, მოწინავე ადამიანის როლში.

მწერალი მექის შინაგან ინტიმსაც გვამცნობს და საკმაოდ რთულ ხვეულებში მიჰყავს მისი სულიერი ცხოვრების გზა. ხრიკუნიას, ამ ბედშავ მოჯამაგირეს, უკარებელი ქალის, ბარნაბა საგანელიძის ასულის, თალიკოს სიყვარული ჩაუვარდა გულში. იგი ელოლიავება მის სახელს, მზად არის მას მტლად დაედგს. ქალი კი ამ მოჯამაგირეს ისე უყურებს. როგორც მონას, მისთვის წარმოუდგენელია ამგვარ გრძნობას ანგარიში გაუწიოს და არც აქცევს ყურადღებას მექის გამომწვევ მოქმედებას. უფრო მეტიც, აბუჩად იგდებს, მიწასთან ასწორებს მექის გულუბრყვილო გრძნობებს. შემდეგ, როდესაც მექი ფეხზე წამოდგება, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაებმება. ყველას ყურადღებასა და პატივისცემას დაიმსახურებს. კულაკის ქალიშვილი იძულებულია ანგარიში გაუწიოს კულაკების დაუნდობელ მტერს მექის, — ადრინდელი ბიოლოგიური ზიზღი ახლა კლასობრივ ზიზღში გადადის, ცხვირაწეული თალიკო ბუზღუნებს: „ვისი რა არის, რომ ყველაფერს პატრონობს, რაღაც ორთვიან კურსებზე გაგზავნეს და ისე იბღინძება, თითქოს მთელი სოფელი მისი იყოს“.

თალიკოს დასანახავად ეზარება, ჭირისდღესავით სძულს ახლა სოფლის თავკაცებში გამორჩეული ახალგაზრდა ჭაბუკი. მწერალი განმარტავს ამ კლასობრივი სიძულვილის ნამდვილ არსს:

„ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილს გული უკვდებოდა,

რომ მექი სოფლის ბ:ტონ-პატრონობას იჩემებდა. კოლექტივში შესვლის შემდეგ ისე გალაღდა, თითქოს მთელი ქვეყანა მასზე იდგა. არა, თალიკო ვერ აპატიებდა ამ გრძნობას მათი ოჯახის მოღალატეს".

რომანში ნაჩვენებია მექის სუსტი მხარეც თალიკოს სიყვარულში. ეს სუსტი მხარე კლასობრივმა მტრებმა გამოიყენეს და კინაღამ დაღუპეს მექი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეყვარებული მოჯამაგირე მიხვდა ამ კლასობრივი სიძულვილის ნამდვილ არსს. ამარცხებს მოწინააღმდეგეებს და სძლევს თავის თავშიაც სიყვარულის ცთუნებით გამოწვეულ შეცდომებს.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიგვითითებს, რომ რომანის საუკეთესო ფურცლები მიეძღვნება სწორედ მექის ხასიათის გამოძერწვას. უფრო მეტიც: მთელი რომანი ამ მიზანს ემსახურება, ნაწარმოების ქვესათაურები — „დაკეტილ კართან", „პირველი აღმართი", „მეორედ დაბადება", „მორევი" მექისადმია მიძღვნილი. მისი ხასიათის გახსნას ემსახურება. ამასვე ემსახურება რომანის ქვეტექსტები და მთელი დიალოგები.

მექი დადებითი ხასიათის, ნამდვილი საბჭოთა ადამიანის ერთი ყველაზე ტიპიური და საუკეთესო სახეა, ახალი სოციალისტური ცხოვრების სიყვარულით ხორცშესხმული და მისთვის თავდადების გრძნობით შთაგონებული. მწერალმა სწორხაზობრივად როდი წარმოგვიდგინა ეს სახე. ამ მხრივ ეს ხასიათი უფრო რთულია, ვიდრე რომანის მეორე გმირი— ტარასი ხაზარაძე. სირთულეს, უპირველეს ყოვლისა, ქმნის სულიერი ცხოვრების, გრძნობათა სამყარო, რომლის მიხედვით მწერალმა ახალი სოციალისტური სოფლის ეს პირმშო კულაკ ბარნაბა საგანელიძის ასულს დაუკავშირა: „მექი ხედავდა, გარდაუვალი კედელი იდგა საგანელიძის ქალსა და ერემოს მოჯამაგირეს შუა. წინათაც ამჩნევდა მექი ამ კედელს — მათი ბავშვობის წლებში, — მაგრამ მაშინ როდი იყო ასეთი მაღალი და მიუწვდომელი. ახლა თალიკოს აღარც საქანელა სჭირდებოდა და აღარც ქვასალობიას თამაში უნდოდა, დაქალებული გოგო ახლა ქვასალობიას თვალებით ეთამაშებოდა სოფლის ყმაწვილკაცებს... მექი ხშირად ჩაუვლიდა

საგანელიძის ეზოს, ჩაუვლიდა და ტკბილ-მწარე სიხარული გულის კედლებს განზე გაუწევდა, თითქოს აგერ-აგერ ჭიშკარი გაიღება და ლამაზი თალიკო მის ღონიერ მკლავებში შემოაფრინდებაო". მაგრამ ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. თავის მხრივ, თალიკო არაფრად აგდებდა გამწარებული მოჯამაგირის ამ სიყვარულს. რამდენადაც უფრო მასხრად იგდებდა იგი მექის,— იმდენად ძლიერი იყო მასში ჟინი ამ ქალისადმი. მას ვერც აეხსნა ასე რა იზიდავდა საგანელიძის ქალისაკენ. მწერალი განმარტავს: „იგი ვერ ამჩნევდა, რომ მას პატივმოყვარეობა უფრო ამოქმედებდა, ვიდრე ნამდვილი გრძნობა".

თალიკოს ბავშვობიდანვე მოსდგამდა უკადრისობა, მაგრამ ახლა, როცა მექი ცხოვრების დიდ გზაზე გამოვიდა, ქალი მეტისმეტად ზვიადდება, მოწიფულ ვაჟკაცს კაცად არ თვლიდა. მისთვის მუდამ ჰქონდა შემონახული დამცინავი ღიმილი, თითქოს ჭაბუკის სამარცხვინო რამ საიდუმლოება იცოდა. თალიკოსთან შეხვედრისას მექი ისევ „ხრიკუნია" მოჯამაგირედ გრძნობდა თავის თავს; იგი ებრძოდა ამას, ცდილობდა ჩაეკლა, გველის ნაკბენივით ამოეწვა ეს წარსული, ღირსების დამამცირებელი გრძნობა, მაგრამ ვერ ახერხებდა. გულჩახურულ ჭაბუკს დღედაღამ თალიკო ელანდებოდა. რაც მექი მხნედ შევიდა ცხოვრებაში, უფრო გაუცხოველდა ეს გრძნობა. მექისა და თალიკოს სიყვარული, მათი სამიჯნურო თავგადასავალი შორეულად გვაგონებს კესოსა და გიორგის („ოთარაანთ ქვრივის") სიყვარულს. სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასობრივი ღობე გიორგის არ აძლევდა უფლებას, თავადიშვილის ბაღში თავისუფლად ეგრძნო თავი, მოჯამაგირეს სიყვარული გულში ჩამარხული დარჩა. ასევე, ცხოვრების დიდ შარაზე გამოსული მექისათვის დახშული იყო თალიკოს სიყვარულის კარები. აქ განსხვავება მაინც თვალსაჩინოა. თუ გიორგი ისე ჩავიდა სამარეში, რომ თან ჩაიტანა სიყვარულის საიდუმლოება და გული არ გაუხსნა მისთვის კლასობრივად მიუწვდომელ მიჯნურს, უიღბლოდ შეყვარებული მოჯამაგირე მექი, უკვე ცხოვრების ასპარეზზე გამოსული, თავის გულის ხვაშიადს თალიკოს ეტყვის, მაგრამ წელში გატეხილი კულაკის ქალიშვილი კვლავ ძველებური სიამაყითა და დამცინავი ღიმილით გაისტუმრებს

უიმედოდ შეყვარებულ სატრფოს. კ. ლორთქიფანიძეს უფრო მძაფრად აქვს ხაზგასმული ის კლასობრივი კედელი, რომელიც ხელს უშლიდა ორი სხვადასხვა სულიერი სამყაროს, ორი მოპირდაპირე კლასის წარმომადგენელთა სამოჯნურო კავშირს. მექისა და თალიკოს მორიგება, ამ რომანის მიხედვით, თვით სიყვარულსაც კი არ შეუძლია. აქაც მწერალს ერთ ქარქაშში ორი ხმლის ჩაუდებლობის თეორია აქვს გამოყენებული. კ. ლორთქიფანიძის კონცეფციის მიხედვით, ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგება და ორი მოწინააღმდეგის მორიგება არც სიყვარულს შეუძლია, — სიყვარულის ხიდი მათ შორის არ გაიდება. ამიტომაა, რომ მექი საბოლოოდ იმარჯვებს თავის გრძნობებზე. ეს რომანი ამ მხრივ ფრიად საინტერესო მოვლენაა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. მწერალი აქ აგრძელებს და ავითარებს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას.

თუ თალიკომ ვერ თანაუგრძნო მოჯამაგირე მიჯნურს, სამაგიეროდ, მექიმ დაფინოს გულწრფელი სიყვარული უარყო და მის მიერ გამოწვდილი მეგობრობის ხელი დაგმო. რომანში ძუნწად და ესკიზურად, მაგრამ საინტერესოდ არის გამოხატული გულუბრყვილო შეყვარებული გოგონას, კომკავშირის ღრმა თაყვანისმცემლის, მექიზე უიღბლოდ შეყვარებული მიჯნურის, — დაფინოს ხასიათი...

რომანის დადებით გმირთა შორის ფრიად საინტერესოა ტარასი ხაზარაძის სახე. ხაზარაძე პარტიული ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენელია, ქართულ საბჭოთა პროზაში პარტიული მუშაკის პირველი განზოგადებული სახეა. იგი მგზნებარე, დაუცხრომელი მებრძოლია ახალი სოციალისტური საქართველოს ინტერესებისათვის. მთელი თავისი შეგნებით, გატაცებით, სიცოცხლით იგი ეკუთვნოდა კომუნისტურ პარტიას და მისთვის მზად იყო სიცოცხლეც არ დაეშურა. ყველაზე მაღლა იგი პარტიულ, საზოგადოებრივ ინტერესებს აყენებს, მისთვის არ არსებობს პირადი ცხოვრება მეშჩანური გაგებით. ახალი სოციალისტური სოფლის მედროშე და მეთაური ნიშანში ამოიღეს კლასობრივმა მტრებმა. ბარნაბა საგანელიძეს და ერემო პირტახიას ჭირისდღესავით სძულდათ ახალი ცხოვრების ეს მეთაური და

ცდილობდნენ, მოესპოთ იგი. ხაზარაძე კი არსად უთმობს კლასობრივ მტერს და ბოლომდე აგრძელებს შეუპოვარ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ამ მხრივ დიდად განსხვავდება იგი აღმასკომის თავმჯდომარის—დაშნიანისაგან. მართალია, დაშნიანი ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა, მაგრამ იგი სადღაც უთმობს ამ სოფლის კლასობრივ მტრებს. კლასობრივი მტრები, თავის მხრივ, ადვილად ნახულობენ მასთან საერთო ენას. ტარასი ხაზარაძე ყოველმხრივ მაღლა დგას. აღმასკომის თავმჯდომარეზე, იგი უფრო დაკვირვებული, პოლიტიკურად მახვილი, პრაქტიკულად გარკვეული პარტიული მუშაკია.

„ზემოციხის კომუჯრედის მდივანი ტარასი ხაზარაძე სწორედ იმიტომ უყვარდა სოფელს, რომ ლაპარაკზე მეტად მოსმენა უყვარდა, მუდამ ჩაფიქრებული, მუდამ რაღაცაზე მზრუნველი ტარასი, ცოტა გულჩათხრობილი კაცი ეგონებოდა პირველად მნახველს, მაგრამ დაილაპარაკებდა თუ არა, იგი ერთბაშად შეიცვლებოდა. ვაღალი, ნათელი შუბლი გაეხსნებოდა, თაფლისფერ თვალებში კეთილი სული ჩაუდგებოდა, ტუჩების კუთხეებში თავმოყრილი ნაოჭები სადღაც გაჰქრებოდნენ და ისე შემოგხედავდა თითქოს დიდი ხნის ნაცნობი გიყურებდა. სწორედ ამიტომ იყო, იგი ადვილად პოულობდა ადამიანის გულის გასაღებს“. რომანში ჩვენ ვხედავთ, რომ, მართლაც, ტარასი ხაზარაძე ახერხებს მშრომელი გლეხობის გულის მოგებას, მათს დარაზმვას ერთიან ძალად, უყჯრთ და უსმენენ მას სოფლის მშრომელები. რასაკვირველია, ყველაფერი ეს როდი ხდება უშეცდომოდ, მაგრამ ის ყველგან გულწრფელია და ამ გულწრფელობით აჯადოებს ხალხს. ამავე დროს ის შეურიგებელია ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის ახლის დამკვიდრებას, სოციალისტური სოფლის გამარჯვებას. ტარასი ხაზარაძე კარგად მიხვდა, რომ არ შეიძლება კლასობრივ მტერს დაუთმო. მან ერთხელ ჩაიდინა ასეთი დათმობა და უმალვე გამოასწორა. მწერალი ამბობს: „ამ ამბავმა ბევრი რამ ასწავლა ტარასის, ახლა აღარ უკვირდა, დაშნიანი ბობოლებს რატომ ესარჩლებოდა. სადაც პურმარილს მიიღებ, იქ მახვილს ვერ შეიტან. პურმარილმა ხათრი იცის, ხათრიანი კაცი კი სამართალს ვერ გადაჭრისო.“ კ. ლორთქიფანიძე ამ პრინციპით ხატავს

რევოლუციონერი კომუნისტის ხასიათს. მისთვის ამოსავალი დებულებაა: „ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში არ ჩაიგება". ტარასიმ, როგორც კომუნისტმა, იგრძნო, რომ რაღაცა დაუთმო ბარნაბა საგანელიძეს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ცხენი ათხოვა მას მომაკვდავი მეუღლისათვის ექიმის მოსაყვანად. მან ცხენის ქირა გაუგზავნა ბარნაბა საგანელიძეს და ასე შეუთვალა — ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში არ ჩაიგებაო. ასე ეპყრობა ტარასი ხაზარაძე ყველა მოწინააღმდეგესა და მტერს. სამაგიეროდ, მეტად გულთბილია იგი ყველა იმათ მიმართ, ვინც ახალ ცხოვრებას გულწრფელად ემსახურება. კაცმა რომ თქვას, მან, როგორც კომუნისტური პარტიის ძალისა და სიბრძნის განმასახიერებელმა გმირმა, უპატრონა, მოუარა და გზაზე დააყენა ახალგაზრდა ჭაბუკი, მოჯამაგირეობისაგან გათელილი მექი. აკი პირველად გაიგონა მექიმ მისგან ტკბილი სიტყვები: „როგორი ტკბილი, მამაშვილური სიტყვა იცის კოლექტივის თავმჯდომარემ... სიტყვაც ვერ უპოვნია მექის, უბრალო მადლობა მაინც უთხრას ამ დიდებულ ადამიანს." ტარასიმ აგრძნობინა მას პირველად თავისი კაცური ღირსება. ასევე მამაშვილურად ექცევა ტარასი ხაზარაძე კომკავშირის მდივანს ბაჭუა ვაშაკიძეს, საშუალო გლეხს ასლან მარგველაძეს... ეს კეთილი კაცი დაუნდობელია მტრის მიმართ. სოფელში კულაკების წინააღმდეგ ბრძოლას ტარასი ხაზარაძე წარმართავს. იგი არ ერიდება ამ შებმაში ყველაზე მკაცრ ზომებსაც კი. აკი მან საკუთარი ხელით განგმირა კლასობრივი მტრების მიერ მოსყიდული ბანდიტი დვალიშვილი.

კ. ლორთქიფანიძემ შეძლო, ტარასი ხაზარაძის ხასიათში დაეხატა გულმართალი და ხელმართალი კაცის, მტაცე ბოლშევიკისა და მებრძოლი საზოგადო მოღვაწის, სახე. ხაზარაძე რთული, ხორცშესხმული, ბუნებრივი ტიპია. მწერალმა როდი დახატა იგი ცალმხრივად. ტარასი ხაზარაძე არაა დაზღვეული გულუბრყვილობისა და შეცდომებისაგან. მოვიგონოთ მის მიერ დაშვებული შეცდომა საკოლმეურნეო კრებაზე, რომელიც ჩაშლისაგან მექიმ იხსნა. მოვიგონოთ მისი დამოკიდებულება კულაკ ბარნაბასთან. ტარასი შეცდომებზე სწავლობს, იზრდება და ასე ყალიბდება ამ სახეში

ფოლადივით მტკიცე კომუნისტის თვისებანი. განთავისუფ-
ლებული ჩვეულებრივი ტრაფარეტებისა და სქემებისაგან.

ტარასი რომანში ყველაზე მეტ იდეურ დატვირთვას ატა-
რებს. ვის მიერ წარმოთქმული სიტყვები — ერთ ქარქაშში
ორი ხმალი არ ჩაიგებაო — ამ ნაწარმოების მთელ პათოსსა
და შინაარსს განსაზღვრავს. ამ მხრივ რომანში ტარასი ხაზ-
რაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რომანში სავსებით სწორადაა ასახული ის მწვავე კლა-
სობრივი ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურ-
ნეო მშენებლობის წლებში. კლასობრივი მტრების — კულა-
კი ბარნაბა საგანელიძის, მიკიტან ერემო პირტახიასა და
გელოვანის სახე ამ ნაწარმოებში საინტერესოდ არის დახა-
ტული. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს კლასობრივი
მტრები გამოხატული არიან არა სქემების სახით, არამედ
ჭარბი კლასობრივი ინსტინქტებითა და ვნებებით. მწერალი
არ იშურებს მათთვის საღებავებსა და ფერებს, ამავე დროს
მძაფრად ამხელს მათს ფარულსა და აშკარა მოქმედებას,
მიმართულს სოციალისტური სოფლისა და მისი ხელმძღვა-
ნელი ადამიანების წინააღმდეგ. რომანში კლასობრივი მტრე-
ბის — ყოფილი კულაკების, მენშევიკების და ვაჭრების, —
მთელი ბინძური საქმიანობა მძაფრად არის გაშიშვლებული
და გამოაშკარავებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს აგრონომ გეგელიას სახე. ეს
ისეთი ინტელიგენტის განზოგადებული სახეა, რომელთა
მსგავსი თითო-ოროლა როდი იყო საქართველოში საბჭოთა
ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. ეს ის ხალხია,
რომელმაც ერთბაშად ვერ გაიგო საბჭოთა ხელისუფლება,
შემდეგ კი დარწმუნდა, რომ ქართველი ხალხისათვის ყველა-
ზე მეტი ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა. განაახლა ჩვენი
ქალაქები და სოფლები, მოუარა მტვერწაყრილ ხელნაწე-
რებსა და მუზეუმებს, ყველაფერ იმას, რაც ძვირფასი იყო
ჩვენი ერის სულიერ კულტურაში. მან ააღორძინა და ახალ
საფუძველზე ააწყო სოფლის მეურნეობა, ქალაქის მრეწველობა.
აი, ეს დაინახეს ძველი თაობის იმ წარმომადგენლებმა, რომ-
ლებიც პირველ წლებში ადვილად როდი ურიგდებოდნენ
საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი მიემხრნენ ახალ დროს.

სწორედ ასეთი განზოგადებული სახეა რომანში აგრონომი გეგელია.

გეგელიას ოცნება იყო ტექნიკური კულტურა დაენერგა საქართველოში, მაგრამ ვერც მეფის ხელისუფლებამ და ვერც მენშევიკების დრომ მის ოცნებას ფრთები ვერ შეასხეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ეს ცხოვრებაზე გულაყრილი კაცი სულ მალე დაინახავს, თუ როგორი ფართო გზა გაეხსნა ტექნიკურ კულტურებს საქართველოში. ამ მობუზღუნე ინტელიგენტთან ადვილად პოულობდა საერთო ენას კონტრრეკოლუციონერი გელოვანი. გეგელიას გელოვანთან საუბარში ჯერ ჩუმად წამოცდება იმ ახალი ღონისძიებების შესახებ, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს, ხოლო მეორედ მტკიცედ ამბობს: მე მათთან ვარ, ვინც საქართველოს აშენებს და ამშვენიერებსო. აგრონომი გეგელია კავშირს წყვეტს გელოვანთან და ახალ, სოციალისტურ საქართველოს მხარში ამოუდგება. ერთ-ერთი ტექნიკური სადგურის მთავარი აგრონომი ხდება.

. რომანში მკვეთრად არის გამოხატული დახუნდარას სახე. იგი სოფლის ლუმპენ-პროლეტარიატის წარმომადგენელია. ლუმპენ-პროლეტარიატი, როგორც ცნობილია, მარქსიზმს არასოდეს მიაჩნდა რევოლუციის დასაყრდენ ძალად, რადგან ლუმპენ-პროლეტარები კლასობრივ პრინციპსა და იდეას ადვილად ყიდიან ლუკმაპურზე.

მწერალს დახუნდარა წარმოდგენილი ჰყავს ხელმოცარულ, არაფრის მქონე ლუმპენ-პროლეტარად. მან ძველი ცხოვრების პირობებში გამოიმუშავა სიძულვილი შრომისადმი, რადგან ეს ნაშრომი სხვას მიჰქონდა. დახუნდარა ძველი ცხოვრებისაგან დასახიჩრებული პიროვნებაა. „ათასნაირად ნაცვეთი კაცი იყო დახუნდარა ტურაბელიძე. სად არ ყოფილა — ხონიდან ტყიბულამდე, რამდენი ხელობა გამოიცვალა, რამდენი ბატონი, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა... ჭირივით სძულდა ერთ ადგილას მუშაობა. ასე დაღოღავდა, მთელი თავისი სიცოცხლე იოლ საქმეს ეძებდა. რასაც იშოვიდა, იმ დღესვე არღანზე წირვას გამოუყვანდა. ნახევარ საუკუნეს თავი მოუყარა და ერთი ხის ძირიც ვერ შემოილობა, ჩასიძებაც ვერსად მოახერხა და ასე დარჩა თითივით შიშველი...

ბოლოს საღღაც გაუქმებულ საყდრის ეზოში მოკალათდა, სამარქაფო ხელობად მესაფლავეობა გაიჩინა. ამ ხელმოცარულმა ცხოვრებამ იგი ისე ძირს დასცა, რომ ახალი დრო და მისგან მოტანილი სიკეთე ვერ შეიშნო და ვერ გაიგო. აღმასკომმა მიწა მოუზომა. სათესლე სიმინდი ორხელ მისცა, მაგრამ დახუნდარამ მიწა ბარნაბას მიაზიარა, თესლი ერემოს დუქანში ღვინოს შეატანა. ახლაც იოლი ცხოვრების გზას ეძებს. ისევ ნასუფრალით ცხოვრობს და სხვისი ხელის შემყურეა". ასეთ ტიპს ადვილად იყენებენ კლასობრივი მტრები. მწერალს კარგად აქვს დახატული ამ ნასუფრალა, სულნამცეცა კაცის ფსიქოლოგია. იგი სიმპათიას ვერ იმსახურებს, მაგრამ მაინც მოეპოვება დადებითი თვისება, რის გამო მკითხველი მას უყურადღებოდ არ ტოვებს. სიკეთის ამ ძაფით დაუკავშირდა იგი მექისაც, თუმცა შემდეგ გაწყდა ეს ძაფი. მწერალს დახუნდარა, როგორც ღარიბ-ღატაკი კაცი, მაინც არა ჰყავს ბოლომდე გამეტებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როდესაც კ. ლორთქიფანიძემ რომანი პიესად გადააკეთა, დახუნდარა დიდი ცხოვრების შარაგზაზე გამოიყვანა, განთავისუფლებული და ერთგვარად განკურნებული ძველი ჭრილობებისაგან.

„კოლხეთის ცისკარის" მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ მკითხველი მთლიანად მოქცეულია ახალი ცხოვრების, მისი მშვენიერი ლამაზი ყლორტების გავლენის ქვეშ. ეს მიღწეულია არა მარტო ნაწარმოების ღრმა იდეური კონცეფციით, არამედ მხატვრული საშუალებებითაც, ხასიათების სრულყოფილი გამოძერწვით, დადებითი გმირების სულიერი სამყაროს გამოხატვით, მათი მეტყველებითა და საქციელით — ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ ახალი სოციალისტური სოფლის ძალასა და ღირსებას.

„კოლხეთის ცისკარი" ქართულ მწერლობაში პირველი რომანი იყო, რომელმაც ასე ვრცლად წარმოსახა 30-იანი წლების საქართველოს სოფლის სინამდვილე. მან უდიდესი კვალი გაავლო ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, როგორც პირველმა რომანმა საკოლმეურნეო სოფლის შესახებ. „კოლხეთის ცისკარის" პირველი თავები 1932 წლის „მნათობის" პირველ ნომრებში გამოქვეყნდა, ხოლო ცალკე წიგნად 1934

წელს გამოვიდა „ძირს სიმინდის რესპუბლიკის“ სახელწოდებით. შემდეგ მწერალმა თითქმის ოცი წლის მანძილზე იმუშავა რომანის სრულყოფისათვის და მისი ვარიანტები და ნაწილები — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, „იმერეთის ცისკარი“ საბოლოოდ გამოქვეყნდა „კოლხეთის ცისკარის“ სახელწოდებით. ასე დაამუშავა და სრულჰყო ავტორმა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი პირველი დიდი მხატვრული ტილო.

კ. ლორთქიფანიძის მხატვრული პალიტრა თანდათანობით უფრო მდიდარი და პროფესიონალური ხდება. შემოქმედებითი ძიება, რომელიც მისთვის ეგზომ დამახასიათებელი იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლიდან, შეუნელებლად ღრმავდება. ამის ნათელი გამოხატულებაა რომანი „ნატვრის თვალი“, რომლის პირველი ნაწილია გამოქვეყნებული. იგი უპირველეს ყოვლისა საინტერესოა მაღალი პროფესიული სტილით, წერის მანერით, რითაც ნაწარმოები ერთბაშად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. „კოლხეთის ცისკარის“ შემდეგ „ნატვრის თვალი“ უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია როგორც სტილის, ისე თემატიკის მხრივ.

„ნატვრის თვალში“ ლორთქიფანიძემ სცადა დაეხატა საკოლმეურნეო მშენებელი ადამიანების სულიერი სამყარო 50-იანი წლების საქართველოს თვალით, გამოეხატა ამ ადამიანებში ის ახალი გრძნობა, რომელიც მათს ყოფასა და შეგნებაში დამკვიდრდა. რომანის მთავარი გმირები — მამა და შვილი — ზაქარია და ლევან ნადიბაიძეები, ერთნაირი სულიერი სამყაროთი, ერთი შრომის რომანტიკით ცხოვრობენ, მაგრამ ისინი სხვადასხვა პერიოდის ადამიანები არიან, განსხვავებული ტრადიციებისა და სულისკვეთების მატარებელნი.

მამა ზაქარია ძველი კაცია, თუმცა იგი ახალ ცხოვრებაში ისევე ხელგაშლილად არის ჩაბმული, როგორც მისი შვილი, მაგრამ მაინც დამძიმებულია ძველი ბიოგრაფიით. წინათ ამ განთქმულ ვაჟკაცს პურის ყანის მკაში ტოლი არ ჰყავდა. მწერალი მისი შრომითი ვაჟკაცობის ეპიზოდს შესანიშნავად მოგვითხრობს სცენაში, სადაც გაცოცხლებულია ნადიბაიძისა

და გაბიდაურის მკაში შეჯიბრების სურათი, მართალია, ზაქარიას ძველად ხვნაში თუ მკაში სოფელში სწორი არ მოეპოვებდა, მაგრამ მაინც ეს ვაჟკაცობა დამყარებული იყო ნამგალზე, ბარზე თუ სახნისზე. ახლა დრო შეიცვალა. სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკა შეიჭრა, დღეს სოფლის ბედი ტრაქტორზე და კომბაინზე არის დამყარებული. და აი, ამ ახალი სოფლის თვალისჩინია ზაქარიას უფროსი შვილი ლევან ნადიბაიძე. მამა და შვილი — ძველი და ახალი შრომის გმირები — ერთმანეთს ავსებენ თავიანთი ნათელი ბიოგრაფიით. ისინი ერთმანეთის ანტიპოდები არ არიან. ახლა მამაც ისევე, როგორც შვილი ოჯახისა და სოფლის იმედს ტექნიკაზე ამყარებს. ამისდა მიუხედავად, მწერალი მოხერხებულად ურთავს მათსავე თავგადასავალში ძველი და ახალი სოფლის დაპირისპირების ეპიზოდებს, გუთანზე დამყარებული სოფლისა და ახალ, მაღალ ტექნიკაზე დამკვიდრებული სოფლის ცხოვრების სურათებს.

ამ სურათების მიხედვით ნათლადაა ნაჩვენები, თუ როგორ გამოცვალა ახალმა ტექნიკამ სოფლის იერი, როგორ გააადვილა შრომა და მიწასთან ბრძოლა. ეს მოწინავე ადამიანები, ძველი თუ ახალი, დიდი შრომის პათოსით ცხოვრობენ, და მის ფერხულში არიან ჩაბმულნი. სწორედ ამ შრომის ჰეროიკით, ამაღლებული ხასიათის ჩვენებით გვიხატავს მწერალი ახალი ცხოვრების გმირებს.

ნადიბაიძეების ოჯახის ბიოგრაფიის წრე ერთგვარად გაფართოებულია რომანში კომბაინერი ქალის გოგოლას შემოყვანით. მწერალი ლევანისა და გოგოლას სამიჯნურო თავგადასავალს, მათს შინაგან ინტიმს არაჩვეულებრივი ძალით გადმოგვცემს. ამავე დროს აჩვენებს მათს თავდადებულ შრომას საკოლმეურნეო მინდვრებში, მათი ვაჟკაცობის საარაკო ეპიზოდები ახალი ტექნიკის ფონზე, ახალი გარემოს ვითარებაშია გადმოშლილი.

ახალი ადამიანების ჭაბუკური სული, მათი უკვდავი საქმეები, შრომითი ცხოვრება ამ რომანში ნათლად ჩანს. ამავე დროს მკვეთრადაა დასურათებული, თუ როგორ ძლიერად დამკვიდრდა ჩვენ სოფელში ახალი ფორმაციის ადამიანების შრომითი დამოკიდებულება ცხოვრებასთან. ამ მხრივ „ნატვ-

რის თვალი“ უთუოდ არის „კოლხეთის ცისკრის“ ბუნებრივი და უშუალო გაგრძელება, რასაკვირველია, რომანის ეს ერთი ნაწილი არ გვაძლევს უფლებას ნაწარმოებზე დაწერილებით ვიმსჯელოთ, მაგრამ გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც შეიძლება.

კ. ლორთქიფანიძის მხატვრული სამყარო არ არის რთული, იგი სადაა, ნათელი და რეალისტური. გამჭვირვალე და გასაგები, აქ არაფერია ხელოვნური და განგებ დახლართული. კ. ლორთქიფანიძეს არ განუცდია დეკადენტური სკოლების პირდაპირი გავლენა, მისი მხატვრული ენა და სტილი არასოდეს ყოფილა გადაპრანჭული და პოზიორული.

კ. ლორთქიფანიძეს რეალიზმის ფარგლებში განვლილი აქვს მძაფრი, პოეტური ძიებების გზა. საკმარისია გულდასმით წაიკითხოთ კ. ლორთქიფანიძის ორტომეული, რათა დარწმუნდეთ, თუ რა დაუოკებელი მხატვრული ძიებისა და ოსტატობის კვალით არის აღბეჭდილი მისი ყოველი მოთხრობა, მისი ყოველი ფრაზა.

მწერალი განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიით მუშაობს პოეტურ ფრაზაზე, სიტყვაზე. მას ვერ უპოვით გაუმართავ წინადადებებს. ყოველ მათგანს დიდი შინაგანი დატვირთვა აქვს მინიჭებული. ავტორისეული ენა უაღრესად კონდენსირებული და დახვეწილია. დავასახელებთ ორიოდე მაგალითს:

„მტერი ნაკლებად ეტანებოდა ცეის ჭაობიან მინდვრებს. დამშეული ჯარისკაცები თუ შეეხეტებოდნენ სოფელში დროდადრო, დასალევს დალევდნენ, მოსაპარავს მოიპარავდნენ და გაქრებოდნენ...“

„მაინც იძალა და გზა განაგრძო. ნაშუადღევს, როგორც იყო, ეს ტყეც გათავდა. თორმეტი საათი მოანდომა ათიოდე კილომეტრის გავლას..“.

„ცოდვის უცხელესი ბუღი ასდიოდა უდაბურ ჭალას“

ან კიდევ:

„კარგი დღე იყო, მტკვრის ტალღებს სველი მიწისა და ნესტიანი ტყის სუნი ასდიოდა, იმდენად უხვი და ძლიერი, რომ ყვავილთა სურნელებას დაეხშო.“

„დროდადრო ბაღებში პატარა ტოტები შეკრთებოდნენ

ანასდად, თითქოს ნიავმა შეაღვიძაო, მაგრამ ნიავი არ იყო. შეხურებული კვირტები სკდებოდა და ტოტებს ეს არხევდა.“

კიდევ ერთი მაგალითი:

„ცხენებს და ქვეითებს ვინ დასთვლიდა.

მიდიოდა ყველა,

მორწმუნე და ურწმუნო,

შეპირებული და ხატზე გადაცემული,

მოქეიფე და მოსეირნე,

მყიდველი და გამყიდველი.

მიჰყავდათ ქარებისაგან დახუთული ბავშვები და შეწირული ბატკნები...

გატენილი ხურჯინები და ჩვენი სიგრძე სანთლები...

ბოლო ხანებში ხატობას საქეიფოდ უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე სალოცავად, ამიტომ კატისწვერაზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს.“

აქ მოყვანილი პასაჟები განსხვავებულია თავისი ენობრივი ქსოვილით, სახიერებითა და მუსიკალური რიტმით. პირველი ორი მაგალითი იმ ენობრივ ხატოვანებაზე მიუთითებს, რომელსაც მწერალი ფრაზაში სიტყვას ანიჭებს, ხოლო უკანასკნელი მაგალითი იმის დამადასტურებელია, თუ რა ძლიერ არის შეპრილი კ. ლორთქიფანიძის პროზაში პოეტური რიტმი, მუსიკალური ელემენტი და ყველა ამ განსხვავებულ შემთხვევაში მხატვრის ენობრივი ფაქტურა უაღრესად ნათელი და რეალისტურია.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებისა და ნოველების კომპოზიცია ისევე ნათელი და სადაა, როგორც მისი ენობრივი ქსოვილი. ამავე დროს, ლიტერატურული გამომგონებლობითაც უაღრესად საინტერესოა. კ. ლორთქიფანიძე ყოველთვის გამომწვევი ხერხით იწყებს მოთხრობას. მოვიგონოთ „მწვანე ღილის“ დასაწყისი. აქ მოხუცი კაზაკი ქალის შეკითხვაში, პირველსავე ფრაზაში — „ქართველი თუ ხართ ვინმე, შვილო!“ უმალვე იბადება დიდი ინტერესი, მოთხრობის სიუჟეტის საიდუმლოების გასახსნელი კვანძი. ეს ის ნასკვია, რომლითაც იქმება მოთხრობის ძაფი და რომელსაც მკითხველი შეუნელებელი ინტერესით მისდევს. ასეთი მოულოდნელობის საიდუმლოებით გამართვა ექსპოზიციისა ნი-

შანდობლივია კ. ლორთქიფანიძისათვის. მეორე მხრივ, მისთვის დამახასიათებელია მოთხრობის საექსპოზიციო ნაწილში იმ იდეური ნახატის შემოტანა, რომლის გაშლასა და განვითარებას შემდეგ სიუჟეტში ვხედავთ. ასე მაგალითად, „კოლხეთის ცისკარში" ჭიდაობის სცენა (საექსპოზიციო ნაწილში), რომლითაც იწყება რომანი, სიმბოლურად სიუჟეტური ამბავის კონდენსირებული გამოხატვაა.

კ. ლორთქიფანიძის ფრაზა ყოველთვის მოკლე და სახიერია, დიალოგი მკაცრად მოფიქრებული, სხარტი და ხატოვანი.

„ბოდავდა სიცხისაგან აღგზნებული დაჭრილი, ბორგავდა, წამოდგომა ეწადა.

ჭრილობაზე ტოლაღი მოშვებოდა.

ვერ მოასულიერეს, ფეხი ხელახლა შეუხვიეს, მერე ყანადად ცოტაოდენი ტვირთი აიკიდეს, დაჭრილს მხრებში შეუდგნენ და შინ წამოიყვანეს...

გზაში, ეტყობა, სიცხემ უმატა: ხურვება ბოერია, გაშმაგდა, მკერდზე ხალათს იხევდა და რაც ყველაზე სახიფათო იყო, მთელი ქვეყნის გასაგონად ყვიროდა ბედშავი.

ამშვიდებდნენ, ეფერებოდნენ. ქალი პირზე ხელს აფარებდა და ეს ხელი თითქოს ცეცხლის ალზე ეჭირა. ისეთი ცხელი იყო დაჭრილის სუნთქვა".

ეს ეპიზოდი გადმოგვცემს დაჭრილი ვაშალომიძის მდგომარეობას, აგონიაში მყოფი მეომარი ჯარისკაცის სვეტლანასთან შეხვედრას და ავტორი ისე შთამბეჭდავად და სხარტად გადმოგვცემს მოკლე-მოკლე დიალოგების საშუალებით, რომ ნახატის ემოციონალური ზეგავლენა უაღრესად დიდია. და ეს იმიტომ, რომ აქ არაფერია ყალბი და ხელოვნური, განზრახ გართულებული.

კ. ლორთქიფანიძე სტილის სფეროში ენობრივი აქსესუარების გამოყენების თვალსაზრისით თანამედროვე მწერალია, რომელიც მოკვეთილი, ლაკონიური სტილით ემსახურება დიდი ცხოვრებისეულ მოვლენების მხატვრულ წარმოსახვას, და ეს ხატოვანი ენა, ამავე დროს, უაღრესად რეალისტურია, მდიდარი ხალხური ფეტყველების ბაღალ ლიტე-

რატურულ ხარისხში აყვანილი. ასეთია მწერლის ამოსავალი პრინციპი, მისი ენობრივი პოზიცია.

მწერალი შეგნებულად გაურბის დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას და ამით თხრობას უაღრესად კონდენსირებულად წარმოგვიდგენს. მაგრამ მწერალი მაინც არ არიდებს თავს ჩაერიოს, როგორც ავტორი, გზადაგზა ხასიათებისა და გმირების ცხოვრებაში და მათ მიმართ თავისი დამოკიდებულება ნათლად გამოხატოს. ამისდა მიუხედავად, როგორც ვთქვით, სიუჟეტური ქარგა, ამბავი უაღრესად შეკუმშულია და, ამასთანავე, ღრმა აზრის შემცველი. მწერალი ამას აღწევს შინაგანი მონოლოგის, ქვეტექსტების, ხასიათის ინტონაციური ნიუანსების გახსნით და დიდი ლაკონიზმით. კ. ლორთქიფანიძე შეგნებულად მიმართავს ისეთ მხატვრულ ხერხს, რომლის ამოცანაა მკითხველში აღძრას გარკვეული სულისკვეთება, რომელსაც ავტორი იცავს. ავტორისეულ ტენდენციას ვგრძნობთ ყველგან — დახასიათების გამოხატვაში, მონოლოგების წარმართვაში, რემარკებში. კ. ლორთქიფანიძე ნათლად აყალიბებს თავის მხატვრულ პოზიციას და არ ცდილობს, განგებ დაფაროს და დამალოს ეს ტენდენცია. ამ მხრივ იგი სრულიად ახალი ტიპის, ახალი დროის მხატვარია, რომლის სამწერლო სტილი ეპოქის შინაარსს ემორჩილება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ ჩამოძერწილი სახეები ნათლად წარმოსადგენია, აქ არაფერია ხელმეორედ ამოსახსნელი და განსამარტავი.

„ბუმბულისებრი ღრუბლები დაბლა ჩამოწვნენ, ნიავმა სუნთქვა შეწყვიტა და მთელი ქვეყანა დახშულ ოთახს დაემსგავსა. ბალახმორეულ პატარა ტბასთან რუსი მეზღვაურები ტანთ იხდიდნენ გაშმაგებულნი. ზოლიანი პერანგები და ლურჯი ტილოს შარვლები ფრიალ-ფრიალით ცვიოდნენ ბალახებში, როგორც თოფნაკრავი დიდრონი ფრინველები“.

თოფნაკრავი ფრინველების შედარება შარვლების ფრიალთან ადვილად წარმოსადგენი სახეა!

ან კიდევ:

„გაწუწული ხეები წყალწაღებულებივით იშვერდნენ ხელებს“.

— „ვაზაში რომ ყვავილი ჩარჩება და დაჭკნება, ისე მოჩანდა იგი თავის მოახლის გვერდით“.

დამჭკნარი ყვავილი აქ გამოყენებულია შინაბერა ქალის დასახასიათებლად.

— „ლამაზი პირისკანი ჰქონდა, ლოყაზე ოდნავ ვარდისფრად შეღებებული, თითქოს რძეში ორი წვეთი წითელი ღვინო გაურევიათო“.

ან კიდევ:

„ჰხრეებზე ახლად ალესილი ცელები უელავთ. შორიდან ისე მოჩანს, თითქოს ამ სვანებს მზის სხივების კონები მოაქვთ“.

ეს ოდნავ გართულებული სახეა, მაგრამ მაინც ნათელი და რეალისტური.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ენისათვის დამახასიათებელია ხალხური თქმებისა და ფრაზეოლოგიზმების უხვად გამოყენება.

აი, რამდენიმე მაგალითი:

„უკაცო ოჯახი, ხომ იცი, დაბალი ღობეა“;

„ალაყაფის კარები მოტრამალებული დახვდა, ტანმაცუდი უგრძნო“.

„კარი უბედურებას რჩება ღია“.

კ. ლორთქიფანიძისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია მკაცრი რეალისტური სტილი და ამ სტილს ემორჩილება ნაწარმოების მთელი კომპოზიცია, ხასიათების გამოხატვა, დიალოგები და ფრაზები. ამასთანავე მისთვის ნიშანდობლივია ლირიკული აღსარებანი, ლირიკული მიდგომა მოვლენისადმი და ამით ერთგვარი შემსუბუქება დრამატული სიტუაციებისა. აი, მაგალითიც:

— „რა იყო, სვეტლანა? — შეეკითხე ერთხელ...

— არაფერი... არაფერი! — ჩურჩულით მითხრა ბურანიდან გამოფხიზლებულმა ქალმა. — რა უცნაურია! ხანდახან ასე მგონია მთელი სიცოცხლე შენ მიყვარდი და გელოდი... მარტო შენ გელოდი...“

ასეთი ლირიკული განწყობილებაა შემოტანილი „მწვანე ღილში“ იმ მდგომარეობის წინ, რომელსაც შეყვარებულთა განშორება და დაღუპვა მოსდევს.

ან კიდევ მეორე მაგალითი:

„წვიმას აპირებდა. ნახევარ ცაზე შეფენილი ღრუბლები სწრაფად აბნელებდნენ ქვეყანას; ყვავებიც ავბედად ყრანტალებდნენ შიშველ არყებზე... დრო და დრო ძუძუს ბავშვების ტუჩების მტლაშაშტლუში ისმოდა, ეს უნაზესი ხმა ოდნავ ამხნევებდა პირქუშ დილას, ანელებდა უბედურებია მოლოდინს".

ასეთი ლირიკული ადგილები ერთბაშად ცვლიან იმ დრამატულ განწყობილებას, რომელიც მკითხველზე მძიმედ მოქმედებს. ისინი ხელს გვიწყობენ, ერთგვარად გამოვეთიშოთ მძიმე დრამატულ სიტუაციას. გავიხსენოთ „ბელორუსული მოთხრობები". აქ მძიმე ტრაგიკულ სურათს ერთბაშად ცვლის ასეთი პასაჟი: „სადღაც შორს უშიშრად ღნაოდა ძუძუს ბავშვი და ეს ოდნავ ამხნევებდა ღამეს."

მაშასადამე, ამ ლირიკულ ინტონაციებსა და ეპიზოდებს უაღრესად გამანეიტრალებელი მნიშვნელობა ენიჭება იმ ღრმა დრამატული სიტუაციებისათვის, რომელთაც მწერალი ქმნის თავის მოთხრობებსა და რომანებში.

კ. ლორთქიფანიძე გმირის დახასიათების, პორტრეტების ხატვის დიდი ოსტატია. სხარტი, მოკვეთილი და უაღრესად რეალისტური ფაქტურა ერთბაშად გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ხასიათის შესახებ. ამის მკვეთრ მაგალითებს წარმოადგენენ მ. გორკის, ვაშალომიძის, მექის და სხვათა დახასიათება. მწერალი საოცარი სიცხადით ახერხებს გადმოგვცეს გმირის ხასიათი და მონახოს მის დასახატავად მაქსიმალურად შესაფერისი სიტყვიერი მასალა და ფრაზები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კ. ლორთქიფანიძე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ენობრივ სიწმინდეს, სიტყვიერ ხატოვანებას, საზოგადო ენას, როგორც მწერლობის უპირველეს ფენომენს. ამავე დროს მისთვის დამახასიათებელია ახალი სიტყვებისა და ფრაზების შემოტანა. ეს სიტყვათა შემოქმედება მკაცრად ემორჩილება ქართული ენის ბუნებასა და ხასიათს.

აი, რამდენიმე მაგალითი:

„ადლაბიჯა ჭაბუკი", „ადლა ბიჯა" კომპოზიტია ორი სიტყვისაგან შექმნილი; ადლი და ბიჯი (ნაბიჯი). „დიდგინა

ცოლები", „დიდგინა" აქ ნიშნავს გასუქებულ, ნაპატიებ ქალებს; „ჩაუტევარი კაცი"; აქ „ჩაუტევარი" იგივეა, რაც მბორგავი, მოძრავი, დაუცხრომელი. „ქორმამალა"; კომპოზიტია ორი სიტყვისაგან შექმნილი — ქორი და მამალი. იგი ავტორს გამოყენებული აქვს ამაყი და თავნება ბარნაბა საგანელიძის ასულის თალიკოს დასახასიათებლად.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მრავალი მაგალითის დამოწმება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ კ. ლორთქიფანიძე მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატია.

მწერალმა ერთგან შენიშნა: „ვეძებ და ვერ მიპოვნია, სიტყვა მისი სულიერი ძლიერების აჩრდილად რომ ზაინც გამოდგესო".

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედება არის დაუოკებელი ძიება, ძიება სიტყვების ფრაზებისა ხასიათებისა და სიტუაციებისა, რათა ზედმიწევნით სხარტად და ლამაზად იქნეს გამოხატული ავტორის ჩანაფიქრი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახით ჩვენ გვყავს ბრწყინვალე სტილისტი-მწერალი, რომლის ენობრივი ქარგა მრავალფეროვანია და ქართული ენის სტიქიისათვის საგსებით შესაფერისი.

ირაკლი აბაშიძე

ადამიანი ყოველთვის ასაკით თავის ტოლთან ნახულობს საერთოს, მას უფრო ანდობს თავის გულისნადებს, სულისწადილს. თუ ეს ასეა ჩვეულებრივ, მით უფრო გავრცელებულია ასეთი ურთიერთობა შემოქმედ ადამიანთა შორის. სწორედ ასე იქმნება გარკვეული თაობა, თუ ლიტერატურული მიმდინარეობა მწერლობაში. ლიტერატურის ისტორია სხვა არ არის რა, თუ არა თაობათა ისტორია. ყოველ თაობას თავისი სათქმელი და საფიქრელი აქვს და ამით მას თავისებური ინტერესი შეაქვს ლიტერატურულ ტრადიციაში.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ 30-იანი წლების საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე ფიქრი და ოცნება ნიჭიერად და ოსტატურად გამოხატა ირ. აბაშიძემ. ამ თაობის წარმატება და სიხარული, ზოგჯერ ოცნებათა გაწბილებაც და ტკივილებიც მთელი სისრულით, საინტერესოდ, დასამახსოვრებლად აისახა ირ. აბაშიძის პოეზიაში.

ყოველ თაობას თავისი ახალგაზრდობით, თავისი წარსულით მოაქვს თავი. მომდევნო თაობის წინაშე იგი ერთგვარად მედიდურობს ამ წარსულით, მაგრამ ყოველთვის მართალია იგი ამ მხრივ თუ არა, ეს საკითხის სხვა მხარეა, ხოლო უმთავრესი ის არის, რომ თაობათა ამგვარი გაჯიბრება მუდამ ხდება. სიმართლე რომ ითქვას, 30-იანი წლების თაობას ბევრი რამ აქვს საინტერესო, რომანტიკული და საამაყო. ეს ის თაობაა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული სიძნელეები და რომელმაც ომის მრისხანე წლების მთელი საშინელებანი პირველმა განიცადა. ირ. აბაშიძეს ამ თაობის სახელითაც და თავის სახელითაც ბევრი რამ აქვს მოსაგონარი და მოსათხრობი, როგორც ამ თაობის ჯარისკაცს და

მის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტს. თუ ამ მხრივ მივუდგებით საკითხს, მაშინ ნათელი გახდება, რომ ირ. აბაშიძის ლექსები უთუოდ თავისებური ისტორიაა ამ თაობისა და მისი მატიანეც, აღსავსე მღელვარებით, განცდებით, ფიქრებით, აღტყინებით. და შემართებით, შრომის პათეტიკითა და რომანტიკით თეთრად გათენებული ღამეებით, დაწერილი და დაუწერელი წიგნებით. ვინც გადაფურცლავს ირ. აბაშიძის ლექსების ახლახან გამოცემულ ერთტომეულს, რომელიც პოეტის დაბადების 50 წელთან დაკავშირებით გამოვიდა, ადვილად დაინახავს პოეტის თანამედროვეთა მღელვარე განცდებსა და ფიქრებს. ირ. აბაშიძის პოეტური ბიოგრაფია მისი ძალა, როგორც ქართული სიტყვის ოსტატისა, მთელი სისრულით არის გამომჟღავნებული ლექსების ამ საიუბილეო კრებულში.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც ირ. აბაშიძე აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართულ საბჭოთა მწერლობაში, როგორც პოეტური სიტყვის გამოჩენილი წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე.

ირ. აბაშიძე დაიბადა 1909 წლის 23 ნოემბერს ხონში (დღეგანდელი წულუკიძე). პოეტის მამა თავის დროის შესაფერისად საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მომავალ პოეტს ბავშვობიდან ესმოდა ოჯახში სახელები ქართული და რუსული მწერლობის გამოჩენილი კლასიკოსებისა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, პუშკინი, ტოლსტოი... ამ ოჯახის საყვარელი მწერლები იყვნენ. მამა თავად იყო მოყვარული ლიტერატურისა და, ამავე დროს, ფრიად კეთილი კაცი. ირ. აბაშიძემ შესანიშნავად დახატა მამის სახე თავის ცნობილ ლექსში „მამა“.

თუ იმერეთში სინათლით სავსე
ვინახავთ ჩვენი პატარა თემი,
და უსინათლო ვაჟკაცი გახსოვთ,
მშობელი მამა ის იყო ჩემი.
მას ერთხელ გაჰკრა სიკვდილმა გვერდი
და თვალში მოხვდა რჯულძაღლის ცელი,
და მერე ჩამქრალ თვალების სევდით
ოდაში იჯდა თხუთმეტი წელი.

ასე გაცოცხლებულია ჩვენს წარმოდგენაში სიკვდილისაგან ცელგაკრული მამის სახელი. შემდეგ პოეტი მას დიდ განზოგადებას აძლევს და ამ უსინათლო კაცის სულიერ ტკივილებს, მის ბრძოლასა და შეჯახებას ცხოვრებასთან თავისებური კონფლიქტით გვიხატავს. სიკვდილთან მის შერიგებასაც ასევე მშვიდი ტონებით აცოცხლებს:

ხან თემშარაზე ფრთხილად და ჩუმად
გამოჩნდებოდა ჩალისფერ ჩოხით,
და სიცოცხლის და სიკვდილის შუა
გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯოხით.
და მოკვდა ისე, რომ მას სიკვდილი
არ დაუნახავს — გამხმარი ძვალი.
და მოკვდა ისე, რომ ტკბილზე ტკბილიც
არ დაუნახავს ქვეყანა თვალით,
არ ჩარჩენია ჯავრად მშვენება,
ლურჯი ველების, ლურჯი ქედების...
მე კი, მე იმ დროს რა მეშველება,
ორივე თვალში რომ ვიხედები.

ეს ლექსი აქ მთლიანად მოვიტანეთ, რომ ნათელი გავხადოთ, თუ რა ინტიმური ფერებითა და ძალით შემოსა და გააცოცხლა პოეტმა მამის სახე, ამავე დროს, მასში განაზოგადა სიკვდილთან და სიცოცხლესთან დაჭიდებული კაცის თავისებური სურათი, ამ სურათს ცხოვრების დიდი სიყვარული, ცხოვრების დიდი რომანტიკა, თავისი მამულის ლურჯი ველებისა და ლურჯი ქედების ბრწყინვალება და ეშხი ზედ დაუმატა. ასე გამოისახა კონტრასტულ სურათებში პოეტის დიდი სიყვარული მამულისადმი. თავისი ქვეყნის ეს სიყვარული პოეტს ბავშვობიდანვე ზრდიდა პატრიოტული განწყობილებებითა და სულით.

ირ. აბაშიძემ ხონში გაატარა ბავშვობის წლები. როგორც დაწყებითი, ისე საშუალო სასწავლებელი აქვე დაამთავრა. ეს ის წლები იყო, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. პოეტმა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების სურათი ბავშვის თვალით დაინახა და გააცოცხლა. თებერვლის დღეების, სამოქალაქო ომის წლების რომანტიკა ირ. აბაშიძის პირველსავე ლირიკულ ლექსში გამოიხატა:

თებერვლის დღენი, თოვლიანი თებერვლის დღენი
ყმაწვილ გონებას
მოგონებით არ მისვენებენ,
ჩვენს რაიონში ორთქლიანი სამხედრო ცხენი
და მგზავრობაში გალაფული გარნიზონები.

ასე შემოვიდა პოეტის შეგნებაში ბავშვობის დღეთა მოგონება, დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან. მახვილი პუბლიცისტური მანერით დაწერილი ეს ლექსი პოეტის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. პოეტი შემდეგ კვლავ მოუბრუნდა თავის სულში აღბეჭდილ ამ დღეების ხსოვნას და ოსტატურად გააცოცხლა საბავშვო ლექსში „რატომ მიყვარს თებერვალი". ეს არის პატარა მკითხველებთან დიდი პოეტის ბავშვობის მოგონების ლირიკული გაზიარება. თებერვალი იმიტომ მიყვარსო, აცხადებს პოეტი,

რომ ლხინი დგას მთა და ბარში,
ყველგან მზეა, ყველგან თბილა,
რომ ჩვენს მამულს თებერვალში.
გაუთენდა შვების დილა.

ასე ძლიერად შემოვიდა პოეტის სულში, ასე დასამახსოვრებლად აღიბეჭდა ბავშვის გონებაში თებერვლის დაუვიწყარი დღეები და თვითონ პოეტმა თავისი ბიოგრაფია, თავისი გზა სწორედ თებერვლის გზას, ახალ საქართველოს გზას დაუკავშირა.

1926 წელს ირ. აბაშიძე თბილისში ჩამოდის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების დარგის სტუდენტი ხდება. უნივერსიტეტის კურსი დაასრულა 1930 წელს, ხოლო 1933-35 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო ირ. აბაშიძე, როდესაც ლექსების წერა დაიწყო. ხონში იგი ხშირად გამოდიოდა მოწაფეთა წრეში ლექსების კითხვით. ამ ლექსებიდან ზოგი სკოლის ხელნაწერ ჟურნალში დაიბეჭდა, ზოგიც დამწყებმა პოეტმა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რე-

დაქცევას გამოუგზავნა. თბილისში ჩამოსვლისთანავე ირ. აბაშიძე „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებული ლიტერატურული წრის აქტიური მონაწილე ხდება. ეს ის წლებია, როდესაც საქართველოში გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა საბჭოთა ლიტერატურის საფუძვლების შესაქმნელად. ირ. აბაშიძე აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში.

ყოველი მოწინავე მწერალი ამ დროს უკვე მხარს უჭერდა და იბრძოდა საბჭოთა პოეზიის განმტკიცებისათვის, ხოლო დეკადენტური ჯგუფები ინერციით კვლავ განაგრძობდნენ შეტევას რეალიზმის, საბჭოთა მწერლობის პოზიციების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ძირითადი ბირთვი ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი იყო, რომლის ყველაზე ახალგაზრდა თაობა თავს იყრიდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებულ ლიტერატურულ წრეში. პროლეტარული მწერლობა ძველი თაობის იმ სახელოვან წარმომადგენლებთან ერთად, რომლებმაც ერთბაშად მოაშურეს ახალი მწერლობის პლატფორმას, საბჭოთა ლიტერატურის საფუძვლებს ქმნიდა. პროლეტარულ მწერლობას, თავის დიდ დამსახურებასთან ერთად, ცოტა შეცდომა როდი ჰქონდა დაშვებული საბჭოთა მწერლობის განმტკიცების გზაზე. რაპპელების მიერ ერთგვარი უგულებელყოფა წარსულის მემკვიდრეობისა, მემარცხენული დამოკიდებულება ძველი თაობის მწერლების მიმართ პროლეტარული მწერლობის მოწინავე წარმომადგენლებშიც არ პოულობდა მხარდაჭერას, მით უმეტეს. ეს განწყობილება აღიზიანებდა ძველი თაობის წარმომადგენლებს და ლიტერატურაში სექტანტური კარჩაკეტილობის საშიშროებას ქმნიდა.

ირ. აბაშიძე სწორედ ამ წლებში შემოვიდა ქართულ მწერლობაში. მისი პირველი ლექსები 1928 წელს გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ირ. აბაშიძე სწორედ ამ წლებში შეხვდა საქართველოში ვლადიმერ მაიაკოვსკის. მაიაკოვსკი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა მწერლობაში. მან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა სრულიად ახალგაზრდა პოეტზე. მაიაკოვსკიმ თბილისში გამართა რამდენიმე ლიტერატურული საღამო, სადაც დიდმა პოეტმა, საკუთარ ლექსებთან ერთად ქართუ-

ლად წაიკითხა ირადიონ ევდოშვილის ცნობილი ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, მისი ახოვანი გარეგნობა, მისი მეტყველების იმერული მოქცევა, მისი უბრწყინვალესი ლექსები სამუდამოდ აღიბეჭდა ახალგაზრდა პოეტის, ირ. აბაშიძის, გულში. მაიაკოვსკისადმი სიყვარულითაა გამთბარი ირ. აბაშიძის ლექსი — „ბაღდადი—მაიაკოვსკი“ და მის მიერ ვლ. მაიაკოვსკის ორი შესანიშნავი ლექსის თარგმანი „ვლადიკავკაზი — თბილისი“ და „დამკვრელი ბრიგადების მარში“.

ირ. აბაშიძემ სულ მალე მიიპყრო მკითხველის ყურადღება ორიგინალური ინტონაციებითა და ახალი პოეტური ფერებით, რომლებიც მან ქართულ პოეზიაში მოიტანა პირველი ლექსების სახით. 1931 წელს გამოვიდა ირ. აბაშიძის ლექსთა პირველი წიგნი, ხოლო 1934 წელს სრულიად ახალგაზრდა პოეტი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატად. ეს იყო ირ. აბაშიძის პირველი გასვლა პოეზიის დიდ ასპარეზზე. აქ გაეცნო იგი ცნობილ მწერლებს — რუსებს, უკრაინელებს, უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. ამ გარემოებამ გააფართოვა პოეტის ჰორიზონტი და უფრო ნათელი გახადა მისთვის ბევრი რამ, მანამდე საკამათო და სადავო პოეზიაში.

1939 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობის მიერ ირ. აბაშიძე არჩეულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად. ამ თანამდებობაზე იყო იგი 1944 წლამდე. 1944—1946 წლებში მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, ხოლო 1946 წლიდან 1953 წლამდე ითვლებოდა ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად. 1953 წლიდან დღემდე ირ. აბაშიძე საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანია. ამავე დროს 1959 წლიდან იგი ითვლება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივნად. ირ. აბაშიძე არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ირ. აბაშიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრო-

მის წითელი დროშის ორი ორდენითა და საპატიო ნიშნის ორდენით.

ირ. აბაშიძე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. 1956 წელს ქალაქ დელში, აზიის ქვეყნების მწერალთა პირველ კონფერენციაზე, სადაც ჩვიდმეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, ირ. აბაშიძე გამოვიდა ვოხსენებით ამიერკავკასიის ხალხთა მწერლობის მდგომარეობის შესახებ. ეს მოხსენება ახალი საბჭოთა საქართველოსა და მოძმე კავკასიის ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დიდ მიღწევებზე მოუთხრობდა აზიის ქვეყნების შვილებს. პოეტი სიამაყით ლაპარაკობდა ახალი საქართველოს კულტურაზე, მის დიდ წარსულზე, საბჭოთა მწერლობის მიღწევებსა და განვითარებაზე. კონფერენციის დღეებში ირ. აბაშიძემ ინდოეთის მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს გადასცა „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენი ერის სულიერი კულტურის ეს უბრწყინვალესი ძეგლი. ამასთან დაკავშირებით პოეტი თავის ნარკვევში „ინდოეთის გზებზე“ წერდა: „ძნელად წარმოსადგენია 200 წლის წინათ, ინგლისის ინდოეთში შეჭრამდე და ამ ქვეყნის გარესამყაროსგან მოწყვეტამდე, ინდოეთის ხალხს ასეთი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონოდა საქართველოს კულტურაზე.

ინდოეთის პრეზიდენტ პრასადთან მიღებაზე ამ ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელებს (ამ აკადემიის საპატიო თავმჯდომარე თვითონ ჯავარხარლალ ნერუა). კრიპალანსა და პრაბაქარ მაჩვეს მე გადავეცი „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, მოსკოვის 1937 წლის გამოცემა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს, ინდოეთის ინტელიგენციის ამ მოწინავე და დიდად განათლებულ წარმომადგენლებს, რუსთაველის ამ უკვდავ ქმნილებაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. მე ვთხოვე მათ, კონფერენციის მსვლელობის დღეებში, ჩემი იქ ყოფნის დროს, როგორმე ეშოვათ დრო და წაეკითხათ იგი. მემდეგ კი, თუ ღირსად ჩათვლიდნენ ეზრუნათ, რათა ამ პოემის მთავარი გმირისათვის, ინდოელ რაინდ ტარიელისათვის ეჩვენებინათ მისი სამშობლო 800 წლის შემდეგ, ე. ი. ეზრუნათ

„ვეფხისტყაოსნის“ ჰინდის, ანუ ურდუს ენაზე თარგმნისათვის. პრაბაქარ მაშვემ „ვეფხისტყაოსანი“ ჩამომართვა და მორიდებით თქვა: „ამოდენა წიგნის გამოშვება ჩვენს აკადემიას, აბა როგორ შეუძლიაო“. ვინც ინდოეთის საგამომცემლო საქმეს იცნობს, მას მაშვეს ეს განცხადება სრულიადაც არ გაუკვირდება. საქმე ისაა, რომ ამ 400-მილიონიან ქვეყანაში წიგნები მხოლოდ რამდენიმე ათასიანი ტირაჟი იბეჭდება, უმეტესად 2—3-ათასიანი ტირაჟით. მკითხველის სიმცირის გამო, გამოცემული წიგნი ვერაფერ შემოსავალს აძლევს... ნამდვილი ჭეშმარიტი მწერლის მდგომარეობა ინდოეთში დიდად სავალალოა... ამიტომაც მე სრულიადაც არ გამკვირვებია, როცა პრაბაქარ მაშვემ გვითხრა: ამ დიდი პოემიდან ჩვენ მხოლოდ იმ ნაწილის თარგმნასა და გამოცემას თუ მოვახერხებთ, რომელიც ინდოეთს ეხებაო.

გიყვარდეთ, ის ღამე პრაბაქარ მაშვეს რუსთაველმა თეთრად გაათენებინა. დილით მივიღე მისგან უსაზღვროდ აღფრთოვანებული წერილი. წერილს თან ერთვოდა „ვეფხისტყაოსნის — ადგილების თარგმანი ურდუს ენაზე, რომელიც ამ ღამენათევ კაცს განთიადისას შეესრულებინა“. ასე შევიდა ირ. აბაშიძის ბიოგრაფიაში ჩვენი ქვეყნიდან „ვეფხისტყაოსნის“ გატანის, რუსთაველის პოპულარიზაციისათვის ზრუნვა და ძიება, როგორც პოეტის საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის დადასტურება. ირ. აბაშიძის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ მან გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან — ა. შანიძესთან და გ. წერეთელთან ერთად— იმოგზაურა იერუსალიმში, სადაც მათ დიდი შრომით, მრავალი წინააღმდეგობის გადალახვით აღადგინეს ჯვარის მონასტერში ჩახატული რუსთაველის პორტრეტი და საქართველოში ჩამოიტანეს რეპროდუქცია სურათისა, რომელიც დიდი ხანია წაშლილად და დაკარგულად ითვლებოდა. ეს დიდი და საპატიო ეროვნული საქმეა, რომლის ინიციატორი და მხურვალე მონაწილე ირ. აბაშიძე იყო.

* * *

ირ. აბაშიძე ქართულ პოეზიაში შემოვიდა, როგორც ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს რომანტიკოსი პოეტი. მის სულში დარგული ახალი პოეზიის ნერგი ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე აღმოცენდა, ეს ახალი სამყარო გახდა მისი პოეტური შთაგონების წყაროც და სათავეც, და თავისი გზაც, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, მან განუყოფლად დაუკავშირა ამ ახალი საქართველოს აღორძინებას. ერთ თავის ადრინდელ ლექსში ირ. აბაშიძემ მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის ახალი ისტორიის თავფურცელი გაზაფხულს შეადარა და ამით ხაზი გაუსვა განახლებული სამშობლოს სიდიადესა და სილამაზეს:

> ვაზაფხულია,
> რად არ მიყვარდეს
> მისი გაჩენის დღე და აპრილი,
> მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს
> ვეამბორები მე თავდახრილი.

პოეტს აქ გაზაფხული ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი. რომელმაც ღირსება და პატივი დასდო ადამიანს, მის შრომას, მის ბრძოლას, მის ყოფნას ამ მიწაზე:

> მზეს მზე დაერქვა, ვარდებს ვარდები,
> კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი,
> მან ამოაშრო ცეცხლად ნადები
> საუკუნეთა გულში ნაღველი.

და მერე პოეტი დაწვრილებით განმარტავს, თუ რა დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდა ხალხს, რომ მობრძანებულიყო ეს გაზაფხული:

> ათას გმირის და ხალხთა მსახურის
> ქვეყნად რამდენი რისხვა გაისმა!
> რომ კაცს დაეხსნა ეს გაზაფხული,
> მაისს ეხარა ნამდვილ მაისად.
> რა ხნის ოცნება არის ქართველის
> ეს გაზაფხული, რა ხნის ზღაპარი,

ამიტომაც პოეტს ესმის ფასი ამ ახალი გაზაფხულისა, გულწრფელად უყვარს იგი და მთელი თავისი აღტაცებით უმღერის მას. და არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ადამიანების ცხოვრებაში ამ ოცდაათი წლის მანძილზე არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც პოეტი არ გამოხმაურებოდეს მგზნებარე პათოსითა და ლირიკული ინტონაციებით.

ირ. აბაშიძე თავისი ბუნებითა და ხასიათით ლირიკოსი პოეტია, მისი პოეტური სტიქია ლირიკული ლექსია, ხოლო ამ ლექსების ლირიკული გმირი — ახალი ადამიანი. ამ ახალი ადამიანის სულის გამოხატვა დასახა მან თავისი პოეზიის მთავარ ამოცანად და ეს საკვლევით მართებული პოზიცია იყო პოეტისა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მაქსიმ გორკი შენიშნავდა, რომ მწერლობა ადამიანთმცოდნეობაა, ადამიანია ყველაზე მაღალი და ყველაზე ძვირფასი ამ სამყაროში, ყველაზე მთავარი და ყველაზე პირველი საგანი მწერლებისა ირ. აბაშიძის პოეზიაშიც თვალსაჩინო როლი და ადგილი სწორედ ადამიანის სულის გამოხატვას დაეთმო.

ირ. აბაშიძის ერთ-ერთი ლირიკული ლექსი „გადარჩენის ბალადა" მიძღვნილია ძმისადმი, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ეს ექპედიციის მონაწილე იყო. პოეტმა ამ ფაქტში დაინახა ახალი ადამიანის სულის სიდიადე, მისი გვირული, ვაჟკაცური საქციელი. ეს კონკრეტული ამბავი დიდი შთამბეჭდაობით არის გამოხატული ამ სიუჟეტიან ლექსში. იგი პუბლიცისტური პათოსითა და შემართებით მოგვითხრობს მსოფლიო ომის სურათებზე, ოჯახის, პიროვნების ბედსა და მდგომარეობაზე და ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ. ამ ლექსში შემოდის პირველ მსოფლიო ომში, თათრების ფრონტზე დაღუპული მეზობელი მიქე, როგორც სიმბოლური სახე ყველა იმ ადამიანისა, რომლებიც მსოფლიო ომს შეეწირნენ. ამას მოსდევს მუქი ფერებით გამოხატული სურათი იმ გლოვისა და ვაებისა, ცრემლისა და მწუხარებისა, რაც ხალხის მსხვერპლს

და მდგომარეობას გვიხატავს პირველი მსოფლიო ომის დღეებში.

ის იყო სწორედ დღე ენკენისთვის, —
მზემ დაასრულა და ჩაწვა მძიმედ,
რომ შეიკივლეს დაკარგვა მისი
და, მახსოვს, დიდხანს არ დაგვაძინეს.

მწერლის მიერ აქ საინტერესოდაა გაცოცხლებული მოტირალი დედის სახე, რომელშიაც ასევე განზოგადებულად წარმოდგენილია ომში დაღუპულთა დედების გლოვისა და სევდის სურათი:

და დედაჩვენიც შავით და თალხით
ჩაუჯდა მოთქმით და ჭირისუფლად
ეზოში იდგა ჯგუფ-ჯგუფად ხალხი...

ამგვარი სურათებით პოეტი ქმნის გარდასული დღეების სევდიან და გულისმომკვლელ სურათს, გვიხატავს ძველი ცხოვრების ვაებისა და სიდუხჭირის გამომხატველ ეპიზოდს. ეს იყო წინათ. ახლა მოვიდა ოქტომბერი და ეს ძველი ყოფა — თავისი ბატონებითა და მეფეებით, მწუხარებითა და უბედურებით — ისტორიას ჩაბარდა, ადამიანი წელში გასწორდა, ის ქვეყნის, ოჯახის ბატონ-პატრონი შეიქმნა, ცხოვრებამ ფერი იცვალა, იგი ხალისიანი და ბედნიერი გახდა. ყველა ადვილად როდი შეურიგდა რევოლუციის მონაპოვარს — ამ ახალ ვითარებას, როდი გაიგო, და როდი გაჰყვა მის გზას:

ის იკარგება უგზო-უკვლოდ,
ვინაც ვერ ნახა ქვეყნად გზა-კვალი,
ქვეყნად ვისთვისაც არვის უკოდავს
ერთი ბილიკიც ტერფის საკმარი.

ამგვარ ადამიანებს ისტორიაში არასოდეს არაფერი შეუქმნიათ ხეირიანი და კარგი, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი თაობა, რევოლუციის თაობა, მან თან მოიტანა მქუხარე ხმები, ახალი ცხოვრების დიდი სიყვარული და შრომის პათოსი:

შენ კი სხვა ქვეყნის სხვა ხარ თაობა,
შეუპოვრობის, გმირულ ჭენების,

სადაც მეტია გამბედაობა
და მრისხანებენ ყინულმჭრელები.

გასწი ხომალდი ქარში, ავდარში,
ყინვებს გაჰყვირე უცხო გალობა,
გასწი ხომალდი, ომსაც გადავრჩით
და მშვიდობის დროს უგზო-კვალობას.

ახალი ადამიანი, მისი გმირული საქციელი და მებრძოლი სული, ირ. აბაშიძის პოეზიაში მთელი ძლიერებით შემოვიდა... ჩვენი დროის მხატვარი ყველგან გრძნობს და ხედავს ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანთა საარაკო ვაჟკაცობასა და გმირულ შემართებას. იგი ყველგან ხვდება მათ — ოჯახში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, გახურებულ ღუმელებთან, სადაც რკინას ჭედდნენ თუ ფოლადს ადნობდნენ, ჭიათურის, ტყვარჩელის მაღაროებში და შახტებში, სადაც ამოაქვთ ნახშირი თუ მარგანეცი — ყველგან პოულობს იგი ათასობით გმირებს, ახალი ქვეყნის მშენებლობის პათოსით აღფრთოვანებულებს. პოეტი დიდი მგზნებარებით უმღერის მათს შრომის რომანტიკასა და მებრძოლ სულს.

პოეტმა კარგად იცის, რომ ისტორიას ყოველთვის ხალხი ქმნიდა. ხალხია ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ამ ქვეყანაზე, მაგრამ პოეტმა ისიც იცის, რომ შრომა წინათ სხვას ეკუთვნოდა, ერთი შრომობდა, მეორე ითვისებდა. ამიტომ იგი ძველად ადამიანის დაჩაგრების სიმბოლო იყო. ახალმა დრომ კი მას ბორკილები აჰყარა, გაათავისუფლა და სახელისა და დიდების საქმედ აქცია. ამან დაბადა მილიონობით გმირებიც და მოწინავე ადამიანებიც ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ერთგვარი სიამაყის გრძნობით მიმართავს პოეტი ჩვენი წარსულის მემატიანეს:

გამიღე წიგნი,
მატიანე ძველი ქართელი,
ჟამთა მრიცხველი, წინაპართა „ქართლის ცხოვრება“,
ამდენი კაცი მაღალი და სახელგანთქმული,
ამდენი გმირი, რომელ მათგანს ემახსოვრება.
იყო სარდალი, იყო გმირი, მტერთა გამდევნი,
ბრძენი ქართველიც უმღეროდა მზნეს და გოლიათს,
მაგრამ არასდროს დარაზმული გმირი ამდენი
გამარჯვებისთვის საქართველოს ჯერ არ ყოლია.

საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში ირ. აბაშიძე ხატავდა ჩვენი მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხების გმირულ შემოქმედებითს შრომას. პოეტი მთელი გზნებით უმღეროდა საბჭოთა ადამიანის თავდადებას სოციალისტური სამშობლოსათვის, მგზნებარე მოწოდებით გაისმოდა მისი პოეტური ხმა:

შენ სადღაც სპირდები ეპოქას.
ტემპით და იერიშით ანთებულს.
ეპოქა გეძახის, როგორც კაცს.
როგორც ბრძოლაში ვალდებულს.

ირ. აბაშიძე, როგორც საბჭოთა პოეტი, მიჰყვებოდა ახალ საქართველოს გზას და მან თავისი პოეტური ბიოგრაფია მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის გზას. ახლა, როდესაც ხელთ ვიღებთ ირ. აბაშიძის პირველ წიგნს და ვეცნობით დიდი გულწრფელობით დახატულ ჩვენი ქვეყნის სურათებს, ნათლად ვხედავთ, თუ რა სიყვარულით იყო პოეტი დაკავშირებული ახალ საქართველოსთან და მის გზასთან. ლექსების ამ პატარა წიგნში ახალი ქვეყნის შრომითა და რომანტიკით აღფრთოვანებული და გახარებული პოეტი ესაუბრება მკითხველს ლექსებით — იქნება ეს „საოქტომბრო პატაკი", „რეპორტიორის დღიური", „ჩემს ობლიგაციებს", „ღამე რაიკომში" თუ „სოფლად". აქ თქვენ ამჩნევთ პოეზიაში ჯერ კიდევ გაუწაფავი კაცის ხელს, მაგრამ ამ ლექსებში მაინც იგრძნობა დიდი პოეტური გული, რომლითაც დაკავშირებულია ახალგაზრდა პოეტი ახალ სამყაროსთან.

ჩვენი ადამიანების შრომა და გმირობა, მათი შეუპოვარი ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის ამ ლირიკულ ლექსებში წარმოდგენილია, როგორც ადამიანის სულის მოთხოვნილება. პოეტის აზრით, ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობის, საარაკო, ზღაპრული საქმიანობის უპირველესი წყარო სწორედ ისაა, რომ ჩვენმა ადამიანებმა იციან, რისთვის შრომობენ. მათ იციან, რომ ისინი არიან გლეხებისა და მუშების მიერ შექმნილი სახელმწიფოს რიგითი მშენებლები, ამ სახელმწიფოს განმტკიცებისათვის მებრძოლი

მშრომელი ადამიანები. ეს რწმენა ბადებს დიდ რომანტიკას, რომელიც თან ახლავს საბჭოთა ადამიანის შრომასა და ბრძოლას. პოეტი დიდი გულწრფელობით გვიხატავს ამ კეთილშობილურ გრძნობას.

მძაფრი პუბლიცისტური პათოსით ეხმაურებოდა პოეტი თავისი დროის მღელვარე კითხვებს. ასე გაიკვლია მან გზა საბჭოთა პოეზიაში და დაიმსახურა მკითხველების სიყვარული. ირ. აბაშიძის ეს ადრინდელი ლექსები ყურადღებას იპყრობენ დიდი პოეტური სინათლით, ხალხურობით, ლირიკული სიწრფელითა და სიცოცხლით, რაც მთავარია, ნათელი ოპტიმიზმით და უაღრესად ინტიმურ გრძნობებთან მებრძოლი პუბლიცისტური პათოსის შეერთებით.

* * *

ვინც ირ. აბაშიძის შემოქმედებითი განვითარების გზას დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ იგი, როგორც პოეტი, უაღრესად თავისებურია. ჩვენი პოეტი ცოტას წერს, მეტისმეტად ძუნწად წერს, მაგრამ ამ სიძუნწეში მოჩანს დიდი პასუხისმგებლობა და მისი პოეტური ბუნებაც. ჭეშმარიტი პოეტი მხოლოდ მაშინ წერს, როდესაც მის სულში საამისო შინაგანი მოთხოვნილება იბადება, წერს გულის კარნახით... სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ირ. აბაშიძის ლექსებში ძალზე იშვიათია ჩავარდნილი სტრიქონები, ყალბი შეგონებები, ენობრივი ნატურალიზმის გამოვლინებანი. მისი ლექსების კრებული ყოველთვის რჩეულის შთაბეჭდილებას ტოვებს, და ეს პოეტის დიდი და უპირველესი ღირსებაა. მწერლობაში, რასაკვირველია, რაოდენობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ეს შეეხება ლირიკასაც, მაგრამ უმთავრესი მაინც მხატვრული ხარისხია. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსების ერთი კრებულის ავტორია, მამია გურიელს კი მეტი დაუწერია, მაგრამ განა ამით შეიძლება ამ ორი პოეტის ღირსების განსაზღვრა?! რაოდენობა თუ მხატვრულ ხარისხამდე არაა აყვანილი, ლიტერატურაში მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ვინც დიდი ტკივილების გარეშე წერს, ვისაც დიდი სათქ-

ველი არ გააჩნია, ის ერის სულში, მკითხველის გულში ვერასოდეს იპოვნის გამოძახილს და ვერასოდეს ვერ დაიმკვიდრებს დიდ სახელს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, 30-იან წლებში თუ როგორ ცდილობდა სრულიად ახალგაზრდა პოეტი საინტერესოდ, სიმახვილით დაეყენებინა იმ დროის, იმ ეპოქის მტკივნეული და მღელვარე საკითხები. ირ. აბაშიძე, როგორც ახალი ეპოქის მხატვარი, ბოლომდე ერთგული დარჩა ამ პრინციპისა.

ირ. აბაშიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა რუსთაველის თემას. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ პოეტებს შორის ირ. აბაშიძემ ერთმა პირველთაგანმა სცადა რუსთველოლოგიის საკითხების პოეტური გახსნა, რუსთაველის ბიოგრაფიისა და სახელის პოეტური ამეტყველება. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე, როგორც დელეგატმა, ეს სახელი საინტერესო ლექსის საგანი გახადა.

მოსკოვში, სვეტებიან დარბაზში 800 წლის შემდეგ ათას ცეცხლსა და ქარბუქს გადარჩენილი შოთას სურათის გამოჩენა შეიგრძნო პოეტმა, როგორც დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოვლენა. შინაურ და გარეშე მტერთაგან დევნილი ქართველი ხალხი რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ — შთაგონებით იბრძოდა და შრომობდა, მისით ცოცხლობდა და დღეგრძელობდა. და, აი, როცა თვითონ ხალხი გახდა სახელმწიფოს ბატონ-პატრონი, წინათ ოფიციალურ პირთაგან დავიწყებული რუსთაველი კვლავ გამოიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ქართველი ხალხის უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც თავის კანონიერ და საპატიო ადგილს პოულობდა ახალ საბჭოთა კულტურაში, ლიტერატურაში. ეს დიდი ისტორიული ფაქტი ირ. აბაშიძემ აღნიშნა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შთაბეჭდილებით შექმნილ ლექსში „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“. ყრილობის დელეგატი საბჭოთა პოეტი აღტაცებით წერდა:

კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი.
როგორც ოდესღაც თავის მამულს, უცხო ყარიბი,

ახლა რუსეთის კარს მიადგა მისი სახება,
და კვლავ ის წიგნი მოიტანა, ვით მდუღარების
რვაას წლის შემდეგ ხელახალი ამოძახება.

რუსთაველმა გამოარღვია ეკლესიის მესვეურთა ძველი ჯურღმული, ყველა ავისმდომისა და მტრის დაბრკოლება და რვაასი წლის შემდეგ ახალი ძალით გამოანათა, თავის უკვდავ ხალხს უკვდავი ძალით დაუბრუნდა. ეს დიდი ფრთები რუსთაველის გენიას ახალმა დრომ, ჩვენმა ეპოქამ შეასხა. ამ მომენტსაც ხაზს უსვამს თავის ლექსში ირ. აბაშიძე:

ვერ ამოშანთეს, უგუნურთა ხმლით ვერ გაკვეთეს.
დიდი მსახური გონიერთა გულთამხილების:
მაშინ დასავალ, აღმოსავლეთ ზღვებში ჩაკეტეს
და ჩრდილოეთით კავკასიის მთა-გრეხილებით.
რვაას წელიწადს დაეძებდა გმირს და თანატოლს,
ვით ავთანდილი, როგორც მოუმე, უცხო ყარიბი, —
შეხვდნენ, იხარეს: აწ ქვეყანა ერთად ანათონ,
ზღვის და ხმელეთის მან გაუხსნა რუსთველს კარები.

ასე გავიდა რუსთაველი მსოფლიო ასპარეზზე თავისი უკვდავი ქმნილებით და თან გაიტანა ქართველი ერის სახელი ჩვენი საზღვრების მიღმა.

ამ ისტორიულ ფაქტს დიდი გულწრფელობით და შთაგონებით მიესალმებოდა საბჭოთა პოეტი, მაგრამ ირ. აბაშიძეს მაინც არ ასვენებდა ფიქრი: როგორი იყო ხვედრი და ბედი რუსთაველისა ძველ დროში; პოეტი მის სახელს, მის გზას, მის კვალს დაეძებდა. რაღაც დიდი შინაგანი სულიერი კავშირი დაამყარა პოეტმა რუსთველთან, და ეს სიყვარული, ასე ძლიერად გამოხატული, კვლავ მოუწოდებდა პოეტს, რათა დაწვრილებით გამოერკვია ჩვენი ერის დიდი სულიერი წინაპრის გზა და კვალი. და აი, რამდენიმე წლის შემდეგ პოეტი ეძებს რუსთაველის ნაკვალევს ინდოეთში; ეჩვენება, თითქოს მას ეხმაურება სადღაც ინდოეთის ტრამალებში ჩარჩენილი, თუ ცხელ ჰაერში გაბნეული რუსთაველის ხმა. ინდოეთში თითქოს შეეფეთა პოეტს შოთას

სახელი, თითქოს რუსთაველის ნაკვალევს მიაგნო კიდევაც და გულწრფელად აღმოხდება:

...ეს ქვეყანა თვით გენიოსს სწორუპოვარს
არ იქნება არ ენახოს რუსთველს...
არ შეყროდეს აქ ლხინსა თუ ომის გრიალს,
არ ეხილოს ეს ბიბინი სერთა,
არ ენახოს: „სმენად მხეცნი მოვიდიან“,
არ ევემოს „ვაჰ სოფელოს“ სევდა.

და პოეტი ამბობს: მეც დავდივარ ინდოეთის ამ ტრამალებში, მეც დავეხეტები მის აყვავებულ ველებსა და ბაღნარებში და რვაასი წლის, რვა ათასი წვიმის შემდეგ მის ნაფეხურს, მის ნაკვალევს ვეძებ, ხელით მინდა შევეხო ყოველ ხეს აქ დარგულს, ეგებ რუსთაველის ხელი შეხებია მას, ეგებ აქ სადმე არაბეთის ზღვასთან იდგა იგი, ანდა განგის პირას უცქეროდა მწირთა ლოცვას:

თითქოს ვხედავ, თითქოს, მართლაც ნათლად ვხედავ,
ჩუმს და ფერმკრთალს, უქმელსა და უსძელს.
არა. ეს გზა, როგორც მგოსანს, როგორც მხედარს.
არ იქნება არ ენახოს რუსთველს.

ინდოეთის ნახვამ დაარწმუნა პოეტი რუსთაველის აქ ყოფნაში. ამიტომ იგი განსაკუთრებული თვალით აკვირდებოდა ამ კრცელ ქვეყანას. პოეტს თითქოს აქ, ინდოეთის ტრამალებში ესმის რუსთაველის ხმა („რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“) და მასთან დიალოგს მართავს: — რამ აგიყარა მესხეთს კარავი, მტრობამ, მტრად ვინმე გყავდა მამულში? — ეკითხება განცვიფრებული პოეტი დიდ წინაპარს: ან შურმა, ან ღალატმა, ან ცბიერებამ, ან ჭირმა, სიძულვილმა გადმოგხვეწა ეგებ ამ მიდამოში?! პოეტს რუსთაველი ყველა ამ კითხვაზე უპასუხებს: არა, არც ერთი ეს მიზეზი არ იყო ჩემი აქ გადმოხვეწის საბაბი, — მხოლოდ ერთმა გარემოებამ აიძულა რუსთაველი დაეტოვებინა ქვეყანა — ეს იყო სიყვარული. და, აი, სიყვარულისაგან გადმოხვეწილი პოეტის ნაკვალევს სიყვარულითვე ამხედრებული საბჭოთა პოეტი გულით დაეძებდა ინდოეთის ტრამალებში, მაგრამ ვერსად ვერ მიაგნო მის გზასა და კვალს, და პოეტს გულისტკივილით აღმოხდება:

ინდოეთში რუსთაველის კვალს დაეძებ,
აღარც აქ ჩანს რვაასი წლის შემდეგ...

ამის შემდეგ თითქოს ხელი უნდა აეღო პოეტს რუსთაველის ნაკვალევის ძებნაზე, მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და პოეტი კვლავ შეუდგა დიდი მგოსნის ნაკვალევის ძებნას. და ეხლა ამ მისიით იერუსალიმის შორეულ გზას გაუდგა. აქ, მართლაც, მიაგნო პოეტმა რუსთაველის სახეს, მის ხატებას, რაც პოეტმა შესანიშნავად გამოხატა ლექსში: „რუსთაველის ხმა ჯვარის მონასტერში". აქ გამოხატულია გენიოსი პოეტის რუსთაველის სიდიადე, ჰუმანისტური იდეების განუზომელი მნიშვნელობა ყველა დროისა და ყველა ეპოქის ადამიანისათვის, სიდიადე, ყოველივე კეთილის საწყისის მეთაურისა და სწორუპოვარი პოეტისა.

* * *

ირ. აბაშიძემ იცის, რაც გაკეთდა რუსთველოლოგიაში, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენისა თუ ბიოგრაფიული მასალების მოძიების საქმეში, — ჩვენს დროში მიღწეული და გაკეთებულია უფრო მეტი, ვიდრე გასული რვაასი წლის განმავლობაში. ჩვენი დროის ადამიანი ამით უთუოდ ამაყობს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ირ. აბაშიძემ გულწრფელი პოეტური სიტყვები მიუძღვნა ჩვენი წარმატების მეთაურსა და შთამაგონებელს კომუნისტურ პარტიას. ეს გულიდან ამოსული დიდი სიმართლით გამოხატული სიტყვებია, კომუნისტური პარტიის სადიდებლად და საქებარად წარმოთქმული.

ირ. აბაშიძის ლექსი „საქართველოს კომპარტიას"—შესანიშნავი ჰიმნია. ეს არის კომუნისტური პარტიისადმი ხალხის ერთგულებისა და სიყვარულის დამადასტურებელი ქების სიტყვები ნათელი პოეტური ფერებით გამოხატული.

თვალი ადევნე მშობელ ქვეყანას,
ეისი მარჯვენის მადლი ატყვია...
სად აგვამაღლა, სად მიგვიყვანა,
აი, რად გვიყვარს ჩვენი პარტია.

გულწრფელად ნათქვამი სიტყვებია! მართლაც-და, კომუნისტურმა პარტიამ მრავალჭირგადახდილი ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირში შემავალ ერებთან ერთად, თავისუფლების დიდ შარაგზაზე გამოიყვანა. მან ააყვავა ჩვენი ქვეყანა, ქალაქები და სოფლები, ხალხთა მეგობრობის დიდი ციხე-სიმაგრედ აქცია ჩვენი თვალუწვდენელი საშშობლო. ხალხთა ძმობამ და მეგობრობამ დაიცვა ჩვენი საქართველო ყოველგვარი განსაცდელისაგან:

> რაც გაჩენიდან ათასწლეული
> ქართველს აზრი აქვს და მახსოვრობა,
> სიზმრად ჰქონია გადაქცეული
> ქვეყნად მშვიდობა, თანასწორობა.
> ორი ოცნება ჩვენს დროს შეერთდა
> ჩვენთვის დიდებად და სასახელოდ,
> დღეს კომუნიზმის კარიბჭეებთან
> ძლევამოსილად დგას საქართველო.

ირ. აბაშიძის პოეზიაში ნათლად არის გამოხატული ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და მეთაურის დიდი ლენინის დაუვიწყარი სახე. ამ თემას მიეძღვნა ლექსები „მთის არწივი“ და „21 იანვარი“. აქ პოეტი განზოგადებულად გამოხატავს ჩვენი პარტიის გენიალური ბელადის ლენინის სახეს. პოეტი იგონებს 21 იანვრის სამგლოვიარო დღეს, რომელიც ყველა პატიოსან ადამიანს მოაგონებს და გაახსენებს დიდ ლენინს, რომელიც ასე უდროოდ წავიდა ჩვენგან. აი, ამ ფონზე ცოცხლდება საერთაშორისო მუშათა ბელადის ვლადიმერ ლენინის დაუვიწყარი სახე:

> ამ დღეს მოსკოვი
> კვლავ გვახსენებს სევდიან ამბავს,
> და ისმის ქვეყნად
> თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული,
> დიდი თეატრის
> გაბრწყინებულ, გაჭედილ დარბაზს
> მიაპყრობს თვალ-ყურს
> დედამიწა სულგანაბული.

ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული, მისი გმირული ბრძოლა თვითმპყრობელობის ტახტის დასამხობად, პირველი

სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა განუყოფლად არის დაკავშირებული ლენინთან და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის სახელთან. კომუნისტურ პარტიას საქართველოში ჰყავდა თავისი სახელოვანი გვარდია, რომელიც, რუსეთის რევოლუციურ ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად, ზრდიდა, რაზმავდა ჩვენს ხალხს თვითმპყრობელობისა და მონობის წინააღმდეგ შეურიგებელი სულისკვეთებით.

ამ ლენინური გვარდიის ერთი სახელოვანი ჯარისკაცი იყო ალექსანდრე წულუკიძე. ირ. აბაშიძემ ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ფონზე შესანიშნავად გამოხატა ამ შეუდრეკელი რევოლუციონერი რაინდისა და მაღალი სულის მებრძოლის სახე პოემაში „წულუკიძის სიკვდილი“.

პოეტი რევოლუციური წარსულის ეპიზოდებითა და დეტალებით, პოლიტიკური დემონსტრაციებისა და არალეგალური მუშაობის მღელვარე სურათების გადმოშლით, ახერხებს დახატოს ბოლშევიკური გვარდიის სახელოვანი ბრძოლის სურათი. თვით წულუკიძის გარდაცვალებას პოეტი ადარებს მზის ჩასვლას, მზისა, რომელიც კვლავ უნდა ამოვიდეს დედამიწის გასათბობად. შედარების ამ სიმბოლური ხერხის გამოყენებით პოეტი მძაფრ ოპტიმისტურ სურათს ხატავს, ხოლო წულუკიძის გასვენებას ქუთაისიდან ხონში წარმოგვიდგენს, როგორც მძლავრ დემონსტრაციას, რომელიც მჭევრმეტყველური გამოხატულება იყო ხალხის უკმაყოფილებისა და პროტესტისა ცარიზმის წინააღმდეგ. ეს იყო ნიშანი ხალხის მზადყოფნისა წულუკიძის სახელოვანი თანამებრძოლების — რევოლუციის ვეტერანების დაძახებაზე, რათა ფეხზე დამდგარიყო, როგორც ერთი კაცი, და შებრძოლებოდა მონობასა და უსამართლობას.

ქუთაის-ხონის გზაზე სამგლოვიარო პროცესია, რომელიც თავის საყვარელ გმირს, უდროოდ გარდაცვლილ წულუკიძეს მიაცილებს, ერთიანი რევოლუციური ძალითა და ნებით გაერთიანებულს რაზმს წარმოადგენდა და ხალხის რევოლუციურ ძლიერებას გამოხატავდა... კუბო კი არ მიაქვთ, თითქოს ხალხს სარდალი მიუძღვისო, — ამბობს პოეტი. ადამიანთა გულისწყრომას თითქოს ბუნებაც შეუერთდა, ცა საწვიმარი ღრუბლებით დაიფარა. ატყდა ძლიერი ქარიშხალი,

მაგრამ ხალხმრავალი პროცესია მტკიცედ მიაბიჯებს წინ, და ამით პოეტი გვანიშნებს, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს რევოლუციურ იდეებზე აღზრდილ ამხედრებულ ხალხს. სინათლე გაიმარჯვებს სიბნელეზე, ხალხი დაამარცხებს ვერაგ მტერს. ასეთია ამ პოემის პათოსი. პოეტი ახერხებს პუბლიცისტური წერის მანერით გააცოცხლოს ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ეპიზოდი და მას განზოგადებული მნიშვნელობა მიანიჭოს. ჩვენი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა იყო ის ძალა, რომელიც პარტიამ წარმართა თვითმპყრობელობის დასამხობად. პარტია მიუძღოდა ჩვენს ხალხს შრომასა და ბრძოლაში, სახელოვანი კომუნისტური პარტია მიუძღოდა ხალხს სამამულო ომის მრისხანე დღეებშიც. ეს იყო ჩვენი ხალხის, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური ძალების შემოწმება, ისტორიული გამოცდა, რომელიც საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალედ ჩააბარა. მთელ ამ ბრძოლაში ჩვენი მწერლობა გვერდში ედგა თავის ხალხს და ზრდიდა მას პატრიოტული გრძნობებითა და განწყობილებებით.

* * *

„პოეტი ომში" — ასე უწოდა ირ. აბაშიძემ ლექსების ციკლს, რომელიც სამამულო ომის თემას მიეძღვნა. ციკლი იხსნება ლექსით „საქართველოს პოეტებს". ეს იყო პოეტის მგზნებარე მოწოდება სამამულო ომის მრისხანე დღეებში, იგი უბრძობდა თავის ხალხს, თავის მეგობარ პოეტებს მამულის დასაცავად:

ვინ გაგვიბედა მიწის გინება,
მასზე ბინძური ქუსლის დადება,
უცებ ქერდულად შემორკინება,
მიწით გველური გამოცხადება.
ძმებო, მგოსნებო უსაყვარლესნო,
ქვეყნის ქებანო, ტკბილო ჰანგებო,
ჩვენო მახვილო, ათჯერ ნალესო,
მარად გამტანო და საგანგებოვ,
გასჭერ, დაძლიე ურდო პირმყრალთა,

ნახონ ნამდვილი შეხლა-რკინება,
ერთხმად, ერთპირად, როგორც გვიყვარდა,
ქვეყნის ზეიმზე შეხმატკბილება.

ეს მოწოდება თავდებოდა რწმენით, რომ, მართალია, ჩვენი ხალხი არა ერთხელ ყოფილა საფრთხის წინაშე, მაგრამ, მედგრად დაუცავს თავისი მამული. ყველაფერი ეს მოითხოვს შეუპოვარ ბრძოლას, მსხვერპლს და პოეტიც მგზნებარედ მოუხმობდა ხალხს ფრონტისაკენ და თავად მზად იყო, ყველაფერი გაეღო თავისი ქვეყნისათვის. თუ საქართველო წინათ მარტო იცავდა თავის მამულს, მაინც ვერ მოკლეს „ჩვენი ვარადა, ვერ ამოშანთეს ქართლში ვარძია“, ახლა ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავგამოდებით იცავს თავის სამშობლოს და იგი უძლეველია. მამულის დახსნისათვის უნდა გავიღოთ ყოველგვარი მსხვერპლი, ყველაფერი — ფრონტისათვის, შრომითა და ბრძოლით დავიხსნათ ჩვენი საშობლო („მხოლოდ ფრონტისთვის იზრუნე“) — ასე მიმართავდა პოეტი ფრონტელ მეგობრებს. იგი ასევე მოუწოდებდა მათ, რომ როცა ფრონტზე ხართ და ბრძოლის ცეცხლში ეხვევით, მუდამ გახსოვდეთ თქვენი ოჯახი, თქვენი შვილები და ისინი არ გაათელინოთ მტრის ბინძურ ქუსლსო („შეტევის წინ“). თვითონ პოეტი ფრონტის ხშირი სტუმარი იყო. მან თავისი თვალით ნახა მოსკოვში, უკრაინაში, ყირიმში თუ კავკასიის მისადგომებთან გადამწვარი სოფლები, გადაბუგული ქალაქები, მტრისგან დახოცილი ბავშვები და ქალები. და იგი ბოღმით ლაპარაკობდა მტრების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე. ჯერ კიდევ ექვსი თვე იყო გასული სამამულო ომის დაწყებიდან, როდესაც, მრისხანე 1942 ახალწლის ღამეს, პოეტი ისევ მოწოდებით მიმართავდა ფრონტელ მეომრებს:

მრისხანე ცხრაას ორმოცდაორი,
შემოგრიალდა წელი ახალი,
ბომბდამშენების ისმის ხმაური,
ატოტებული ტანკის ჯახანი.

პოეტი აღწერდა უშუალოდ ომის სურათებს და, როგორც ბოწმე და დამსწრე ამ საომარი დუელისა, დიდი მღელვარე-

ბით გადმოსცემდა ბატალურ სცენებს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსი „ჰორიზონტზე იწვოდა მესერშმიტი“. პოეტი დიდი შთაგონებით გვიხატავდა ომის ფურცლებს, ფრონტელი მეგობრების ვაჟკაცურ შემართებას. აღვიძებდა და აძლიერებდა მშრომელ ხალხში რწმენასა და იმედს, მოუწოდებდა მას საგმირო საქმეებისაკენ: „მხდალს ომში უცდის სიკვდილი, გმირს — სიცოცხლე და სახელი“.

სწორედ სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაწერა ირ. აბაშიძემ თავისი შესანიშნავი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. იგი, როგორც ნიჭიერი პოეტური ქმნილება, აიტაცა ქართველმა მკითხველმა, საბჭოთა მეომარმა და თავის სასიმღერო რეპერტუარში შეიტანა. ლექსი გამარჯვების, რწმენის, ვაჟკაცური შემართების ნამდვილ სიმღერად იქცა.

„კაპიტანი ბუხაიძე“ სიუჟეტიანი ლირიკული ლექსია.

სამამულო ომმა მრავალი თავდადებული და სახელოვანი მეომარი გამოავლინა. ეს ის ადამიანებია, ვინც ჩვენმა წყობილებამ, ჩვენმა დრომ აღზარდა, რომელთაც მამულზე უფრო საყვარელი და საფიცარი არაფერი გააჩნდათ და რომლებიც არაფერს ზოგავდნენ მამულისათვის, სამშობლოსათვის.

ტანკებს უვარდებოდნენ და აფეთქებდნენ, თვითმფრინავებს სპობდნენ, შეუპოვარი ბრძოლით იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს. სწორედ ამ მებრძოლი ვაჟკაცების განზოგადებული სახეა კაპიტანი ბუხაიძე. მას საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დაცვისათვის შეუწირავს, სანანებლად ისღა დარჩენია, რომ არა აქვს მეორე სიცოცხლე, რომელსაც იგი ასევე წარბშეუხრელად შესწირავდა თავის სამშობლოს. ასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ასევეს გაიღებდა მამულისათვის. თითქოს პოეტი მის ვაჟკაცურ სულს ესალბუნება, ეალერსება, ესაუბრება და გმირი მოუთხრობს საგმირო საქმეთა მხატვარს: მე საფლავიდან მხრების წამოწევა იმიტომ მსურს, რომ კვლავ ფაშისტ დამპყრობელებს წინ აღვუდგე, მშობლიურ მიწა-წყალს დარაჯად დავუდგეო:

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებთან ვწევარ,

რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ნებისყოფის ასეთი გოლიათური ძალით, სამშობლოსათვის პატრიოტული თავდადების გმირული სულით ცოცხლდება ლექსში ეს მეომარი ჯარისკაცი. ასე იქცევა ეს სახე საბჭოთა ადამიანების გმირობისა და თავდადების ხორცშესხმულ სიმბოლოდ, ასე გახდა იგი სამამულო ომის დღეებშივე ათასი გმირისა და ვაჟკაცობის მისაბაძ მაგალითად. გულში ჩამწვდომი გრძნობით ეღერს სამშობლოსათვის თავშეწირული ვაჟკაცის სიტყვები:

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვეღეტდი სისხლის მსმელებს;
არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს,
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს!

ჭეშმარიტად უკვდავია მამულიათვის თავშეწირულ გმირთა სახელი. ისინი მარად იცოცხლებენ მილიონთა გულში. აი რას გვასწავლის, აი რა გრძნობებს იწვევს ჩვენში ირ. აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე". სწორედ ამიტომ გახდა იგი ყველა პატიოსანი ადამიანის, სამშობლოსათვის მებრძოლი პატრიოტი მეომრის შთამაგონებელი ლექსი. და ამიტომ იყო, რომ ეს ლექსი ჩვენს მკითხველთან ერთად ათევდა ღამეს, მასთან რომ დაიმკვიდრა მუდმივი ადგილი და ბინა, ამიტომ ეხმაურებოდა იგი ასე ახლო ჩვენს ტკივილებს სამამულო ომის მრისხანე დღეებში. ლექსის პოპულარობას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ მისი ინტონაცია სადა და ნათელია. ეს ისეთი სისადავეა, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი ხალხურობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. ამ მაღალმა ხალხურმა პოეტურმა ინტონაციამ განაპირობა ამ

ლექსის დიდი პოპულარობა. ეს ჭეშმარიტად ბედნიერი მიგნება იყო პოეტისა.

პოეტური ინტონაციის მხრივ სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსთა შორის „კაპიტანი ბუხაიძე“ გამონაკლისი როდია. ხალხური ლექსის სილაღე და სინათლე გამოამჟღვნა ირ. აბაშიძემ მეორე ლექსში, რომელსაც პოეტმა უწოდა „დაჭრილის ლექსი“. ჩვენი აზრით, ამ ლექსს უშუალო კავშირი აქვს „კაპიტან ბუხაიძესთან“, ესეც სიუჟეტიანი ლექსია: საბჭოთა მეომარს შემოხვდება სამი მზვერავი შავ-შავი ავტომატებით:

წელზე ეკიდათ ჯალათებს
შავ-შავი ხელყუმბარები,
ეხურათ მუზარადები,
შავი ფოლადის ფარები.
არც მე დავუხვდი შიშველი,
არც მე დავუხვდი ღარიბი.

ერთი სამს შეება, უთანასწორო ბრძოლაში ორი მოკლა, მესამემ კი დასჭრა საბჭოთა მეომარი. მტერი გაექცა. ეხლა დაჭრილი მეომარი ჰოსპიტალში წევს და იმაზე ოცნებობს, მალე განიკურნოს, ისევ თოფ-იარაღი აისხას, იმ გაქცეულს, მესამეს, დაეწიოს და შური იძიოს. მას ჯერ კიდევ მტერი ჩვენს მიწა-წყალზე ეგულება და შურისძიების გრძნობა არ ასვენებს:

ან ანაპასთან იქნება,
ან ტაგანროგთან იქნება,
ან პოლტავასთან იქნება,
ან ლენინგრადთან იქნება, —
გამიშვით, შეეხედე ხელახლა
ცაში, ზღვაში თუ ყამირში...
ან მე, ან იგი მესამე —
წამომაყენეთ, გამიშვით.

ჩვენი სახელოვანი მეომრები უთანასწორო ბრძოლაში იბრძოდნენ, ომობდნენ, თავს არ ზოგავდნენ და ასე აღწევდნენ გამარჯვებას. აი, თუნდაც ლურსმანაშვილის გმირობა... ხუთი ძმა მოუკლეს, შეჰფიცა თავის ძმებს, ომში დახოცილ

მეომრებს, სამაგიერო მიეზღო მტრისთვის და ქართველმა ვაჟკაცმა ფიცი აღასრულა — ხუთჯერ ათი მტრის გვამი დააწყო კავკასიონთან:

თითო ძმას არგო ათ-ათი,
როგორც შეპფიცა პირობა...
იმღერეთ საქართველოში
ლურსმანაშვილის გმირობა.

ირ. აბაშიძე თავისი ლექსებით გვერდში ედგა ჩვენს მეომარ ხალხს, მიჰყვებოდა მის საბრძოლო გზას. და აი, წავიდა ომის ეს უთანასწორო მდგომარეობის დღეები, მტერი უკან იხევდა, საბჭოთა არმია ათავისუფლებდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, კვლავ ფეხზე დგებოდა, კვლავ მტკიცდებოდა განთავისუფლებული ქალაქები და რაიონები („ხარკოვი აღსდგა"). ახლ მისდია მტერს ჩვენმა არმიამ საზღვრებამდე და, აი, იგი მიადგა საზღვარს. გახარებული პოეტი კვლავ მიმართავდა თავის ხალხს:

მიესულვართ, ძმებო, საზღვარი ჩვენი
გმირთაგან დღემდე უცდიდა შველას,
მე უნდა მყავდეს შათირის ცხენი,
რომ გამარჯვება გახაროთ ყველას.

მტერი უკუგდებულ იქნა ჩვენი საზღვრებიდან. ომის ცეცხლი მტრის ტერიტორიაზე გაჩაღდა. პოეტს თავის ხალხთან ერთად ახსოვდა ომის შავი დღეები, აკლებული და აოხრებული სოფლები და იგი ახლა თავის მეომარ მეგობარს თხოვნით მიმართავდა, — შური იძიე ყველა იმ უბედურებისთვის, რაც ჩვენ მტერმა მოგვაყენა („როცა ბრანდენბურგს უახლოვდებით"), არ დაივიწყო მათ მიერ დახოცილი ბავშვები და ქალები. სამშობლოსათვის დაღუპული ყველა ამ ადამიანის სახელი გეძახის, სამაგიერო მიუზღო მტერს, ყოველივე გაიხსენო, როცა ბრანდენბურგს უახლოვდები:

მათ შუბითიძე და ბუხაიძე
მოკლეს ჩრდილოეთ კავკასიაში.
მრავალ ქალაქის მოსპეს ძირფესვი,
დასწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...

ეს გაიხსენე ახლა, ძვირფასო,
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები.

ომმა დიდი მსხვერპლი მოითხოვა. მტერზე გამარჯვება ჩვენს ხალხს იოლად არ დაუჯდა. არა ერთი და ორი ახლობელი და მეგობარი შეეწირა სამშობლოს დაცვას. და, აი, ირ. აბაშიძის ლექსი „ლესელიძის ხსოვნას“ დიდი გულისტკივილით მოგვითხრობს ამ მეომარი კაციის, ამ პატრიოტი ქართველის საბრძოლო სახელოვან გზას და ასევე გულისტკივილით აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში მისი დაღუპვით გამოწვეულ სევდასა და სინანულს.

სამამულო ომის თემაზე ირ. აბაშიძემ შექმნა მეტად მღელვარე და საინტერესო ლექსები. მის შემოქმედებაში თემატურად ყველაზე დიდი ადგილი ამგვარი ხასიათის ლექსებს უჭირავს. მაგრამ აქ მთავარი ლექსების რაოდენობა კი არ არის, არამედ ის დიდი შინაგანი პოეტური ძალა, რომლითაც ავტორმა განსაცდელში ჩავარდნილი ჩვენი ხალხის ვაჟკაცური შემართებისა და საბრძოლო თავდადების ეპიზოდები და სურათები დახატა.

ირ. აბაშიძემ, როგორც საბჭოთა პოეტმა, კარგად შენიშნა, რომ ამ დიდ ომში ჩვენი ხალხის გამარჯვება განაპირობა საბჭოთა ხალხის ძმობამ და მეგობრობამ, საბჭოთა პატრიოტიზმმა.

ძმათა ძახილი არის გაბმული,
დიდი ხალხების ბრძოლის ყიჟინა,
შორს ყაზახეთში უხმობს ჯამბული,
ჰექს დასავლეთში პავლო ტიჩინა.

ასე უმღეროდა პოეტი ერთსულოვნად, ერთხმად ამდგარი საბჭოთა ხალხების ძმობასა და მეგობრობას, მათ ერთიანი თავდადებასა და ბრძოლას ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ჩვენი პოეტი გამარჯვების საწინდარს ხედავდა საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაში, რამაც ორასმილიონიანი საბჭოთა ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად გააერთიანა.

ომი დამთავრდა საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებით. ხალხებს ომის ჭრილობა ჯერ კიდევ არ მოეშუშებინათ, გადამწვარი სოფლები და ქალაქები არ აღედგინათ, დედებს

შავი ლეჩაქი არ მოეხადათ და ომის მომხრეები ისევ იარაღის ჟღარუნს მოჰყვნენ. ამ ფაქტმა ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი აღაშფოთა, მშვიდობის ძალები დაირაზმნენ, ომის გამჩაღებელთა დასათრგუნად შეერთდნენ, და ეს მოძრაობა დიდ საერთაშორისო ძალად იქცა. სწორედ ამ ფაქტს მიუძღვნა ირ. აბაშიძემ თავისი ცნობილი ლექსი „მშვიდობა". აქ ისევ ომის მრისხანე დღეების მოგონებაა, მოგონება იმისა, თუ რა ტანჯვა და ვაება გადახდა მშობლიურ ხალხს, მოგონება ყირიმის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, ლენინგრადის და კავკასიის მისადგომებისა. ამ ისტორიულ ქალაქებს და ომის დღეებს მოაგონებს პოეტი მშვიდობის მტრებსა და ომის გამჩაღებელთ:

მშვიდობა ქვეყნად, მშვიდობა ქვეყნად,
ეს უკვდავ გულის ძახილი არი,
გულის, რომელმაც არ იცის კვეხნა, —
მან მტერზე კარგად იყარა ჯავრი.

პოეტმა აღადგინა ომის სურათები სწორედ იმიტომ, რომ მტერი გააფრთხილოს, ომის მომხრეებს ლაგამი ამოსდოს, თავად კი მშვიდობისათვის, სიკეთისათვის იბრძოლოს და იშრომოს თავის ხალხთან, მშრომელ ხალხთან ერთად. პოეტს ომი არ სურს და ამიტომ უმღერის მშვიდობის ძალას:

დიდება უკვდავ მშვიდობის საქმეს, —
მილიონ გულთან ვგუგუნებთ ერთხმად,
მშვიდობა კერებს, მშვიდობა ხალხებს,
მშვიდობა ქვეყნად, მშვიდობა ქვეყნად!

მაგრამ ეს პაციფისტური ხასიათის მშვიდობის მომხრეობა და ომის საწინააღმდეგო ძახილი როდია. არა, პოეტს ესმის და სჯერა, რომ ჩვენი ძალები უძლეველია, და თუ საჭირო გახდება, ის კვლავ საკადრის პასუხს გასცემს მტერს, ლენინგრადისა და სტალინგრადის გმირები კვლავ დაიცავენ ჩვენს მამულს, გმირი საბჭოთა ხალხის ძალები აურაცხელია, ამისდა მიუხედავად, ჩვენს ხალხს მაინც არ სურს ომი იმიტომ, რომ ის მშვიდობიანი მშენებლობის, მშვიდობიანი შეჯიბრების მომხრეა. საბჭოთა ადამიანები სასწაულებს ახდე-

ნენ, ყამირ მიწებს იპყრობენ, ახალ ფაბრიკა-ქარხნებს აშენებენ, ახალ ჰიდროელსადგურებს ქმნიან,—მშენებლობის დიდი პათოსით სუნთქავს ჩვენი ქვეყანა... პოეტი უმღერის ამ ძარღვმაგარ მშრომელ ადამიანებს. აი მათი საარაკო მამაცობის ერთი ნიმუში. გეოგრაფიულად სხვადასხვა ადგილას. ცალკე ზღუდეებით შემოფარგლული ზღვები შეერთდნენ. შეერთდნენ მშვიდობის მცველად:

შეერთდნენ ზღვები მშვიდობის მცველად,
ერთ დიდ ოჯახში შეერთდნენ ზღვები,
კასპიის ტალღა თეთრ ზღვაში ღელავს
შავ ზღვაში ისმის ბალტიის ხმები.

ირ. აბაშიძე ჩვენი ხალხის ამ დიდი პათოსით ცხოვრობს. პოეტი ახლაც, ამ მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც, გვერდში უდგას თავის ხალხს და უმღერის ამ ზღაპრულ ქვეყანას.

* * *

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ირ. აბაშიძის შემოქმედებითმა ნიჭმა უფრო მძლავრად გაშალა ფრთები, უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა მისი სულიერი სამყარო, გამდიდრდა მისი მხატვრული პალიტრა პოეტური ფერებითა და საღებავებით. ამაზე მეტყველებს ლექსების ახალი ციკლები, რომლებიც მან სამამულო ომის მომდევნო წლებში გამოაქვეყნა, ესენია: „ჰყვავის გურია“ და „სიმღერა მკის დროს“

აქ ორიგინალურად და საინტერესოდ არის დახატული მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სურათები, რომელთაც დიდი უშუალობის, გულწრფელობისა და ბუნებრიობის ბეჭედი აზის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლექსების ციკლი „სიმღერა მკის დროს“. ამ ციკლის ყოველი ლექსი დამახასიათებელ კონკრეტულ დეტალზეა აგებული, შემდეგ ეს დეტალი განზოგადებულია ერთ მხატვრულ სურათად, რომლის ნახატში ვრცლად არის წარმოდგენილი ჩვენი დიდი და მრავალფეროვანი სამშობლოს მშვიდობიანი შრომის პათოსი. აქ

რომელიმე ცალკე აღებული ლექსი როდია მარტო ერთი კუთხის, ერთი კოლმეურნეობის, ერთი სოფლის ცხოვრების, ერთი ადამიანის შრომის რომანტიკის გამომხატველი, არამედ მასში განზოგადებულად და რომანტიკულად ისახება ჩვენი სამშობლოს შემოქმედებითი შრომის დიდი და მართალი საქმე. ასეთ განზოგადებას აღწევს პოეტი, როდესაც ბახტრიონთან კომბაინის მუშაობას აღწერს თუ ძველი ისტორიული გრემის შრომითს სურათს გვიხატავს.

შრომა და მშვიდობა — მშვიდობა და შრომა, ეს ამოძრავებს ყოველ მშრომელ კაცს, ამ გრძნობით, ამ განწყობილებით ცხოვრობს ყოველი საბჭოთა ადამიანი. ეს აზრი კარგად არის გამოხატული ლექსში „მშვიდობა ჯუგაანში“:

როგორ ერთპირად და დაწყობილად
სუნთქავს ეს ორი ბედნიერება...
დასტურ მშვიდობის ნიჟი ყოფილა
სილამაზე და მშვენიერება.

ეს ციკლი იხსნება საინტერესოდ დაწერილი და მოფიქრებული ლექსით „სიმღერა ჭირნახულისა“. ქართული სიტყვა „ჭირნახული“ აქ ლექსში გათამაშებულია პოეტურად. პოეტი ამბობს, რომ, ალბათ, ეს სიტყვა მაშინ გაჩნდა ქართული ენის ლექსიკონში, როდესაც ქართველ კაცს ერთ ხელში ხმალი ეჭირა, ხოლო მეორე ხელი გუთნის ტარზე ჰქონდა ჩავლებული, ხნავდა, თესავდა და იქვე თოფი ჰქონდა მიყუდებული, — სისხლით, ომით იცავდა თავის შრომას, ჭირსა და ვარამში, ტანჯვასა და წვალებაში ლევდა თავისი ცხოვრების მძიმე დღეებს. ასე იყო ძველად. სიტყვა ჭირნახული — მოსავლის სინონიმად იმდროინდელი უნდა იყოსო. მაგრამ შავბნელი დრო სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, სიტყვა კი, შავბედობის გამომხატველი, დარჩა ჩვენს ლექსიკონში:

მაგრამ გათავდა, შენმა მთესველმა
იმ შავბედობის წიგნი დახურა,
ნუღარ ითვლები შენც ჭირნახულად,
ოქრო დაისხეს შენმა ფესვებმა.
ყველა გრიგალებს, ყველა ქარაშოტს,
აცდი, აშორდი შავბედითობას,

ლაღად იხარე, დღეს შენს მშვიდობას
შენთა გმირშვილთა თვალი დარაჯობს.

ახალმა დრომ უცვალა ფერი ჩვენს სოფელსაც, ადამიანის ღირსების საქმედ იქცა შრომა, რომელიც ალამაზებს, აკეთილშობილებს მას, ადამიანი შრომის დიდი რომანტიკით ცხოვრობს ამ მიწაზე და, ვისაც ეს არ უგრძვნია, ვისაც ეს არ განუცდია, მას არც ესმის ცხოვრების ნამდვილი ფასი:

მშვენიერება ნუ გწამს სხვაგვარი,
ნუ გწამს არსება სხვა სილამაზის,
ნახე შრომაში ჩვენი მთა-ბარი,
მკაში იხილე ველი ალაზნის.
ნახე გლეხკაცი დამკვიდრებული,
მოსულ ყანაში მხნედ რომ გაივლის,
დადექ, ისმინე ხმა დიდებული
ტკბილ-საამური ხმა კომბაინის.

პოეტი მოხიბლულია შრომის ამ დიდი რომანტიკით და მას იგი დიდებულ ჰიმნს უთხზავს. მან იცის, რომ სოფლის, ქვეყნის მშვენება, მისი სილამაზე და ეშხი ახალი ადამიანია. ყველა ეს მშრომელი ადამიანი პატიოსანი და კეთილშობილია. პოეტი ლექსების ზემოხსენებულ ციკლში ვრცლად გვიხატავს მოწინავე მშრომელი ადამიანების სახეებსა და მათ ხასიათებს.

მაგალითად, გიო, იყალთოელი გლეხკაცი, რომელსაც არ დაჰკლებია ციმბირი და გადასახლება, — ახლა ღრმად მოხუცებული, მაინც არ იტეხს იხტიბარს, ახალგაზრდებთან ერთად იბრძვის და შრომობს. მას სურს, რომ ამ შრომის რომანტიკაში კიდევ უმზიროს მზეს დიდებულს, ამ ქვეყანას მშვენიერს:

მაინც პატარა ყოფილა
ასი წლის წუთისოფელი...

ამ ვაჟკაცს, სოფლის ამ თვალისჩინს არც კომბაინერი გლეხი ჩამორჩება. კეფაზე თუშური ქუდით, ფეხზე გლეხკაცის წაღებით, ტანზე მუშური ხალათით ახლა იგი კომბაინს მართავს და არ უმტყუნებს იმედებს ამხანაგებსა და მეგობ-

რებს, ალაზნის ველზე გუგუნებს მისი დაუღალავი მანქანა და გლეხკაცი კომბაინერი საჭესთან ძველებურ ურმულს ღიღინებს. ასე შრომობენ, ასე იბრძივან, ასე ცხოვრობენ ეს შესანიშნავი ვაჟკაცები, ეს პატიოსანი მშრომელები. და ამ ფონზე პოეტი ხაზს უსვამს, თუ როგორ შეუმსუბუქა მანქანამ ჩვენს ადამიანებს შემოქმედებითი საქმიანობა. სულ სხვა იყო გუშინ ჩვენი ცხოვრება. „მამულის ბჭე იყო მკაცრი ფახვილი და მჭრელი გუთანი". ახალმა ცხოვრებამ სახე უცვალა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ახალ ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული ამ ცხოვრების უპირატესობა ძველთან შედარებით. ამიტომ მათ შეუძლიათ თქვან: ჩავძახოთ, გმირნო, ვინც წინათ გრემთან რომ დაწყდით, ქუდზე რომ ერთი არ დაგრჩათ კაცი, თქვენ, პურის მკელნო, სესევ და ღვთისავ, ისე წახვედით ამ ქვეყნიდან, რომ სიამე და ბედნიერება არ გინახავთ... მშვიდი გუთანი, მშვიდი სახნისი, რომელიც წინათ მამულს უწევდა ხმლობასაც და მშვილდობასაც, ახლა ბუმბერაზმა რკინის გოლიათმა — კომბაინმა შეცვალა:

შენ, ბუმბერაზო, დაუსვენარო,
შენ, გოლიათო, მარცვლის მკრეფელო,
შენ, გულმართალო, შენ უწყინარო,
მინდვრის ბარაქის დამსახლებელო...

ასე უმღერის პოეტი ბახტრიონთან, სადღაც ჭალაში შრომისა და მშვიდობის ერთგულ დარაჯად დამდგარ კომბაინს, ალაზნის ველის თვალისმომჭრელი სილამაზის ფონზე პოეტი ხატავს გაჩაღებული შემოქმედებითი შრომის დასამახსოვრებელ სურათებს და ამ ვითარებაში იგი არ ივიწყებს, რომ ოკეანის გაღმა მსოფლიოს მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ ერთ მუჭა იმპერიალისტურ ხროვას გადაუწყვეტია, კვლავ გააჩაღოს ომის ხანძარი. ეს აზრი ორიგინალურად აქვს გამოხატული პოეტს ცნობილ ლექსში „ღია წერილი ამერიკელ მწერალს". პოეტი იგონებს ომამდელ გაზაფხულს, საქართველოში 1941 წლის გაზაფხულს. საქართველოში მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული, ომზე არავინ ფიქრობდა. ამ ვითარებაში ჩამოვიდა ამერიკელი მწერალი. მან, ქართველ პოეტთან ერთად, მთელი საქართველო

შემოიარა. ესტუმრა ალაზნის ველსაც. სტუმარი განაცვიფრა გომბორის მთების, ალაზნის ველის. კახეთის ბაღ-ვენახების სილამაზემ და ეშხმა. და მწერალიც თითქოს ხარობდა ჩვენი სამშობლოს სიმშვენიერით, ძმობასა და მეგობრობას უდასტურებდა ჩვენს ქვეყანას... დაიწყო ომის მძაფრი დღეები. საშინელ ომში ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა და ახლა პოეტს ჰგონია მისი „ძველი მეგობარი" აღმოჩნდება მშიდობისა და დემოკრატიის ბანაკში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა:

შენ კი, შენ ჩემთან
აქ მშვიდობის მხეს იფიცებდი,
მეც ვიფიცებდი,
ჩემს საფიცარს არ გიმალავდი
და არ მეგონა,
რომ მშვიდობას არ დაიცავდი,
მშვიდობისადმი
არ მჯეროდა შენგან ღალატი.

ფულნატკენი პოეტი განაგრძობს:

ნუთუ ის შენი აღტაცება და შთაგონება
იყო ნიღაბი, თქვენებური, დაბალკაცური!

ასე საინტერესოდ გვიხატავს პოეტი ოკეანის მიღმა მცხოვრები ინტელიგენტის ფილისტერულ სახეს და უპირისპირებს მას საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ერთგული ძმების, ხალხის ნამდვილი შვილების. მოწინავე ინტელიგენციის გულწრფელ მოქმედებას. მაინც პოეტი არ კარგავს საბოლოოდ იმედს და სურს ნახოს მისი მეგობარი იქ,

სადაც დგანან ძმობის დარაჯნი,
ჩვენი ნერუდა, გილიენი და გონსალესი.

ეს ლექსი პოლიტიკური პამფლეტის საინტერესო ნიმუშია. აქ პოლიტიკური სიმძაფრით, ჭახვილი პოეტური თვალით დანახულია და გამოხატული ომისა და მშვიდობის კონტრასტული სურათი, ყველა ორპირისა და ორგულის მოქმედების განზოგადებული სახე.

* * *

ირ. აბაშიძემ თავისებური ინტონაცია შეიტანა ქართული ჰწერლობის ისეთ მარადიულ და ძველთაძველ თემატიკაში, როგორიცაა პატრიოტიზმის თემა. აქაც მონახა მან თავისებური კუთხე, თავისებური მიდგომა, ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის მიერ არა ერთგზის გაცოცხლებული და გამოხატული შესანიშნავ განცდებსა და განწყობილებებში. ამ ორიგინალური მიდგომისა და თავისებური ინტონაციის გამომხატველ ერთ-ერთ ნაწარმოებად ჩვენ მიგვაჩნია ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე", დაწერილი სამამულო ომის წლებში, ხოლო ამავე პატრიოტული ინტონაციის გაძლიერება და განვითარება მოცემულია ლექსების ციკლში „ჰყვავის გურია".

ზემოხსენებული ციკლი პოეტმა საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს — გურიას მიუძღვნა. ირ. აბაშიძემ ომის შემდეგ შემოიარა მთელი გურია, ახალი სოციალისტური შრომის პათოსში გაეცნო მის მოწინავე ადამიანებს, მის შესანიშნავ ბუნებას და ყოველივე მის მიერ განცდილი გამოხატა არა იზოლირებულად, არამედ ერთიანი საქართველოს, ჩვენი მთლიანი და განუყოფელი სამშობლოს განზოგადებული, წარმტაცი მხატვრული სურათის ფონზე. ეს ლექსები თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, ისინი წარმოადგენენ გრძელ მონოლოგს, წარმოთქმულს ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. მათ საბჭოთა საქართველოს განუყოფელობის, ერთიანობის ფიქრი და აზრი უდევს საფუძვლად. ყველაფერი ეს გამოხატულია არა დეკლარაციულად, არა მშრალი განცხადებებით, არამედ უაღრესად ინდივიდუალური პოეტური საღებავების გამოძებნით. აქ ისეა მოქსოვილი ვრცელი მხატვრული სურათი, რომ ყოველ ცალკეულ ნაქსოვში აქცენტირებულია, მონახულია საქართველოს თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელი პოეტური ფერები. ასევე მოძებნილია ამ ცალკეული დეტალების გამაერთიანებელი ეროვნული თვისება და ხასიათი. პოეტს სურს საქართველოს ყოველ მხარეს თავისი ღირსების, თავისი ადგილის შესაფერისი სადიდებელი სიტყვა უთხრას, მოეალერსოს, არც ერთს არ დააკლოს სიყვარული და პატივისცემა და მთელ ამ სიდიადეში ნათლად დაინახოს ახალი დროის, საბჭოთა საქარ-

თველოს სუნთქვა, ბორკილახსნილი შრომის დიდება და ამით ზუსტად აღბეჭდოს კვალი ჩვენი ეპოქისა.

ნახე, გახედე. მიწა ქართული
აყვავებულა წარმტაც იერით,
რქაჩაგრეხილი და ჩახლართული
ლურჯად ელავენ პლანტაციები.
მიყვარს მამული ამაღლებული,
შრომით, გმირობით, შემოქმედებით,
მიყვარს მამული განახლებული,
ამღერებული მისი ქედები.

ირ. აბაშიძე ყველგან პოულობს აღორძინების, განახლების გამომხატველ განწყობილებას და აზრს, საქართველოს ყოველ კუთხეში ნახულობს ჩვენი ცხოვრების ბარაქასა და დოვლათს. მაგრამ, როგორც ვთქვით, აღორძინების ეს სურათი გამოხატულია არა დეკლარაციულად, არამედ დიდი პოეტური ინტიმითა და ლირიკული ინტონაციით:

მიყვარს გზის პირას ალვის ჩრდილები,
ფილის ნიავით გაცოცხლებული,
მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები
მგზავრის სამზერად აცოცებული.
მიყვარს მამული, მიყვარს მამული,
ცამდე გაზრდილი, ამაღლებული.
რა სიცოცხლეა, რა საამური,
მისი მთა-ბარი განახლებული!

ასე რომანტიკულად და განზრგადებულად აცოცხლებს პოეტი საქართველოს ცალკეულ მხარეთა სურათს, და შემდეგ საკუთარ ფიქრებსა და განცდებს, ფერების ცალკეულ სიმფონიას ერთმანეთთან აჯიბრებს. პოეტს თითქოს ვერ გადაუწყვეტია, რომელს მისცეს უპირატესობა — ტკბილ იმერეთს, გეგუთს, ვარციხეს, ალისუბანს, ოქროს ბავშვობის სიზმრებს, სიმღერებს თუ — ოდიშს-ზუგდიდს, სალხინოს, რუხს, ნაქალაქევს, რაჭა-ლეჩხუმს, აფხაზეთს, კახეთს, ზვრების ქვეყანას, კახეთს დიდებულს, დიდი ალაზნის ცვრიან ბაღნარებს თუ ლამაზ გურიას. მთელი ეს პოეტური პაექრობა, თავისთავად გამართული, მთავრდება ერთიანი პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი ჰარმონიული აკორდით:

რომელ ერთს ვუთხრა: შენ მემეტები,
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
ყველა ტრამალი, მთები, ქედები
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა;
ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ხორცია, ჩვენი გულია...
და ნუ გაოცებს, თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი, აქეთ გურია.

ასე გამოხატა ირ. აბაშიძემ ერთიანი და მთლიანი საქართველოს განუყოფელობის აზრი და იდეა. და მაინც ირ. აბაშიძემ ლექსების ამ ციკლში ყველაზე მეტი ადგილი გურიას დაუთმო, უფრო სწორად, ლექსების ეს ციკლი ამ შესანიშნავ მხარეს მიუძღვნა, რომელმაც პირველად აღმართა წითელი დროშა, პირველად აქ გაისმა მებრძოლი რევოლუციური რაზმის ხმა, ამ კუთხესთანაა დაკავშირებული ჩვენი ახლო წარსულის რომანტიკული წარმოდგენები და განწყობილებები. ასეთია, კერძოდ, რევოლუციური საქართველოს ისტორიაში გახმაურებული ნასაკირალი:

ნასაკირალი, მთასამყვირალი,
ეულკანი, ახლა დამშეიდებული...
ნასაკირალი, ნასაკირალი,
მონობის ტახტთან დაჩიდებული.

პოეტი ვრცლად გვამცნობს ცხრაასხუთელთა გმირობას, ჩვენს მოგონებაში აცოცხლებს რევოლუციური წარსულის რომანტიკას. ამას მოსდევს სურათი თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩამდგარი ახალი ნასაკირალისა:

დგანან შრომაში, ველში, სანგრებში,
დგანან, არ ახსოვთ ფერიც ხუნდისა,
და ახალ ხმებში, ახალ ჰანგებში
ისმის სიმღერა ცხრაასხუთისა.

ნასაკირალს, ნაამბოხარს,
ნაყუმბარებს, ნაიარევს
აღარც ახსოვს ძველი ოხვრა,
იმ ღრუბლებმა ჩაიარეს.

აღდგა, აღორძინდა, ახალი ცხოვრების ეშხითა და ხილამა-

ზით დამშვენდა ისედაც ლამაზი გურია, ციტრუსებითა და ჩაის პლანტაციებით მოიფინა მინდორ-ველი. ყველგან შრომის ფერხულია გამართული და გურული კრიმანჭული გაისმის, „მზე დასდგომია დღისით მთა-გორებს, ღამით ციალებს ცაში მთიები", გაქრა ძველი სევდა და იარა, ასე საქვეყნოდ აღიარებული ამ კუთხის სახელოვანი შვილის ნინოშვილის მიერ. ახლა აღარ არიან არც ძალაძეები, არც უიშვილები. ცხოვრებას თავისუფალი და ბედნიერი ადამიანები განაგებენ. პოეტი ძველ იარას, ნინოშვილის სახელთან დაკავშირებულს, ისევ გვახსენებს:

აგერ ჩანჩეთი, აგერ ჩანჩეთი,
შენი ტანჯული დედულ-მამული...
მე კოლმეურნის სახლთან გავჩერდი,
იფერფლებოდა ცა საღამური.

ახალმა ცხოვრებამ, ახალმა დრომ საქართველოს ეს კუთხე, გურია, ისევე როგორც მთელი საქართველო, ცხოვრების დიდ შარაგზაზე გამოიყვანა. ახლა გურია, დიდი რომანტიკით შთაგონებული და აღგზნებული, უკრაინას ეჯიბრება, მასთან ერთად შრომობს და იბრძვის, მასთან ერთად ქმნის ახალ ცხოვრებას, დიდებულ ხვალინდელ საქართველოს. პოეტი აღფრთოვანებული შრომის ზეიმით, აღტაცებით უმღერის განახლებული ბედნიერი ქვეყნის ერთ-ერთ მხარეს და გულში ჩურჩულით იმეორებს: სასწაულია, სასწაულია... მთელი ეს ამაღლებული და განზოგადებული ნახატი ასე მთავრდება:

დიდება მამულს, მხნესა და მამაცს,
სამშობლო ქვეყნის აღორძინებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ირ. აბაშიძის ლირიკული ლექსების წიგნი „მონადირის ღამეები". ეს არის მოგონება ომის სურათებისა, სამამულო ომის წლების მღელვარე დღეებისა, მოგონება ომგადახდილი რიგითი ადამიანებისა, რომლებიც ახლა შემოქმედებითს შრომას ეწევიან. აგერ ინგილოებს ნადირობის შემდეგ ცეცხლის კოცონი დაუნთიათ და, გარშემო მსხდომნი უსმენენ ომგადახდილ ლაზარეს. იგი ჰყვება ომის

მძვინვარე დღეების ამბავს: ხელისგულივით ვიცი პრუსია, ვით ზაქათალა და ბელაქანი, მე კენისბერგზე ვყრიდი ყუმბარებს, მე გავიარე ფეხით შტეტინი, მე გადავცურე მისი ოდერი და ის, რაც მე გამივლია და განმიცდია, სიზმრად თუ ნახავდაო ჩემი წინაპრები, მამა-პაპა... შემდეგ პოეტი გვაცნობს მასწავლებელს, რომელიც სოფელ კახში ინგილო ბავშვებს დედაენას ასწავლის. საინგილო საქართველოს ერთი უძველესი კუთხეა. მწერალი მათს ცხოვრებას, მათს ყოფას განსაკუთრებული ინტიმით აღწერს. ამას მოსდევს ჩვენი წინაპრების მოგონება: ვთქვათ სადღეგრძელო ჩვენი ხალხის და საქართველოს მარადისობის,

ვინც წმინდად მისცა მამულს ხარაჯა
და წევს საფნიან გლეხურ ტილოში,
ვინაც სამცხეში გვედგა დარაჯად
და მეციხოვნედ საინგილოში...

ირ. აბაშიძის შემოქმედებაში, საზოგადოდ, დიდი ადგილი უჭირავს ისტორიულ თემას. ჩვენი ხალხის გმირული თავგადასავლის გაცოცხლება, მისი ვაჟკაცური შემართების ამბის მოთხრობა პოეტს ორიგინალურად აქვს დაკავშირებული დღევანდელ საქართველოსთან. ირ. აბაშიძემ თანმიმდევრულად გააგრძელა პატრიოტული ლირიკის გზა, გაცოცხლებული საბჭოთა პოეტის წარმოდგენითა და გაგებით. პოეტი გვიხატავს სამშობლოს დასაცავად წინაპრების შეუპოვარი ბრძოლის სურათებს, ჩვენს ცნობიერებაში აღადგენს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ვაჟკაცური შემართების ეპიზოდებს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „სამი ციხე“.

მურის ძველ ხიდთან სამი ციხეა: „დაუხვდი“, „დაჰკარ“ და „არ გაუშვა“. ეს სახელები პოეტს მოაგონებს, თუ როგორ ხვდებოდნენ ჩვენი წინაპრები მომხვდურ მტერს:

როცა მძლავრობდა მტერი გულშავი,
ციხე — „დაჰკარის“ მხრების დრეკაში,
„არ გაუშვაო“, „არ გაუშვაო“ —
მტრის წინ დგებოდა ციხე ბერკაცი.

ამ დეტალს პოეტი სიმბოლურად უკავშირებს ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის პატრიოტული თავდადების ეპიზოდს. ეს სამი ციხე გმირული წარსულის ისტორიული ნაშთია, რომელიც მეტყველად მოგვითხრობს, თუ რა თავდადებითა და ვაჟკაცური შემართებით იცავდა ქართველი კაცი თავის მამულს, თავის სამშობლოს:

ყური მიუგდე: როგორ გადურჩა
მტრის ხმალს ქვეყანა ცრემლდანამული...
„დაპკარ", „დაუხვდი" და „არ გაუშვა" —
აი, რა არის ჩვენი მამული.

ჩვენი წარსული — მისი მწარეცა და ტკბილიც — პოეტს მოუთხრობს ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ხალხის, სამშობლოს დამცველი ხალხის ვაჟკაცობის ამბავს. აი, პოეტს ძველ კოლხეთში, ფოთთან ახლოს, ძველი საქართველოს ნაშთი უნახავს, ნაშთი გარდასული დიდებისა, წარსული კულტურის სიდიადის გამომხატველი:

ნახეს კოლხეთში წელს რომელიღაც
გმირის თუ თვითონ მეფის ფარ-ხმალი.

მარამ ეს განძი არ არის პოეტისათვის გულის მოოხებისა თუ სევდის მომგვრელი. ირ. აბაშიძე წარსულში გადასახლებული რომანტიკოსი პოეტი როდია, რომელიც არაფერს ხედავს აწმყოსა და მომავალში სანუგეშებელს ან წარსულთან შესადარს. არა, პოეტი კარგად იცნობს გარდასული ცხოვრების ტრაგიკულ ფურცლებს, ძველი ცხოვრების ტკივილებს, რომლებიც ახალმა დრომ მოაშუშა და განკურნა. ამიტომ იგი წარსულისა და აწმყოს კონსტრასტული სურათების გამოხატვის დროს ყოველთვის აწმყოს, ახალი საბჭოთა საქართველოს მადიდებელია. და აი, იმავე კოლხიდის ძველი საგანძურის მოგონებას ასეთი განწყობილება ცვლის.

მაგრამ ძველ განძზე მეტად მახარებს
მაინც კოლხეთი ახალ განძების,
მისი ბაღჩები, ტყე ტანმაღალი,
მისი ყიყინა ახალგაზრდების.

ირ. აბაშიძემ კარგად იცის, რომ ძველი დრო, — როდესაც ერთი მუჭა ქართველი ხალხი უთანასწორო ბრძოლაში იცავ-

და თავის ქვეყანას, თავის მამულს, — სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხი დაუძმობილდა დიდ რუს ხალხს, მას შემდეგ, რაც საქართველო დიდი საბჭოეთის კავშირში შევიდა. ირ. აბაშიძე გვიხატავს ახალ საქართველოს, როგორც დიდი საბჭოთა ქვეყნის ერთიანი ოჯახის წევრს. მისი დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლება განუყოფელად დაკავშირებულია ჩვენი მოძმე ერების ერთიანობასა და მთლიანობასთან. პოეტი ამბობს, რომ აღსრულდა, განხორციელდა ოცნება ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა, რომლებიც მოგვიწოდებდნენ, გვეძახდნენ ხალხთა ძმობისა და მეგობრობისაკენ:

ამას გვიხმობდა ჩვენი რუსთველი,
ჩვენი ნავოი, ჩვენი ფიზული,
გაუტეხელი სიტყვით გულწრფელით
ვართ საუკუნოდ ძმადშეფიცული.

ჩვენი დღევანდელი სამშობლოს სიმტკიცის ფუძეთაფუძე საბჭოთა ხალხების მეგობრობაა და, სანამ არსებობს ეს ძმობა და მეგობრობა, ჩვენი ქვეყანა მტკიცე და შეუვალი იქნება.

ირ. აბაშიძე თავისი პოეტური გრძნობებითა და განწყობილებებით, თავისი მომხიბვლელი ადამიანური ბუნებით უაღრესად ინტერნაციონალური ინსტინქტების პოეტია. მან კარგად იცის, რომ ნამდვილი ჭეშმარიტი ბუნების ადამიანს დიდი გული, დიდი ფრთები უნდა ჰქონდეს, რათა სხვა ხალხის ბედითაც იყოს დაინტერესებული. ირ. აბაშიძემ ეს განწყობილება გამოხატა ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსში: „ბარათი ესპანეთის მებრძოლთ“. ჩვენი თავისუფალი საბჭოთა ხალხი მზად არის თანაგრძნობის ხელი გაუწოდოსო, — ამბობს პოეტი, — ესპანეთის მშრომელებს, რომლებიც აღდგნენ ესპანელი ხალხის მჩაგვრელებისა და მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. უფრო გვიან, 1956 წელს, დოლორეს იბარურისადმი მიძღვნილ ლექსში ირ. აბაშიძე კვლავ გამოეხმაურა ესპანელ ხალხს და მის საბრძოლო რევოლუციურ ტრადიციებს. ეს განწყობილება შესანიშნავად გამოხატა პოეტმა ესპანელი რევოლუციონერი ქალის დოლორეს იბარურის სახესა და ხასიათში.

ჩვენი მოძმეების შრომა და გარჯა, მათი აღორძინებული ქალაქები და რაიონები ისევე ახარებს პოეტის გულს, როგორც საბჭოთა საქართველოს ბედნიერება და დღეგრძელობა. პოეტი ნატრობს: ნეტავ უეცრად ამ მკის გუგუნში ალაზანიდან გადამახედა ვოლგის მხარეში და მისთვისაც მათქმევინა სიმღერა ისევე, როგორც მე ვუმღერი ახლა ალაზნის ველზე ჩემს თანამემამულეთა შრომას. პოეტის წარმოსახვაში ჩანს ვოლგა:

მე ალაზნიდან ვოლგას გავყურებ,
გმირებს ზღაპრულებს, გმირებს პირველებს.
მე აქ ვუმღერი იმ დიდ სადგურებს,
რომ ხმა შევუწყო ვოლგისპირელებს.

ეს გრძნობა და განწყობილება, რომ ერთმანეთს ხმა შეეუწყოთ, გვერდში ამოვუდგეთ თანამოძმეებს, ვაშენოთ ქვეყანა — ძმობისა და მეგობრობის ძლევამოსილ იდეაზე დაფუძნებული—ირ. აბაშიძის ლექსებისათვის დამახასიათებელია. პოეტს ახარებს, რომ საბჭოთა კავშირი ხელს უწვდის შიმშილით დაუძლურებულ „ფენჯაბელ გლეხკაცებს", რომ ალაზნისა და ვოლგისპირეთის პურის მოსავალი საბჭოთა გვეშებს მიაქვთ ინდოეთის დამშეულ მშრომელთა დასახმარებლად. ეს გაუმარჯოსო, ამბობს პოეტი, ინდოელ გლეხკაცს, რომელთანაც ჩვენ პური გაგვიტეხია... ინტერნაციონალური გრძნობების გამომხატველ ამ საღეგრძელოს ასეთი აზრი ერთვის:

ყველა ტანჯულის ჩვენა ვართ მოძმე,
ყველა ჩაგრულის ჩვენ გვიცქერს თვალი.

საზოგადოდ, ირ. აბაშიძის პოეზიაში ინდოეთის მშრომელი ხალხის სიყვარულის მოტივი განსაკუთრებული ინტიმით არის წარმოდგენილი. ეს გარემოება იმითაც აიხსნება, რომ მან იმოგზაურა ამ დიდ და ვრცელ ქვეყანაში. პოეტი მოხიბლა ინდოეთის ტრამალების ხილვამ და მისმა მარად აყვავებულმა ბუნებამ. მისთვის ამ თბილი ქვეყნის ცაც ნაცნობია და ბარიც, განსაკუთრებით ახლობელია მერცხლები და ამ ლირიკულ გადახვევაში პოეტი ცდილობს დაგვაახლოვოს ამ

სამყაროსთან ბუნების იდილიური და ინტიმური სურათის ნახატით.

ამ ზღაპრულ ქვეყნის, ამ საოცრების
მე ვერ ავხსენი ერთი მეცხრედიც,
მხოლოდ მესმოდა ენა ფრთოსნების,
ჩვენი მერცხლების, ჩვენი მერცხლების!

პოეტი მერცხლების ჭიკჭიკში თავისი მამულის გამოძახილს ხედავდა, თავისი სამშობლოს ქვეყნის სითბოს გრძნობდა:

შორს, შორს გაგაფრენს მხარე განგესის,
ხან საოცრების, ხან უმეცრების.
მაგრამ მამულის ყველგან ხმა გესმის,
ჩვენი მერცხლების, ჩვენი მერცხლების!

პოეტი აღმოსავლეთში, ინდოეთში თუ ჩინეთში, ყველგან ამაყად დადის, როგორც თავისუფალი, ახლად აღორძინებული საბჭოთა საქართველოდან წარგზავნილი დესპანი. აღმოსავლეთი, ეს ზღაპრული ქვეყანა, ბავშვობიდანვე იტაცებდა პოეტს, მაგრამ მას ყველაზე უფრო დაამახსოვრდა აღმოსავლეთის მებრძოლთა სახეები, მის ხსოვნაში ღრმად აღიბეჭდა იმათი სახელები, რომლებიც საკნებს ანგრევდნენ, ხუნდებს ამსხვრევდნენ.

განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „აღმოსავლეთის პოეტებს". ამ მიმართვაში, ამ თავისებურ პოეტურ მანიფესტში იგი ეძებს იმ საერთოს, რომელიც ერთმანეთთან აახლოებს მრავალ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს. ეს ერთი ენა მშვიდობის ენაა, დემოკრატიის, თავისუფლების ენაა. და პოეტიც გულწრფელად აცხადებს:

ასი კი არა, ერთი ენა გვაქვს,
ენა მშვიდობის, ენა მშვიდობის...
ასი კი არა, ერთი ენა გვაქვს,
ენა ჭირნახულ თავისუფლების!

ირ. აბაშიძემ ბევრი იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, ბევრი რამ ნახა, რამაც გაუფართოვა პოეტს მხატვრულ წარმოდგენათა სამყარო, უფრო მრავალფეროვანი გახადა მისი პალიტრა, უფრო გამდიდრდა ფერებითა და საღებავებით მისი ლირიკა. მაგრამ ყველგან, სადაც არ უნდა იყოს იგი, თვალწინ თავისი სამშობლო, თავისი ქვეყანა უდგას. განგის ნაპირზე დგას იგი თუ ნიუ-იორკის ცათამბჯენებს შესცქერის, პარიზის ქუჩებში დადის თუ პეკინის მოედანზე დგას, ყველგან თვალწინ საქართველო უდგას. იგი გულთბილად აცხადებს, „მე თვალწინ მედგა სულ საქართველო", სადაც არ უნდა მოხვდესო ქართველი, — ამბობს პოეტი, — და რაგინდ საუცხოო ქვეყანა ნახოს, მას არ ავიწყდება თავისი სამშობლო, თავისი მამული. ყველაფერს, ნანახსა და გაგონილს, იგი თავის ქვეყანას ადარებს. აი, პოეტი მოხვდა ინდოეთში. კაცმა რომ თქვას, ამ ქვეყანას არაფერი აქვს დასაწუნი, — აქ ცაც მშვენიერია და ბარიც, — მაგრამ პირველი და უმთავრესი ასოციაცია, რომელიც ებადება მას, ეს არის საქართველო, და იგი თითქოს მეგობრულად ეკამათება თავის ფიქრებს; როცა ინდოეთის სილამაზეს აღწერს:

რის დაწუნება, რა დაწუნება,
ისიც შენ ვარად არის ზღაპარი,
მაგრამ შენ არ ხარ მარტო ბუნება,
მაგრამ შენ არ ხარ მარტო მთა-ბარი.

გულწრფელად ნათქვამი სტრიქონებია!

პოეტი არ მალავს, რომ ამ ქვეყანას, მის ველებს, მის ტრამალებს არაფერი აქვს დასაწუნი:

ცხელ ინდოეთის ვიყავ სტუმარი,
სულით შევეწყვე, გულით გავენდე,
მიწას არ ჰქონდა რამ საწუნარი,
ოკეანედან ოკეანემდე.

მაგრამ მაინც სხვაა საქართველო. პატრიოტი პოეტი ასეთი შეძახილით მიმართავს თავის სამშობლოს:

სუნოქვა ხარ, სუნოქვა,
გულისფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ, შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულისოდენა!

პოეტს უყვარს თავისი პატარა, მაგრამ თავისუფალი და ბედნიერი სამშობლო, და ეს სიყვარული როდი უპირისპირდება სხვა ქვეყნების სიყვარულს. ირ. აბაშიძე არა მარტო ინდოელებს ეკამათება თავისი ქვეყნის სიყვარულში, არამედ ასეთივე კამათი გაუმართა მან ლექსში „დარიალჭესთან" პუშკინს, რომელიც მოხიბლული იყო საქართველოს ბუნების მშვენებით. დიდი რუსი პოეტი მოაჯადოვა საქართველოს ზღაპრულმა სილამაზემ და მან წრფელი გულით უმღერა ამ ქვეყანას:

ვერც შენ გაუძელ ამ მწველ სიტურფეს
იქით მყინვარი, აქეთ არწივი...
და ამ არაგვის ამწვანებულ მთებს
შენაც შესძახე ქართველ კაცივით.

და თუ შენ, შორიდან ჩამოსული პოეტი-მოგზაური, ერთი ნახვით ასე იყავი ამ სილამაზით აღტაცებული, რა გვეთქმის ჩვენ, რომლებიც ამ ტურფა მხარეში ვცხოვრობთ და მასთან ვართ განუყოფელად:

შენ გზად ჩამვლელი იყავი მხოლოდ,
ჩვენ კი აქ გვიდგას ჩვენი აკვანი,
ამ ლურჯ ქედებში
ვსუნთქავთ და ვცხოვრობთ,
აქ წვანან ჩვენი მამა-პაპანი.

და ვინ დაგძრახავს ქართველ კაცს, გულით უყვარდეს თავისი მამული, უფრო უყვარდეს, ვიდრე სხვას. აქ ჩანს პატრიოტი კაცის გულისცემა და ამ განწყობილებას არაფერი აქვს საერთო ნაციონალიზმთან, ლექს შემდეგ ასეთი სტრი-

ქონები მოსდევს: ახლა აქ, ამ მიდამოებში, დარიალჰესი შენდება და ეს უფრო მეტ ეშხსა და სილამაზეს მისცემს ისედაც მშვენიერს ჩვენს ქვეყანას:

მოებში არაგვის სხივით გამთბარი
მზით ანთებული მზე დამყარდება
და ვინ დაგზრახავს,
ეს მთა და ბარი
თუ უფრო მეტად შეგიყვარდება.

აქ ლაპარაკია არაგვის სხივით, დარიალჰესით გაცისკროვნებულ საქართველოზე, მზისსადარ საბჭოთა საქართველოზე. ამიტომ უყვარს პოეტს თავისი განახლებული და აღორძინებული სამშობლო. წინათ როდი იყო ასე, უთანასწორო ბრძოლაში აოხრებული და დაკნინებული საქართველო სულს ღაფავდა, მაგრამ უკულმართმა დრომ მაინც ვერ შეაჩერა ქართველი კაცის მისწრაფება თავისუფლებისაკენ. და, აი, როცა პოეტმა ინდოეთში მშრომელთა ცხოვრება თავისი თვალით დაინახა, თვალწინ დაუდგა საქართველოს ტრაგიკული ისტორია, მისი შავბნელი წარსული:

აწიოკება... გაწყვეტა, ცემა...
გადარჯულება... ყმობა, მძევლები...
სამშობლო ჩემო,
სამშობლო ჩემო,
შენს ახალ დღეებს შემოვევლები.

აქ სიტყვის დიდი ეკონომიით, ზუსტი ცნებებით, ჭრავალწერტილებით არის თქმული ის, რასაც ისტორიკოსი მთელ გვერდებს მოანდომებდა, — აწინდელი საქართველოს სურათი სულ ერთ ფრაზაშია გამოხატული: „შენს ახალ დღეებს შემოვევლები". ეს აძლევს საფუძველს უცხო ქვეყანაში მოგზაურ პოეტს, თავისი სამშობლოს ახალი ცხოვრებით კმაყოფილს, ამაყი და თავაწეული იყოს უცხოელთან. საუბარში, უცხო ქვეყანასთან თავისი ქვეყნის შედარებაში.

საზოგადოდ, ირ. სბაშიძის ოპტიმიზმს საფუძვლად უდევს ახალი ცხოვრების გულწრფელი სიყვარული და აი, ლექსების ციკლში, სადაც პოეტი მარადიულ ყოფნა-არყოფნის სა-

კითხს ეხება („მცხეთაში“, „პაოლო იაშვილს“), მისი პასუხი არასოდეს არ არის სევდიანი, ნიჰილისტური, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცის განწყობილების გამომხატველი. აქ მოძებნილია რეალისტური, ოპტიმისტური პასუხი. პოეტის აზრით, ეს ცხოვრება, ეს საუკუნე ამ ქვეყანაზე ადამიანისათვის „მხოლოდ ერთი წუთია“ („ხან წუთი, ხან საუკუნე“). მართლაც, ქვეყნის დუღილში წუთისოფელი ხანმოკლეა, ადამიანის ხვედრი ცოტა სიამე და სიტკბოებაა, მაგრამ ეს არ აძლევს არავის საფუძველს, წუთისოფელს შეხედოს, როგორც წარმავალსა და არაფრის მომტანს, არარაობას. პოეტს სწამს, რომ „სხვა არაფერი გაჩენილა ცხოვრების ფასი“, ამიტომ „ვთქვათ დიდება უკვდავი სიცოცხლისო“. ამ ვითარებაში ჩვენთვის გასაგებია პოეტის პასუხიც:

> თუ ყველაფერი არის სიზმარი,
> თუ ბინდისფერი არის ყოველი,
> მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი
> რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

პასუხი ყოველი ადამიანისათვის ნათელია. ასეთი რწმენითა და სულისკვეთებით არის გაჟღენთილი ამ ციკლის ყოველი ლექსი, ყოველი ფრაზა.

* * *

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ირ. აბაშიძის პოეზიაში სატრფიალო ლირიკას მეტად მცირე ადგილი უჭირავს. ავტორი სამიჯნურო განწყობილებისა და ხალისიანი ბუნების კაცია და მით უფრო აუხსნელია ჩვენთვის ირ. აბაშიძის პოეზიაში სატრფიალო ლექსების სიმცირე. ამაში ნაწილობრივ უთუოდ იჩინა თავი ცალმხრივობამ, რომელმაც ქართულ საბჭოთა პოეზიას ცოტა ვნება როდი მოუტანა. ადამიანის ცხოვრება მრავალფეროვანია, ადამიანი არა მარტო შრომობს, არა მარტო იბრძვის, არამედ ოცნებობს, ეტრფის ბუნების მშვენიერებას, უყვარს ან სძულს ვინმე, აქვს პირადი, ინტიმური ცხოვრება, და ეს ყველაფერი შედის ცხოვრების საზოგადო ცნებაში. ცხოვრების ასახვა გულის-

ზმობს ადამიანური განცდების გამოხატვას მწერლობაში, კერძოდ — ლირიკაში. იყო დრო, როდესაც ჩვენ მეტისმეტად ცალმხრივი წარმოდგენა გვქონდა ლირიკის შესახებ. ალბათ ამ გარემოებას გულისხმობს პოეტი, როდესაც წერს:

ასე იტყვიან ჩემზე, ოდესმე.
ამ ქვეყნად ვინმე თუ მომიგონებს:
ხვნაზე. ფოლადზე ფიქრობდა ლექსებს,
არ იმეტებდა ნაკლებ სტრიქონებს!

ამ სტრიქონებს წერდა პოეტი 1935 წელს, მაშინ, როდესაც საბჭოთა პოეზია დიდ შარაგზაზე გამოვიდა და მთელი მრავალფეროვნებით ამეტყველდა, ხოლო ის ნაკლი, რაც ამ მხრივ წინათ ჰქონდა საბჭოთა პოეზიას, უფრო საგრძნობი გახდა. ცხოვრებამ, საბჭოთა მკითხველმა ეს კითხვა მწვავედ დააყენა ჩვენი პოეზიის წინაშე და, უნდა ვიფიქროთ, ამ გარემოებას გულისხმობს ირ. აბაშიძე, როცა აცხადებს:

და როცა გზებში, ბაღში, ბინაზე
არ იყო ვარდი უკვე ხუმრობა,
მგოსანს უბრძანეს ცოტა სინაზე
და გატყდა ლექსის უხერხულობა.

ასე შეიცვალა ჩვენი პოეტის წარმოდგენა და დამოკიდებულება ინტიმური სატრფიალო ლირიკისადმი. ირ. აბაშიძემ, როგორც პოეტმა, თავის მოვალეობად ჩასთვალა გულისხმიერად მოჰკიდებოდა მკითხველის ამ სამართლიან მოთხოვნილებას:

მე ვაძლევ დასტურს,
რომ ჩემს ლექსებში
ხმა აღიდგინონ ხრიზანტემებმა.

ამისდა მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ 35 წელი გავიდა და ირ. აბაშიძის პოეზიაში სატრფიალო ლექსების სიმცირე კვლავინდებურად იგრძნობა. ეს გარემოება ჩვენ მისი მრავალფეროვანი პოეზიის ერთგვარ ხარვეზად მიგვაჩნია; ირ. აბაშიძეს შესწევს ძალა და ნიჭიერება, ადამიანის სულის ინტიმური რხევა

გამოხატოს მთელი სიდიადით; ეს ნათლად ჩანს პოეტის თუნდაც ერთი ადრინდელი ლექსიდან — „პირველი თოვლის სიმღერა“, რომელიც სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად მიგვაჩნია. ადამიანის სულის ინტიმური რხევა, შეყვარებულთა გულის ცახცახი და თრთოლვა აქ გადმოცემულია დიდი ბუნებრიობითა და სინატიფით. მთელი ეს პოეტური აღსარება ასეთი მიმღერებით თავდება:

ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი.

სატრფიალო ლირიკის საინტერესო ნიმუშია აგრეთვე „ყველა სიმღერა“. მისი ძირითადი პათოსია დაამტკიცოს, რომ ყველა სიმღერა რაზმეს გვაგონებს, რომ ყველა სიმღერა არის ადამიანის ფიქრისა და განცდების გამოხატვა ხან სევდით, ხან აღტაცებით. მაგრამ ადამიანის გულის ყველა სიმღერა ბოლოს და ბოლოს იმ გრძნობაში პოულობს გამოხატულებას, რომელსაც ადამიანებმა სახელად სიყვარული დაარქვეს:

მაგრამ, ძვირფასო, რაც შენ გიპოვნე,
რომ სიცოცხლეში წინ წაგიმძღვარო,
ყველა სიმღერა შენს თავს მაგონებს,
შენ, სიყვარულო, დაუვიწყარო.

პოეტის ლექსებში ხშირად გაიელვებს მოგონება და კვალი შორეული ტრფიალებისა. ეს ხმა ეძახის პოეტს, და ისიც ეხმაურება ამ ხმას, შორეულს თუ ახლობელს, მასთან ამყარებს შინაგან კავშირს:

ეს რომელ მხარეს ვუახლოვდები,
შარდომეთია? ფარახეთია?
მშვიდობით,
ვიწყებ მთებში ხეტიალს,
მე ალპანაში არ გელოდები.

როგორ გვაგოგონებენ ეს ლირიკული სტრიქონები შორეულად გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „კარალეთი“. ირ. აბაშიძეს თავის პოეტურ სულში სიყვარულის გრძნობით გამოწ-

ვეული ტკივილები შორეული ქვეყნებიდანაც მოჰყვა საქართველოში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლექსი „ამრიტას". ინდოელი მგოსანი ქალის პოეტური სული, მისი გარეგნული შომხიბვლელობა და სილამაზე, ღრმად აღბეჭდილი პოეტის გულში, აქ გამოხატულია მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად. ამიტომ გულწრფელად ეღერს მისი აღიარებაც:

და წამოვედი დელიდან ისე,
რომ დამრჩა დარდი შენთვის უთქმელი.

ირ. აბაშიძის პოეზიაში ბუნების ათვისება და გაგება რეალისტური პოეტიკის პრინციპს ემყარება. პოეტს ბუნების სურათები, მის საიდუმლოებათა ახსნა ყოველთვის წარმოდგენილი აქვს დიდი მომხიბვლელობითა და სილამაზით, მაგრამ ამ გაგებაში არსად არის ინტონაცია სევდისა და მარტოობისა, ხალხისაგან განდგომისა და ბუნების სიმშვენიერეში ნაღველის განქარვებისა. მარტვილობისა და განდგომის ინტონაციებს, რომანტიკოსი მწერლების მანერას, აქ ცვლის ნათელი, რეალისტური ხილვა ბუნებისა. აქ ყველაფერი რეალიზმის კანონებს ემორჩილება. ბუნების სიდიადეს ხალხის სამსახურში აქვს სილამაზე და ეშხი. ეს კერძოდ, იგრძნობა ლექსში „ორი ალაზანი".

ორი ძმა, ორი ძველი ქართველი,
მათ შორის ცამდე ტინის კედელი,
მთის იქით მიქრის პირიქითელი,
მთის აქეთ მოქუხს პირაქეთელი.

მდინარეთა ქუხილი თვალს ხიბლავს და გონებას აჯადოებს, მაგრამ პოეტი პრაქტიკული თვალსაზრისით უყურებს ბუნების დიდ მოვლენებს, მას ეჩვენება სამგორის ველი, რომლის დამწვარ ტრამალებს მდინარე იორმა ჩაუდგა სიცოცხლის სული და ასევე სურს პოეტს, იხილოს ალაზნის ველი, მდინარე ალაზნით გაცოცხლებული:

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო,
ხარ ამაგდარი, ხარ დაქანცული,
მაგრამ გეძახის არხილოს კალო,
გეძახის ველი გადახანძრული.

პოეტს ბუნების დიდი სილამაზე შორეულ ინდოეთშიაც უგრძვნია, აქაც მოხიბლულა მისი ძალითა და მშვენებით, აქაც უმღერია ამ სილამაზისათვის.

ზეიმის ეშხში იყო ბუნება, — აცხადებს პოეტი, — და მეც ვთქვი დიდება უკვდავი სიცოცხლისა, ბუნების ამ მშვენიერებისაო. ირ. აბაშიძის პოეზიას აქ მინიჭებული აქვს დიდი უშუალობა, სისადავე და მომხიბვლელობა.

ასეთივე მომხიბვლელობითა და უშუალობით წერს ირ. აბაშიძე პატარების შესახებაც. ეს ლექსები, განკუთვნილი ნორჩი მკითხველებისათვის, აღბეჭდილია სისადავითა და გამჭვირვალობით. პოეტი უმღერის საბჭოთა კავშირის ძლიერების საფუძველს, — ხალხთა მეგობრობას, ეტრფის ახალ საბჭოთა საქართველოს („სამშობლოს"), ბავშვებს ზრდის პატრიოტული განწყობილებით, ახალი ქვეყნის სიყვარულით, უნერგავს მათ მამულისადმი პატივისცემასა და თავდადებას, რადგან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო მსოფლიოში ყველაზე უფრო მართალი და დიადი ქვეყანაა:

გიყვარდეს შენი ქვეყანა,
სიმართლის ფუძემდებელი,
იგია შოთას სამშობლო —
გონების მადიდებელი.
გახსოვდეს, სწორედ იქა დგას
შენი მშობლების აკვანი,
დაიცავ, როგორც ამ მიწას
იცავდნენ მამა-პაპანი.

საბჭოთა ბავშვებს, ჩვენს ახალგაზრდობას უნდა ახსოვდეთ, — ამბობს პოეტი, რომ სხვა ქვეყნის ბავშვებს, არა აქვთ ის გზნება და სიყვარული, რაც ჩვენმა ქვეყანამ ნორჩ თაობას მიანიჭა, ეს განწყობილება შესანიშნავად აქვს პოეტს გამოხატული ლექსში „ორი ბავშვობა":

მუდამ გახსოვდეთ: შურისძიებამ
იქ რომ მონობას ჯერ ვერ აჯობა,
და უფრო მეტად, უფრო ძლიერად
შეგიყვარდება შენი ბავშვობა,

ასე სადად, ასე გასაგებადაა აქ გამოხატული ეს დიდი

პრობლემა. იქნება ეს ბავშვების ბედნიერი დღეები, მათი სწავლა სკოლაში, მათი დასვენება და გართობა თუ ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდა, — ყველგან და ყველაფერში ჩანს სისადავე, პოეტური სინათლე, რომლითაც გასხივოსნებულია ირ. აბაშიძის საბავშვო ლექსები. ყოველივე ეს მათ დიდ აღმზრდელობითს და ესთეტიკურ-შემეცნებითს მნიშვნელობას ანიჭებს.

* * *

ირ. აბაშიძის პოეზიაში ცალკე უნდა გამოვყოთ ლექსების ციკლი თბილისზე. თბილისს მიუძღვნა ირ. აბაშიძემ საბავშვო პოემა „რას გადაურჩა თბილისი“ და რამდენიმე ლირიკული ლექსი.

თბილისი და ქართული მწერლობა ტოლები არიან. ქართულ მწერლობას არავინ ისე გულით არ უტარებია, როგორც თავისი ტოლი, ჭაღარა, მაგრამ მარად ჭაბუკი თბილისი. თბილისის მიწაზე დაიბადა პირველი ქართული მხატვრული სიტყვა, მაშინაც მას თავზე თბილისური კრიალა ლურჯი ცა ეხურა და მტკვარიც ისე ერტყა სარტყელად, როგორც დღეს. ქართული მწერლობის პირველი აკვანი თბილისი იყო, მისი ჭაბუკობისა და ზენიტის წლებიც განუყოფელად თბილისთან არის დაკავშირებული. თბილისმა ქართულ მწერლობას მისცა ეშხი და ლაზათი. ქართულმა მწერლობამ კი თბილისის ეს სილამაზე საქვეყნოდ გამოამზეურა.

ყოველი ერის დედაქალაქი, ერის მწერლობის დედაა და არაფერი ისე კოლორიტულად არ გამოუხატავს მწერლობას, როგორც ეს დედაფუძეები, დედაქალაქები. პარიზი ფრანგულმა მწერლობამ გამოაბრწყინა, ამ მწერლობის უკეთესი ძეგლები ამ ქალაქს მიეძღვნა. მისი მთავარი გმირები პარიზელები იყვნენ. იგივე ითქმის ლონდონის, ვაშინგტონის, ბერლინისა და სხვათა შესახებ. რუსული მწერლობის უდიდესი ძეგლები მოსკოვისა და ლენინგრადის მშვენიერებასა და დიდებას მიეძღვნა. აქ დაიბადა და გამოიწრთო რუსული მხატვრული გენიის საუკეთესო ქმნილებანი.

თბილისი საქართველოს დედაა. თბილისი ქართველი ხალ-

ხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების განმამტკიცებელი და აღმზრდელი ქალაქი იყო და არის. თბილისის ცაზე ბევრჯერ გამოჩენილა საწვიმარი ღრუბლები, მტერსა და დუშმანს გალესილი ხმალი არა ერთხელ ამოუღიათ მის ასაოხრებლად, არა ერთხელ დაუნგრევიათ იგი, მიწასთან გაუსწორებიათ, ათასი ჯურის ველურებს გადაუბუგავთ და გადაუწვავთ ამ ქალაქის ყველა ღირსეული ციხე-კოშკი, სამოქალაქო შენობები, კულტურის ძეგლები, ისე რომ შთამომავლობისათვის ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ. მაგრამ ნიჭიერ ქართველ ხალხს, მტკიცე ეროვნული შეგნების მატარებელს, კვლავ აღუდგენია თავისი ქალაქი, კვლავ აუშენებია უფრო ძლიერი და უფრო ლამაზი- ასეთ აზრსა და განწყობილებას ამოიკითხავთ ირ. აბაშიძის საინტერესოდ, მხატვრულად მოთხრობილ თბილისის ისტორიაში.

ეს გალექსილი ისტორიაა თბილისის დაარსების, დედაქალაქად გამოცხადებისა და შემდეგ მტერთან შეუპოვარი ბრძოლისა. ქართველი ხალხი სისხლითა და ცრემლით იცავდა თავის დედაქალაქს, ქართველთა ცრემლი ერთვოდა მტკვარს, თბილისისათვის ღვრიდნენ ცრემლს შავბედითი საუკუნეები:

რა არ ნახა ქართლის გულმა,
რა წამება, განსაცდელი,
თავს აწვიმდა სისხლის წვიმა,
ეცვა ცეცხლის ტანსაცმელი.
კარს სიკვდილი ულეწავდა
საშინელი, ამაზრზენი,
მურვან ყრუ და ბუღა თურქი,
ხაზარი და ხვარაზმელი,
მაგრამ გლოვის შავი ღამე
ისევ თეთრად თენდებოდა,
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.

თბილისი, მისი სილამაზე და მშვენება, საუკეთესოდ აღწერა ქართულმა მწერლობამ და ამით შთამომავლობას შემოუნახა სახელოვანი დედაქალაქის გმირული ისტორია. ჯერ

კიდევ უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება თბილისის აღწერილობანი. ქებას და ხოტბას ასხამენ პოეტები ამ უმშვენიერეს და განუმეორებელი სილამაზის დედაქალაქს, მის ციხე-ქონგურებს, მის ეროვნულ არქიტექტურას. საქართველოს დედას უწმინდესს, ქართველი ერის გამარჯვებისა და ძლიერების სიმბოლოს უწოდებენ მას.

სანამ თბილისი ფეხზე იდგა, მანამ საქართველო ერთიანი, ურყევი და მტკიცე იყო. ამიტომ ქართველი ხალხის მტერი, პირველ ყოვლისა, მიზანში თბილისს ამოიღებდა, მის განადგურებას ცდილობდა. მტერმა იცოდა, რომ თბილისის დაცემა — საქართველოს დაცემას უდრიდა, ეს ჭეშმარიტება კარგად ჰქონდა შეგნებული ქართველ ხალხს და ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულით ელოლიავებოდა თბილისს და იცავდა მას. როდესაც დავით აღმაშენებელი საქართველოს შემომტკიცებას სათავეში ჩაუდგა, თბილისი მტრის ხელში იყო. საქართველოს გაერთიანების საწინდრად მან უპირველესად მტერთაგან თბილისის დახსნა მიიჩნია. თბილისი და ერთიანი საქართველო განუყოფელი ცნებებია.

ქართულმა მწერლობამ საქართველოს დედაქალაქი თბილისი ეროვნული შეგნების მედროშედ და სიმბოლოდ გამოაცხადა.

თბილისის დაკნინებასა და დაცემას საქართველოს დაკნინება და დაცემა მოსდევდა. თბილისზე აღმართული ეროვნული კულტურის დროშა, როგორც შუქი, ისე უნათებდა ქართველ ხალხს საკალ გზას. ჩაქრებოდა ეს შუქურა და ქართველი ხალხის რჩეული შვილები საქართველოს გადარჩენის გზას ეძებდნენ. ვის არ მიმართეს, რომელ ქვეყანას არ შესთხოვეს დახმარება, მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო. საქართველომ და მისმა დედაქალაქმა, მტრის ურდოებისაგან არა ერთხელ აოხრებულმა, შვება მას შემდეგ მოიპოვა, რაც რუსეთს შეუერთდა. თავის დროზე, საქართველოს რუსეთთან კავშირის აუცილებლობას ჯერ კიდევ დავით გურამიშვილმა გაუსვა ხაზი, ხოლო ჩვენი დროის პოეტმა ირ. აბაშიძემ კვლავ მიაპყრო ჩვენი ყურადღება ამ ისტორიულ ფაქტს:

ზეიმობს ჩვენი თბილისი —
ძლევამოსილი, ძლიერი,
ძმური კავშირით შეკრული
მოძმე ხალხების კერებთან,
ერთ დიდ ოჯახში შესული
დიდ საბჭოეთის ერებთან.
თბილისი — ტურფა მშვენება
საბჭოთა ქვეყნის მხარეთა,
თავისუფალი, ამაყი
დგას კომუნიზმის კარებთან.

ასეთი ოპტიმისტური ნახატით თავდება ჩვენი დედაქალაქის მხატვრული ისტორია პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“.

ირ. აბაშიძემ პირველი ლექსი თბილისზე 1934 წელს დაწერა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ქმნილებაა იმ მრავალრიცხოვან ლექსთა შორის, რომლებიც თბილისზე დაწერილა. თავისი ქალაქის სიყვარული ავტორს განსაკუთრებული პოეტური ინტონაციებით აქვს გაცოცხლებული. პოეტი თითქოს მტკვარს ეჯიბრება ამ სიყვარულში:

შენ ჩემს მაგიერ მტკვარს მოახსენე.
შორით რომ შენსკენ მოეხარება.
რომ შენი მიწა და სასახლენი
მას ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.

ყოველ ქალაქს აქვს განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მას დამახასიათებელ კოლორიტს უქმნის. შემდეგ იგი იქცევა სიმბოლური მნიშვნელობის ადგილად. ასეთია თბილისში მთაწმინდა, რომელიც ყოველი ქართველი კაცის, ყოველი თბილისელი მოქალაქის სათაყვანებელი ადგილია. მას მრავალი უცხოელი აღტაცებაში მოჰყავს. და ამ ქალაქის სილამაზეც და ლაზათი, სიმშვენიერე და ღირსებაც, აქედან დაუნახავს უცხოელის თვალს. ქართულმა მწერლობამ განსაკუთრებით შეამკო ეს ადგილი, ქართული პოეზიის უბრწყინვალესი მარგალიტები ამ წმინდა ალაგს შთაუგონებია. საზოგადოდ, ძნელია მოინახოს საქართველოში ისეთი პოეტი, რომელსაც ამ ადგილისათვის არ მიეძღვნას თავისი საუკეთესო ლექსი, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება

მთაწმინდაზე", აკაკის „განთიადი", გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე", — ეს სამი უბრწყინვალესი პოეტური ქმნილება, — მთაწმინდის პოეტური გარდასახვის სამი შესანიშნავი ძეგლია.

თბილისის მეორე მშვენება იყო და არის მტკვარი, ეს უცნაური სარტყელი ქალაქისა, ეს უტყვი მოწმე საქართველოს დედაქალაქის ტრაგიკული და გმირული ისტორიისა. არა ერთხელ შეღებილა საქართველოს ეს დედამდინარე, თბილისის დაცვისათვის უთანასწორო ბრძოლაში დაცემულ ქართველ გმირთა სისხლით. შემდეგ ასევე გამხდარა იგი მოწმე იმისა, თუ ქართველ ხალხს როგორ ვაჟკაცურად აღუდგენია და განუახლებია თავისი დედაქალაქი. მტკვარი პოეტთა მეგობარი და ფიქრთა მოზიარე, — თბილისის სილამაზე და ეშხი არა ერთგზის გაუცოცხლებია ქართულ პოეზიას, — ასევე აქვს იგი წარმოდგენილი ირ. აბაშიძეს. და მაინც სულ სხვაა ახალი თბილისი თავისი განიერი პროსპექტებით, ახალი შენობებითა და ხელოვნების ძეგლებით. სულ სხვაა დღეს აღტაცების საგანი:

ვერ შევიმაგრებ მე თავს და მორჩა...
როს აყვავდება ბაღში შვინდები,
ჩამოვიფხატავ ცხვირპირზე ქოჩორს,
შუა ქალაქში ავყიჟინდები.

ერთი მხრივ, ჩვენი თბილისი, მისი ვაზივით დაგრეხილი ქუჩებით და აღმართებით, თავისი ისანით, კრწანისით, ყაბახით, ორთაჭალითა და შურისციხით, — სიძველითა და რომანტიკით, — ხოლო, მეორე მხრივ, ახალი თბილისი, — თავისი ფართო პროსპექტებით, უნივერსიტეტით, ინსტიტუტებით, ფაბრიკა-ქარხნებით, სკვერებითა და ბაღებით, მთაწმინდითა და მტკვარით, მუდამ იქნება ქართველი პოეტებისათვის ულეველი მუზა.

თბილისი, საბჭოთა საქართველოს გული, მისი სახელოვანი ადამიანებითა და მისთვის თავშეწირული საარაკო გმირებით ქართულ პოეზიასთან ერთად მარად იცოცხლებს, ხოლო ქართველი პოეტების ლექსები თბილისზე მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის თავფურცელად დარჩება.

* * *

ირ. აბაშიძის პოეტური აღქმა ქვეყნისა რეალისტურია. რეალისტურია ცხოვრების აღქმის ფილოსოფიაც და წერის მანერაც. მაგრამ ირ. აბაშიძის რეალიზმი თავისებურია, თავისუფალი ბანალობისა და ტრაფარეტისაგან. პოეტის გულისთქმა, საგნებისა და მოვლენების ათვისება, დამორჩილებული რეალიზმის პრინციპს, უაღრესად რომანტიკული და ლირიკულია, აცდენილი ყოველგვარ მანერულობას. სადა და უბრალო, სიმართლითა და ღრმა განცდით გვიხატავს პოეტი ლირიკული გმირის გრძნობებსა და ვნებებს.

ირ. აბაშიძის პოეზიაში, საზოგადოდ, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, ჩვენ გვაქვს მეტად საგულისხმო ათვისება სამყაროსი, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ეს თვისებანი ნათლად გამოჩნდა არა მარტო იმ ლექსებში, რომელთა თემა თავისი კონკრეტული შინაარსით თანამედროვე ცხოვრებაა, არამედ იმ თემებსა და განწყობილებებშიაც, რომლებსაც პოეტები მანამდე არა ერთხელ შეხებიან. ესაა სიცოცხლის, სიყვარულის, პატრიოტიზმის მარადიული თემები. საზოგადოდ, ცნობილია, რომ ეს თემები არ არსებობენ დროისა და სივრცის გარეშე. და აი, ირ. აბაშიძემ ჭეშმარიტად მიანიჭა ამ მოტივებს, ამ ინტონაციებს ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის სუნთქვა, მათში თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულება შეიტანა და ამით უაღრესად დაგვაახლოვა ამ თემებთან. ირ. აბაშიძემ შეძლო, საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულება ყოველ თემასა და განწყობილებაში წარმოგვიდგინოს ორიგინალური ტენდენციებითა და რომანტიკული მანერით.

ირ. აბაშიძის პოეტური მეტყველების სტილი უაღრესად თავისებურია, ამავე დროს, რეალისტურია მისი ლექსის კომპოზიცია და კონცეფცია, სალებავებიცა და ფერებიც:

> დგას ბუჩქები ვერის ბაღში შემკრთალები,
> ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?
> ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
> ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

ან კიდევ:

მოვიდა წვიმა, საღამოს გრძელი
ესროლეს ბადე წვეთებმა წვრილმა
და ხეზე, როგორც ქალწულის ცრემლი
ეკიდა ფოთლებს აპრილის წვიმა.

აქ შედარებები უაღრესად რეალისტურია, სადა, ამავე დროს, რომანტიკული.

ირ. აბაშიძეს აქ მონახული აქვს პოეტური მეტყველების ისეთი ფორმა, რომელიც ერთბაშად აერთებს პოეტის ინტიმურ განცდებს მკითხველის გულთან. ეს გადამდები ემოციური მომხიბვლელობა და უშუალობა ახლო ურთიერთობას ამყარებს ჩვენთან. და ყველაფერი ეს იმის წყალობით, რომ პოეტური ინტონაცია რეალისტურია, მოვლენის, სამყაროს პოეტური აღქმა უაღრესად ნათელია და რომანტიკული.

პოეტიკაში არც იმდენად გავრცელებული უხეში კლასიფიკაციის პრინციპით რომ მივუდგეთ საკითხს, ირ. აბაშიძე თავისი მხატვრული მრწამსითა და პოზიციით უფრო საზოგადოებრივი ლირიკის, სამოქალაქო პოეზიის წარმომადგენელია, ვიდრე ინტიმური ლირიკისა. მაგრამ ირ. აბაშიძეს დიდი საზოგადოებრივი პრობლემები ისე აქვს გადატანილი ლირიკის ენაზე, რომ აქ ძნელია სადემარკაციო ხაზის გავლება. ირ. აბაშიძეს სრულიად არ ახასიათებს დაპირისპირება სამოქალაქო და პირადი ინტიმისა. იგი თავისი პოეტური ბუნებით უფრო მოფერების, ალერსის პოეტია, ვიდრე მრისხანე შეტევის და ამბოხებისა. მას, როგორც ლირიკოსს, ახასიათებს პიროვნულისა და საზოგადოებრივის ერთ ფოკუსში თავმოყრა, ერთ ლირიკულ ხმაზე აწყობა. სწორედ ამ აზრითაა იგი უაღრესად ლირიკოსი პოეტი. მან, როგორც საბჭოთა ქვეყნის მხატვარმა, ირწმუნა ლირიკის ძალა და დიდი მასშტაბი ადამიანის სულის გამოსახატავად. სწორედ ამის გამო წერდა იგი: „პოეზია მე მესმის, როგორც ლირიკა. ღრმად მწამს რა ძალა ლირიკისა, მე არ მეეჭვება, რომ მას შეუძლია გადმოსცეს თანამედროვე ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყარო და ჩვენი დროის ურთულესი პროცესები". აქ საგანგებო ხაზგასმას იმსახურებს პოეტის სიტყვები: „ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყარო" და „ჩვენი დროის ურთულესი პროცესები".

დიახ, მწერლობის მთავარი ამოცანაა ადამიანის სულის გამოხატვა, ადამიანი თავისი დიდი ტკივილებითა და ვნებებით. ვინც ირ. აბაშიძის პოეზიას დააკვირდება, საზოგადოდ, და უკანასკნელი პერიოდის მის შემოქმედებას, კერძოდ, დაგვეთანხმება, რომ პოეტი შეგნებულად მისდევს ამ მართებულ და ერთადერთ ჭეშმარიტ გზას მწერლობაში, — ეს გზა გულისხმობს პიროვნული და საზოგადოებრივი გრძნობების ლირიკულ ერთიანობას. ირ. აბაშიძის პოეტური აზროვნება, მისი მსოფლმხედველობა არსად ემიჯნება ჩვენს პარტიულ პრინციპს. იგი ყოველთვის იყო და რჩება ჩვენი მღელვარე თანამედროვეობის პოეტად. მისი პოეტური მანერისათვის იმთავითვე იყო დამახასიათებელი, — ხოლო ამ ბოლო წლებში საერთო თვისებად იქცა, — ურთულესი პროცესების დიდი შინაგანი ინტიმით გადმოცემა და გაცოცხლება. ირ. აბაშიძის პოეზიაში პოლიტიკური პათოსი ორგანიულად შერწყმულია ლირიკულ რომანტიკულ ინტონაციებთან და ეს აძლევს თავისებურ, ინდივიდუალურ ელფერს მთელ მის შემოქმედებას. პოეტი შინაგანად ანათებდა მოვლენებსა და ფაქტებს მაშინაც კი, როდესაც ჩვენს პოეზიაში შემოჭრილი იყო ოქმისებური, პუბლიცისტური ნატურალიზმი. ირ. აბაშიძე ყოველთვის თავს აღწევდა ამგვარ ცთუნებას. საკმარისია აქ მოვიგონოთ მისი ადრინდელი ლექსი „შეიქმენ გმირი“. ეს უაღრესად პოლიტიკური, პუბლიცისტური ლექსია:

შენ გმირად სჯირდები ეპოქას,
ტემპით და იერიშით დანთებულს:
ეპოქა გეძახის, როგორც კაცს
და როგორც ბრძოლაში ვალდებულს.
იგი არც იოლად გადიდებს,
ზეიმით, დაფნით და პარადით,
არც სადმე ბინაზე დაგეძებს
თხოვნით და მოსაწვევ ბარათით.
ეპოქა გიბრძანებს: გამიძეხ,
წამოდექ საბრძოლოდ დაიძარ,
კაცი ხარ, ღონე გაქვს, გონებაც,
გადაკარ, გასწი და გაუსწარ!

აქ ხომ მახვილ, პოლიტიკური ყოველდღიურობის თემასთან გვაქვს საქმე. მაგრამ დაეაკვირდეთ, რა შინაგანი ინტი-

მით არის გასხივოსნებული ჩვენი მოწინავე ადამიანის ბრძოლის იდეალი უკეთესი ცხოვრებისათვის. ლექსის მოწოდებითი პათოსი, პოლიტიკური ინტონაცია დამორჩილებულია ადამიანის ბუნებრივ ინტერეს და მისი მომხიბვლელობაც და უშუალობაც ამ გარემოებამ განაპირობა. ეს ლექსი ირ. აბაშიძის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია. ჩვენ შეგვეძლო ამ პერიოდის სხვა დამახასიათებელი სტრიქონებიც მოგვეტანა. ყოველივე ეს ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ირ. აბაშიძემ იმთავითვე მიაგნო ინდივიდუალურ პოეტურ ხმას, მოძებნა პოეტის ბუნებასთან ზიარებული ეს თავისებური ინტონაცია (რასაკვირველია, ადრინდელ ლექსებს იმ პერიოდის დაღი მაინც ღრმად აქვს დასმული). შემდეგ ირ. აბაშიძე დიდხანს სინჯავდა, გონების თვალით ამოწმებდა მის მიერ მიგნებულ ინტონაციებს, სიძუნწეს იჩენდა, ცოტას წერდა, დიდხანს ფიქრობდა და ყოველთვის ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანსა და საზოგადოებრივ მოვლენას ეხმაურებოდა. ჩვენ ზემოთ შევეხეთ ამის საილუსტრაციოდ 30-იანი წლების ირ. აბაშიძის პოეზიაში დამკვიდრებულ რუსთაველის თემას. ერთხელ კიდევ მოვიტანოთ ადგილი პოეტის ამ პირველი ლექსიდან რუსთაველის შესახებ:

ეს იყო შოთა...
უცებ ღელვა და ჟრუანტელი
უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი,
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი...
როგორც ოდესღაც თავის მამულს უცხო ყარიბი,
ეხლა რუსეთის კარს მოადგა მისი სახება,
და კვლავ ის წიგნი მოიტანა, ვით მდუღარება
რვაასი წლის შემდეგ ხელახალი გამოძახება.
ფუნჯით და კალმით მოხატული და ფერუცვლილი
ძველ პერგამენტზე შენახული წვით და წვალებით,
მოართვა წიგნი, შემოვიდა შოთა რუსთველი,
ქართულ თავაზით, თავმდაბლობით და მოკრძალებით.

აქ დიდი პოეტური ძალით არის შერწყმული საზოგადოებრივი მოტივები და გრძნობები უაღრეს ლირიკულ, პირად ინტიმთან. ეს გვაახლოებს ლექსის ჩანაფიქრთან და ამავე

დროს, გვხიბლავს და გვაჯადოებს ამ ჩანაფიქრის პოეტური გაფორმება.

ირ. აბაშიძის წერის მანერა, მისი ორიგინალური პოეტური ინტონაცია ყველაზე დამთავრებული სახით გამოვლინდა 1959 წელს გამოცემულ ახალი ლექსების კრებულში, რომელსაც ჰქვია „რუსთაველის ნაკვალევზე". ამ კრებულში ნათლად ჩანს, თუ როგორ გამდიდრდა ირ. აბაშიძის პოეტური პალიტრა, თუ როგორ უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი გახდა მისი მხატვრული საშუალებები და ფერები. ეს წიგნი არის განმტკიცება და ამაღლება საბჭოთა ლირიკის მოწინავე პოეზიისა. ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, თუ რა უსაფუძვლოა ლირიკულ-ინტიმური და სამოქალაქო პოეზიის მოტივების ერთმანეთთან დაპირისპირება. ამავე დროს, ამ წიგნში ნათლად გამოვლინდა ის გარემოება, რომ ირ. აბაშიძემ დასძლია ზოგიერთი სუსტი მხარე, რომლებიც მის ძველ ლექსებს ახასიათებდა. პოეტმა აქ სათქმელს, ტკივილებს, საზოგადოებრივ კითხვებს ორიგინალური, პოეტური ფორმა მოუძებნა. ამ ლექსებში არის ადამიანური სიხარული, სინანულიც, ეჭვიც... მაგრამ ყველაფერი ეს უაღრესად განზოგადებულია და დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობამდე აყვანილი. აი, პოეტი როცა 50 წელს მიუახლოვდა ის თითქოს სადღაც დაეჭვდა, ვაითუ წლებმა თავისი ქნას და ლექსს დააკლდეს ფერი და ძალა!

> მაგრამ ვაი თუ სტრიქონს აწინდელს
> დააკლდეს ყღერა და ხმოვანება.
> ლექსი კვლავ ვეღარ გამიყმაწვილდეს,
> ბგერას არ ჰქონდეს წებოვანება.

ასეთი დაეჭვება საკსებით ბუნებრივია, ასეთი ეჭვი ჭეშმარიტ შემოქმედ კაცს დაებადება. ირ. აბაშიძის დიდსება ისაა, რომ პოეტი თავის ცხოვრებას თუ საზოგადოებრივ მოვლენებს ვიწრო სარკმლიდან როდი უყურებს, ერთი ფერით როდი ხატავს ჩვენი ცხოვრების მღელვარე დღეებს. ეჭვიცა და ხევდაც, სიხარულიცა და აღტაცებაც, წარმატებაცა და წარუმატებლობაც ადამიანს ერთგვარად ეწვევა, ხოლო პოეტის დამოკიდებულება და გადაწყვეტა ამგვარი კითხ-

ვებისა, როგორც ზემოთ ვთქვით, მაინც რეალისტურ დამოკიდებულებასა და ფილოსოფიას ეფუძნება. საბჭოთა პოეტს სწამს, რომ ეს საოცრება აღარ მოხდება და ლექსს ოპტიმისტური ამღერებით ამთავრებს:

მაინც ათასი ზეშთაგონება
მაქვს შენახული. ვით ფასეული.

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები იმაზე მიუთითებენ, რომ ირ. აბაშიძემ ჭეშმარიტი პოეტის ძალით განახორციელა საზოგადოებრივისა და პიროვნულის განუყოფელი ერთიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან ინტიმური პოეზია და საზოგადოებრივ-სამოქალაქო ლირიკის მოტივები. ამ პრინციპის პოეტური საფუძვლები ირ. აბაშიძემ თავის ადრინდელ ლექსებშივე გამოიმუშავა, — ხოლო განავითარა „კაპიტანი ბუხაიძესა“ და „ჰყვავის გურიაში“. ამ ინტონაციას პოეტმა კიდევ უფრო მაღალი პოეტური ჟღერადობა მისცა ლექსების კრებულში: „რუსთაველის ნაკვალევზე“.

ირ. აბაშიძის წერის მანერა, მისი რომანტიკული ბუნება მთელი ძალით აჩის გამჟღავნებული ადრინდელ ლექსში „პირველი თოვლის სიმღერა“:

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე.
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს!
დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული.
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ირ. აბაშიძის დამახასიათებელი პოეტური საღებავები, სახეები და შედარებები, „პოეტური ალერსის“ მანერა ამ ლექსში უკვე გამჟღავნებულია. ეს მანერა მას ყველგან აქვს მომარჯვებული. ავტორისეული პოეტური პალიტრის თავი-

სებურება კარგად არის გამოვლინებული ნიკო ალხაზაშვილისადმი მიძღვნილ საინტერესო ლექსში:

მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან,
ყველა ვაქკაცი მეგობრად მსურდა,
სამ აღლზე მჭონდა გაშლილი მკლავი,
მე ვიყავ ძმობის გული და თვალი.
ხან წინაველი, ხან ბაღი დიღმის...
ვერ შეველიე ტოლებთან ღიღინს.

პოეტის მეტყველება ყოველთვის ლაკონიურია და სურათოვანი, თხრობის ლირიკული ფორმა ხალხური უშუალობითა და სისადავით არის გაცისკროვნებული. როცა ირ. აბაშიძის ლექსს კითხულობთ, ყოველთვის გამახსოვრდებათ, რასაც პოეტი უმთავრესად იმ გზით აღწევს, რომ ყოველი მისი ლექსი სიუჟეტიანია, უაღრესად შეკუმშული ამბავი დიდი ექსპრესიითაა გადმოცემული. ჩვენ ზემოთ ამის საილუსტრაციოდ გავარჩიეთ ლექსები „კაპიტანი ბუხაიძე", „სამი ციხე", „ინგილოები" და სხვ. ირ. აბაშიძეს არ უყვარს გაშლილად თხრობა. სიუჟეტი ლირიკულ ინტონაციას ემორჩილება. ამიტომ ავტორი ახერხებს მოკვეთილ, მოკლე ფრაზაში რამდენიმე სტროფში ჩასტიოს ვრცელი ამბავი.

ირ. აბაშიძის ლექსები უაღრესად სადაა და მარტივი, მაგრამ ეს როდი წარმოადგენს ფოლკლორის პირდაპირ იმიტაციას, მიბაძვას. ჩვენი პოეტისათვის დამახასიათებელია აგრეთვე რთული, მხატვრული სახეები და აზროვნება:

ჩემი დროც მოვა და სიმღერებით
მეც მოვხუცდები, როგორც ჯამბული,
მკერდზე მეყრება თეთრი წვერები,
როგორც კიდია კედელს ჩონგური.

ან კიდევ:

სულ თვალწინ მიდგას მე ჯუგაანი,
ტკბილ შემოდგომის დინჯი დარები,
სის აივანზე ბევრი მტევანი,
ყვითლები, როგორც სკოლის ზარები.

აქ თეთრი წვერების ჩონგურთან და ყურძნის მტევნების სკოლის ზარებთან შედარება, უფრო წიგნურია, რთული შედარებებია, მაგრამ ირ. აბაშიძის პოეზიაში ეს პრინციპი არ დამკვიდრებულა, მისი პოეტური მანერაა ხალხური სისადავე, რომელიც მის ნაწარმოებებს დიდ უშუალობასა და სიცხოველეს ანიჭებენ.

ირ. აბაშიძის ლექსების კითხვა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას კვანიჭებს. ისინი ყოველთვის ადვილად ასათვისებელია, ჩვენს გულთან ახლოს მდგომი პოეტური ქმნილებებია. სწორედ ეს სისადავეა ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტის ნიშანდობლივი თვისება. ყოველივე ამის წყალობით გახდა ირ. აბაშიძე გამოჩენილი ოსტატი და ერთ-ერთი ფუძემდებელი უახლესი ქართული ლექსისა.

აქ წარმოგვიდგება ჩვენ ირ. აბაშიძის მიერ განვლილი პოეტური გზა.

პოლიკარპე კაკაბაძე

პოლიკარპე კაკაბაძე ქართული საბჭოთა დრამატურგიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. დრამატურგია, საყოველთაოდ აღიარებული აზრის მიხედვით, მწერლობის ურთულესი ჟანრთაგანია. ამ სირთულეს ორი გარემოება განაპირობებს: თეატრი და მწერლობა.

დრამატურგია მხატვრული ლიტერატურის ისეთი დარგია, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია თეატრთან. დრამატული ნაწარმოები მოქმედებაში გვიჩვენებს, თეატრალურ სანახაობაში განასახიერებს კონფლიქტზე დაფუძნებული ხასიათების ბრძოლას, განსაკუთრებული სულისკვეთებით, მიზანსწრაფვით და იდეალებით გამოხატული ხასიათების ჭიდილს. პროზისაგან განსხვავებით, აქ ხასიათი ეფუძნება არა მოყოლას, არამედ მოქმედებას, ხასიათები მოქმედებაში ვლინდება — დიალოგით, რეპლიკით, მოქმედ პირთა მოქმედება-გამოცხადებით, ჟესტების, პაუზების და სხვა დრამატული საშუალებებით. ყველაფერი ეს ისეთი მხატვრული ხერხებია, რომელთა სრული გამოვლინება თეატრის მეშვეობით ხდება, ხოლო დრამატული ხასიათის გარდასახვა — თეატრის, მსახიობის საშუალებებით. ამიტომ პიესა, უპირველეს ყოვლისა, თეატრისათვის დაწერილი ნაწარმოებია. ეს როდი გამორიცხავს დრამატული ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებას. უფრო მეტიც: ჭეშმარიტი დრამატული ნაწარმოები მხატვრული ნაწარმოებია. ამის კვალობაზე დრამატული ნაწარმოები თავის თავში აერთიანებს მხატვრულ თვისებებს და მის თეატრალურ ხასიათს. ამიტომ ვამბობთ, რომ დრამატული ნაწარმოები განუყოფელია თეატრისაგან. ჭეშმარიტმა დრამატურგმა კარგად უნდა იცოდეს როგორც პოე-

ზიის, მწერლობის, ისე თეატრის წესებიცა და კანონებიც, რადგან მათი შეერთება ქმნის ნამდვილ და ჭეშმარიტ დრამატურგიას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი სანახაობითი ფორმები, ხალხში გავრცელებული, ხალხის მიერ შექმნილი, მოქმედების გარკვეულ წესს ემყარებოდა. სანახაობითი ფორმებით ჩაისახა პირველი ხალხური თეატრი. ეს ხალხური საწყისები შემდეგ დრამატულ ნაწარმოებებში თავისებური ფორმით შევიდა და დამკვიდრდა. დრამატულ ნაწარმოებთა პირველი ლიტერატურული ნიმუში ძველი საბერძნეთიდან იწყება. საბერძნეთში დამკვიდრებული დრამა და მისი ფორმები (ტრაგედია, კომედია) უკვე საფუძველს უქმნის თეატრალური ნაწარმოებების ჟანრს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ თეატრმა, მოყოლებული ძველი საბერძნეთიდან დღემდე (ასევე — დრამატურგიამ) საკმაოდ გრძელი ისტორია განვლო და ამის მიხედვით მის ჟანრობრივ ხასიათებშიაც ბევრი ცვლილება შევიდა. ძირითადი კანონები და ფორმები, მოქმედებაზე დამყარებული, ისტორიულად სწორედ დრამატურგიამ შემოინახა.

პოლიკარპე მალხაზის ძე კაკაბაძე დაიბადა 1893 წელს 23 თებერვალს სოფ. კუხში (წულუკიძის რაიონი), გლეხის ოჯახში. ბავშვობა თავისავე სოფელში გაატარა. აქ იმერეთის ყოფას, ჩვეულებას და კუთხურ მეტყველებას ისე დაეუფლა, რომ შემდგომ მის მხატვრულ ნაწარმოებებში კვალი იმერული დიალექტისა და იუმორისა ძლიერად აღიბეჭდა. პ. კაკაბაძე სწავლობდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში, მაგრამ გიმნაზიის უკანასკნელი კურსის მოსწავლემ ავადმყოფობის გამო ბათუმი დატოვა და თბილისში გადმოვიდა სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი ავად გახდა, თავი მიანება სწავლას და იძულებული შეიქნა ახალგაზრდობის წლები კურორტებზე გაეტარებინა.

პ. კაკაბაძე ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, ხოლო მისი პირველი პიესა დათარიღებულია 1918 წლით. ამ პიესაში („გზაჯვარედინზე") მძაფრად არის გამოსახული პეტროგრადის თებერვლის რევოლუციის დღეების სურათი. პიესა იდეურად და სიუჟეტურად ამხელდა ბურჟუაზიული ხელი-

სუფლების ხასიათს და რევოლუციური მუშათა კლასის რომანტიკას წარმოსახავდა. „გზაჯვარედინზე“ 1918 წელს დადგა ალ. წუწუნავამ, ცნობილი რევოლუციონერის ალექსანდრე ჯაფარიძის რეკომენდაციით ის გამოცემული იქნა რუსულ ენაზე და წარმატებით იდგმებოდა საბჭოთა ბაქოს თეატრებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პ. კაკაბაძე აქტიურად ჩაება ახალი მწერლობის მშენებელთა რიგებში. იგი აქტიური მონაწილე იყო პირველი დიდი საბჭოთა ჟურნალის „მნათობის“ დაარსებისა. აქ, ამ რედაქციაში, მუშაობდა იგი სამი წლის განმავლობაში. შემდეგ კი ისევ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა დასასვენებლად წასულიყო.

1925 წელს რეჟისორმა დოდო ანთაძემ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით რუსთაველის სახელობის თეატრში განახორციელა პ. კაკაბაძის პიესა „ლისაბონის ტუსაღები“, ხოლო 1929 წელს კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისის თეატრში დიდი წარმატებით დადგა „ყვარყვარე თუთაბერი“. 1938 წელს თბილისის მარჯანიშვილის სახ. თეატრში განხორციელებული იქნა საკოლმეურნეო თემაზე შექმნილი პიესა „კოლმეურნის ქორწინება“.

გარდა ზემოაღნიშნული პიესებისა, პ. კაკაბაძის კალამს ეკუთვნის: „ბრძოლა განთიადის წინ“ (1919 წ.), „სამი ასული“ (1918 წ.), „დიმიტრი მეორე“ (1945-46წწ.), „ბახტრიონი“ (1935 წ.), „შეხვედრა მშენებლობაზე“ (1947 წ.), („ბედნიერი სამშვედლო“ (1952 წ.), „ვახტანგ გორგასალი“ (1954 წ.) და სხვა.

პ. კაკაბაძე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრია 1934 წლიდან, მას მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი ერთ თავის პირად წერილში შენიშნავს: „ძველი დრამატურგი ევრიპიდე ერთ ადგილას ამბობს: „რატომ არა აქვს ადამიანს ისეთი ნიშანი, როგორიც ლითონს, რომ ნამდვილად გავიგოთ მისი ღირსება და ყალბად თავი ვერ შემოგვატყუონო“. მე ვფიქრობ, მწერალს ასეთი ნიშანი უნდა ჰქონდეს“. ჩვენ დავუმატებდით, რომ პ. კაკაბაძის დრამატურგიას, მის ორ უბრწყინვალეს პიესას — „ყვარყვარე თუთაბერსა“ და „კოლმეურნის ქორ-

ნებას" — უთუოდ აქვს სწორედ ლითონის ისეთი უტყუარი ნიშანი, რომელსაც ევრიპიდე მწერლობისაგან მოითხოვდა.

დრამატურგიის ისტორია საქართველოში მეტად თავისებური. ვინც არსებითად დააკვირდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, ის ადვილად შეამჩნევს, რომ რუსთაველის ქვეყანაში მე-18 საუკუნემდე (უფრო ზუსტად, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე) ჩვენ არა გვაქვს დრამატული ნაწარმოების ისეთი ნიმუში, რომელიც შეგვიძლია გვერდში ავოვუყენოთ პროზისა და პოეზიის საყოველთაოდ ცნობილ შედევრებს. გადაჭრით შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისით, რომ ძველ ქართულ მწერლობას დრამატურგიაში მაღალი რანგის მხატვრული ნაწარმოები არ შეუქმნია. ამის მიზეზი მრავალი იყო, რომელთა გამორკვევას აქ არ შევუდგებით. მაგრამ ერთი მაინც ფაქტია: ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მოხსენებული თეატრალური ტერმინები იმაზე მიგვითითებენ, რომ ჩვენ გვქონია თეატრალური სანახაობანი თავისი ხალხური საწყისებით თუ წმინდა თეატრალური ნიმუშებით. ჩვენამდე ამ თეატრების აღწერილობა და დახასიათება არ შემონახულა. ერეკლე მეფის სამეფო კართან აღორძინებულ თეატრალურ სანახაობათა რამდენიმე ფრაგმენტული აღწერილობა შემოგვრჩა მხოლოდ.

ეროვნული თეატრის დაარსება და აღორძინება, ევროპული თეატრალური კოლექტივის შექმნა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს მოხდა. იგი უშუალოდ გიორგი ერისთავის სახელთანაა დაკავშირებული. მისსავე სახელს უკავშირდება დრამატული დარგის შექმნა და აღორძინება. ამიტომ ვამბობთ, რომ მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში ქართული დრამატურგია მხოლოდ მე-19 საუკუნის პირმშოა.

თეატრის დაარსებამ გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, დრამატული ჟანრის აღორძინება. და ეს ადვილად ასახსნელი ფაქტია: ეროვნული თეატრი არ არსებობს ეროვნული დრამატურგიის გარეშე. რასაკვირველია, ეროვნული თეატრის შექმნამ მე-19 საუკუნეში ეროვნული დრამატურგიის აღორძინებაც გამოიწვია.

როგორც უკვე ვთქვით, მეთაური და მებაირაღტრე ქართული თეატრისა და დრამატურგიის გიორგი ერისთავია. დამახასიათებელია, რომ მან შექმნა და აღორძინა უმთავრესად კომედიური ჟანრი. გიორგი ერისთავი ნამდვილი და ჭეშმარიტი კომედიოგრაფია და ამ გარემოებამ ერთგვარად კიდევაც განსაზღვრა მთელი მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიის ჟანრის განვითარებაც. ისიც უნდა ვთქვათ, რომ გიორგი ერისთავის რეალიზმმა განაპირობა მისი კომედიების ხასიათი. გიორგი ერისთავმა დიდი სოციალური დატვირთვა და მაღალი საზოგადოებრივი ფუნქცია მიანიჭა კომედიას. მან კომედიას თავისი ეპოქის, თავისი დროის საზოგადოებრივი და სოციალური ძალების გამოსახვა დააკისრა და ამით უაღრესად ხალხური ხასიათი მიანიჭა თავის პიესებსა და თეატრს. გიორგი ერისთავმა, როგორც მხატვარმა, შესანიშნავად შენიშნა მის დროს უკვე გადაგვარებისა და დაკნინების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის უქნარობა და დრომოჭმული ყოფა, უნაპირო ფართიფურთობა და იოლი ცხოვრებისაკენ მიდრეკილება. ამავე დროს, გიორგი ერისთავმა, როგორც რეალისტმა, ნათლად დაინახა ამ სოციალურ ფონზე ქალაქად აღორძინებული ვაჭართა კლასი თავისი ვაჭრუკანული ბუნებით, სიძუნწითა და ამორალიზმით. ასევე შენიშნა მან უნიათო თავადაზნაურული ინტელიგენციის ხელმოცარულობა და უმოქმედობა. და ყველაფერი ეს მწერალმა შესანიშნავად გადაგვიშალა ყოფითი ხასიათის კომედიურ ჟანრში. მთელი ამ მორალური და სოციალური სიმახინჯის მძაფრი მხილება და დაცინვა ერისთავმა მკვეთრად და შთამბეჭდავად წარმოადგინა თავის კომედიებში და ამით დასაბამი მისცა ქართულ კომედიურ ჟანრს.

გიორგი ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესები საფუძველს უყრიდნენ ქართულ ნაციონალურ კომედიებს, რომლებსაც სცენაზე გამოჰყავდათ არა მარტო მდაბიური ფენა, არამედ მათი მათრახი მძაფრად ხვდებოდა მაღალ არისტოკრატიასაც. რასაკვირველია, გ. ერისთავს არ ჰქონდა ის დიდი ენობრივი ლაპიდალობა, სტილის მომჭირნეობა, რომელიც კომედიაში დიალოგს, რეპლიკას სჭირდება, — და ამ მხრივ

უთუოდ სუსტია მისი დრამატული თხზულებები, მაგრამ ხსენებული კომედიების ღრმა სოციალური პათოსი, მხილებითი ხასიათი ჭეშმარიტად სამაგალითო გახდა შემდეგი თაობისათვის.

მე-20 საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ უფრო მძლავრად შეიტანა დრამატურგიაში სოციალური და რევოლუციური მოტივები (შ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“, „გუშინდელნი“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, პ. ირეთელის „ქრისტინე“ და სხვ.), ამ გზით წინ წაწიეს გ. ერისთავის კომედიებისა და მისი თეატრის ტრადიციები და განავითარეს კომედიური ჟანრი ქართულ დრამატურგიაში.

ქართულმა თეატრმა და ქართულმა დრამატურგიამ, — მიუხედავად იმისა, რომ ისინი მე-19 საუკუნეშიაც ჩამორჩებოდნენ მწერლობის სხვა ჟანრებსა და დარგებს, — მაინც უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი მაყურებლის რევოლუციური, ეროვნული და სოციალური ინსტინქტებით აღზრდის საქმეში. თეატრი, ქართულ მწერლობასთან ერთად, ერთადერთი სარბიელი იყო, საიდანაც მეფის ხელისუფლების შავბნელ ხანაში ქართული ენა გაისმოდა, ქართული სიტყვა ჟღერდა, რითაც იგი ზრდიდა ჩვენს ხალხს ნაციონალური შეგნებით.

საბჭოთა დრამატურგიამ მიიღო და განავითარა მთელი ის ეროვნული ტრადიცია, რომელიც დამკვიდრებული იყო ქართულ დრამატურგიულ ლიტერატურაში. მიიღო და განავითარა ეს ტრადიცია კომედიის ჟანრშიც. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: დრამატურგიას არასდროს არ ჰქონია ისეთი ხვედრითი წონა, როგორიც მან საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა. საბჭოთა ეპოქამ აღორძინა და მანამდე არნახულ სიმაღლემდე აიყვანა ქართული დრამატურგია. ეს უცილობელი ისტორიული ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგია თანამედროვე ქართული მწერლობის სხვა ჟანრებს ერთგვარად ჩამორჩა, იგი მაინც თავისი პირველხარისხოვანი ოსტატებითა და პიესებით საბჭოთა ქართულ მწერლობაში კანონიერად იკავებს საპატიო ადგილს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი პოლიკარპე კაკაბაძეა.

პ. კაკაბაძე კომედიოგრაფია. კომედია დრამის მეტად გავრცელებული ფორმაა, ამავე დროს, ფრიად სერიოზული და საპასუხისმგებლო ჟანრიცაა. როგორც ცნობილია, კომედიაში კონფლიქტი ეფუძნება დაცინვას, — დაცინვას და მხილებას ყოველივე დრომოჭმულისა და სიმახინჯისას. ისტორიულად კომედიის კონფლიქტის საფუძველი მუდამ იყო დაცინვა და მხილება, მაგრამ ეს დაცინვა და მხილება ყოველთვის როდი ემყარებოდა მძაფრ სოციალურ, საზოგადოებრივ ძალებსა და იდეალებს. საკმაოდ გავრცელებული იყო იაფფასიანი, თვითმიზნური ხასიათის კომედიები. საბჭოთა კომედიამ მტკიცედ და მძაფრად (ჯერ კიდევ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახით) განსაზღვრა თავისი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა*. საბჭოთა კომედიოგრაფები, ჩვენი მოწინავე დრამატურგები მუდამ მძაფრად ამხილებდნენ და კიცხავდნენ ყოველივე იმას, რაც ხელს უშლიდა და აფერხებდა ჩვენს წინსვლას. საბჭოთა კომედიის პათოსს განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანების აღზრდის პოზიცია, მისი მორალური კოდექსი, რეალიზმის პრინციპი. ამ პრინციპებით ებრძოდა საბჭოთა კომედიოგრაფი ყოველივე უვარგისსა და დრომოჭმულს. სწორედ ამიტომ მუდამ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საკითხთა იმ სფეროს, რომელსაც საბჭოთა კომედიოგრაფი ჰკიდებდა და ჰკიდებს ხელს. უნდა ვთქვათ, რომ ამ თვალსაზრისით პ. კაკაბაძე ერთ-ერთი საინტერესო და ტიპიური კომედიოგრაფია. მის კომედიებში ყოველთვის გაკიცხულია, მხილებულია, დაცინვის საგნად აღებულია ის, რაც შეუთავსებელია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების გრძნობებთან. ამ გზაზე პ. კაკაბაძის იდეური პოზიცია სავსებით ნათელია და თანმიმდევრულად რეალიზმის პრინციპს ემორჩილება.

პ. კაკაბაძის ისეთმა სრულყოფილმა დრამატულმა თხზულებებმა, როგორიცაა „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“, წარუშლელი კვალი გაავლეს ქართულ საბჭოთა დრამატურგიას. ამათგან ყველაზე უფრო გავრცელებული, ყველაზე უფრო პოპულარული, რომელმაც დიდი

* გ. ციციშვილი. „დრამატურგიის საკითხები“.

სახელი და დიდება მოუტანა დრამატურგს, „ყვარყვარე თუთაბერია“.

მე-20 საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ ორი ლიტერატურული ტიპი წარმოშვა: ერთი და უმთავრესია ტიპი რევოლუციური ადამიანისა, საზოგადოების უკეთესი იდეალებისათვის მებრძოლი გმირისა, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციის რომანტიკით, ურყევი რწმენითა და შემართების პათოსით; მეორეა რევოლუციასთან მიტმასნებულის, პირადი სიკეთისათვის, პირადი გამორჩენისათვის მებრძოლი ტიპი. პირველის, რევოლუციონერის ტიპის, კლასიკური სახე ლეო ქიაჩელმა გამოხატა ტარიელ გოლუას ხასიათში. მეორის, რევოლუციასთან შემთხვევით მიტმასნებულის, ასევე კლასიკური სახე პ. კაკაბაძემ შექმნა ყვარყვარე თუთაბერის სახით. ვამბობთ—თუთაბერიო და არ ვივიწყებთ რომ ასევე დამოუკიდებლად შექმნილი ტიპი მიხეილ ჯავახიშვილისა—ჯაყო—რევოლუციას მიტმასნებული ტიპის კლასიკური სახეა, ოღონდ ამ ხასიათებს შორის მაინც თვალსაჩინო განსხვავებაა. პ. კაკაბაძემ ხალხურ ნიადაგზე შექმნილ ნაცარქექიას სახეს მოარგო, შეუფარდა რევოლუციას მიტმასნებული ტიპი და სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტა მისცა ხალხის მიერ შექმნილ ნაცარქექიას ხასიათს.

მიხ. ჯავახიშვილმა კი რევოლუციის ეპოქაში დაბადებული ახალი ტიპი, — ტიპი კულაკისა, — შენიშნა და ეს სახელი ლიტერატურაში ერავალმხრივ დამუშავებულ მოურავების სახეს შეუფარდა. ამრიგად, ერთის წყარო ხალხური ნიღაბი—ნაცარქექიას ტიპი იყო. მეორის წყაროს გარკვეული ეპოქა წარმოადგენდა და მაინც უნდა ვთქვა, რომ ჯავახიშვილის ჯაყო უფრო უნარიანია, უფრო გამძლე და საშიში საზოგადოებრივად, ხოლო ყვარყვარე — შინაგანად ფუყე და ცარიელი, რომელიც ერთბაშად იჩუტება წინააღმდეგობებთან შეხლაში. ჯაყო უფრო გაიძვერა პიროვნებაა. პირველი ქართულ ხალხურ ნიადაგზე გაჩნდა და უფრო ზოგადია, მეორე კი უფრო კონკრეტული, გარკვეული სოციალური წრის თუ ჯგუფის კლასობრივი წარმომადგენელი. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ გვავიწყდება არც კვაჭის სახე, მაგრამ კვაჭი სოციალისტური რევოლუციამდელი ტიპია, ის რე-

ოლუციას არ წარმოუშვია. ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს და დაიბადოს კვაჭისებური გაქნილი და ავანტიურისტის ტიპი. ავანტიურისტული ტიპი უფრო ძველია. კვაჭი არ არის რევოლუციის მიერ ლოკალიზებული პიროვნება. ხოლო, როცა რევოლუციის მიერ წარმოშობილ ორ გმირზე ვლაპარაკობთ, ორ განსხვავებულ ტიპზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს რევოლუციის დადებითი გმირი და რევოლუციასთან შემთხვევით მიტმასნებული, პირადი ბედნიერებისა და კარიერის მაძიებელი უარყოფითი ადამიანის სახე. ამ მხრივ პ. კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს, როგორც ტიპს, განსაკუთრებული ადგილი უკავია მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში.

მწერალს, რომელსაც ბავშვობის წლები იმერეთში გაუტარებია, ქართულ მწერლობაში თან მოუტანია გასაოცარი მახვილი და თავისებური იუმორი. ამის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები. იმერული იუმორის ელემენტები გვაქვს გიორგი წერეთლის შემოქმედებაშიც. ასეთსავე იუმორს უხვად ვხვდებით პ. კაკაბაძის კომედიებში.

პ. კაკაბაძის პიესები გვხიბლავენ ნათელი და მახვილი იუმორით. ძირითადი აქცენტი დრამატურგს სწორედ ამ მხატვრულ ხერხზე გადააქვს. შეუძლებელია კაცმა პ. კაკაბაძის პიესები წაიკითხოს და თავი შეიკავოს სიცილისაგან. მისი პიესების ყოველი ქვეტექსტი მძაფრ იუმორზეა დაფუძნებული. ეს მხარე კაკაბაძის შემოქმედებისა ყველაზე უფრო ნათლად გამოჩნდა „ყვარყვარე თუთაბერში". რევოლუციასთან მიტმასნებული შემთხვევითი გმირის ბასრი იუმორით გამოხატვა მთავარი პათოსია პ. კაკაბაძის კომედიისა.

„ყვარყვარე თუთაბერი" არ არის რთული პლანის კომედია. მისი სიუჟეტი მარტივია, მაგრამ ფრიად მახვილ და მძაფრ ხასიათზე დაფუძნებული. ხასიათის ეს სიმძაფრე სწორედ რევოლუციური ეპოქისა და სიტუაციის განმარტებასა და განსაზღვრას უკავშირდება.

პიესის ფონი ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეა.

1917 წელი... რუსეთ-ოსმალეთის ფრონტი. ფრონტის პირას წისქვილში კერიასთან ზის ყვარყვარე თუთაბერი,

მეტსახელად — ნაცარქექია. იგი რკინიგზის გეგმას ხაზავს ნაცარში. და, ოცნებით გაამაყებული, წისქვილის პატრონს გაგდებით ემუქრება. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე — (ხელის მოსათბობად დაიხრება კერასთან და აკვირდება ნაცარს) ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გეგმაა, ხომ გესმის, ბებერო. დახედე აქ, რა ამბავია... ეს არის რკინიგზა. აი, აქ იწყება, ასე მიდის... ა... ასე უხვევს და მიადგება ამ მაღალ მთას. ახლა აქედან გზა სად წავა, შე ძველო, აბა, თუ მიხვდები?

პიესის დასაწყისშივე ერთბაშად შემოდის ყვარყვარე მთელი თავისი გონებრივი ავლადიდებითა და სულიერი სიღატაკით. ერთბაშად ნაცნობი ხდება ჩვენთვის ეს უნიადაგო ფანტაზიორი ნაცარქექია. შემდეგ ირკვევა, რომ ნაცარქექიას რამდენიმე დღის წინათ ფრონტისპირა უბანში, საიჯარო სამუშაოზე თავისი თანასოფელი გლეხები — კაკუტა და ქუჩარა წამოუყვანია, რათა ამ ძლიერი ფიზიკური აღნაგობის გლეხების შრომით თავი გაეტანა. შემდეგ მათ საქმე მობეზრებიათ, ზარმაცი ყვარყვარე იქიდან გამოქცეულა და მეწისქვილეს შეჰყედლებია. ყვარყვარე იმდენად უქნარაა, რომ გარეთ დაგდებული ხის დაჩეხვა და წისქვილში შემოტანა ეზარება. სწორედ ამ დროს წისქვილში კაკუტა და ქუჩარა შემოდიან და შემოაქვთ მოკლული ოსმალო ჯარისკაცის ტანსაცმელი. ამ ნადავლს ყვარყვარე წაართმევს მეზობლებს და თავად ჩაიცვამს. წისქვილში სევასტი და გულთამზე შემორბიან. ამ დროს მოისმის სროლის ხმა. შემოიჭრებიან მეფის ჯარისკაცები, რომლებიც განთქმულ რევოლუციონერს დაეძებენ. ეს რევოლუციონერი სევასტია, რომელიც მეწისქვილის ქალიშვილთან, გულთამზესთან ერთად ჯარისკაცებში ბოლშევიკურ პროკლამაციებს ავრცელებს. ჯარისკაცები გადაცმულ ყვარყვარეს რევოლუციონერად მიიჩნევენ და აპატიმრებენ; გულთამზე ყვარყვარეს მეგობრობას ჰპირდება და ემუდარება არ გათქვას ნამდვილი რევოლუციონერი სევასტი. აქედან იწყება ყვარყვარეს გამოგონილი რევოლუციონერობა და მისი „ღვაწლი“ რევოლუციის წინაშე.

საკმაოდ კომიკურად არიან წარმოდგენილი მეფის მოხე-

ლეები, შტაბის მუშაკები. ყვარყვარეს, როგორც განთქმულ რევოლუციონერს, ფრიად სერიოზულ საქმეს შეუდგენენ და ჩამოხრჩობას მიუსჯიან. დადგა განაჩენის სისრულეში მოყვანის ჟამი. ამ დროს შემოაქვთ დეპეშა, რომელიც მეფის გადადგომასა და დროებითი მთავრობის შექმნას იტყობინება. დამფრთხალი გენერლები და შტაბის მუშაკები ქედს იხრიან „რევოლუციონერის" წინაშე და ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაამებელი როლი შეასრულონ მის წინაშე. ასე გახდა ყვარყვარე „რევოლუციონერი". ასე გამოდის იგი სამოქმედო ასპარეზზე ჯერ დროებითი მთავრობის, ხოლო შემდეგ მენშევიკური ხელისუფლების დროს.

მწერალმა ყვარყვარეს გვერდში ამოუყენა უნიათო ინტელიგენტი ტიტე ნატუტარი. ტიტე თავისი სულიერი სიღატაკით თავისებური ნაცარქექიაა. ის დიდად არ განსხვავდება ყვარყვარესაგან, თუმცა უფრო განათლებული კაცის სახელიც აქვს მოპოვებული. ნამდვილად ისიც ისევე მიეტმასნა რევოლუციას, როგორც ყვარყვარე. ეს ორი კაცუნა — ყვარყვარე და ტიტე ნატუტარი — მწერალმა მძაფრი სატირისტული ფერებით გამოხატა.

მოვიგონოთ მათი დიალოგი.

„ტ ი ტ ე — მე წინასწარმეტყველივით ვხედავ თქვენს სახეში უდრეკ ძალას, რომელიც დაეუფლება დიდ სახელმწიფოს, თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგჭირდებათ გვერდით პოლიტიკოსი, მეცნიერი. ასეთი მე ვიქნები. თქვენ მაგრად დაიჭერთ ხელში მოთურგვნილ ქვეყანას. მე კი მას სამოთხედ გადავაქცევ. მე ახლავე შემიძლია დავჯდე და დახუჭული თვალით დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — სუფთად დაწერე და მაჩვენე.

ტ ი ტ ე — და როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენდება, ყველა ჯვარს ეცმება ხალხისათვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გავაზეციურეთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — თუ ეგ ჭკუა არ გაგექცა თავიდან, შენისთანა მეცნიერი ქვეყანაზე მეორე არ იქნება. ასე მგო-

ნია, რაც ცეცხლისპირად ნაცარში გეგმები მიქექია, ვითომ ესაა ახლა მომყავს ცხოვრებაში.

ტ ი ტ ე — ო. რა საამურია ზამთარში შუაცეცხლთან ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე. ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე ტირილი და ოცნება".

ასე მკაფიოდ ხატავს პ. კაკაბაძე ამ ორ კაცუნას, ამ ორი „რევოლუციონერის", ამ ორი „სარდლის" სახეებს და ჩვენ ნათლად ვხედავთ მათს უსუსურობასა და უნიათობას, ვხედავთ იმ ხელისუფლების უსუსურობასაც, სადაც ყვარყვარე და ტიტე ნატუტარი განაგებენ ქვეყნის ბედს. როცა ამ დიალოგს ვისმენთ, არა მარტო ვიცინით გულიანად, არამედ, ამასთანავე, გული გვტკივა, რომ რევოლუციის ბედი ასეთი კაცუნების ხელში აღმოჩნდა. მათი სამოქმედო ასპარეზი თებერვლის რევოლუციისა და საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების პერიოდია. სამწუხაროდ, ნაცარქექიას ამ ტიპს, ყვარყვარესაც, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიც ხელთ ჩაუვარდა ძალაუფლება. ამგვარმა ადამიანებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს რევოლუციასა და ჩვენს ხალხს.

პ. კაკაბაძემ შესანიშნავად შენიშნა ცხოვრების მიერ შემთხვევით ამოტივტივებული ეს ადამიანები და მძაფრ სატირულ ფორმაში გააცოცხლა ყვარყვარეს — ნაცარქექიას სახე. პიესის მთელ მანძილზე ჩვენ ნათლად ვგრძნობთ დიდებულ მხატვარს, რეალისტს, რომელიც მთელი სისრულით აქანდაკებს ნაცარქექიას ტიპს.

„ყვარყვარე თუთაბერი" ხალხური ნაცარქექიას მეტად ორიგინალური და თავისებური სახეა. ძველი ხალხური ზღაპრების მიხედვით, ნაცარქექია ბოროტი როდია, ხალხი მას დასცინოდა მხოლოდ სიზარმაცისა და ბაქიაობის გამო. ნაცარქექია სიზარმაცის, ტრაბახისა და, ამავე დროს, ჭკუამახვილობის ხალხური ნიღაბია.

სულ სხვა პლანით წარმოადგინა ეს ტიპი პოლ. კაკაბაძემ. მან ყვარყვარე თუთაბერი წარმოსახა, როგორც უქნარა, ზარმაცი, ხოლო შემდეგ შემთხვევით ამოტივტივებული და მიტმასნებული რევოლუციასთან. ამ ფონზე, ამ ხასიათში — ცრურევოლუციონერის ხასიათში — ავტორმა წინ წამოსწია

გაიძვერა, პირფერი ადამიანის ტიპიური და განზოგადებული თვისებები.

დრამატურგმა მკვეთრად გამოამზეურა ცრურეკოლუციონერის ნიღაბში გამოვლინებული ყველა მანკიერება, ნაცარქექაობასთან დაკავშირებული: ტაციობა, სიზარმაცე, უქნარობა, ყალბი ოცნებები და ბოროტებანი. კომედიაში ხაზგასმულია ამ უსირცხვილო და ტრაბახა ყვარყვარე თუთაბერის ბუნება. ყვარყვარე თუთაბერს სურს მეწისქვილეს თავი მოაჩვენოს ყოვლისშემძლე გმირად და ამისათვის მოწვედ იყენებს თავის მეზობლებს ქუჩარასა და კაკუტას. ის მათთან ასეთ საუბარს მართავს:

„ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (მუქარით) ჩვენ სოფელში ერთხელ ხელით რომ ხე მოვთხარე, არ გახსოვთ?

ქ უ ჩ ა რ ა — არ ვიცი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გზაში რომ დიდი ლოდი მოვხეთქე და მთიდან გრიალ-გრიალით დავაგორე, ის ხომ თქვენი თვალით ნახეთ?

კ ა კ უ ტ ა — როდის ვნახეთ?

ქ უ ჩ ა რ ა — (ყვარყვარეს) ამ ნასისხლარს თუ მოგვცემ, ყველას ისე ვეტყვით, რომ მართალია-თქვა.

კ ა კ უ ტ ა — სულ ბატონოს დაგიძახებთ, სხვამ რომ გაიგონოს, ჩვენ არ გავერევით.

მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე — დაუბრუნე, კაცო, მათი ნაცოდვილევი, მთელ ქვეყანაში გაგლანძღავენ, რათ გინდა?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (დაშოშმინდება) მე, რასაკვირველია, ფულს სახელი მირჩევნია.

კ ა კ უ ტ ა — (ქუჩარას) დაშოშმინდა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გული არ მომაყვანიოთ, იცოდეთ, არ გამაბრაზოთ, თორემ ფეხებში რომ მოგკიდებთ ხელს, თავებით მიგაწყვეტთ იმ წისქვილის ქვაზე... მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცი თუ არ მოვკალი, ავად გავხდები!“

როგორ გვაგონებს ეს სიტუაცია და დიალოგები დევებთან მებრძოლი ხალხური ნაცარქექიას მდგომარეობასა და ცრუტრაბახს? და ყვარყვარე მთელ თავის მოღვაწეობაში ამ ცრუ ფანდებსა და ხერხებს მოხერხებულად და ჭკუამახვი-

ლურად იყენებს. როდესაც იგი ცრურევოლუციონერის სახელით გამოვა ასპარეზზე, უკვე მიხვდება, რომ საჭიროა შეიქმნას ბიოგრაფია და, აი, კვლავ მიმართავს იგი მის მიერ დაბრიყვებულ კაკუტასა და ქუჩარას ასეთი ბიოგრაფიის, უფრო სწორად, — ცრუბიოგრაფიის, მოწმეობისათვის:

„ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ახალთაობის კაცად მიცვნეს, ხელმწიფის მტრად გამომაცხადეს.

კ ა კ უ ტ ა — (ქუჩარას) ეე, ხომ გესმის?

ქ უ ჩ ა რ ა — (ყვარყვარეს) მერე მაგისთვის თავზე ხელს დაგისვამენ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — თავზე ხელს დამისვამენ კი არა, კიდეც ჩამომახრჩობენ. დავიღუპე კაცი, ჩემს საფლავს პატრონი ვერც კი მონახავს და ცოდვით გიბარებთ მამაჩემს, წყვიწყვის, ასე უთხარით: მისთანა ვაჟკაცურ შვილს ნაცარქექია რომ შეარქვი, ცოლი არ ათხოვე და კეტით გააგდე საშოვარში, ეს მოეწია-თქვა... ასე გადაეცით, სახრჩობელაზე რომ გაჰყავდათ, იქიდან შემოგითვალა, ძაღლი ჩაგაკვდა სულში-თქვა.

კ ა კ უ ტ ა — შე საწყალო, ა, ახლა რისთვის შეგხვდა ეს შენ?

ქ უ ჩ ა რ ა — ეჰ, საწყალი, დაღუპული.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ამაყად) ახალთაობის საქმისათვის.

კ ა კ უ ტ ა — რომ არ იყავი შენ მაგისთანა კაცი?!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (თოფნაკრავივით) როგორ არ ვიყავი! მაშ პოლიციას ვემალებოდი და თქვენისთანა ენატარტალებს ვეტყოდი? ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი“.

ასე ცდილობს ყვარყვარე-ნაცარქექია, ცრურევოლუციონერის როლში მოვლინებული, ყალბად შეთითხნოს თავისი რევოლუციური წარსული და ცრუმოწმეებად თავისი მეგობრები კაკუტა და ქუჩარა დაიყენოს. მაგრამ დრამატურგი შესანიშნავად ამხელს ამ მოჩვენებითი რევოლუციონერის ტრაბახში ყვარყვარეს ნამდვილ ბუნებას. საკმარისია ყვარყვარეს ოდნავ წინააღმდეგობა შეხვდეს, ის მაშინათვე უკან იხევს და თავის ნამდვილ სახეს, ნაცარქექიას სახეს, ერთბაშად ავლენს.

გულთამზე ყვარყვარეს წყალობას შეჰპირდა, მაგრამ როცა ყვარყვარე საზღვარს გადავიდა, საქმეში სევასტი ჩაერია

და მკაცრად შეუტია მოწინააღმდეგეს. ყვარყვარე ერთბაშად უკან იხევს:

„გ ულ თ ა მ ზ ე — (იცინის) როგორ უცბად მოიკუნტა!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (კანკალებს) თუ ისეთი რამე მოვახერხე, რომ არ დამახრჩონ, სწორედ მოსალოცი ვიქნები. (სევასტის) შე კაცო, ხელმწიფეები მორიგებულან და ჩვენ რა?

ს ე ვ ა ს ტ ი — სულ მთლად უსუსურია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (სევასტის) ღონე კი მაქვს, მაგრამ შენისთანა პატიოსან კაცს თითი როგორ დავაკარო, კაცს ხელს როგორ შემოვარტყამ, სინდისი გობქვეშ კი არ შემინახავს?!“

ასე ერთბაშად ნათელი ხდება ჩვენთვის ყვარყვარეს ნაცარქექიაობა, მაგრამ, რადგან მას ბედმა შემთხვევით არგუნა „რევოლუციონერის“ ბედი და ასპარეზზე გამოიყვანა, იგი უკან როდი იხევს, თავს მაღლა ასწევს და ნამდვილი რევოლუციონერის სახელის დამკვიდრებას ლამობს. ნამდვილი რევოლუციონერისა კი მას არაფერი ეცოცხო.

თვითონ ყვარყვარეს მეტად თავისებური შეხედულება აქვს შემუშავებული რევოლუციონერზე, სოციალისტზე: „მე სოციალისტები უფრო მიყვარს, ისინი რომ ქადაგებენ, სწორედ ჩემი საქმეა, რომელ სახლშიაც გინდა, შედი და მოირთხი მაგრად ფეხი, სმა-ჭამა სულ ეუქთი იქნება. მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს ეკლესიაში დავკიდებდი, სულ წმინდანებივით წვალობენ ხალხისთვის, მეც ხალხისთვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე“.

აი, როგორ ესმის ყვარყვარეს სოციალისტის მოვალეობა და არსი, და როცა თვითონ მოგვევლინება „სოციალისტის“ როლში, ხალხს ტყავს აძრობს, დაუნდობლად და ბოროტად ეპყრობა, პირადი გამორჩენისათვის და ბედნიერებისთვის იბრძვის. რევოლუციას შემთხვევით მიტმასნებული ყვარყვარე თავის თანამოზიარე ყაჩაღებს, აბრაგებს შეკრებს და ხალხს ზურგზე ბოლს აადენს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშიც აგრძელებს იგი პარპაშს და ხალხიც, საკუთრებით ბუნებრივია, უკმაყოფილოა ამ ყაჩაღისა და ბოროტი „რევოლუციონერის“ მოქმე-

დებით. ერთ-ერთი მოქმედი პირი ასე ახასიათებს ყვარყვარეს: „ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მარა რათ გინდა, ვინც ცაწყალი ნახა, ზურგზე ბოლი აადინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი გადაუსვა“. უდანაშაულო ადამიანებს კი იგი ციხეში ჯრის და, თან, მუქარით მიმართავს: „დაურთეთ თოფის კონდახები. ისე მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ... შენ, ეჰეი, მაგას თავი გაუხეთქე და მაშინ შეუშვებს შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს. ოო, შედენეთ იმ სარდაფში, კარი გამოუხურეთ, ჭორჩა“... ასე უმასპინძლდება იგი პატიოსან და მშრომელ ხალხს.

როგორ გვაგონებს ყვარყვარეს ეს მძარცველური ბუნება ჯაყოს, — ჯაყოს, რომელიც ასევე მიტმასნებულია რევოლუციას და მაუზერით აშინებს და არბევს ხალხს. ყვარყვარე, ჯაყოს მსგავსად, ხალხს ართმევს და სახლში ეზიდება ყველაფერ კარგსა და ძვირფასს:

„ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, ეს ხომ ჩემი ამორჩეულია, სადაა სხვა საქონელი? ჰოდა, იქ შეიტანეთ, რევკომში? ეს მე მაჩუქეს, მუშათა კლასს რომ ვემსახურები, ბოისათვის... (ანჩხლად) და ჩემი საქონელი მიგაქვთ რევკომში, თქვე თვალდაფსებულებო?“

ამგვარი დეტალები საკმაოდ ნათლად გვიხატავენ ყვარყვარე თუთაბერის ანტიხალხურ ბუნებასა და ხასიათს. ყოველივე ეს დრამატურგმა შეუფარდა დროებითი მთავრობასა და მენშევიკების უდღეურ მთავრობას და ამ ფონზე გვიჩვენა შემთხვევითი ადამიანების რევოლუციონერობა, მათი ბოროტმოქმედებაც, უნიათობაცა და არარაობაც.

ყვარყვარე სრულყოფილად დახატული გმირია, ტიპიზებული და განზოგადებული სახე ნაცარქექიასი, რევოლუციონერის როლში წარმოდგენილი. სავსებით ბუნებრივია, რომ ყვარყვარე თუთაბერის სახელი დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაში და მეტსახელად იქცა.

კომედიოგრაფმა მძაფრად ამხილა ეს ცრურევოლუციონერი. ჩვენ სავსებით გვჯერა ხევასტის სიტყვები, როცა იგი ნიღაბს ხდის ყვარყვარეს და ასე ახასიათებს. „ის მეფის დროს ჩემ მაგიერ დაიჭირეს და ამ შემთხვევის წყალობით თავი გაუსაღებია ძველ რევოლუციონერად... ჩვენი გამოძიებით კი

ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილად ჭკუანაკლებია. ხოლო ამ უნიადაგო ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე არსებობდა, იმ მთავრობაში შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისათვის ვნება მიეყენებინა. ჩვენ კი ახლა მას ნიღაბი მოვხსენით და მან თავისი ნამდვილი სახელით, ნაცარქექიას სახელით, იაროს ქვეყანაზე".

ასეა მხილებული პ. კაკაბაძის მიერ ყვარყვარეს ხასიათი. და ამაში ნათლად გამოჩნდა საბჭოთა დრამატურგის პოზიცია კომედიური ჟანრის დრამატულ თხზულებაში: მან დასცინა ყვარყვარეს ხასიათს, მაგრამ ეს სიცილი თვითმიზნური როდია. აქ მხილებულია და საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოყვანილი შემთხვევითი რევოლუციონერის სახე, რომელსაც კომედიაში ისეთი ფუნქცია აქვს მინიჭებული, რომ მისი მოქმედება და მდგომარეობა სასაცილოა, ხოლო დამოკიდებულება დრამატურგისა სავსებით ნათელია და ასევე მძაფრი ტენდენციით გამოვლინებული. ამ თვალსაზრისით „ყვარყვარე თუთაბერი" ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კომედიაა.

დრამატურგმა პიესის არც სხვა მოქმედ პირებს დააკლო ფერები და საღებავები. ავტორმა ყვარყვარეს გვერდში ამოუყენა ცხოველური ინსტინქტებითა და ვნებებით აღჭურვილი, ჩლუნგი და დაჩიავებული ადამიანები — კაკუტა და ქუჩარა. მწერალმა ამით გვითხრა, რომ ძველმა ცხოვრებამ ძირს დასცა ეს ლუმპენ-პროლეტარები, მიწასთან გაასწორა მათი ადამიანური ინსტინქტები და გრძნობები. ასეთი პიროვნებების ხასიათს მან მკვეთრად დაუპირისპირა მოწინავე, ნათელი, რევოლუციური შეგნებისა და რწმენის მატარებელი ადამიანების სევასტის და გულთამზეს ხასიათი. მართალია, ეს სახეები ესკიზურია, მაგრამ მათ პიესის კომპოზიციაში გადამწყვეტი ფუნქცია აქვთ მინიჭებული. სევასტისა და გულთამზეს სახით ჩვენ ვხედავთ სოციალისტური მორალის, მრწამსისა და იდეალების გამომხატველ ადამიანებს. მათში ნათლადაა გამოკვეთილი დადებითი გმირების ხასიათი და ნიშანდობლივი თვისებები. ყოველივე ამ გარემოებამ განაპირობა „ყვარყვარე თუთაბერის" დიდი თეატრალური და ლიტერატურული ღირსებანი.

„ყვარყვარე თუთაბერი“ დაუბერებლად შერჩა ჩვენს ქართულ სცენას. ის პოპულარობა და დაფასება, რაც ქართული თეატრის უბადლო ოსტატმა კოტე მარჯანიშვილმა მოუპოვა ამ პიესას ქართულ სცენაზე განხორციელებით, ის დიდი რომანტიკა და ბრწყინვალება, რაც მიანიჭეს მას უშანგი ჩხეიძემ, სანდრო ჟორჟოლიანმა, შალვა ღამბაშიძემ და კაკო კვანტალიანმა როლების განუმეორებელი შესრულებით, დღემდე რჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც წარუშლელი თეატრალური სანახაობა. მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული ცნობილი ოსტატების დამსახურება პიესის სახეების გახსნაში, „ყვარყვარე თუთაბერის“ თეატრალური გამარჯვების საწინდარი მაინც ავტორის ჩანაფიქრი, ნაწარმოების ლიტერატურული ღირსებებია.

. დიდი პოპულარობა ხვდა წილად პოლ. კაკაბაძის მეორე დრამატულ ქმნილებასაც — „კოლმეურნის ქორწინებას“. აქ კვლავ გამოჩნდა მდიდარი, ხალხური, კოლორიტული მეტყველება, ამოუწურავი იუმორი, ქართული მახვილსიტყვაობა, რაც ასე დამახასიათებელია საერთოდ პოლ. კაკაბაძის დრამატურგიული სტილისათვის.

პიესა ასახავს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას. ავტორმა შესანიშნავად გამოიყენა კომედიის ჟანრი იმ მძაფრი ბრძოლების გადმოსაცემად, რაც წარმოებდა ძველსა და ახალს შორის საკოლმეურნეო მშენებლობის წლებში. აქ შესანიშნავი კომიკური სიტუაციებითაა მხილებული ყოფილი აზნაურები და მათთან დაკავშირებული უქნარა ადამიანები. სოციალისტური შრომის რომანტიკა, საკოლმეურნეო ცხოვრების მღელვარე დღეები უფრო ნათელს ხდიან ამ დროგადასული და ფერგადასული ადამიანების უბადრუკობასა და უნიათობას. მეორე მხრით, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა დიდი სილამაზე და მშვენიერებაა შრომაში, როგორ აკეთილშობილებს ადამიანს, როგორ ამაღლებს, როგორ უქმნის სახელსა და დიდებას შრომა და მხოლოდ შრომა.

შრომის ფონზე გამოხატა მწერალმა მოწინავე ჩაის მკრეფავი ქალის გვირისტინეს სახე და ხასიათი. გვირისტინე რიგითი მუშაკია, მაგრამ მან თავის მეგობრებსა და ამხანაგებს შორის ისე ისახელა თავი, რომ ამ შრომით არა მარტო

დიდი დოვლათი შეიძინა, არამედ დიდი სახელიც მოიპოვა. გვირისტინეს, როგორც მოწინავე სტახანოველ ქალს, მოსკოვში გზავნიან, იქ მას თათბირზე პატივისცემით უსმენენ და ბოლოს ამ გამრჯესა და მშრომელ ქალს ორდენითაც აჯილდოებენ. თავის სოფელში დაბრუნებული გვირისტინე თანასოფლელებს მოუთხრობს იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მან მოსკოვში მიიღო.

გვირისტინეს მაგალითში თანასოფლელები თავიანთი ცხოვრების აზრსა და შინაარსს ხედავენ. აკი შენიშნავს ერთი კოლმეურნე: „ამხანაგებო, გვირისტინეს სიტყვები იმიტომ მოვისმინეთ აღტაცებით, რომ მისი ამბავი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების ნაწილია". კომედიის პათოსს სწორედ ამ მოწინავე ადამიანის შრომის რომანტიკა განსაზღვრავს. ერთი მხრით, მწერალმა ეს მოწინავე მშრომელი ადამიანები — გვირისტინე, ირინე, მირიანე, შატო, ჯამლეთი, მიტო წარმოადგინა, როგორც სოფლის მოწინავე ადამიანები, და მათს ხასიათში გამოხატა სოფლის ახალი ცხოვრების მთელი პათოსი, მეორე მხრით, ავტორმა ამ ადამიანებს დაუპირისპირა უქნარა ადამიანთა მთელი ხროვა. მაგალითად, აზნაური მანუჩარი ძველი აზნაურული ფსიქოლოგიითა და მოქმედებით. ამ გუდამშიერ და სულნამცეცა აზნაურს გვერდს უმშვენებს უსაქმური ლომკაცა, მაჩანჩალა ვატა და სოფლის ჭორიკანა კაკალა. ამ ნაძირალთა წრეს აგვირგვინებს უყაირათო ხარიტონი, ბუქნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მათი შინაგანი მახინჯი სულიერი სამყარო პიესაში კარგად არის მხილებული. ყველაზე უფრო მძაფრად გამოძერწილია მანუჩარის სახე.

მანუჩარი დაეით კლდიაშვილის გმირთა გალერეას მოგვაგონებს, — თითქოს იგი კლდიაშვილის აზნაურთა სამეფოდან საკოლმეურნეო გარემოში შემთხვევით გადმოსახლებულა. იგი კუდაბზიკური აზნაურული ფსიქოლოგიით დიდად გვაგონებს შემოდგომის აზნაურების ტიპებს. დ. კლდიაშვილის სამანიშვილი არ კადრულობს ქვეითად სიარულს, — ეს შეურაცხყოფად მიაჩნია და ეთაკილება. აზნაურული ფსიქოლოგია უკარნახებს პლატონ სამანიშვილს მეზობლისაგან ითხოვოს გაძვალტყავებული ცხენი; არც მანუჩარი კადრულობს

ქვეითად სიარულს... აი, როგორი საუბარი იმართება მანუ-
ჩარსა და მის ყოფილ ყმას შორის:

„მ ა ნ უ ჩ ა რ ი — ამ დილას ჩემი თეთრი ცხენი შევკაზმე.
ნ ა ხ უ ლ ი — კიდევ ცოცხალია, ბატონო, ის თეთრი ცხენი?
მ ა ნ უ ჩ ა რ ი — ნეტავ მგელს დროზე შეეჭამა, დაბერდა,
ექვსი თვეა ზედ არ შევმჯდარვარ, ამ დილას კი ვიკად-
რე, მაგრამ ძალიან ფორხილობდა... მერე მგზავრების
შემრცხვა და შუკაში გადმოუხვიე, აქ კი მათრახმაც არ
უშველა... ბოლოს წაიქცა და ფეხი გაჭიმა იმ ოხერმა.“

როგორ გვაგონებს ეს დეტალი იმ ამბავს, რომელიც პლა-
ტონ სამანიშვილს გადახდა. მანუჩარი პიესაში წარმოდგენი-
ლია, როგორც ცხოვრებისაგან დაჩიავებული, დაღარიბებუ-
ლი, უქნარა, უყაირათო, სულნამცეცა აზნაური, რომელსაც
ახალ ცხოვრებაში, საკოლმეურნეო ვითარებაში ადგილი ვერ
უპოვია და სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. კარგად შენიშ-
ნავს ჯამლეთი: „მანუჩარი ძველი მემამულეა, ჩვენთვის სასი-
კეთოს არაფერს გააცხადებს, ეგი ნიჩაფზე დასადებია“. მანუ-
ჩარს არც თავისი შვილი ჯიბილო ჩამორჩება. ისიც უქნარაა.
მანუჩარი დასცინის ახალ დროს და იოლად უნდა ფონს გავი-
დეს, მაგრამ ამას როდი ახერხებს და მთელ იმედებს იმაზე ამ-
ყარებს, რომ ეგებ მისი შვილი ჯიბილო კოლმეურნეობაში მიი-
ღონ. უქნარების ეს წრე პიესაში მკვეთრად არის მხილებული.

პიესის კომიკური ხასიათი ემყარება გაუგებრობას, რომ-
ელიც კონფლიქტის საფუძვლად არის შექმნილი. ჯერ არის და
ეს გაუგებრობა გვირისტინესა და მირიანეს ურთიერთობას,
მათს სამიჯნურო თავგადასავალს შეეხება. ჭორიკანა ვატა
ხმებს ავრცელებს, თითქოს გვირისტინე ცოლად მიჰყვება
მანუჩარის შვილს ჯიბილოს. შეურაცხოფილი მირიანე გვი-
რისტინესაგან ნაჩუქარ ხალათს უკანვე უბრუნებს საცოლეს.
მეორე მხრივ, ჯიბილოსა და ირინეს სამიჯნურო ამბავშიაც
ჭორიკნები ასეთივე ჭორის ბადეს მოქსოვენ. ამ გაუგებრო-
ბათა ფონზე დრამატურგი საინტერესო კომიკურ სიტუაციებს
ქმნის და პიესის სიუჟეტიც ასე ვითარდება და იხსნება. უნ-
და ვთქვათ, რომ ამ პიესაში არ არის ისეთი მძაფრი კონფ-
ლიქტი, როგორიც თუნდაც „ყვარყვარე თუთაბერშია“. მაგრამ
ამ სიუჟეტურ ნაკლს ავსებს მდიდარი ხალხური იდიომები,

ანდაზები და თქმები, ხატოვანი სიტყვები, რომლებითაც მდიდარია ხსენებული პიესა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი პოპულარობაც. აქვე უნდა აღინიშნოს ნიჭიერი მსახიობის გ. შავგულიძის დამსახურება პიესის პოპულარიზაციის საქმეში. მისი ხარიტონი განუმეორებელია და წარუშლელი დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

საკოლმეურნეო თემაზე დაწერილ ამ პიესას მოჰყვა პოლ. კაკაბაძის კომედია „დავით მერვე". ამ კომედიით პოლ. კაკაბაძე ყვარყვარეს შემდეგ კვლავ მიუბრუნდა მდიდარ ხალხურ ნიღბებს და თავისებურად გამოიყენა ისინი წარსულის სურათების გადმოსაცემად.

პიესა „დავით მერვე" გვიხატავს საქართველოს ისტორიის იმ შავბნელ დროს, როდესაც ქართველი ერი შემოსეულ მტერთაგან დროებით დათრგუნვილი აღმოჩნდა. ქვეყნად ქოსატყუილები, ნაცარქექიები მომრავლდნენ. დაშინებული და წელში გატეხილი ხალხი, მთებში გახიზნული და გადამალული, ელოდა გმირს და ერის ხსნას, ხვალინდელი საქართველოს ბედს მასზე ამყარებდა. მტრისაგან აოხრებული და აკლებული საქართველო ამ ყველაზე შავბნელ ვითარებაშიაც იმედს არ კარგავდა; ხალხის ეროვნული სული საბოლოოდ გაუტეხელი აღმოჩნდა. მაგრამ კომედიაში ის გმირი, რომელსაც ხალხი მოელის, არ ჩანს, ბნელი ძალები კი ამით სარგებლობენ და უმოწყალოდ ჩაგრავენ, არბევენ ხალხს, უნამუსოდ ყიდიან ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთ ვითარებაში დრამატურგი უპირისპირებს ორ ძალას: ერთ მხარეზე წარმოდგენილია მშრომელი, პატიოსანი ხალხი, ჩაგვრისა და მონობისაგან წელში გაწყვეტილი, მაგრამ ეროვნულად გაუტეხელი, მეორე მხარეზე ერთი მუჭა ფუქსავატი არისტოკრატია, რომელიც მლიქვნელობს დამპყრობელთა წინაშე, ხოლო ხალხს ორმაგად ტყავს აძრობს. აი, მაგალითად, მეფის ტახტის პრეტენდენტი, ყაენის ერთგული ბახტანგ-ხანი, რომელიც გადაგვარებულა და დაუვიწყნია თავისი სამშობლოს ინტერესები. ეგოისტური ზრახვებითა და განდიდების მანიით შეპყრობილ ტახტის მაძიებელს საკუთარი პირმშოც გაუწირავს: მზადაა თავისი ულამაზესი ქალიშვილი ყაენს მიჰგვაროს, რათა მისი გული მოიგოს.

ასეთია ისტორიული ფონი, რომელსაც მწერალი მუქი ფერებით გამოხატავს თავის კომედიაში. მაგრამ აქ ყველაფერი პესიმისტური სულისკვეთებით როდია დახატული. ასეთ მძიმე ისტორიულ ვითარებაშიაც მწერალი ხედავს, რომ ერის ძალები არ დალუპულა. მწერალს პიესაში შემოჰყავს ხალხის მოწინავე წარმომადგენლები, რომელთა მოქმედებაშიც განზოგადებულად გამოხატულია ხალხის სოციალური, ეროვნული თვითშეგნება. ასეთია, მაგალითად, გულქანი, რომელიც ამხელს ცრუპატრიოტებსა და სამშობლოს გამყიდველებს. მოვიგონოთ მისი საუბარი ბახტანგ-ხანთან:

„ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — ნუ გენაღვლება, ჩემს თავს სიკეთეს არ მოვაკლებ, ქვასაც კი წვენს გავადენიებ ჩემი გულისათვის.

გ უ ლ ქ ა ნ ი — ღმერთმა შეგარგოს, ოღონდ ქათამიც კი წყალს რომ დალევს, ცას შეხედავს. ცალი თვალით ხალხსაც უნდა შეხედო.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — ორივე თვალითაც ვაკვირდები, მაგრამ რაც არაფერი არა აქვთ, რა წავართვა... ეხლა მაინც ისე დაშიშვლებულან, ტანზედაც ვეღარ ვხდი.

გ უ ლ ქ ა ნ ი — მადლი გერგება, თუ შემოსავ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — არა უშავს, ამდენი ხალხი შიშვლადაც რომ გავყიდო, მე ძვირფასად შემომსავს.

გ უ ლ ქ ა ნ ი — რაც მე გზაში მათი ტანჯვა დავინახე, ის რომ გაიგო, კიდევ გაყიდვას არ დააპირებ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — მაშ ყაენის ვალი როგორ დავფარო?

გ უ ლ ქ ა ნ ი — რა ვიცი... ღმერთთანაც ხომ მოვალე ხარ!

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — ღმერთის ვალი რომელ მეფეს გადაუხდია? ეე, მაგ ჭკუით მე ოქროს ტახტზე კი არა, ქვაზედაც ვერ დავდგები.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (ერთმანეთს) ხედავთ, როგორ ბრძნულად წვრთნის თავის ასულს!

ლ ი პ ა რ ი ტ ე — მიმინოსავით წაფავს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — (იცინის) მე კი არა, ღმერთის ვალი ბერს ვერ გაუსტუმრებია ასი წლის ლოცვით.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (ერთმანეთს) გესმით, გესმით, პატიოსანნო...

ლ ი პ ა რ ი ტ ე — ეჰ, ასე ჭკუის სწავლება არც მე მაწყენს.

გ უ ლ ქ ა ნ ი — ამას განგებ ამბობ, მამა პატიოსანო, თორემ ხალხს შენ არ გასწირავ გასასყიდად, ოღონდ გული, ეს ოხერი, მუქარაზეც კანკალებს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — მაშ მარტო შენს თავს დამჯერდება ყაენი?

გ უ ლ ქ ა ნ ი — არა, ჩემი თავი ტყუილია,- მამაჩემო, ეშმაკს კბილებს მოკვეთავს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — მაშ აქაურს თუ გაგატანე შენს ნებაზე, რა ოქროს ფარჩებს მომართმევს?

გ უ ლ ქ ა ნ ი — ფარჩები იცვითება, სინდისი და პატიოსნება კი ორივე ქვეყანაში მიყვება სათნოებად.

ბ ა ხ ტ ა ნ გ-ხ ა ნ ი — ოჰო, წუნსაც მდებ პატიოსნებაში?

გ უ ლ ქ ა ნ ი — არა, მამა ბატონო, მე რა წუნია ქოთანი ვარ... ბრძანდებოდე მანდ, ოქროს ტახტზე, სულ ფეხის გულს გფხან, ოღონდ იმ უცხო კაცის პირში, ჩის ურჯულო საქეჯნელზედ ნუ ჩამომაცმევ, აქ მომკალი... ჩემი ქვეყნის ღრუბელი დამადნება. ეს მითქვამს და სარიც აქ დამისვია".

პიესას თავიდან ბოლომდის გასდევს ეს პატრიოტული მოტივი, რომელსაც გულქანი ასე თანმიმდევრულად იცავს დამოწმებულ დიალოგში.

კომედია ხაზს უსვამს იმ ეროვნულ და სოციალურ დაკნინებას, რომელიც დავითისა და თამარის საქართველოს თავს დაატყდა, როგორც დიდი ეროვნული უბედურება. ეს დაკნინების სურათი პიესაში გამოხატულია უკაცურების, უქნარების, ქოსატყუილების, ცრუ გმირისა და „ბრძენი" კაცის სახით. აი, ისინიც: ქოსატყუილა ლიპარიტე, უქნარა და დიაცთა მოყვარული შოშკობა, ნაცარქექია გოსტაშაბი, სხვისი ნასუფრალის შემყურე, ბრძენი კაცის სახელით განთქმული, მაგრამ სულიერად ღატაკი და უქნარა როსტომ ბრძენი, დაშინებული და დამფრთხალი მეფე და ა. შ. უქნარათა ეს ჯგუფი ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს ეროვნული ძალების დაკნინებასა და დუხჭირ ვითარებას, რაც მეთორმეტე საუკუნეს მოჰყვა ჩვენში.

თუ „ყვარყვარე თუთაბერში" ერთი ნაცარქექია იყო, აქ

რამდენიმე ნაცარქექიაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „დავით მერვეში“ გამოყვანილი ნაცარქექიები გარეგნულად თითქოს კეთილი ადამიანები არიან. შემთხვევითი არც ის არის, რომ გოსტაშაბი, ნაცარქექიას სახელით ცნობილი, პიესაში მოხერხებისა და გონიერების ოსტატის როლს განსახიერებს. ტრაბახა და მშიშარა, მაგრამ მოხერხებული და მიხვედრილი — ასეთია გოსტაშაბის ნიღაბი. გულქანის სიყვარულმა მას ხელში კახაბერის ხმალი ააღებინა, მაგრამ შნო და ლაზათი კახაბერის ხმლის გამოყენებისა მას არა აქვს. ეს ნაცარქექია სხვებს შთაგონებს—კახაბერის ნიღაბი გაიკეთონ და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენონ.

პიესაში ხალხის გამარჯვების დაულეველი წყარო ერის გმირია, ამ შემთხვევაში ორმოში გადამალული კახაბერის ხმალი შიშის ზარს სცემს მტერს, მაგრამ ხმალი ვერ მოუნახავთ და ვერ გამოუყენებიათ მტრის წინააღმდეგ. ამ ვითარებაში გოსტაშაბი კახაბერის ნიღაბს გამოიგონებს და ჯარს ამ ნიღაბით წარუძღვება. მაგრამ მწერალმა კარგად იცის, რომ ნიღაბი სინამდვილე არ არის, სიმბოლო ნამდვილის როლში ვერ გამოვა. საკმარისია ნაცარქექიას ნიღაბს სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეს, რომ იგი ერთბაშად დაიშალოს. საქართველოს მეფე ხედავს, რომ ეს იოლად მოპოვებული გამარჯვება, ეს ნიღაბის მეშვეობით შექმნილი ტახტი, ქარის მოტანილია, რომელსაც ქარივე წაიღებს. ნამდვილ ტახტს, ნამდვილ დიდებას ხალხი და მეფე კახაბერისაგან მოელიან. კახაბერი კი ქოსატყუილების ბრბოს ორმოში ჩაუგდია. ამ ბრბოს მეთაურობს ლიპარიტე, რომელიც წარმოდგენილია ერთიანი, ცენტრალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი თავკერძა ფეოდალის როლში. პიესის ფინალში ბოროტი ძალები ითრგუნებიან. ორმოში ჩაგდებული კახაბერი თავს აღწევს ტყვეობას და ხალხს უბრუნდება, მისი გამოჩენა აქ დასახულია, როგორც სიმბოლო საქართველოს აღდგენისა.

პიესაში მართებულად არის ხაზგასმული, რომ ურიცხვი ჯარეშე მტრისაგან დაპყრობილი და დაკნინებული საქართველოს განახლება ხალხს და ხალხის გმირს შეუძლია მხოლოდ. ეს იდეა პიესაში ამაღლებულად არის გამოხატული და ეს

უთუოდ მისი ღირსებაა. პიესის ღირსება ისიცაა, რომ იგი, „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ მსგავსად, დაწერილია მდიდარი ხალხური ენით.

ერთ დროს ამ პიესას დასადგმელად ამზადებდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. ამის შემდეგ ავტორმა მის გასაუმჯობესებლად კიდევ იმუშავა, ბევრი რამ გაასწორა, ახალი პასაჟებითა და სიტუაციებით გაამდიდრა, მიუხედავად ამისა, პიესას მაინც არ ეღირსა ქართულ სცენაზე განხორციელება. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ პიესაში არ არის მკვეთრად გამოხატული ის ძირითადი პატრიოტული იდეა, რომელიც კახაბერის ხმლის სიმბოლოს უკავშირდება, უფრო რთული და გაუგებარია ხასიათები და ტიპები, ვიდრე ეს თუნდაც „ყვარყვარე თუთაბერშია“ წარმოდგენილი.

პოლ. კაკაბაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესები: „დიმიტრი მეორე“, „ციცინათელა“, „სამი ასული“, „გათენების წინ“, „პაექრობა“ და „ქარიშხალი“. ზოგი ამ პიესათაგანი, უბრალოდ რომ ვთქვათ, სუსტია დრამატულად, ზოგი კიდევ დაუმთავრებელია. მაინც ყველაზე უფრო საინტერესო მათ შორის, ჩვენი აზრით, პიესა „ქარიშხალია“.

ამ პიესას პირველად დრამატურგმა „ლისაბონის ტუსაღები“ უწოდა და მასში აღწერილი უნდა ყოფილიყო პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში 1755 წელს მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც მთელი ქალაქი დაანგრია. ამ დროს პორტუგალიის სამეფო ტახტი ეკავა ხუან მეხუთის შვილს ზოზე პირველს, რომლის მინისტრი იყო მარკიზი კომბალი. პიესა 1925 წელს გამოქვეყნდა. 1959 წლის გამოცემაში ეს პიესა ავტორმა „ქარიშხალის“ სათაურით შეიტანა. ამავე დროს, ბევრი რამ შეცვალა ნაწარმოებში, გადაასხვაფერა ადგილები, პასაჟები და მოქმედი პირებიც კი. თუ პირველ გამოცემაში ერთი ქართველი გუგავა იყო გამოყვანილი, ახლა მას მეორე ქართველიც (წოწორია) ამოუდგა გვერდში. უნდა ითქვას, რომ პიესას ავტორმა მაინც ვერ მიანიჭა ეროვნული ხასიათი. ამგვარად, პიესა „ქარიშხალში“ არ არის ადგილის კონკრეტული გეოგრაფიული განსაზღვრა, მით უმეტეს — ქართული გარემო და ეროვნული კოლორიტი. ამ გარემოებამ

უთუოდ დაუკარგა ნაწარმოებს კონკრეტულობა და თვითონ ხასიათები და ადამიანები ზოგად სქემებად აქცია.

პიესის სიუჟეტი ასეთია:

ქალაქს, რომელსაც ავტორი პორტოპოლს უწოდებს, არის ციხე. ეს ციხე „შიშველი როსკიპივით დგას ქალაქში და უსირცხვილოდ აუწევია თავი ცისკენ. მისი მუცელი ცოცხლებს იღებს და მკვდრებს ბადებს". ციხე სავსეა პატიმრებით. აქ შეხვდებით მკვლელებს, ყაჩაღებს, როსკიპებს. უკუღმართმა ცხოვრებამ, არსებულმა წესწყობილებამ, ისინი ციხეში გამოამწყვდია და ბევრი მათგანი ბოროტებითა და ზიზღით აღავსო. მათ შორის არის პედრო — ეს მოწინავე მებრძოლი ადამიანი, სამეფო წიგნთსაცავისა და მუზეუმის ყოფილი გამგე, ახალგაზრდა ფილოსოფოსი. წინათ იგი სამეფო კართან ახლო იდგა, ხოლო დედოფალთან იმდენად იყო დაახლოებული, რომ მისგან ამ უკანასკნელს უკანონო შვილიც ჰყავს. პედრო, მეფის ბრძანებით, დაპატიმრებულია რევოლუციონერ ანტონიოსთან მეგობრობისათვის. პატიმრები, პედროს მითითებით, ემზადებიან ციხიდან გასაქცევად. მაგრამ ეს საქმე ჩაიშლება: ციხის ადმინისტრაცია შეიტყობს ყოველივეს. პატიმრებს უმოწყალოდ სჯიან. პედრო არ უთმობს მტარვალებს და კვლავ აგრძელებს შეუპოვარ ბრძოლას მეფის, ეკლესიისა და დედოფლის წინააღმდეგ.

პედრო შეუპოვარი კაცია. აი, მისი მრწამსი: „მე გავიმარჯვებ, არნახულ ძალას მოვიკრებ მისთვის, რომ უმრავლესობა დაჩაგრულია. მე მომენდობიან თავის დასახსნელად მონები, გლეხები და მუშები. კეთილნი მომეხმარებიან სამართლიანობის დამყარების იმედით, ბოროტნი — ერთი-მეორის სიძულვილით, ავაზაკნი და ქურდები — ანგარებით, ნაძირალები—სეირის საყურებლად. მე ყველას ვნებებს დავუშვებ ქარიშხალივით ძველი ცხოვრების დასანგრევად". ამის მიხედვით ნათელია, რომ პედრო ანარქისტი მებრძოლია, მას არა აქვს გარკვეული შეხედულება ამბოხებაზე, რევოლუციაზე, არა აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული კლასობრივი პრინციპი. სამაგიეროდ, მას დიდი რწმენა აქვს—რწმენა თავისუფლებისა და შეუპოვარი უთანხმოებისა არსებულ რეჟიმთან. „თუმცა ეს ქვის კედლები გულსაც ქვად აქცევს, მე ვერ და-

მაცხრეს და ისევ მხურვალედ მძულს. ამ სიძულვილმა გამაბებინა, რომ მთელ ქვეყანაზე, ყველგან, ცხოვრების ყოველ ბუნებულში ამართულია ასეთი საზიზღარი კედლები და მივხდი, რომ საჭიროა დაინგრეს ძველი ქვეყანა".

პედრო პირადად ხვდება მეფეს ციხეში და უმჟღავნებს თავისა და დედოფლის ინტიმურ ამბავს. ირკვევა, რომ პედრო დედოფლის დიდი ხნის მეგობარია. მეფის მემკვიდრეც პედროს შვილია. მეფე განრისხდება და გადაწყვეტს — შური იძიოს მემკვიდრეზე, დედოფალზე და პედროზე. სწორედ ამ დროს მოისმის ზღვის შორეული გუგუნი, მიწისძვრა ანგრევს ციხეს, პატიმრები გაიქცევიან; პედროს მეთაურობით პატიმრების არმია ბრძოლას გაუმართავს მეფის ჯარს. ამბოხებულები არბევენ სასახლეს. ამავე დროს, ქალაქში შავი ჭირი ჩნდება. მოსახლეობის დიდ ნაწილს იგი მუსრს ავლებს, მაგრამ პედრო მაინც შეუპოვრად განაგრძობს ბრძოლას. ამ დროს შეხვდება მას დედოფალი, რომელსაც მეფისაგან მოწამლული თავისი შვილი ატატებული მოჰყავს და სთხოვს პედროს — გაუშვას იგი, რომ შვილი სიკვდილს გადაარჩინოს. პედრო დედოფალს როსკიპებს ჩააბარებს, პედროს ძე — ტახტის მემკვიდრე—კვდება. დედოფალს კი მინისტრი იხსნის. ამასობაში მეფე და ციხის უფროსი მიქელო ძალებს მოიკრებენ და ძლიერად შეუტევენ პედროს რაზმელებს. შავი ჭირით დაავადებული პედრო მარცხდება ბრძოლაში და კვდება.

ასეთია პიესის სიუჟეტური ქარგა.

ამ პიესაში მეტისმეტად ზოგადადაა გამოხატული დესპოტური წესწყობილების წინააღმდეგ ხალხის ამხეჯრების სურათი. პიესაში ორი ბანაკია წარმოდგენილი: ერთი მხრივ — მტარვალთა ჯგუფი, — მეფის, სახელმწიფო მინისტრის, ციხის უფროსის და სასახლის გარშემო თავმოყრილი წვრილფეხა მბრძანებლების სახით, მეორე მხრივ—ციხეში გამომწყვდეული პატიმრები, მონები, როსკიპები, ქურდები, მათი წინამძღოლი პედრო და ანტონიო. პიესის სიუჟეტს — შენაკადის სახით — ერთვის დედოფლის ფარული კავშირი პედროსთან და მისგან უკანონოდ დაბადებული შვილი.

ამ პიესის უმთავრესი პათოსი, მისი საბრძოლო სულისკვეთება მთავარი მოქმედი პირის — პედროს თავგადასავალ-

შია გამოხატული. პედრო შეურიგებელი მტერია მოწარჭისა და თვითმპყრობელობის, ეკლესიისა და ყველა მჩაგვრელისა. იგი უშიშარი და გაბედული მებრძოლია. რევოლუციის სულით ანთებულ ამ ვაჟკაცს არაფერი დაუზოგავს თავისუფლების საქმისათვის. მას ერთგული მეგობრებიც ჰყავდა. ეკლესიისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ანტონიო მისი მეგობარი და თანამებრძოლი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე ანტონიო და პედრო ერთმანეთს განუდგნენ. ამ დეტალში პოლ. კაკაბაძემ გვიჩვენა ორი სხვადასხვა ტიპი ძველი მეამბოხეებისა. ერთია ანტონიო—ლიბერალი, თვინიერი, ზომიერი მეამბოხე, მეორეა—პედრო, თავდადებული, შეუპოვარი, ფიცხი და უკან დაუხეველი. ამ განსხვავებულმა თვისებებმა ისინი ერთმანეთს განაშორა. მათი იდეური და პოზიციური განსხვავება ნათლად გამოხატა დრამატურგმა ბრძოლის ველზე გამართულ დიალოგში:

„ა ნ ტ ო ნ ი ო — გარეთ დიდი ამბებისათვის ჩვენ უძლურნი ვართ, პედრო.

პ ე დ რ ო — უძლურნი? სიმართლე დიდი ძალა არ არის?

ა ნ ტ ო ნ ი ო — რა სიგიჟეა, უფლის სასუფეველს ამქვეყნად ჩვენ როგორ დავამყარებთ. ეს იმას ჰგავს, თაფლის სანთელით განვიზრახოთ ზღვა-ოკეანის ამოშრობა. ეს მომავალი საუკუნის საქმეა.

პ ე დ რ ო — საუკუნენი, — ისინი მხოლოდ ძველ ბორკილებს აფოლადებენ. არა, საჭიროა ერთი დღე, ყველა საუკუნის მეხებით გატენილი, რომ ერთიანად დაანგრიოს ყველაფერი და ყველაფერზე ანტონიოსა და შენისთანების ორჭოფობაც“.

ანტონიოს აზრით, საჭიროა შენება და არა ნგრევა, უბედურთა დახმარება და არა ძარცვა, სიყვარულის დამყარება და არა შურის დათესვა. პედროს აზრით კი, საჭიროა ცეცხლითა და მახვილით გადაიბუგოს ძველი ქვეყანა. ქვეყანაზე ჯერ არაფერი ყოფილა ჩვენს მახვილზე პატიოსანი, ჩვენს ცეცხლზე წმინდა, — აცხადებს პედრო. და იგი მოუწოდებს თავის რაზმელებს — დაანგრიონ, დაამსხვრიონ ყოველივე ძველი და გარდასული.

თავისი შეუპოვრობით პედრო მაღლა დგას ანტონიოზე.

ვას სწამს ხალხის მომავალი და მედგრად იბრძვის მეამბოხეთა გამარჯვებისათვის. მაგრამ იგი დამარცხდა, დამარცხდა, რადგან ეს იყო სტიქიური მოძრაობა, ამბოხება ისეთი ადამიანებისა, რომელთაც კლასობრივი შეგნება არ გააჩნდათ*. ეს იყო გაბოროტებული მკვლელების, როსკიპების, ქურდების არაორგანიზებული სტიქიური ამბოხება, რომელსაც არ ჰყავდა მეთაური რევოლუციური მუშათა კლასის პარტია. პედრო, თავისუფლებისათვის თავგანწირული და რევოლუციონერი, თვითმპყრობელობასთან და რელიგიასთან შეურიგებელი მებრძოლია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ამ ბრძოლას არა აქვს ორგანიზებული ხასიათი და ის მარცხდება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ავტორი სავსებით მართებულად იცავს ისტორიულ სინამდვილეს.

პიესაში მოქმედება წარმოებს მე-17 საუკუნეში, დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ სატახტო ქალაქში, მაგრამ თვით ევროპაშიაც ამ დროს არ იყო მომწიფებული ნიადაგი, არ იყო რევოლუციონური მუშათა კლასი, რომელიც ბოლომდე მიიყვანდა ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

პ. კაკაბაძის პიესა „დიმიტრი მეორე" კი დაუმთავრებელი ნაწარმოებია, ამიტომ, რასაკვირველია, მის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია დასრულებული იყოს. ეს უნდა ითქვას, რომ იგი საინტერესოა, როგორც თეთრი ლექსით დაწერილი დრამის ნიმუში. „დიმიტრი მეორე" ცალკეული ეპიზოდებია, სადაც წარმოსახულია საქართველოს ბედი თამარისა და დავით ალმაშენებლის შემდგომი ხანისა. კონკრეტულად აქ მოქმედება წარმოებს 1285 წელს და ნაჩვენებია მიწისძვრისაგან განადგურებული ქალაქის ყოფა. ამას მოსდევს სამთავროს უფროსებსა — სახელმწიფოს დანაწევრების ვომბრეთა — და ცენტრალური ხელისუფლებისათვის მებრძოლ დიმიტრი მეორეს შორის უთანხმოების, შურისა და მტრობის ეპიზოდები, რომლებშიც ჩართულია, აგრეთვე, ზენათასა და დიმიტრის სამიჯნურო თავგადასავალი.

პიესა საინტერესოა, როგორც ნიმუში თოთხმეტმარცვლოვანი თეთრი ლექსისა. შექსპირის პიესების კლასიკური მთარ-

---

* დ. ბენაშვილი — „პ. კაკაბაძეს კომედიები".

გმნელის ი. მაჩაბლის მიერ დანერგილ თოთხმეტმარცვლოვან თეთრ ლექსს აქ საინტერესო გამოყენება უპოვია.

აი, ერთი ნიმუშიც:

„ზ ე ნ ა თ ა: დიახ, გავიგე.
და მაშინ გული მომიბრუნდა სააქაოსკენ,
უბედურს ცოტა ყოფნის საზრდოდ სასოებისა,
თუმცა სიმწარე ამოწყვეტილ ნათესავებზე
არ დამცხრობია მაგ საამური ამბით, პირიქით,
ამქვეყნიური იმედები ადამიანებს
გზნებას მატებენ ძვირფას მკვდართა დასატირებლად.
მაგრამ იმ ჭირში მაგ ამბავით ფრიად გავმხნევდი,
ჩემი პატარა კახაბერი წმინდა ტაძარში
შესავედრებლად შევიყვანე და დავაჩოქე“.

რაც შეეხება პ. კაკაბაძის პიესებს „სამი ასული“ და „გათიადის წინ“, ისინიც ლირიკული დრამის ნიმუშებია, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად არ არის მათში გამოვლინებული ის დრამატურგიული სტილი, რომელიც დამახასიათებელია „ყვარ-ყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ავტორისათვის.

„გათენების წინ“ მოგვითხრობს ბრძოლის ველის სურათს. მოქმედ პირებად მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცისა და სათნოების დის გარდა, გამოყვანილია მოჩვენებანი ფერების, ანგელოზებისა და სხვათა სახით, და ამის მიხედვით, გმირების სულიერი სამყარო, ომით განსაზღვრული, გამისტიკურებულია. ეს სევდიანი, მუქი ფერები და განწყობილებანი ბუნდოვანს ხდიან ავტორისეულ ჩანაფიქრს — გამოხატოს საბრძოლო სულისკვეთება და შემართება.

„სამი ასული“ ლირიკული ხასიათის პიესაა. მასში სიმართლისა და სიბნელის, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა გადმოცემულია სამი ულამაზესი ასულის — ევას, თეოსა და დიას თავგადასავლის მიხედვით, მაგრამ ნაწარმოებს არა აქვს მძაფრი სიუჟეტი, არ არის გახსნილი და განვითარებული ხასიათები მოქმედებაში.

პიესები — „ციცინათელა“ და „პაექრობა“ გამოხატავენ საკოლმეურნეო სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას. მარ-

თალია, ისინი თემატურად უაღრესად თანამედროვე ხასიათისაა, მაგრამ დრამატულად სუსტი პიესებია.

საზოგადოდ, პ. კაკაბაძის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია სიუჟეტის ლირიკული დინება და, ამის კვალობაზე პიესის მთელი სიმძიმე გადადის სიტყვიერ მასალაზე, დიალოგზე. კაკაბაძის პიესებში არ ვხვდებით სიუჟეტურ სიმძაფრეს და ლიტერატურულ გამოგონებებს. დრამატურგი განგებ გაურბის სიტუაციების ჰეროიკულ-დრამატულ გამძაფრებებს. ჩვენი აზრით, შეიძლება ეს იყოს ხშირად ერთგვარი დაბრკოლება, რომ ჩვენი თეატრები მონდომებით არ ჰკიდებენ ხელს პ. კაკაბაძის ზოგიერთ პიესას. რასაკვირველია, ამგვარი ლირიკული ხასიათის პიესებს თავისებური სცენურ-თეატრალური გახსნა სჭირდება.

პ. კაკაბაძისათვის დამახასიათებელია მოქმედების ლირიკული ინტონაციებითა და აქცენტებით წარმართვა. კონფლიქტი ყოველთვის ლირიკულ საწყისებზეა აგებული და იქაც კი, სადაც მოქმედება და მდგომარეობა გამძაფრებას მოითხოვს, ტემპი შენელებულია ამ ლირიკული საწყისებითა და სიტყვიერი მასალით. ხმლების ჩახაჩუხი და ზარბაზნების გრიალი თითქოს აუცილებელია „ყვარყვარე თუთაჩერში", იქ, სადაც ომის, ფრონტის, რევოლუციის ეპიზოდებია გადმოცემული, მაგრამ თვით ასეთ ვითარებაშიაც პ. კაკაბაძე შეგნებულად გაურბის გარეგნულ მყვირალა სამკაულებს და მთელი ყურადღება გმირის შინაგან ინტიმსა და ლირიკულ გამოსახვაზე გადააქვს. დიალოგი, რეპლიკა, მონოლოგი ამ შინაგანი ლირიკით არის გამთბარი.

პ. კაკაბაძის დრამატული ხერხები და მხატვრული საშუალებანი მეტად მდიდარია. ჩვენი დრამატურგი უმთავრესად ხატოვან გამოთქმებს, მოსწრებულ ხალხურ თქმებს, ტიპობრივ ფრაზეოლოგიზმებს ემყარება. აი, რამდენიმე საამისო ნიმუში:

„ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მკვდარს წააწყდით? მკვდრები კიდევ. მკვდარს წააწყდით?

ქ უ ჩ ა რ ა — საქმე ეს არის, მკვდარი იყო და ამიტომ გაგძარცვეთ, თორემ ცოცხალი რას გაგატანს?"

ან კიდევ:

„ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ცხოვრების წესი მე ასე გამიგია, ცოცხ

კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა — მოთხარე, მაგრამ, თუ მაგრადაა, გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქელოს... ეჰ, რას იზამ, კიდევ არა უშავს, არა უშავს! — ენის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან. ეს ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება. სირცხვილს რომ ჭამ კაცი, თუ ვარგიხარ, მაშინ თავი უფრო მაღლა უნდა ასწიო... გათავდა ყვარყვარე შენთვის თბილი ნაცრის ქექვა. ერთხელ დავბადებულვარ და ერთხელ უნდა მოვკვდე! ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერო. მართალია, ერთხელ დაიბადე, მაგრამ მეორეჯერ კი არ დაიბადები...“

კიდევ ერთი მაგალითი:

„ვ ა ტ ა — ეჰ, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის ჭკუა.

ხ ა ხ უ ლ ი — არა, ბიძია, პატიოსნება ვისაც აქვს, არ ძველდება, ხოლო, ვისაც არ ესმის, ძველი ყვერი გონია... მართალია, აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ოდენა არ ასწიოსო. ცოტა მორცხვობა სინაზეა, ზედმეტი მორცხვი კი დამჭკნარს გავს.

ვ ა ტ ა — ცარიელ ქვაბიდან, რაც უნდა კოვზი უტრიალო, ფაფას ვერ ამოიღებ“.

აქ ხალხური ანდაზა თავისებურად არის გარდაქმნილი. ხალხური გამოთქმების ასეთი გარდაქმნა ნიშანდობლივია პ. კაკაბაძის სტილისათვის.

ან კიდევ:

„მ ა ნ უ ჩ ა რ — მე ხმას პურმარილი მაძლევდა, თორემ პატეფონი კი არა ვარ, გულზე ნემსის დარჭობით ავკიკინდე.

დ ო მ კ ა ც ა — ეხ, ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, ხომ გაგიგონია, ზოგი ქალი ისეთი წყეულია, რამდენ შეტს უღალატებ და გამოიცვლი, იმდენი მოგეფართქუნება.

კ ა კ ა ლ ა — სირცხვილის ოდენა შენ ჭადი არ გიჭამია, შენისთანა კაცი სირცხვილს კუჭით ინელებს“.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ნათელი გაგვეხადა, როგორი პირველხარისხოვანი, ოსტატია პ. კაკაბაძე მახვილი თქმების, ანდაზების, იდიომებისა... მისი პიესების პოპულარობაც ამ გარემოებამ განაპირობა.

კომიკური სიტუაციებით, იუმორისტული ნიღბებით, სატირული ხასიათებით, ხატოვანი ენით ბრწყინავენ პოლიკარპე კაკაბაძის საუკეთესო პიესები და ავტორის ძალაც და ნიჭიერებაც ამაში გამომჟღავნდა. რასაკვირველია, ყველა მისი პიესა არ არის მაღალი ღირსებისა. ჩვენ გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ „ყვარყვარე თუთაბერის", „კოლმეურნის ქორწინებისა" და „დავით მერვეს" — ამ პირველხარისხოვან ნაწარმოებებს — გვერდში ვერ ამოუდგა ჩვენი მწერლის სხვა პიესები. მაგრამ ეს სამი კომედია ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ დრამატურგიაში, რომ მათი ავტორი სამუდამოდ შერჩება ქართულ მწერლობას, როგორც დიდი ხელოვანი.

გრიგოლ აბაშიძე

გრიგოლ აბაშიძე მრავალმხრივი მწერალია: პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, — ასე იცნობენ მას საბჭოთა მკითხველები. და უნდა ვთქვათ, მწერლობის ყველა ამ ჟანრს მან ფართო კვალი დააჭნია.

გრ. აბაშიძე სამწერლო ასპარეზზე მე-20 საუკუნის 40-იან წლებში გამოვიდა. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია საბჭოთა ხელისუფლების იმ წლებს დაუკავშირდა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო, — ამ წლების ქართული საბჭოთა მწერლობის სახეც საკმაოდ მკვეთრად და ნათლადაა ჩამოყალიბებული.

გრ. აბაშიძე დაიბადა 1914 წელს ქალ. ჭიათურაში. ეს იყო ოქტომბრის რევოლუციის წინადღე. თვითონ პოეტი ასე იგონებს ბავშვობის დღეებს:

> კვირტებს მოვყეფი, შემდეგ გაშლილს,
> მწვანე ფურცლიანს,
> მაშინ მოვედი,
> როცა ქვეყნად მართლაც გათენდა.
> რაღაც ორი დღით დავასწარი რევოლუციას
> და ანბანზე წინ შევეჩვიე ახალ კალენდარს.

გრ. აბაშიძემ ბავშვობა ქალ. ჭიათურაში გაატარა, საშუალო სასწავლებელი კი თბილისში დაამთავრა 1931 წელს. ამავე წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაასრულა 1936 წელს. ლექსების წერა საშუალო სკოლაში დაიწყო.

პირველი ლექსი კი — უკვე სტუდენტმა — გამოაქვეყნა 1934 წელს.

გრ. აბაშიძემ, როგორც შემოქმედმა, იმთავითვე დახვეწილი გემოვნებით, ლაპიდარული სტილით, პროფესიონალური წერის მანერით მიიპყრო ყურადღება. ეს არ იყო უბრალო ახალგაზრდული ვარჯიში თუ ყრმობის ნაყოფი. არა, ამ ლექსებში უკვე ჩანდა ლიტერატურულ საკითხებში გარკვეული და გაწაფული ახალგაზრდის ხელი. ოღონდ უნდა ითქვას, რომ ამ ადრინდელ ლექსებში ძლიერი იყო გავლენები, წიგნებიდან წამოსული კვალი დეკადენტური სკოლის ინტონაციებისა, რისი ინერციაც ქართულ მწერლობაში უკვე თითქმის განვლილი საფეხური იყო.

1938 წ. გამოვიდა გრ. აბაშიძის ლექსების პირველი კრებული, რომელიც უფრო ნათლად ადასტურებდა მის პროფესიონალიზმს, ლიტერატურულ გემოვნებასა და წერის ნიჭს. აქ შეტანილი ლექსები 40-იანი წლების ახალგაზრდა კაცის სულიერ ინტერესებს ააშკარავებდა, ლიტერატურული ძიების დაღს ატარებდა. კრებული საინტერესო იყო თავისი დამთავრებული პოეტური, მხატვრული სახით და საკუთარის ათვისების თავისებური მანერით. იგი იმას ამტკიცებდა, რომ გრ. აბაშიძე ქართულ პოეზიაში შემოვიდა, როგორც თვალსაჩინო ძალა. ამავე წელს გამოაქვეყნა მან თავისი პირველი პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“, ხოლო სამამულო ომის წლებში — პოემები: „გიორგი მეექვსე“, „ძლევის ქედი“ და „ზარზმის ზმანება“.

1941 წელს გრ. აბაშიძემ ალ. აბაშელთან ერთად დაწერა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი. იგი ნაყოფიერად მუშაობდა ჩვენს პერიოდულ პრესაში — იყო ჯერ ჟურნალ „დილის“, შემდეგ ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი. ამჟამად გრ. აბაშიძე ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორია. იგი დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, ხოლო ლექსების წიგნისათვის — „სამხრეთის საზღვარზე“ და „ლენინი სამგორში“ მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა. გრ. აბაშიძე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია, საქართველოს საბჭოთა კავშირის გამგეობისა და

პრეზიდიუმის, საკავშირო მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი.

გრ. აბაშიძე, როგორც პოეტი და მოქალაქე, მთელი თავისი ბიოგრაფიითა და შემოქმედებითი ცხოვრებით განუყოფლად დაკავშირებულია ქართულ საბჭოთა მწერლობასთან, — თანამედროვე ჩვენი ცხოვრება იყო და არის მისი პოეტური შთაგონების მთავარი წყარო და პათოსი.

ქართულ მწერლობაში გრ. აბაშიძე ლირიკოსი პოეტის სახელით შემოვიდა. მისი ადრინდელი ლირიკული ლექსები, რომლებშიც ღრმად არის აღბეჭდილი ძიების, ლიტერატურაში ნიადაგის მოსინჯვის კვალი, გვაგრძნობინებს ჩვენი ეპოქის სუნთქვას. სხვადასხვა ლიტერატურულ თაობათა და მიმართულებათა კვალის, წიგნური შთაბეჭდილებებისა და ჩანახატების ანარეკლი, ერთგვარი პოეტური ეჭვი ხელს არ უშლიდა მას, ყოფილიყო თანამიმდევარი თავის რეალისტურ პოზიციებში.

გრ. აბაშიძე მსოფლმხედველობრივად რეალისტი მხატვარია, მისი პოეტური პალიტრა, ფერების სიუხვე, ცხოვრების ათვისების მანერა რეალიზმის პრინციპს ეფუძნება. იგი სწორედ რეალისტური წერის მანერით თანამედროვე ჩვენი ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული. ამ მხრივ მან თავისი პოეტური ცხოვრება, სავსებით სამართლიანად, გაზაფხულს შეადარა, — „გაზაფხულია ჩვენი ცხოვრებაც“, სიამაყით აცხადებდა პოეტი და იქვე დაუფარავად გვამცნობდა თავის დამოკიდებულებას ამ ცხოვრებასთან, ამ გაზაფხულთან:

> რათ მინდა თავი, ცხოვრება ჩემი,
> თუ ამ ფერხულში არ მეგულება...

გრიგოლ აბაშიძეს კარგად ესმოდა, რომ შემოქმედი კაცის ცხოვრების გზა რთულია და ძნელი, ამ სირთულეს მრავალი წახნაგი გააჩნია. პოეტს არა მარტო უნდა უყვარდეს ეს ცხოვრება, არა მარტო მისი სული უნდა ეზიარაოს ამ ქვეყანას, ამ სამყაროს და ემსახუროს მას, არამედ ამ სურვილს თან უნდა მოსდევდეს ნიჭიერება, ცოდნა და გამოცდილება პოეტისა. პოეტის ცხოვრება ცეცხლთან თამაშს ჰგავს, „შემოქმედება კი ბეწვის ხიდია“ და ვინც ამ დიდ მოვალეობას ვალად იდებს,

მას მართებს ხალხის სამსახურში თავისი ხვედრი მსხვერპლი გაიღოს.

პოეტის ცხოვრება ციცინათელას ჰგავს: როგორც ციცინათელა ანათებს უკუნეთ ღამეში, ასევე პოეზიაც ადამიანს ცხოვრების სავალ გზას უნდა უნათებდეს. რაგინდ ძნელიც არ უნდა იყოს პოეტის სავალი გზა, რაგინდ მძიმე არ უნდა იყოს ერისადმი სამსახურის ტვირთი, ჭეშმარიტი პოეტი ხალხს არ უნდა განუდგეს:

ვიაროთ ასე, ლექსის ლელომდე,
სხვაგვარი ყოფნა ჩვენთვის უქმია,
მისთვის, რომ ადრე სხვებიც მღეროდნენ,
სიმღერა დღემდის ვის დაუგმია.

გრ. აბაშიძეს რეალისტური მსოფლგაგების ამ გზაზე ცოტა როდი ჰქონდა დაეჭვებაც, ერთგვარი ყოყმანიც, იმის შიშიც, რომ შეიძლება ყველაფერი ნიავის ერთი ჩამოქროლებაა, წუთისოფლის წარმავლობის ფილოსოფია, ეგებ ყველაფერი ზმანება და მოჩვენებაა, მაგრამ ამ ყოყმანს, პოეტის სულში ჩასახულს, ამ ერთგვარ სკეპტიციზმს ყოველთვის ერეოდა, ყოველთვის სძლევდა ოპტიმისტური აზრი და პრაქტიკული თვალი ცხოვრებაზე დაკვირვებისა. ეს ოპტიმისტური რწმენა თანდათანობით უფრო მტკიცდებოდა და იზრდებოდა პოეტის შეგნებაში.

ამ რწმენას, ამ ოპტიმიზმს პოეტი ახალი საბჭოთა საქართველოს გზას უკავშირებდა. საქართველო, ისტორიულად არა ერთხელ დანგრეული და აოხრებული, განახლდა, აღდგა ჩვენს დროში. პოეტს ამხნევებს იმის დანახვა,

რომ საქართველოს ნაენახარებს
კვლავ დახვევია ვაზი ახალი.

რომ საქართველო ერთიანი, მთლიანი და მტკიცე გამხდარა, ფენიქსებრ აღმდგარა და განახლებულა,

რომ მკვდრეთით აღმდგარ ქართულ ენახებს
ქართველთა სისხლი აღარ შეღებავს,
რომ უკვდავება რასაც ხელს ახლებს,
იგი არასდროს გადაშენდება.

ეს პატრიოტული მსოფლგაგება, ეს სულისკვეთება თავიდან ბოლომდე გასდევს გრ. აბაშიძის მთელ პოეზიას. პოეტს აღელვებს ბედი თავისი ქვეყნისა, ამ დიდსა და მღელვარე ეპოქაში პატარა სამშობლო მუდამ თვალწინ უდგას:

ფიქრის უსწრაფეს მიქრიან დღენი,
რა დიდი არის ჩვენი დროება,
რა პატარაა სამშობლო ჩვენი —
ნიავის ერთი ჩამოქროლება.

თავის ლამაზ ქვეყანაზე მუდამ ფიქრობს პოეტი, სამშობლოშია იგი თუ სამშობლოს მიღმა. ლექსების მთელ ციკლს, რომელიც ავტორმა ეგვიპტეში მოგზაურობას მიუძღვნა, სწორედ ეს ლეიტმოტივი გასდევს. დამახასიათებელია ციკლისათვის შერჩეული სათაური, ამ განწყობილების გამომხატველი: „თუნდ დავიარო მთელი სამყარო“. ამ სათაურის აზრი გახსნილია პირველსავე ლექსში:

თვითონ არ ვიცი, ასე რად ხდება,
სადაც კი ვნახავ ლამაზ მთა-გორებს,
სადაც ლამაზი მთა-ბარი მხვდება,
ჩემს საქართველოს რატომ მაგონებს.
მისი ხატება, როგორც ლამპარი,
მინათებს გზას და თან დავატარებ,
თუ სადმე მხვდება ტურფა მთა-ბარი,
ჩემი სამშობლოს მთა-ბარს ვადარებ.
და მეც არ მინდა სხვა ნეტარება,
თუნდ დავიარო მთელი სამყარო.
ალბათ ვერ ვპოვებ სხვა შედარებას,
მხარე ლამაზი რომ შევადარო.

პატრიოტი პოეტის ეს აღსარება, ეს გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები მიუძღვის მოგზაური პოეტის ლექსების ციკლს. გრ. აბაშიძე ეგვიპტეშიც, ხელოვნების ამ უძველეს მუზეუმშიც, ოცნებობს თავის სამშობლოზე. აქ მოაგონდება მას მამელუკები, „მამელუკების ქარიშხლიან მიწაზე გაკრული ბედაურები“, სამშობლოდან წაყვანილი ტყვე-ბავშვები, შემდეგ ტყვედ დარჩენილნი, სანატრელ საქართველოს მო-

წყვეტილნი, გადარჯულებულნი, სხვის ხელში მრისხანე ძალად ქცეულნი. მამელუკებს პატარა სახელი როდი ჰქონდათ, ისინი შიშის ზარს სცემდნენ ქვეყანას, ამასთანავე, გამსჭვალული იყვნენ სამშობლოსაგან მოწყვეტის სევდით. მათ ხომ თავისი ნებით არ უსურვებიათ სამშობლოდან გადახვეწა, მაგრამ მაინც პოეტს მამელუკების ეს მოგონება, მათი თარეში და რბევა ქვეყნებისა სევდას ჰგვრის და მწარედ ათქმევინებს:

მაგრამ ნუ ჩათვლით მათ ჩვენ თვისტომად,
ვინც შეაგინა თვისი ბავშვობა,
მამელუკობა ვინც თვით ინდომა
და თვით ირჩია ყიზილბაშობა.

ეგვიპტეში მოგზაურ პოეტს იტაცებს ცხელი ქვიშა და ოქროს ღვარი, პირამიდები, ციხედ რომ შესდგომია ცასა და ქვესკნელს, ცად გაფრენილი ეს ქვის სასწაულები. და როცა პოეტი შესცქერის ამაყად მდგარ პირამიდებს, რომლებიც არაფრად აგდებენ წლების იერიშს, გრძნობენ, რომ ამ დიდებას, ამ ოქროს ღვარს სისხლი, ოფლი და შრომა შეუწირავს...

მივყვებით ბრწყინვალე დარბაზებს,
ყოველი კუნჭული მაბრაზებს,
რამდენიც ოქრო და ვერცხლია,
იმდენი სისხლი და ცეცხლია.
რამდენი ძვირფასი თვალია,
იმდენი ხანძრების ალია!

პოეტმა კარგად იცის, რომ ამ დიდებულ პირამიდებს არა ერთი ადამიანის სიცოცხლე, არა ერთი ქვეყანა და სახელმწიფო შეუწირავს. მათი მბრძანებლები თავის თავს ღმერთის ტყუპებად მიიჩნევდნენ, ხოლო სხვათა უფლებას არაფრად აგდებდნენ. „მონების ტვირთი და ყმების ბეგარა“ მილიონები შეეწირა მათ ძალმომრეობას, მათ ავკაცობას, მათ სიმხეცეს. სახრჩობელები და დილეგები, გულქვაობა და კაცთასიძულვილი ქმნიდა და აშენებდა ამ ვებერთელა პირამიდებს, რომელთაც სისხლითა და მსხვერპლით მოუპოვებიათ უკვდავება და მარადისობა. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ მაინც მწე-

რალმა იცის, რომ არც ერთი დიდი საქმე არ გაკეთებულა დიდი მსხვერპლის, დიდი ტანჯვის გარეშე:

ათას წლებთან და ქართან ნაომარს,
კრძალვით შევყურებ ამ ქვების კოლოსს, —
არა, არ ამის არარაობა
და უკვდავებას არა აქვს ბოლო!
ვერა, ვერ შესძლებს სიცხე და თოვლი,
მარადიულის გადაშენებას,
ამ მშვენებასაც არა ჰყავს ტოლი,
როცა იქცევა ძალა მშვენებად.
დაე, ნუ შესწყვეტს უდაბნო ვარვარს
არ დადნებიან თლილი ტინები,
მე წარუვალის მიჯნაზე ვდგავარ
და უკვდავებას ვეპოტინები.
მე უსასრულო სიმაღლით ვთვრები,
ვხუპავ თვალებს და მიწას ვცილდები...
უზარმაზარი ლოდების ფრთებით
ცად მიმაფრენენ პირამიდები.

პოეტი ამ ლექსში დიდსა და რთულ პრობლემას აყენებს, პრობლემას, რომელსაც იგი უბრუნდება პიესაში: „მოგზაურობა სამ დროში". მან იცის, რომ ცხოვრება მეტად რთულია ვიდრე ერთი შეხედვით წარმოგვიდგება. მსოფლიოს უდიდეს მოაზროვნეებსა და მხატვრებს მუდამ ეწადათ ამ რთული მექანიზმის ახსნა, „ყოფნა — არ ყოფნა" კითხვის ამოცნობა, ცხოვრების საიდუმლოებაში გარკვევა. პოეტი ზიგზაგებით, ეპვებითა და მერყეობით, ერთგვარი გაორებით ცხოვრების არარაობისა და სიავის მთელი სიმწვავის წარმოდგენით მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანი უნდა შრომობდეს, მოღვაწეობდეს, აშენებდეს თავის თანამედროვეებთან ერთად. ცხოვრებას, რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი, თავისი სილამაზე აქვს. ამიტომ უნდა გვიყვარდეს ის. კაცის ხელით შექმნილი ეს დიდებული ძეგლები, ეს დიდებული პირამიდები იმაზე მეტყველებენ, რომ უკვდავია მათი სახელი, ვინც ქმნიდა ცხოვრების ამ მარადიულ სიმფონიას. მართალია, ყველაფერი იცვლება, ყველაფერი წარმავალია, მაგრამ რჩება ადამიანის ხელით,

ხელოვანის ხელით შექმნილი დიდი საქმე და მაინც პოეტს ეპვის შხამი ჩასწვეთებია: „ჟამი გვშობს, სულსაც ჟამი ამოგვხდის, სიხარულს შეცვლის საშინელებით, ბედნა ცოდნა კაცს დარდს უმატებს...“ ამ ხოფლის ამაოება ღრღნის პოეტის სულს, მაგრამ სიცოცხლე მაინც ძვირფასია და ნაბადიული:

თაობა მიდის, თაობა მოდის,
ქვეყანა რჩება უკუნისამდე...

ასეთ ვითარებაში ყოველი თაობა, ყოველი ადამიანი ვალდებულია დატოვოს ისეთი რამ, რითაც მოიგონებენ მის სახელს, მის საგმირო საქმეს. ეს თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობაა, დაფუძნებული ოპტიმისტურ ფილოსოფიაზე. პოეტმა იცის, რომ „გაფრენილი ისევ ჩიტივით სიცოცხლე უკან აღარ ბრუნდება“, და მაინც ამ ძველ აკლდამებში შემორჩენილი ხელოვნების უკვდავი ძეგლები მას სიცოცხლის უკვდავებას უმტკიცებენ:

აქ რწმენა ცოცხლობს უკვდავი შენი,
მე შენს რწმენასთან მსურს საუბარი.

მთელ ამ ფილოსოფიურ მსჯელობას პოეტი უკავშირებს, კვლავ თავის ქვეყანას, საქართველოს, — უკავშირებს მის წარსულს, მის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ეროვნული სიცოცხლისათვის. ქართველ კაცს მუდამ საომარი პერანგი ეცვა, ჯაჭვგაუხდელი მთებში იხიზნებოდა ჩვილი ბავშვებითა და ქალებით. საქართველოში შემოსული ყიზილბაშები ვერც ერთ კაცს ვერ ნახულობდნენ მორჩილსა და ხარკის გამღებს. დამპყრობთა უღელქვეშ შგმინავი ხალხი მაინც არ შემდრკალა და ივედი მომავლისა არ დაუკარგავს; ქართველი კაცი მუდამ ფხიზლობდა, „ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი, სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი“:

ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცელიდა
გარჯა თუ ლხინი ჰქონდა ახალი, —
თანდაყოლილი დედის მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმალი.

ძველი საქართველოს ისტორია—ისტორიაა განუწყვეტელი ბრძოლისა და უთანასწორო ბრძოლაში თავდაცვისა. ქართველმა კაცმა დაიცვა თავისი მამული, თავისი ქვეყანა, ისტორიის ამ ფურცლებს ცვლის აღორძინებული და განახლებული საქართველოს სურათები.

ახალი საქართველოს შვილები ასევე ვაჟკაცურად იცავდნენ თავის სამშობლოს. ძველი გმირების ზღაპრულ ამბავს როდი ჩამოუვარდება ჩვენი თანამედროვე ადამიანების ვაჟკაცობა და თავდადება. აი ქართველი მებრძოლი ქანთარია, რომელმაც რაიხსტაგზე ჩვენი გამარჯვების დროშა აღმართა. ეს ვაჟკაცობა მას სამშობლოს სიყვარულმა, მამულის სიყვარულმა ჩაადენინა. კარგად ამობს პოეტი:

ერთგული ვიყავ მშობელი მიწის,
მე შევასრულე აღთქმა და ფიცი,
მე გადვიტანე მრავალი ჭირი,
სამშობლო რომ არ გადამთელოდა,
რომ მოვსულიყავ ბერლინში გმირი
საქართველოდან!

ომში და შრომაში დაიცვეს ჩვენი სამშობლო ახალი დროის გმირებმა, აღადგინეს და განაახლეს ჩვენი საქართველო, მტრისაგან არა ერთხელ აკლებული და აოხრებული. და, აი, პოეტი ნიშნის მოგებით მიმართავს თემურ-ლენგს:

ახლა სადა ხარ, წამოდექ, შეხე,
ცხენდაცხენ ვისღა დაედევნები,
ასჯერ რომ დასწვი, ასჯერ რომ ჩეხე,
ისევ დაუსხამს ვაზებს მტევნები...
აღარც შაჰია, აღარც სულტანი,
არ მოუძღვიან ჯარებს ნაღარით,
ისევ გამართა ქართლმა გუთანი,
ისევ ვენახობს ნავენახარი.

ჩვენი საქართველო ძლიერი, მტკიცე და მტრისთვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა. ეს ძალა, ეს ძლიერება ჩვენს ქვეყანას ხალხთა ძმობამ და მეგობრობამ მიანიჭა:

რადგან ერთგული სამშობლოს ფიცის.
ქართლს იცავს მომმე ხალხთა მხედრობა.

რუს, უკრაინელ, ქართველ, სომებ თუ სხვა ხალხთა მეგობრობამ ჩვენი ქვეყნის სიმტკიცე და თავისუფლება განაპირობა:

ჩვენ ვდგავართ მზის და სინათლის კართან,
შეუქმოფენილი სამშობლოს დილით.

პოეტი კვლავ იგონებს ისტორიის ფურცლებს. მოსკოვში „სვენწკის ჩვენება" — ეს არის თანამედროვე პოეტის თვალით გადაფურცვლა ჩვენი ისტორიული წარსულისა. მას თვალწინ დაუდგებიან ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი — მათი ღვაწლი და შრომა, რათა საქართველოსა და რუსეთს შეეკრა ძმური კავშირი. მაშინ გაწყვეტილი სიმი ჩვენმა დრომ გაამთელაო, გვეუბნება პოეტი. მას სვენწკის ჩვენება, სახელოვანი ჩვენი წინაპრები მოსძახიან:

როგორ შორსა ვარ, ბნელში დავეცი;
შენ მზეში დგახარ, ცამდის მისულო,
სვენწკაში გაწყდა ჩვენი ანდერძი,
ეცადე, იქნებ შენ გაგვისრულო.

ახალი დროის მხატვარი არა მარტო აღწერს განახლებული საქართველოს სიდიადეს, არამედ იგი მზად არის ყველაფერი შესწიროს ამ აღორძინებულ მხარეს. და თუ მე ვერ ვთქვი ამ ახალი საქართველოს საკადრისი სიმღერა, თუ ჩემი პოეტური სიტყვით და შრომით ვერა გარგე რა, ჩემს სიცოცხლესაც არ დავიშურებ შენ სადიდებლადო, — ამბობს პოეტი.

და თუ სიცოცხლით ვერა გარგე რა,
სიკვდილი კიდევ ჯერ ჩემს ხელთ არი.

გრ. აბაშიძე თავის ლირიკულ ლექსებში აღადგენს არა მარტო საქართველოს წარსულს, გვიხატავს არა მარტო თანამედროვე მღელვარე ცხოვრების სურათებსა და ეპიზოდებს,

არამედ გადაგვიშლის საქართველოს ბუნების, მისი ბრწყინვალე პეიზაჟის თვალისმომჭრელ სანახაობას. საქართველოს, ამ ულამაზეს ქვეყანას, თავისი ბუნებრივი კოლორიტი აქვს თავისი ნიშანდობლივი სამკაულებით. ყველაზე უფრო დამახასიათებელი მისი ცამდე აწვდილი მთები და კლდეებია, ციცაბო კლდეები სვანეთის, ხევსურეთის, იმერეთისა თუ მთიანი სამეგრელოსი. ეს სალი კლდენი აძლევენ მას განსაკუთრებულ სილამაზეს, განსაკუთრებულ ელფერს. უკვდავი სიმღერა უმღერა მათ რაფიელ ერისთავმა. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში საგანგებოდ ჩერდება ამ კლდეებზე: „ამ ყვირილის იქით და აქეთ კიდენი არის ფრიად მაღალი კლდე და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შეუვალი მტრისაგან და საკურველი, თუ ვითარ უქმნია". და ეს შესანიშნავი კლდეები არა მარტო ქვეყნის ბუნებრივი სილამაზე იყო, არამედ დამცველი საქართველოს სულიერი კულტურის ძეგლებისა, თავშესაფარი ბავშვებისა და ქალებისა ურიცხვი მტრის შემოსევისას. ეს სალი კლდენი ჩვენი ადამიანის ყოფასა და სულში განუყოფლად არის შეზრდილი:

ვით არ გვიყვარდეს მთები ჭაღარა,
ჩვენი უკვდავი ერის აკვანი,
მათ, ვინც ამ მთებში ფუძე ჩაყარა
ჩვენი ლექსი და ჩვენი თაყვანი.
დასაბამიდან მთის ზღუდე გვაკრავს,
მან დაიფარა ჩვენი მამული,
ქართველი ბარში რომ შლიდა მხარ-მკლავს,
ფესვები ჰქონდა მთაში გადგმული.

მაგრამ საქართველო ცნობილია არა მარტო ამ სალი კლდეებით, ჩანჩქერებით, ცად აწვდილი მთებით, არამედ ცნობილია ზღვის სანაპიროებით, მდინარეებით... ჩვენი მდინარეები, სწრაფი და ჩქარი, ასევე საქართველოს ბუნების მშვენებაა და ქართველი კაცის მეგობარი

ყველა მთა იყო ციხე მაგარი,
ყველა ხეობა იყო კლდე-კარი,
ყველა მდინარე ყალყზე დამდგარი,
ყველა მდინარე დაუდეგარი,

არაგვი შმაგი, ნიაღვრიანი,
ენგური სწრაფი, როგორც შურდული.

ამას მოსდევს ბუნების ფერისცვალების გამომხატველი სურათი: თუ ეს მდინარეები წინათ ცალ-ცალკე იყო, ახალმა ცხოვრებამ ისინი ჩვენი ადამიანების კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენა:

წამოდგა რკინის სვეტების ტევრი.
მავთულის ხლართი ახალ-ახალი,
საქართველოში წისქვილზე მეტი
მდინარეებზე გაჩნდა კაშხალი.

საქართველო გაჰყვა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ ელექტროფიკაციის გზას. ახალი ცხოვრების, ახალი საქართველოს დიდ განახლებაში პოეტი ყველგან ლენინის სიბრძნეს ხედავს:

ზაპესის შუქი, ცად აფენილი,
ეწერებოდა ჩემს გულის ფიცარს,
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.
და ყველგან, სადაც ძლიერი დენით
სინათლემ თავზე გადამიარა,
ხრამზეც, რიონზეც ვხედავდით ლენინს,
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

გრ. აბაშიძეს ლენინისა და ახალი საქართველოს სიმბოლურ სახეში მეტად ორიგინალურად და საინტერესოდ აქვს დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ყველა დიდი და მნიშვნელოვანი მონაპოვარი. და ასევე პარტიის სიბრძნესთან აქვს დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის განახლება, გზა საბჭოთა საქართველოსი.

გრ. აბაშიძის პოეზიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სატრფიალო ლირიკას.

ყოველ ნიჭიერად დაწერილ ლირიკულ ლექსს იტაცებს საბჭოთა მკითხველი, გაფაციცებით ეძებს ლექსების წიგნში ამ თემაზე დაწერილ სტრიქონებს. შეიძლება ამითაც აიხსნებოდეს, რომ ამ ბოლო ხანებში ესოდენ შესამჩნევია ჩვენი

მწერლების მხრივ გატაცება ლირიკით, კერძოდ — სატრფიალო ლირიკით, როგორც სხვა ჩვენს გრძნობებს, ასევე სატრფიალო გრძნობასაც ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს.

სპეტაკი სიყვარული ამამაღლებელი გრძნობაა ადამიანისა. სიყვარული ყოველთვის როდია სიხარულის მომნიჭებელი. არა ერთი და ორი ყოფილა მისგან გულდაკოდილი, გაწბილებული, სიყვარული ხშირად სევდის და ჭმუნვის წყარო გამხდარა. ამიტომაც ამ გრძნობის სწორად გახსნას მხატვრულ ნაწარმოებში, ამ გზით აქტიურ ზემოქმედებას ჩვენს ახალგაზრდობაზე უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ ლირიკულ ლექსებში მთავარია, ჩანდეს საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა პოეტის პოზიცია. პოეტს არა მარტო უნდა ესმოდეს სატრფიალო ლირიკული ლექსის საჭიროება, არამედ მისი დანიშნულებაც ჩვენი ადამიანების აღზრდის საქმეში კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. სწორედ ეს ცოცხალი შეჭრა სინამდვილეში, კლასიკური პოეზიისათვის ნიშანდობლივი უშუალობით გამოხატვა სამიჯნურო გრძნობისა, რომელიც არსად არ ეთიშება საბჭოთა ადამიანის მორალურ კოდექსს, დამახასიათებელია საბჭოთა სატრფიალო ლირიკისთვისაც. არც ერთი დიდი და ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს ეპოქისა და დროის გარეშე. ეს შეეხება სატრფიალო ლირიკასაც. თუ ლირიკულ ლექსს დროის, ეპოქის სული არ ათბობს, მას არ უშველის ლექსის ბოლოს დასმული თარიღი.

გრ. აბაშიძის ლირიკული ლექსებისათვის დამახასიათებელია ჩვენი ეპოქის, ჩვენი დროის ტიპიური ნიშნების მკაფიო გამოხატვა. ამის გამო გრ. აბაშიძის ლირიკულ ლექსებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ნამდვილ შემოქმედს, ხალხის პოეტს მკითხველისაგან დასაფარავი არაფერი აქვს. როგორი ინტიმურიც არ უნდა იყოს ეს გრძნობები, თუ ისინი ნამდვილად აყვანილი არიან ჭეშმარიტი ხელოვნების სიმაღლემდე.

ის, რაც ამაღლებულია დიდი საზოგადოებრივი დანიშნულების გაგებამდე, როგორიც არ უნდა იყოს ეს გრძნობა, უთუოდ არის პოეზიის საგანი. საკმარისია აქ მოვიგონოთ ჩვენი კლასიკოსები — ილია, აკაკი, ბარათაშვილი. მათ დიდი

და საზოგადოებრივი კითხვების გვერდით დაყენებული და გამოხატული ჰქონდათ უაღრესად ინტიმური განცდები დაუფარავად და შეულამაზებლად, მაგრამ ყოველთვის ამ განწყობილებებს უშუალო კავშირი ჰქონდა ჩვენს სულთან, ჩვენს გრძნობებთან. უნდა ითქვას, რომ გრ. აბაშიძე კლასიკური მწერლობის ტრადიციებს პირნათლად იცავს და მისდევს. ასევე პირნათელია იგი თავისი სახელოვანი კლასიკოსების აჩრდილის წინაშე სატრფიალო ლირიკითაც. გრ. აბაშიძეს ისე ამაღლებულად და განზოგადებულად აქვს გამოხატული ინტიმური გრძნობა ადამიანისა, რომ ის არსად არ ემიჯნება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მორალურ კოდექსს.

სიყვარულს თან სდევს გრძნობათა ბრძოლა, გამუდმებული ჭიდილი, და ამ ჭიდილში, თუ ეს ნამდვილი გულწრფელი გრძნობაა, ადამიანი ცდილობს თავისი გაიტანოს, უკან არ დაიხიოს:

> დე, ჩემს ეტლს ქარმა ქროლვა უცვალოს,
> შეჩერდეს შენი თმით დახლართული,
> ვეფხზე უწყალოვ, ჯიქზე უწყალოვ,
> შენა ხარ ჩემი ჯიგთახათუნი.

პოეტი მზად არის აიტანოს, რა მძიმეც არ უნდა იყოს, ეს ჭრილობა სიყვარულისა. სიყვარულით დაისრული გული ვერსად ვერ გაექცევა სატრფოს:

> მაინც გელტვოდა სამოთხის ბაღჩად
> გაჩირაღდნებულს სვეტიცხოველებად...

ძლიერი სიყვარულის გრძნობა განუყრელია პოეტთან ყველგან, სადაც არ უნდა იყოს იგი. სევდის და გულისტკივილის მომგვრელი სიყვარულიც კი იტაცებს პოეტს:

> მე უშენობით სასოწარკვეთილს
> შავად მერტყმოდა ღამე დარკვეთის.

და ეს სევდა სულისა პოეტის უღონობის, ურწმუნოებისა და უსასოების თავშესაფარია; როგორც პეპელა ყვავილს,

არ სცილდება თავის სატრფოს. პოეტის გულის ფიცარზე დაწერილი სიყვარული არაფრით წაიშლება.

> არც ნიაღვარით მოსცილდება, არც ნიავით წაიშლება,
> შენზე ფიქრი სიკვდილამდის, თან მიმყვება კაეშნებად.

პოეტმა იცის აღტაცება და აღგზნებაც სატრფოს წინაშე. ოქროს ბეჭედში სათუთად ჩასასმელი და გულის ჯიბით სატარებელი სატრფო ადვილად დასათმობი როდია პოეტისათვის, მისი დატოვება გულის დარდს შეჰყრის პოეტს, სევდას აღუძრავს განუკურნებელს („ახლაც უსინათლო ვარ, ჩემო ციცინათელავ“).

ჩვენ ხშირად ვიცით კიდევაც პოეტის სატრფოს მისამართი. მის ვინაობას არც პოეტი გვიმალავს. იგი თავის ადრესატს ასე მიმართავს:

> შენს ნაბიჯს ვუსმენ სულგანაბული —
> ყვავილებს შორის მოდის მთის წყარო...
> შენ ფეხადგმული ხარ გაზაფხული,
> გაუქრობელო ჩემო ცისკარო!

პოეტს სიყვარულის ამ ჯაჭვით შევყავართ ოჯახში და ამ უაღრესად ინტიმურ წრეში ჩვენ პოეტთან კვლავ დაკავშირებული ვართ. ეს ივიტომ, რომ აქაც ტიპიური ნიშნებით არის გადმოცემული ლირიკული სამყარო პოეტისა. ტიპიურ სურათში კი შეუძლებელია მკითხველი არ გრძნობდეს სულიერ კავშირს შემოქმედთან. პოეტის შეხვედრა საკუთარ ბავშვებთან, მათთან გატოლების სურვილი, ბავშვური ინტერესებით გატაცება აქ მაღალპოეტურადაა გამოხატული.

> სანაპიროზე სამი ფანჯარა,
> სანაპიროზე ჰყვავის ბაღები,
> კიბესთან მხვდება ორი პატარა.
> კისკისით ჩემი კარის გამღები.
> მე კართან ვტოვებ მტვერსა და ტალახს,
> და როცა ვრჩები მარტო, მათ ახლოს,
> მგონია წუთით ვშორდები ქალაქს
> და სადღაც მყუდრო კუნძულზე ვსახლობ.

ვისაც ბავშვი ჰყავს, ვისაც ოჯახი აქვს, მისთვის უაღრესად ახლობელია ეს სურათი, ასე ამაღლებულად და განზოგადებულად გადმოცემული. ჩვენ ნათლად ვგრძნობთ ლირიკოსი პოეტის ბუნებრივ დამოკიდებულებას და განწყობილებას, რაც ესოდენ მძაფრად შეარყევს ჩვენს სულს და სწორედ აქაა საძიებელი ამ ლექსის საზოგადოებრივი და ხალხური საწყისები.

• • •

გრ. აბაშიძე ეპიკური, მომთხრობელობითი ხასიათის პოეტია. იგი მეტად ნიჭიერი გამომგონებელია სიუჟეტისა, ორიგინალური ლიტერატურული ამბავისა. ამავე დროს, სიუჟეტი ყოველთვის დრამატიზებულია. გამოხატვის ფორმით გრ. აბაშიძის პოემები სიუჟეტიანი პოემების ტიპს განეკუთვნება. ამ მიმართულებით იგი უფრო აკაკისა და ვაჟას ტრადიციას აგრძელებს და, უნდა ითქვას, მეტად საინტერესოდ და ნიჭიერად.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა დაწვრილებით გაგვეხილა პოემის ორი ტიპი („მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა", წიგნი 2, გვ. გვ. 422—469). აქ მოკლედ უნდა აღვადგინოთ ეს მოსაზრებანი, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა შევიმუშაოთ გრ. აბაშიძის პოემების ხასიათზე.

ისტორიულად პოემა სიუჟეტიანი ნაწარმოებია, ასე ითვლებოდა იგი ყოველთვის, ამ ზოგადი ნიშნებით გამოეყო იგი ლირიკულ ლექსებს. დიდი მოვლენების, ისტორიული ქარტეხილებისა და საზოგადოებრივი ვნებების გამოხატვა, რასაკვირველია, ლირიკულ ლექსსაც შეუძლია, მაგრამ როგორც კი დიდი ამბავი ფართო მხატვრულ ტილოს მოითხოვს, ლირიკული ლექსების ნორმებიც ირღვევა. ეს ჭეშმარიტება ისტორიულად კარგად ესმოდათ და ამიტომაც დიდი საზოგადოებრივი მოვლენების გამოხატვისათვის სიუჟეტიანი ფორმის ნაწარმოებებს მიმართავდნენ. მომთხრობელობითი ფორმის ხასიათმა პოეზიაში სწორედ პოემების საჭი-

როება დაბადა. ასე იყო ეს ყველა ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში, — ასევე იყო საქართველოშიც. პირველად მას დამთავრებული და ყოველმხრივ ჩამოყალიბებული კლასიკური ფორმა რუსთაველმა მისცა და ამის შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში, თითქმის ყველა დროსა და ყველა ეპოქაში, პოემას თავისი საპატიო ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. მაგრამ თუ ამ ჟანრის განვითარებას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, მაშინ გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ პოემა, როგორც სამყაროს ათვისების მხატვრული ფორმა, ყოველთვის ერთნაირი როდი იყო. იგი იცვლიდა ფორმას და ამის მიხედვით ამ ტიპის ნაწარმოების ხასიათიც თავისი ძირითადი პოეტიკური ნიშნებით ვითარდებოდა, ზუსტდებოდა. ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავარჩიოთ ცხოვრების, მოვლენების, ადამიანების გამოხატვის ნიშნებით პოემის რამდენიმე ტიპი. ადრინდელი მითოლოგიური პოემა დიდად განსხვავდება ბერძნული და ინდური პოემებისაგან, ხოლო შუასაუკუნეების პოემები — XVIII — XIX საუკუნის პოემებისაგან. მაგრამ ყველა ამ პოემაში აუცილებელი ელემენტი იყო ამბავი, გმირის დახასიათება თხრობის საშუალებით. აქ უმთავრესი იყო ცნობილი, თქმულებებში გავრცელებული თუ ლიტერატურულად გამოგონილ გმირთა ხასიათების გამოსახვა თხრობის გზით.

ისტორიულად, განსაკუთრებით კი XIX — XX საუკუნეში, მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან მკვეთრი სიუჟეტიანი და ლირიკული პოემები. ამ უკანასკნელში ლირიკული ელემენტი წინაა წამოწეული და სიუჟეტის გამომგონებლობას ლირიკული ლექსის მკვეთრი ხასიათი ცვლის. თუ პირველი ტიპის პოემებში უმთავრესია თხრობის ელემენტი, მეორე შემთხვევაში უმთავრესი ყურადღება ექცევა ლირიკული გმირის სულიერი საწყისების გამოხატვას. დახლართულ სიუჟეტს, მრავალწახნაგოვან ამბავს, აქ ცვლის ლირიკული გმირის ყურადღების ცენტრში დაყენება. ბაირონის, შელისა და ჰიუგოს პოემები ამ თვალსაზრისით არსებითად განსხვავდებიან ბერძნული და რომაული პოემებისაგან. თვით ქართულ მწერლობაში რუსთაველის, თეიმურაზ პირველისა

და არჩილის პოემები მკვეთრად განირჩევიან ერთიმეორისაგან, ხოლო არის შემთხვევები, როდესაც თვით ერთი მწერლის შემოქმედებაშიც გვხვდება სხვადასხვა ხასიათის პოემები სწორედ სიუჟეტის თვალსაზრისით. საკმარისია აქ ერთმანეთს შევადაროთ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი", „დედა და შვილი", „კაკო ყაჩაღი" და „განდეგილი". კლასიკური სიუჟეტიანი პოემების თვალსაზრისით ისინი უთუოდ განსხვავებული პოემები არიან.

XX საუკუნის მწერლობამ კლასიკური პოემების ეს ტიპები და ხასიათები უფრო მკვეთრად განასხვავა. აქ ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ ყოველი ჯურის მოდერნისტულმა სკოლამ ბრძოლა გამოუცხადა სწორედ დიდი საზოგადოებრივი მოვლენებისა და კითხვების გამომხატველ სიუჟეტიან პოემებს და მათ დაუპირისპირა ლირიკული ლექსი, ან გრძელი ლექსი. აქ მოვიგონოთ ბალმონტისა და ბლოკის მაგალითი, ხოლო საქართველოში—ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ადრინდელი ლირიკული პოემები. ეს მოდერნისტული პოემები გარკვეულ მხატვრულ პრინციპს ეფუძნებოდა.

ლირიკული პოემების სახეობა შემოიღო საბჭოთა მწერლობაში და ძლიერად დაამკვიდრა ისეთმა პოლიტიკური თემების ოსტატმა, როგორიც ვლ. მაიაკოვსკი იყო. საკმარისია აქ დავასახელოთ მაიაკოვსკის პოემები „ლენინი", და „კარგია". საბჭოთა მწერლობაში, საზოგადოდ, ვლ. მაიაკოვსკის ნოვატორული ასეთი ტიპის პოემები მტკიცედ დამკვიდრდა. აქ უნდა მოვიგონოთ აგრეთვე გალ. ტაბიძის „ჯონ რიდი", ალ. მაშაშვილის „ვე და ბარათაშვილი", გიორგი ლეონიძის, სიმ. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის და სხვათა პოემები.

ვინც პოემების ისტორიას განიხილავს, ამგვარი ხასიათის პოემებს გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ არ იქნებოდა მართალი გვეთქვა, რომ ქართულმა საბჭოთა პოეზიამ შეგნებულად, მთლიანად ზურგი შეაქცია სიუჟეტიანი პოემების ტიპს. არა, ეს რომ ასე არ არის, ამას ამტკიცებს ისეთი საბჭოური პოემები, როგორიცაა ალ. მაშაშვილის „ენგური", კ. კალაძის „უჩარდიონი" და გრ. აბაშიძის სიუჟეტიანი პოემები.

გრ. აბაშიძემ ქართული კლასიკური პოემების ტრადიცია გააგრძელა, როგორც ეპიკოსმა პოეტმა. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა შესანიშნავი ოსტატია იგი ლირიკული ლექსებისა, მაგრამ თუ გრ. აბაშიძის შემოქმედებას ავიღებდით მთლიანად, ზოგადი შეფასების თვალსაზრისით, მაშინ უნდა ითქვას, რომ მისთვის დამახასიათებელია პოეტური აზროვნების ეპიკურობა; მასში პოეტ-ლირიკოსს მაინც პოეტი-ეპიკოსი სჭარბობს. გრ. აბაშიძის პოეზიაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს პოეტური სახეებისა და შედარებების ეპიკური ხასიათი. თავისი პოეტური ბუნებით, მეტყველების ხასიათით, სტილით გრ. აბაშიძე გვევლინება კლასიკური რეალიზმის ეპიკური ხასიათის ტრადიციების ტიპიურ გამგრძელებლად. გრ. აბაშიძის პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი ეს თვისება მთელი სისრულით გამოჩნდა პირველსავე პოემაში „შავი ქალაქის გაზაფხული“.

ვინც გრ. აბაშიძის პოემას — „შავი ქალაქის გაზაფხულს“ დააკვირდება, იგი ადვილად შეამჩნევს ამ ნაწარმოების პირველ და აუცილებელ დამახასიათებელ თვისებას—მისწრაფებას: თხრობას მისცეს ეპიკური ხასიათი. აქ ეპიზოდები და პასაჟებიც ისეა შერჩეული, ისე, მკვეთრადაა ჩაყენებული სიუჟეტის მწყობრში, რომ ყველაფერში თხრობის ხასიათს ემორჩილება.

პოემაში ჭიათურის მუშათა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიაა მოთხრობილი. რევოლუციური მოძრაობის პირველი გარიჟრაჟი საქართველოში, უძველესი მუშათა წრე, ჭიათურის მარგანეცის მუშების პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა აქ გაცოცხლებულია სიუჟეტიანი ამბავის ფორმაში. ჩვენ ვეცნობით მუშათა არალეგალურ კრებებს, რევოლუციურ პროპაგანდისტებს, მათი კონსპირაციული მუშაობის ფორმებს... მოვლენების პოლიტიკურ დახასიათებას რომ მისცეს მეტი ეპიკური ძალა, პოეტს ორიგინალურად შემოაქვს ხალხური თქმულება და ზღაპარი. ამ მხრივ ყველაზე მკვეთრი ხასიათისაა თქმულება „ერთი ვაჟკაცის შესახებ“.

იყო ერთი განთქმული ვაჟკაცი, რომელმაც დღე და ღამე ზიდა ჭაპანი, მაგრამ ვერ აიშენა სამყოფი, ვერ გადაიხურა საბანი. ამ ვაჟკაცს ჰქონდა ყანები, არ აკლდა არც თოხი,

არც ბარი. შრომობდა თავგამოდებით, შეუპოვრად და მოუსვენრად, მაგრამ მისი ნაშრომი, ნახნავი და ნათესი სხვას მიჰქონდა. ამ ვაჟკაცის დაუნდობელი მტერი იყო დევი:

სუყველა იმ დევს მიჰქონდა,
ნაშრომი და ნაჯაფარი,
მას მარტო შრომა რჩებოდა
და გასაწევი ჭაპანი.
დააღონა ბოლოს ვაჟი
უღელმა და მონის ბედმა,
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი,
გადაწყვიტა დევთან შებმა.

და აი კიდეც შეება დევკაცი ულმობელ დევს, მაგრამ ვერ სძლია. საქმე ის იყო, რომ დევს ეხმარებოდა ავსული დედაბერი და მისი მეოხებით ახერხებდა დევი დაემარცხებინა სწორუპოვარი ვაჟკაცი. ბოლოს მიხვდა ვაჟკაცი, რომ საჭირო იყო ჯერ ეს დედაბერი ჩამოეცილებინა თავიდან და შემდეგ შებრძოლებოდა დევს. ავსული დედაბერი, ვაჟს რომ ფეხი არ მოედგა, ვაჟის ფეხქვეშ წყალსა ღვრიდა, დევს რომ ფეხი მოეკიდა, დევის ფეხქვეშ ნაცარს ჰყრიდა. ვაჟმა თავიდან მოიცილა ეს ავსული დედაბერი და შემდეგ ერთბაშად დევზე გამარჯვებასაც მიაღწია. აი, ეს ხალხური ზღაპარი შევოაქვს პოემაში გრ. აბაშიძეს და მას უაღრეს პოლიტიკურ შინაარსს ანიჭებს. ზღაპარს ბუნებრივად ჩაერთვის მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური შეფასება:

ის ვაჟკაცი თქვენ ხართ, ხალხო,
ვეფხებს გავხართ, ტყედ გასულებს,
დევი იგი — მეფე არის,
მემადნე და მემამულე.
თქვენით ტახტი აიშენეს,
თქვენ სიცოცხლე შეგაძულეს,
თქვენ აქამდე აჯობებდით,
რას იზამდა თქვენთან მტერი.
მაგრამ აქაც გამოუჩნდა
დევს მსახური შესაფერი.
მუშის ფეხქვეშ წყალს რომ ასხამს,
აი, თქვენი დედაბერი.

ეს პოლიტიკური დახასიათება მენშევიკურ პარტიას ეკუთვნის და ამის მიხედვით ერთბაშად ნათელი ხდება რევოლუციური მუშათა კლასის წინაშე მისი გამცემლური პოლიტიკური ბუნება.

ამ პოემაში გრ. აბაშიძე უკვე გამოჩნდა, როგორც ეპიკური ტილოს ნიჭიერი შემოქმედი, ამბავის, მოთხრობის, სიუჟეტის გამოგონების ოსტატი. ამას მოჰყვება პოემები „გიორგი მეექვსე", „ძლევის ქედი", „ზარზმის ზმანება", დრამატული პოემა „დედა" და სხვ. ამ ნაწარმოებებში უფრო მკვეთრად გამოვლინდა გრ. აბაშიძის ეპიკური აზროვნება, მკაფიო, მწყობრი სიუჟეტი, საგნებისა და მოვლენების გამოსახვის დიდი რეალიზმი.

გრ. აბაშიძე ზემოხსენებულ პოემებში გვევლინება პოეტური სახეების, შედარებების, ეპითეტების მხატვრული ქსოვილის ოსტატად... მისი პოეტური ენა არსადაა ბუნდოვანი, განგებ დახლართული და ბურუსიანი.

პოეტური ენერგია და ძალა, სამყაროს ათვისების რეალისტური მანერა, პოეტური მეტყველების ნათელი სტილი და ეპიკური თხრობა გრ. აბაშიძის პოემებს დიდ მომხიბვლელობას ანიჭებენ.

გრ. აბაშიძის ეს მხატვრული თვისებანი მთელი სისავსით გამოჩნდა პოემაში „გიორგი მეექვსე". ნიჭიერად გამოგონილი, უაღრესად დრამატიზებული და ინტერესის გამომწვევი სიუჟეტის ფორმაშია გადმოცემული პოემის გმირების ხასიათები, მათი სულიერი სამყარო, პატრიოტული და პირადული ინტერესების კონფლიქტი და ბრძოლა.

პოემის თემად აღებულია მე-14 საუკუნის საქართველო. გარეშე მტერთაგან არაერთგზის აოხრებულ საქართველოს ბაგრატის სიკვდილის შემდეგ სათავეში გიორგი მეექვსე ჩაუდგა. ახალგაზრდა მეფის კურთხევას, მონღოლების მეფის თემურისაგან დასტურის გარეშე, მოჰყვა თემურის უსტარი:

შემოეთვალა მიქცევ შეცდომით
გვერდს ქედმაღალი და უმადური,
მოდი, მეახლე, ვით ქვეშევრდომი,
თუ გსურს მეფობის მოგცე დასტური,

თუ მეურჩები, სასჯელი მკაცრი
გელის, სად წახვალ სამტროდ დამდგარი.
სამეფოს შენსას ცეცხლით და ხანძრით
იავარს გახდის ჩემი ლაშქარი.

❀

ახალგაზრდა მეფემ საჩქაროდ იხმო საქართველოს შვიდივე მთავარი და ბჭობა გამართა. ერთხმად დაასკვნეს: გაეგზავნათ თემურ-ლენგისათვის პასუხი და შეეთვალათ, რომ ჰეფე გიორგი მონღოლთ მბრძანებელს არ ეახლებოდა. იგი ჰეფედ დანიშნა და აირჩია თავისმა სახელმწიფომ და არა თემურ-ლენგმა. და თუ არ მოასვენებდა საქართველოს, ქართველები მამაცურად დახვდებოდნენ მას და საკადრის პასუხსაც გასცემდნენ.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სამეფო საბჭომ, თუმცა გიორგი მეექვსის სიყრმის მეგობარი, გვარამ მარგველი, არ იყო ამის მომხრე და მოითხოვდა გიორგი მეექვსე ხლებოდა თემურ-ლენგს, ამ მომენტით ესარგებლათ ქართველებს, მოეგროვებინათ ჯარი, მოულოდნელად თავს დასხმოდნენ მონღოლებს და ეხსნათ საქართველოც და გიორგი მეექვსეც. და რაკი არ გავიდა გვარამ მარგველის წინადადება, იგი უხმოდ დაემორჩილა საბჭოს გადაწყვეტილებას, ხოლო თავად მას დაევალა, მეფის უსტარი წარედგინა თემურ-ლენგისთვის. ყველამ იცოდა, და მათ შორის გვარამ მარგველმაც, რომ ამ უსტარის მიმტანს სიკვდილი არ ასცდებოდა. ის ჰაინც ასრულებს ამ დავალებას.

მრისხანე თემურ-ლენგმა მარჯვენა მოკვეთა მუქარის წერილის მომტანს, გიორგი მეექვსეს ძუძუმტეს, შემდეგ ჯარი აშალა და საქართველოს საზღვრებს მოადგა.

ხელმოკვეთილ გვარამ მარგველს უმკურნალა თემურ-ლენგის დასტაქარმა პაპუნა თურმანიძემ, რომელიც მას ტყვედ ჰყავდა წამოყვანილი. მკურნალმა პაპუნამ გვარამ მარგველთან საუბარში გაიგო, რომ გიორგი მეექვსეს და გვარამ მარგველს იდუმალი ქიშპობა ჰქონიათ. ქიშპობის საგანი იყო პაპუნა თურმანიძის ასული ნათია. გვარამს ჰგონებია, რომ ხარჯად უნდა მეფეს ეს ულამაზესი ქალი, ხოლო ქალს, თავის მხრივ, გვარამი შეუყვარდა თურმე და შემდეგ მასთან სარეცელიც გაეზიარებინა მეფის საიდუმლოდ. მეფეს

სწორედ ეს გაეგო და ამიტომაც გაუმეტებია ძუძუმტე, მეფის უსტარით წარდგომოდა თემურ-ლენგს. ნათია კი ეკლესიაში მონაზვნად აღუკვეცია.

შემდეგ პოეტი თანდათან გვაახლოებს დრამასთან — საქართველოში საიდუმლოდ შემოპარული პაპუნა და ხელმოჭრილი გვარამი მეფე გიორგის შეატყობინებენ ყოველივეს — თემურ-ლენგის განზრახვას და მისი ჯარის შემადგენლობას. ამ ამბავს ატყობინებს მეფეს პაპუნა, ხოლო გვარამ მარგველის ვინაობა მეფისთვის დაფარულია. აი, ომის ველზე თემურ-ლენგის ჯარის წინააღმდეგ ამხედრებულ მეფეს სიკვდილისაგან იხსნის ეს ცალხელა მხედარი, ხოლო როდესაც მონღოლის ურდოები ცეცხლს მისცემენ ეკლესიას, სადაც ნათიაა გამომწყვდეული, იგი აქ გაჩნდება, შუაცეცხლში შეევარდება, ხელზე ატაცებული ნათია გამოჰყავს და სწორედ მაშინ ეკლესიის გალავანს მოადგება გიორგი მეექვსე, დაინახავს და შეიცნობს ცალხელას, რომელმაც მეფე სიკვდილისაგან იხსნა. თურმე იგი მისი სიყრმის მეგობარი გვარამ მარგველი ყოფილა. მეფის თვალებს ცრემლი მოსწყდა, მაგრამ ამ დროს ცეცხლმოდებული კედლები ჩამოინგრევა და ნანგრევების ქვეშ მოჰყვება ნათიაცა და გვარამ მარგველიც.

ასეთია პოემის სიუჟეტური ქარგა. ამ ქარგაზეა გამოსახული გიორგი მეექვსისა და გვარამ მარგველის მკვეთრად განსხვავებული ხასიათები და მათი პატრიოტული თავდადება დედა სამშობლოსათვის. ყველაფერი ეს გამოხატულია დიდი გემოვნებით, დიდი დრამატიზმით, რაც ამ ნაწარმოებისადმი შეუნელებელ ინტერესს ბადებს. რასაკვირველია, აქ ბევრი პირობითობაა დაშვებული, მაგრამ მხატვრული ლიტერატურა ამგვარ პირობითობას გვერდს ვერ აუვლის.

ეს პოემა დაიწერა და გამოქვეყნდა 1942 წ. მისი დიდი ღირსება სწორედ ისაა, რომ ავტორმა მოახერხა, სამამულო ომის მრისხანე დღეების ვითარება დაეკავშირებინა ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულთან, სამშობლოსათვის ისტორიულ პირთა თავდადება და ვაჟკაცობა გამოეყენებინა მეომარი საბჭოთა ხალხის საბრძოლო განწყობილებებისა და შემართების გასაღვივებლად. ამ ტენდენციას პოეტი განსაკუთრებით პოემის ეპილოგში გვამცნობს („საკართანაო, ანუ გა-

ბაასება წარსულთან“). პოემის ისტორიული გმირები გადმოსძახებენ სამამულო ომში თავგამოჩენილ გმირებს:

„ჩვენებრ გმირობას გთხოვთ საქართველო,
ამაზე დიდი არის დიდება?!
მტერმა სამშობლო რომ გადათელოს,
საფლავში ფერფლიც აგვიტირდება!“

ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲓᲐᲫᲐᲮᲘᲚᲚᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘ:

— არა! ჩვენ ვიცით გმირული შებმა,
ჩვენც გვაფრთოვანებს ბრძოლის ნაღარა,
რომ გადათელონ სამშობლო მტრებმა
მისთვის ვაქციეთ განა ბაღნარად?!
ჩვენს სულში ლაღი არწივი ბუდობს,
გვერჩის გული და არ ვართ ჯაბანი,
დასავლეთიდან წამოსულ ურდოს
ჩვენც ვხვდებით, როგორც მამა-პაპანი.

პოემაში აღწერილი ბატალური ეპიზოდები, ჩვენი სახელოვანი წინაპრების პატრიოტული შემართების მაგალითები, მათი თავდადება მამულისათვის, სამშობლოსათვის აქტიურად ეხმაურებოდა სამამულო ომის მღელვარე დღეებს. ისტორიულ თემაზე დაწერილი ეს პოემა უაღრესად თანადროული იყო. ესაა დიდი პატრიოტული გრძნობებითა და ვნებებით აჟღერებული მხატვრული ქმნილება, რომელიც ასე ახლო ეხმაურებოდა ჩვენს სულს, ჩვენს ფიქრსა და ოცნებას ფაშისტ ურჯუკებთან წინააღმდეგ ომში.

ეს ასეა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისტორიულ თემაზე დაწერილ პოემაში ისტორიული რეალიებისა და ხასიათების გამოსახვაა. იბადება კითხვა: როგორ მოახერხა მწერალმა ეს? როგორ აღადგინა მან ჩვენს შეგნებაში ისტორიულ პიროვნებათა ღვაწლი?

ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲣᲠᲝ-ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲐᲐ. ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲣᲠᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ. ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘᲐ — �გᲘᲝᲠᲒᲘ, ᲒᲕᲐᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ.

ამ ფონზე შექმნილი კონფლიქტი ქმნის პოემის ყველაზე უფრო მძლავრ ეპიზოდებსა და სურათებს.

პოემის სიუჟეტი გიორგი მეექვსესა და გვარამ მარგველის კონფლიქტით ვითარდება. თითქოს ჯერ კიდევ აკვანშივე ჩაესახა მათ ქიშპობა და შური ერთმანეთის მიმართ. როდესაც მეფე ბაგრატის პირმშო გიორგი მეექვსე გვარამ მარგველის დედას მიჰგვარეს აღსაზრდელად, იგი მაშინვე შეეცილა გვარამის საყვარელი დედის მარცხენა ძუძუს, მაშინვე შურით დახედა ტახტის მემკვიდრემ გვარამ მარგველს. მაგრამ დედის გამჭრიახმა გონებამ მალე მოარიგა ისინი:

მარცხენას მსგავსად მარჯვენაზედაც
თვით დაეხატა შავი ხალები...

და აი, თითქოს შერიგდნენ ძუძუმწენი:

შევრიგდით, მასზე კარგი ვინ მყავდა,
იმ დღიდან ერთად ვიწყეთ ლაღობა,
ერთიმეორე რარიგ გვიყვარდა,
რა კარგი იყო ჩვენი ბალღობა!

ეს მეგობრობა ხანმოკლე აღმოჩნდება. სოფლის ქორწილში შემთხვევით გაიცნობენ ისინი ულამაზეს გოგონას ნათიას. ორივეს შეუყვარდება ეს გოგო, მაგრამ ქალი მოხიბლულია გვარამ მარგველით. გიორგი მეექვსემ გვარამის დახმარებით გაიტაცა ნათია. გვარამს ეგონა მეფეს ნათია ხასად უნდოდა, მაგრამ მან მოისმინა მეფის მტკიცე გადაწყვეტილება: „მითხრა, ნათიას შევირთავ ცოლად, თუნდ მეფედ ვიქნე უარყოფილი". გვარამ მარგველმა მაინც ვერ დათმო ნათიას სიყვარული. მას თითქოს ესმის დედის მუდარაც, რომ მას ძუძუებს ატკენს ძმობილების ჩხუბი, რომელიც დააუძლურებს სამშობლოს, მიჯნური მაინც უკან არ იხევს. შემდეგ კი თვით მეფემ გაიმეტა იგი სასიკვდილოდ, გაგზავნა ელჩად, რადგან იცოდა, ელჩობა სიკვდილს ნიშნავდა. ასე გადაემტერნენ ძმობილები ერთმანეთს. ამის მიხედვით ნათელია, რომ ავტორს ყურადღების ცენტრი სწორედ ამ ტრაგიკულ სამიჯნურო თავგადასავალზე გადააქვს. მაგრამ არ იქნებოდა მართალი, გვეთქვა, რომ ეს მომენტი პოემაში თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობისა იყოს. არა, ავტორს ეს ტრაგიკული სა-

ვიჯნურო ამბავი, სიყვარულის კონფლიქტზე დამყარებული მოელვარე ეპიზოდები, შინაგანად დაკავშირებული აქვს სამშობლოსათვის თავგანწირვასთან, — სამშობლოს სიყვარული აქ გადაჯაჭვულია სატრფოს სიყვარულთან და — პირიქით. პოემის გმირებმა იციან, რომ „სიკვდილი თუ არ აგცდება, სამშობლოსათვის გიჯობს სიკვდილი“.

სწორედ ამ აზრითა და შინაარსით არის გამსჭვალული გმირების პატრიოტული შემართება, მათი საომარი თავგადასავალი და საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მტრის ურდოებთან.

ტყის ნადირივით სისხლი სწყუროდა,
განრისხებული იყო თემური,
არ მოსდიოდა ჩვეულს ურდოდან
გამარჯვების ხმა ადრინდებური.
იცოდა, ომში არის გამრჯელი,
ქართველი პირველ დარტყმისას მბოლოდ,
მაგრამ არა ჰყავთ ჯარში მაშველი
და დაღლილობა გასტეხავთ ბოლოს.
დღესაც იხილა წყობა ქართველთა
და ომი ნახა მართლაც ბრწყინვალე,
უკვე მზე მიდრკა, ბრძოლა გაგრძელდა,
მაგრამ ქართველნი არ მოიღალნენ.

ასე იხატება პოემაში შეუპოვრობა, თავდადება დედა სამშობლოსათვის. ერთი მუჭა ქართველები ვერ გატეხა და ვერ დასცა თემურ-ლენგის ურიცხვმა ჯარმა. ამ ბრძოლაში თავი ისახელა როგორც გვარამ მარგველმა, ისე მეფე გიორგიმ. მეფე გიორგი თავის თვალით ნახავს ძუძუმტე გვარამის თავგანწირვას და ვაჟკაცობას, მან ააშორა მეფეს სიკვდილი. გვარამ მარგველის ამ სამაგალითო ვაჟკაცობამ ერთხელ კიდევ ჩააგონა მეფეს, შური ეძია მუხთალ მტერზე. გიორგი მეექვსეს ფიცის სიტყვები პოემის ძირითადი აზრისა და ავტორის ჩანაფიქრის მხატვრული გახსნაა:

და ღმერთს შეპფიცა: „სანამ ვიქნები
თემური ვმუსრო, და ვაჩანაგო!..
არ გავხდე მისი ყმა და მორჩილი,
მეტი მივაგო ასჯერ ზიანი!“

იდგა გიორგი და ქუდმოხდილი
ცას შეპყურებდა თვალცრემლიანი.

სიყვარულში გადამტერებული გიორგი მეექვსესა და გვარამ მარგველის დაპირისპირება — მეფისა და სამთავროს შვილის დაპირისპირებაა. მათი მეგობრობაცა და მათი გულზვიადობაც ამ ფონზე ვითარდება. მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა და მისთვის თავდადებამ ისინი კვლავ დააახლოვა ერთმანეთთან, კვლავ ერთად შეყარა, ერთი განზრახვით აამხედრა მტრის წინააღმდეგ. ამას დაუმორჩილა პოეტმა პოეტის ძირითადი აზრი და სწორედ აქ გამოჩნდა პოემის პატრიოტული ხასიათიც. მართალია, პოეტური ენერგიის, მხატვრული პასაჟებისა, და ეპიზოდების განაწილება, როგორც ეს ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში გამოითქვა, იმგვარად მოახდინა ავტორმა, რომ მეტი ადგილი ამ სამიჯნურო-სატრფიალო თავგადასავალს დაუთმო, მაგრამ—ჩვენი აზრით, ეს იმდენად ნაკლი კი არ არის, რამდენადაც მანერა, ხერხი ავტორისა.

პოემაში მთელი სისრულით გამოვლინდა კლასიკური პოემებისათვის დამახასიათებელი თვისებანი და ხასიათი. მკვეთრად ჩამოყალიბებული სიუჟეტი, ლოგიკური განვითარება ამბავისა და ურთიერთშენაცვლება ეპიზოდებისა, დიდი სიმძაფრე და დაპირისპირება ადამიანური ვნებებისა და მძაფრი კონფლიქტი ამ ნაწარმოებს კლასიკური პოემების მწყობრ ხასიათს ანიჭებენ. ამავე დროს, აქ მკვეთრად არის დიფერენცირებული ხასიათები პოეტური საღებავებით. გვარამ მარგველი და გიორგი მეექვსე, სოციალურად და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე ახლო მდგომი პიროვნებები, მწერალმა მკაფიოდ განსხვავებული ფერებითა და ხასიათებით გამოძერწა.

* * *

გრ. აბაშიძის, როგორც ეპიკური ტილოს შესანიშნავი ოსტატის, დიდი ნიჭი თავს იჩენს არა მარტო ისტორიულ თემაზე დაწერილ პოემებში, არამედ, უმთავრესად, თანამედროვე, ჩვენი სინამდვილის გამომსახველ ვრცელ მხატვრულ ტილოებშიც. ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს სა-

მამულო ომის თემისადმი მიძღვნილი ორი შესანიშნავი პოემა „ძლევის ქედი“ და „ზარზმის ზმანება“. ამ პოემებშიაც სიუჟეტი მკვეთრად და მწყობრად არის ჩამოყალიბებული, პოეტი გვევლინება არა მარტო სიტყვიერი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატად, არამედ ამბავის, სიუჟეტის ლიტერატურული გამოგონების ხელოვანად.

„ძლევის ქედი“ გრ. აბაშიძემ დაწერა სამამულო ომის მღელვარე დღეებში, მაშინ, როდესაც კავკასიის ჭაღარა მთებს გერმანელი ურჯუკების ულმობელი არმია მოადგა. აქ პოეტმა გამოხატა ომით გამოწვეული მრისხანებისა და ჩვენი ხალხის თავდადებისა და შემართების ძლიერი სურათი.

პოემის მთავარი მოქმედი გმირი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი გიორგია, რომელსაც განათლება მოსკოვში მიუღია. მის მაგალითზე ნაჩვენებია ქართველი ჯარისკაცის შემართებაც და ქართველთა საომარი თავდადებაც.

ახალგაზრდა გიორგის ომის წინადღეებში მოსკოვის დინამოს სტადიონზე გაუცვნია ქართველი ქერათმიანი გოგონა, შემდეგ ისინი ლენინის ბიბლიოთეკაში წიგნების კითხვის დროს დაახლოებულან და ერთმანეთი შეუყვარებიათ. უეცარმა ომმა მათ შეუღლებას ხელი შეუშალა: გიორგი ფრონტზე გაიწვიეს, ქერათმიანი გოგონა კი საქართველოში დარჩა. ფრონტზე გიორგის თან სდევდა ქერა გოგონას ლანდი, მშობელი დედისა და სატრფოს დარდი:

> დასვენებისას ხანდახან დაღლილთ,
> მაგრამ ანთებულთ ბრძოლის ენინთა,
> გვაგონდებოდა ჩვენ-ჩვენი სახლი
> და მოველოდით წერილს შინიდან.
> წევხარ და დედის წერილს დასცქერი,
> მშვიდდები, მაგრამ ხარ მოწყენილი,
> ფრონტზე სხვა არის დედის ნაწერი,
> უფრო სხვა არის სატრფოს წერილი.

ბოლომარ გიორგის, პატრიოტ მებრძოლს, სატრფოს ბარათები შთააგონებდა. თავდადებით ებრძოლა მტრის ურდოების წინააღმდეგ. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ბრძოლის ქარცეცხლში მოქცეული რუსი, უკრაინელი, უზბეკი მეგობრების მკაცრი საომარი თავგადასავლის ამბავს, ცხარე

ბრძოლის დღეებს და ბრძოლაში დაცემულ უკრაინელ ვეგობარს იგონებს.. მტრის გარემოცვაში მოქცეული გიორგი ექვს დღე-ღამეს შიმშილსა და წვალებაში ატარებს, ბოლოს თავს აღწევს მტრის რკალს და კვლავ მოაშურებს თავის ნაწილს. ახლა მას გზავნიან კავკასიის ფრონტზე მტრის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. გიორგი თბილისზე გამოივლის. მას აწუხებდა სატრფოს ბედი, — ფრონტზე უკვე აღარ მოდიოდა ქერათმიანი გოგონას ბარათი. თბილისში გებულობს, რომ ქერათმიანი „ჯარს გაჰყოლია ომში დობილად". შემდეგ კავკასიის ფრონტზე მრისხანე ბრძოლაში დაჭრილ გიორგის ომის ცეცხლიდან სწორედ ეს ქერა გოგონა იხსნის, რომელსაც ძლივს მოჰყავს ახალგაზრდა ვაჟკაცი. თვალი გაახილა გიორგიმ და შეიცნო სახე სატრფოსი, მაგრამ ეს სიხარული წუთიერი იყო, ამ დროს გაიზუზუნა მტრის ტყვიამ და გოგონა იქვე განგმირა. გადარჩენილი გიორგი ჰოსპიტალში მოიყვანეს, სადაც იგი განიკურნა და რამდენიმე დღით თავის სოფელს უბრუნდება. მტრის განადგურებისა და სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილი გიორგი კვლავ ფრონტისაკენ გასწევს. ასეთია სიუჟეტი ამ პოემისა.

ქართველი ჯარისკაცი გიორგი დაჭრეს, სატრფო მოუკლეს, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს პატრიოტი გმირი.

> აქ რა მინდა, სანამ ჩვენს ჯარს
> მტერი კიდევ უმკლავდება!
> იდგა გმირი, შუბლშეკრული,
> საქართველოს უკვდავება.
> იდგა გმირი, როგორც მუხა,
> ფესვმტკიცე და ტოტებსრული —
> საქართველოს მეომარი —
> უკვდავება ხორცშესხმული!

ასეა გამოხატული პოემაში შემართება და შეუდრეკელობა ქართველი მეომარი ჯარისკაცისა.

პოემაში ჩართულია ლირიკული ეპიზოდებიც, იქნება ეს თბილისის აღწერა საომარი განგაშის დროს, თუ კავკასიის ბუნების სურათი, გადმოცემული პოემის ექსპოზიციაში. ამ

ეპიზოდებში მაღალმხატვრული ოსტატობით აღბეჭდილია სამამულო ომის სურათი და საქართველოს სიმშვენიერე:

თენდება, ქედებს ცეცხლი ედება,
ჩუმად სტოვებენ მთებს ჩეროები,
ღრუბლების ზღვაში დადგნენ გედებად
კავკასიონის კენწეროები.
თეთრი ჩაიცვეს მთლად სამოსელი,
ამოიკეცეს თოვლის კალთები
და დასხდნენ, როგორც თარგამოსები,
კავკასიონის გოლიათები.
ჩაშტერებოდნენ შავ-ბნელ ხეობებს,
მარადისობის ფიქრს არ იშლიდნენ,
არ ინძრეოდნენ, არ ირხეოდნენ,
და ღვთაებრივი იდგა სიმშვიდე.

ბუნების ეს ღვთაებრივი სიმშვიდე ერთბაშად შეცვალა ქვემეხების გრიალმა:

აღარც მთა არი, აღარც ხევია,
მშვიდად, ზეცამაც იწყო ზანზარი,
თეთრ მთებს ბარიდან დაჯახებია
ლითონის ზვავი უზარმაზარი.
დაჯახებია, კლდედ დახვედრია,
კავკასიონი მხნე და მაღალი,
ისევ ამდგარა, თუმც თმათეთრია,
ისევ აუსხამს ჭარმაგს ფარ-ხმალი.

ასე შევყავართ პოეტს ომის ამბავის თხრობაში და შემდეგ, პოემის ყოველ სტრიქონში იგი მგზნებარე პატრიოტის ხელით აქანდაკებს ჩვენი ხალხის საომარი ცხოვრებისა და ბრძოლის სურათებს.

პოემა ვრცელი მხატვრული ტილოა, გამომსახველი კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებული სამამულო ომის მღელვარე დღეებისა.

უნდა ითქვას, ამ ნაწარმოებს აქვს თავისი ნაკლი: ვრცლად არ არის გადმოცემული და მკვეთრად არ არის ჩამოყალიბებული გმირთა ხასიათები; ერთადერთი ხასიათი, რომელიც ყველაზე უფრო შთამბეჭდავია, ეს არის გიორგი, სხვა გმირთა

ცხოვრების აღწერას კი ერთგვარი ფრაგმენტულობა ემჩნევა. ამისდა მიუხედავად, მთლიანად პოემა მძლავრად გადმოსცემს სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბულობას.

პოემაში „ზარზმის ზმანება" გრ. აბაშიძემ დაგვიხატა სამამულო ომის შემდგომი წლების ვითარება ისევ სამამულო ომის ეპიზოდების გამოყენებით. პოემის მთავარი მოქმედი პირებია ომგადახდილი რაჭველი გოლეთიანი და მისი დედა.

ყურადღებას იპყრობს პოემის ორიგინალური კომპოზიცია და სიუჟეტის ოსტატური განვითარება. რაჭის პატარა სოფელი ღები უკაცურ ადგილს დამსგავსებია. სოფელში მოდის მისი მკვიდრი ომგადახდილი გოლეთიანი. ეს რკინასავით ვაჟკაცი თითქოს შიშმა შეიპყრო: მიდამო დუმდა ნასაყდრალივით, არსად ჩანდა ბუხრის თავებზე ბოლი, ორღობეებში არ ყეფდა ძაღლი, არ მოისმოდა კაცის ხმა, თუმცა შიშს გადაჩვეული იყო, მაინც უკრთოდა ვაჟკაცს სხეული, ამ სურათის შნახველს. ბოლოს გოლეთიანმა მიაგნო თავის სახლს, მაგრამ თანდათანობით შიშს განსაცდელი ცვლიდა, კიბე ხავსს დაეფარა. ცარიელ სახლში არავინ ჩანდა, ჩქამი არ მოისმოდა. ბოლოს ერთგან სინათლე შენიშნა. აქ მოხუცი კაცი აღმოჩნდა. მოხუცმა ვერ შეიცნო ჯარისკაცი. ფარაჯიანმა გოლეთიანების ამბავი გამოიკითხა. მოხუციც მოუთხრობს მათი ოჯახის თავგადასავალს: გოლეთიანების ომშიწასული ვაჟიშვილი დაიღუპა ფრონტზე, მისი დაღუპვის ამბავი მე მოვუტანე ოჯახსო. ზარზმაში გადასახლების შემდეგ ოჯახის დედა სევასტოპოლში წასულა, ომში დაღუპული ვაჟის საფლავი მოუძებნია და ნეშტი ზარზმის გალავანში დაუმარხავს. გოლეთიანს, რომელსაც თავად შეეხებოდა ეს ამბავი გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს მოხუცისათვის. გასწევს ზარზმისაკენ. ამ ისტორიულ ადგილას მოსული, ხედავს, როგორ განახლებულა ეს მიწა ქართული, როგორ მომრავლებულა ქართველთა მოდგმა. ამ სანახაობით მოხიბლული ომგადახდილი გოლეთიანი ერთბაშად მიიპყრო ასეთმა სურათმა:

ზარით ვის სახელს მოუხმობ ნეტავ,
ზარზმაში მოთქმად მოსულო დედავ?
როგორ გამტყდარხარ, ქცეულხარ ლანდად,

— ვინ გაგიგმირეს, ვინ დასცეს ლახვრით?
დედას, რომელსაც ცხრა შვილი ჰყავდა,
ერთის სიკვდილიც მიწამდე დახრის.
მაგრამ შენს წუხილს არა აქვს ბოლო,
ვაი, თუ ერთი გაზარდე მხოლოდ,
ვაი, თუ მხოლოდ ერთი პაწია
წამოფრენილა შენს თბილ უბეში,
ისიც თუ სიკვდილს წარუტაცნია,
არ დარჩენილა შენთვის ნუგეში!

გოლეთიანმა შეიცნო მომტირალნი.

სახემწუხარნი, გაშლილთმიანნი,
მასვე მოსთქვამდნენ დედა და ცოლი.

გაირკვევა, რომ ვისაც დასტიროდნენ, ცოცხალია, ოჯახის სიხარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ გოლეთიანის დედა მოსვენებას მაინც კარგავს: ღამით ესიზმრება, რომ სევასტოპოლში იმ ადგილს, საიდანაც მან ვაჟკაცის ნეშტი ამოიღო, დასტირის ნამდვილი დედა, — დასტირის ცარიელ სამარეს. იგი წყევლის შვილის საფლავის ამომთხრელს; თანაც ზარზმის გალავანში დასაფლავებული ვაჟკაცი საყვედურით მიმართავს გოლეთიანის დედას:

„აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,
თუ დამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ!“

სიზმრისაგან შეძრწუნებულ დედას გამოეღვიძება. მეორე დღიდან ის ისევ იწყებს ზარზმის გალავანში სიარულს და, როგორც საკუთარი შვილის ნეშტს, ისე უვლის და დასტირის ამ უცნობი ჯარისკაცის საფლავს; პატივისცემით ეპყრობიან სამამულო ომის გმირს გოლეთიანის ცოლიცა და თვითონ ომგადახდილი გოლეთიანიც.

გოდება მოგავს ჩუმ ქვითინს უფრო,
სხვის ვაჟკაცს სტირის უპირისუფლოს.
ვინ იცის, უცხო ვაჟკაცს რა ჰქვია,
ვის სტირის დედა მარტო მისული,
იქნებ მას მოხვდა ანაზდად ტყვია —
მისი შვილისთვის გამომზადებული.
— დედა რომ სხვის შვილს ჰგლოვს ცრემლიანი,
ცოლი რას ამბობს გოლეთიანის?

— ცოლი? ქართველი კაცის ცოლია,
მკვდარ ვაქკაცს როგორ არ დაიდარდებს!
ვითომ საფლავში მაზლი ჰყოლია,
ისე დაზრუნავს საფლავის ვარდებს.
— თავათ რას ამბობს გოლეთიანი,
ვაქკაცი მრავალმოკეთიანი?
— თავათ რას იტყვის? ომგადახდილი
მუდამდღე დასცქერს საფლავს მდუმარი,
თითქოს ძმა ჰყავდეს ლოდქვეშ ნამდვილი,
ომში მოკლული ძმა საკუთარი.

ერთი შეხედვით დაუჯერებელია, რომ დედას, რომელსაც ცოცხალი გამოეცხადა ომში დაღუპული შვილი, შემდეგ უცნობი ჯარისკაცის საფლავი ისევ გულდაწყვეტით ეტირა და ეგლოვა, და შვილსაც და რძალსაც ასე გაეზიარებინათ ეს წუხილი და გლოვა. მაგრამ, ვინც ღრმად დააკვირდება ამ ეპიზოდს, დაგვეთანხმება, რომ ამ შემთხვევაში უცნობი ჯარისკაცის საფლავი სიმბოლოა ომით გამოწვეული მწუხარებისა, ომის მიერ მოტანილი მსხვერპლისა და უბედურებისა. ამას ემატება დედის სიზმარი, საყვედური უცნობი ჯარისკაცისა და დედისა. ყოველივე ამის შემდეგ რა სიმბოლურად ჟღერს სიტყვები: „იქნებ მას მოხვდა ანაზდად ტყვია, მისი შვილისთვის გამომიზნული". ამ ეპიზოდს მოსდევს მეტად მღელვარე დეტალი:

— უცხო შვილისთვის როცა სწევს სასმისს,
თუ ილოცება ტაძარიც ზარზმის?!
— ზარზმაც მათ ძმობას ეთაყვანება,
გაურღვეია შავი ღრუბლები,
ზარზმა ზარს რეკავს, ხედავს ზმანებას
და ესიზმრება თავის ტყუბები.
მას ესიზმრება ოშკი და ბანა,
მიწა ქართველთა სისხლმა რომ ბანა,
ოხრებული ტბეთი და ხანძთა,
დაუვიწყარი მარად იშხანი,
სისხლის ლანქერი, სიკვდილის განცდა,
ნგრევა, ხანძარი და ქარიშხალი.

პოემის ამ ფინალში შერწყმულია ერთმანეთთან ომგადახდილი გოლეთიანის პატრიოტული თავდადება და ოცნება

საქართველოს იმ მიწა-წყალზე, რომელიც მტრისგან არის მიტაცებული. მესხეთს დასახლებული გოლეთიანი ახლა ძველი მესხეთის განახლებაზე და აღორძინებაზე ფიქრობს. იგი მოწმეა იმისა, თუ როგორ ჩაისახა სიცოცხლე, როგორ გამრავლდა ზარზმაში დურგალი; აკვნის თლას ვეღარ აუდიან, ზარზმაში კვლავ ისმის ქართული ნანა.

როცა ქართული ჩაესმის ნანა,
როცა ნიავით ირწევა ყანა,
თურმე ამაზე ფიქრობს ნიადაგ,
ლოცავს აკვანს თუ ახალ ხარაჩოს,
როდის იქნება, გოლეთიანმა
ზარზმის გადაღმა გადაალაჯოს!

და ეს არ არის მისწრაფება სხვისი მამულის დაპყრობისა, არამედ პატრიოტული აღტყინება ნაომარი ჯარისკაცისა — დაიბრუნოს თავისი კანონიერი მიწა-წყალი. აქ არაფერია აგრესიული... ასე ორიგინალურად დაუკავშირა მწერალმა ომგადახდილი კაცის პატრიოტული განწყობილება და მისი საომარი თავგადასავალი პოემაში გამოხატულ მთავარ იდეას. ეს არის იდეა მაღალი საბჭოთა ჰუმანიზმისა, რომლის მკაფიო გამომხატველია პოემის მთავარი გმირი — გოლეთიანის დედა.

გოლეთიანის დედის სიყვარული უცნობი ჯარისკაცისადმი — ეს არის სიყვარული საბჭოთა დედისა ყველა იმ შვილისადმი, რომლებიც სამამულო ომში დაეცნენ, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი მამული, ჩვენი ოჯახი. ეს არის საბჭოთა ადამიანების მადლიერების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობები, რომლებიც გამოხატულია უცნობი ჯარისკაცის საფლავისადმი გოლეთიანის დედის გულისხმიერ დამოკიდებულებაში. პოემაში სწორედ ეს მაღალი ჰუმანისტური იდეები გვიტაცებს და გვხიბლავს. დედის ამ ჰუმანიზმს შორეული ისტორიული წარსული აქვს. მისი ძირები მოცემულია ხალხურ პოეზიაშიც, ამიტომ შემთხვევით არ არის მოტანილი პოემაში „ვეფხისა და მოყმის“ შემდეგი სტრიქონები:

„...ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა.
იქნება, ვეფხის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა...“

ეს შორეული ამბავი ავტორმა გამოიყენა ნაწარმოების ძირითადი იდეის გასახსნელად, იდეისა, რომელიც უკავშირდება საბჭოთა ადამიანების დიდ პატრიოტიზმს, ომით გამოწვეული მწუხარების მძიმე განცდებს, ჩვენი ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლის მოგონებას. ეს არის საბჭოთა დედის ჰუმანიზმი გამოსახული მაღალი მხატვრული ფორმით ნათელსიუჟეტიან ამბავში. პოემა საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი იდეალით არის განათებული, და ეს არის მისი უპირველესი ღირსება.

გრ. აბაშიძე ავტორია ორი დრამატული ნაწარმოებისა: „დედა“ და „მოგზაურობა სამ დროში“.

„მოგზაურობა სამ დროში“ მწვავედ აყენებს ხალხის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის პრობლემას. პიესის დრამატული კონფლიქტი ეფუძნება ახალგაზრდა მხატვრის გურამის უთანხმოებას მის თანამედროვეობასთან. მხატვრის წარმოდგენით, მისი ეპოქა მუქ, ჩრდილოვან მხარეებს მოიცავს. ეს აზრი ეყრდნობა მის ზერელე და წვრილმან წარმოდგენებს მოვლენების, საგნების შესახებ, ცალკეულ ნაკლოვან მხარეთა განზოგადებას... ამის გამო მხატვარი ვერ ხედავს მისი დროის დიდ მოვლენებს, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის მაღალ იდეალებს. გურამს არ ესმის ცხოვრების ნამდვილი ტენდენცია და მისი მღელვარე რომანტიკა. ასეთ ვითარებაში მხატვარი გატაცებულია წარსულით. მას გაიდეალებული აქვს ეს წარსული და, აწმყოზე გულაყრილი, ძველის, გარდასულის მოგონებით ოხუნჯს გულს.

მწერალმა გამოიყენა თავისებური, მეტისმეტად პირობითი ხერხი, რათა ნათლად გამოეხატა მხატვრის ცალმხრივ და მცდარ წარმოდგენათა ნამდვილი არსი.

პიესა შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი მოქმედება, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას გვიხატავს, მკაცრ რეალისტურ პრინციპებს ეფუძნება, მეორე ნაწილი, რომელიც

ლექსად არის დაწერილი, მუქი რომანტიკული ფერებითა და საღებავებით აცოცხლებს წარსულის სურათებს, ხოლო მესამე ნაწილი მომავალ ცხოვრებას თვალწინ გადაგვიშლის და გროტესკულ ელემენტებს ეყრდნობა.

სამი ვაშლის პირობითობის ხერხით ავტორმა მხატვარი გურამი სამივე დროში გადაასახლა. აი, გურამი ეცნობა მისთვის საოცნებო წარსულს, მის ადამიანებს, საზოგადოებრივ წესრიგს, კანონსა და ადათს. იგი გაოგნებულია ამ წარსულის სიმკაცრით, სისხლიანი დღეებით, რომელთა უშუალო მოწმეც თვითონვე ხდება. თანამედროვე ადამიანების მონური მორჩილება და ქედის მოხრა უსამართლობის წინაშე მას აღაშფოთებს და აოცებს. უფრო სისხლიანია ეს წარსული, ვიდრე მისი თანამედროვე ცხოვრება. აღშფოთებული გურამი გარბის ამ წარსულიდან. ბოლოს იგი მწერალმა მომავალ დროში გადაასახლა. ამ მომავალში მას ბევრი რამ აცვიფრებს. ცხოვრება წინ წასულა, ბევრი რამ შეცვლილა, მისი საყვარელი თბილისი უფრო ლამაზი გამხდარა, კაცობრიობას კოსმოსი დაუპყრია და იქ სადგურები გაუმართავთ, კოლონიალიზმის სასტიკი სისტემა დამსხვრეულია, მშვიდობა, თავისუფლება და დემოკრატია ზეიმობს ყველგან, შაგრამ, რაც უმთავრესია, ეს ადამიანები განსაკუთრებული სიყვარულით იგონებენ გურამის თანამედროვე ადამიანთა ცხოვრების დღეებს, მათს შრომითს რომანტიკას, რის ბაზაზეც აშენდა და შეიქმნა ეს ცხოვრება. იმ ეპოქაში კი გურამი ხელჩაქნეული იდგა და არაფერს აკეთებდა, ამიტომ მას, კაცმა რომ თქვას, არცა აქვს წილი და უფლება ამ ახალ ცხოვრებაში, და გურამიც მწარედ მიხვდა მის მიერ ჩადენილ შეცდომას.

პიესის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დაამტკიცოს შემდეგი ჭეშმარიტება: მწერალი, ადამიანი, ხელოვანი დროის, ეპოქის ნაყოფია, მისი ღვიძლი შვილია და იგი ვალდებულია თავის თანამედროვეთა რომანტიკით ცხოვრობდეს და იბრძოდეს უკეთესი მომავლისათვის. იყოს აქტიური. მებრძოლი, ცხოვრების მღელვარე ცენტრში მოქცეული. ამდენად „მოგზაურობა სამ დროში“ ფრიად საინტერესო პიესაა და მისი ფილოსოფიაც რეალიზმის პრინციპს ემყარება, ჩვენი ცხოვრების სიყვარულს ეფუძნება.

გრ. აბაშიძის დრამატული პოემა „დედა“ თბილისის აშენების ლეგენდაზეა აგებული. მწერალმა ოსტატურად შეუფარდა, განავრცო და დრამატული ინტერესებით გააცოცხლა ძველი ლეგენდა თბილისის აშენების შესახებ. თბილისის დაცვის ამბებს ავტორმა განზოგადებული ხასიათი მისცა და სიმბოლურად წუთისოფლის პრობლემას ცხოვრებასთან ჭიდილის, არსებობისათვის ბრძოლის, სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია დაუდო საფუძვლად. პოეტის აზრით, სიცოცხლეს სიკვდილი თან სდევს. ეს პრაქტიკულად შემოწმებული ფილოსოფიაა:

როგორც ჩრდილი სდევს ნათელ დღეს მზიანს,
სიკვდილი მუდამ თანასდევს ყველას,
იქ, სადაც აკვანს არწევენ ნელა,
უჩუმრად კუბოს ფიცარსა თლიან.
და საქორწინო ლოგინს რომ შლიან,
შორს, საღლაც მათთვის საფლავსა თხრიან...,
და ამ ჩუმ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს
კაცის ცხოვრება უწოდა ხალხმა...

წუთისოფლის ამ ფილოსოფიას უფრო ამუქებს გათხრილი საფლავი, შავით შემოსილი ქალი... მაგრამ ამას ერთბაშად ცვლიან კონტრასტული სურათები. საქორწილოდ მორთული ახალგაზრდა წყვილი და პატარები, რომლებიც პეპელას დასდევენ. უდარდელ ბავშვთა ჟრიამული და სიცილი ავსებენ მიდამოს და ეს როგორც სიცოცხლის ჰიმნი, ისე გაისმის. ასეთი ოპტიმიზმი გასდევს პიესას თავიდან ბოლომდის. ამავე ოპტიმიზმით მთავრდება ეპილოგში გამოხატული სურათი.

პიესის შინაარსი კი ასეთ კონფლიქტს ემყარება: ხუროთმოძღვარი დაჩი, რომელმაც თბილისი ააშენა, შეყვარებულია დიღმელ ქალიშვილზე — ვარდოზე. ვარდო უყვარს თბილისელ მოქალაქეს გახასაც. დაჩი პატრიოტი, მშრომელი, პატიოსანი კაცია, გახა კი გულღრძო, ბოროტი, ეგოისტი, განდიდებისა და ქონების მოხვეჭის მანიით შეპყრობილი. კონფლიქტიც ამ სამკუთხედს ეფუძნება: დაჩი — ვარდო — გახა.

თბილისი ააშენეს. ვახტანგ გორგასალმა ზეიმი და კურთხევა ბაკურს (დაჩის მამას), თბილისის ციხისთავს, მიანდო, თვითონ კი მტრის დასალაშქრად გაემგზავრა. ახალ აშენე-

ბულ ქალაქს მტრები შემოესია, მაგრამ ვერ გატეხეს იგი. შიმშილსა და წყურვილში იცავენ მას პირველი თბილისელი მოქალაქენი, მაგრამ აი, ხანის კარავში გამოჩნდა გახა, რომელმაც მტერს მიაგნებინა გვირაბი, რომლითაც წყალი შეჰქონდათ ქალაქში. შემდეგ პიესაში აღწერილია, თუ ვარდოს სიყვარულმა ამ საიდუმლო გვირაბით გამოსული დაჩი როგორ გახადა უნებლიე მოღალატე და ციხის საიდუმლოების გამცემი. ამას მოსდევს პატრიოტული თავდადება თბილისელი მოქალაქეებისა. განსაკუთრებით ხაზგასმულია დაჩის დედის ვაჟკაცური და პატრიოტული ბრძოლა თბილისისათვის. მამაკაცები გაწყდნენ, დედამ შეადგინა ქალთა რაზმი. პატრიოტულად აღგზნებული ქალი შეიარაღებულ რაზმს უცხადებს:

სამშობლოსათვის, თბილისისათვის
სიკვდილში ვპოვებთ ჩვენ უკვდავებას!

სწორედ ამ დროს იქნა მხილებული დაჩის უნებლიე შეცდომა, მას — სამოსელში გახვეულს — ჩაქოლავენ, როგორც მოღალატეს; ამავე გრძნობით ქოლავს მას დედაც. შემდეგ ირკვევა, რომ დაჩი უდანაშაულო ყოფილა. თბილისს მტრის ურდოსაგან იხსნის ომიდან დაბრუნებული ვახტანგ მეექვსე. ბრძოლაში დაღუპულთა ფონზე ისევ გამოჩნდებიან ბავშვები ყვავილებით. ეს სურათი შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

მათ მისთვის მართეს ხარაჩოები,
მისთვის შეღებეს სისხლით ველები,
რომ თქვენ გეჭირათ ჭრელი პეპლები,
რომ თქვენ გეკრიფათ ყაყაჩოები.

პოემას ეს აძლევს უაღრეს ოპტიმისტურ ხასიათს, პოემის დედააზრი, მისი ფილოსოფია ამ ოპტიმისტურ ინტონაციებს ეფუძნება. უნდა ითქვას, რომ ამ ოპტიმიზმს ერთგვარად ანელებს მუქი ფერებით გამოხატული სიმბოლოები ძაღლისა, მღილისა და სხვათა.

ორივე ეს ნაწარმოები ერთგვარი მოსინჯვა იყო პოეტის ნიჭისა დრამატურგიის დარგში და, უნდა ითქვას, მან ეს გამოცდა ჩააბარა.

გრ. აბაშიძემ ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწია საბავშ-ვო მწერლობის დარგში.

ჩვენი ახალგაზრდობის იდეური და ესთეტიკური აღზრდა დიდი საზოგადოებრივი საქმეა. და გრ. აბაშიძესაც არ დაუ-ზოგავს თავისი პოეტური ტალანტი და შრომა ამ სფეროშიც.

პოეტს მოეპოვება ლექსები სკოლის ასაკამდელი ბავშვე-ბისათვის („მეც მასწავლეთ", „თოლია და დედოფალა", „ბუთ-ხუზა", „პარადზე"). ჰუმანიზმით გამთბარი და ბავშვური გულ-უბრყვილობით ამეტყველებული ეს ნაწარმოებები გვაჯადოე-ბენ თავისი სისადავითა და უბრალოებით, ნორჩი თაობის ფსი-ქოლოგიის ცოდნით. აღმზრდელობითი, შემეცნებითი ხასიათი-საა გრ. აბაშიძის ისეთი ლექსები, როგორიცაა „მე და ნიკა", „მანქანების შეკეთება" და სხვ. საქართველოს ბუნების მშვენიერ პასაჟებს გვიხატავენ ლექსები — „ტყეში", „გა-ზაფხული", „შემოდგომა", „ზამთარი". საბავშვო ლექსებში მოხერხებულად არის ჩართული ცნობები მეცნიერების სფე-როდან, მოთხრობილი მარტივად და სადად. ამ მხრივ განსა-კუთრებულ ინტერესს იმსახურებს ლექსი „რატომ არა აქვს კურდღელს კუდი".

გრ. აბაშიძის საბავშვო ლექსებში კეთილი გრძნობების, მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის ქადაგება გამოხატულია არა ტრაფარეტულად, არამედ ცოცხალი, პრაქტიკული რეა-ლური საგნებისა და მოვლენების შემოტანით. აი, „ავი ღლა-ვი", რომელიც ყველას ყლაპავს, ყველას ებრძვის, არავის ინდობს. სიავითა და ბოროტებით იგი ყველას სძულს და, როცა იგი ნაღმს გადაყლაპავს და მას მსხვერპლად შეეწი-რება, ყველას უხარია: „დაინახეს, ტალღებს გაჰყვა ავი ღლავის ნაფლეთები, ახიც იყო, სხვისი ჩაგვრით დაიღუპა ავი ღლავი".

მწერალი გამოდის, როგორც კაცთმოყვარეობის მქადაგე-ბელი, პატიოსნების, მეგობრობის მომხრე, ავის გამკილავი. მქირდავი გრძნობები და მიდრეკილებანი მწერალს გაკიცხუ-ლი აქვს. მისი საბავშვო ლექსებისთვის დამახასიათებელია ერთგვარი ალერსიანი ტონი ყველა დაჩაგრულისა და იოლად გამეტებულისადმი. გავიხსენოთ „მეცამეტე გოჭი". ღორს, რომელსაც თორმეტი ძუძუ აქვს, გაუჩნდა მეცამეტე გოჭი,

რომელსაც დედის არც ერთი ძუძუ არ ერგო, წვალებით გაიზარდა, ხოლო მისი უბედობა სალანძღავი სიტყვის სინონიმად გადაიქცა:

> რას ერჩიან საბრალო გოჭს, ყველამ რატომ შეიყვარა.
> ნაბოლარად რაკი გაჩნდა, მიტომ არი მეტიჩარა?
> რათ ლანძღავენ, ისიც ეყო, ურძეობა გადიტანა,
> რა ჰქნას, გაჩნდა მეცამეტედ, მისი ბრალი არის განა?
> პატარებო, ეს თხოვნა მაქვს თქვენთვის ჩუმად გასაგები:
> . აბეზარს და მეტიჩარას მოუძებნეთ სხვა სახელი!

ასეთი ჰუმანისტური განწყობილებანი და კეთილი საწყისები დამახასიათებელია გრ. აბაშიძის საბავშვო პოემებისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს პოემები „რუსთავის მერცხლები“ და „ნაბოლარა წიწილა“.

„რუსთავის მერცხლები“ ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობის პოემაა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დროს ახლად აშენდა და აღორძინდა მთელი რიგი ქალაქები და რაიონები, რომლებიც საუკუნეთა სიღრმეში ისტორიის ქარტეხილებს ვერ გადაურჩნენ. ქართველმა ხალხმა ისტორიული ქალაქის — რუსთავის ნანგრევებზე კვლავ აღმართა დიდი და ლამაზი, ფოლადის მწარმოებელი ქალაქი, რომელიც მშვენიერი ნიმუშია სოციალისტური, ინდუსტრიული ქალაქისა. ეს დიდი საქმე გრ. აბაშიძეს გადმოცემული აქვს სრულიად უბრალოდ და მარტივად „რუსთავის მერცხლებში“. თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებულ მერცხლებს უნდათ თბილისში გაიჩინონ ბუდე. გზად თბილისში მოსვლამდე დაინახეს ახალი ქალაქი და გაკვირვებით აღმოხდათ: აქ სახლები არ იდგა, ქალაქი არ იყო და საიდან გაჩნდა ეს ნათელი და მაღალი შენობები. აქაური მკვიდრი ბეღურები უამბობენ მერცხლებს, თუ როგორ აშენდა შრომითა და გარჯით თვალწარმტაცი ქალაქი. მერცხლებიც აცნობენ ბეღურებს უცხოეთში ზანგთა ცხოვრების მძიმე ეპიზოდებს, თეთრკანიანი ბატონებისაგან აკლებული და გადაბუგული სახლების ისტორიას. აი, ასე ბუნებრივად გადაა გადმოცემული ფრინველთა დიალოგის საშუალებით

უცხოეთის საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი ეპიზოდები და კონტრასტული სურათები.

ამ პოემის დიდი შემეცნებითი ღირებულება ეჭვსგარეშეა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი სინამდვილის დიდი პრობლემების დაყენება და პოეტური გადაწყვეტა, რითაც ხასიათდება გრ. აბაშიძის მთელი შემოქმედება, ბუნებრივი განვითარებაა ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებისა.

გრ. აბაშიძის პოეტური სისტემისათვის დამახასიათებელია ნათელი სისადავე. პოეტი შეგნებულად გაურბის გარეგნულ პოეტურ სამკაულებს და მხატვრული ნაწარმოების ძალას შინაგან იდეურ პათოსზე ამყარებს. მისი პოეტური პალიტრა რეალისტურია და ყოველთვის საზოგადოებრივი აზრისა და განწყობილების გამოხატვას ემსახურება, ლექსის მხატვრული ფაქტურაც შესაბამისად რეალიზმის საფუძვლებს ეყრდნობა.

ფერი მოსვლიათ უკვე ჯეჯილთა,
თითქოს ბუნება მართლა ბავშვია,
შეხედეთ, როგორ შრომობს ბეჯითად,
როგორ ფუსფუსებს, რა ამბავშია!
დათბა და ლაჟვარდს გააქვს კაშკაში,
ცაზე გაუბამთ მერცხლებს პწკარები,
ასე მგონია, ამ გარდაქმნაში
მზეს და გაზაფხულს მეც ვეხმარები.

აქ ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა გარკვეულ მიზანს ემორჩილება, ბუნების გამოღვიძების სურათები, შემოქმედებითი შრომისა და გარჯის ეპიზოდები გამოხატულია უაღრესად ნათელი ფერებითა და საღებავებით. აქ არაფერია ბუნდოვანი და ყალბი.

ან კიდევ:

შტოებზე კვირტი იღვიძებს თელემით,
უთვალავ აკვანს არწევს ბუნება,
რათ მინდა თავი, ცხოვრება ჩემი,
თუ ამ ფერხულში არ მეგულება.

ორიგინალური პოეტური ინტონაცია, ნათელი პოეტური საღებავები ამ ლექსებს ანიჭებენ დიდ უშუალობასა და

ბუნებრიობას. ავტორს აქ გამოყენებული აქვს ღია ფერები და ეს სავსებით შეეფარდება ლექსის საერთო ხასიათსა და ტონს. აქედან წარმოდგება ლექსის ოპტიმისტური განწყობილებაც. ასე ბუნებრივად და უშუალოდ გამოხატული სურათი ვკაახლოებს პოეტთან და მაღალ ღირსებას აძლევს მის ჩანაფიქრს.

ნათელი პოეტური ფრაზები, კომპოზიციურად ლოგიკური გადასვლები, სადა ეპითეტები და მეტაფორები დიდ სიცხოველეს ანიჭებენ გრ. აბაშიძის ლექსებს. ჩვენი პოეტის ოდნავ რომანტიზებულ ლექსებსაც რეალისტური ჩარჩო აქვს შექმნილი. ამით ავტორი ახერხებს, თავი დააღწიოს პათეტიკურ სტილს, რაც ეგზომ გავრცელებულია უკანასკნელი დროის ჩვენს პოეზიაში.

გრ. აბაშიძის პოეზიას დიდ ღირსებას ანიჭებენ ორიგინალური რითმები. პოეზიას აქვს თავისი კანონები, პროზისაგან განსხვავებული, და ეს, უპირველეს ყოვლისა, გარითმვაშია გამომჟღავნებული. პოეტური ნაწარმოებისათვის გარითმვა კანონია, პროზას ეს არ სჭირდება, თუმცა არის გარითმული პროზის მაგალითებიც. ასევე არის თეთრი ლექსიც. რასაკვირველია, ლექსის ხარისხს მარტოოდენ რითმა არ განსაზღვრავს. ლექსის სტრუქტურაში შედიან კომპონენტები და ხშირად მრავალ საიდუმლოებათა მომცველია ეს კომპონენტები თუ სალექსო საშუალებათა კომპლექსი, მაგრამ, პოეტიკის ენით რომ ვთქვათ, რითმა განუყოფელი თვისებაა პოეზიისა. უახლოესი დროის პოეზიაში ზოგიერთი უხეირო ძიება რითმის უარყოფისა სასურველ შედეგს არ გვაძლევს. ამიტომ, უდავოა, პოეტის ნიჭიერებისა და ძალის ერთ-ერთი საზომი არის ორგინალური, გამართული რითმა. უნდა ვთქვათ, რომ გრ. აბაშიძე ამ მხრივაც სანიმუშო პოეტთაგანია ჩვენს ქართულ პოეზიაში. მის შემოქმედებაში უხვად გვხვდება ზუსტი, მდიდარი ღრმა და მაჯამური რითმები.

შენ ნაბიჯს ვუსმენ სულგანაბული,
ყვავილებს შორის მოდის მთის წყარო,
შენ ფეხადგმული ხარ გაზაფხული,
დაუქრობელო ჩემო ცისკარო!

გრ. აბაშიძისათვის არ არის დამახასიათებელი ტრაფარეტი, შაბლონი. თუ ერთ შემთხვევაში მას ნახმარი აქვს რითმები წყარო-ცისკარო, მეორეგან ის „ცისკარს“ რითმავს სიტყვებთან „ხნის ვარ“ (ცისკარს — ხნის ვარ). გრ. აბაშიძესთან გვხვდება ასეთი რითმებიც: იბერი — ცისფერი, ნაბადი— ფარფატი, ლამპარი — მთა-ბარი, მთა-გორებს — მაგონებს. დაენდობ-დაალავერდობ, თოველ-ყოველი, ნამქერი-ვეღარაფერი.

ან ავიღოთ ასეთი სტროფი:

მელანდებოდი, მეგონა ცხადი
შენზე ზმანება; ლანდად გამხადე,
თვალებში შენი ჩამიდგა ხატი
და გული ჩემი გახდა სახატე.

აქ რითმების, სიტყვების თამაში ქმნის პოეტურ სიმფონიას.

გრ. აბაშიძე მეტად საინტერესო მწერალია პოეტიკის თვალსაზრისით. მრავალმხრივი მხატვრული საღებავებითა და ფერებით, ნათელი სახეებითა და შედარებებით აღწევს იგი მაღალი პოეტური ფორმის შექმნას და, როგორც დავრწმუნდით, იგი სწორედ ამ მდიდარი საღებავების სიუხვით ხატავს ჩვენს მრავალფეროვანსა და მღელვარე ცხოვრებას

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავლის მაგიერ	3
სერგო კლდიაშვილი	15
დემნა შენგელაია	65
კარლო კალაძე	120
სიმონ ჩიქოვანი	153
აკაკი ბელიაშვილი	208
კონსტანტინე ლორთქიფანიძე	263
ირაკლი აბაშიძე	318
პოლიკარპე კაკაბაძე	381
გრიგოლ აბაშიძე	414